

ქართული
მხალხური
პოეზია

ტომი
მეორე

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1 9 7 5

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ზოთა ჯუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის
ინსტიტუტი



1975

ს ა გ მ ი რ ო

ლ ე მ ს ე ბ ი

ნ ა კ ვ ე თ ი
მ ე ო რ ე

გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა • მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა •

თ ბ ი ლ ი ს ი
1 9 7 5

ქართული ხალხური პოეზიის II ტ. მე-2 ნაკვეთში
შესულია თემატურად და სიუჟეტურად მრავალფერო-
ვანი ლირიკულ-ეპიკური საგმირო ლექსები. ნაკვეთი
შედგება 2 ნაწილისაგან: ტექსტები, შენიშვნები და
ვარიანტები. ტექსტები დალაგებულია თემატურ ჯგუ-
ფებად, ვარიანტები კუთხეებისდა მიხედვით, ჩაწერის
ქრონოლოგიის კვალობაზე. შენიშვნებში ნაჩვენებია
თითოეული ლექსის შექმნის გარემო და წყაროები.

სარედაქციო კოლეზია:

ელენე ვირსალაძე, ქსენია სიხარულიძე,
მისეილ ჩიქოვანი (მთავარი რედაქტორი)

ტომი შეადგინა, გამოკვლევა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო
ქსენია სიხარულიძემ

შემდგენლისაბან

ხალხურ პოეზიაზე თუ ითქმის დაუშრობელი ზღვა თუ ამოუწურავი ჭააო, ყველაზე მეტად ეს საგმირო ლექსებს შეეფერება. ამას თავისი ისტორიული ფესვები აქვს. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ჯერ წიგნი სტამბისთვის არ ჩაკვიბარებია და ახალ-ახალი საველე მუშაობით მოპოვებულ მასალებში საკმაო რაოდენობით არის არა მხოლოდ ახალი ვარიანტები კრებულში შეტანილი ლექსებისა, არამედ ისეთი ლექსებიც, რაც საარქივო მასალებშია დაცული. საგმირო ლექსები დღემდე აქტიურ ზეპირ ბრუნვაშია. ამ ეტაპზე ტექნიკურად შეუძლებელი გახდა მთლიანად წარმოგვედგინა ახალმოპოვებული მასალები. მასალათა არაჩვეულებრივმა სიუხვემ გვაძულა აგრეთვე შეგვეზღუდა კომენტარები. ნურავინ იფიქრებს, ამით თითქოს მდგომარეობას ვიმსუბუქებდით. ჩვენ უფრო მიზანშეწონილად ვცანით ტექსტებისათვის მეტი ადგილი დავეთმო, და რაც შეიძლებოდა მათი ვარიანტები სისრულით წარმოგვედგინა, თუმცა ტექნიკური მიზეზების გამო დავკმაყოფილდით ზოგი ვარიანტის აღნუსხვით. როგორც აღრეც აღვნიშნეთ, მოვერიდეთ ტექსტების შესწორებას, თუ ჩამწერის აშკარა შეცდომასთან არ გვქონოდა საქმე. რაც შეეხება ძველი ქართული ენისა და ადრინდელი დიალექტების დამახასიათებელ ბგერებს კ, ჟ და სხვ., მათ დედნების მიხედვით ვბეჭდავთ იმ შემთხვევაში, როცა ტექსტები გასულ საუკუნეშია ჩაწერილი, როცა დიალექტებისთვის დამახასიათებელი იყო ეს ბგერები, თუ დედნები ხელთ არა გვქონდა, ვბეჭდავთ გამოქვეყნებულის მიხედვით. მეტად თავისებური სურათია ახალ ჩაწერილ მასალებში. ერთსა და იმავე ტექსტში აღნიშნული ბგერების ნიშნები ხან არის და ხან არა. არც ამ შემთხვევაში ვასწორებთ ტექსტებს. იქნებ ეს დიალექტის ისტორიის მაჩვენებელია. ჩვენი თანამედროვე მთქმელები ხომ მეტწილად წერა-კითხვის მცოდნენია. ამავე დროს თანამედროვე მეტყველებაზე ხომ წიგნთან ერთად დიდი გავლენა აქვს კინოს, რადიოს, თეატრს და ა. შ.

თუ ჩაწერილ ტექსტებს თანახლავს შენიშვნები და ცალკე სიტყვათა განმარტებანი, შესაბამისად ეს აღნიშნულია ტექსტის პასპორტთან ერთად. შეიძლება ყველაფერი ეს არც ეთანხმებოდეს კრებულზე დართულ ლექსიკონსა თუ სიტყვათა განმარტებას, ჩვენთვის მაინც საინტერესოა, თუ როგორ ესმის მთქმელს (ჩამწერსაც) ესა თუ ის გამოთქმა თუ სიტყვა.

ვარიანტები გარკვეული თანმიმდევრობით ეთნოგრაფიული პრინციპითაა დალაგებული. ეს მკითხველსა თუ მკვლევარს საშუალებას მისცემს წარმოიდგინოს ცალკეულ ნაწარმოებთა ტრადიცია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამ ნაკვეთის მომზადებისას ტექსტების შემოწმებაში დაგვეხმარა დავით გოგოჭური.

საბმირო ლექსების შემკრები და მკვლევარი

ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც ცნობილია, სტიმული მისცა ხალხური შემოქმედების სისტემური შეკრებისა და შესწავლის დიდ პატრიოტულ საქმეს. მშობლიური ზეპირსიტყვიერების შემკრებ-მკვლევარნი ამ დროს შეუწელებელი ინტერესით ეკიდებოდნენ იდეურად ღრმა, მაღალმხატვრულ საგმირო ლექსებს. ქართული კულტურის დიდ კორიფეთა ჩანაწერებსა თუ ნაწერებში მდიდრად არის წარმოდგენილი საგმირო პოეზიის ნიმუშები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადების — ილიასა და აკაკის განსაკუთრებული ინტერესი საგმირო პოეზიისადმი. ილია ჭავჭავაძეს მუდამ იზიდავდა შინაარსით მდიდარი, ლაბიარული ფორმის საგმირო აფორიზმები, რომელიც მან სიუჟეტთან საგმირო ლექსებთან ერთად საკმაო რაოდენობით ჩაწერა 1871 წელს დუშეთში მომრიგებელ-მოსამართლედ მუშაობისას. ილიას ჩანაწერებში ვარიანტებად არის სასიმღეროდ ატაცებული მშვენიერი აფორიზმები: „ვაჟკაცსა გული რკინისა“¹, „კარგი ყმა მაშინ კარგია“², „კაი ყმა ლაშქარს მოკვდება“³, „ნეტავი ლაშქრად შეგვყარან“⁴ და მრ. სხვ. ილია ჭავჭავაძის ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობის დამახასიათებელია ისიც, რომ მისი რედაქტორობით გამოსულ „ივერიის“ ფურცლებზე სხვა ჟანრის ზეპირსიტყვიერების ნიმუშებთან ერთად დიდი რაოდენობით დაიბეჭდა უშუალოდ მისი და მის მიერ დარაზმულ სხვა საზოგადო მოღვაწეთა მიერ ჩაწერილი საგმირო ლექსები. მაშინ ადვილი როდი იყო პრესის ფურცლებზე ხალხური შემოქმედების ნიმუშების ბეჭ-

1 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, გვ. 407—605.

2 იქვე, გვ. 606.

3 იქვე, გვ. 409, 606.

4 იქვე, გვ. 409.

დვა. ამის გამო ილია ჭავჭავაძეს ერთგვარი მობოდიშებაც კი დას-
 კირდა მკითხველთა წინაშე, სადაც იგი შესანიშნავად ახასიათებს
 ზეპირსიტყვიერების ისტორიულსა და შემეცნებით ღირებულებას⁵.
 ილია ჭავჭავაძემ დიდი ტაქტით დაიწყო ყოველდღიურ საკითხავ
 გაზეთის ფურცლებზე ზეპირსიტყვიერების პუბლიკაცია. იგი თან-
 დთან აჩვენდა მკითხველს და აზიარებდა ხალხურ საუნჯეს. როცა
 თვალს ვადევნებთ „ივერიის“ ნომრებს, შეიმჩნევა მის ფურცლებ-
 ზე ყოველწლიურად ზრდა ზეპირსიტყვიერების პუბლიკაციისა. სა-
 კუთრივ საგმირო ლექსები გაზეთის ოთხი წლის ნომრებში ასეა
 წარმოდგენილი. 1890 წ. ნომრებში საგმირო აფორიზმების მხოლოდ
 ორიოდ ნიმუშია დაბეჭდილი⁶, 1891 წელს მხოლოდ ერთ ნომერ-
 შია დაბეჭდილი რამდენიმე საგმირო ლექსი⁷, 1893 წლის ნომრებ-
 ში კი მდიდრად არის წარმოდგენილი საგმირო პოეზია. ამ წლის
 ნომერში მარტო ერთი — მეთვალყურის ფსევდონიმით ცნობილი
 შემკრების მიერ ჩაწერილი ათზე მეტი საგმირო ლექსია დაბეჭდი-
 ლი⁸. ილია ჭავჭავაძე რომ დიდად აფასებდა საგმირო პოეზიას, ეს
 ჩანს აგრეთვე მისი მხატვრული თუ პუბლიცისტური შემოქმედე-
 ბიდანაც. დრამატული პოემის „ქართლის დედის“ ეპიგრაფად
 წამძღვარებული საგმირო სიმღერა „გავვიძღე ბერო მინდიავე“ თავი-
 დანვე განსაზღვრავს ნაწარმოების ამალღებულ პატრიოტიზმს. საგ-
 მირო ლექსის შექმნასა და მის დიდ საზოგადოებრივ ფუნქციას
 მშვენივრად ახასიათებს „აჩრდილის“ მაღალპოეტური სტრიქონები:

...წმინდაა იგი, ვისაც ეღიროსა
 მამულისათვის თავის დადება!...
 ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,
 ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება.
 მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
 შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს,
 და არა ერთხელ ჰაბუკთა ყრმათა
 ხმლის ტარზედ ძლიერს აუთრთოლებს ხელს;
 იმ სიმღერას რა ისმენს მხცოვანი,
 სიბერის ეამსა კვლავ შოიფონებს,
 გმირის სიკვდილი სახელოვანი
 ახლად ცხოვრებას მას მოანდომებს;
 აკვანზედ დედა უმღერებს შვილსა
 ტკბილისა ხმითა იმ სიმღერასა,

5 ივ., 1889, № 134.

6 ივ., 1890, № 148.

7 ივ., 1891, № 195.

8 ივ., 1893, № № 19, 206, 213, 215, 222, 240.

და თუ ინატრებს რასმეს მისთვისა, —
ინატრებს გმირის მის დიდებასა;
და უფრო ხშირად იმღერს ქალწული,
გმირის მოიგონებს და ვამხნეველება, —
ყოველი იმღერს და სხვა მორკმული
გმირი იმ მღერით დაიბალება.

„ქვეთა ღალადში“ მწერალმა მოხდენილად გამოიყენა საგმირო აფორიზმების შემეცნებითი ღირებულება: „ქეშმარიტს ღირსებას ყვირილი არ უნდა. მისი ბუნება და თვისება ის არის, რომ მით უფრო სასახელოა და საგულებელი, რაც უფრო მდუმარეა. თუ გამეცნიერებული და განათლებული არ არის, ამისათვის საკმაოა სალი ქვეა და უბრყვილო გული უბრალო გლახკაცისა“. „კარგი ვარ, ამას ნუ იტყვი, თავს ნუ დაუწყებ ქებასა“, ან: „ვაჟკაცი წყნარი სჯობია, ჩალად არა ჰღირს მკვებარი“, — განა გლახკაცის ნათქვამი არ არის?“⁹.

ასევე ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ნათელი გამოხატულება არის აკაკი წერეთლის ფოლკლორისტული მუშაობა. პოეტის მიერ დაარსებულ „აკაკის კრებულში“ უხვად დაიბეჭდა მის და მის ირგვლივ შემოკრებილ ზეპირსიტყვიერების ცნობილ შემკრებთა — კოტე მესხი — გვარამაძის, სოსიკო მერკვილაძის, ნ. ბაკურაძის (ქართველი ოსებში) და სხვათა ჩაწერილი საგმირო ლექსები: „თემის გამტეხსა ვაჟკაცსა“¹⁰, „ვაჟკაცსა ქალაჩუნასა“¹¹ და სხვ.

ქართული ხალხური საგმირო ლექსების კარგად შერჩეული ნიმუშები შეიტანა თავის შესანიშნავ სახელმძღვანელოებში ილიასა და აკაკის თანამებრძოლმა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში იაკობ გოგებაშვილმა. მარტო „დედაენაში“ ათამდე საგმირო ლექსია წარმოდგენილი. ესენია: „მამულო, შენთვის მოვეკვლები“, „ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს“, „ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს მამული თავის ერია“ და სხვ.“. მისივე ცნობით ამ ლექსების ნაწილი საკუთარი ჩანაწერია, ნაწილი კი ამოღებულია პ. უმიკაშვილისა და სხვათა კოლექციებიდან¹².

ორასამდე საგმირო ლექსია წარმოდგენილი ქართული ხალხური სიტყვიერების დიდი მოამაგის პეტრე უმიკაშვილის მდი-

9 ი. ჰავჭავაძე, თხზ., VIII, 1957, გვ. 99.

10 ა. კრბ., 1898, № 5.

11 ა. კრბ., 1898, № 7 და სხვ.

12 იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, V, 1957, გვ. 23, 147, 148, 256, 271, 534, 549, 561 და სხვ.

დარ კოლექციაში. ამ კოლექციის ერთი ნაწილი გამოაქვეყნა პროფ. ფილიპე გოგიჩაიშვილმა, ახლა განხორციელებულია მისი უფრო სრული სახით გამოცემა¹³. პ. უმიკაშვილს, როგორც ზეპირსიტყვიერების შეკრების დიდ ორგანიზატორს საკუთარ ჩანაწერებს აწვდიდნენ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, დავით ხიზანაშვილი, პ. მირიანაშვილი, ნ. ბაკურაძე, დიმ. ყაზბეგი და სხვ. ამ ჩანაწერებში თვალსაჩინო ადგილი უკავია საგმირო პოეზიის ნიმუშებს. მნიშვნელოვანი ნაწილი ამ მდიდარი კოლექციისა, რომელიც 1859—1903 წლებშია მოპოვებული, უშუალოდ პეტრე უმიკაშვილის ჩანაწერია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

პ. უმიკაშვილის ფოლკლორისტულ მუშაობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მან გამოავლინა მრავალი ნიჭიერი მთქმელი, მათ შორის საგმირო ლექსების მდიდარი რეპერტუარის მქონენი. როგორც მისი მდიდარი კოლექციიდან ირკვევა, პ. უმიკაშვილის მუშაობას მთქმელებთან სისტემური ხასიათი ჰქონია. ასე, მაგალითად, 1874 წ. ხანმატელი ბერდია ეულაკაისძე გამლივარაულისგან, როდესაც მთქმელს ჰერ კიდევ წერა-კითხვა არა სცოდნია, პ. უმიკაშვილს ჩაუწერია რამდენიმე საგმირო ლექსი, მათ შორის „ბევრა სახელობს ხევსური“¹⁴, „ხევს მოხვეენი უზნობენ“¹⁵ და სხვ.¹⁶ შემდეგ კი გამლივარაულს წერა-კითხვა უსწავლია და 1876 წ. პ. უმიკაშვილისთვის მიუწოდებია გაუწაფავი ხელით მის მიერ ჩაწერილი საგმირო ლექსები „გიგაის ძოძი“¹⁷, „როშკს ჯარის მოსვლა“¹⁸, აფშინას ციკლის ლექსები¹⁹ და სხვ.²⁰ 1881 წ. ასევე სისტემურად უმუშავნია პ. უმიკაშვილს მის მიერ გამოვლენილ მეორე საინტერესო მოლექსე გ. ჯამარჯაშვილთან. მის რეპერტუარში არის ვარიანტებად ცნობილი საგმირო ლექსები, როგორცაა: „ყოჩანო ჯავარიანო“, „ალოშკა გოდაეთა“, „დაიძრა ერთი თათარი“, „გაფრინდი შავო მერცხალო“ და სხვ. ოცამდე ნიმუში საგმირო პოეზიისა პ. უმიკაშვილს 1884 წ. ჩაუწერია მიხ. ჩქარეულისაგან.

13 პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ოთხ ტომად, მიხ. ჩიქოვანის რედაქციით, თბილისი, 1964.

14 უ მ ი კ., გვ. 38.

15 იქვე, გვ. 614.

16 იქვე, № 135, გვ. 90, გვ. 561, № 149, გვ. 99 და სხვ.

17 იქვე, № 19, გვ. 35.

18 იქვე, № 20, გვ. 36.

19 იქვე, № 21, გვ. 37.

20 იქვე, № 23, 24, გვ. 38, № 27, გვ. 39, №28, 29, გვ. 40, № 32, გვ. 41, № 99, გვ. 81, გვ. 555 და სხვ.

მის. ჩქარეულის რეპერტუარშია „მტერო, ნუ გაგიხარდება“, „თუ-
შო, ნუ ჩახვალ ხოშარას“ და სხვ.

3. უმიკაშვილს უმუშავნია აგრეთვე ადრე სხვა პირთა მიერ
გამოვლენილ საგმირო ლექსების რეპერტუარის მქონე მთქმელებ-
თანაც, მათ შორის ბაბალე მინდოდაურთან. ამ ნიჭიერი მოლექსე
ქალისაგან პ. უმიკაშვილს ჩაუწერია ლეკიანობის ამსახველი ლექსი
„ამოვა ჩეკილის შვილი“.

3. უმიკაშვილი სერიოზულობით ეკიდებოდა ტექსტების „პას-
პორტს“. ამ თვალსაზრისით იგი სინჯავდა და ავსებდა სხვათა ჩანა-
წერებსაც. ასე, მაგალითად, დიმ. ყაზბეგის მიერ ჩაწერილ საგმირო
ლექსის „შარუხ მამა და სნოს ციხე“ ტექსტზე პ. უმიკაშვილის ხე-
ლით მიწერილია ცნობა მთქმელის შესახებ: „ორიოდე წლის შემ-
დეგ თოვლის ზეავს მოჰყვა ბუნელიშვილი მეფანტურა“²¹.

მისივე ხელით არის მიწერილი სიმ. შადურის მიერ ჩაწერილი
საგმირო ლექსის „ალოშკა გოდაეთას“ ტექსტზე შენიშვნა: „იოსებ
გიგაურის (ბრმის) გამოთქმულიო“²². პ. უმიკაშვილის კოლექციაში
არა იშვიათია მსგავსი მაგალითები. პ. უმიკაშვილის შენიშვნებში
უყურადღებოდ არ არის დატოვებული საგმირო ლექსთა გავრცე-
ლების არის საკითხიც²³.

3. უმიკაშვილის შენიშვნებში სანდო ცნობებია საგმირო პოე-
ზიის ტრადიციასა და შესრულების წესებზე.

3. უმიკაშვილის მიერ ჩაწერილ ვარიანტს ლექსისა „ხოროშან
ლაშქრად ვიყვენით ჩვენ ლომნი ლომისისანი“ დართული აქვს შე-
ნიშვნა, რომ იგი სარიტუალოა და „ლომისობას მღერიან მღეთს და
გარშემო“²⁴. პ. უმიკაშვილის შეკრებილი მასალები და ტექსტებზე
დართული შენიშვნები წარმოგვიდგენენ საგმირო პოეზიის ძლიერ
ტრადიციას საქართველოში და მის დიდ საზოგადოებრივ დანიშნუ-
ლებას. პ. უმიკაშვილის შენიშვნები გვაცნობენ იმას, რომ საგმირო
ლექსები იმღერებოდა შრომაში და გამოყენებული იყო როგორც
თონხური, გუთნური და ურმული²⁵, — რომ ეს ლექსები სრულდე-
ბოდა როგორც სუფრული, სალხინო სიმღერები²⁶.

21 უ მ ი კ., გვ. 557.

22 იქვე.

23 იქვე, გვ. 560.

24 იქვე, გვ. 500.

25 იქვე, № № 854, 857. გვ. 328; № № 920, 921, გვ. 336, № 952, გვ. 339.

26 იქვე, № № 1016, 1018, 1019, 1020, 1024, 1025, 1033, 1036, 1050, გვ.

3. უმიკაშვილს არ ჰქონია მკვლევრის პრეტენზია. მიუხედავად ამისა მის მიერ შეკრებილი ტექსტები და ამ ტექსტებისადმი დართული შენიშვნები, რომელიც შეიცავს მდიდარსა და სანდო ცნობებსა და დაკვირვებებს ზეპირსიტყვიერების მთქმელ-შემსრულებელთა გავრცელების არის, შესრულების ხასიათსა, წესების და ფუნქციის შესახებ, მეტად მნიშვნელოვანია ხალხური შემოქმედების საერთოდ და კერძოდ საგმირო პოეზიის ზოგად-თეორიული საკითხების გადასაწყვეტად.

ქართული ხალხური საგმირო პოეზიის თეორიული საკითხების გადასაჭრელად დიდი მნიშვნელობა აქვს მშობლიური ზეპირსიტყვიერების უანგარო მოჭირნახულის თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ტექსტებს და ამ ტექსტებზე დართულ კომენტარებსა და შენიშვნებს. თედო რაზიკაშვილის მიერ ფშავში, ხევსურეთში, თუშეთში, ქართლსა და კახეთში ჩაწერილ ხალხური სიტყვიერების ნიმუშებში ოთხასამდე საგმირო ლექსია²⁷. ამ ლექსებზე დართულ შენიშვნებსა, განმარტებებსა და კომენტარებში უტყუარი ცნობებია ცალკე ლექსთა რეალურ საფუძველზე, გენეზისზე, ლიტერატურასთან ურთიერთობასა და სახალხო მთქმელებზე.

თედო რაზიკაშვილმა კარგად იცოდა ვარიანტების როლი და მნიშვნელობა ხალხურ შემოქმედებაში. ამის შესახებ მას თეორიული ხასიათის მოსაზრებაც აქვს გამოთქმული²⁸. მის ჩანაწერებში ვარიანტებად არის წარმოდგენილი საგმირო ლექსები: „ლუხუმი“²⁹, „ლუის ლუხუმი“³⁰, „ზეზვა და თათულიკა“³¹, „მარიამულისძე“³² და სხვ.³³

თ. რაზიკაშვილის შენიშვნებში არის ცდები მის მიერ ჩაწერილ ლექსთა რეალური საფუძვლის დადგენისა და ცალკე სტრიქონებისა და გამოთქმათა განმარტებისა. ამ შემთხვევაში იგი ხშირად იყენებს ხალხურ ამბებს, გადმოცემებს, თქმულებებსა და ლეგენდებს³⁴. საინტერესოა აგრეთვე ცნობები ლექსებში მოხსენებულ

27 თაყ., 1, გვ. 177—404; შან., № № 77, 84, 85, 86, 87, 90, 91, და სხვ.; ხალხ. სიტყ., III, 19—105.

28 „კვ“, 1890, 20; სიხ. საგმ., გვ. 40.

29 შან., გვ. 35, 394, 395.

30 იქვე, გვ. 57, 421.

31 იქვე, გვ. 34, 391.

32 იქვე, გვ. 36, 396.

33 იქვე, გვ. 36, 38, 400; 61; 424 და სხვ.

34 ხალხ. სიტყვ., III, გვ. 42, 59—60 და სხვ.

პირთა ვინაობაზე³⁵. განსაკუთრებით ძვირფასია თ. რაზიკაშვილის ცნობები მოლექსეთა და მთქმელთა შესახებ. მან შემოგვინახა სახელები და რეპერტუარი პაპა მარტიაშვილის³⁶, ბაია ფადიურაშვილის³⁷, მამუკა პეტრიაშვილის³⁸, ვასილ რაზიკაშვილის³⁹, გიორგი მკედლურის⁴⁰, უგონურ გორზამაულის⁴¹, ათია წოწკურაულის⁴², და საგმირო ლექსების სხვა ნიჭიერ შემოქმედ-შემსრულებელთა.

თ. რაზიკაშვილი, როგორც მაღალი კვალიფიციის შემკრები ზეპირსიტყვიერებისა, ცდილობდა ამოეწურა რეპერტუარი საინტერესო მთქმელთა. მან მშვენივრად იცოდა, თუ რა ბედი ეწოდა ფიქსაციის გარეშე დარჩენილ ხალხურ ტექსტებს. ასე, მაგალითად, საგმირო ლექსთან „ქალაქსა ჰკითხვენ“ დაკავშირებულ მის მიერვე ჩაწერილ თქმულების შენიშვნაში ვკითხულობთ: „მიაპბო გლახა ბურნახაშვილმა, საკვირველი მცოდნე იყო ფშავ-ხევსურეთის ძველი ამბებისა. სამწუხაროდ მოკვდა და ბევრი რამ თან ჩაიტანა სამარეში“⁴³. თედო რაზიკაშვილმა ამ მთქმელისგან ჩაწერა აგრეთვე საინტერესო ვარიანტი გავრცელებული ბალადისა „შატილს გადიღდა ხოხობი“. თედო რაზიკაშვილის ჩანაწერებით ვეცნობით ფშავში განთქმული მოლექსის, მისი დედის ბიძის — პარასკევა ფხიკელი-შვილი-გაბიდაურის რეპერტუარის ნაწილს — ლეკიანობის ამსახველ ლექსს „კორსავში ყარაულებმა“ და ქისტებთან შუღლზე შექმნილს „გაჟიკა მაჩურიშვილი“.

თ. რაზიკაშვილის შენიშვნებში მდიდარი ცნობებია საგმირო პოეზიის საერთოდ და კერძოდ მისი ცალკე ნიმუშების ტრადიციახე. იგი ხაზს უსვამს ხოგაის მინდიაზე შექმნილი ლექსის ძლიერ ტრადიციას ხევსურეთში⁴⁴. მასვე ეკუთვნის ცნობა იმის შესახებ, რომ ხევსურული ლექსი „ქისტი-ისთაბარი“, რომლის მხოლოდ ფრაგმენტია შემონახული, წელიწადში მხოლოდ ერთხელ და ისიც ახალწელიწადს იმღერებოდა“⁴⁵. თედო რაზიკაშვილს ეკუთვნის

35 შ ა ნ., გვ. 74, 82, 406, 442, 456 და სხვ.

36 ხალხ. სიტყვ., III, გვ. 24, 40, 45.

37 იქვე, გვ. 44, 53.

38 იქვე, გვ. 45—69.

39 იქვე, გვ. 36.

40 იქვე, გვ. 29;

41 იქვე, გვ. 27.

42 იქვე, გვ. 73, 76

43 იქვე, გვ. 60.

44 შ ა ნ., გვ. 421.

45 იქვე, გვ. 425.

ძვირფასი ცნობები საქართველოში საგმირო ტრადიციაზე, როგორცაა — ნაბაღზე გადაფრენა⁴⁶, ბექედში ტყვიის გატარება⁴⁷ და სხვ. რამაც, როგორც ვნახეთ, თავისებური იერი მისცა საგმირო პოეზიის პოეტურ ენას. თედო რაზიკაშვილის დამსახურება საგმირო ლექსების შეკრება-შესწავლის საქმეში, მხოლოდ ერთი ნაწილია მისი დიდი ფოლკლორისტული მუშაობისა.

ქართული ხალხური საგმირო პოეზიის ცალკეულ საკითხთა მკვლევარი არამც თუ გვერდს ვერ აუვლის ვაჟა-ფშაველას მიერ ფიქსირებულ ლექსებს და ამ ლექსების გამო გამოთქმულ მოსაზრებებს, არამედ, — ნაბიჯსაც ვერ წადგამს წინ მათ გაუთვალისწინებლად⁴⁸.

დიდი პოეტი სიყრმიდანვე ეზიარა საგმირო პოეზიას. იგი თვითონვე გვამცნობს: „საგმირო ამბებს დიდ ალტაცებაში მოყვანდი და სწორედ ის ხანა დაედვა საძირკვლად, ლიბოდ ჩემს შემოქმედებასა“⁴⁹. მაგრამ როდესაც ხალხური შემოქმედებისადმი საერთოდ და კერძოდ საგმირო პოეზიისადმი ვაჟას დიდ ინტერესზე ვლაპარაკობთ, უნდა ვიცოდეთ, რომ მთავარი ფაქტორი იყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა. საგმირო ლექსებს წამყვანი ადგილი უკავია ვაჟას ფოლკლორულ ჩანაწერებსა⁵⁰ და ნარკვევებში. ვაჟას სახელმძღვანელო დებულებანი აქვს გამოთქმული საგმირო პოეზიის გენეზისზე, ტრადიციაზე, სოციალურ შინაარსსა და ესთეტიკურ ფუნქციაზე. დავით ხიზანაშვილის მიერ შეკრებილ ფშაურ ლექსებისადმი მიძღვნილ დაუმთავრებელ წერილში ვაჟა არსებითად საგმირო პოეზიას ეხება. ფშაველ გიგლიაზე შექმნილ ლექსთან და-

46 ხალხ. სიტყვ., III, გვ. 35.

47 იქვე, გვ. 57.

48 ხალხურ შემოქმედებასა და კერძოდ საგმირო პოეზიასთან ვაჟას დამოკიდებულების საკითხებია განხილული ნაწარმოებებში: სოლ. ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველა, 1937, გვ. 267; 285—286 და სხვ. ქს. სიხარულიძე, ვაჟა-ფშაველა და ქართული ფოლკლორისტიკა, „ლიტერ. ძიებანი“, III, გვ. 190—198; მისივე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, 1956, გვ. 189—193; მისივე, ვაჟა-ფშაველას ფოლკლორისტული შეხედულებანი, საიუზილო კრებული, „ვაჟა-ფშაველა“, 1961, გვ. 73—91; მისივე, ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 169; მისივე, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1956; ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I, 1960, გვ. 159—160; გ. ბარნოვი, ვაჟა-ფშაველა — ქართული ზეპირსიტყვიერების მკვლევარი, „ლიტერ. ძიებანი“, XII, გვ. 289.

49 ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, V, გვ. 437.

50 იქვე, გვ. 15, 18—21, 31, 33, 52, 71, 73—76, 88, 90, 94, 129—130, 141—144, 171—175, 195, 200, 253, 282, 284, 317, 326, 343, 349, 351, 433, 441, და სხვ.; ხალხ. სიტყვ. I, თაყაიშვილის რედ., გვ. 489—500.

კავშირებით, რომელიც ადრე 1886 წ. პოეტმა თვითონ გამოიყენა წყაროდ თავის პოემისათვის⁵¹, იგი ხაზს უსვამს საგმირო პოეზიის შემეცნებით ღირებულებას და ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე შემუშავებულ გმირის იდეალს⁵². ხალხურ პოეზიაში ასახული გმირის იდეალს პოეტმა, როგორც ცნობილია, მიუძღვნა საგანგებო წერილი: „გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით“. ამ ნარკვევში თანმიმდევრობით არის განხილული საგმირო აფორიზმები⁵³. გმირის იდეალის საკითხი აღძრულია აგრეთვე წერილებში: „ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით“ და „ძველი და ახალი ფშაელების პოეზია“. ამ წერილებში პოეტმა დააყენა აგრეთვე საგმირო პოეზიისა და ამ ჟანრის ცალკეულ ლექსთა წარმოშობის საკითხები. ნარკვევში „ფშაელები“ საგმირო პოეზია მიჩნეულია ძველი დროის, ე. ი. თემური წყობის პროდუქტად, რომელშიც „არის გამოხატული ვაჟკაცობა, გმირობა და ზნეობრივი სიმადლე“⁵⁴. ამის ნიმუშებად მოყვანილია ლექსები: „ხმალს ნუ ჩახედავ მოყმეო“, „რაად კარგია კაი ყმა“, „დამასტესა ვმკი ყანასა“, „ხოხობზედ“ და სხვ. ცოცხალი შემოქმედებითი პროცესის — მოვლენათა თუ პირთა პოეტიზაციისა და იდეალიზაციის თვალსაზრისით საგულისხმოა ამ ნარკვევიდან სიტყვები: „ხალხი მუდამ თვალყურს ადევნებდა გმირს, აკვირდებოდა, სწავლობდა იმის განსხვავებულს — ზნე-ხასიათს, ფანტაზიითაც უმატებდა გმირს თავის გემოვნებისამებრ ზნეობრივსა და ფიზიკურს თვისებას, რათა უფრო მოსაწონი გაეხადა იგი ყოველმხრივ“⁵⁵. ვაჟა ხშირად იძლევა ცალკე ლექსთა განწყობილებისა და მოტივების ახსნას. გავრცელებულ აფორიზმთან „როსტომ სთქვა: ჰკვა დიაცისა“ დაკავშირებით პოეტი ასახელებს ქალთა აუგად ხსენების სოციალურ ფაქტორებს⁵⁶. საგმირო პოეზიის ტრადიციის საკითხი ვაჟას ნარკვევებში განხილულია იმ ჟანრის ლექსების შემეცნებით ღირებულებასთან დაკავშირებით. ვაჟას ცნობით სახალხო დღეობებზე იხსენიებოდა ხალხის საყვარელი გმირი დავაურა, იქვე მღეროდნენ ისეთ ლექსებს, როგორცაა „ვინა სთქვა, ენამც გაუხნმო, ჩარგალში ცუდნი ყმანია“⁵⁷ და სხვ. საგმირო ლექსებს დიდი

51 ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ., II, 1961, გვ. 10—15.

52 ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ., V, გვ. 47.

53 იქვე, გვ. 73—76.

54 ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ., V, გვ. 17.

55 იქვე, გვ. 72.

56 იქვე, გვ. 75—76.

57 იქვე, გვ. 31—33.

შემეცნებითი ღირებულების გამო სერიოზული ფუნქცია აქვს და-
კისრებული პროტის ნარკვევებში. წერილში „რამე-რუმე მთისა“
ეროვნული ტკივილის მოსაშუშებლად ვაჟამ თანამემამულეთ მოა-
გონა ხევსურული საგმირო ლექსი „მაშინ კარგია კაი ყმა, რა დილა-
ბინდით დგებოდეს“⁵⁸.

საგმირო პოეზიის სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით ვა-
ჟას ნარკვევებში საგანგებოდ არის აღნიშნული ქალთა როლი საგ-
მირო პოეზიის შექმნა-განვითარებაში. საგმირო პოეზიის გენეზი-
სისა და ტრადიციის საკითხებზე მსჯელობისას ვაჟა ხაზს უსვამს
ქალის შთამავონებელ როლს საგმირო საქმეებში და იმას, რომ ქა-
ლები საგმირო ლექსებს უმღეროდნენ მტრის წინააღმდეგ ამხედ-
რებულს და შინ გამარჯვებით დაბრუნებულ ვაჟაკებს⁵⁹. პროტის
სიტყვებით „...ქალი თავის პიროვნებით წარმოადგენდა და წარმო-
ადგენს ზნეობრივ სანქციას“. მისივე თქმით „ვინც მტერს ებრძო-
და, ვაჟაკი ის იყო... ვინც არა და, იმას ქალი უკიჟინებდა“. ქალი-
საგან მხდალი ვაჟაკის გაკიცხვის ნიმუშად ვაჟას მოყავს ლექსი
„ვაჟავ, რას მეგულდიდები, რა სახელ მოგიტანია?“. ვაჟა სხვა შემ-
თხვევაშიც აღნიშნავს, რომ ქალები „მხდალს აძაგებდნენ ფერხულ-
ში ჩაბმულნი სათემო დღეობის დროს“ და მოყავს ამის დამადას-
ტურებელი ლექსი „ჩამარბის კოკლას გორსა თვალშუროხავ შენი
ქმარიო“. ვაჟა-ფშაველას მოყვანილი აქვს მრავალი ნიმუში ქალთა
პოეზიისა, მათ შორის მშვენიერი საგმირო ლექსები: „დამასტესა
ვმკი ყანასა“, „ქალმა სთქვა: ქმარსა გაყვები“, „რა ბევრი მიტირე-
ბია“ და მრ. სხვ.⁶⁰ ვაჟას ცნობებს საგმირო პოეზიის შექმნაში ქალ-
თა როლის შესახებ ადასტურებს დასასრული სტრიქონები მრავა-
ლი ლექსის, მათ შორის „წოვეთში გიგის ციხეო“, „რჯულიანსა და
ურჯულოს“ და სხვ.

მთლიანად ვაჟას ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ და სხვა ხასი-
ათის ნარკვევებში დასმული, განხილული და გადაწყვეტილია საგ-
მირო პოეზიის ბევრი საკითხი, რასაც პროტის ფოლკლორულ ჩა-
ნაწერებთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ზეპირ-
სიტყვიერების ისტორიისა და ისტორიოგრაფიისათვის.

ქართული ხალხური საგმირო პოეზიის შემკრებ-შემსწავლელ-
თა შორის თვალსაჩინო ადგილზეა ალექსანდრე ყაზბეგი. მწერლის
ფოლკლორულ საქმიანობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანი-

58 იქვე, გვ. 129.

59 ვაჟა-ფშაველა, თხზ., V, გვ. 75, 89, 90 და სხვ.

60 იქვე, გვ. 88—90.

შეგზავნა მისი ორიგინალური ცხოვრება, მშრომელ ხალხთან სიახლოვე, მწყემსობაში გატარებული რომანტიკით სავსე შვიდი წელი. ერთ თავის ავტობიოგრაფიულ წერილში ალექსანდრე ყაზბეგი მოგვითხრობს: „როდესაც კაცი ხალხში ცხოვრობს და ხალხის ცხოვრებაში ხედავს მოაზრებულს, გამოცდილებით შემუშავებულს, მაღალი ზნეობით სავსე ცხოვრებას და ჩვეულებას, მის წინაშე ქედი თავისთავად იხრება, მას ემორჩილება გრძნობა და გონება“⁶¹. ხალხის მაღალზნეობით სავსე ცხოვრების და ჩვეულების ამსახველი საგმირო ლექსები შეადგენს ნახევარზე მეტს ალ. ყაზბეგის მიერ შეკრებილი მოხეური ლექსებისა. მოხუცი მოხვევის დიმი. ლულუშაურის მოგონება გვაცნობს ალ. ყაზბეგის დიდ ენთუზიაზმს შემკრებლობით მუშაობაში. მწერალს საგანგებოდ მოუძებნია ხეცსურის მიერ მინიშნებული ფშაველი მეფანდურე და ჩაუწერია საგმირო ლექსები „ბეთლემის კარზე ჰკილია“, „სამი არ გაიწურთნება“ და „ჯარჯი“⁶². ეს უკანასკნელი მწერალმა მოხდენილად გამოიყენა „მოდღვარში“⁶³. ალ. ყაზბეგის მიერ შეკრებილი საგმირო ლექსები, რომელიც პირველად „ივერიასა“ და „თეატრის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა, შეტანილია აკ. შანიძის წიგნში „ხალხური პოეზია“⁶⁴. ალ. ყაზბეგის ჩანაწერებშია ცნობილი საგმირო აფორიზმები: „ვაჟკაცსა გული ჭკინისა“, „კარგი ყმა ხმალსა ჩასძახის“, „კარგი ყმა ლაშქრად მოკვდება“, „ვაჟკაცსა დილა აღრიან“ და სხვ. ალ. ყაზბეგის ჩანაწერებშია აგრეთვე სიუჟეტური საგმირო ლექსები „ველგუჯა ხუში-შვილი“, „ზენ ბაქალიგოს“, „ჯორო ხიზანას ცხვირ-თეთრო“ და სხვ. საგმირო ლექსები საკმაო რაოდენობით არის გამოყენებული ალ. ყაზბეგის მხატვრულ შემოქმედებაში. „მოდღვარში“ გამოყენებულია „გაგვიძელ, ბერო მინდიაგ“⁶⁵, „ვაჟკაცსა ცოლის სიავე“ და სხვ. საინტერესოა „მამის მკვლელში“ დატული სიმბოლიკით შეკრული სასიმღერო ტაეპი:

ვაი რა დიდი ბრალა,
შავარდენი ჰყავს ძერასა,
გაუფრინდება, წაუვა,
შორითლა უწყებს მზერასან.

61 ალ. ყაზბეგი, თხზ., V, 1950, გვ. 187.

62 დიმი. ბენაშვილის მასალებიდან.

63 ქს. სიხარულიძე, ქართული მწერლები და ხალხური შემოქმედება, I, გვ. 158—162.

64 შან., გვ. 319, 327, 369, 408; 455, 499, 500—501, 502, 504, 509, 556.

65 ალ. ყაზბეგი, თხზ., II, გვ. 496.

66 იქვე, გვ. 379.

აფორიზმები და სასიმღერო ტაქები აღრმავებენ ლ. ყაზბეგის ნაწარმოებთა სოციალურ შინაარსს, ამაღლებენ მის პატრიოტიზმს.

თუ რა პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ალ. ყაზბეგი ხალხურ ნაწარმოებთა ჩაწერასა და დაბეჭდვას, ეს ჩანს იმ შენიშენიდან, რაც მან დაწერა „ივერიაში“ მის მიერ შეკრებილი მოხეური ლექსების შესწორებით გადაბეჭდვის გამო⁶⁷.

უაღრესად სანდო ცნობებია ალ. ყაზბეგის პუბლიცისტურსა და მხატვრულ შემოქმედებაში მთიანეთში საგმირო პოეზიის ტრადიციასა და შესრულების წესებზე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გ. რადღეს წიგნის „ხევისურები და ხევისურეთი“ გამო დაწერილი სტატია „გაღაკარგული მხარე“. სტატიაში პოეტურად არის დახასიათებული ღამის თევა ხევისურულ დღეობაში, მეფანდურის როლი ამ დღეობაში და მის მიერ შესრულებული სახოტბო და სხვაგვარი საგმირო ლექსები⁶⁸. ფანდურზე საგმირო სიმღერის შესრულების ტრადიციას გვაცნობს მწერალი აგრეთვე წერილში „მოხევეები და იმათი ცხოვრება“⁶⁹.

საგმირო სიმღერის ქმედით ძალას გავგაცდევინებს მწერალი „მამის მკვლელში“ იმ დასამახსოვრებელი ადგილით, როგორცაა მშობლიური კუთხიდან გადახვეწილ ძმადნაფიცთა განწყობილების დახასიათება⁷⁰. ამავე თვალსაზრისით საინტერესოა საქორწილო ლხინის აღწერა „ხევისბერი გოჩაში“⁷¹.

ალ. ყაზბეგის მხატვრულ შემოქმედებაში საინტერესოა ცნობებია დაცული საგმირო სიმღერების სალაშქრო-პატრიოტულ დანიშნულებაზე. „ელგუჯას“ ერთი უძლიერესი ეპიზოდია ეროვნული თავისუფლების დასაცავად დარაზმულ მთიელთა კრების დახასიათება. კრებაზე საბრძოლო დროშების დამწყალობნებას წინ უძღვის საგმირო სიმღერა, რომლის ხასიათსა და შთამაგონებელ ძალას მომხიბვლელი ოსტატობით გვაცნობს მწერალი⁷². საგმირო სიმღერის სალაშქრო ფუნქციას გვაცნობს აგრეთვე ერთი ეპიზოდი „ხევისბერი გოჩადან“. ამ ნაწარმოების მიხედვით სოციალური ბორო-

67 ალ. ყაზბეგი, თხზ., V, გვ. 170—171.

68 იქვე, გვ. 67.

69 იქვე, გვ. 67.

70 ქს. სიხარულიძე, ქართული მწერლები და ხალხ. შემოქმედება, I, გვ. 170.

71 იქვე, გვ. 171.

72 ალ. ყაზბეგი, თხზ., I, გვ. 94; ქს. სიხარულიძე, ქართ. მწერლები და ხალხური შემოქმედება, გვ. 104.

ტების წინააღმდეგ ბრძოლის სამზადისს თან ახლდა რიტუალი, რის აუცილებელი ელემენტიც იყო საგმირო სიმღერა „გერგეტულა“⁷³. ალ. ყაზბეგის მხატვრულ შემოქმედებაში გამოყენებულია ისიც, რომ საგმირო სიმღერები თან ახლდა ბრძოლის გამარჯვებით დასასრულსაც⁷⁴.

ალ. ყაზბეგის მხატვრული შემოქმედება გვაცნობს, იმასაც, რომ საგმირო ლექსების შექმნა-განვითარებაში მნიშვნელოვანი იყო ქალთა როლი⁷⁵.

ალ. ყაზბეგის მიერ ჩაწერილი საგმირო ლექსები, ცნობები პოეზიის ამ ერთი წამყვანი ჟანრის ტრადიციასა, შესრულების წესებსა და საზოგადოებრივ ფუნქციაზე ამდიდრებენ ქართული ზეპირსიტყვიერების ისტორიოგრაფიას.

ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრებითა და შესწავლით ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის დიდი ეროვნული საქმიანობის მონაწილედ გვევლინება ცნობილი მკვლევარი ქართული ზნეჩვეულებისა და ხალხური პოეზიისა ნიკო ურბნელი. თავის ეთნოგრაფიულსა და ფოლკლორულ ნაწერებში იგი მგზნებარედ მიმართავდა თანამემამულეთ, დავიწყებისაგან გადაერჩინათ ხალხურა საუნჯე. ერთ თავის ნარკვევს მიძღვნილს საგმირო ეპოსისადმი ნიკო ურბნელი ასე ამთავრებს: „დროთა ბრუნვა და ჟამთა ვითარება თავის ბეჭედს სახალხო პოეზიასაც ასვამს, — ხალხი ნელ-ნელა ივიწყებს თავის ეპოსს, თავის გმირულს პოეზიას. დიდად საპიროა, რომ ჩვენმა ინტელიგენციამ ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას და მალე მოჰკიდოს ხელი სახალხო პოეზიის შეკრებას და შესწავლას“⁷⁶. ხალხის ცხოვრების ყოველმხრივ შესწავლის მიზნით ნიკო ურბნელი უშუალოდ თვითონ კრებდა და იკვლევდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. იგი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა საგმირო პოეზიას. ნარკვევში „ხევსურულ პოეზიაზედ“ ვკითხულობთ: „ხევსურული საჯავახო პოეზია საინტერესო იქნება ჩვენის მწიგნობრებისთვის და ამის გამო მე განვიძრახე ნიმუშად დავბეჭდო რამდენიმე ნაწარმოები ამ პოეზიისა. მასალა მზადა მაქვს...“⁷⁷ ჩანს ამ მასალის ერთი ნაწილია „ივერიაში“ გამოქვეყნებული ტექსტე-

73 ალ. ყაზბეგი, თხზ., II, გვ. 275; ქს. სიხარულიძე, ქართვ. მწერლები და ხალხური შემოქმედება, I, გვ. 167.

74 ალ. ყაზბეგი, მამის მკვლელი, თხზ., I, გვ. 305, კონსტანტინე ბატონიშვილი, თხზ., სრული კრებული, 1905 წ. გვ. 984; ელეონორა, თხზ., II, გვ. 341.

75 ალ. ყაზბეგი, მამის მკვლელი, თხზ., I, გვ. 305, 324 და სხვ.

76 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940, გვ. 112.

77 იქვე, გვ. 118.

ბი⁷⁸, ნ. ურბნელის ჩანაწერები, იმდენად სანდოა, რომ აკაკი შანიძემ იგი თავის წიგნში ძირითად ტექსტებად წარმოადგინა⁷⁹. მხოლოდ სამი ნიმუშია შეტანილი ვარიანტებში⁸⁰. ნიკო ურბნელის ჩანაწერებით შემოგვეჩვენა სახელები საგმირო პოეზიის ისეთ ოსტატ მთქმელთა, როგორცაა: ალუდა ზვიადაური⁸¹, ბადია ბადიაური⁸², მამისწვერა არაბული⁸³, ბათაკა არაბული⁸⁴, გიორგი არაბული⁸⁵, აფშინა გოგოთური⁸⁶ და სხვ.

ნიკო ურბნელის ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ ნაწერებში დასმულია საგმირო პოეზიის თეორიული საკითხები. იმდროინდელი ფოლკლორისტიკის განვითარების დონეზე საინტერესოდ არის გაშუქებული საგმირო ლექსების შესრულების, ტრადიციის, ისტორიული, შემეცნებითი და მხატვრული ღირებულების საკითხები. ნ. ურბნელის ფოლკლორული და ეთნოგრაფიული წერილების დიდი ნაწილი პოლემიკურია. ისინი ამკლავებენ მკვლევრის ნათელ აზროვნებას და უნარს ჭეშმარიტების ძიებისა. ვაჟა-ფშაველასადმი წერილში „კიდევ ლაშარობაზედ“⁸⁷, როგორც აღვნიშნეთ, გარკვეულია საგმირო პოეზიის სალაშქრო ფუნქციის საკითხი. როსტომის სახელთან დაკავშირებული საგმირო აფორიზმების გენეზისის საკითხებია წამოჭრილი წერილში „როსტომ გმირი“. ამ წერილის ერთ ნაკლად ჩაითვლება ის, რომ მკვლევარი არ განასხვავებს როსტომის პირთ ნათქვამ აფორიზმებში გენეტიკურად რომელია დაკავშირებული ეპიურ გმირთან და რომელი — არა⁸⁸. ზოგიერთი აფორიზმის („ვაჟაკსა გული რეინისა“, „ჩავრო, არ მოგცემ ნებასა“) შემეცნებითი ღირებულებისა და სოციალური შინაარსის საკითხებია წამოჭრილი ნარკვევში „ისტორიული კვალი სახალხო პოეზიისა“⁸⁹. წერილში „ხევსურულ პოეზიაზედ“ ნ. ურბნელს გამოთქმული აქვს მცდარი მოსაზრება, თითქოს ხევსურულ

78 „ივ.“, № 264, 1837, № № 27, 32, 41, 43, 44, 47, 78, 79, 80, 1888, ივ. № 99, 1889, № 90, 1831.

79 შ ა ნ. № 102—103, 105, 128, 155, 163, 174, 178, 179, 185, 196, 199, 268.

80 იქვე, გვ. 431, 433, 440.

81 იქვე, № 108, 128, 185 და გვ. 358.

82 იქვე, № № 40, 51, 52, 102, 103, 105, 178, 179, 199, და გვ. 431.

83 იქვე, № № 101, 174, და გვ. 412.

84 იქვე, № № 163, 182, და გვ. 343, 348.

85 იქვე, № № 7, 8, 20, 28, 54, და გვ. 433—434.

86 იქვე, № 268, და გვ. 441.

87 დ. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 102—104.

88 იქვე, გვ. 109—111.

89 იქვე, გვ. 129.

საგმირო პოეზიას არ ჰქონდეს ისტორიული ღირებულება⁹⁰. ამგვარი მოსაზრება ხევესურულ საგმირო პოეზიაზე საერთოდ არ არის დამახასიათებელი ნ. ურბნელისთვის. მკვლევარი ხევესურული საგმირო პოეზიის ისტორიულ ღირებულებას ემყარება ნარკვევებში „კიდევ ლაშარობაზე“, „ზეზვა და ბახტრიონის ციხე“ და „ისტორიული კვალი სახალხო პოეზიისა“. საერთოდ ნ. ურბნელის ფოლკლორისტული მუშაობა უდავოდ დასაფასებელია. იგი ფოლკლორულ-შემკრებლობით და კვლევით მუშაობას ეწეოდა მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდები იყვნენ ისეთი მოამაგენი ქართული ხალხური სიტყვიერებისა, როგორც იყვნენ ალ. ხანანაშვილი, დავით ხიზანაშვილი და სხვ. თავისი პუბლიკაციით თუ წერილებით ნ. ურბნელი შთააგონებდა მათ ეროვნული კულტურის დაცვისა და შესწავლის დიდ საქმეში.

„მადლობის ღირსია ბ-ნი დ. ხიზანაშვილი ფშაური ლექსების შეკრებისათვის. უფრო პატივსაცემია ავტორი იმ მიზნისათვის, რომელსაც ყველა აშკვარი შრომა ემორჩილება“. წერდა ვაჟა-ფშაველა ხალხური პოეზიის მშვენიერი კრებულის გამოცემის გამო „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში“⁹¹. 1887 წელს „ივერიის“ რედაქციის გამოცემული კრებული შესანიშნავი ფშაური ლექსებისა, შედგენილი დავით ხიზანაშვილის მიერ, რასაც მიეძღვნა დიდი პოეტის ეს სიტყვები, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მეცხრამეტე საუკუნის ქართული კულტურის ისტორიაში. ეთნოგრაფიული პრინციპით შედგენილი კრებული მაღალმხატვრული ლექსებისა მრავალფეროვნად წარმოგვიდგენს საქართველოს ერთი ყველაზე მეტად პოეტური კუთხის მდიდარ რეპერტუარს. კრებულში ორასათი სხვადასხვა ყანრის პოეტური ნიმუშია, აქედან საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა გარდა სამოცდათორმეტი საკუთრივ საგმირო ლექსია. ესენია: „ახადს გოდერძის ციხეო“, „წოვეთში გიგის ციხეო“, „შვიდ ძმათა, მერვე ბიძასა“, „ვინა ხარ გულჭირიანი“. „ჩამორბის აიმ მთაზედა“, „შატილში ხობობ გადილდა“, „ავად არს ღაჭურაი“, „დამასტესა ვმკი ყანასა“, „განა ლალი ვარ, რომა ვმღერ?“ და სხვა შედეკრები ხალხური პოეზიისა. წიგნში შეტანილ ზოგ ტექსტს, მათ შორის საგმიროსაც, თან ახლავს კუთხური გამოთქმების, გეოგრაფიულ სახელწოდებათა და სხვა ხასიათის განმარტებანი⁹². წიგნში მასალები

90 იქვე, გვ. 113—118.

91 ვაჟა-ფშაველა, თხზ., V, გვ. 47.

92 ფშ. ლექს, გვ. 6, 24, 28, 33, 41, 154, 155, 156, 157, 164, 196, 197, 199, 209, 244 და სხვ.

ერთი პრინციპით არ არის დალაგებული. ერთი და იმავე ქანრის ტექსტები არათანამიმდევრულად არის წარმოდგენილი წიგნში.

საგმირო ლექსების შინაარსის, შემეცნებითი და მხატვრული ღირებულების საკითხებს შეეხო ალ. ხახანაშვილი კაპიტალურ ნაშრომში „Очерки по истории грузинской словесности“⁹³. არსებობს ამ წიგნის ქართული ვარიანტი სახელწოდებით „ქართული სიტყვიერების ისტორია“⁹⁴. წიგნში სათაურით „გმირული ლექსები“ ერთ განყოფილებაშია წარმოდგენილი ეპოსი (საგმირო და რომანტიული), საისტორიო და საგმირო ლექსები⁹⁵. ერთ განყოფილებაში წარმოდგენა სამი სხვადასხვა პოეტური ქანრისა შედეგია ამ ქანრთა ნაწარმოებების შინაარსთა (რომანტიული ეპოსის გამოკლებით) საგმირო ხასიათისა. ეპიური ციკლის შერეული ფორმის თქმულებები (ამირანიანი, ეთერიანი, როსტომიანი) მკვლევრის აზრით წარმოშობით ლექსებია, ოღონდ პროზა შედეგია „ლექსით მოთხრობის დაეწყებისა“⁹⁶. ზეპირსიტყვიერების ამ სამი სხვადასხვა უბნის ქანრობრივი სხვაობის გაუთვალისწინებლობის გამო საგმირო ლექსების რამდენიმე ნიმუში („ყმაწვილის გული ლალია“, „მთიულ ვარ, მთურად ნაჩვევი“, „ლომო, შენ ლომის მოკლულა“, „სად მიხვალ, წყარო მდინარო“) ლირიკის განყოფილებაშია განხილული⁹⁷.

ხალხური პოეზიის სხვა ქანრის ნიმუშებთან ერთად საგმირო ლექსები შეკრიბეს — თუშეთში — ივ. ბუქურაულმა⁹⁸, ფშავში — გრ. აფშინაშვილმა, კახეთში — ზ. ბილანიშვილმა⁹⁹, მესხეთში — ვინმე მესხმა (გვარამაძე)¹⁰⁰, რაჭაში — აფრ. ჯაფარიძემ¹⁰¹, იმერეთში — სევ. გაჩეჩილაძემ¹⁰² და სხვ. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ შეკრებილი მასალების რედაქტირებასა და გამოცემაში მნიშვნელოვანია როლი ექვთიმე თაყაიშვილისა. შემკრებთა შორის უნდა დაეასახელოთ აგრეთვე ნინო და ნიკო ასათიანები, მელ. კელენჯერიძე, ან. კაპანაძე, მირაქიშვილი

⁹³ А. Х а х а н а ш в и л и, Очерки по истории грузинской словесности, I, 1895.

⁹⁴ ქართული სიტყვიერების ისტორია, I, 1904.

⁹⁵ იქვე, გვ. 12—52.

⁹⁶ იქვე, გვ. 12—13.

⁹⁷ იქვე, გვ. 61—62.

⁹⁸ თაყ. I, გვ. 49—111.

⁹⁹ იქვე, გვ. 113, 130—131.

¹⁰⁰ იქვე, გვ. 428.

¹⁰¹ იქვე, გვ. 161—162.

¹⁰² იქვე, გვ. 4, 5.

და სხვები, რომელთა ჩანაწერებში საგმირო ლექსებიც არის წარმოდგენილი.

ხალხური შემოქმედების შეკრების, პუბლიკაციისა და შესწავლის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებიდან. ყოველწლიურად ეწყობა სამეცნიერო ექსპედიციები და მივლინებები საქართველოს რაიონებში. ქართველმა ფოლკლორისტებმა, ენათმეცნიერებმა, ეთნოგრაფებმა, მუსიკათმცოდნეებმა და სხვა დარგის მუშაკებმა შეკრიბეს და გამოაქვეყნეს მდიდარი მასალა ხალხური პოეზიისა. ამ მასალებში საგმირო ლექსებიც არის. საგმირო ლექსები არის აგრეთვე იმ მასალებში, რომელიც ფოლკლორულ-შემკრებლობითი ლაშქრობის შედეგად შეკრიბეს და გამოაქვეყნეს გაზეთების „კომუნისტის“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, „სოფლის ცხოვრების“ და „კოლექტივიზაციი“-ს რედაქციებმა.

ათიოდე საკუთარი ჩანაწერი საგმირო ლექსებისა შეტანილია ექიმ გიორგი თედორაძის ეთნოგრაფიულ ნარკვევებში „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“¹⁰³. მათ შორის ვარიანტებად არის კლასიკური ბალადა „მოყმე და ვეფხვი“. საინტერესოა, რომ გიორგი თედორაძის წიგნში ავტორისა თუ ხალხის განმარტებით ერთ ამბავზე შექმნილად არის მიჩნეული მსგავს სიუჟეტიანი ლექსები ტყვე ქალის მხსნელ ფშაველ გმირზე და „შატილს გადიდდა ხოხობი“. ეს მოსაზრება ანგარიშგასაწევია მიუხედავად იმისა, რომ პირველი ლექსის ადრესატი ფშაველი გიგლია თუ ხიბლაი ლექებისაგან ანთავისუფლებს ტყვე ქალს¹⁰⁴, მაშინ როდესაც „შატილს გადიდდა ხოხობის“ ყველა ვარიანტით ქისტებია ქალის გამტაცებლები.

ქართული ხალხური საგმირო ლექსების შეკრების, პუბლიკაციისა და შესწავლის საქმეს დაუფასებელი ამაგი დასდო გამოჩენილმა მეცნიერმა აკაკი შანიძემ. მის ფუნდამენტურ წიგნში „ქართული ხალხური პოეზია“ დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი საგმირო ლექსები. წიგნის ძირითადი ნაწილი ხევსურული პოეზიაა. შენიშვნებსა და ვარიანტებში ხევსურულთან ერთად წარმოდგენილია ფშაური, თუშური, მოხეური, მთიულური, გუდამაყური, ქართლური, კახური, იმერული, მესხური ლექსები.

აკაკი შანიძის შემკრებლობით მუშაობას რომ ვაფასებთ, არ

103 ექ. გიორგი თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, 1930, გვ. 69—78, 165, 166, 195, 198, 199.

104 ფშ., ლექს., გვ. 68—70.

უნდა შემოვიფარგლოთ უშუალოდ მის მიერ ჩაწერილი ტექსტებით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეცნიერმა დარაზმა შემკრებთა პლეადა, გამოავლინა მოლექსეები, რომელთა შორის ზოგი თვითონვე ახდენდა საკუთარი და სხვა მოლექსეთა რეპერტუარის ფიქსაციას. ასეთებია: ბესარიონ და სიმონ გაბურები, ალექსი ოჩიაური და სხვ.¹⁰⁵

სავესებით განსაკუთრებულია ვახტანგ კოტეტიშვილის ამაგი ქართული ხალხური შემოქმედების შეკრება-შესწავლის საქმეში. მან პირველმა დააფუძნა ქართული ხალხური სიტყვიერების კურსი მშობლიურ უნივერსიტეტში. მანვე თავისი უშუალო ხელმძღვანელობით პირველმა ჩააბა სტუდენტთა ფართო წრე სამეცნიერო-ფოლკლორულ ექსპედიციებში და ქართველ ახალგაზრდობას შეაყვარა საველე მუშაობა, მანვე ჩაუყარა საფუძველი რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ამჟამად უკვე მეტად მდიდარ ფოლკლორულ არქივს. უშუალოდ მის და მისი ხელმძღვანელობით ექსპედიციების მიერ შეკრებილ ფოლკლორულ მასალებში დიდი რაოდენობით არის საგმირო ლექსები, რომელიც მან არქივებში თუ ძველ გამოცემებში ამოკრეფილ მასალებთან ერთად შეიტანა თავის წიგნში „ხალხური პოეზია“.

ფაქიზი გემოვნებით შედგენილ ამ წიგნში, რომელიც ხალხური პოეზიის ოთხასზე მეტ ნიმუშს შეიცავს, 90 საგმირო ლექსია, მათ შორის „ლომო, შე ლომის მოკლულო“, „კაი ყმა“, „შემომეყარა ყვიჩალი“, „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“, „გიგა და გიორგი“, „შატილს გადიდდა ხობობი“, „შვიდ ძმათა“ და მრ. სხვ.

მასალათა ღრმა ცოდნით, მდიდარი ერუდიციით, ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროთა და შედარებითი მასალების მოხდენილი გამოყენებით არის დაწერილი ექსკურსები, რაც ვ. კოტეტიშვილის წიგნის მეორე ნაწილს წარმოადგენს. ექსკურსებში სხვა ჟანრის მასალებთან ერთად გარკვეულია ცალკეულ საგმირო ლექსთა რეალური საფუძველი, წარმოშობა, შექმნის დრო, ხასიათი, ტრადიცია და შესრულების წესები, ნაჩვენებია ამ ლექსების მსოფლიო ანალოგიები და პარალელები.

ხალხური მომღერლების საკითხთან დაკავშირებით ვ. კოტეტიშვილი აღნიშნავს ქართველ ქალთა როლს საგმირო სიმღერათა შესრულებაში და მიუთითებს მსგავს ტრადიციაზე ეგვიპტეში¹⁰⁶.

105 ქს. სიხარულიძე, აკაკი შანიძის ფოლკლორისტული ძიებანი, „ორიონი“ — აკაკი შანიძის, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1967, გვ. 65—76.

106 კოტეტიშვილი, გვ. 277.

ვ. კოტეტიშვილს აღწერილი აქვს საგმირო აფორიზმის „რად გინდა ქალი ლამაზი“ გუნდური შესრულება. იქვე აღნიშნულია სიმღერის კავშირი ცეკვასთან და მისი ძლიერი ტრადიცია ქართლ-კახეთში¹⁰⁷. ვარიანტებისა და ხალხური და მწიგნობრული ენის შედარების თვალსაზრისით საინტერესოა ვ. კოტეტიშვილის დაკვირვება სახობტო--საგმირო ლექსზე „ქება“¹⁰⁸. მზის ამოსვლის მითოსს ხედავს მკვლევარი მშვენიერ ლექსში „ქალი ხვარამზე“. ამ თვალსაზრისის დასამტკიცებლად მითითებულია ანალოგიებსა და პარალელებზე მსოფლიო ფოლკლორში. ხვარამზე მკვლევრის აზრით ენათესავება მზის ქალების პასიაფია-არიადნა-აფროდიტეს. ხვარამზის მსგავსად მიჩნეულია ინდური ლაკშმი, გერმანული ფრეა, გოლდან ლადა, სლავური „ზარნიცა“ — და სხვ. „მამის ლურჯა-შიც“ მკვლევარი მზის ატრიბუტს ხედავს¹⁰⁹.

საგულისხმოა და დამაფიქრებელი ექსკურსი ლექსისა „ეტყობა გადანავალი“. ლექსი, ვ. კოტეტიშვილის აზრით, უძველესი თქმულების ფრაგმენტია. ლექსში მოხსენებული წმინდა მარიამი მკვლევრის აზრით შემდეგ შეენაცვლა ნაყოფიერების წარმართულ ქალღმერთს, როგორცაა ხეთური მა, ბერძნული რეა, ინდური მაია და ა. შ. ამავე ციკლის საწესო-საფერხულო სიმღერად მიაჩნია მას ოსური სიმღერა „მადა-მაირანი“¹¹⁰.

დამაჯერებელია დათარიღება ბალადისა „შემომეყარა ყივიჩალი“, იგი XIII—XIV საუკუნეზე გვიანი წარმოშობის არ უნდა იყოს¹¹¹.

ექსკურსებში ყურადღებას იქცევს, ეპიტაფიური ხასიათის ლექსის „ნეფის მონადირე ვიყავ“ შედარება ეგვიპტური ნომარქოს ამენემხეთის საფლავის წარწერასთან¹¹².

ბალადაში „გიგა და გიორგი“ მკვლევარი განსაკუთრებით საგულისხმოდ მიიჩნევს უძველეს რწმენას საიქიოს ცხოვრებაზე და ამასთან დაკავშირებულ საფლავზე მტრის დაკვლას წესს. ამ შემთხვევაშიც გამოყენებულია შედარებითი მასალები მსოფლიოს ხალხთა ეთნოგრაფიიდან¹¹³. დამაჯერებლად არის დადგენილი რეალური საფუძვლები ლექსების „გამაგრდით არხოტიონნო“ და „შატილს“.

107 იქვე, გვ. 322.

108 იქვე.

109 იქვე, გვ. 327—329.

110 იქვე, გვ. 334.

111 იქვე, გვ. 335.

112 იქვე, გვ. 334.

113 იქვე, გვ. 341—342.

მოვიდა ხოხობი¹¹⁴. აღნიშნულია უკანასკნელის ძლიერი ტრადი-
ცია აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და ბარში¹¹⁵.

ვ. კოტეტიშვილი საყვედურს გამოთქვამს იაკობ გოგებაშვი-
ლის მიმართ, რომელმაც „ხოგაის მინდის“ დასაწყისი შეასწორა და
დაუყარა ლექსს ვაჟა-ფშაველას პოემასთან გენეტიკური კავშირის
ევალი¹¹⁶. „ხოგაის მინდის“ მითოლოგიური მსოფლმხედველობის
დასადასტურებლად მოყვანილია შედარებითი მასალები მსოფლიო
ფოლკლორიდან¹¹⁷.

რამდენიმე ლექსთან („თუშის ცხენი“, „ჯურხა ცხენს ეტყვის“,
„ცხენი და პატრონი“, „ჩავალის ჩაეუბნების“) დაკავშირებით ექს-
კურსებში გაშუქებულია საქართველოში ცხენის კულტის საკით-
ხი¹¹⁸.

მოხეური თქმულების საფუძველზე გონებამახვილურად არის
ნაჩვენები არქაულობა აფორიზმისა „ვაეიკაცო გულოვანო“¹¹⁹.

მთლიანად ვ. კოტეტიშვილის წიგნი — „ხალხური პოეზია“
მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ ფოლკლორისტიკაში, როგორც
ტექსტების გამოქვეყნებით, ისევე — ექსკურსების ღრმა შინაარ-
სით. სხვა ჟანრის პოეზიის პრობლემებთან ერთად წიგნში მაღალ
მეცნიერულ დონეზეა დასმული და გადაჭრილი საგმირო პოეზიის
ბევრი კარდინალური საკითხი.

საგმირო ლექსების ჩაწერა-გამოქვეყნებაში, ისტორიული ფო-
ნისა და ხასიათის გარკვევაში მცირე არ არის დამსახურება სერგი
მაკალათიასი. მისი ეთნოგრაფიული ნარკვევები შეიცავენ საგმირო
ლექსებს და ცნობებს საქართველოს მთიანეთში ამ ჟანრის პოეზი-
ის ტრადიციაზე¹²⁰. ს. მაკალათიამ გამოაქვეყნა თუშური ლექსების
კრებული, რომელიც საგმირო პოეზიის ნიმუშებსაც შეიცავს¹²¹.
საკმაო რაოდენობით შეიცავს საგმირო პოეზიის ნიმუშებს ალ. გო-
მიაშვილის მიერ შედგენილი მოხეური ლექსების კრებული¹²².

114 იქვე, გვ. 343—344.

115 იქვე, გვ. 344.

116 იქვე, გვ. 345.

117 იქვე, გვ. 345—346.

118 იქვე, გვ. 346—348.

119 იქვე, გვ. 378.

120 მ ა კ., რაქ., 1930, გვ. 26, 28; მ ა კ., ხევ., 258, 269, 270, 271—281, მ ა კ.,
ჯავ., 118.

121 მ ა კ. თუშ.

122 ა ლ. ვ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი, მოხეური ლექსები, 1939.

ფშავ-ხევსურეთის პოეზიის ნიმუშები შეკრიბა და გამოაქვეყნა ივანე ხორნაულმა¹²³. ივ. ხორნაულის წიგნებში დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი სხვადასხვა ხასიათის საგმირო ლექსები — აფორიზმები და სიუჟეტური ლექსები.

გიორგი ნათაძის მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში — ქართლში, კახეთში, ქსნის ხეობაში, ფშავში, ხევსურეთში, თუშეთში, ხევსა და გუდამაყარში შეკრებილი კოლექცია ხალხური შემოქმედებისა ცალკე წიგნად არის გამოცემული სოლ. ხუციშვილის რედაქციით¹²⁴. კრებულში ოცდაათხი საგმირო პოეზიის ნიმუშია. აქედან ათი („მალღაით მოვლენ ღრუბელნი“, „მატილს მოვიდა ხოხობი“, „ფშაველის და ვეფხვის ბრძოლა“ და სხვ.) საგმირო-საგაყკაცო ლექსების განყოფილებაშია. თოთხნეტი ტექსტი („ღვინო კი მათრობელა სჯობს“, „ხევსურო, ხმალი გალაღებს“ „შაუპატიუეთ კას ყმასა“ და სხვ.) შეტანილია განყოფილებაში „სხვადასხვანი“. საგმირო ლექსებს შეიცავს ს. ებრაღიძისა და შ. ლლონტის შედგენილი „ქიზიყის პოეტური ფოლკლორი“¹²⁵

საგმირო ლექსების მიმოხილვას მიუძღვნა თავისი წიგნის „მიჯაჭვეული ამირანის“ შესავალი, სათაურით „გმირის იდეალი“, მის. ჩიქოვანმა. მკვლევარს გაანალიზებული აქვს საგაყკაცო კოლექსის გამომხატველი აფორიზმები „ვაყკაცა გული რკინისა“, „კაი ყმა ლაშქარს-მოკედების“, „ღვინო კი მათრობელი სჯობს“, „კაი ყმა, მგელი, არწივი“ და სხვ.¹²⁶ სიუჟეტური საგმირო ლექსების აღრესატებს მკვლევარი უწოდებს ტომობრივ გმირებს. ასეთად მიაჩნია მას ბალადის „გიგა და გიორგის“ აღრესატები, მაშინ როდესაც ამირანი მიჩნეულია ეროვნულ გმირად¹²⁷.

საგმირო ლექსები დიდი რაოდენობით არის შეტანილი ელენე ვირსალაძის წიგნში „ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება“. ას-ხუთი ნიმუში მთიულეთსა და გუდამაყარში ჩაწერილი საგმირო ლექსებისა წარმოადგენს კრებულის პირველ განყოფილებას¹²⁸. შენიშვნებში მითითებულია ამ ლექსების დაბეჭდილ და ხელნაწერ ვა-

123 ივ. ხორნაული, ფშაური მილექსებანი, 1940; მისივე, ფშავ-ხევსურეთი პოეზია, 1949.

124 ნ ა თ.

125 ქიზიყ.

126 მ ი ხ. ჩიქოვანი, მიჯაჭვეული ამირანი, 1947, გვ. 3—6; მისივე, ქართული ეპოსი, 1959, გვ. 21—29.

127 მ ი ხ. ჩიქოვანი, მიჯაჭვეული ამირანი, გვ. 2—3; მისივე, ქართული ეპოსი, გვ. 8.

128 ვირსალ. გვ. 111—150.

რიანტებზე¹²⁹. გამოკვლევაში მკვლევარი საგანგებო მონაკვეთს უთმობს საგმირო ლექსების დახასიათებას, მის ტრადიციასა და შესრულების წესებს. არკვევს ცალკე ლექსთა რეალურ საფუძველსა და ისტორიულ ფონს. საგმირო და სამგლოვიარო პოეზიის გენეტიკური კავშირის თვალსაზრისით საგულისხმოა ავტორის დაკვირვებანი მკვდრის ლექსებზე ანუ ანდერძებზე. საგმირო ხალხურ ბალადას მწერალმა გიორგი შატბერაშვილმა მიუძღვნა საინტერესო ნარკვევი „ბალადა ქართველი მოყმისა და ყიფჩაღისა“¹³⁰.

ქართული ხალხური შემოქმედების ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი მოვლენაა გრიგოლ ჩხიკვაძის მონუმენტური წიგნი „ქართული ხალხური სიმღერა“. იგი სხვა ქანრის მასალებთან ერთად დიდი რაოდენობით შეიცავს ნოტებზე გადატანილ ხეცსურულ, თუშურ, ფშაურ, მოხეურ, მთიულურ, ქართლურ, კახურ და მესხურ საგმირო სიმღერებს¹³¹. დიდი ნაწილი ამ ტექსტებისა საგმირო აფორიზმებია.

ზუსტად ჩაწერილი საინტერესო ნიმუშები საგმირო ლექსებისა საისტორიოსთან ერთად საკმაო რაოდენობით არის ალექსი ჭინკარაულის წიგნში „ხეცსურულის თავისებურებანი“¹³². ასევე საისტორიო ლექსებთან ერთად ცალკე განყოფილებად არის წარმოდგენილი საგმირო ლექსები კოტე ჭრელაშვილის მიერ შედგენილ თუშური პოეზიის კრებულში¹³³. ოცამდე კარგად შერჩეული საგმირო ლექსი შეტანილია ალექსანდრე ღლონტის მიერ შედგენილ ხალხური ლექსების კრებულში¹³⁴.

რამდენიმე საკუთრივ საგმირო ლექსი დაბეჭდილია ქს. სიხარულიძის მიერ შედგენილ კრებულში „ქართველი სახალხო გმირები“¹³⁵. ამავე წიგნის წინასიტყვაობაში მოცემულია ამ ლექსების მიმოხილვა¹³⁶. საგმირო ლექსების ცალკე საკითხები (ქანრის განსაზღვრა, შესრულება და საზოგადოებრივი დანიშნულება, ძირითადი სიუჟეტები და სახეები, პოეტიკის საკითხები) განხილულია ქს. სიხარულიძის ნარკვევების კრებულში¹³⁷.

129 იქვე, გვ. 438—267.

130 გიორგი შატბერაშვილი, ნაფიქრო, 1959, გვ. 35—88.

131 გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, 1, 1960, გვ. 5, 14, 19, 32, 35, 57, 62, 64, 70, 80, 111, 131, 140, 173, 177, 181, 203, 205 და სხვ.

132 კიკ. გვ. 343—416.

133 ჭრელ., გვ. 18—80.

134 ლ., ლექს., 1962, გვ. 12—19.

135 სახ. გმ., გვ. 114—127.

136 იქვე, გვ. 18—21.

137 ნარკ., გვ. 196—232.

შერჩეული საგმირო პოეზიის ნიმუშებია შეტანილი უმაღლესი სკოლებისათვის განკუთვნილ ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომათიაში¹³⁸. წიგნში მოცემულია საგმირო ლექსების მოკლე განმარტება¹³⁹.

ქს. სიხარულიძის წინასიტყვაობით გამოცემულია აგრეთვე მისივე შედგენილი საგმირო აფორიზმების კრებული¹⁴⁰. საგმირო პოეზიის საკითხებს ქს. სიხარულიძემ მიუძღვნა მონოგრაფია¹⁴¹. საგმირო ბალადას „გიგა და გიორგი“ საინტერესო ნარკვევი მიუძღვნა ნოდარ შამანაძემ¹⁴².

საგმირო ლექსების ნიმუშები, სხვა ჟანრის მასალებთან ერთად შეყრიბა და გამოაქვეყნა ალექსი ოჩიაურმა¹⁴³. იგი ამ სამამულლო საქმეში. როგორც თითონ აღნიშნავს, შთაუგონებია ხალხური შემოქმედების დიდ მოამაგეს აკაკი შანიძეს¹⁴⁴. ალ. ოჩიაურს მოცემული აქვს საინტერესო ცნობები მოლექსეებზე და პოეზიის ტრადიციანზე ხევისურეთში¹⁴⁵. ალ. ოჩიაურის შეკრებილი მასალების ღირებულებას ისიც ზრდის, რომ იგი ხევისურეთის მკვიდრი იყო და ფშავშიც ხანგრძლივად ცხოვრობდა. საგმირო ლექსების ისტორიოგრაფია განუყოფელი ნაწილია ქართული ხალხური სიტყვიერების შეკრება-შესწავლის ისტორიისა.

ქს. სიხარულიძე

138 ქრესტ. გვ. 204—220.

139 იქვე, გვ. 204—205.

140 ქართული ხალხური საგმირო აფორიზმები, „კაი ყმა“, 1963.

141 ქს. სიხარულიძე. ქართული ხალხური საგმირო პოეზიის საკითხები, გამოც. „განათლება“, 1970.

142 ნ. შამანაძე, ერთი ქართული ხალხური ბალადა, ქართული ფოლკლორი, I—II, თბილისი. 1964, გვ. 169—192.

143 ფშავ-ხევისურული პოეზია, შეკრებილი ალ. ოჩიაურის მიერ. გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970. შემდეგში შემოკლებით ოპ.

144 იქვე, გვ. 6.

145 იქვე, გვ. 5.



ნაწილი პირველი
ტექსტები





ბრძოლა მომხდურებთან

1. ჩაგვიძელ, ბერო მინდიავ

- ჩაგვიძელ, ბერო მინდიავ,
 მუხლი მაიბი მგლისაო,
 თან ჩაგვიყოლე სწორები,
 ვისაც თავი აქვს ცდისაო.
- 5 შიში არ არის მტრისაგან,
 ლოცვაა სამეებისაო,
 ნუ ეხუმრებით მინდიას,
 მთების არწივის შვილსაო.
- 10 კაცია — გულად მამაცი,
 ქვასაც კი ხელით სთლისაო.
 გულად მამაცსა ვაუკაცსა
 ვერვინ დასწამებს ცილსაო,
 მტერს დაუხვდება მამაცად,
 გულს მისცემს ამხანაგსაო.
- 15 ჩაგვიძელ! ჩავყვეთ ყველანი
 ასეთ გულითად მგზავრსაო.

2. ხოგაის მინდი

- არხოტით მზირი გავიდა,
 წყრომით გამახყვა ჯვარია,
 ხოგაის მინდი გამახყვა,
 გააბერტყინა ნამია.
- 5 ჯერ ჩაავლივნა ჭალანი,
 მემრ თვირთვილიან მთანია.
 ერთ იყო ხოგაის მინდი,
 ოთხნი ეტანნეს სხვანია.
- 10 პირიქით გადავიდიან,
 მითხოს მავლეს თვალია.
 სოფლადაც ჩასვლა ეწადის,
 ძმობილ ხყავ ფიც-ნაჰამია.
- ხოგაის მინდის დასცილდეს
 თერეთერლოსკე გზანია.
- 15 ჩვენ თერეთერლო გვეგონა,
 შიგ აღდისძეი ჯარია.
 ეს მიზუც აკლებულია,
 შიგ ალაჩაის ქალია.
 ქავჩიით გამავიტანათ
- 20 ქემხით ნაკერი ტყავია;
 შავყარნათ სიმაგრეჩია
 გადმოფიკეტათ კარია,
 თავად აწვაში გავარდა:
 „აქ მოგვიჭირეთ მკარია.
- 25 მინდი ჩავიგდეთ ქელადა,
 თუ ვის გაკიდავთ ვალია“.
 წინ-წინ ბაზდელით მოიდეს

- სულხან, ბათაკა ძმანია.
 ბათაკაისა ლურჯამა
 30 მალლა მაილა თავია.
 — „მინდი მაჩვენეთ თვალითა,
 ბევრი მიკიდავ ვალია“.
 გათენებისას აივსო
 მიზუს ქავ-ციხის კარია.
- 35 მინდი თავის ძმას ეტყოდა:
 „ძმავ, რად გატეხით ხარია?
 ნიკოსთან, ნიკურასთანა
 ჩვენც დაგვეთმობის თავია“.
 კვირიკამ ნანახსძემა
- 40 ციხეში ბანდნა ჭლანნია.
 ძარღარით ვადმაუფრინდა,
 ვეფხვმა დაბია ჭარია.
 — წეე, წაილი ამბავი,
 მინდის რა ადგა დარია.
- 45 მინდის ნუ მახკლავთ
 ქისტებო,
 კელში მიეციოთ კმალია.
 კმალ თუ იკმარას მინდიმა,
 შინავ გაუშვით კარია.
 თორმეტი მოკლა მინდიმა,
 50 დადგა, ჩააგო კმალია.
 არ დაიჯერეს ძაღლებმა,
 დაბაკად დადგეს მკვდარია.
 მზე წითღებისა, წყრებისა,
 ხოგაის მინდი კვდებისა.
- 55 ცაზედ მდინარი ფრინველი
 თბე-ბოლოთ იხოშებისა.
 ჩამოდის წვრილი მასკვლავი,
 მთვარე უკულმა ცხრებისა.

3. ხოგაის მინდი

- ხოგაის მინდი კვდებოდა,
 მზე წითლდებოდა,
 ცხრებოდა.
 ცა ქეხდა, მიწა გრგვინავდა,
 სული გვიანა ჰხდებოდა,
- 5 ჩამოდოდა მასკვლავი,
 მთვარეც უკულმა დგებოდა,
 ქორ-შავარდენი, არწივი
 სუ მხრებით იხოშებოდა.
 მალლის კიუხის ნადირი
- 10 სატირლად ემზადებოდა,
 ცხენი იმისი ტიალი
 ლურჯა ტოტზედა დგებოდა,
 ცოლი იმისი ბეჩავი
 სულ შავად იმოსებოდა,
 15 დედის იმისას საბრალოს
 ტირილს აღარა ჰხდებოდა,
 მამა იმისი საბრალო
 თმა-წვეკრით იხოშებოდა.

4. ალუდაშრი

- ღმერთო, რა დიდი ბრალია
 სიკვდილი კაის უმისაო
 ჭიმლას დაიქცა ქვითკარი,
 კუთხი გამასქდა ქვისაო:
- 5 მინდიამ შეღმაიშვილმა
 შუქი ჩაკრიფა მზისაო.
 მზემა გაიგა, იწყინა,
- მასკვლავი ჩამადისაო,
 მთვარემა ხუთმეტისამა
 10 შავი შაიცვა პირსაო.
 იწრო ჭალაი შეუქრავ
 გომტიკაურთა მზირსაო.
 ბრალია მინდიაისად,
 ხან რო არ ექნა ცდისაო!

- 15 არ ხარჯნას ტყვია-წამალი!
ჯარ უწყოვ მასრაისაო.
აღუდაური დასჩების,
შავი ღურბელი ცისაო.
აღუდაურის კირიმსა
- 20 კვამლი სულწუხად სდისაო;
სისხლისა კვალზედ გაუდგა,
ყორან თან მისდევეს
კლდისაო;
აბუორიტესა მახკელავს,
მა დაგაზული მგლისაო.
- 25 მთელსა მინდიას უამბა:
„უმცროს გექნების გზისაო!
ბარაქალ, აღუდაურო!
- არვის შარჩენ ჭირსაო.
მანამდენ საკსოვარიო,
30 მანამდენ წყალი დისაო.
ნაქნარი აღუდაურის
ანდრეზად არ ითქმისაო.
ამაგ ლექსების მათქვამი
სანადიროში ზისაო;
- 35 უწუხრე, არ მამივიდა
თორმეტი ჯიკვი კლდისაო.
სალექსოდ გამამიტანე
საპირისწამლე რქისაო;
არ მამცემ, არ მეწყინების,
40 —შენ უფრო შაგვლებისაო.

5. ჯარაის წყაროს რა ამბავია

- ჯარაის წყაროს რა ამბავია?
ჩამატეხნას ხგავ ცისასა.
გაბუურთ მზირი აუდგა,
დილა ამავს მზისასა.
- 5 გაბურთა აღუდაური
დაელნებას ხგავ ცისასა.
აქდოლას ჩამოხკიოდა:
ქელთ მოგცემ შენის
კევისასა.
- 10 გამექცევ, ვერ გამეხვეწები,
ტყვიას გკრავ კირიმისასა.
ჩაუდეგ, აღუდაურო,
ნათოზს ყრის გულ-
ლეიძლისასა.
- მოხკელავ აბუორიტესა
საფერსა შენის ძმისასა.
15 ქება ნიადაგ შეგვდების
იმავ დღეს მძებნელს ძმისასა.
ამაგ სიმღერის მათქვამი
საქობის კარში ზისაო,
ქელში უჭერავ ფანდური,
20 სიტყო ამოზდის ცდისაო.
სალექსოდ გამომიგზავნე
საპირისწამლე რქისაო.
არ გამამიგზავნ, არ მინდა,
შენ უფრო შეგვლებისაო.

6. ოჩიაურნი

- რად გაგიხარდათ,
დილდვლებო,
არხოტიონთა ზიანი?
უშიშა ოჩიაურმა
არ დაგიბარათ გზიანი.
- 5 მიუვლენ აღუდიკასა:
„ერთით ვართ სირცხვილიანი:
ამლას მოგვიკლეს დისწული,
აბათ კურდღელა კმლიანი“.
ადგიან, გადაიარეს

- 10 ჩორეხის თავი კლდიანი,
ქორილამოს გავიდეს,
დილაი თვირთვილიანი;
მაუვა საქანისტელი,
ირემა რქა-ქანგინი;
- 15 დააყარინ თოფები,
მაქრებს გახქონდა ყრილი;
„იქნებიმც ალუდაისა!
მანდ იწევ გულ-ნატყვიარი!“
ჩორეხს აძრახდის ყორნები:
- 20 „ვინ იყავ, ვინ ხქენ რიალი?“
— „იყვნინ ოჩიაურნი,
ბევრკან სხოკან ქნეს ზიანი“.
ნეტავი მაგათ დედასა!
ჯარ დასხდეს სახელიანი
- 25 არ გამიყოლეს სამზირსა,
ქალი ვეგონე თმიანი;
გავეყოლ, რას დაულევდი?
წელზე კმალი მზავ ფხიანი.
მკართა მეკიდა კირიმი,
- 30 ძალიან კმა-ძალიანი.

7. უშიზავ ოჩიაური

უშიზავ ოჩიაური
დალოცვა შენის პირისა!

ბევრი მაგიკლავ დილღველი,
წყენა არ იცი ჭირისა.

8. უშიზა ოჩიაური

ჭიმლის კლდეთ ყეფდა
ყორნები,
ერთი უძახებს სხვასაო;
„ველთ მიოს ოჩიაური,
გავხყვათ ამაგის კვალსაო;

5 ჩვენის მასვლისად გასწირავს
ყორის წყალაზე მკვდარსაო.
უშიზა არ დაგვაკლებდა
სახრაოდ დილღვლის
ძვალსაო.

9. ჭიმლის კლდეს ხყეფდა ყორანი

ჭიმლის კლდეს ყეფდა
ყორანი,
ერთი გასძახის სხვასაო:
ველთ მიდის ოჩიაური,
ჩვენც გავხყვეთ იმის კოლსაო.

5 თათარა დაგვიმზადებდა
ყორის წყალზედა მკვდარსაო.
ლუდის კლდეს არწივენ
აბრუნდეს,

ვალი შეგვირჩა ძმისაო,
ბიძიასი მომკლავი

10 მოიგდეს კალოს პირსაო.
ქისტო დიდგული
ყოფილხარ,
ყამ არ გქონია მტრისაო,
წყალთ რად არ ხეთხე
ამზავი
ოჩიაურთა ხმლისაო.

10. ნარჩივი ვაჟების ჩამოცა

სიკვდილმ თქვა: „არ
დავიჯერებ,
ნაბძანებს ვიქამ ხთისასა,

სათავით ჩამავხყებოდნი,
ბოლოს გამაველ წყლისასა,

5 ჩავხკოცი არხოტივენბსა,

- ნარჩევს ვაჟებსა მთისასა: 25 ალიათ ბაბლოს მავხკლევი,
გაბუერთ ალუდაურსა, მშინეს ბევრაის მტრისასა,
შავსა ღურბელსა ცისასა, ამლას ბერდიას მავხკლევი,
საავდროდ დამზადებულსა გმირსა წინაის უმისასა,
10 მალღის არხოტის მთისასა, 30 ახლებში თამარისძესა,
მინდიას თეთრაულისძეს, ვეფხვს მავხკლავ სალის
წელ-შუ მუშასა სმისასა, კლდისასა,
მარტიას შუქიაურსა, ჩინგლათას ბაჩაყაურსა,
კმლით მკერელს ადგილისასა,
15 ახიელს მავაგლეჯიებ მთვარესა ხუთმეტისასა,
ნაწურსა გრილის მთისასა, თოთიას კალოთანელსა,
ბადათ მაუკლავ ბადასა, მკოცელსა ოროლისასა,
კულასა ბასრის ქვისასა, 35 ხირსილსა ზეადათასა,
ქადელსა ღერენათასა, მშინესა მითხოვლისასა“.
20 ყარაულს ზენ-უბნიასა, სიკვდილმ თქვა: „სულეთ
უშიშას ოჩიაურსა, ჯარს დაესხამ
მგელსა, მკამელსა მტრისასა, ნარჩევის ვაჟებისასა,
აქუათ ქასას მავხკლევი, წინითი ჩხუტსა ჩამუდგამ,
თესლს დავლევ არწივისასა, 40 კოშს ჩამურიგებ რვლისასა“.

11. ისჯია

- კიშაოს მალღონანასა 5 ქორებულ ჩამოხკაოდა;
ყორნები ჩამოდიოდა; 5 დიჩინი იაღდოშვილი
სულხანაურთა უშიშა ისყიას გადადიოდა.

12. უშიშა წიკლაური

- ლაზია გამაუძღვების 5 ხანი არ მისცეს ცდისაო.
თუ ეცნა, ვერც კი დასწონდეს
თექვსმეტის კაცის მზირთაო; 15 სულხანაურის შვილსაო.
ჩაუხსნის ბისნის, ჭალასა, იმით აშინებს უშიშა,
გზა მოოს ჩემის მტრისაო; 15 ჯარ უწყოვ მასრაისაო.
მეღის აბაისძესა ტერღის წვერ გაუგონებავ
ამლით, გაგაის შვილსაო. ბისნას დაქცევა კლდისაო.
თვალ მენადირეთ შავადა, ეტყოდა თამარისძე:
ხან იყვა შუადღისაო; 20 „უშიშას უჭირს გმირსაო“.
უყვიან არ გონებული, კირიმი უშიშაისი
10 ალი ახვიეს პირსაო. ნელ-ნელად გამადისაო.
ბრალი ას უშიშაისად,

დაბრუნდეს სათავეკვაოდა,
 25 ქარ მუტლებს შაუჯდისაო.
 სადუცე ჩამაიარეს
 არწივებმ კივილითაო.
 იწრო შაუკრეს სახვევი,
 გზა მოოს ღილღვლებისაო.
 ეტყოდა თამარისძევი:
 30 „გერშ მავიდ ჩემის ძმისაო,
 თოფის ბუდე უშიშაისა
 ღილღვლის თოფს
 შაშვენისაო“.
 უყვიან არ-გონებული,
 ალი ახვიეს პირსაო.

35 ლაზი ამხანაგთ ეტყოდა:
 ჩვენი შინ წასვლა ჭირსაო,
 სამნი შაგვეყარნეს წყალჩია,
 სხვები აგვბლატნეს
 ჩდილსაო“.
 ცოცხალს უშიშას მოუვლენ:
 40 „უნცროსებ მზას
 გვეყვანდისაო“.
 თათიათ ოდინაისა
 დედაიმც ცხონდებისაო!
 არ მაუტივნა მკვდარზედა,
 დისწულ ას დედიძმისაო.

13. ველოზა გაუბედავის

ველოზა გაუბედავის
 სულხანაურის შვილსაო;
 არხოტის ჭალას ჩადიან,
 გულში აქვ ჯიკვებისაო;
 5 არხოტის ჭალას ღილღვლებსა
 ეშმაკი მახყვა მკრითაო;
 მასეეს არ იგებდიან,
 უშიშა შეხვდა გზითაო.
 გაგებით ვერ დასწონდიან
 10 სულხანაურის შვილსაო.
 თვალ შემოგვაგდეტ წინ-
 წინა,
 სრუ თესლს დაგვილევს
 მზირთაო,
 დააყარიან თოფები,
 ალი ახვიეს პირსაო.
 15 კელ-ზეით შემოუბრუნა,
 ომ იქნა თვალთ-მაქცისაო.
 კირიმი უშიშაისა
 ბისნის დაარღვევს ჩდილსაო.
 ტერლის წვერს გაიგონიან
 20 ჭეხა ბისნის კარს ცისაო.
 კირიმი უშიშაისა

ნელ-ნელა გამოდისაო.
 „თუ-გლად დაგვიკრეს
 ღილღვლებმა,
 მზე დაგვიბნელეს პირსაო!“
 25 ღურბინდით ჩამახენებდეს,
 საცმელა იცნეს ძმისაო;
 მთით ბარად ჩამაიყარნეს
 ლაღნი არწივნი მთისაო;
 შაუკრეს ვიწრო ჭალაი,
 30 საღენი ღილღვლებისაო;
 დააყარიან თოფები,
 მზის პირ დაასკდა ჩდილსაო.
 იქნებიმც უშიშაისად!
 მზიდავიმც ხარი წყლისაო!“
 35 მანამდინ დაიკოცნიან,
 ცოცხალს უთვალვენ პირსაო,
 ცოცხალს უშიშას უამბეს,
 პირს ღმინი ექნებისაო.
 „ორ წაგილაღეთ უმცროსი,
 40 მზიდავიმც გყავის წყლისაო!“
 წყალ მაინც აზიდვიიდი!
 სხვა ღლიღვებმ რა იცისაო?!

- უშიშა წამაიყვანეს,
 45 კარი საფეხნოს ზისაო,
 ამაიტანა ღურბინი,
 ჯიკეთ შეხედნებდის კლდისაო
- ბრაღია უშიშაისა,
 მიწას უთხრიდან გრილსაო!
 ტყვია ვერ მეერეოღა
 50 სულხანაურის გმირსაო.

14. ღმერთმა თუ ბძანა

- ღმერთმა თუ ბძანა, თორემა 15
 კაცი რას მოიგონებღა?
 სიკვდიღსა უშიშაისას
 ხოყანა გაიგონებღა.
- 5 ჯიკვის მოტანად წავიღა,
 გზას მზირი აუღგებოღა.
 ბრაღია უშიშაისად,
 შუღღის ხან არ ექნებოღა!
 თუ ომის შუღღის ხან
 ჰქნიყო,
- 20 20 ერთი ყვარანსა სცღებოღა.
 მეორე მოასწრო უშიშამ,
 ყვარან ვეღარა ხტებოღა.
 ჰისტებ გზას უსხენ უშიშას,
 მაშინ შუღღ მოუქღებოღა.
- 10 გვიანაც გაიყრებოღა.
 ბევრნი დაუხვღდეს ერთასა,
 მაგის მეტ რა იქნებოღა?!
 25 სანამღე მზირნ შეხვღებოღდენ,
 ლიშანი დაუღგებოღა.
- 25 ჰისტებმ ესრიეს თოფები,
 უშიშას ორი ხვღებოღა.
 ერთი ესრია უშიშამ,
 ერთი ჰისტიცა კვღებოღა.

15. შთურბიანნი

- ნეტავ თქვენ, უთურგიანნო!
 ყანა არ მაგიცღებღსთა,
 მკერღიან-ღუმაიანი
- 5 წინ სუფრა დაგიხვღებღსთა,
 ამღინარ-ჩამომღინარი
 წყემსი, მუშაი ძღებღსა.

16. შთურბის ბიორბი

- არღოტს უთურგის გიორგი,
 გიქრის დავღათის ჰარიო,
 ერთიმც სხვა გყვანღა,
 გიორგი,
- 5 შენღ რო ექირა მკარიო!
 მაისტეღთ გაგვიჩუმებღდიო,
 შაეღებოღათ ზარიო.

17. სახეღოზა

- ბევრა სახეღობს კევსური,
 ბევრამ გაბანღა ჯღანიო:
- გორგიმა უთურგათამა
 ბევრკან გაწირა მკვღარიო;

- 5 ლიქოკელთ დაუღევაგა ბუნოთ მამდინარ მგზავრიო, საშოვარ დააყრევიეს, მაგას შურობენ სხვანიო; გუდანელთ-ჭორმეშინონთა
- 10 კაც ვერ ჯობ მეომარიო; წლით კოცვენ ქაქმატელები, მტერს მაგით შასდვენს ზარიო;
- ჩაფერნეს ბაცალიგველთა ბუყარაჩოში კმალნიო.
- 15 ბევრჯელ ჩაყარნეს კადუელთ უხანოდ მითხოს კმანიო, ნაქოსა ქუშანათასა ირემს დაღნაყნეს რქანიო; მარეშათ ჯამბოლათასა არ მისცეს ომის ხანიო.

18. ჯაჯოთ გიორგის ლურჯაი

- ჯაჯოთ გიორგის ლურჯაი ფხვრიალებს და უტემს ცხვირსა.
- „რა უკლოობა შაგიდგა, რაად უფთხობ პატრონს ძილსა? —
- 5 არ ქნილა შუღამის დროი, ბიბინი დგას ლეკებისა. რად ენდობოდით ღვინოსა, ან თენებაზე ძილსაო? ომი მოგვიქდა ძრიელი,
- 10 თოფი ქეხს, ტყვია წვიმსაო. დაგვეცა უდარო დარი, ცნობა არ იყო მკვდრისაო. ზედ ბნელი ღამე დაგვეცა, პირი გვინათებს კმლისაო.
- 15 გაჰკვირდეს თუშიშვილები ჭრას თავბერაის კმლისაო. ეგ უთურის კმლის გაჰრილი კვალს ღვეანდა ყამირისაო. ლეკნ სანგალს მაივლებდიან მაგის ნაკოცის მკვდრისაო!
- 20

19. გორგი

- მაისტელთ გაურიგებავ გორგისად შაკვრა გზისაო, გორგის ნუ მაჰკლავთ, ქისტებო, მა უთურგაის შვილსაო!
- 5 თუ მაჰკლავთ, კელს კი ნუ მასჭრით,
- ბრალია კაი ყმისაო; არ დაიჯერეს ქისტებმა; გორგიმაც ესრე ქნისაო, გორგის ციხეზედ აკრავის
- 10 თორმეტ მარჯვენა მტრისაო!

20. გორგის ნუ მაჰკლავთ, ქისტებო

- გორგის ნუ მაჰკლავთ, ქისტებო,
- ბრალია კარგის ყმისაო! არ დაიჯერეს ქისტებმა:
- 5 „გორგიმაც ეგრე ქმნისაო!.. ჩაუხსნდეს მთის თავს, მთის ძირსა, ფერ ვერ უცვალეს მგლისაო!

ვაი, თქვენს გორგის,
ქისტებო,
ხანი არ მექნა ცდისაო!

თუ შამხვედროდით
პირდაპირ,
10 ქნევა მეც ვიცი ხმლისაო!

21. მშავლეგის ლაშქრობა შატილზე გარას მეთაურობით

- შატილს ნუ ჩახვალთ,
მშავლეგო,
— შატილს ვაუნი დგან
კმლიანნი.
თვითანა ღნაყენ წამალსა,
ბაკნით უდგანან ტყვიანი.
- 5 — „არ დაებრუნდებით“, —
მშავლებმ თქვეს,
— „განა ქალნი ორთ
თმიაინი?“
- ორშაბათ თენებაზედა
თოფმა დაიწყა ტყრიალი.
ორშაბათ დილა გათენდა,
10 შატილი დარჩა მკვდრიანი.
გარბის-გამორბის გარაი,
- მანძილა ქორ-ბუდიანი.
— რად ეგრე, ჩემო ბატონო?
მაგდენ რად მიყავ ზიანი?
15 გარა ვარ თურმანაული,
მე ბევრკან მიქნავ ზიანი.
ლაშარის გორზე მიკოცავ
ქისტის კარები რქიანი.
ქულ-საკდელაში მოცვივდეს
20 ცხენ ლაშ-დართხმულნი,
ტიალნი.
თოფ-სიათანიც მაიხვნეს,
ბუჩა მიიღეს ტიალი.
რო გამუარდის ბუჩაი,
მთა-ბარმ დაიწყის ღვრიალი.

22. გარას ლაშქრობა ქისტებზე

- ვინა თქვა, ენამც გაჰქმება,
— მითხოს გაბევრდა
ცხვარია,
გაიგო ლაშარის ჯვარმა,
წელზე შაიბა კმალია.
- 5 უბრძანა თავის საყმობა,
მთათ შამაავლო თვალთა,
წელში ეტანა მათრაკი
შვიდკეცა, შვიდი მკარია.
დალაღდა ფშავლის შვილები.
- 10 ყველამ გაღესა კმალია.
შვიდ ლიტრა რქინა გვიბოძე,
ცხენებს დავაკრათ ნალია.
წაუკვერკვეროთ ხალები,
ლუსმარს უხაროთ თავია.
- 15 ვინც არ უჯერა, გადაჰკრა,
მაგის ნაცემი მწარეა.
გაქანდა ფშაველთ ლაშქარი,
არ ნებდებიან გზანია.
წითელ-ყვითელამ დროშამა
20 გადაიარა მთანია.
ქვაჯიდის ჭალას ჩაგროვდა,
არ სწვდება წვიმის ცვარია,
წინ გარა გადაუძღვება
თეთრის ბორაყის ტარია.
25 ქისტანს შასტირა ბებერმა:
—ჯარით სად მიხვალ გარაო,
—შატილში, მივალ ბებერო,
ვარდანამ დამიბარაო,
—„მენ'დ მაგან უნდა
ვიომოთ,

- 30 უნდა იქექნოს ცამაო.
ძირ უნდა გადაიბრუნოს
შატილში ლიბუს ქვამაო.
ცრემლით პირ უნდა იბანოს
შუქომ ვარდანას დამაო.
- 35 —კი რაით არ ჩაგიშვებენ
იქ ვაჟნი იმედიაწნი.
თითონა ნაყენ წამალსა
ბაკნით უდგანან ტყვიანი.
—შუქარით არ დავბრუნდები,
- 40 მენ ქალ არა ვარ თმიანი,
ლაშარის გორზე მივოცავ
ქისტის ჯარები რქიანი. —
ხუთშაბათ დილა გათენდა,
შატილს ჩხუბ მოჰქდა
ძლიარი,
- 45 შატილ გაწირეს ნაოკრი,
შატილი ნასისხრიანი.

- ცხვარ-ძროხა შამააბრუნეს,
ცხვარ-ჯოგებს გააქვ გრიალი.
მაგ კაფიის მათქომი
აღვანში თუშის ქალია,
ქებით გალექსებთ,
ფშავლებო,
არ დამელიგნენ ძმანია.
- 50 სალექსოდ გამომიგზავნეთ
ფარაზე თითო ცხვარია;
ან ერთი საყურ-ბეჭედი
მიყრიალებდეს ქარია.
ნუ დაივიწყებთ, ფშავლებო,
55 ვინც თარეშო დაგჩათ
მკედარია;
ყველამ შანდობა უთხროდით,
თუ გედგასთ ლუდის
ცვარია.

23. ბარამა თურმანაულმა

- გარამა თურმანაულმა
კარით კარს დაიარაო;
შაყარა ფშავლის ლაშქარი,
მათურა აიარაო;
- 5 წითელ-ყვითელი დროშით
ბოროლა გადაიარაო;
კისტანს ატირდა ბებერი;
—ჯარით სად მიხვალ, გარაო?
—შატილს მივდივარ, ბებერო,
- 10 ვარდანამ დამიბარაო;
მე-დ იმ ქისტმ უნდა ვიომოთ,
უნდა იქეხოს ცამაო!
გვერდ უნდა გადაიქციოს
ვარდანის ციხის ქავმაო;
- 15 იტიროს ცხელის ცრემლითა
შუქიმ, ვარდანის დამაო;
გადუჩნდეს საჭერეტელშია,
ცა წმინდა უცემს თვალსაო.
ხმა გადის საგათენებოდ,

- 20 ბიბინ დაიწყო ცამაო;
საგათენებოდ დაეცნეს
გიორ-წმინდისა ქავსაო...
—კარში გამოდი, ვარდანო,
ნუ მაითვრალეხ თავსაო;
- 25 თასი გეჭიროს ხელშია,
გადაწვადე სხვასაო,
ხელში გეჭიროს ფანდური,
ძმას მიეც მგელიასაო;
ამბობენ, ფშავლი-შვილებსა
- 30 ჩახმახში გენიასაო.
— აქ რომ არა მყავს
ქალუნდი,
მარტომ რა უყვა ჯარსაო?
გამოვალ, მგელიის მზემ,
გამოვიმძღვარებ ფარსაო,
- 35 დავიქნევ წარა-მარათა
ჩემსა მისრულსა ხნელსაო!..

24. დაბერებული ბარაი

მითხოს გასუქდი, შიშაგო,
რა ფიქრი მოგვიდებია.
დაბერებული გარაი,

წვერთ ჯანგი მოჰკიდებია.
5 გზათა გარაის სავალთა
პირს ბორტვი წაჰკიდებია.

25. ბარა თურმანაული

მშაველს უყვარდა გარასა
ქერება დროშისაო,

შაყრაი მშაველის ლაშქრისა,
ჩაგლევა შორის გზისაო.

26. როსტომ სთქვა

როსტომ სთქვა:
შავწუხებულგარ,
შემოვლა მწადის მთისაო,
არჩევა კაის ბიჭების,
ქაჩუს გადავლა მთისაო,
5 ჩატანა, ამობრუნება
ხულანტელთ ხაროვნისაო;

გულ-ხელად გამობრუნება,
კალთათა ხვეენა ხელთაო;
10 გადმოსვლა ჩილოს ხაასა,
შუგულ არს თუშეთისაო.
არ მომგონდებოდ ღალატი
ემაგა თუშებისაო;
აცალეთ, ჩილოველებო,
სოფელ აგივსოთ მტრითაო...

27. გამზდელიც დაილოცება

გამზდელიც დაილოცება
თუშისა როსტომისაო,
ალაზნის თავზე შემოდის,
წყემსი გვეგონა ცხვრისაო.

5 გადაიარა ბორბალო,
ყამიც არა აქვს მტრისაო.
ჩამოდის ქისტის ჭალაზედ,
სწავლა არ უნდა გზისაო;
გავიდა ქორჯის მთაზედა,
10 ნამი გაბლერტა მთისაო.

მარტო ჩავიდა ახვაში,
თან კვალი ჩაჰყვა მგლისაო.
როსტომსა სისხლის
მძებნელსა

იმედი აქვსა ხმლისაო.
15 თოფსა არ ისვრის როსტომი,
გატეხ არ უნდა ხმისაო.
მოკლა ხაწეთა ბათირი,
მომკლავი ძმობილისაო.

28. ტერლის თავს უდგა ლოგინი

ტერლის თავს უდგა ლოგინი
გაგას, მაგ ბერდიშვილსაო;

მძინარეს არსად შესცვივდეთ,
ნაწოლს ჭიუხის ძირსაო;

- 5 შეყრილან ღლიღველთ — თქვენ გაგას ვერ
ვაუებო წამაიყვანთ,
გაგაის მუქარაზედა, — 10 ვერც მასკრით თავსა
წამოვიყვანოთ გაგაი, გზაზედა...
—თავ უნდა მოვჭრათ
გზაზედა!..

29. ბაბა ბერღიშვილი

- თავს აქებთ, არხოტიენებო, ღლიღველთ ნაცოცი
ეგ რაილ სამართალია? მკვდარია,
ამლას ბერღიათ გაგაი ზედ გააყარა ხე-ქერი
სამის თემობის კარია. თავ-თავის ღლიღველის
5 ქალას მაივლა სანგლადა ძვალა.

30. აზნაბეს ქალნი ატირდეს

- აზნაგეს ქალნი ატირდეს, 10 შენის ნაცოცით მკვდრითაო,
ცრემლით იბანდეს პირსაო: აკალდამისა კარები
„ბეჩაენო ჩვენნო მამანო, ჩვენის ნაგლეჯით თმითაო!“
ველარ გახვედით ჩდილსაო, არ დაიჯერა გაგამა:
5 ვერც სანადიროდ წახვედით: „ადგილ მიჭირავ კმლითაო.
ჩორებს გაგაი ზისაო. 15 წინ თქვენ დამეცით
ან კელთ წაგვასხენ, გაგაო, ლაშქარი,
ან ბეგარ დაგვედევ ცხერისაო! ეხლა მე ვიბძვი ღთითაო.“
აივსა აკალდამაი

31. ღიღლოს იყრების ლაშქარი

- ღიღლოს იყრების ლაშქარი „ვაი თქვენს გაგას,
ერთის ურჯულოს თავზედა; ძალღებო,
ადგიან, წამავიდიან ხანჯარ არ შამჩა ტანზედა!“
გაგაის მუქარაზედა: ღიღლველს ახგლიჯა ხანჯარი,
5 „მამკლავი უნახაისა იმასავ დასცა გულზედა.
აგებ მავქელათ სკამზედა, 15 მეორეს გარდაუბრუნა
ან კელად წამაიყვანათ, იმავ სენაის კარზედა.
ან თავი მავსჭრათ გზაზედა“. მესამე ქვითიკრს შამახკრა,
აიმ დროს გამაელვიძა, ტვინი შაასხა ქვაზედა.
10 კელებს უკონვენ მკარზედა. ბერღიაობით იძახდის;

- 20 „კიბე მაუშვი ხანზედა“.
არ სცალის ბერსა ბერდიას,
თოფს ეხვევოდა თბეზედა.
თოფს ისრევს ბერი ბერდია,
მკედარ უწყოვ კალოს
კარზედა.
- 25 ოროლთა გატუსულათა
მკედარი შაყარეს
მკედარზედა.
ჭაბუკათ ჩაჩაურასა
დავლათ დააჭდა მქარზედა.
მაუკლავ მამის მამკლავი,
30 მკედარ უწყევს
წინგარდაზედა.
მარტო შარუმა ომობდის
ორის ქვითკირის კარზედა.

- ტერლის კარ კალოთანელნი
ვეფხვნი აბრუნდეს
მწყალზედა.
- 35 ნუ ვიტყვით მაგათ ნაკოცსა,
ბატონთან იყვნან ზავზედა.
ამავ სიმღერას მათქვაში
კორმოან დაეჩი მთაზედა;
მაჰქონდეს ჯიკვის
თავ-რქანი,
- 40 მამიხაროდეს გზაზედა.
შვიდ-შვიდის ჯალაფისაი
მარტუა დაეჯე სკამზედა.
თუ ვერ ვიძებნე შვიდნივა,
სწორნიმც ნუ დამსმენ
ჯარზედა

32. ღილღველთ დაცემა ჯუშთაზე

- ღილღოს იყრების ლაშქარი,
წინამძღვარს ღონდებნიანო.
ყიბილას ეუბნებოდეს,
სამეტოს აძლევდიანო.
- 5 დაგროვდეს შიბუს ქალაჩი,
ჯუთისკე ლამევდიანო.
შუალამის დროს იძახეს:
„ჯუთას დეეცნეს ბანთაო“.
ნაგები ქურსიკაისა
- 10 ცეცხლის მოივლებს ალსაო.
სტუმრად ხყვან
არხოტიენები,
ტყვიას დაღლაღვენ ცხარსაო.
ბევრი აქვ ტყვია-წამალი
თოთელსა-დ' მარტისაო.
- 15 მშვილდ-ისრებულა
დაისწვრეს,
ლაშქარს შასდებენ ზარსაო.
ზენ-უბან დეეშველენით,

- უთუათ თხრიან ბანსაო,
ტირილით გარმაავლევენ
- 20 ლამაზთ უთუათ ქალთაო.
ხანი არ მისცეს ომისა
უთუათ მშაველასაო.
უთუათ კიბალაურა
კმალზე ცდის მკლავის
ჯანსაო,
- 25 რომენიც მეეწონება,
შასწირავს მშაველასაო.
ყიბილამ უთხრა ლაშქარსა:
„ართხმოულს ვხედავ
ჯვარსაო.
ცეცხლი გაჩინდა ღალანგურ,
30 ჯუთას გვერტყა ბანთაო.
წავიდათ ჯვართ კორკისასა,
მე შაგასწავლებ გზათაო.
თორე გაიგებს ჯურქაი,
შაჯღება ბაბლიასაო,

- 35 ახალგაზრდანი ჯურქასა
სამდეგროდ უდგა მზასაო,
შამოგვეწევის თოთელი,
დაგვაწირვიებს მკედარსაო,
კვირიკა გილაიშვილი
- 40 არ გადაგვიშობს მთასაო,
წინას მოგვიელის ლაშქარსა,
ჭიმლის კლდეს გვიკრავს
თავსაო“.
- ბადათა აბაისძეი
ლაშქარს მავლებს თვალსაო,
- 45 რომენიც მეეწონება,
აქსენებს თავის მკედართაო.
კაცი გაავდეს არხვატრი:
„აქ რად არ გვიჰერთ
შქარსაო?
თქვენსკე მოგვიდის
ლაშქარი,
- 50 ნუ დაგვინებებთ გზასაო“.
ვაკეთას ცხენი შამარბის,
ოთხს მანათებს ნალსაო.
ზედ იჯდა ბერდიათ გაგა,
მკედარ არ ზოგავს თავსაო.
- 55 ეძახდა: „ცხენის მკამლებო,
დაგინახევრებთ ჯარსაო“.
მერცხალაშვილის კირიმი
შაკრულს წაიღებს
კვამლთაო,
გაგაის წელზე ნაბამსა
- 60 დაამტერევეს სპილოს
ძვალსაო.
ბებრები ქომო-ციხლები
შამახედევდეს მთათაო.
ერთმანეთს ეუბნებიან:
„სიზმარს ვხედვედით ავსაო.
- 65 ჯუთას წავიდა ლაშქარი,
გადასცდა პირობასაო“.
ქალაჩი ჩამდიოდეს,
შინჯვენ არხოტის წყალსაო.
„წყალი მასულა წითელი,
- 70 არხოტ თუ სჭრიან თავსაო“.
მერცხალიშვილის კირიმი
შუ-ლილლოს ჩახყრის ჯმათაო.
ეგ მართო არ მოვიდოდა,
ორთ მიიყოლებს სხვათაო.

33. აფშინა

- ამბობენ, შეწუხებულავ
სულეთში წიქაისასა,
უხათრავად დის ქისტები
ჩვენის ძირ კალაისასა:
- 5 ძმასა აფშინას მითქვიდით,
ჯავრსა ნუ მაქმევს მტრისასა,
ადგას, ჩაიდვას საგძალი,
ტანს ვახყვეს სიათისასა:
უმცროსი თამარისძეი
- 10 იმედსა დადვას ხმლისასა.
სულწუხად ჭყვიელს ამბობენ
მითხოველთ მთიბლებისასა:
- რა იქნა, რა მოგვეწია,
ვინ მოგვიარა მთისასა!
- 15 ვაყებ, აფშინა იქმნება,
პირს მოსდევს წიქაისასა,
თოფს დახკრავს,
გამაავგორებს
ნარჩევსა მითხოვლისასა,
ხმლითა სცემს თამარისძეი,
- 20 ჩამოაწითებს ქვიშასა:
იქმნები წიქაისადა,
ზიდენას დაუწყებ წყლისასა.

34. საბურთალოს წამოვედით

- საგუროვოდ წამოვედით
აფშინაის სატირლადა.
აფშინას კი რა მოხელევედა,
— მოგვეგება საკვირვლადა,
5 ერთი ძროხა ვახშმად დაკლა,
ორი ზარი სადილადა,
თითონ ციხეში შავიდა,
არ გამოდის ადვილადა,
ბუჩასეულ შაიტანა
- 10 ზარბაზნების მაგივრადა,
თუ ბუჩასეულ გავარდა,
პრისტავ განდა სატირლადა.
აფშინა დაუბარებდა
გაჭაგრებული პრისტავსა:
15 დილაზე გაყურებინებ
ქუხილსა ბუჩაისასა,
ეტანებოდე კლდეებსა,
ტყვია გაყრიდეს ქვიშასა.

35. ბუკულიშვილი

- გაითქვი, ბუკულიშვილო,
მითხოს გაღვარდი კმადაო.
დადღიე მაისტელები,
ამით გაქებენ ცდადაო.
5 ჰაჩარუსაკე გაღვარდი,
საიდგან წახველ სადაო?
მარტუამ ბუკულიშვილმა
ლაშქარს შამასდვა ზარია;
ეგრე დაფანტა ლაშქარი,
- 10 როგორც მგელმ ფანტოს
ცხვარია.
დაბრუნდა ტოშის გაზდილი:
„აუაერგი ვარია“,
თოფ დახკრა ბუკულიშვილსა,
არწივს მასტეხა მქარია.
15 — განა! მამიკალ ძმობილი,
არდოტელ მეომარია.

36. კისტნელი იმედა

- ბევრჯელ ვიარე კისტანსა,
ბევრჯელ ვილოცე ჯვარია.
ველარ შავაქი ახლები,
იმით მიტანავ ბრალია.
5 აქ დავალის იმედა,
საც ვერ დადიან სხვანია;
ბევრჯელ შაღებნა სისხლითა
აყვათ ჰალანი-დ' გზანია.
წინ ბაზდელ შამეყარა,
10 თეთრი ქორაი კარია.
თოფ არ ესროლა იმედამ,
— „მეიმედების კმალია“.
მძიმე აუტყდა მდევარი,
ეცოტავების მკვდარია.
- 15 ერთისად როგორ გავალათ-
აკალდამაის კარია?
გამალმეტდიან მდევარსა
ორნ ახალგაზდან ყმანია.
ნაჯლომას მიხყულებიყვნეს,
20 ქვე თუ იყვნიან ბრმანია?
„სად მიზლით?“ — იმედამ-
ხკითხა,
პირსაც დაჰხვივის ალია.
კისერში გამადიოდის
წინა კბილების ძვალთა.
25 „ეხლა წაიღეთ, ქისტებო,
მკვდარზე, შადევით
მკვდარია“..

37. მინდია (შიშნია) ბალახურიძე

- მამა გემდურის, მინდია:
 „შვილო, უჯერო ხარო; —
 აკვათა, არხოტიონთა
 შენ აუშალე ზავიო;
 5 სოფელში შესტანებიხარ,
 ფეხონს გაუჭერ თავიო“.
 დაჯავრებულთა აკვათა
 დიდი შაყარეს ჯარიო.
 ქრთამი აძლიეს ქისტებსა,
 10 სოფლად თითოი კარიო:
 არხოტში ნუვინა გავცემთ,
 ენა გაქვთ ცლანგიანიო“.
 „არხოტის ქალას აკვათა
 ხვადთ მანათნეს ნაღნიო.
 15 ეხშით ბოლი გამოდის:
 „ბალახურისძე ვარიო!“
- ჭერამა შიშნიაისამ
 ტყვია დალალა ჩქარიო,
 კაცს დახკრა, ცხენსა
 გაღვარდა,
 20 წყალმა წაიღო მკვდარიო,
 „ჯერ მე გაჭმევდით სადილსა,
 მავლენ არხოტელნ ყმანიო“.
 შიშნიავ, ნუმც შაგეკსნება
 წელზედ ნაბამი კმალიო,
 25 ნუმც გაგიტყდება ჭერაი,
 არხოტის რკინის კარიო!
 შიშნიას, ნუ დაიცილებთ,
 საც ისხდეს სმისა ჯარიო!
 შანდობა ბალახურისძეს!
 30 არხვატს შააბა კარიო.

38. ღამბერდი და შატანა

- როშკის გორს ღილღველ
 თამაშობს,
 კელში უჭერავ კმალიო.
 გამათამაშდის ღილღველი:
 „ტევსურებს შავსდვათ
 5 ღამბერდამ გაღმაიწია,
 მეშველნ მაუნდეს ცხრანიო.
 „აქით გამიშვით,
 ღილღვლებო,
 ტევსურთ უნდ დაუფთხე
 ჯარიო“.
 10 ტევსურთაც ამაირჩიეს
 ყმა ერთი შასადარიო.
 შატანა გამაიყვანეს,
 კელში ეჭირა კმალიო.
 ერთმანერთისკე დაიქცნეს,
 ცამაც დაუცის თვალიო.
- 15 შატანა-დ' ღამბერდა შაიბნეს,
 ლაშქართ დაუგეს თვალიო.
 ღამბერდამ ჩამაუქნია,
 ღილღველ ამლათიც არიო.
 „აცა, დაიცა, ღამბერდო!“
 20 შატანამ შააგება ფარიო.
 ფარის გირგოლი
 გააწყვეტირა,
 „შატან, გავიწითლა მქარიო“.
 შატანამაც შამაუქნია,
 მოვიდეს გალოს ჩქამნიო.
 25 შატანამ შამააწვინოს
 როშკის გორ ღილღვლის
 მკვდარიო.
 მაგრამ შატანსაც გამახყვა
 ღამბერდის ნაკანქარიო.
 შატან კი ისევ გამორჩა,

30 ღამბერდ კი წაიღეს
მკედარიო.
ღამბერდა კაი ვაჟ იყო,
კაის დაგმობა ბრალია.

ვერც შაკან გადარჩებოდა,
თუ არ ხქონიყო ფარია.
35 კაცი ვარ გათეთრებული
სიმღერის მაუბარია.

39. ჩამალის, ჩამუბნება

ჩაველის, ჩაეუბნება
ტუნკით ივანე საღარსა:
—ცხენავ, გეტყობა, გეშინის,
გულს მე ჩაგიღებ მაგარსა.

თავსაც იქ დავედებ ქალარსა.
ცოცხალ შინ ვერ
დავბრუნდები,

5 ჩაგავლევ ტერელოზედა,
ჩაგატანინებ ნაღარსა,
შენაც იქ მოგვლავ, ტიალო,

10 იქ ვერ გავწირავ მამასა,
ციხეს დაუნგრევ ისრითა,
წვერზე გადავდებ ქამანდსა.

40. ნაროზ ბლოელი

ბლოჩი გაზდილას მინინო,
ქორი ზარებულ მკივანი,
უწოვავ ქრისტის დედაი,
განთ კორცივლისა? —
რძიანი.

მეორე ნექაფსოელსა,
თითნი ვადაზე ხკრიანო.
მესამე შამოუბრუნა,
სისხლის წყარონი დიანო.

5 საფერკედ ზერდავ შახკაზმა,
ზედ ქორი შაჯდა მკრიანი,
ბლო-ღელე გარდაავლივა,
საძელე მწევანილიანი,
შუშპრობით ჩამაავლივა

25 ლურჯას კელ დახკრა,
დაღვედრა:
„შინ წეედ, ოკერ-ტიალო“.
თავს დააკეცა ლაგამი,
წვრილ-წვრილად
მასკვლავიანი.

10 ქოთანის ბექნი კლდიანნი.
ტიმღელნი, ნექაფსოელნი
ჯუთას სამზირლა დიანო,
ჩაუსხდეს გზის თავ,
გზის ძირა,

ფარი დახკიდა ტახტასა,
30 მათრაკი ოქროიანი.
ბლო-ღელეს ლურჯა
მოტირის,
აისრ რო ქალი თმიანი:
„ჯუთას მამიკლეს პატრონი,
შინ მაოლ ოკერ-ტიალი“.

15 ჯერე იომა ცხენ-დი-ცხენ,
მშვილდი აყეფა რქიანი,
მემრ კმალი ამამღერა
ვადათით მელანქრიანი.
ერთი შამახკრა ტიმღელსა,

35 —„რა გატირილებს,
ლურჯაო?
მაგიკლეს სახელიანი,
კვესურთა სანამეტნაოდ
ქმალ მაიქნია ფხიანი“.

20 ნაწყვეტნი გზის ძირ
ხკრიანო.

- | | |
|---|--|
| <p>ჯურხა ცხენს ეტყვის:
 გენაცვლე,
 აწ მახანენ გზანიო;
 ცხენმა შაიტყვა, აჩქარდა,
 პატრონის ნაუბარიო.</p> <p>5 შაწუხებულმა მერანმა
 ჩაღეწა ნალურსმალიო.
 ჯუთისას შამაიარა,
 ნახ სოფელ ნაოხარიო.
 ტიროდა ჯუთელთ ქალ-
 რძალი,</p> <p>10 დიდ იდგა ცოდო-ბრალიო.
 —ღმერთო, უშველე! —
 იძახან</p> | <p>გმირის თოთელის დანიო,
 ჯურხას ეძახან ტირილით:
 —წადი, გეწეროს ჯვარიო,
 15 იბრძვიან სანამ ჯუთლები,
 ადგას მტრისაგან ძალიო,
 არ მთავლივით თოთელი,
 მაგრად უჭირეთ მხარიო.
 სისხლი უღუღდა ჯურხასა,
 20 ფერი დაიდვა მკრთალიო,
 მე მაგათ ჯავრი შეეკამო,
 ნუ მიტიროდით მკვდარიო,
 დეზი ჰკრა, წითლა გამალდა,
 ეგ მუხლით ნიავ-ქარიო.</p> |
|---|--|

42. მითხოვლებ გადიდებულა

- | | |
|---|---|
| <p>მითხოვლებ გადიდებულა,
 აღარა კაცის წარზედა,
 უღუმლივ ყრიან ლაშქარსა,
 კმას დაიგდებდენ სხვაზედა:</p> <p>5 აცეხ გამოსულს მუშასა
 ჩამოეხვიენენ სამზედა,
 ახალნი შემეეგებნენ,
 სტუმართ რო თავის კარზედა,
 ერთურთის მემჯობინართა</p> <p>10 კვამლი დაბადეს კვამლზედა.
 გორგოლაათი კვირიკა
 მარტო შაუღდა ძალზედა.
 ბრალია შენდა, კვირიკავ,
 არწივ დაიკანჯ მკარზედა;</p> <p>15 შოკორიშვილსა დაუკრათ:</p> | <p>სადილ თქვენც გინდათ
 გზაზედა.
 მთაჩი ეძახდა ყორანთა,
 — სისხლის მიზლით
 კვალზედა,
 ამბავ ლამაზად მოიღე,
 20 კვდარ ვიზე მივა კარზედა,
 ე ისი ქვე იკითხიდი,
 რომელზე გვიყუევს ჯავრზედა,
 დანდობამც გამობრუნდება
 სიმაგრე ნაქნარ ჯვარზედა;</p> <p>25 უფროსებ ნუ დაიცილებთ
 კვირიკას ჯვარის კარზედა,
 ა იქ ნამყოფებ ვაჟია,
 სათავის დასხი ჯარზედა.</p> |
|---|---|

43. წოვათას ციხის აბეგენ

- | | |
|--|---|
| <p>წოვათას ციხეს აგებენ,
 ციხესა აღმასისაო;</p> <p>4. ქართული ხალხური პოეზია, ტ. II, ნაკვეთი 2</p> | <p>აგაშენებენ ხურონი,
 ლამაზ ნაგებო ქვისაო.</p> |
|--|---|

5 შიგნით მართავენ ოთახებს
საომრად ბიჭებისაო.
ქისტეთში ქისტებ გაიგეს,
მძიმედ მიღგ-მოღგებისაო:
წავიდეთ ჩვენა, ჩავტეხოთ
10 ციხეებ წოვათისაო;
ციხენ-ძროხა შემოვირეკოთ,
დავლას მივიღებთ ბევრსაო;
საკვებურად მოვიყოლოთ
მარჯვენა თუშებისაო.
15 წოვათას ვერას ჩასტეხავთ,
კოკა არ არის წყლისაო.
წოვათის წოვათ ბიჭებსა
ყამი არა აქვთ მტრისაო.
შეყრილა ქისტის ჯარები,
20 ნამ არ გადასწვდებ ცისაო.
გამოდის მაგახის ლელეს
წოვათის მუქარაზედა.
გალაღებულა ბელადი,
ჰკვაზე არიგებს ჯარსაო:
25 საცოლეთ აგარჩევიანებთ
ქალ-რძალსა წოვათისაო.
საგირთას ჩამოდგებიან
ციხურის ამოსვლის ხანსაო.
გაიგეს საგირთელებმა,
30 სიცილ მოუვათ პირსაო;
ციხეში შექუჩღლებიან
ვეფხვები სალის კლდისაო...
გამაგრდი, ციხევე, ტიალო,
ხუროთ ნაგებო ქვისაო;
35 შემოგეხვივნენ ქისტები,
თოფის დაგხვევენ ალსაო.
ელიან მიშველებასა
ბიჭების ინდურთისაო,
მზის ამოსვლის ხანს

მოჰკვილენ

40 არწივებ მალღოს მთისაო:
მოვდივართ ახალგაზრდები,
ჯავრს არ შევაკმევთ
მტრისაო!
ოთხივე კუთხივე მოგადგნენ
მეომარ თუშებისაო.
45 ომი არს საგირთაშია,
ჩამოტეხვას ჰგავს ცისაო;
თოფის აღარ არს გარჩევა,
ხლმით კუწვენ
ერთმანეთსაო...
ბევრისა სისხლი დაიდვარ
50 ამ ოხერ წოვათისაო,
წითლით შეღებეს ტიალი
ალაზან წოვათისაო.
გაბრუნდნენ დამარცხებულნი
ჯარები ქისტებისაო;
55 გადადის, ამას სჩივიან
ნახოცთა თავის მკვდრისაო:
ავი ყოფილა ნაჭერი,
ნაჭრევი თუშის ხმლისაო,
ნახევარ ველარ მოვედით
60 ამ ჩვენსა ქვეყანასაო;
მესამე მკვდარი დაჰყუდეს
მაგეხის ციხესთანაო.
ე მაგის მოლექსებელი
შუა წაროში ზისაო,
65 სამი მეც მერგო მარჯვენა
მანდ ნახოც ქისტებისაო;
ორმოცი ჩვენც კი მოგვიკლეს
საგირთის ომობასაო.
ბევრისი დედა ატირა,
70 ცრემლით იბანენ პირსაო,
ორმოცი ერთ დღეს
დავმარხეთ,
ვინლა მოგვივა შინაო!..
ნუ სტირით, ჩვენო დედებო,
წესია დროებისაო,

- 75 მომკვდარი ღმერთმა
 აცხონოს,
 სულეთს გაიღებს გზასაო,
 ვინც დარჩებ სახელოვანებს,
 არ გაუტყდება მტერსაო...

44. მინდია ბერდიშვილი

- ნუ მახკლავთ არხოტიონსა,
 ქისტებო, მინდიასაო!
 თუ მახკლავთ, არ დაიჭვრებთ,
 წყალს ნუ გაატანთ
 მკვდარსაო! 10
 აქებენ კირჩლაის შვილსა,
 გრანჯას ამბობენ კასაო.
 შურის საძებრად წამავლენ,
 მაგრა ჩაიცმენ ჭლანსაო.
 თოფ გადის ნეთხის ძირშია,
 ქარაფნ უცემენ თვალსაო.

45. ნისლაურიძე

- ნისლაურისძე კირჩლაი
 კლდისა ვეფხვია მწკლიანი.
 სიბერე ლომსა არ უშლის,
 ას მაინც სახელიანი.
 5 ბევრჯელ ჩავიდა ღიღლოსა 10
 საომრად გულ-ჯავრიანი,
 ბევრჯელ ისრითა კირიმი,
 მთა და ბარს ედგა გრიალი,
 ბევრკან დააგდა ღიღლველი
 დაჭრილი, პირ-სისხლიანი.

46. მათურლები

- ვერ გაიგეთა, ფშავლებო,
 მათურელთ ცხენებმ რა
 ქნესო? 5 ან მკედრებმ როგორ
 გაიძლეს,
 ან ცხენებმ როგორ
 შასძლესო?
 მათურით დაქვეულებმა
 ამოგას ქვიშან ჩაქნესო,

47. მთიულეთში დაცემა

- ჭალაზე შამოდოდენ
 ქალი და ქალის ქმარია,
 უკვენ მოსდევდა ლაშქარი
 ძალლი ურჯულოს ჯარია.
 5 ქალი ქმარს ეუბნებოდა: 10
 დაბრუნდი როგორც
 ტარია. —
 ჭიმშოს გავარდა კირიში,
 კიტოხს დააგდო ჩქამია.
 კიტოხით ჩამედიდინეს
 შიგ დარჩეულნი ყმანია.
 კოცეს და კოცეს ლაშქარი,
 არაგვ გაწითდა წყალია.

48. თაღიაშრნი

- ამბობენ, თადიაურნო,
ჭირზე ვერ გონობთ ჭირსაო.
ხიტალეს გაგვიძახნით,
კან ხყვან განუას შვილთაო.
- 5 ჩირდილით ბაქალან
წამავლენ,
იმედ აქვ ძმასა ძმისაო.
მიუდგებიან კარზედა
ქაქმატ გაგაის შვილსაო.
„კარი-ლ გაული, ბერდიაე,
10 მსწავლე ექნები გზისაო“.
- ველ-კეთილ ამაიარეს
ხანია შულამისაო;
- დათვისჯვარ გადაიარეს,
ნამ გარდაჩქვიფეს მთისაო.
15 მითხოს პირდაპირ ჩავიდეს,
ალაგზედ ლევენ ჩდილსაო.
„ნულარ მიხვ-ქისტის
განდილო,
გულზე ნატყვივრებ
გჭირსაო“.
- ხან იყვა შულამისაი,
20 თოფმა გაიღნა კმანო;
ნადირაისა მაჟარმა
დანაყა შუბლის ძვალიო.

49. ხახაბოს დალაშქვრა მეორეჯერ

- ცხენნი მავიდეს სამზედა,
ასიას, ცერსა გზაზედა.
ივანე ღერენათაი
აბრუნდა ქარიპანზედა:
- 5 ცხენმა წინაზე მასულმა
- მჭედარ განხყუდა თავზედა.
გულოთა აპარეკასა
არ გეეყარნათ ბანზედა!
ცხენის ლურჯაის წამყვანო,
10 დაგაგდებ ბოსლის კარზედა.

50. ბაბუხუშრი

- ხამხით ტირილით წამავლენ,
ქალებ იძახდეს თავზედა:
„შენ, ძმაო, შენებ მამკლავებ
შემოდის ჩვენსა გზაზედა“.
- 5 მავიდა ასთემურაი
- სიცილით დანდობაზედა.
წინა მგზავრმ რომენმ შაიარ?
მშისწულ მამიკლეს რაზედა?
მე რომ გავზარდე პარტალა,
10 ხამხას გაღმეტდა გორზედა.

51. ცისკარმა ამონანათა

- ცისკარმა ამონანათა,
ფუძე შეიძრა ცისაო,
ვარსკვლავნიც ეფარებიან
შორი მზის შუქის
ჩრდილსაო,
- 5 შავი კლდით შურთხის
კივილი
ნაკარობ გამოდისაო,
სამყირვენეს მგზავრი
დამდგარა,

- გამოჰყვებიან ძილსაო.
 ადგნიან, გაემგზავრიან,
 10 ღმერთი ახსენეს გზისაო,
 ავიდნენ სამცორნოზედა,
 მზე წითლად ამოდისაო.
 ერთი იქ დაილოციან,
 წესია თუშებისაო.
- 15 პირ ისრე გადაეშენიან,
 ყველას ღვიმ გადაჰკრისაო.
 ავა დედა მტერს, ბიჭებო,
 ხმა არის ქისტებისაო.
 ცხენზეით გადმოხტ გიორგი.
- 20 ქორივით დაბრუნდისაო,
 თოფი მოიგდო ხელშია,
 არც არას მოჰფარდისაო.
 დაუმიზნ ქისტის ტილასა,
 მეხივით გავარდისაო.
- 25 მაგრამ დაასწრეს
 რჯულძაღლთა,

- ხან არ აცალეს ცდისაო,
 გაემირეს ცხელი ტყვიითა,
 შოართყეს გულის პირსაო.
 კართაგანის მთავ მაღალო,
 30 ღვთის რისხვამ დატეხისაო,
 ჩამოგამტვრია წვრილ-
 წვრილად,
 დაბლა ხევ-ქალას მიგცაო.
 შენი ჭიუხი გამხდარა
 სანგალი ქისტებისაო.
- 35 შენთან რო ლალომდ გიორგი,
 ქვეყანა დამწყნარდისაო.
 ღიღინით სავსე თვალები
 უღროოდ დახუჭისაო,
 ხანდახან ქოჩორს
 შეგიბერტყს
- 40 ნიავი მაღლა მთისაო.
 ეს ლექსი ბაგრატმ გამოთქვა
 სახსოვრად გიორგისაო.

52. მარხვა ბაბრიძის ამბავში

- ქისტო, ვინ ხარი ქისტეთსა,
 ქისტო, ვინ ბრუნავ ბანზედა,
 აღარც გამოხვალ საამჯნოს
 აღარ დაგვიჯდებ ჯარზედა...
 5 ამოხვედ ნაყაიჩოზე,
 სახლებ შეგიყრივ მხარზედა;
 ჩამოხვედ გუდანთის მთაზედ,
 ხელი წაგიდის ხმალზედა.
 მანდ მარხვას დასძინებია
- 10 დამშვრალს, დალაულს
 მთებზედა.
 ქისტო, რათა ხკლავ მძინარსა,
 რად არ აღვიძებ ცდაზედა,

- თუშ იყო, წამოიღვიძებდ,
 აღგებოდ ხანჯრის ტარზედა.
 15 სულეთში გაბრიძე მარხვა
 ჩივილით შამოდიოდა.
 ამას ჩიოდა მარხვავი:
 ერთხელ ვინმ გამაცოცხლაო,
 სად სახლობს ციხეშიაძე,
 20 კარიმც ვინ ჩამავლევიანა:
 ორნივე ერთად შეგვეყარა,
 თავებიმც გაგვაცდევინა;
 შორიდან სწორებს ახედვია,
 ბორტიცა გაგვავლევიანა.
- 25 თუ ვერ მოვკლავდი
 მომკვლელსა,
 მომკლან, იქ დამაწვინაო.

- შემტერებიან გილანი,
 აღარ მაძლევენ გზასაო,
 გაგლესავ ჩემო წვრილაო,
 ცერზე მოვსინჯავ ფხასაო.
- 5 შაგიბომ გაზაფხულზედა
 მსხვილსა კულაის ტანსაო.
 ღმერთისმამ ვერ დაიფარებთ
- დედის გაზდილნი ფარსაო,
 თქვენის მკედრის
 მიძალღებამა,
 10 ვერ გარმოვკლები მთასაო,
 ვერ ვათამაშებ თქვენზედა
 დავითფერულსა კმალსაო,
 ველარ წავეყონ სახლჩია
 თქვენსა ქალსა და რძალსაო!

54. ორშაბათი საღამოზედა

- ორშაბათ საღამოზედა
 ნიაღვარ ასტყდა ცაზედა,
 აქოთდეს რიყე-ქალაი,
 ფოთოლ არ დადგა ტყეზედა.
- 5 გოძია გამიაშვილო,
 ნაქებო ქვეყანაზედა,
 ნაქებო, გამარჯვებულო,
 დაუნდობარო მტერზედა.
 წამოხვალ საპანკისოდა,
- 10 თოფს გადაიგდებ მხარზედა.
 დაიპატიყებ სწორებსა
 დუქანში ღვინის სმაზედა.
 — აბა, დამლოცეთ ყველათა,
 ველარა მნახოთ წამზედა.
- 15 ბაწარის კარჩი შამოხვალ,
 მზენ დაიწვერნეს მთაზედა.
 გამაჰხე ბაწარაულსა,
 საქმე მივარდა ცდაზედა,
 დატყვრა და დატყვრა
 თოფები,
- 20 ბოლი გეება წყალზედა.
 გადად-გადმოდის ტყვიანი,
 როგორც ფუტკარი სკაზედა,
- რვა დაჰკრეს გამიაშვილსა,
 ძვალნი დაუფქვენეს
 გულზედა.
- 25 —ვაჰ, დედას თქვენსა
 ქისტებო,
 ზან არ დამცალდა ცდაზედა,
 მიწათაც გაკმეჭინებლით,
 ველათ რო ვიყვნეთ განზედა.
 გოძია ხადორს უბარებს,
- 30 შავი ჩაიცვით ტანზედა;
 შაიკრა შავნი ღურბელნი,
 ხადორს დასტირის თავზედა,
 ცრემლად ირღვნება ხადორი,
 ღვარი მიქანავს ღვარზედა.
- 35 წავიდა დაჭრილებიან,
 შავეთს მიუხდა კარზედა,
 ზემოთით გადმაახდინეს,
 დასვეს სამკვიდროს
 სკამზედა,
 მიაართვეს ოქროს ტაბლები,
- 40 კელაპტარიან თმაზედა,
 ცოდვანიც შავენდობიან,
 ნაქნარი ქვეყანაზედა.

55. ფულიკა

- აფულიკაის ფულიკავ,
კაცმა მახკელენ ჭკვანიო!
კევსურეთ რად იარები?
რა ვის მაგიდევს ვალიო?
აჭიონთ მეშეშეებმა
შორით მაგაბეს თვალიო;
- ჩაგაგდეს იწროს ხევიჩია,
მთაც ზედ დაგხურეს-დ'
ბარიო;
მეკალდურის გორს აგკიდეს,
ქისტო, მოგწყურდა წყალიო.

56. კაბა ნაროზაული

- მიკვირხარ, ჭალას მთიბელო,
რამ მაგაცდინა ჭკვანი?
საქონ ტანიეს ჩაღლაღე,
ბარია სათიბიანი.
- „თუ თივა გამითავდება,
სანეკროია ტყიანი“.
დაგიძებნია, კავაო,
ვითამ ჭიკვ იყავ რქიანი.
გამაგიყარეს საქონი,
გამახყევ გულ-ჯავრიანი.
- ბრალი ას ერეჯიფისა,
ლიშან არ ჩინდას ტიალი!
სულეთში ვერ შეაჩინე
ურჯულო დოღბანდიანი.
- მეჩვიდმეტე რო ესრიე,
ქისტებმ გაიღეს გრიალი.
ბევრკან კი ხყრავის, კავაო,
შენის კირიმის ტყვიანი.
დააწირვიენ ძროხანი,
ვაუშვენ პირ ოფლიანი.

57. არხოტს დაეცა ლაშქარი

- შენ მითხარ ჩორეხის ეხო
გადანაყარი შენია,
ოროლთა მონადირეთა,
როგორ შაუწყევი კელია.
- გამშვენებს სანადიროთა
ელიგანას წვერია,
ვაქკაცის გადანაგალო,
სხვარიგ რაად გძე ფერია.
ჰყოფილხარ ჩვენ დამლუპავი,
- ცოდვამც გექნების ჩენია,
არხოტს დაეცა ლაშქარი,
მთა დაიჭირა, ველია.
ქვენ უბნით მოდის კივილი
ღვედრის კილდისის ფერია,
- თოფი ჰკრა ღილღველთ
უფროსსა,
დარჩა უმკედრო ცხენია.

58. ჩითილათ ბოიგარაი

- ჩითილათ ბოიგარაი
გადაიკიდებს ჩარმასა.
მარტუა შამაუდკება
- მუცუ-არდოტის ჭალასა,
იმის მეტ ვერვინ აშინებს
ბათაისა დარლასა.

- გარმოვიტანე ფანდური
გამახვეწილი ხისაო,
ლექსი ვიამბათ, ფანდურო,
ამ ახალ დროებისაო.
- 5 დაფფასნათ კავაუობანი
კარგ-კარგი მოქმედისაო,
ტევსურეთ სახელ აღარ ას,
არც ხალიზი ას ცდისაო.
დახყარეს საკარყმოები,
- 10 კოშნ აღარ უდგან ხისანი,
აბეჩავ, მგელიკას შვილო,
მუკლნ შენაც გქონდენ
მგლისანი.
ბევრჯელ კი გადაიარე,
კიბენ შალლაკენ მთისანი.
- 15 ჩააწიოკენ ქისტები,
აწითებიენ ქვიშანი.
მალლით დააძლენ ყვარანნი
ცით ჩამოსულნი თბისანი.
ბეწიაი და გორგაი
- 20 ბებერ ვეფხვნი გყვან
კლდისანი.
მითხოსას ჩამაიარეს,
გზან შაკრეს ჯარევისანი.
სხვა აიფარეს სჯულძაღლთა,
თორ მაგრად დასდვეს
ლიშანი.
- 25 კახეთით არწიენ წამოვლენ
ბარს გადასულნი მთისანი,
შამაიარნეს ჭალანი,
სისხლნ შამოგვჩქეფდეს
ძისანი,
შურის საძებრად მიდიან,
ჯავრნი ჰქონ ბუსურბნისანი,
შინით ჰყავ სახლის კაცები,
მსწავლენ არ უნდან გზისანი.
- 30 ბებერმ კარმ გადაიარა,
გადიყოლნ ლეკვნი მგლისანი,
35 სრუ ღამით გადაიარნა
ჭალანი არლოტისანი,
მიცუეს სოფლის პირს
მიუსხნა,
მაგრა მჭერელნი მკრისანი,
თოფ დახკრეს ძმისა
შამკლავსა,
40 ტოტით ათხრივენეს ქვიშანი.
ამანდით დაბრუნვილებსა
ხქონ ჯავრნი ალაზნისანი,
მკერდით დახივენეს ვაყებმა
წვერნი ანდაკის წყლისანი.
- 45 მძიმე გამოხყვა მდევარი,
კვალნ ვერ დაქვლნეს
მგლისანი.
აბეჩავ, კინწათ შვილებო,
იმედნ თქვენაც ხართ
ძმისანი,
თქვენაც კი ხქენით სახელი,
50 მამყვან ხართ ქისტის
ტყვისანი.
შვიდი-რვათ გადაიარეს
წვერნი მაღალის მთისანი.
ჩააწიოკეს ქისტები,
აწითებიეს ქვიშანი.
- 55 მზორით აავსეს მთა კორხნი
ქისტების კარ-კაცისანი.
მალლით დააძლნეს
ყვარანნი
დატიებულნი ცისანი.
ჩვენამც ავმტერდეს
ქისტები,

60 სისხლნ მოგვაკეცნეს
რვისანი.
დამაგრდით ჩვენებურებო,
ხამნ არ ორთ სიკვდილისანი.
აღარ გვაქვ ვინტოკაები,
ჯავრნ რით ვიყარნათ
მტრისანი,

65 თოფნი დავლმართნათ
კირიმნი,
მშვილდნი ვაყუფნათ რქისანი.
შამავეხვივნათ მთა-წვერთა,
სანგალნ მოვივლნათ ქვისანი,
სხვაგან კი არსად წავიოლთ,
70 მქონ ჯავრნი არაყისანი.

60. ომი ბებრის ვიუცემლობის ბამო

ჩიოდეს შატილიენები:
„ვალ მოვიქადეთ ხთისაო;
ეგი არ მოგვევონდებოდა,
თავს თუ კმალ გველო
მტრისაო.
5 დაგვეცენეს თენების დროსა
ჯარ მძიმე აკვიისაო.
აცად, გათენდას, აკვანო,
კარი გველას ცისაო,
ი მემრე გაიგებოდა
10 თქვენი და ჩვენის ცდისაო!
ჩოთათა გოგოთურამა
ქავი აავსა მკვედრითაო,
სანამღი სხონ გაიგებდეს,

ერთ წინავ მაკლა ხითაო.
15 დედა ვაჟისა ვაცხონე
ბაჩაყაურის ყმისაო! —
ქავს გარედ გაუმაგრებავ
ეგრ რო ცალ-ბანა ქვისაო.
არც ქალი წააყვანია
20 გულანლის აბაისაო.
ბულოთ ლაგაზამ ატირნა
დედან აკვაჩი კმითაო.
ბრალ თქვენი, შატილიენებო,
—თავს არ ულევდით
კირსაო,
25 დახყარეთ ჯალაიათა
ბეგარი ერთის ცხვრისაო.

61. კემსურების ბალაშპრება მითხოს

ბევრამ გაკვების ქალამა
სათარეშოდა ქმარია,
ბევრამ გაბანდა ვაჟამა
სამითხოოდა ჯღანია.
5 ემზადნეს შვიდ დღეს,
შვიდ ღამეს.
ელვენ სიწმინდის ცანია.
დათვისჯვარს ერთად
შაგროვდეს,
დამშვენდა მთა და ბარია.
დათვისჯვარს გადადიოდა
10 შავ-ნაბადის ჯარია.

ჩადიან კისტნის ჭალასა,
ცხენებმ დაცვითეს ნალია.
ჩააწყვეს გუროს ჭალასა
თეთრის თოფების ჯარია.
15 ეხლა რო ჩავალთ შატილსა,
მაგის ძირ მითხო არია.
შატილს სამ დასვეს ქადაგი,
„ნუ წახვალთ!“ ბძანებს
ჯვარია.
არ დაიშალეს ქევსურთა:
20 „არ ბრუნავს ჩვენი გვარია“.
ჯერ შუალამე არ იყო,

- 25 მიტხოში დასცნეს ცანია.
 ჯარეგა გამამტვრიეს,
 ქავეებს უნაყეს კარია;
 მიღმა გორს ციხე
 მაღგლიჯეს,
 აღარ ეხვევის ცვარია.
 მემრ თერეთერლოს დაეცნეს,
 აჰხვიეს ცეცხლის ალია.
 მაიანავრეს მიტხოო,
- 30 უგზოზე დასხნეს გზანია.
 აქაის შვილის კალოსა
 ვის გიქრის დავლათს
 ქარია?
 ახალამ შუქიაურმა
 თოფს დაუძრ კონტახის
 ტარია.
- 35 სტუმარი აქაიშვილთა
 კუბოში ჩადვეს მკვდარია.
 მემრე კმლითა სცეს
 ჯინჩურას,
 ჩდილზე გაქანდა მკვდარია.
 მაშინ გატეხეს შუ-მიტხო,
- 40 მაუდის ძროხა, ცხვარია,
 ერთ კვირას მიტხოში იდგეს,
 დაქოცეს კარავანია,
 კაცი წავიდა პირ-თავქვე:
 „დაგვადგა დიდი ძალია, —
- 45 კევსურის ლაშქარ დაგვეცა,
 არიქ; გვიჭირეთ მქარია!
 ტუტილს შამოდგა ლხენითა
 კევსურთ ვაჟების ჯარია;
 ჯერე მოვიდეს ჰანთელნი
- 50 მშვილდ-ისრიანნი ყმანია;
 სხვას ხალხზე ნამეტნავადა
 იმთ გვიყვიან ძალია“.
 ტუტილს ჩაყარნეს კევსურნი,
 დიდ დადგა ცოდვა-ბრალია.
- 55 ვინ იყავ მეგრელაური?
 დიდხანს ცოცხალიმც ხარია!
 პირ-ალმე შამეეტია,
 არ დაანებეს გზანია;
 მარტუას მეგრელაურსა
- 60 სამნი სცემდიან სხვანია.
 ახალას შუქიაურსა
 შვენეირ ედგა ტანია.
 ისრ ხვდება იარაღები,
 როგორც მანძილას რქანია.
- 65 ბევრამ ესროლა ისარი,
 არ მისცეს ომის ხანია.
 გახუავ კეთეშაურო,
 ღმერთმა გაცხოონს
 მკვდარია!
 ტიტულის კიდურს
 დაბრუნდა,
- 70 ამაამღერა კმალია.
 — „გამოდი, ეხლა ვიომათ,
 მემეტე რომენ ხარია?“
 კმლითა სცა აკვათ ბელადსა,
 ფეკთ ქვეთ გალუწა მკვდარია.
- 75 მემრე კი მაგასაც დახკრეს,
 არწივს მასტეხეს მქარია.
 იძახა მარაისძემა:
 „კევსურნ, მიჭირეთ მქარია!“
 დავითათ მარაისძესა
- 80 ბევრათ უყვიან ძალია.
 მარტუამ მარაისძემა
 სამ-სამ აგორის მკვდარია.
 ემაგის მალექსებელი
 აიქ ნატანებ ვარია;
- 85 შამამაქციეს ქისტებმა,
 დავხიე არლოს წყალია.
 იქ დარჩა დავითაური,
 თორმეტი მეომარია.
 ჩემს მეტ ველარვინ მოვიდა,

90 იქად წასული ჯარია;
 ჰალაზე შამოვიდოდი,
 ტყვია მამწიეს ჩქარია;
 მამატეხინეს ბარკალი,

ტოტით ვიარე, ბრალაია!
 95 გადმუელ კვესურეთშია,
 ვატირე ქალი-დ' რძალია.

62. ამა სიმღერის მათქვამი

ამა სიმღერის მათქვამი
 მიაც შიგ ნამყოფ ვარია.
 ნეტაინ არ წავსულიყავ!
 დიდი იყვ ცოდო-ბრალაია.
 5 არლოს წყალს კვესურთ
 შვილები
 რიყედ გახქონდა მკვდარია.
 ეგრე გამავე არლოს წყალს,

რიყე მეგონა მშრალაია.
 სამას იქ დარჩა კვესური,
 10 შინ წამავედით ცხრანია.
 ჩვენც ბაჩაყმ წამაგვეყარნა,
 მარტომ გვარბოლნა ცხრანია.
 არც გვეკონდა ტყვია-წამალი,
 არცა მუკლებჩი ჯანია.

63. გერდიშვილნი და ძისტაბი

ღმერთო, ნუ დამცემ ამინსა
 ერთ ორის სიტყვის
 თქმაზედა,
 ზარალ რამოდენ მივიდა
 არხოტ ბერდიშვილთ თავზედა.
 5 ეტყოდა ბაბუტის შვილი:
 „ჩვენ წასვლა გვინდა
 ვალზედა,
 ტყემა მაისხა ფოთოლი,
 თოვლი გადვიდა მთაზედა.
 ამხანიგ არ დაგვეკირდების,
 10 თუ ვინ წამუას კვალზედა,
 ჩადიან, ჩასაუბრობენ,
 ვეფხვ-ლომნი მუქარაზედა;
 ეტყოდა ბაბუტის შვილი: —
 — ეხლა მენ გეტყვით
 ჭკვალზედა.
 15 ჩვენ ერთად ნურას
 მივდივართ,
 ვიდინათ თავთავაღზედა.

თორ თვალ რო ვინ
 შავადგას,
 მალულს დაგვისმენ
 გზაზედა“.
 წინწინ მისულსა ბეწინას
 მეჩი დაეცა თავზედა,
 20 მკარ-გვერდზე შამეექაღლა,
 დაჰგმინა გულის ჯავრზედა,
 — რადარ სწორ-სწორად
 ვიშულღეთ,
 ნაკურთხნო ვირის ტყავზედა,
 25 ვაი დამრიეთ დავლათი,
 თვალ ვერ შავადგით
 წამზედა. —
 უკან დგას ბაბუტის შვილი,
 ვეფხვი მიჰბიჯავს
 ბწკალზედა.
 30 აის დროს გადაუჩინდა.
 ჰყრიან იარაღს ტანზედა.
 აღარ მაძივა საყუჩი,

პირდაპირ დადგა გზაზედა:
 „დედას გიტირებთ“, უძანა,
 განალიზულნო სხვაზედა,
 35 მახკალით ჩემი იმედი,
 მზე დამიბნელეთ ცაზედა.
 აგიჭრავთ პატრონტაშები,
 აგიკიდებავთ მქარზედა.
 თოფი ხკრა გაბისიშვილსა,
 40 ზე ჩააქცივა ძმაზედა,
 თოფებს ისრევენ თორმეტნი,
 ტყვიავ ჩქამი გაქვს

ძვალზედა.
 გაენტა აბოინაი,
 ცეცხლი გასჩინდა ტანზედა,
 45 შენც მაჰკვედ ბუბუტის
 შვილო,
 სახელიანო ვალზედა.
 ქისტის შვილ წამაიყვანეს,
 დაჭრილ მაჰყავის გზაზედა,
 ტერლის კართ შამაასვენეს,
 50 სული დალივა წამზედა.
 წავიდა მახარობელი,
 გაბისს დაუჭდა სკამზედა —

„შენ შვილს მათქვის დავლაი,
 წასულსა მუქარაზედა“,
 55 ლარლარებს ქისტის
 გაზდილი —
 „—შვილო, რადარ მყვანდ
 ჭკვაზედა,
 კიდევაც აბაისძენი
 მკვდარს შაგიგდებენ
 მკვდარზედა“.
 ჯერგალ კი არ დალეულან,
 60 ორ მგელ კიდევ ღბავ
 კარზედა.

მალექსე ამაგისაი
 კმელა გორ ვზიორ ბანზედა,
 გვერზდე მიყუდავ ვიტონკა,
 ცხენი ფექს უცემს ნალზედა;
 65 კმალი მაქვ დავითფერული,
 ვიბომ სიცრუით ტანზედა.
 იქნებ სამ გადმაპრიალდას
 ამა თქვენ დუშმნის თავზედა,
 თქვენმა მზემ, თქვენმა
 ცხოვრებამ,
 70 დავთვალე გულის ჯავრზედა.

64. ბერდიშვილები

ლექსს იტყვის გაბიდაური,
 ვაჟ ვინაც სახელს იქამსა,
 მალე მააწყობს პასუხსა,
 არცა-რას დალღევს დიდ
 ხანსა.
 5 მთაშიგით ამბავ მავიდა,
 კმა მისწყდა დედამიწასა;
 დაბნელდა მზისა სხივები,
 ნაპირს ჩავიდა ზღვისასა;
 მალლა ატირდეს ფრინველნი,
 10 ცრემლ დაიწურეს ფრთისასა.
 „სიბრალით ველარ
 ჩავდივართ

არხოტის ჭალაისასა“.
 ამლით წამავას მზირები:
 „ჯავრს კი არ შავვკამთ
 მტრისასა;
 15 დიდხან არ ვავლევთ მზეზედა
 მამკლავსა გიჟაისასა“.
 უშიშას თვალით ვერ ვიჭერთ,
 ჩვენ ვხედავთ თოფის
 ნიშანსა.
 ჩადიან, ჩაბოინობენ
 20 ვეფხენი უშიშრად გზისასა.
 ფრინველად აკლავის ფრეები,
 არ აჩქამეშენ ქვიშასა.

25 ის კი რას მადგონდებოდა,
 ღიღღღღღებ ელიან მისვლასა!
 ბეწინას წინ-წინ მისულსა
 დაღლიშნეს, როგორც
 ჯიღდასა,
 ერთმანეთს ეუბნებიათ:
 „თვალ არ შაგვაგდას,
 ღთის მადლსა!
 თორ ომს აგვიტეხს
 ფიცხელსა,
 30 არ დაგვიფერებს სხვისასა“.
 არც-რა სწყინს, არც-რა
 ეშინის,
 მიხჰადს ნელ-ნელა სიტყვასა:
 „თვალ ვერ შაგაგდე,
 რჯულ-ძაღლო,
 ვა დედას ქვესურისასა!
 35 მაგით ორ დასანანები,
 ხანს რო არ მაძღვეთ
 ცდისასა“.
 რა დაათავა, იძახა:
 „სულ ღმერთსა, ლეში
 მიწასა“.
 კმა მისწედა ბაბუტიშვილსა
 40 ბეწინას, კუთხსა ქვისასა;
 უშიშრა შამაუციკლა
 რაზმსა პირდაპირ მტრისასა.
 თოფის კმას ერთუც გააბომს,
 ნათოზს გაიღებს ძელისასა.
 45 ბაბუტიშვილის ნასრევი
 ქისტს უმტვრევს ბეჭის
 ფიცარსა;
 სულეთ წაღლაღავს ბეწინა
 ორთავ შამტანსა წყლისასა,
 ნელა დაგვიკრეს ბეწინას,
 50 მასკვლავს მასწალვენ ცისასა.
 მესხნი გაებნეს მთვარესა

ნაპირის ადგილისასა.
 არ ბოინობენ არწივნი
 კლდეებში ჩორებისასა.
 55 სულეთში ბასილაურნი
 გზას დახყევს სამოთხისასა:
 პირს იყენებენ ნათელსა
 სანთლისას, კელაპტრისასა.
 ჯავრს გულში ჩასვლას
 ამბობენ
 60 ბერდიშვილთ ახლებისასა.
 კავშირი შახკვრენ თათბირსა:
 „იმედს არა ვართ სხვისასა“.
 ბაბუტამა და გიგიმა
 გზა დაისწავლეს მთისასა.
 65 შაკალ ჩაუსხდეს ჩდილშია,
 ძალს აკსენებენ ხთისასა,
 არხოტის ჯვარი თან სტანავ,
 ფხასაც აჩვენებს კმლისასა.
 თოფ დახკრეს ღიღღღღღის
 გაზდილსა
 70 ნაპირის სოფლებისასა.
 კმა გატყდა საურჯულოსა:
 „ფრინველნ დაფრინდეს
 მთისასა“.
 ამღას შამაკდეს ბანზედა,
 სახელს ულოცვენ კირჩლასა.
 75 არ ხკარგავთ,
 ბერდიშვილებო,
 ნაქნარსა მამ-პაპისასა.
 თქვენი კმა შორად გავიდა,
 ყურს მისწედა კელმწიფისასა.
 ამაგის მალექსებელი
 80 ნაპირს ზის კავკასისასა.
 მალლა მივნატრი ღურბელთა.
 მდინართა აერისასა,
 ახიელაში ციხესა,
 ნაგებსა აბაისასა.

65. მარტია ჳირჩლაიშვილი

- | | |
|---|--|
| <p>მარტია ჳირჩლაიშვილი
ქორ მთაში იარებოდა;
წავიდა სანადიროდა,
ვეფხვ ჳიკვებს ეპარებოდა;
5 ახლოს მისვლივა ქისტები,
სიკვდილი ეხედვებოდა.
დიდია არხოტის ჳვარი,
გაუგოდ არ მამჩებოდა;
წავიდა საშველებლადა,
10 მიქელი ემზადებოდა.
ნასრევი გომტიკაურთა
მარტიას არა ხედებოდა;
მარტიასა ნასრევი
გალოზედ აჳკვავდებოდა,
15 გომტიკაურთა დიჩინი</p> | <p>ყორანთ საქმელად კდებოდა.
ომ იქნა საჯარის წვერსა,
თოფის კმა დაჳშირდებოდა;
მარტიასა მაჳარი
20 ჳირიმებს გასჳარბდებოდა.
მარტია იმას ჩიოდა:
„თოფ სახელს მეკიდებოდა“.
შინა-ლ წამეედ, მარტიავე!
სახელი მით შენ გჩებოდა.
25 მარტია ჩალმა დაბრუნდა,
სახელ წინ ჩაუძღვებოდა;
ამლას შამაჳდა ბანზედა,
ვაჳს რაიმ ეცინებოდა.
მაულოცევდა სწორები,
30 მამას კი ეამებოდა.</p> |
|---|--|

66. მტრის ვალი

- | | |
|--|--|
| <p>ცეტნი ხართ, არხოტიონნო,
არც-რაი გკრავთ ჳკვისაო,
თავში არა გაჳტ გონისა,
მუცელში ნაწლევისაო.
5 რად ხკოცდით ბარის
დილღვლებსა?
თემია თქვენი წყლისაო.
ველობა გაუბედავის
ამლით ჳირჩლას შვილსაო.
ახიელ დაუბარებდა
10 იმ თათიას შვილსაო,
საამხანიგოდ ნაქები,
წინავ ნაცად ხყავ მზირთაო.
წავიდეს სანადიროდა,
გულში აჳკ ჳიკვებისაო.
15 თავ-თავად გაიყარნიან,
ძალნი აჳსენეს ხთისაო.
წილს ხყრიან სანადიროთა,</p> | <p>მაზვერვა სწადის მთისაო.
წვერის ძირ დაზძინებია
20 ჳირჩლათ ჳირჩლაიშვილსაო,
კლდის ძირში დაძინებულსა
სიზმარ უნახავ ცდისაო.
მეელის გათენებასა,
მასვლა უხარის მზისაო,
25 შახედავს სანადიროთა,
თვალი შააგდა მზირთაო.
აჳლიან გომტიკაურნი,
მარტიას არ მიზდისაო,
ნაჳალი მარტიასა
30 გალოზე აჩჳამდისაო.
თოფსა ეხვევის მარტია,
ყინჩა დახპარავს ჳირთაო:
„ცალღვ არ გაიარა,
თავ არ ირჩივა ხხვისაო,</p> |
|--|--|

35 აეხლა ნუ მიღალატებ,
ნუ დამილაღებ მზირთაო“.
დასწყევენ გომტიკაურნი
თემბოლოთაიშვილსაო:
„შარშ გადმოლალე
კარ-ცხენი,

40 ვალ გადმოგვიკიდე
მტრისაო“.
შორს დარჩა ჭურჯაული,
ბრალია კაი ყმისაო!
თან რო ხყვანიყვა ოდინა,
თესლს დაულევდეს
მზირთაო.

67. მიუზღენ ალუდიკასა

მიუვლენ ალუდიკასა
შენით ორთ სირცხვილიანი,
ადგეს, ჩაიდვეს საგძალი,
წვერ გაიარნეს კლდისანი.
5 ჩავიდეს კორიელაში,
დილა ას თვირთვილიანი,
მაუა ჩხორეგუელი

მანძილა რქაჯანგიანი.
ჩამაეხვიენეს თოფებსა,
10 მაერებმ გაილა ძგრიალი,
ბიძიასადამც იქნები,
ქისტ დაწევ გულს
ნატყვიარი.

68. ჰაჭმატს ვირ გამოსცილდების

ჰაჭმატს ვერ გამოსცილდების
ჯოყოლიკაის შვილსაო;
ივანეს ჯოყოლათასა
შაკერა სწადიან გზისაო.
5 საყურა ჩამოჯიგვიგებს:

„არ ვიცი ზავის ქნისაო.
ქისტო, ჩავიგდით ქელადა,
ნულარ გახედავთ ჩდილსაო“.
ჯერ თოფი დახკრა ციქქასა,
10 მემრელა ჩამოსთრისაო.

69. ჯოყოლიკატა ივანე

ჯოყოლიკათავ ივანევ,
კაცი გამოხვედ რა-ფერი?
დაბადების დღეს გამაგყო
მარჯვენა მკარზედ სანთელი.
5 შენ გაუალი არ იყო
საურჯულოს მთა-წვერი;
შენ ჩაუჯდომი არ იყო,

საც მასცემს გზისა საყელი,
შენ გამჯაყავი, ივანევ,
10 კაციმც ნუ იყოს დღეგრძელი!
ასეთ-ასეთი გაგჯაყავს,
ვინაც არ იყო შენფერი.
ამაგ სიმღერის მათქვამი
დაბადებიდგე სრუ ბერი.

70. როშპას ჯარის მოსვლა

ერთსა მეც ვიტყვი სიტყვასა,
ძმათაც რომ მაძქრან თავიო.

საძელეს გარმოდოდა
თაუუჩინარი ჯარიო,

- 5 ჩამოდის როშკის ზორხშია
ქუჩუმიანი ფარით,
დეცენეს ქმოსტსა, როშკასა
უღროოს ღროში ცანიო:
ციხეთ როშკის გორ
ნადგომთა
- 10 ჩაიცვეს მიგრის ტყავით,
შიგ ჯოყოლიკა შეუდა;
შეიღო საომარიო,
წინ-წინ მოსულსა ლურჯასა
არ მისცა რბოლის ხანიო,
- 15 ზედა ნაჯდომსა მხედარსა
წითლად უღება ტანიო.
როშკის გორ შუშპრობს
ლილღველი:
ხევსურებს შევსდევ ზარიო,
კვამლად მოვსთხოვე ბეგარი
- 20 თითო შიშაგი ცხვარიო.
ამბობენ ხევსურთ შვილები:
რად უნდა საუბარიო,
წინ-წინ მოვიდეს ღულითა
ჭრელაისშვილნი ძმანიო,
- 25 ბრალია, ჭრელაისშვილო,
არ გექნას ომის ხანიო,
ფარს ქვეთით შემოგაპარეს
ტყვია მაჟრისა ჩქარიო.
გუნდი ლიქოკით გარმოხდა
- 30 ქორის, შავარდნის ჯარიო,
მოუძღვა ლოხაურაი
ყვირილობისა ხარიო,
მეშველათ ხათუთისძემა
თოფს ახალ მისცა ტალიო,
- 35 თინიბექს გაულესავის
ღერენას შვილსა ხმალიო,
წამოხკრა საკაისშვილსა,
გალოს მოვიდეს ჭკვანიო,
ჯარიამ ჭინჭარაულმა
- 40 ხელით მოიღა ხმალიო.
გიკვეხნავ, საკაისშვილო,
ხევსურნი მინდან რვანიო,
ეხლად კი ვერ ღნახენია
ფარს ქვეშ ნაწურთნი
ყმანიო?!

71. ივანე ჯოყოლიკათო

- ივანე ჯოყოლიკათო,
შენფერ ვერვინ ა ხმლიანი,
მანამდინ სახსენებელ ჭარ,
მანამდინ ცა და მზე არი.
- 5 ივანეც, შენ სიმთელესა
მითხო არ იყო ცხვრიანი,
ძაღლებსა მითხოველებსა
ვეფხვი ეგონე მწკლიანი,
სადაც შენ აუშხარდიდი,
- 10 შინისკე ედგა გრიალი,
თოთხმეტი ქისტი მოგიკლავ,
დილა გიქნავ ზიანი.
- ღღისით კი ვერ შემოგწონეს,
ღამით ტყვიამ გყო ზიანი,
15 შენი მამკლავი, ივანეც,
მითხოში დავა ხმლიანი.
შინ არვინ დაგჩა მძებნელი,
შვილ ვერ გყავს ჯერ
წამავალი.
- ბებერ ბაჩუა ამბობდა:
20 მითხოხ სოფელში მივალი!
—ახლებ, ბაჩუავ, გაუშვი,
ბევრი გყავს ზედ მიმავალი!

72. ჯანმბატის დალაშქვრა

- ცხენს ხეაზმებს
 გულბათიშვილი
 ხაძე, ტერელოს კარზედა,
 მააკრავს საკირობელსა
 კაკმატელთ მუქარაზედა;
- 5 შადიან კისტნის ჭალასა,
 ხეადებ შაგოგვენ ნალზედა.
 დაღბერებია ხაძეი,
 დარჩა ველკეთილ მთაზედა.
 კაკმატ ჩაუშვნა თარეშნი
- 10 მაგ ჭოყოლას ჩავერზედა;
- შეთეშიშვილის ლურჯაი
 ნალვარს მიფრინდებ
 ძალზედა.
 „რა მაგამალებს, ოჯერო,
 გიძის მეთოფე გზაზედა!“
- 15 მკედრისად დალიწნებულმა,
 ცხენო, დაგჭკერითა ტანზედა“.
 ჭოყოლათ ხათუთისძეი
 გადააქდინეთ ჭარზედა —
 შინ თუ ჭოყოლა არ დახვდა,
- 20 მგლის ლეკვ დაუხვდა
 გზაზედა.

73. ჯანმბატელთ მზირი ძისტიეთში

- კაკმატით გაუბედავის
 საქისტეთოდა მზირსაო.
 გამუძღვის ხათუთისძეი,
 მუქლი შაიბა მგლისაო;
- 5 დათვისჭვარს გადმადიოდეს,
 ნამ შამაბერტყეს მთისაო;
 ანდაკზედ ჩამადიოდეს,
 კვალ ჩამაილეს მგლისაო;
 აწუნტაა ლელეს გავიდეს,
- 10 ლიშან დაუდგა ცდისაო;
 კოკიდიე ჩამაიარეს,
 ხანია მზის მოსვლისაო;
 მზირი შეყრილა მზირზედა,
 თოფის კმა ამადისაო.
- 15 ბრალია! ხათუთისძეო,
 ტანი დაგეძრას გმირსაო!
 მამკლავსაც არ გაუშვებდი,
 ლიშანს შეაგდებ კბილსაო.
- ძმაი გოგოთურ გვერდ გედგა,
 20 შავარდენ მკრებსა შლისაო.
 ფერაულთ ახალ-ვაყები
 წყნარა გახედვენ ლიშანსა,
 ეტანა ქეთელაური,
 ჭერას გონობდა მკრისასა.
- 25 „თოფი თუ არ დამიჭერებს“,
 იმედს დადგება კმლისასა...
 წინ-წინ კმა გატყდა
 არდოტში
 ამოსაქედსა მზისასა,
 შემრე კმა გატყდის
 კაკმატში,
- 30 —ჩამატეხას ღვაგ ცისასა.
 ვინ ეტყვის მაგის დედასა,
 ქალსა მაგ ჩალხურისასა?
 ბრალია ჩამოხედებოდე
 საღვურსა შავარდნისასა.

74. ბორბალ აყეფდა ყორნები

- ბორბალ აყეფდა ყორნები:
 „სად მიდის მეკოპარიო?“
- გადაღის აწუნტაზედა
 მენადირეთა კვალიო.
5. ქართული ხალხური პოეზია, ტ. II, ნაკვეთი 2

- 5 ჩაველენ ქვა-ჭიდის ქალასა,
 ავი აუტყდა დარიო.
 აჩქარდა ხათუთისძეი:
 „მტერსა მოვხკიდე თვალიო“.
 აბრუნდეს თოფის ალშია,
- 10 სისხლის დგას ნაგუბარო.
 ბრალია! ხათუთისძეო,
 ტყვიამ დაგიძრას ტანიო!
 კბილთ დახკარ თავის
 მამკლავსა,
 კისერში გაზღის კვამლიო.
- 15 გოგოთურს რა ებრალების?
 ყმაწვილ ას უმეცარიო.
 კმლითა სცა ძმისა მამკლავსა:
 „ყოფილხარ შასადარიო“.
 ბაჩუა ბეწინიკუა
- 20 გაზდამდინ მეომარიო.
 იღუათ ხოშაქის ძესა
 შინამდინ მოხყვა ჯავრიო:
 „თოფი მქონია დუშმანი,
 აღარც კმლის მექნა ხანიო“.
- 25 ამაგ ქართულის მათქვამსა
 საგონიან მქონ გზანიო.

75. აიჩავ ჩემო ძმობილო

- აიჩავ ჩემო ძმობილო,
 კაცი არა გყავ ცალია,
 ჩაჩანში ყველამ გაიგა
 შენი სახელი, გვარია.
- 5 გიქდების იარაღები,
 როგორც არწივსა მქარნია.
 შაგაგინებდეს ისინი,
 ვისაც აქვ შენი ჯავრია.
 კარგებ დაგიწყებს ქებასა,
- 10 გვერდს გიდგან რაგორც
 ძმანია.
 პრისტავის მალოდინი აქვ,
 მარტო მავიდა მგზავრია.
 დიჩინებმ მითხოველებმა
 გაქსნეს ღურბინის თვალია.
- 15 მითხოს ჩდილ ღურჯა
 შამარბის,
 ოფლ მიზღის, რაგორც
 წყალია.
 ზედა ზის ლეგა მკედარი,
 პატრონა უწყევად ჯარია.
 ქელში ბერდენკა უჭერავ,
 დახვასტულნი ხქონ მკლავნია.
 ბლოელ გიგაურ იქნების
- მითხოვლთ ნიაღვარია.
 ატირდა ქალი და რძალი,
 ერთმანეთს შასდევს ზარია.
- 25 არიქათ, თოფებ დამალეთ,
 მაგრა ჩაკეტეთ კარია,
 ყაჩაღებ ტყეში გავიდან,
 არვის მახკიდას თვალია.
 არ წავა უსიკვდილოდა,
 არვინ გაართოთ ჩქამია.
 ბევრი შაუკრავ ყაჩალი,
 წელზეით შახქსნა კმალაია“.
 ეგრა ბრუნდების შუღლშია,
 როგორც კალოზე კარია.
- 35 ეგრე აშინებს ქურდებსა,
 როგორც ღურბელსა ქარია.
 ქისტებმ თქვეს: „თოფებ
 ვესროლოთ,
 წყალში ჩავავდოთ
 მკედარია“.
 ზოგთა თქვეს: „მაგას ვერ
 მავხკლავთ,
- 40 ხატებსთან წილ-ნაყარია.
 ჩვენ მითხოს ყოფა აღარ
 ღირს,

- გავწირათ მიწა-წყალია.
რომ მავკლათ, არ
შავგვარჩენენ
ბატონს ხყვან თავის ყმანია.
- 45 ქვესურთა ახალ ვაუებმა
ხვადებს დააკრეს ნაღნია.
ნარჩევებ ემზადებიან:
„მითხოს მიგვიდევ ვალია“.
ყველას აქვ ბერდენკაები,
- 50 თოფს აღარ უნდა ტალია.
სახანოს ჰალას ჩავიდეს,
როგორც ყაზახის ჯარია.
ელოდებიან პრიკაზსა,
დადგა ზატორის ჩქამია,
- 55 კვამლ ნისლად უნდა
დაიდვას,
ტყვიამ დანაყას ძვალაია,
ქისტისა, კვესურისაი
- წავიდას სისხლის წყალია.
„რას შვრებით? უთხრეს
ქისტებმა,
რა გემართებს თქვენი ვალია?
ყაჩაღებ ტყეში გავიდეს,
წადით, დაძიეთ კვალაია.
თუ არ იქნებით ჰკვაზედა,
ბევრ გაკეთდების შკვდარია.“
- 65 ყველას გვაქვ არშავიანი,
ზოგ სახლში ხვიდავ სამია“.
მზას დადგეს მითხოვლები,
გიგაურზე ხქონ თვალნია.
შუაზე ულის პრისტავი,
- 70 არ მისცა ომის ხანია.
ღონდარგაი და გავია
ამავის საზანდარნია.
შულღში კი არ გვეშინიან,
წავიდას სისხლის წყალია.

76. ფუტკრის ჰურღი

- ა ბეჩავ ჩემო ფანღურო,
ფანღურ არა გჯობ ხისაო:
დაგიკრავ, ეგრე იძახებ,
მეგონე სპილენძისაო.
- 5 ერთსა მე ვიტყვი სიტყვასა,
ბევრი არ ვიცი თქმისაო.
მამაძაღლები ქისტები
სრუ საქურდალზე დისაო,—
მახპარვენ წიწილაშვილსა
- 10 ორსა-ოდ ფუტკრის ძირსაო.
აწყობენ ქეშღურაჩია,
ჯალაბთ წაუტანთ ტებილსაო.
გაიგა წიწილაშვილმა,
მუკლი შაიბა მგლისაო.
- 15 არავგზე შამაეწივა,
დაბლადა ქუთხის ძირსაო.
ზოგებ ჩაყარნა წყალჩია,
ზოგებ აღბღატნა ჩდილსაო.
ა იმა ღამეს ვაუაი
- 20 ღამიანაზე ზისაო.
გათენებიდგე წამოვა,
აკოს მოვიდა ძირსაო.
გავაგებიათ თათარსა,
მა თოთიას შვილსაო,
- 25 საამხანიგოდ აქებენ,
მჭერელ არა ჯობ მკრისაო.
კმა გატყდა: „ლიქოკელებო,
დევგეშველენით, ჰირსაო“.
მეთოფეობით აქებენ
- 30 მა წიწილაის შვილსაო.
მარცხენას გვერდზე
ბერდენკა,
ქისტებ ჩამადის ძირსაო.

ახყარა იარაღები,
მოართვა ნაჩაღკისაო.
35 სტიკის ბერდენკა აჩუქა,
ნაქონი სალდათისაო,
პატრონა გამაუვიდა

ას-ასი ხაზინისაო.
ეგ ლექსი დაუბარებავ
40 ლულჩი კევსურის შვილსაო,
ეგ ლექს ამაშინ ამოთქვით,
ჯარ რო დასხდების სმისაო.

77. ჰირი არ შმარჩინეს

შატილში რა ამბავ იქნა,
რა წყრომა დადგა ღთისაო?
ქალებ ატირდა ყინჩადა,
ცრემლით იბანენ პირსაო.
5 სიკვდილი ბადაისაი,
უკულმ ჩაქდომა მზისაო;
ქისტებსა გაუხარდება:
„მგელ მავისხლიტეთ
მთისაო“.
რად გაგიხარდათ, ქისტებო?
10 არვინ შაგარჩენს ჰირსაო.
ზედავ დაშჩება წიქაი,
წონა კაი აქვს მტრისაო;
ძმა მანგიური გვერდს ედგა,
მაგრა მკერელი მკრისაო.
15 ადგეს, ჩაიდვეს საგძალი,
ძალი აქსენეს ღთისაო;
ექადინ კორუათასა,
ჯავრი არ ხქონდა სხვისაო.
ქისტო, რამ გაავაგულდიდა?
20 ყამ არ გქონივა მტრისაო!

ამბავი რად არ იკითხე
სამუკათ წიქაისაო?
ქავში დაგიდგა ლოგინი,
ყამი არ გქონდა მტრისაო!
25 ქავზედ გარდვიდა წიქაი,
ფეკი გარდილა მგლისაო;
ხანჯარი გადაიყოლა,
მძებნელი ბადაისაო.
მბარუნდეს ნასახელარხი,
30 მზე ეფინება პირსაო;
მაუოს მახარობელი
მაგ ხათუთისძის შვილსაო...
სამუკავ, ნულარ სჯავრობდი,
ნულარ გაიფთხობ ძილსაო!
35 წიქამ იძებნა ბადაი,
კარი საფეხვნოს ზისაო!
ნეტავი შატილივნებო!
არვის შაარჩენთ ჰირსაო!
სახელი მამადგნ მაგიდისთ,
40 კოცა არ გიკვირსთ
 — იქ დარჩა მუჰის ლელესა
 წითლის არაყით მთვრალია
- 45 გვერდით დაუბი ლურჯაი,
 ტიროდა როგორც ქალია.
 თავით დაუსტვე დროშია,
 აქღრიალებდა ქარია;
 ჯვართანის წყალზე
 მოგვისხდეს
- 50 ლომ-ხუზაურნი ძმანია.
 წვიმურა წვიმდეს ისარნი,
 გვერდს უელავდეს კმალნია.
 კოჰლამ კი ჯვართანის გორით
 ბელელს აკერა მკვდარია.
- 55 წამოგვეწოდენ მუჰის ლელესა,
 მკვდარზე შეყარეს მკვდარია.
 თინიბექს ჯიბეს უპოვნეს
 დის მზევეინარის თმანია.
 ზედ დაანათეს ხანჯრები,
 60 დაკუწეს როგორც მხალია.

156. ზიდაი

დაიქცა ყუროს წვერები
 გაღმი-გამოღმა მთისაო,

შესწუხდა ლევანეთ სახლი,
 მკვიდრად ნაგები ქვისაო.

- 5 რაღაც ამბოვი მომხდარა
 ამ უდრო-უდრო ხანზედა,
 ურჯულოთ ჯოგი მიუდის,
 გამართულია გზაზედა.
 ეს დაინახა ფიღამა,
- 10 სულ შაიშალა ქკვაზედა;
 ბიჭიც კარგია ფიდაი,
 ნაჩვევი არის თოფზედა.
 სამი წელი იმსახურა
 ქალაქის გრანიცაზედა,
- 15 აქვე დაყარა ტყავ-ჩოხა,
 წინ მიუარა გზაზედა,
 შემოეხვივნენ ფიდასა,
 ბიჭი დაუდგა ძალზედა,
 ეხვეწებიან, გოგიშვი,
- 20 ნუ მოგვიყვანო ჯავრზედა.
 — არ შაიძლება, რჯულ-
 ძაღლნო,
 სირცხვილი მაძევეს თავზედა.
 დაუჭირა და ესროლა,
 ურჯულოს დაჰკრა გულზედა.
- 25 ქიშტმა ფორთხალი დაიწყო
 თავის ლურჯაის წელზედა.
 მეორე წამოუბრუნდა,
 ფიდას დაარტყა ყბაზედა —
 დაღონებულმა ფიღამა
- 30 თავ დაიგორა კლავზედა.
 დაინატრიდა ბიძაშვილთ,
 ვისაც გული აქვს ცდაზედა,
- აქ ვინმე ჩამაიყვანა
 იარალ ასხმულ მხარზედა.
 35 — გადამავალი ყორანო
 მაგ მოხევების მთაზედა-
 გადადი-გადაიარე,
 ყაზბეგჩი დაჯექ ბანზედა.
 ჩემი ძმა კარზე გამოვა —
 40 მოლოდინი აქვს ჩემზედა;
 სუყველა ულაპარაკე,
 რაც რომ გადახდა თავზედა.
 საქებნელად რო წამოვლენ
 მაგ გულუშაის ველზედა. —
 45 გულე ხუ შეგიშინდებთ,
 ზედ რო მომადგენ
 მკვდარზედა.
 შემეიტყობინეთ ილიას
 რომ მიმიტანონ კარზედა,
 თავისნი დამიტირებენ,
 50 გულს შემატკივრნი ჩემზედა.
 ნულარ გიხართ ზაფხული,
 ცხვრების ამოვლა გზაზედა,
 ნეტა რა ამბოვ იქნება,
 წვიმა რო წვიმდეს დარზედა;
 55 ავღარი, დიდი ქარები
 ქვა აღარ დგება ქვაზედა.
 დიდი რამ ცოდვა მომხდარა
 მაგ ლევანეთა კარზედა, —
 ატირდა ქალი და რძალი,
 60 შავად ჩაიცმენ ტანზედა.

157. ფშავლებისა და ქისტების ბრძოლა

- ნურც გათენდება ტიალი
 ორშაბათ საწყინარია,
 სამშაბათ გადმაუმტვრევავე
 ჩვენი სამშობლოს კარია.
- 5 კაცნი მავიდენ ბაჩალში:
 „ქისტებ გარეკეს ცხვარია“.
 ჯლუგას და აჩოლაურსა,
- ნუმცა ჰყოლია ცხვარია,
 მაგათი ცხვარისათვინა
 10 დაბრუნდა ცოდვა-ბრალია,
 დაერჩევიან ბაჩალითა
 ოთხნივე მეომარ ძმანია,
 წინ მირბის ნაკვეთაური
 ქორ-შავარდენი ჩქარია.

15 უკან გამოჰყვა ბერიძე,
 შვიდი წლის ნაჩობნარია.
 მესამე მკედლურ გამოჰყვა,
 გულდინჯი, თმში ცხარია.
 ჯაბაური წინ გარბოდა:
 20 — არ ვჭამოთ მტრისა
 ჯავრია.
 საქისტო გორზე ადიან,
 აქ უფრო მოკლე სავლია.
 შემოხდენ მთაწმინდაზედა,
 მთებს შემოავლეს თვალია.
 25 ერთმანეთს ეუბნებიან:
 — არ მაუტანავ კვალია?
 — აგერ, აგერა, ბიჭებო,
 ფადლაურაზე ცხვარია.
 სანგლებს დაუწყეს კეთება
 30 საცა ცუდ გასავეალია.
 — ნუ უღალატებთ ერთ-
 ურთსა,
 ძმურად უჭიროთ მხარია.
 ჩავხოტოთ ქისტის შვილები,
 მკვდარზე შევეყაროთ
 მკვდარია.
 35 დაებრუნდეთ სახელიანი,
 დავაყრევინოთ ცხვარია.
 სადილობისას გადმოჩნდა
 ჯღუგაის ვაცის რქანი,
 მოუქეჩებენ ვაცებსა,
 40 ზარებს გააქვის ჩქამია.
 — სად მიხოლ, ვაცო ტიალო,
 რად აგერივნეს გზანია?

ესროლა ნაკვეთაურმა,
 ქისტ გამოგორდა მკვდარია.
 45 — დედა გიტირე, რჯულ
 ძაღლო,
 ეხლაც გარეკე ცხვარია!
 ქისტებმაც სროლა დაუწყეს,
 რომ ნახეს თავის მკვდარია.
 შუაში შამოგვეყარნეს,
 50 ზოგორც ფარეხში ცხვარია.
 რას ეიზავთ სამი-ოთხ კაცნი,
 უთვალავი ჩანს ჯარია,
 მთაწმინდას ცხარე ომია,
 ტყვია წვიმს, როგორც
 წყალია.
 55 — გვიშველე, თამარ მეფეო,
 დაგვეკირდა შენი ძალია.
 არც თუ შენ გხურავს
 გვირგვინი,
 არც ლაშარელას ხმალია.
 ნუ მიწყენთ, დალოცვილებო
 60 ჩემ სიტყვა-პირის წყალია.
 ჩახოცეს ბატყნებივითა,
 გაქანდა სისხლის ღვარია.
 ხელნ დასჭრეს ნაკეთაურსა,
 არ შეარჩინეს ვალია.
 65 ხელნ რაღას სჭრიდი.
 რჯულ ძაღლო,
 რაღას გიზავდათ მკვდარია?!
 ეცადნეს ფშავლის შვილები,
 სანამ დასცალდათ ხანია.

158. მეცხვარის ლექსი

თუ მკითხავ, ამბავს გიამბობ,
 ამბავსა — სიმართლისასა,
 ძნელია გასაგონადა,
 გულს დასწოვს ვაჟკაცისასა.
 5 აყრილს ამბობენ ლაშქარსა

ურჯულოს ქისტებისასა;
 გროხნისკენ დაბრუნებულან,
 ქვას მამტვრევენ კლდისასა.
 ქისტი ქისტს ეუბნებოდა
 10 ცხვრისასა მეცხვარისასა.

- მაცნე მიუვა მწყემსებსა,
მზეს ეფიცება ხვთისასა.
ცხვარი აჰყარეთ, მწყემსებო,
წყალს გავსცდეთ ქვენა
მთისასა.
- 15 გოგამ სთქვა ხარხელაურმა:
ვა, დედის ჩემის მტრისასა,
მე თუ აქედან გავიქე,
ნუმცლა დავლახავ მიწასა.
დაგვეცნენ უდრო-უდროთა,
20 ცხვარ მიდის ფარებისასა,
გავხედეთ-მააბნელებდა,
ფურცელსა ჰგავდა ტყისასა.
ეგრე ტყვრებოდა თოფები,
ტოტებს ჩამოჰყრის ხისასა.
- 25 აცათ, ძაღლებო, ქისტებო,
ხანს რათ არ მაცლით
ცდისასა.
არც კი გემოზე მე გაჰმევეთ
ხორცსა ამ ჩემი ცხვრისასა
წინ გადაუდგა გოგია,
30 პირს დაიბრუნებს მგლისასა.
შვიდნი დახოცა ერთბაშად,
ელვასა ჰგავდა ცისასა.
მერე დაგვიკრეს გოგისა,
ვაჟკაცი დასცეს მიწასა.
- 35 აქა ჰყავს ბუბუნაური,
მზეს ჰფიცვენ ერთურთისასა.
გიორგიმ „ზატორს“ მოსწია:
ქისტო, შენ დაგდებ
ლოშანსა.
ქისტი ქისტს გამოსძახოდა,
40 სახელს ეტყოდა მუსასა:
— ადე, წავიდეთ, მუსაო,
ვერას გავიგებთ გზისასა.
მუსაი ველარ წამოვა.
დაბლა მტვერსა ჰლოკს,
ქეიშასა,
45 ეს რომ გაიგო პირიმზემ,
ტალღას შემოჰბერტყს
ზღვისასა.
„სამ სამი დაუხოცნია,
მიმდეგსა იუღისასა“.
ვალო საშოთხის კარი,
50 ჯვარსა სწერს სამებისასა.
ზაფხული მომიხაროდა,
წასვლა მინდოდა დისასა.
მომიგონებდეთ, სწორებო,
რომ მიხოლთ ერთურთისასა.
- 55 საქონზე თავი დასდევით,
ჯვარი დასწერეთ ხიზანსა.

159. ჯარბოთი მოღის ქისტები

- ჯარევით მოღის ქისტები,
საგძალ ჩაიდვეს ზიარი,
საკანტალაოდ მოდიან,
გზა გადმოლახეს ცვრიანი,
5 ზენა-მხრით ცხენებ მაუღის,
ჰგონავის ოხერ-ტიალი.
ნუ წახვალთ ხევსურეთზედა,
გზა გაქვისთ სახირხლიანი!
წყახვალთ, მშვიდობით
ვერ ივლით,
- 10 ხატი ჰყავ ნაწილიანი:
გიორგი ხახმატის ჯვარი
ამომავალი მზე არი.
ხახმატში „გრანიცაი“ დვა,
აბულეთ სალი კლდე არი.
ველკეთილ შამაიარეს
ლამეა, განა დღე არი.
ხმა გატყდა ბისო-ხახმატსა,
ჩახმატებს უდგა წკრიალი.
გამოღით ხახმატელებო,

20 აბა, ვინა ხარო ხმლიანი?!
 ზემოთ აბულეთ მეექცა,
 მანძილაია რქიანი;
 თოფ დაჰკრა ომაიშვილსა,
 სისხლს გადმააქვის შრიალი;
 25 ამხანიგ გამოჰქცევი,ა,
 ქისტის ქალ გარბის თმიანი,
 — სად მიხვალ, ქისტის
 გოგოო,
 ამხანიგ დაგჩა ტიალი,

რალაც რომ აბულეთი ხარ,
 30 ლეთისაგან ნაწილიანი:
 ჩოხან დახვრიტნა შვილდადა,
 ზორცს არ ებმიან ტყვიანი,
 წასდგები სამართალჩია
 მარჯვენას მხარზე ჯვრიანი,
 35 „პენციას“ გაგიმწესებენ,
 „ნაჩალიკი“ გეყავ ჰქვიანი;
 მულამაც გაგემარჯვება,
 მულამამცა ხარ ხმლიანი!

160. მშავლები ტერელოს

ლაშარს შამოცდა თამარი,
 ცხრის წლისა დედუფალიო.
 კელით მიილა მათრაკი
 შვიდ-კეცი, შვიდი მკაროო.
 5 — „ჩემებო მშავლის
 შვილებო,
 ყველამ გალესეთ კმალიო.
 ჩავიდათ ტერელოშია,
 ქისტებისა მკირს ჯავრიო“. 20
 გაიგეს მშავლის შვილებმა,
 10 ყველამ გალესა კმალიო;
 ჩავიდეს ტერელოშია,

ციხეს შამაქსნეს კარიო;
 გამაიბრუნეს საქონი,
 თან მააქვს მთა და ბარიო,
 15 გამულდა ტერელოვლები,
 თავ-თავი მეომარიო.
 მთათ იქით-აქათ გადადის
 ტერელოელთა მკვდარიო.
 ნუ დაიკვებებთ, მშავლებო,
 20 ეგ არ ას თქვენი ბრალიო.
 გვერდს გიდგათ ლაშარის
 ჯვარი,
 გიქრისთ დავლათის ქარიო.

161. ქისტეთით ქისტებ წამავლენ

ქისტეთით ქისტებ წამავლენ,
 10 საგძალ ჩაიდვეს ზიარი.
 „უნდა გადვიდათ ფშავშია,
 — „ამანდ ხომ დიდი ტყე
 არი.
 5 ცხენ უნდა წამავიყვანათ,
 უპატრონო ას ტიალი“.
 ცხენს წაიყვანდეს ოჯერსა,
 ეგონა ოჯერ-ტიალი.
 ლულის ჰალაზედ ნუ
 წახოლო

გზა გაქვისთ საჯირკლიანი.
 თუ წახოლო, კაქმატს ნუ
 მიხოლო,
 — ჯვარი ჰყავ მაცილიანი.
 გიორგიმ არცად გაგივასთ,
 დღე დავილამასთ მზიანი.
 15 ჰალაზედ შამაიარეს,
 ცხენებს მააქვის გრიალი.
 გაიგეს კაქმატელებმა,
 სიტყვა უძახეს ჰქვიანი:
 „ვაშკაცები ორთ, აქ მადით,

- 20 ქალ თუ გგონავისთ
თმიანი?“
— სრუყველამ ჩამაიარეთ,
სრუაეც თუ ვინ ხართ
კმლიანი“.
დაჯავრდეს კაკმატელები,
დადგა ახლების დგრიალი.
- 25 ველ-კეთილ ამეწიენეს,
იღგა ჩახმახის წკრიალი.
სათავეს აბულეთი ხყავ,
- ქორ-შავარდენი მკრიანი.
ჩაიციად აბულეთი ხარ,
30 სრუ მუდამ სახელიანი,
სასამართლოშიგ გარდახლო
მარჯვენა მკარზედ ჯვრიანი.
ჯამაგირს მაგიმატებდა
კემწიფე ჩვენი ჭკვიანი.
- 35 სალექსოდ გამამიგზავნეთ
ხანჯარი შეხსალიანი.

162. პირობის შიკვრა

- თუშთა, კევსურთა, მშაველთა
ლაშარს პირობა შაკრიან,
უბრძანებს ლაშარის ჯვარი:
„აქვაში ჩასვლა მწადიან“.
- 5 „ერთმანეთს ნუ
ვეულატებთ!
ჭდეებ დროშაზედ ხყარიან.
წინ თუშნი, უკენ კევსურნი,
მშაველნ ნელ-ნელად
ჩახყვიან.
ცხვარ აიტანეს აქვათა,
- 10 მითხოს თავ გარმაძიბიან.
მძიმე აუტყდა მდევარი,
კევსურთ კმლით ომი
სწადიან.
ოროლთა გულქანის ძეთა
ლაშქრის ოდენა სცადიან.
- 15 მამუქას მუჟღარაულსა
მკარნი შაორდნად აყრიან.
თოფი ხკრა აქვათ დიჩინსა.
ახლა კმლით ცემა სწადიან!

163. ჭისტებმ წაგვისხეს ჭარებში

- ლექსებ ვიამბათ ფანდურო,
აგებ დავხურათ ფარგალი,
ჩაიცი ფარგალი არ მავას,
სასხვასწლოდ იყვას
დამჩალი.
- 5 ჭისტებმ წაგვისხეს ჭარები,
მდევარ ჭყავ უკენ გამდგარი,
„შე, ტრედო, არცა ღნახენა
კადუელთ ახალგაზდანი“,
— „შამეყყარენს გზაჩიგა
- 10 სვილის ფერანი გრანჯანი,
საჩქაროდ გადაიარეს,
- გადიკვართნეს კალთანი.
მე გამამგზავნეს კადუსა,
მართლის ამბის ხარ
წამტანი,
- 15 უფროსებს გაგვიგებიე,
არ გაგვიცუდნად ჯვარ-კარი,
ნათესავ დაიბატიჯეთ,
ყანა თუ დარჩეს სამკალი,
უერთოდ არ დავბრუნდებით,
- 20 ვაყებს ფიცი აქვ ნაქნარი.
სამი მთა გადავიარეთ,
მეოთხე სარქის მაღალი,

- უნდა გადვილდეთ აიქა,
საცა რო შუა ჩაჩანი.
- 25 მავიდა მამასახლისი,
ტანჩი გაზდილი სასალი,
მაგოდენ ქისტებ მალალა,
აღარა გადასათვალი.
- 30 ტყუილ დროშია, ქისტებო.
ქექით არ მადის ავდარი,
მასწყინდა კვესურთ
შვილებსა
მაგათ ქოთი და ლალანი.
- წამაიმარჯვა ყველამა
მკართ თოფი, წელზე
ხანჯარი,
35 მარჯვენას გვერდზე
„ლიურელ“
რუსულა ხქვიან ნაგანი.
ერთმანეთს ეუბნებიან,
ყველა ღორივით დაკალი—
ძალამ დაქელა კარება
40 ლულის კალაჩი დამდგარი.

164. ლილლოთ წამავლენ ქისტები

- ლილლოთ წამავლენ ქისტები,
ამბობენ ქურდობისასა,
ტანიის ლელეს შამაქდეს,
ძალს აქსენებენ ხვთისასა.
- 5 პირდაპირ გამახედევდეს
ცხვარ-საქონს კადუელისასა.
შამახვდეს კარავანზედა,
ნეტა არჩევენ ვისასა,
არჩევენ, გამაარჩევენ
- 10 კმელათ გაგაფს ნილასა,
ამაგას არ სჯერდებიან,
ორს გაარჩევენ სხვისასა.
ამანდი დაბრუნდებიან,
ჩამაივლიან ტყისასა.
- 15 საჯორობის ძირ შამაქდეს
ნახნავსა სასვილისასა,
საჯნის-საკვეთელ დახპარნეს,
რა კარგა ჭრიდა ბუნანასა.
- 20 საულლე წაუტანავის
დასაბანავად ჭონისადა,
თან გააყოლეს ნაზადი
შიგ გასახვევად მკედრისადა.
- 25 ეულაკო ზაიელთავო
ახლოს არა ხარ ჭკვისასა,
კარის კვალ მაგიკელავის
- შინისკე გარმამფრინვალსა,
ბებერს იქ სწირავ ბიძასა.
კმა უკენ კადუს გასტეხენ,
დილას ჩამაეს მზისასა,
30 შაჩქარდეს კადუელები,
ლემადეს შალგვან ცისასა.
საჩქარო გადაივლიან,
ხან არ დალღევენ ბისნასა.
შულლ იქნის საჩქის
მაღალსა,
- 35 ჩამოტეხნას ღგავ ცისასა.
ქისტებო, კადუელები
არ გიფერებენთ სხვისასა,
სავერეტას ავერეტიებენ,
ამტვრევენ მკლავის ფიცარსა,
40 ერთ გტანავთ ჭინჭარაული,
ჯილაგს არ ხკარავც
ცდისასა,
საჩქაროდ შამაეზიდის,
ჩახმაზ მასვეის ფიცარსა.
თოფო, სამადამც გასტყდები,
45 ჯავრს რაად უშობ მტრისასა,
თავს მამკვლარს არ
დავინანებ,

ჩხუტს დამილოცვენ
რველისასა.

ამბობენ სოფლად ჩასვლასა
ამაგის მალექისასა.

165. ჟაზიკვიანთ ცხვარზე დასხმა

- გამაიბრუნეს ღილღვლებმა
ყაზიბეგიანთ ცხვარიო,
ფარების კარზე გაწირეს
წითლად ნაღები მკვდარიო.
- 5 ვინ იყავ, მენადირეო,
შორით მახკიდე თვალიო?
შუა კორქს გადმასწევციო:
„ქისტო, დაყარე ცხვარიო!
თორე ბულეჯან მოვიდა,
- 10 მგელაის შვილი ქარიო“.
კლდის ქარაფზეით ჩამუჯდა,
ტყვია დალალა ჩქარიო.
მეთოფეს ბულაჯან ხქვიან,
მაგის თოფს არ უნდ ტალიო.
- 15 „რად არ დასდგებით,
ძალღებო?
რადა გძრავთ ტყვიის
ქარიო?“
ერთ წამაიღეს დაქრილი,
ორ ემანდ დარჩა მკვდარიო.
გადვიდა მგელაიშვილი,
ახყარა საომარიო:
„ყაზიბეგიშვილ ვინა ხარ,
შინ გაირეკა ცხვარიო?“
ბულეჯანს გამაუგზავნა
აპელატი და ჯვარიო.
25 „ბულეჯან, გამამილალე,
ეკრას ტარს სპილოს
ძვალიო.
ან ჩოკა გამამილალე,
ზედ ეკრას ნატყვიარიო“.

166. დაავიწყებს ცხენის მოპარვა

- გამოემართა ქისტები,
ბრძანებაი აქვ სუღისა;
ჭალაზე შემოდრიოდეს,
მაგათ ფერი სძე ქურდისა,
- 5 სწადიან ცხენის მოპარვა,
სანამეტნაოდ ლურჯისა.
ტერღის კარ მაღალ სახვევზე
საყუჩში ვინა-ღ უზისა?
თოფი ზკრა ბუნუზუასა,
- 10 რჯულ დააცილა ქურდისა,
არსამბექ გამოქცეული
ღმერთს ეხვეწების ქუღითა.
ღედა ოცხოწე ვაჟისა,
სამართი სცოდნივ მრუღისა!
- 15 ღედა ოცხოწე, ძმობილო!
ქისტს დააცილე ცხენიო.
ვეღარ იპოეს მამკლავი,
ქისტებმ აიღეს კელიო.

167. სამითხომოდ აპირებენ ბალაშქრებას

- ამბობდა გუღანის ჯვარი:
„დიდი ორ, როგორც ყენნი.
მითხოს გადავლა მეწადა,
- 5 რა გამოვიდას მთა-ველი,
ვაცი და ვერძი დასუქდას,
ბატჯანს ზედ ესხას კრაველი“.

- გარდაიკრიფნეს ღრუბელნი,
 დარჩა სიწმინდის დარიო.
 რას ხფიქრობთ,
 ბერდისშვილებო?
 „შური გვაქვ საძებარიო“.
- 5 შაირტყი, მამასახლისო,
 ფხაზედ ნალესი კმალიო.
 წვრილა გყავთ საიმედოი
 ბერდისშვილთ ალვის ტანიო.
 ბისნის წვერ ქვიშის
 ლოგინო,
- 10 მეორ-მესამედ გთხაროი.
 გვეიმედების წვრილაი,
 უშიშათ ალვის ტანიო.
 თვალს უცემს წელთად
 ნახვევი
 აბონისა ჯარიო.
- 15 სამ დღე ალაგზედ დავლიეთ,

- თვალით ვერ ვნახეთ წყალიო.
 ხან იყვა შულამისაი,
 ჩორეხ დაგვეცა ჯარიო.
 აგვიწოკეს ცხვარ-წყემსი,
 წკმუტუნებს ქალი, ზალიო.
 20 დგას თოფის ძგარა-ძგურაი,
 ელვენ სიწმინდის ცანიო.
 ჩვენ აიქისკედ წავედით,
 საც რო თოვლიანნ მთანოი.
 25 გამაგვიდგების მღევარი,
 აგებ მაქელან მკვდარიო.
 უჩივლათ პოლიციაში:
 ჩორეხ დაგვეცა ჯარიო.
 აგვიწოკეს ცხვარ-მწყემსი,
 30 არ უნდა ვჭამათ ჯავრიო.
 ამაგის მალექსებელმა
 ფანდურს ჩაუღევ ძალიო.

169. ხუთშაბათი ჭისტებ ბადმოვლენ

- ხუთშაბათ ქისტებ
 გადმოვლენ
 თუშის ცხვრის მუქარაზედა,
 მოატანენა ხუტისა
 შულამისა ხანზედა.
- 5 თოფი დაგვიკრეს ხუტისა,
 ბოლ გაუშალეს თავზედა.
 თოფი აიღო ხუტიმა,
 ხირიმ გაიდვა მკლავზედა:
 „თოფო, მოგიკვდეს
 მქედელი,
- 10 მარჯენა გაჰხმი
 მკლავზედა“..
 სოფელში კაცი მოვიდა:
 ქისტებ დაგვეცნენ თავზედა.
 სოფლიდან მღევარ გავიდა,
 გააკრეს საკაცეზედა.

- 15 წინ დედა მოეგებება,
 ცრემლებ არ შეშრებ
 თვალზედა:
 „თოფი ვინ დამიკრ
 ხუტილოს,
 ზარიმ ვინ დამცა თავზედა“.
- 20 „მითქვიდით ბიძაშვილებსა:
 თმას ნუ უშვებენ თავზედა,
 ნუცა-ლა დიდხანს მიგლოვონ,
 ჯღომა მეც მეწად ჯარზედა.
 მე წინავ სიზმარი ვნახე:
 გვირგვინი მედგა თავზედა,
 25 ჩვენს სახლში შამოხიზნული
 ჯვარსა იწერდა სხვაზედა.
 მე მეგონ ჩემი პატრონი,
 თვალში მეჩვენა ქალადა!..
 ვალ დაგიდვიათ, ქისტებო,

30 ბერის მგლისაე თავზედა.
 დემეტრე ისევ ცოცხალ არს,
 მალ-მალ ამოვა მთაზედა.
 რადამ მოხვედით, ქისტებო,
 დედისერთაის ცხვარზედა;
 35 გზა სხვაგან მიგიდიოდათ,
 ბევრი ცხვარ იდგა მთაზედა...
 მე მაგის მოშიარეი,

ქვანიდ მივდივარ ცხვარზედა,
 თუ სახელდობრივ გინდოდეთ,
 40 მამასახლისის ცხვარზედა...
 შენდობა დემეტრეს ხუტის,
 საც რომ გარიგდეს ჯარია;
 ჩემიცალ შენდობაი თქვით,
 თავად გასწიეთ ლხინია.

170. უხათჴი ღაცემა

ლადნო, სად მიზდით,
 კეესურნო,
 სად მიხქრით ქარებულასა?
 წინ გიდგასთ გულანის ჯვარი,
 ყვიროდა ქარებულასა;
 5 მოგყვებისთ ჭაქმატის ჯვარი,
 ტიროდა ქალებურასა.

ცხვარი ავიღავთ უხათით,
 მაგიდისთ ფარებულასა.
 მაგყვებისთ მაგის პატრონი,
 10 ტიროდა დიაცურასა.
 ბევრი გესრიათ ამაგან,
 ვერც ერთი თქვენებურასა.

171. აჰორელისა მთაზედა

აჰორელისა მთაზედა
 ლურჯა სძოვდ იალაღზედა,
 ხანდისხან შეთამაშებოდ,
 შეგოგდებოდა ნალზედა.
 5 ზედ ზისა თოთოს ქედაი,
 ჩაჩქან უელავს თავზედა.

— გადმოდით, აჰოროელნო,
 ელვა დაეცა ცხვარზედა,
 ცხვარი გარეკეს თუშებმა,
 10 ქეჴა დაეცა ცისაო,
 დათოფეს მეცხვარეები,
 რისხვა დაეცა ღვთისაო!...

172. მთა გაზრა

მთა გაზრა, ქვიშა გამოჩნდა,
 ახლა ველობის ხანია;
 ზამთარში ნაკეხნ ვაჟისა
 ახლა ცხადების ხანია.
 5 თუშნი ლაშქრადა გავიდნენ,
 ქისტეთს გაიღეს გზანიო,
 პარჩის თავს გადაიხედეს,
 კარგად გაიგეს გზანიო.
 ჩაუშვეს იმათ თარეში
 10 სწორე ვახშობის ხანსაო,
 ცხენი და ძროხა გარეკეს

დიდ ბათიროელთ ცხვარიო.
 ბათირს ვინ შეატყობინა,
 ლურჯაი ჰყვანდა ჩქარიო;
 15 მღვეართ ბათირი გამოუღდ,
 ლურჯას მალღ ეჴირ თავიო.
 გზიდან დაბრუნდა ბათირი,
 ლურჯამ დააგდო ნალიო.
 წინ ცოლი მიეგებება,
 20 თვალით ლამაზი ქალიო,
 — ბათირ, რა უყავ ცოლის
 ძმა,

	ანუ თავისი ცხვარიო?		— ეჰე, ბათირო, ოხრად
	— ნუ მკითხავ, ქალო,		დაგირჩეს
	დამეხსენ.	30	ეგ შენი ლურჯა ცხენიო,
25	ჩემი მეყოფა ჯავრიო,		ცხვარიცა შენი გარეკეს,
	ბევრ ხანი ვდივე თუშებსა,		სამ ფარად გედგა მთაზედა;
	ველარ მოვკიდე თვალიო,		წყემსებიც შენი დახოცეს,
	ცოლის ძმა გზაზე დამიხვდა		მკვდარნი გიწვენან მთაზედა...
	დაქრილი, როგორც მხალიო!..		

173. ჩიღოს თავს ბერი არწივი

	ჩიღოს თავს ბერი არწივი		ბევრჯელ უქნია რიალი.
	ყორნისად დაუფერებაე;		შულამეს შესტანებთან,
	ქოსაი დ' მესველ ველობას		ბინა გაწირეს კვდრიანი.
	უდროოდ დაუბერებაე.	15	მაცნე აქვარეს წაუა:
5	აქვარის თავა მთაზედა		თუშებთ დახოცეს წყემსები,
	ცხვარიმ რად ფთხვება		მდევარ გამოუდგ აქვარელთ,
	ტიალი,		ცხენ-ქარქაშ-ლილიფიანი;
	ძილი დაუფთხვათ წყემსებსა,		ნუ მოგვდევთ, აქვარელებო,
	მთა არ მოგვკიდა მგლიანი.	20	მთებ გადვიარეთ კლდიანი,
	ნაპირ ვინ ჩამოგვიარა,		შინ წაუვიდენ დედებსა,
10	თუშეთს ვინ იყო ხმლიანი?		მგლებია პირ-სისხლიანი!...
	ქოსა იქნებოდ, მეშველი,		

გუროვლებ-შატილივნიებმა

	გუროვლებ-შატილივნიებმა	10	მაგრა გვიჭირეს მკარიო,
	მტერს გაუღიან კარიო,		ჩავიდეს ორწყალაშია,
	რჯულიანს გამოუბრუნდეს,		ტყვიას მიხქონდა ჩქამიო.
	მისცეს ურჯულოს მკარიო.		სხვათ კევსურთაცა უძახეთ,
5	კელ მაუწვადეს კადუსა;	15	საც სხავ ქალების ჯარიო,
	საქონ ბევრია, ცხვარიო,		წინითი უდგას საწდვი
	ადგილ აქვ აისეთაი,		ამასაჯრავად ჯამიო.
	მტერს არ ექცევის ძალიო.		ამახკვრენ, გადააწვდიან,
	კისტნელთა, ლებაისკრელთა		ვისაც ყვითელ ხქონ თმანიო.

175. ჭისტების ლაშქრობა არხოტზე

სამშაბათს გათენებდა	იხევის დედამიწაი,
დიდი დგას ცოდო-ბრალია:	ცოდვით ჩამოდნეს ქვანია,

5 ცაზე აყენებს მასკვლავთა
 არხოტიენების ბრალია;
 სიბრალულისგან ქრებოდა
 ცისკარი ამამქდარია.

10 ორს თემს დაეცა თავზედა
 მთელი ურჯულოს ჯარია,
 უკენ ას ერავენლები,
 არც რა მისჭირეს მკარია,
 ვაუებმ ომოზის კვალადა
 ჩამაისწავლნეს გზანია.

15 „წითელ არმიან მავედით“,
 მასულთ ჩაყარნეს კმანია,
 „ამლას გვყავ გიანარალი,
 მკარზე წითელ ხკრავ
 ჯვარია,
 კომისარ ჩამაიყვანეთ,
 რომენ გყავთ მაუბარია“.

20 გათენებამდე მაკრიფეს
 სოფელში ქუდოსანია,
 მემრ იარალი მაკრიფეს:
 თოფი, ხანჯარი, კმალია,
 25 ეკლესიასთან შეყარნეს
 არხოტის ჯვარის ყმანია.
 შვიდნია ახიელენი,
 მიწას კნავს ქისტის ჯარია:
 გათენდა, მაში გაიგეს:

30 „ურჯულომ დაგვცნა ცანია“,
 ჯავრმ გაუარა ვულშია,
 კბილით დაკენიტნეს ქვანია;
 შეეკრა ყარაულებსა
 ველთ გასავალნი გზანია,
 35 სრუ დაუქერავ სოფელი,
 შაკრეს სიმაგრის კარია.
 ახლა დაეცნეს ამლასა,
 დილა თენების ხანია;
 დახკივლეს ქისტისშვილებმა,
 40 ყველამ დაღვედრა გვარია.
 თოფის კმა, ელვა-ქუხილი,

სრუ ჟერდა მთა და ბარია.
 კარში გამავა დავითი,
 ხოდედიმვილი ჩქარია,
 45 დაღვების გაკვირებული,
 თან ღგონავ საოცარია.
 აის ღროს წამაეხვივნეს
 ქისტისშვილების ჯარია.
 — ნუ მოხკლავთ,
 ქისტისშვილებო,
 50 ქვრივის გაზრდილი არია,
 დედა დაშჩების ბებერი,
 დიაცი, ახალ-ზალია“,
 არც რას შველს დედის
 ერთასა,
 სალოცავმ ახკრა მკარია.

55 სიკვდილს არ დასდევს
 დავითი,
 გულ უძე როგორც ქვანია.
 მაგით ას ბოროტიანი,
 არ მისცეს ომის ხანია.
 გაწირა წუთისოფელი,
 60 არხვატს დასწერა ჯვარია.
 მშვიდობით ამლის ციხეო,
 შენი ჩამოშლა ბრალია!
 თუ მახკვე, ღმერთმა
 გაცხონას!
 შინ ხო არ დაიმალა?!
 65 წაედით, ურჯულოებო,
 ჩავლილთამც დაგლევეთ
 წყალია!
 ისწავლე, ელამარძო,
 არხვატით წანატანია,
 მიხოლ, მიგიდის ტყვეები,
 70 მიგიდის კარავანია.
 იცოდე, არ შაგჩებოდა
 არხოტიენების ვალია,
 წინავაც გჳოცდესთ
 უღმერთოდ,

როსაც არ გედვათ ბრალია.
 75 გაქსონსთა, საამლოშიით
 გამაგილალესთ ცხვარია?
 წყემსიც ქვიშაში გაწირეს,
 ტყვიამ დანაყა ძვალა?
 ამაგის ჭალექსებელი
 80 ეგრ ტირის, როგორც ქალია,
 არც რა ვიამბე ლხინითა,

კრემლებში ჩამავთვალა-
 ეგეთან არა მეგონნეს
 არხოტ მაზდილნი ყმანია.
 85 უშინებავის ქისტები,
 ბევრ რო შაყარეს ჯარია.
 მაშინ კი გადაგაქდევნეთ,
 ტყემ რა გაიბას თვალა.

176. შალვათ ხახონი

ქევსურეთ ამბავ მოვიდა,
 დალევა წოვათ ცხვრისაო.
 ჯადუელ-ბაცალიგვლებსა
 იმედ აქვ ერთუცისაო.
 5 მიუვლენ შალვათ ხახონსა:
 „ხახონ, გავვიძველ მზირსაო“.
 ეპატიჯების ხახონი,
 ვისაც გული აქვ ცდისაო.
 დღე-ღამეს ორსავ ადენდა,
 10 არ მოხკიდებდა ძილსაო.
 წანატეს ჩამაეხვივნეს,
 ნისლებ რო გორის პირსაო.
 მითხოველთ მემცხვარეებსა
 ნიაფი უქრის მთისაო.
 15 „დაღბრუნდი საშინაოდა,

ქისტო, შენ წასვლა ქირსაო“.
 ბიძია ბენანისა
 გახედავს, თოფს უზისაო;
 „შინ ველარ წახოლ
 ცოცხალი,
 20 მაყარ მოგაბოძს პირსაო“.
 თამარისძის შვილთ წაიგდეს
 თითო-თითოი კმლითაო.
 გვერდს უდგას
 ბაცალიგვლები,
 იმედ აქვ ერთუცისაო.
 25 ივანე ხთისიანისა,
 ნატეხი ფოლადისაო.
 სახელიმც ნუ მოგეშლებისთ!
 ნაქნარ არა ჯობს სხვისაო.

177. შალვათ დაბერდა ხახონი

შალვათ დაბერდა ხახონი,
 მეუქლებს აღარ აქვს ჯანიო.
 აღარ ეშინის ვეშავსა,

უკრძალავად დის მგზავრიო,
 5 უერთოდ არ დაბრუნდების
 შალვათ ხახონის კმალიო.

178. აბა გიგაური

ქისტებს უპარავ ცხენები.
 მიტხოსკე მიუდენია.
 ნაჩალიკმ უთხრა აბასა:
 „მე იმედი მაქვ შენია“.
 5 აღე და ცხენი შახკაშზე,

გზა იცი რამოდენია.
 წინ ქურდი, შორა მდევარი,
 ამბობს თუ ვერა ვქენია.
 მივა, მიინთებს ლამფასა,
 10 თავს ღამე აღგა ბნელია.

- „მიკოცეს ამხანიგები,
ვალი მაქვ ასაქდელია“.
დარჩა და დარჩა ლურჯაი,
ხუთმეტ თუმნიან ცხენია.
- 15 „არ დასჩა, — ეტყვის
პატრონი,
— ბევრა გაკმე ქერია“.
გათენებამდინ ათაენა
მშავ-ქევსურეთის ტყენია.
ცხენ რომენმ გამაუცვალე,
20 კაი სიკეთე ხქენია.
გადაიარა ბორბალი,
თქვა: „არ ას დასაქერია“.
ყინვარათ წყალზე ქისტებსა
მონა დაედვა ფერია.
- 25 ბლოელო აფშინაშვილო,
დედა ვაცხონე შენია!
მაშინაე ის კი უძახე:
„ნულარ მიგყავისთ ცხენია!
შინ ველარ წახვალთ
30 ცოცხლები,
დაგმოკლებიანთ დღენია“.
იმათ სწორ-სწორად
იშულღეს,
საყუჩად ხქონდეს კლდენია,
- თავს ადგას მძიმე ავდარი,
ღვარ მოდის რამოდენია.
35 თოფის კმა, ელვა-ქუხილი
ბევრად არც გასაყრელია.
ლილღველი პირ-სისხლიანი
მგზავრობას დასცდა მგელია-
შენ კი დაბრუნდი, არწიო,
40 შამაიკვართვენ თბენია,
გაისწორიდი ულაში,
წელში გაიგდი კელია!
იმას მახკელავს ყვარანი,
ძევა არ უნდა შენია.
- 45 ახლა მაგონობს გზაზედა:
„გიძი მაქვ დასათვლელია“.
თორმეტ პატრონა დაუწევავ,
ას კიდევ ხქონდა სრულია.
ლექს კი ვერ გითხარ
საფერი,
50 კაი ვაჟობა ხქენია;
შაგაგინებენ ისინი,
თაოდ ვერაის მქნელნია.
მქარ-გვერდზე იწვა ო მ ა ო
ბევრაის ლექსის მთქმელია.
- 55 კალთაში უძეს ფანდური,
თავით ბოლომდი ქრელია.

179. მართსა მეც მიტყვი სიტყვასა

- ერთსა მეც ვიტყვი სიტყვასა
ვაშკაცის ცდილობაზედა.
მაიგონიდიოთ კა ვაჟი,
ჯარ რო დასხდებით სმაზედა!
- 5 ვახტანგი ბარათაშვილი
იძახდა მალალ კმაზედა:
„ქისტებმ დაგვპარეს
ცხენები,
გიგაურ გახყვას კვალზედა“,
„იმედ აქვ ლურჯაისაი,
10 მათრაც არ უნდა ტანზედა“.
- ღამის სიბნელეს არ დასდევ
იმ სახრიხლიანს გზაზედა,
სრულ ღამით შამაიარა,
ძილ არ მასვლია თვალზედა.
- 15 ომისკე გაბოროტვილი
დათვისჯვარ შაკდა მთაზედა,
შასძახნა თავის ხატებსა:
„თვალ გქონდესთ მარტო
ყმაზედა,
დამყევით, ანგელოზებო,

- 20 მივღაორ სისხლის
კვალებდა“.
მტრისა კი შიში არა აქვ,
თოფს ათამაშებს მკლავზედა.
გათენებისად ჩავიდა
მდაბლა ურჯულოს
წყალზედა.
- 25 წინა-უკენ ხყავ ქისტები,
გული აქვს ომის ქნაზედა.
„ცხენებ დაწირეთ, ძაღლებო,
ნუ მიზღით თავის ჰკვავებდა!
ამხანიგებ რო მიცვარცეთ,
ნახალიზრებო სხვაზედა,
თუ გინდა კმალ-და-კმალ
მადით,
ფრანგულზე ვცადათ
ქრავებდა!“
კელ-და-კელ სროლა
დაუწყეს,
ქისტი დახყულა თავზედა.
- 30 „ჩვენდ იყავ კაის მაქმედი,
ეხლა გეძინას ქვაზედა!“
კმა გატყდა შუას მითხოსა,
დანი ატირდეს ძმაზედა.
ცხენი წაგართვა, ბუგაჩო,
აბა წავიდა გზაზედა.
ბარაქალ, აფშინაშვილო!
წინიდგეს მასდით ცდაზედა.
მაულოციდით სახელი,
ჯაყს ნუ ვინ იტყვით კაზედა!
სიმაგრეს ქვესურეთისას
მტერ ვერ გავგივლის
კარზედა.
ბლოს უდგას მაგარ ციხეი
არწივთა ნაბუდარზედა.
ამაგ სიმღერის მათქვამი
ბერი ორ ციხის ბანზედა,
ვერ გითხარ შენი საფერი,
ჭადარ მირევაგ ყბაზედა,
ჩუსტები გამამიგზავნე,
ბაწართ ვერ ვიხვევ
ჯლანზედა
- 35

150. ნეთხით წამავა ჰისტები

- ნეთხით წამავა ქისტები
დაბარებული სუდისა,
ცხენის მაპარო სწადიან,
სანამეტნავო ლურჯისა.
- 5 ტერლის კარ მაღალ სახეებზე 10
საყურჩი ვინ რა უზისა,
დედა ვაცხოწე ვაჟისა
სამარ სცოდნივა მდრუდისა,
თოფ დახკრა ბანახუსა,
რჯული გასწირა ბურდისა.

181. ბატატი

- გარდმოვიტანე ფანდური,
ჩავათამაშე კელია.
ქვესურეთს ბატატ გაითქვა,
რო წინა დროში ლელია.
- 5 სხვა არვინ გამიგონია
ქალი ვაყების მტერია.
ახლა გამოჩნდა ბატატი,
ბაჩლელ ლელაის ფერია.
შაყარა თექვესმეტ ყაზახი,
ეგ იმათ აფიცერია.
„მითხოში უნდა გარდვიდა,
წამოვიყვანო ცხენია, —
სხვაკან არ მოიქვლების
ბატატის შესაფერია.

- 15 ტახტის თავითი მიკადავ
 აბჯარი ასასხმელია:
 ხანჯარი სპილოს ტრიანი,
 თავი-ბოლომდე ჰრელია;
 ვინტოკა არშავიანი,
 20 წინა რეჟიმი, ძველია“.
 ერთ გვერდზე ნაგან შეიბა,
 სხვას გვერდზე მაუზერია.
 აიმას ამბობს ბატატი:
 „თოვლის გაშრობას ველია,—
- 25 ქისტეთში უნდა გარდვიდე,
 მითხოს ვადინა მტვერია“.
 დელეგატ გამოუგზავნეს:
 „ბატატო, დაგვექსენიო!
 ძირს ნულარ გაუნდლებდით!
 30 გაკმეს მტერობის ხენიო“.
 ბატატმ მისწერა წერილი:
 „აჩარო მაინც ჩემიო“.
 მითხოს დაადო ბეგარი,
 ცხრა გაუქვეთა წელიო.

182. ნისლის ფერი

- წამავედ სადილოოდა,
 შავხკაზზე ნისლის ფერიო,
 ჩამაუყენე ჰალასა,
 ჩამაუქნიე კელიო,
 5 ხამხის ძირ პოსტში ჩამავედ,
 ამადიოდეს მზენიო,
 წამამეგებნეს ღილღლები,
 ზოგთ გამამართვეს კელიო,
 ზოგნ იმას მეუბნებიან:
 10 „ლურჯა გაყიდე ცხენიო!“
 „რას ამბობთ, ცხენის
 მჭამლებო?
 გაყიდვა რაის ფერიო?
 განა თქვენდ ვკვებე ლურჯაი,
 ვაჭამე თივა-ქერიო?
- 15 თაოლ მჭირდების კელშია,
 მთებ გადაშრების ჩვენიო,
 ნალნი რიყეზე წიოდან,
 არ იყოს დასაჭერიო.
 აკლიან ნისლის ფერასა
 20 გასაფრინდომლა თბენიო,
 რად მინდა თქვენი ფულები?
 თაოდ გამიდავ ბეერიო.
 ფური რად უნდა ვაშაკცსა?
 კარგ უნდა ხყვანდას ცხენიო,
 25 მკართ თოფი არშავიანი,
 წელზე ხანჯარი მჭრელიო,
 ვერ უდგებოდას ახლოსა,
 შორა დგებოდას მტერიო.

183. ქორძოს მოკვლა

- იორზე ამბავ დავარდა,
 საწყინარია ხთისაო,
 სიონს დაეცნეს ქისტები,
 საქონელ მიუღისაო,
 5 კმა გატყდა ქართველებშია,
 იარალი გაქვთ ვისაო,
 ქორძოა არხოტიონი,
 მაგრა მჭერელ ხყავ მჭრისაო,
 აჩქარდით, ეუბნებოდა,
 10 კვალ დავიძივთ მტრისაო,
 სამი სტანია ქართველი,
 სხვაკე ამლები მჭრისაო,
 აისხა იარაღები,
 აბოინაებს თვლისაო.
 15 დავლიე შასანდობარი
 წინაზე კაის ყმისაო.
 კა-ვინ მაკვდება ომშია,
 ცუდა საცხვრეში ზისაო.

- აჰყარეს ჩაჩანელები,
 ადგილი დარჩა ტიალი,
 იქ მოტევენი ჩავიდნენ,
 რომელნიც იყო ცხვრიანი,
 5 სამოცდასამი კომია,
 სოფელი იქნა ძრიალი.
 ყარეულობას რიგობენ,
 ნაპირი აქვი ტყიანი.
 ახლა გიორგის მიერგო,
 10 ვაჟია იმედიანი.
 ჭერ შუალამე არ იყო,
 მიესმა ფეხის შრიალი.
 გააღეს ბაკის კარები,
 ღვინაი მიჰყავთ რქიანი.
 15 — დაადგეთ ურჯულებო,
 ეგ ნუ გგონიათ ტიალი,
 ბერდენკა გადმოუბრუნა,
 თოფმა გაიღო გრიალი,
 რქით მოხვდა შუბლის
 ალაგას,
 20 კოსრო აგლიჯა თმიანი.
 ცოტაი ზანი გავიდა,
 ქისტმა დაიწყო ღრიალი,
 გაექცნენ ამხანაგები,
 მკვდარი იქ დარჩა ტიალი.

185. თოფებ სჭიხს საჰარეშია

- თოფებ სჭიხს საჰარეშია,
 კირიმებ თავის ჰკვაზედა,
 განს დადგენ გუდამაყრელნი,
 ვერ-ვინ შაუდგა ძალზედა.
 5 მივიდენ ფშავლის შვილები,
 ჩახმანს ჩაჰზედეს ტალზედა,
 თოფებს გააჩნდა ცეცხლები,
 ქისტებსა მკვდარი
 გასთრევდა,
 იმას იძახდენ ქისტები:
 10 „ცხვარმ გაგვილაჟა
 გზაზედა“,
 — ეგ ცხვრის გალაჭულს
 არა ჰგავ,
 ნატყვიარი სჭირს მკარზედა.
 მივიდა მახარობელი
 ბაზდეთს ქუჩეგას კარზედა:
 15 ქუჩეგა ველარ მოვალის,
 საჰარეს დარჩა მთაზედა“.
 გამოჩნდა დედა ბებერი,
 ცრემლებ ჩამოსდის
 თვალზედა:
 ცუდი ზნე გაქვის, ყორნებო,
 20 ტირილს არ იტყვიო
 მკვდარზედა,
 ვაჟაკს გულს ამაარიდებო,
 ჩამაირიგებო ჯარზედა“.

186. ლემსი იოსებ ჩიკურჩვილზე

- პატრონის დედა გიტორე
 ადგილო სატორისაო,
 ვიწრო-მაწროვო ხევ-ხუვო—
 საბუდარი ხარ მტრისაო.
 5 დაეცნენ ჩიკურჩვილსა,
 დილაზე ბინდობისაო:
 — იოსებ კარი გავგიღე,
 ხალხი ვართ მთავრობისაო.
 იოსებმ კარი გაუღო,

- 10 შიში არა აქ მტრისაო.
ხელი ჰკრეს, პირქვე დააგდეს,
თოფ მოგვე ანგლიისაო,
შეკონეს ჩეკურიშვილი,
ჩამააბრძანეს ძირსაო.
- 15 ცხენის ძუაზე გააბეს,
სიარულ გვინდა გზისაო.
გარეკეს ცხვარი და ძროხა,
ვახ, დედას კარგი ყმისაო.
საპირიქითოდ წავიდნენ,
20 თუმ-ბორბალაის მთისაო.
გადვიდნენ წიფლოვანშია,
ნაპირი მოსდგამს ტყისაო.
— თოფი დამკარით,
ძალღებო,
სიცოცხლე აღარ ღირსაო.
- 25 ახლოს მირჩვენავ სიკვდილი,
ესე ყურებას მტრისაო.
მაღალი ღმერთი რისხავდეს,
მანას სოსკარაშვილსაო,
მაგან რომ უთხრა: თოფ
დავხკრათ,
- 30 მაგას მუხლი აქ მგლისაო.
თოფ დახკრეს, ჩამოაგორეს,
როგორც ნათოსი წყლისაო.
გადმომავალმა ყორანმა
მხარი აფარა ფრთისაო,
35 ხაღორს ჩაჰყენდა ამბავი,
სიკვდილი კარგი ყმისაო.
ისმონდა მწარე ქვეთინი
მდინარე ალაზნისაო.

187. ღაპით წიკლაური

- ამლას დაიქცა ციხეი,
ჩარდახი ჩამადისაო.
ღმერთო, იწყინე, ბრალია
სიკვდილი კაის ყმისაო,
5 უდროვოდ სწორთა ჩაქობა
ოცის წლის ვაშკაცისაო!
ცოდვა ას, ჩინგლაისძეო,
მიწას ეჭირა გრილსაო,
მზეზე არ იარებოდა,
10 ლალო არწივო მთისაო!
გულ-რკინავ გაუტეხელო,
მაგრა მჭერელო მკრისაო,
სწორად თვალ-გულის
მძლეველო
თავისისა და სხვისაო,
15 თემ-წყალში გაუჯავრებო,
მტერსთან ღურბელო ცისაო!
უიარაღო არწივო,
ზედ კი შავიგდეს მზირთაო;
- შამაგეხვიენეს ცხრა-ათნი,
20 ხანი არ მაგცეს ცდისაო.
რო ნახა ქისტის ლაშქარი,
ვეფხვი კი ძავარს შლისაო.
„ვა დედას დავითისასა!“
ავღებს გულისგან გმინსაო;
25 ინატრის არშავიანსა,
თვალთ სისხლი გარმაზღისაო.
„ანამც კელთ მამცა ხანჯარი,
ოსმალის ფოლადისაო!“
ეუბნებიან ქისტები,
30 რაც ჰქვეაში მაუღისაო, —
უთხრეს: „გამაგვეყვე ნებითა,
ვაშკაცო ოცის წლისაო.
ბრალ არ გიტანავ, დავითო,
ჯავრი გვაქვ სხვა-და-სხვისაო;
35 უნდ ჩავიყვანათ ღიღლოსა,
საქსარ ავიღათ ტყვისაო“.
ცხრათ შუა ჩაუყენებავ,

40 კვლებს უჭერენ ვმირსაო.
 გაჯაერდა, ჩინგლაისძემა
 ფერი დაიდო მგლისაო.
 „ტყვედ რა გამაგყვათ,
 დაღლებოთ?
 ძალი მრისხევედას ღვთისაო!
 ვაიმე ჩემო ხანჯარო,
 ვხნედავ, რო საქმე ჭირსაო.
 45 მარტო ჩამიგდეს ცხრა-ათთა,
 მჭრელ აღარ მყავ მჭრისაო“.
 სოფელს ცეპი აქვ
 მარტყმული,
 ქება დგას თოფებისაო.
 შამაუგინა ლაშქარსა
 50 საფლავი მახმადისაო.
 „ქელთა-ღ მამეცით ხანჯარი,
 გულ სცანით დავითისაო!“
 იწყინა ქისტის შვილებმა
 პირში ქსენება მკვდრისაო;
 55 გადაუწყვეტავ რჯულ-
 ძაღლთა
 სიკვდილი ვაშკაცისაო;
 დაუცემავეის რქაზნედა,
 ჭიკვი რო ჭაუხისაო.
 პირში ღმინი აქვ დამრჩალი,
 60 ჯავრ ჩახყოლია მტრისაო.
 სულეთ შავიდა დავითი,
 ემა-მალლა კივილითაო.
 გზას მიუწათებს მოყმესა
 წინ შუქი კელაპტრისაო;
 65 ციხის სათავეს შამგდარა,
 ტოშის ემა გამადისაო;
 დაღეწა ციხის კარ-კედი,
 ნამტვრევებ გარდადისაო;
 წამაეგება ჯარები
 70 ნარჩევი ქალ-ვაჟისაო.
 უთხრეს: „მშვიდობა,
 დავითო,

ვა ბრალი ერთისაო!“
 პირ-უკულმ დადგა ჯარები,
 ცრემლით იბანენ პირსაო.
 75 მამამ ვაიგა დავითმა,
 სულეთ კარივით ხყვირსაო,
 ველარ იჭერენ მეშველნი
 მაგ მარაისძის შვილსაო:
 „სამზეოს უნდა გავიდა,
 80 ჩემი აქ ყოფნა ჭირსაო“.
 იწყინა სულეთის ღმერთმა
 არევა ჯარებისაო.
 „სამზეოს გასვლა —
 ამბობდა,
 ანდრეზად არ მადისაო“.
 85 მამა ეხვევის დავითსა,
 ცრემლები ჩამუდისაო.
 „აქ რა გინდოდა? რა მიყავ?
 ნაპირ რად დამეც ცისაო?
 დედას რა უყავ ბებერსა?
 90 ჯავრ სად წაილო მტრისაო?“
 არ გასტყდა, მაისტლის ქალო,
 დედაო კაის ყმისაო!
 სამზეო ცოტა ხანია,
 ყველას იქ გვინდა მისვლაო.
 95 ნუ გენანების დავითი,
 ხალხის სათავეს ზისაო.
 ას ყველას გამეტებული,
 ულუფა მაზდის ღვთისაო.
 ნუ გეჩქარება, თოთაო,
 100 დრო მალე მოვა მტრისაო.
 ვალ კი არ დაიკარგების,
 ამლას ჩინგლაისძისაო.
 შენაც ხარ დასანანები,
 გოგოვ თვრამეტის წლისაო,
 105 თვალ-ჭრელო, მეტად
 ტურფაო,
 ცისკარო თენებისაო,

გონებით თოფის ამლეო,
გადგა ცის სვეტი ღვთისაო.
ამაგის მალექსებელი

110 სოფლის სათავეს ზისაო.
ლექსი ვერა ვთქვი, ვაქებოთ,
საფერი დავითისაო.

188—189. ხონობზედ

შატის მონა ხობობი,
გულდიდად დაჯდა ჯარზედა,
შვილნი მოზარდნა წიწილნი
არწივის ნაბუღარზედა;
5 შვიდთავ ფრანგულეზ უყიდა,
შვიდთავ შააბა ტანზედა,
შვიდთავ ხირიმებ უყიდა,
დაჰკიდა შეიღსავ მხარზედა.
საფშაოდ გამისტუმრა, —
10 შეიღნო, მშვიდობით
გზაზედა.
ახადს, გოდერძის ციხეო,
მოგიხდენ თენებაზედა,
ცოტა ხან როგორ არ გასძელ,
ქვამც ნუ გდებია ქვაზედა;
15 იქით ქალ გამაიყვანეს,
მაჰყავთ, მოსტირის გზაზედა.
შამახვდა თხის ტყავიანი,
ამბავი ჰკითხა ჰკვავზედა:
„—ე ქალ საითლა მოგყავისთ,
ცრემლ რო ჩამოსდის
თვალზედა“.
20 „—ე ქალ ახადით მოგყავის
შატის ჩამოვსვამთ
ჯარზედა;
მაგის საქმარეც აქა გეყავ,
გაზდილი ალვის ტანზედა.
25 „—ვაჰმე, რა ონა გიქნავისთ
ლაშარის ჯვარის ყმაზედა!
თუ თქვენ ეგ წაგაყვანინოთ
წვერიმც ნუ მსხმია ყმაზედა,
შინამც ნუ მივალ ცოცხალი,

30 სწორნიმც ნუ დამსმენ
ჯარზედა“.
შვიდ ქისტმა, ერთმა
ფშაველმა
გაიკრეს ხელი ხმალებდა.
შამეგტია ფშაველი,
შვიდთავ თავ მასქრა
წამზედა,
35 შვილსაც მარჯვენა აპკრა
ერთის ამლათის ხანზედა,
შვილსავ იარად აპყარა
სულ ქალს აასხა ტანზედა;
ქალი შინ გამააბრუნა,
40 მამას მაჰგვარა კარზედა.
— წაიღე მარჯვენეები,
ციხეს მიაკარ თავზედა,
ჩემს ნაქნარ სახელს ნუ
იტყვი,
ვიყნოდეთ და-ძმობაზედა,
45 შინამდი გამოგყვებოდი,
შოსისხლენი მყვან
გზაზედა. —
შვილნი შინ ველარ
მოგივლენ,
დარჩენ მათურის მთაზედა,
დანოცნა თადიაურმა,
50 ერთის ამლათის ხანზედა.
ლუდი ადღუღე, ხობობო,
შვილთ რიგი უყავ თავზედა,
ბოროტის გამწარებულმა
გული დასცოდი ქვაზედა.

- გზას მიდიოდნენ მგზავრები,
დალაღებულნი ლხინითა,
ქალი მიჰყავდათ პირმთვარე.
ვერ გაძღებოდი ცქერიითა.
- 5 აფციაური ვაჟაი
შემოეყარა ცხენითა,
სალამი მისცა მგზავრებსა,
სიცილით წვერის რხევითა.
ყური არ უგდეს მგზავრებმა,
- 10 გასცდნენ დიდგულად
მღერიითა.
გაჯავრდა აფციაური,
გული აევსო სევდითა,
ქალმა რომ იცნა საბრალო,
ატირდა ცრემლის დენითა.
- 15 —მიეყევარ, ძმაო, ურჯულოთ
ძლივსლა გამოსთქვა ენითა.
გაჯავრდა მოყმე სიბრაზით,
მგზავრთ ეცა ხმლისა
ქღერიითა.
იმდონი თვითონ ვერ მოკლა,
- 20 ცხენმა გათელა ფეხითა.
რვა მოკლა, ერთი გაექცა,
სისხლი მისდევდა გრეხითა.
დაჯდა და ქალსა უბნობა
დაუწყო ტკბილის ენითა.
- 25 ქალმა სთქვა: — ძმაო,
წამომყე,
ვიახლოთ ნება-ნებითა,
მამაჩემს შენი სახელი
უნდა უამბო ქებითა.

- ახალში ციხეს ვაშენებთ,
ქვაზე ქვას ვაწყობთ
 გათლილსა,
საუენზე ლიბო ჩაყარეთ,
კედელს სისქე აქვს ადლისა.
- 5 მოაწყვეთ სათოფეები,
კარები რკინის ნაჭრისა,
შიგ მოგედის წყარო მილითა
ომში სასმელი ლაშქრისა.
დასამარცხებლად გვებრძვიან
10 მტერი ლეკის და თათრისა.
მაგრამ რას გვიზმენ გარედან,
ხალხსა ქვის გულში
 შაყრილსა.
ორ-სამჯერ ყოჩედ ავაგეთ
ლეკები ციხის ნაპირსა,
15 დავაძღეთ ყვავი, ყორანი,
ჭამა მასწყინდა ნადირსა.
ცოცხალი აღარ გადაგვრჩა
ლეკეთს მიმტანი ამბისა,
კიდევ მოვიდნენ თუ უნდათ,
20 ფარა გარეკონ თხა-ცხვრისა.
მანც დავხვდებით მანცა
მტერსა ზღვად
 გაღმორდნილსა,
თვითონა ვნაყავთ წამალსა,
ტყვია წინ გვიდგან ბაკნითა.
- 25 ვინც ჩვენთან მოვა
 მტრულათა,
მწარესვე ვაჭმევთ სადილსა,
არ ჩამოყრით აბჯარსა,
პერანგები გვცვაე ჯაჭვისა.
ომში ვერც ბასრი ხმალი
 სჭრის,
30 ვერც თოფის ტყვია
 შაჰსდისა,
არც მოაწყინდება მტრის
 ჯლეტა
შვილსა გოდერძის
 გაზრდილსა.
ტყვედ არც დას
 წაყვანივებს,
ტანწერილსა ლერწამ
 გაზრდილსა,
35 ახალში გოდერძის ქალი
გათქვა ცისა ნაპირსა,
ვინც ნახავს მოეკლავს
 სურვილი
მის თვარესავით
 თვალ-პირსა.
ერთხელ ერიჯთავმ
 წაგვართო,
40 მუხაც მოგვიჭრეს ხატისა,
შემოხვდა თადიაური
ფშავლების ქალის
 გაზრდილსა,
შვილსავე თავი მოაჭრა,
ხოხობის გამოგზავნილსა.
- 45 თამარი შინვე გაგზავნა,
დანდობა უთხრა და-ძმისა.
მანბრობელი მივიდა
ახალს გოდერძის ქალისა,

ანდაკში სკამენ ყორხები
 50 ქისტებსა თავებ დაქრილსა.
 ხოხობი შეილებს ვერ ნახავს,
 ტირილი უნდა შარცხენილსა,
 სად იყავ თადიაურო,

ნამი ნაბადზე გდებია,
 55 მთას ვიყავ, შური ვეძებე,
 დაღალულს დამძინებია,
 დავაწიოკე ქისტები,
 ჭერაც არ დამძინებია.

192. კახეთში ფუნჩათ ჯამრული

კახეთში ფუნჩათ ჯამრული
 ათეთრებს შუბის ტარსაო,
 ოთხითა ჰქედავს ლურჯასა,
 5 გაჰხედავს ბორბლის მთასაო.
 ვერ გადივლისა ლურჯაი,
 ვერ მაჰკიდებსა ნალსაო,
 ქარსამაულის ბინასა
 ვერ დავავლება თვალსაო.
 — ქაიავ ქარსამაულო,

10 ქმარს რად უქარგავ ტყავსაო?
 მოგივა ფუნჩათ ჯამრული,
 ძირში მოგიჭრის თავსაო,
 გაგმართებს საკახეთოდა,
 ბორბლისას გასმევს
 წყალსაო,
 15 ჩაგიყვანს ახმეტაშია,
 მოკლებზედ გავლევს გზასაო..

193. ერთ ხმესურისა

— არღოტით მზირი წამოვა,
 მავილათ საშოვარიო,
 საგათენებლოდ გააღეს
 გერგეტ საბოსლის კარიო.
 5 გამოიყვანოთ შიგითა
 ფირანთ აბაის ქალიო.
 ქალმა გაიგო, შესწუხდა,
 შინ არა ჰყვანდა ქმარიო.
 უკულმ გადიყრის ძუძუთა,
 10 მალლა შეიკრის თმანიო.
 მოვიდნენ გერგეტელები,
 გაჰკირდა შესავალიო.

„შამოდით, ნუ გეშინიან,
 — ქალმა შეუტრენნ მკარიო.
 15 წინ ჩემს საქმარეს
 დავსწვედი,
 წელთით ავგლიჯე კმალიო.
 ათ-თორმეტს ერთმანეთს
 მიჰყრის,
 მივხურე გაღენის კარიო.
 შიგ იმათ იარად დამრჩა,
 20 იმათ ფარი და კმალიო.
 იმათ სამკლავე, ჩაჩქანი,
 დღესაც ჩემთანვე არიო.

194. ხახაბოს დალაშქვრა

ხახაბოს, მიცუ-არღოტა
 ცხენთ დასხნეს შარა-გზანია.
 მინდიკათ გორის ციხეო,

შამაგეხვია ჯარია.
 5 გამადის სამხარაული,
 ჩალად ჩაყარა მკვდარია.

- ქვენ-უბან, თალას ციხეო,
ჩამადის საომარია.
- 20 ოროლთა ზვიადის შვილთა
ისარ აქე ჭორის-ცალია.
ბუყიეს ჩამეეწინეს,
ისარს აუცხეს სხამია.
- 10 თამარ ომობდა ქალია.
ჩარდახთით გადმახედულა,
გადმეეშალნეს თმანია.
მაბრუნდეს, გამაიყვანეს
25 სატრედეს ჩამეელობდა
ჩალხურთი ჭრელი კმალია
ბეენა ვამაქცეულა,
არ მაიბრუნა თავია.
ომჩი შავიდა სიმამრი,
30 სიძევ. დაუგი თვალია...
- 15 ქალი ელოდა მამასა,
ჯართ მანდილთ ასმივ
წყალია.
მემრე დასწყია მამაი:
„ნუმც შაუბავა კმალია!“

195. კირჩლას ქალი ტყვედ

- ბარაქალ, კირჩლაის ქალო!
ღმერთმა გიცოცხლოს
5 „ჩქარა გავიხენეთ გზანიო!
გაიგებს შატილივნები,
სისხლის გაივლის წყალიო“.
- მანაიო!
თავსა დაადევ ქალებსა:

196. არხოტივნებს

- ლექსობა უნდა დავიწყა,
ქება-გინება ზოგისა.
ზაფხულის მასვლას მაველით;
გვიოხრეს: „ჩვენ ლაშქარ
5 მადისა“.
- ზოგ ცირკლოვნისას წამავა,
ზოგ კი ქალაზე მადისა;
ბევრის მალემა ღფულავის
ზარბაზნისა და თოფისა.
ბევრა ვაჟ დაიმალებიხ,
10 რა ქუხილ იდვას თოფისა;
ზოგს გაულალვენ დედებსა,
ზოგს გაულალვენ ცოლ-
25 შვილსა;
ბევრს მკვეხარს გამაქცევენ,
ქალებ ტიროლან: „მარბისა“.
- 15 ნაპირის ადგილისათა
გინება როდის ხედებისა?
აბეჩავ არხოტივნებო,
მტერს ხო თქვენ უდებთ
ბორკილსა!
- მტრის ნახვა ახალგაზრდათა
20 კიდევ ურჩევავ კორწილსა;
თოფს დახკვრენ, გაიცივნებენ,
არა იციან ცოდვისა.
ვაშკაცის შინ მაკვდომასა
სიკვდილ ომის კარ სჯობისა.
- 25 იტყვიან სიკვდილიდგესა:
„სიმავრე იყვა სოფლისა“.
აღარ ასტყდების მამკვდარი,
დამდეი ღიდის ოფლისა;
მაკვდების, დაიკარგების;

30 სიცოცხლე აქვს ცოდვისა.
ამაგის მალეკსებელი

სალს კლდეში იგებს
ლოგინსა.

197. შემომეყარა ყიფჩალი

შემომეყარა ყიფჩალი
სამზღვარს მუხრანის გზისასა,
პური მთხოვა და ვაჰმიე,
ვურჩევდი თათუნისასა.
5 ხორცი მთხოვა და ვაჰმიე,
ვურჩევდი ხოხობისასა,
ღვინო მთხოვა და ვასმიე,
ვურჩევდი ბადაგისასა.
10 ცოლი მთხოვა და ვერ მივეც,
მიმყვანდა სიდედრისასა.
ან კი ცოლს როგორ
მივცემდი
შვილსა გაზრდილსა
სხვისასა.
ხელი მოჰხვია, აკოცა,
მოზიდნა ნაწნავს თმისასა.
15 შესტირა საბრალო ქალმა:

„ვამ ცოლს ცუდის ყმისასა“.
მეც გულმა ველარ გამიძლო,
მოვზიდნე ვადას ხმლისასა.
უმალვე იმან დამასწრო,
20 ელვასა ჰგვანდა ცისასა.
მაგრამ დაუცთა მუხანათს,
ვენაცვალე მადლსა ღვთისასა-
ახლა მე შემოუქნივე,
ვენდვე მადლს ლაშრის
ჯერისასა..
25 გავქერი ცხენი და კაცი,
წვერიც მომიხვდა ქვიშასა,
არ იყო ღირსი, მოშორდა
ცქერას ნათელის მზისასა,
ცოლი სიდედრსა მივეგვარე,
30 ის კი იქა სჭამს ქვიშასა.

198. ოთარას ლექსი

საწყალობელი ოთარა
იყო ნაქები გვარსაო.
სამი ჩერქეზი რო მოკლა,
მეოთხეს მიდევს კვალსაო.
5 რომ მიწეოდა მამაძალსს,
ადენდა სისხლის ღვარსაო.
ეს მამაძალი ჩერქეზი
აბზიალებდა ხმალსაო;
ოთარას თოფი მოარტყა
10 მარჯვენა თეძოს თავსაო,
—„შენ, ბიჭო ორხელაშვილო,
შენ ნუ წახედავ სხვასაო;
მამხედვე, აქ ნუ დამაგდებ
ამ გაჭირვების უამსაო!...“

15 გეიქვა ორხელაშვილი,
წამეიკიდა მხარსაო...
დაჯდა და წიგნი დაწერა,
ცოლს გოუგზავნა სახლსაო..
„ჯიქედშიდა თოფი მამხეთა
20 მარჯვენა თეძოს თავსაო;
ველარ მოგივალ ცოცხალი,
ველარ გეხვევი მკლავსაო.
ეს წერილი წეიკითხე,
იგლეჯდე ლოყის კანსაო;
25 მოკითხვა და ნახვის ნატვრა-
ჩემ კუწასა და რძალსაო.
სული ღმერთსა შემევიდრეთ,
ნუ შეიწუხებთ თავსაო!“

- | | |
|--|--|
| <p>— მალლა მთას მოდგა
უცხო ფრინველი!
უცხო ფრინველი,
თეთრი ფთიანი,
5 ბოლო—წითელი.
— ქლელეს ჩამოდგა
დიდი ლაშქარი,
ოსი და დვალი,
სულამ დვალელი,
10 ფაიქომელი.
— ომი შეიქნა
ქალაქის თავსა,
გამთენიასა,
გათენებასა,
15 მზის ამოსვლასა.
— ქნევა ხმალისა,
ძგერა შუბისა,
შუბის ნალეწი
ზეცას ცვიოდა,
20 ჩამოსციოდა.</p> | <p>— ხმალი ორპირი
სისხლში სცურავდა.
ჯაფარ გაიქცა,
სვეტი წაიქცა,
25 სვეტი ოქროსი.
— ჯაფარ, ვერ მიხვალ
შინა მშვიდობით,
ცოლს ვერ მიუტან
ლაშქრულ ამბავსა,
30 მწვანე ქოშებსა,
წითელ კაბასა.
— ჩვენი რა იქნენ
მოციქულები?
— უკან მოდიან
35 დაღალულები.
— ქვე რა მოაქყვე?
— ტანი ლაშქართა,
თავი გოდრითა,
წვრილი წელები
40 ხელ-კალათითა.</p> |
|--|--|

200. დიგორსა დასხდენ ვეზირნი

- | | |
|---|---|
| <p>დიგორსა დასხდენ დიდი
ვეზირნი,
რჩეული ბადელუანი,
მათ გამორჩევა შეექნათ:
დები გვეყავს საქონლუანი.
5 გზანი და გზანი არჩიეს
საველად კირტიშოანი.
კირტიშოს რომ ჩამოვიდენ,
გზანი დაუხვდათ წყლიანი,—
წყლიანი, ტალახუანი.
10 ზემოთით კაცი მოვიდა,
რომელს გაგნია ჰქვიანო,
ფიცხლავ შინისკენ
გაფრინდა,</p> | <p>ვით შავარდენი ფრთიანი,
ციხის სადგურას გავიდა,
15 მალლა დაიწყო ხმიანი:
ვაყებო, ფრთხილად იყვენით,
საქმეა დალატუანი.
ქვემოთით ვაყენი მოვიდენ
შეკაზმულ ჯაფარუანი;
20 თან ახლდათ გამყრელუანი.
გამყრელიძესა აქებენ,
რომელს იასე ჰქვიანო,
ფრანგული ხრმალი გასტეხა,
სისხლი ყუას აცხიანო.
25 გაუბედურდენ ოსები,
ლორის ნათხარში ჰყრიანო.</p> |
|---|---|

გიჯობდა ჯანბოთიშვილო, 30 ქვე მოსდგომოდ
 არ წასულიყავ ლეხსაო. ცხვრებსაო.
 გეჰამოს ქერის ქარჯინა,

201. იხრების ოსის ლაშქარი

იყრების ოსის ლაშქარი, 5 გაიგეს მთიულთ შვილებმა,
 სალმ მიუძღვების წინაო, წელზე შაიბეს რკინაო,
 მთიულეთს უნდა გადვიდეთ, შვიდი ათასის კაცისა
 ნაღვარევეს დავდვათ ბინაო. შვიდი წალალეს შინაო.

202. ოსების თავდასხმა სოფელ შამირაზე

აწვი წამოვლენ ოსები, 10 გარს სარგალი შემოირტყეს,
 მაცხუარელი ელია, ნაძვის სისინა ბევრია.
 კვაალეთს ჩამოიარეს, ბუჭულკიას დაუშვილსა
 ერთმანეთს მისცეს ხელია: 15 ძალი გადაყვა ჭრელია, —
 5 „საგძალი ბევრი წავილოთ, ამ ოსმა წამოიძახა:
 პურის ქარჯინა ბევრია“. „ან არჩვია, ან შევლია!“
 15 — არც არჩვია, არც შევლია,
 ცეცხლი დაანთეს ძნელია. დაგვეღვა მთელი შქმერია!

203. ხანისი

ყაისი რაჰას წავიდა, სულა გლეხი ნუ გგონია,
 ის ბასიანი თავია, ჯაფარიძენიც არია!“
 სკოდორა ლელეს გავიდა, 20 ყაისი შეხტა ქვა ქვეშა
 ხიზანს დაივლო თვალია. ფინთიზი მოხვდა ყბა ქვეშა;
 5 მეყავრე მუშა მოდიან, „წინ წამოდექი, პაპუნა,
 ფაციაშვილიც არია, თუ რომ გიჭრიდეს
 დასჭრეს გიორგელა სევანი, რხმალია“.
 უკან გაურქეს რხმალია. „მე რხმალის არა ვიცი რა“,
 წესსა კაცი გამოგზავნეს, — ჩაივლო ჩახმახს ხელია.
 10 — „გვახმარე შენი ძალია!“ 25 ჩამოკრა ჩიჩაბიძესა,
 ეს წესი და ეს სორელი ჩაართვა ცალი მხარია.
 შეიქმნა დიდი ჯარია. მამულანს ჩავიდა ამბავი,
 ყაისი უკან ჩამოდგა, ტიროდა ქალის ჯარია,
 არ დაუბნიეს კვალია. ჩამოჯდომილა ჯამბოლა,
 15 „შემოიციადე, ყაისო, 30 ჩამოუგდია თავია:
 „ღრო აღარ არი შენია, „ვინ იყო რაჰას მაგგვარი,

- ყაისს მომიჭრა თავია“.
 „ასე მოგიჭრა თავია,
 როგორც კვიჭიჭა ფხალია“.
- 35 ყაისის ცოლი ტიროდა: 40 „ჭიორის ჭალას გავიდა
 ჭია და შავი გველია;
 თუ რომ გაზაფხული მოვა,
 სორს მოუვიდებ ცეცხლსაო“.
 ჩვენც ამითი გავათავებთ
 ამ ყაისისა ლექსსაო.

204. ყაისისთანა ვაჟასა

ყაისისთანა ვაჟასა
 არ გადუვლია მთანია,
 ვინ იყო რაჟას იმგვარი,
 ყაისს მოგვიჭრა თავია.

ამოდი ხმალო ტიალო,
 ორსიყმეს თავსა ჭრიანო,
 ჩვენ რო ორსიყმე მოგვიკლან,
 ჩვენ კი რაღადა გვთვლიანო?

205. პატარა ბიჭი ოსისა

პატარა ბიჭი ოსისა
 შავარდენია კლდისაო,
 აიღო ხელში სიათა,

5 ბუჩქის ძირს ამოჯდისაო,
 — აბა, მოდით, ქართველებო,
 ვისაც გუული გერჯისაო!

206. ე ჭიკაიძე ხუცესი

ე ჭიკაიძე ხუცესი,
 ნეტა რამ გააცხარაო,
 ხურჯინი ხეზე შაჰიდა,
 წიგნები გადამალაო.

5 — წირვა და ლოცვა რად 10 გვინდა,
 ოსებს წინ შემომყარაო.
 შემოეყარა ოსებსა,
 გადვიდა კმალდაქმალაო,
 შვიდი მეეკლა მარტოსა,
 მერვე თან მაიყვანაო.

207. ჰადას აქიბენ ვაჟაკისა

ჰადას აქიბენ ვაჟაკისა
 ბეგოთ ბერაის შეილსაო,
 ზოხითა ლესაეს ხანჯალსა,
 საღესით უწყობს პირსაო,

5 ხამხისკენ გაემგზავრება, 15 მადლი ახსენა ღვთისაო;
 — ღმერთო, შენ მამატანინე,
 ნადავლი ჩემი ცხვრისაო, —
 სულ მარტოაი ჩაუხდა
 10 ე მაგ სოფლების პირსაო,

დასტაცა ცხვარი და ძროხა
 კობისკე უქამს პირსაო.
 წინ გზავნის ამხანაგებსა,
 თითონ საფარში ზისაო.
 თოფის ხმა რო გაიგონა:
 — მემრეა თქვენი ცდისაო,
 მეც მალე ჩამოგეწევით,
 როგორც ირემი მთისაო, —
 ახლა თრუსოს დასცემია,

- 20 გზები შაუკრავს ცხვრისაო,
 ეგ ანდრიაიც მოიდა,
 არწივი არაგვისაო:
 —სულ ერთი არის ჩემთვისა,
 თქვენზე ავიღებ სისხლსაო,
- 25 ერთი მწყემსი მომიკალით,
 მომვლელი ჩემი ცხვრისაო,
 მეტეხის ციხეს გაჩვენებთ,
 ვინცა ხართ ოცი წლისაო,
 იქ უფროსები წამოდგენ
- 30 — „ცამან და ცამან რვისაო“,
 თავი ანებეთ ანდრიას,
 ემაგ მთიულის შვილსაო, —
 ნადავლი გადმოავლიეს
 იმ თავად ფარა ცხვრისაო,
- 35 გამოუქეჩა ანდრიაიმ
 მა ოქროყანის ხიდსაო.
- სულ ძროხებზე დაუცვლია.
 თოხლები თავის ცხვრისაო.
 ე მაგისტანა ვაუკაცი
 40 ერთი ხუთკაცად ღირსაო,
 შკოლაში ნამყოფს ჯობია
 მაგისი გონებისაო.
 დედამ გაზარდოს აგეთი,
 იშრომოს მაგის ჭკვისაო.
- 45 გული ჰქონია რკინისა,
 ოსმალად ფოლადისაო.
 არაგვის მოსაქელია
 თავკადას ბეგოთკრისაო,
 ეგე დაგნასა ოსები,
 50 როგორც ფსიტები მთისაო,
 სუყველას ამოაშხამა
 ღუმეები ნაყოჩრისაო.

208. აბაის ქალი

- გერგეტს მივიდეთ სოფლადა,
 გავალთ ბოსლის კარიო,
 შიგათით გამოვიყვანოთ
 ფირანთ აბაის ქალიო.
- 5 ქალმა გაიგა, ატირდა,
 შინ არა ჩემი ქმარიო,
 უკიბოთ ჩაქდა ბოსელსა,
 მოასწრა ბოსლის კარიო:
 „აცადე, ოსო, ვერ გახვალ,
- 10 ღუღუშაური ვარიო!
 მოდევით, გერგეტელებო,
 ქალ მე გაუქრენ ხელნიო,
 წელთ იარალი ავყარე,
 ტანთ დავაწყვიტე ჳმალიო“.
- 15 გაუმაგრებან გერგეტი,
 ხატი და ხატის კარიო,
 ამაუშვიან ციხელნი,
- ზედ შემოუვლან ყავლნიო.
 კევურმა, მოკელეებმა
 20 საღმერთო დაკლან კარიო,
 კომლზე მოკრიფან ბეგარა
 აითო შიშავი ცხორიო.
 მოკვდეს, წავიდეს იალი,
 ერგნეს სამოთხის გზანიო,
- 25 სამოთხის კარსა მონათლა,
 წაუძღვეს ხუცის ჯარიო,
 დავლათი ღუღუშაურთა
 ღვთისგნით აქვს ნაბოძვარიო.
 დაგბერებიათ მარტია,
- 30 ახ ო რა დიდი ბრალიო,
 ბრალია მარტიასიო,
 სიბერემ უყვის ძალიო,
 არ იჯდეს თავის თაფლაზედ,
 მალლა მიჰქონდეს თავიო,
- 35 არ იღგეს ბატონის კარზედ

თავადთან შესადარიო.
 თათარას ყაზიხასასა
 არწივს მიუგავს მხარნიო.
 მაგა ლექსისა მათქომი
 40 მამის დედული ვარიო,
 დარეჯან, ერთი შარვალი,

თუ გიყორს შენი ქმარიო,
 ან დედიშენის სამშობლო,
 ან ლუღღშაურთ გვარიო,
 45 ან პაპაშენი ფირანა,
 ლეკების მეომარიო.

209. როსაფა ამირეჯიბი

როსაფა ამირეჯიბი
 ჩამოსხმულია ტანშია,
 ბიჭად, ვაჟკაცად ნაქები
 ამხანაგსა და გვარშია,
 5 ოსეთისა მოურავი,
 ყმებიც იქა ჰყავს მთაშია,
 ოსის ქალს გამოეკიდა,
 შეაგდო თავის სახშია.
 ეს რო შეიტყვეს ოსებმა,
 10 ფიქრი ჩაიდეს თავშია,
 დაირჩინენ ოსის ბიჭები,
 როსაფს დაუხედნენ გზაშია.
 როსაფა მოწინწობდა.
 როგორც ქინქლალი ცაშია,
 15 გადუყრია ყუთმაჭები,
 მოიგრიხება ტანშია.
 ერთი ოსი ამას ამბობს,
 ცრემლი მომიდის თვალშია,
 ცოდვაა მისი სიკვდილი
 20 ასე უბრალოდ გზაშია,
 ერთი ოსიც თოფსა ფერავს,
 ლამაზათ მართავს ტანშია,
 ერთი დედა-კაცი მყავდა,
 ველარ გამოდის კარშია,
 25 ამას მაინც ვერ მოვითმენ,
 ხანჯალი მცემოს თავშია,
 დაუჩოქა და ესროლა,
 მოარტყა როსაფს გვამშია,
 ოსი ტყეში გადავარდა,

30 ისე გავიდა გზაშია.
 როსაფი ამას ამბობდა,
 თუ კაი ბიჭმა მომკალი,
 ნეტავი მაინც მენახე,
 მიამებოდა თვალშია.
 35 აღუღდა გულის ჭიგარი,
 როგორც დულარე ქვებშია,
 რაც რამ ნაშენობა ქონდა,
 ყველა გამოდის კარშია.
 აღეთ, ბიჭებო, ცხენს
 40 შემსვით,
 ეგებ მივიდეთ სახშია,
 შუა გზაზე რომ მივიდა,
 სული გაგზავნა ცაშია.
 იმისმა ცოლმა სოფიომ
 45 ნახა სიზმარი ძნელია,
 უკულმა შეკაზმულიყო
 საწყლის როსაფის ცხენია,
 გარს ხალხი შემოხვევოდა,
 წინ მოუძლოდა მღვდელია.
 50 მოახლე ეუბნებოდა,
 შემოდგომაა ბატონო,
 სიზმარი არაფერია.
 მახარობელი მოვიდა,
 სახელად ერქვა ბერია,
 ყმაწვილო, ამბავს რას
 55 მეტყევი?
 მე რო ამბავს მოგახსენებ,
 მისთანა თქვენი მტერია,

- საწყლად მოგიკლეს როსაფი,
 ტყვია მოარტყეს ცხელია,
 ატირდა და გამოვარდა,
 60 დაედვა ცივი ფერია,
 აღარც ეძება ურემი,
 აღარც ეძება ცხენია.
 ქვეითად გადურბენია
 მისი მინდვრები გძელია.
 65 შეხედა, მოაქვთ როსაფი,
 დაედვა ცივი ფერია;
 სულ იმას გვეედრებოდი,
 ჭკუა ისწავლე ბრძენია,
 ნუ გინდა მყრალი ოსები,
 70 მათზე აილე ხელია,
 ნეტავი მაინც ვიცოდე,
 ვინ არის შენი მკვლელია,
 ნეტავი თვალით მაჩვენა,
 კბილით გამოვჭრა ყელია.

210. მირანგულა

- ოტ, საბრელა მირანგულა,
 დედეს ისგვა სი გარ ხორდნს,
 ნაუნხოლოშ მურყევამს ხორდნს,
 ეჩაე ჯიქდახ სანდილ-ვახშმშს.
 5 ფისეე ხაბა ჯემში ნაბოზს!
 მირანგულას ვახშმშ ოთკიდხ,
 მირანგულა დეს' ესხვიდდახ:
 ესნარ ამჩედ ლამამხვალთე სავმარეში.
 ლახასგიდნა დედე მიჩა:
 10 მაჩხფარ ზაგარ ბეჯგენილა.
 — ო, დედეში მირანგულა,
 ლეჩემე-უჩემა მანგ ჯიჩემინა,
 გზავრობ ჯერი ვეშგიმპლმანშ!
 ხაყერულდა სგიმმანშ მეჯგვანს,
 15 ამ ლეთ, ნაბოზ ჩუ ლაბბურე,
 სგიმმანშ მეჯგვა ჩუ ხოკაცა,
 ჩხარა ყვილ კან ქა ხოქვითა,
 ეჭი სავმარს ჩუ ხობაჯახ.
 ფანაშს ახლვიქდა სავმარეშ.
 20 არა-ჩხარა ქა ხოკვარა,
 არა-ლეთ სავმარ ხოდგარა,
 ფანაშსს ვეშგმავ ქა ლახჭონნე.
 ამ ხობინა ლოზ-ლიჩედი,
 ფანაშს ახლვიქდა ზურალანშ.

- 25 „ეჭ ფინთარე ზურალარე,
ფაღწას იმეი მინს ხახლენახ,
მანგ არშულურამ, მანგ ლაჩქურამ!“
აღმარს ვეშგმავ ქანდ ლასკონნე.
ამ ხობინა ლიზ-ლიჩედი,
- 30 თანაღ-ზაგარიდ ანღერი
ჩხარა ყვილ სგეებინ ხორკალა.
ეჭ ფისრაილ ვეზდენილა!
ესნარ ვეზდენს გან ლოხქეცა,
ჩუ ხოდრაჯდა თანაღ-ზაგარ.
- 35 ჰერ ათლანე კუთხვას მიჩა,
მირანგულა ეი ლამგურენე.
ეი ლამჩოქვე თემი-გარჯუშ:
„ვოჲ ღერბეთი ვოჲ სამგერთალ,
თხვიმ უწვკრად ნომა ამცვირნა!“
- 40 ჰერ ათლანდა კუთხვას მიჩა,
ვეზდენს ხაკიდ მუჭოღისგა,
ვეზდენილა ჩუდ ხოდგარა.
„ჰატ, ლგჩიევ ლი ბედი მიშგვი!
ჰანღურდ უწვკრა მანმა ხვირი:
- 45 ჩხარა სანგმარ ჩუ მიდგარახ,
ჩხარა ყვილ კან ქავ მიქეითა.
ატ, საბრელა მირანგულა,
ლეჩემე-უჩემა მანგ მიჩემინა,
გზავრობ მერი ვეშგიმპილიშ!“
- 50 ყვარყვალი მიჩა ფათვარე
შღუმეწარს ხუღვეხ ლასბუღარად,
თხვიმიშე ისგვი ჰაყარი
უჯარს ხუღვეხ ლწგენწილად,
ლესგიშე ისგვე ქგპარე
- 55 ორბანლს ხანდახ ღარიბ-ქარქანშდ
თემიშე ისგვი გირგვდალ:
ღვამლარს ხანდახ ლასგრკალედ,
ოტ, საბრელა მირანგულა,
ნამამახვალ ისგვი კანარე
- 60 ქა ჯაცხიპდახ გირიშ მგრგვალდ.
ხოშანდ საბრალ უშგვლანშ ბაპარ,
ეჯმარ ლადგქარდ მალყარს არდახ,

- ეჭმარ სწეაწარს ჩოთგრმალახ,
 ვარაწლს კაჩუშ ხაწაბურახ;
 65 ხოშანდ საბრალ უშგვლანშ ხეხეწარ,
 არშელანრს კაჩუშ ხაკადურახ.
 დიდანბ ოთქანდ ლამრმას უშგვლანშ!
 ბაპანრ სწეაწარს ჩუ ხაჩედახ,
 მირანგულას შუევედ ხალაქახ.
 70 ნანამახველ მიჩა კანარე
 უშგვლანშ ბაპანრს ლელხვეერ ხანდახ.
 დიდანბ ოთქანდ ლამრმას უშგვლანშ!
 უშგულს ლუხორის ხაშდაბახ.
 — სეფსკვეერდ მიჩა იმ აღნანყიდ?
 75 — კვეცენს ალქდედ ლგლგნქარუს.
 ეჩქა ლამგრმას ხოსგოჯა:
 „ქირსანშ სეფსკვეერს დეშ ხეიშგედე!“
 კვეცენ ხაშგვმინ ოურსალმიშ.
 ლაკლანვ ხანდახ ატკვეერ ზაგანრ,
 80 ლანწვრემ-ლანდავ-მუშურ ზაგანრ,
 ლაფრა-ლაგოპ-თვეთნულდანშ თხუმ.
 „დიდანბ ოთქანდ ლამრმას უშგვლანშ!
 სეფსკვეერდ მიჩა ეჩის ლანყედ“.
 მეშხა ძულღვას ბერან ზეზგეხ,
 85 ლეინალ-ზედანშ ეჩხან იშგვმინ.
 ლერთემ ძულრუმ კან ოხზგზე,
 მუჰვეწარს ხულღვე ჭვიდ ი საქმელ.
 უშგვლანშ მათხემი ფანქვესმან ლანსვ,
 უშგულს ლუხორ ყი ლანბინეხ,
 90 კევიშ ლანშთხას მუხვრუქმანა,
 ეჩანრ ლუხორ ჩუ ხოკვამახ.
 მოჯრანბ ბაპანრს დარბან ოთყვანჩხ,
 ეჩქა ლუხორ ჩემყველელი.

მირანგულა

ო, საბრალო მირანგულა,
 დედაშენს შენლა ჰყავდი,
 სინებივრით კოშქში ჰყავდი,
 იქ გიზიდავდნენ სადილ-ვანშამს,

- 5 ფისიმც დასხმია ოთხშაბათ სალამოს!
 მირანგულას ვანშიამი მიუტანეს,
 მირანგულა არ დაუხვდათ:
 თურმე წასულა სავების სამტროდ.
 გაუხედავს დედამისს:
- 10 მაჩხთარის მთაზე დგას.
 —ო, დედისავე მირანგულა,
 საქნარ-უქნარი ყველაფერი გიქნია,
 მგზავრობა გექნება უკანასკნელი!
 უდარაჯებდა ვეძის მენახირეებს,
- 15 ამ ღამეს, სალამო (რომ) დააბნელა,
 ვეძის მენახირეები დაუღუპავს,
 ცხრა ცალი ხარი მოუპარავს,
 იგი სავებს გაუგიათ.
 მდევარი გამოეკიდა სავებისა.
- 20 რვა-ცხრაჯერ თოფი უსვრია,
 რვაოდე სავი მოუკლავს,
 მდევარი უკუაქცია.
 ასე დაუწყია სვლა-წასვლა,
 მდევარი გამოეკიდა ქალებისა.
- 25 „ეგ ფინთი ქალები,
 მდევრობა მათ როგორ სცოდნიათ,
 ყველა უნიფხო, ყველა უღეჩაქო!“
 ესენიც კვლავ უკუაქცია.
 ასე დაუწყია სვლა-წასვლა:
- 30 მთა-გადასავლამდის მოდის,
 ცხრა ცალი ხარი წინ ურეკა.
 ეგ წაწყმენდილი ვეზდენი!
 თურმე ვეზდენს გზა მოუჭრია,
 უდარაჯებდა მთა-გადასავალზე,
- 35 ხმა გაადენინა თავის კუთხვას,
 მირანგულა გააგორა.
 წამოიჩოქა გაჭირვებით:
 ოჲ ღმერთო და ოჲ სამართალო,
 თავი სისხლაუღებლად არ დამატოცებინო!“
- 40 ხმა გაედინა მის კუთხვას,
 ვეზდენს მოარტყა მკერდში,
 ვეზდენიც აგრეთვე მოუკლავს.
 „ჰა, ნეტავი ჩემს ბედს!
 მთლად სისხლაუღებელი არ ვიქნები:

- 45 ცხრა სავი მომიკლავს,
 ცხრა ცალი ხარი მომიპარავს,
 ა, საბრალო მირანგულა,
 საქნარ-უქნარი ყველაფერი მიქნია,
 მგზავრობა მექნება უკანასკნელი!“
- 50 ხუჭუჭა მისი თმები
 თავგებს აქვს საბუღრაღ,
 შენი თავის ქალა
 გველებს აქვს საწიწილედ,
 შენი გვერდის ნეკნები
- 55 ორბებს ჰქონდათ „ისრის ბუდედ“(?),
 შენი თვალის გალაგნები (ირგვლივები)
 ყორნებს ჰქონდათ სარკედ (სარკეში
 ჩასახედად):

- ო, საბრალო მირანგულა,
 შენი ნადავლი („ნამტერალი“) ხარები
- 60 გეხვივნენ ირგვლივ.
 კიდევ უფრო საბრალო უშგულის მღვდლები,
 ისინი სავაჭროდ ბალყარეთში იყვნენ,
 ისინი სავებს დაუჭერიათ,
 წვერებს ჰპარსავდენ ზეზე მდგომთ;
- 65 კიდევ უფრო საბრალო უშგულის ქალები
 („ცოლები“),
 ნიფხვებს ხდიდნენ ზეზე მდგომთ.
 დიდება უშგულის მარიამს!
 მღვდლები სავებს გაჰქცევიან.
 მირანგულას გზაზე წასწყდომიან.
- 70 მისი ნადავლი („ნამტერალი“) ხარები
 უშგულის მღვდლებს სალუხოროდ ჰყავდათ.
 დიდება უშგულის მარიამს!
 უშგულში ლუხორს მართავენ.
 — მის სეფისკვრად რას გამოვაცხობთ?
- 75 — ლენჯერულ ზორბალს მოვიტანთ.
 მაშინ მარიამს უბრძანებია:
 „ოსპის სეფისკვერს ვერ ვიკადრებ!“
 ზორბალი სთხოვა იერუსალიმისა.
 სალექსი ჰქონდათ ატკვერის მთაზე,
- 80 სანიავებლები-მუშურის მთაზე,
 საშრობ-საფქვავეი — თვეთნულდის წვერზე--

- „დიდება უშგულის მარიამს!
 მის სეფისკვრად იმას გამოვაცხობთ“.
 შავ ზღვაზე ბერები სახლობენ,
 85 ლეინო-ზედაში იქიდან მოითხოვა.
 ღმერთმა ზღვით ხარი გაუგზავნა,
 რქებში აქვს სანთელი და საკმეველი.
 უშგულის მეთაური ფანქვესიანი იყო,
 უშგულში ლუხორი დაიწყეს,
 90 ხევის ბოლოში მუხვრუქიანი,
 მისთვის ლუხორი დაულოცავთ.
 კრების მღვდლებს დარბაზი ჩაუტყდათ,
 მაშინ ლუხორი გაყოფილა.

211. ყიფიანას მახეღვაჟარე

- ყიფიანას მახეღვაჟარე,
 მიშლადელ ისგვე ლახორა,
 საკევეს ისგვე ლახორა.
 მგუა ჯაწვდის, დოშდულა,
 5 მაგ მაჯონა ღერთარეში (თავდარეში),
 ჰაბილდ ჯასდანდახ ოქვრეში,
 ლისგვდი ისგვე სამოთხი.
 ჯიბინახ ლიზი-ლიჩედი,
 რიყიას ლეჟა ესღვრიდ,
 10 ხორამ ყიფიანს ადაჯადა:
 „ვოღ ლექენიაქ ათხეშ გზავრობ!
 მგრთენ მექარ მეწე მერა,
 მეწე მერა ხოლამშულვი“.
 ეშხვილ ლეშგმავ ლახასინჯვე,
 15 ქემრარ ოხვშვდ მეგრე-მეგრე.
 „ვოღ ლექენიაქ, მამ მირ მამქირ
 ლიყველ ხორამ ჸეხვიშ,
 ციხე-ქალაქა ქორ-მურყვამაშ,
 ტყვიბ ტყვიბი მიშგვი განძარეშ,
 20 ლგქვრეღელა დაბ-ლარემიშ!“
 დაბიშის ყიბენ ამქედლიდ,
 მადლისათვის („მადლი გექნებათ“), მეზობლებო,
 თოფის გატენა მასწავლეთ!

- 65 — თოფის გატენა ასე უნდა:
 ტყვია ქვევით და წამალი ზევით.
 — ცოდვა ჩემი ნუმც დაგლევიათ,
 თოფის გატენა (რომ) არ მასწავლეთ!
 გადმომხტარხარ ციხიდან,
- 70 ქაფად ქვეულხარ ციხის ძირას;
 (ცეცხლი) წაუკიდია ბამბის კაბისთვის,
 ფერფლად უქცევია თავიანთი სამოსახლო.

302. ასლან-მგრზა

- დიწუ, დიწუ, ასლან-მგრზა,
 დიას ისგვა სი გვარ ხორი.
 — ასლან-მგრზას ქა ლწიყედ,
 ჩუ ლოყდანიდ თეთნა დარჯგლს.
- 5 — დვე ლინშინალ შომა გვერი?
 — ლინშინალ როქე ვეზი ნებოზს.
 — ლიგურგვინალ შომა გვერი?
 — ლიგურგვინალ ლეშხიშ დეშდიშ
 ასლან-მგრზა პაპთე აწად,
- 10 დარჯგლდ ლაშყე-ვახრილ პნკიდ
 ი ჟი ანქად ლაზერი ლგცთე;
 ლგცჟი ლგზერ ლაცლა ესხვიდხ,
 ლოხსიმნალეხ ეჩხენ-ამხენ, —
 დარჯგლდ ლაგენაჴშ ყათარ ხაკიდ.
- 15 ასლან-მგრზად პაპ პნკერნე.
 — დია, დარჯგლ მწ როქე ომდენ?
 — ლარდას როქე ირდი, დილო.
 — დია, ლარდას დემეგ როქე პრი.
 — მოდმა როქე ხოხალ, დილო,
- 20 — დია, კიბდენ როქე ოთკარას.
 — დეშ როქე აკრე, დილონი!
 წარფხან ხაკიდ, ჩვადყუჩურე,
 ჟი ლწახანზან ბგვი-მეგჴად,
 ჟი ლახსგურა წვრნი საღარს,
- 25 ყორს ლახაგან ლწმთილს მიჩა
 ჩხარა ჟიმილ გგრკადდ ხასგურხ,
 დარჯგლ მეგენი ნენსგა ხოსგურხ;

- ლანსმუნა მიჩა ეს ხაშედახ,
ხეტკენჩურებ ერხენ-აშხენ.
- 30 — განთოღე ათლარხ, მარტიშ გოჭარ,
დაგრობ ნომა როქე ახბინენახ,
ოდო კინჩხს როქე აშე დემ ხაჯვრე!
ასლან-მგრზას ეოღე ზობინა,
ჩხარა სემუნს კინჩხ ეი ახქეცი,
- 35 ჟინემ ქა ოხქენ კავხენქა,
ბიძი ლაკვრაქა ლახავან:
— ბიძიჯო როქე, ასლან, მგრზა.
მიჩა ნებგეაშ სეუდ როქე ხარ!
ასლან-მგრზა ლეშდ ესესგიდივ,
- 40 ჭიხ ათლანე ბიძიდ მიჩა,
ასლან-მგრზას ნებგე ოხეჟომე.
— ბუაშ როქე, ბუაშ ჩხარა გეზალ,
მინე გოვარ ასლან-მგრზა!
ცოდ როქე მინე დარჯგლსოდე ხარ,
45 მან უჩმუნა როქე ხოჩმუნვა!

ასლან-მურზა

- დედაისი, დედაისი, ასლან-მურზა,
დედაშენს შენ მარტო ჰყავხარ.
— ასლან-მურზას ცოლს შევრთავთ,
დავუნიშნავთ თეთრ დარჯულს.
- 5 — მერე ნიშნობა როდის გვექნება?
— ნიშნობა პარასკეე საღამოსო.
— ჯვარისწერა როდის გვექნება?
— ჯვარისწერა დასაწეავ ორშაბათს.
ასლან-მურზა მღვდელთან წავიდა,
- 10 დარჯულმა საზურგული და ოხარო აიღო
და ამოვიდა სასოფლო წყაროზე;
წყალზე თავმოყრილი ტოლები დაუხვდნენ,
ჩაასმინეს იქით-აქედან, —
დარჯული ატირდა.
- 15 ასლან-მურზამ მღვდელი მოიყვანა.
— დედა, დარჯული რა იქნაო?
— ოთახში იქნებაო, დედილამ.

- დედა, ოთახში არ არისო.
 — არაფერი ვიციო, დედილამ.
- 20 — დედა, სკივრი გამიღეო.
 — ვერ გავაღებო, დედილამ!
 წიხლი ჰკრა, დაამტვრია,
 იარაღი აისხა ძალიან მაგრად,
 შემჯდარა წითელ საღარზე,
- 25 კარზე მიაღდა თავის ცოლოურს.
 ცხრა ძმა გარშემო უსხედან,
 მტირალი დარჯული შუაში უზით;
 მისი ცოლისძმები გამოსცვივნიან,
 სცემენ იქიდან და აქედან.
- 30 — იქით გამეცალეთ, მარტის გოჭებო,
 მკვლელობა არ დამაწყებინოთო,
 თორემ თავს („კისერს“) ერთსაც არ შეგარჩენო!
 ასლან-მურზას დაუწყია,
 ცხრა ცოლისძმას თავი („კისერი“) მოსჭრა,
- 35 თვითონ გამობრუნდა კალოდან,
 სიმამრი ფანჯარას მოადგა:
 — სიმამრობამ, ასლან-მურზა,
 შენი შუბლის მონატრული ვარო!
 ასლან-მურზამ უკან მოიხედა,
 40 ჭახანი ვაადენინა (თოფს) მისმა სიმამრმა,
 ასლან მურზას შუბლი მოუშალა.
 — მამისი, მამის ცხრა შვილო,
 თქვენი თანაბარი ასლან-მურზა!
 თქვენი ცოდვა დარჯულს ჰქონდესო,
 რა უქნარი მაქნევინაო!



გპირის იღვალე

303. ვაჟაკცი

- | | |
|---|--|
| <p>მტერსა რომ მტრობას
 — უწევდეს
 — ვაჟაკცის შესაფერია.
 ვისაც მტრის მტრობა
 5 აწინებს,
 ქვეყნად ის არაფერია.
 არც მაუხნდება აბჯარი,
 არც ომში წასასვლელია,</p> | <p>10 არც ვაჟაკცებში ხსენდების,
 არარად ჩასათვლელია.
 უნდა გაზარდოს დედამა
 ვაჟი მტრის გამჯავრებელი,
 აუგის მთქმელი არ იყოს,
 არც ფეხის დამწყნარებელი.
 არც აწინებდეს სიკვდილი,
 სიცოცხლის გამმწარებელი.</p> |
|---|--|

304. ქალმა სთქვა

- | | |
|---|---|
| <p>ქალმა სთქვა: ქმარსა
 გავყვები,
 ბასრის ხმლის ამამლებელსა;
 შორად წამლებსა საგძლისა,
 10 შინ სახელისა მამლებსა,
 ჩამორბის კოკლაის გორსა,
 თვალ-მურთხო, შენი ქმარიო;</p> | <p>მისცენით ტარ-სახეხავნი,
 გააწკრილოს ტარიო;
 საბუჩეს ჩარდახ აუგეთ,
 10 გააზღვინეთ ქალიო,
 ომი არ უნახავისა,
 ან ამოლებულ ხმალიო?!</p> |
|---|---|

305. მე ვაჟი მომწონს

- | | |
|---|---|
| <p>მე ვაჟი მომწონს ისეთი:
 წილ ეღვას ყველასთანაო.</p> | <p>მთიბლებში ცელი იქნევა,
 წადგა და წაახანაო.</p> |
|---|---|

თუნდ იყვას მღერა-თამაში,
იქაც თავ გაიტანაო,
ცხენის მხედრობაც კაია,
სწორობა სწორებსთანაო.

კაია პურადობაი
ქდგას ქურჭლების ჯარაო.
დროზე შუღლობაც კაია,
მტერს ჩაუნათო დანაო.

306. მთიელი

მთიელ ვარ, მთაჩი გაზდილი.
გულადი, გაუტეხელი,
არწივი, ზეცით მოსული,
სპილო ვარ მოუდრეკელი.
5 სამშობლოს მოსიყვარულე 10

ვარ მისი დაუთმობელი,
მე მირჩევნია მყინვარი,
სულ მუდამ ყინულიანი,
სალი კლდეები ყუროსი
და იქვე ჩიხვთა ტრიალი.

307. ძმის ღალოცვა

ძმაო, ღმერთმა
:გადღეგრძელოს,
საბძელი მოგცეს ბზიანი,
ოთხი-ხუთი ცხენი მოგცეს,
წითელი-ნარინჯიანი,
5 სადაც რომ წახვიდე ომში,
შენს ხმაღს გაჰქონდეს
პრიალი,
მოგეკლას ათი ათასი,
არ დაგმართოდეს ზიანი.

308. კანი ცხენი

სათიანეთოდ წამოვე,
გამოვიარე ცერიო,
ჩამოვე თიანეთშიგა,
გადადიოდეს მზენიო.
5 მოვიდეს რუსიშვილები,
ზოგთ ჩამამართვეს კელიო,
მეუბნებთან ზოგები:
მოგეყიდე ნისლის ფერიო,
10 —რას ამბობთ, მამაძაღლებო,
15 გაყიდვა რაის ფერიო,
ფულებ რად უნდა ოშკაცსა,
კარგ უნდა ხეყანდას ცხენიო.
მკართ თოფი არშავიანი,
წელზე ხანჯარი მჭრელიო,
15 ვერ უდგებოდეს ახლოსა,
შორა ღებოდეს მტერიო.

309. კამეჩის მეხრე მიჰაპი

კამეჩის მეხრე ვიყავი,
მეში მეცვა და მეხვია,
ასი მომიკლავს ურჯულო,
ორასი დამიჩენია.
5 არსად არ მითქვამს აქამდინ,
არსად არ დამიკვებია,
ვაეკაცს ქალებში მკვებარსა
თავზე დაეცა მეხია.

უღუბნავ ჩემებ სწორებსა,
ჩემი დარჩომა ყროლადა,
საბაკეს არვინ დამასწვრას,

ან წინ-წინ თოფის სროლასა...
5 ვინაც ვერ ჩაჰყვეს ჭუჭასა,
დედა შეერთოს ცოლადა.

311. ჯორი სჯობს

ჯორი სჯობს საქონელშია — 10 ახლად წვერ დაწამებული.
კარზე მოვ აკიდებული,
მასთანვე ხარი-გუთანი — სოფლის გვერდზედა ციხე
გძელ ყანას გაკიდებული, სჯობს —
5 შიგ მოსავალი ქერ-პური — საომრად დამთავრებული.
თავი-თავს დაკიდებული. შიგნით საკიდლათ თოფი
ყანის სამკალად ქალი სჯობს —
საქმარედ დამწიფებული, 15 სიათა გაჭრელებული,
ძნისი საკვრელად ვაჟი იმის სასროლად ვაჟა
სჯობს —
გუნება გაჯავრებული.

312. ცხენ კარგო, თავადაც კარგო

ცხენ კარგო, თავადაც კარგო,
ცხენას არ გამალაკვირო.
ვგ შენი ჭრელი ხანჯარი,

წითლად არ შამალებინო.
5 ეგ შენი ცხენის ბალიში
თავქვეშ არ დამაგებინო.

313. გიორგი თვარელაშვილო

გიორგი თვარელაშვილო,
გიმღერი შაფერებულსა;
ნუ მისდევ დედათ ენასა,
ცხენს შავსმენ გაქვლებულსა, 10
5 ან კლდეზე გადაგაგდებენ,
ან წყალს გკვრენ
აღლევებულსა,

დაგიმოკლებენ მამულთა
კარის პირს შაბტყელებულსა.
წელზეით კმალსა მოგჯსნიან,
კმალს ტანზე შამშვენებულსა,
დაგაფერებენ ვაჟკაცსა
მონასა, შაჩვენებულსა.

314. ნეტავი ლაშქარს შეგვეყარნა

ნეტავი ლაშქარს შეგვეყარნა
სამნი ბატონის ყმანიო,
მოგვეწივა მძიმე ლაშქარი,

სწორებს გვეცადა თავიო,
5 მალლიდამ გადმოაქცირა
ლამაზი ქალის ჯარიო

ბევრ ქალს კი შესძულდებოდა
თვალად ლამაზი ქმარიო,

ბევრ ქალს კი შეჰყვარდებოდა
10 პირად ჯულუბრი ქმარიო.

315. აბაშა

აბაშამა თქვა: „დავბერდი,
მუკლებს აღარ მაქვს წადინი.
ნეტავი არ მამდიოდა
მაგ მუხუაურთ ქადინი!

5 მანამდი ვიყავ ახალი,
არ გავგიძელი ნადიმი,
ჰალათით გამოქცეულმა
მთაზე ვჰამიდი სადილი“.

316. ნისლ ძისა ლეზაისპარსა

ნისლ ძესა ლეზაისპარსა
სუ მუდამ აუყრელადა,

აბაშას ტანზე ჯაჰე სცევა
სუ მუდამ წაუყრელადა.

317. აბაშას დამოყვრდით

აბაშას დამოყვრდით,
ქალებო,
ხირსილაური მგელია.
ლარიზ ქაცია აბაშა,

ბევრის ვაჟის მკვლელია.
5 მაგას არა ჰყავ საქონი,
ჰიუხჩი ნადირ ბევრია.

318. საპირისწამლე ვერცხლისა

საპირისწამლე ვერცხლისა,
აბაშავ, ოქრად დაგჩება.
დაგიკიდებავ გულზედა,

თოფის ლიშანიმც დაგდგება
5 —ერთი აბაშამ გესროლა,
ნიაღვ აღარ დაგცდება!

319. მამუტა გელდიაური

გუდან აგებენ ბელელსა,
ზღუბლად უდებენ სინასა.
ხკითხვედეს გელდიაურსა

ანდრეზსა წინა-წინასა.
5 ჯერ ჰკვას გამურჩევს მამუტა,
არ გამგონისად — რკინასა.

320. ხმალმა სთქვა

ხმალმა სთქვა, განჯას
ნაჰედმა:
ფრანგში ოსტატმა დამჰედა,
რამთენმაც ხელში ამილო,
სულ ყველამ ჯვარი დამწერა.

5 კაის ყმის დაჭრა, დაჟუწვა—
სხვა ღმერთმა არა დამწერა,
დედისერთაის სიკვდილი
ნეტავ ღმერთმ არა დამწერა.
ქალაქში ხმლისა მჰედლები

- 10 ერთი გასძახის სხეასაო: ფრანგულ შამორტყმულ 1
 ვინ იყო ამის ოსტატი, წელზეო;
 ნეტარ აღარ სჭედდ სხეასაო; კისერსაც მოგაგდებინებს
 ბასრი ყოფილა, ფოლადი, 20 ჯაჭვი შამოყრილ მხარზეო;
 მით გემით სჭამდა ძვალსაო, თუშებთ გამხეთქეს შიშითო,
 15 ბიჭო, გული გაგდიდებია, უთხრიდით ჩემსა პატრონსა,
 ჯაჭვი ტანთ გეცვა ქერქაო; ჭალას გარეცხოს ქვიშითო!..
 მოყმე შენდ არ ვინ შამოყრილ

321. ყმა იშვიათად გალღესავს

- ყმა იშვიათად გალღესავს ალუდაურის ხმალსაო.
 იანვარშია ხმალსაო; ხმალო, განჯაში ნაჭედო,
 ყმა იშვიათად ჩააგდებს 10 ქალაქს ფრანგისა ნაფერო,
 ჩარღუმის ღელეს ცხენსაო; კანის ყმის დაჭრა, სიკვდილი,
 5 ჭანთში შეიგდებს სოფლის სხვა თუ ღმერთმ არა დაგწერა,
 კარ, დედისერთაის დაჭრა და
 შეათელიებს ქერსაო; სიკვდილი რადლა დაგწერა.
 საომრად გამოიღებენ

322. ბაის ციხე

- იქეშლოს ბაის ციხეო, ფშაველთ ქალ გამამირჩიეს
 წვერამდ ნაგებო კირითა, საფშაველოშიით შიგითა:
 ფშაველებმა ჩამაირიგეს „თუ დაჭული ბაის ციხესა,
 აწ მესამისა რიგითა. 10 ნუ ამოგვაგდებ ჭირითა!“
 5 გარედან ვერ ამოვკლები, ახლა კი უნდა შაგაკვდა,
 გზაც არა მაქვის შიგნითა. სამჯერ ნამრგალო წილითა.

323. მზავლები ძვაჭიღს

- ქვა-ჭიღს ჩაგროვდეს „რად იჭერთ ლურჯას,
 მშავლები, მშავლებო?
 ლურჯას იჭერენ ფეჭალა. პატრონ არა ხყავ ბერალა“.

324. ძიჩბარაული

- გუდან მოვიდა ლაშქარი, თავი ლაშქრისკე დახარა;
 ჭიე კარვებმა შაფარა, 5 მასზე ნაჯდომმა მკედარმა
 ლურჯამა ოთხით ნაჭედმა გული საომრად წაყარა.

- კელში ნაჭერი ვაჟაძა
შუბი თავ-დაღმე დახარა,
ტანზე ნაცვამი ბეგთარი
- 10 ვაჟმა ფქვილებურ გაყარა.
მარტუამ ქიჩბარაულმა
ლაშქარ წყალ-გალმა გაყარა.
სისხმა ვადათით ნადენმა
სამკლავე სამკან დაღარა
- 15 აიქით ჩამონადენმა
ჯაჭვის კალთეებ დაყარა,

- ზეითთ ქალმა დაჯხედნა,
მანდელი მალლა შახარა:
„გაქებენ, ქიჩბარაულო,
ჩემს საქმარესამც შაგყარა!
კელთ მისცა თავის აბჯარი,
ლურჯა საფერკედ მალგვარა!
თუ იმას დააქარბებდი;
ცოცხალიმც ნულარ მამგვარა!“
- 20
- 25 თუ ის შენ დაგაქარბებდა,
სამკლავეებიმც წაგყარა!“

325. შვიდ მამამდე

- ხორნაულისა მამკლავო,
ეგრე ნუ გიხარიანო,
კიდევ არიან სიხანი,
განა სულ გასწყდებიანო.
- 5 მაგის შვილები მგლებია,

- ცხრა-ათს ლეკვებსა ზდიანო,
სისხლს აიღებენ მტრისასა,
არვის რას დააცლიანო.
შუქლავ შვიდ მამამდენა,
მტერს ტყვია დაუგვიანონ.
- 10

326. აბა ბატალაური

აბავ შენ ბატალაურო,
მალეო ცხენივითაო,

დაგიფხაებავ ფრანგული
თიბაში ცელივითაო.

327. კაი ბატონის ბარდილი

- კაი ბატონის გარდილი
ბალზამისშვილი ბერია,
ამოიღო და გალესა
თავისი მკრელი ხმალია;
- 5 ერთი მისვლით ათი მოკლა,
ღმერთს მოემართნა ხელია,

- ცალკნით ურჯულო გორავდა,
ცალკნით პატარა ბერია.
თავს ერისთავი წაადგა:
„ბერო, სახელი ჰქენია,
შენი ბიჭობის სახელი
სვეტი-ცხოველზედ სწერია“.
- 10

328. ბაწყვეტა ჩქარეულების

გაწყვეტა ჩქარეულების
გასახაროა მტრისაო,

მტერო, ნუ გაგიხარდება,
გამჟავრო რჩება ჭირსაო.

329. ბამაგრდით არხოტიონნო

გამაგრდით, არხოტიონნო,
გატეხით რა იქნებისა,

ვისაც მოგვიკვლენ,
დავმარხოთ,
სხვა კიდევ გაიზღებისა.

330. ღაბერეშულხარ ბიძაო

— დაბერებულხარ, ბიძაო,
ნელნელა ჩამოღბიჯაო,

— მე შენებს იარაღებსა
ისევ კარგადა ვზიდაო.

331. ხადაში გამიგონია

ხადაში გამიგონია
სამოცი ციხე მაღალიო,

შიგა სხედს თოფიანები,
ტყვია გამოჟდის მაგარიო.

332. ცხენი

ცხენო, კარგი ხარ, მალეო,
ნიავ-ქარივით მჭრიანო,
ქერს გაჭმევს იმით პატრონი, 10
გაჭირდას, გამეჭმიანო,
5 ლაშქარში, მეკოპარშია,
უკენ არ დამატრიალო,
მეც მიმიყვანა მალედა,

საცა სწორები ცდიანო.
სწორთან მაქნევა სახელი,
საც კმლები ელევდიანო,
ბრუნევედან სისხლის
მორევენი,
შიგ კი ვაჟები დიანო.

333. უშქიაური

ახიელს თეთრსა ციხესა
ჩარდახი ჩამოსდისაო,
შიგა ზის უშქიაური,

თავს ცეცხლი გადასდისაო.
5 უშქიაურის კირიმი
გულმწუხრად გამოდისაო.

334. ეხლა ველარსად შეხვდები

ეხლა ველარსად შეხვდები
ირემსა ქორბუდიანსა,
ფერდასა მისსა ნაწოლსა 10
შამბიან-ბალახიანსა.
5 ველარა ვხმარობთ თოფებსა,
ქანგი შეგვიქვამს ტიალსა,
ვერა, ვერ ვნახავ მაქარსა

ქანგიან-ტალახიანსა.
გავფერავ, ჩავყრი წამალსა;
დავადებ რგვალსა ტყვიასა,
მაშინ ხომ გამამადგების,
გზას როცა წაეღ მტრიანსა.
მტერი რას მიზამს პირდაპირ?
მალვით თუ მიზამს ზიანსა,

15 მაღვით ვინც მტერი მტერს
 მოჰკლავს
 ის ქალს ვითა სჯობს
 თმიანსა?

მტერი ვერ დასწევას
 პირდაპირ
 მუზარად-მახვილიანსა,
 პირდაპირ ომი შეჰფერის
 20 ვაჟკაცსა ლაზათიანსა.

335. ლექსის თქმა მწადის

ლექსის თქმა მწადის ერთისა,
 ფანდურს ჩაუდევ ლარით,
 გუნება არ დაბერდების,
 5 ქელარს აღარ აქვ ვალიო,
 გალექსებთ წინა, ხევსურნო,
 თქვენ დაცილება ბრალიო.
 თქვენ სახელ იქავ ხსენდების,
 რამდენ წავიდა ხანიო.
 აწინდელთ ახალგაზდათა
 10 არაყ ისმეი ცხარიო.
 შავხალის ხანჯრებს შაიშებენ,
 რა სხდას ლუდის სმის
 ჯარიო.
 იქნევენ წალმა-უჟულმა,
 აქიმშ დაზიდნა ძვალიო,
 15 სააქიმოსთან მისულმა,
 უთხრა — არ მინდა რვალიო.
 ქვაბის სათვალავ არ ვიცი,
 მიღვას თულუბის ჯარიო.
 აქიმებს რად მიღარიბებთ,
 20 ხეცებ დაგეწვათ ჟამიო.
 იცოდეს შუღლი იმათა,
 ჩაჩქნის ელევდა ჯამიო.
 ჯარზე ნასხდომებ ვაჟებსა
 უბეში ედვა ფარიო.
 25 თუ მძიმე მოუხვდებოდა,
 ჩამოხყარიან ჯამიო.
 თითოს ნაჭრებზედ
 გახყვანდა
 თითო ფეხითი ცხვარია.
 მაშინ არ ხოცდეს ერთუთსა,

30 ჰქონდათ დუსულბნის
 ჯავრიო-
 იქავ გშველსთ, ხევსურთ
 შეილებო,
 აი მათ ნომარიო.
 იმი სწერიან თავშია
 ძველნი ერეკლეს ყმანიო.
 35 აჯუფთებულებს გარიგებთ,
 მაშინდელ საუბარიო.
 რჯულისაგ დამტკიცებული,
 გმირების ნაუბარიო.
 მისახ თათარა გაზდილა,
 40 ყურაულისძე ხარიო.
 მამუკა გელდიაური
 ვაჟ წყნარად მათუბარიო,
 რომჯაში პახალიშვილი
 სრუ პქეთა წინამძღვარიო-
 45 ბლოელ ყოფილა გიგაი
 ოსებთან მეომარიო,
 მძიმეს უწევავ რჯულჩია,
 საც ერთურთს ხლია გვარიო-
 ბიძა ჰყვანია ბებერი,
 50 ძმა ფეხით ხაიბარიო.
 რას უშლის თათარაულსა
 ცხენი ხყავ ნიავქარიო.
 ერთ წელს იძებნეს თორმეტი,
 ერთგან არ დარჩა ვალიო.
 55 ჩემ კვალს სიცოცხლე
 რათ უნდა,
 სიკვდილი მათი ბრალიო.

- დაგიკარ, ჩემო ჩონგურო,
ახალ ჩაგიდევ ლარია,
შენ ქვე რად გინდა ტიალო,
ეგ საშობის ლარია,
5 რამოდენ ამბობს რამთვენსა,
არ გიკვირანა სხვანია,
ას ჩემთვი ფეკის ძირები
ჩემდ ავის საუბარია,
ვინც რო ნაჭრელას ჩახენა,
10 ჩამაიგრუშნა თმანია.
გამუღდგეს წოლა-დგომათა,
რა ამდენ ინაბართაო;
ითრევენ ძაღლის ენასა,
აბეჩავებენ თავთაო,
15 ეგ ვერ იციან საწყლებმა,
არას დაგვაყრის კასაო,
უწინავ ჩემ მამ-პაპანი
არას ზყვარობდეს ქალთაო,
არც რას ზყვარობდეს
მძივ-ლილთა,
- 20 ქალების ნაჭრელათაო,
ზყვარობდეს დაფხავებულთა
ამაღებულთა კმალთაო,
ამაშინ გვქონდა კა დროი,
ყარაულ გვედგა მთათაო,
25 ტყვრებოდა ბერდენკაები,
ბოლი მურევედა მთასაო,
ბევრის ცხენი ლამაზი
ხვადი ისრევედა ქაფსაო,
გინება არეინ დაუწყავ
30 ე მაგის მალექსარსაო,
ისეთას არას იამბობს,
მეორედ აღარ თქვასაო.
გიჟმაყარასა მეძახან,
მეც გამავაჩენ თავსაო,
35 მამაი მყავდის უჭკოი,
გამიჯავრდების შავსაო,
ხატში რისხებას დამიწყებს,
რაად მიყივლებ გვარსაო.

337. რაჭელ კარნი ხარ

- რაქელ კარგი ხარ, ზაფხულო!
როდის მოგვივა სთველიო?
ისით დრო როდის მოგვივა,
ილასტებოდეს ქერიო;
5 ბარში ჩქამობდეს ნამგალი,
მთაში ელობდეს ცელიო,
ემზადებოდეს მხედარი,
ნალებს იკრავდეს ცხენიო?
ვაჟი ჩვენ სოფელს ბევრია—
10 მხრით მფრინავ შევარდენია,
ბევრია სხვა სოფელშიაც
ბაგაზე დასაბმელია.
ვაჟ უნდა იყოს ისეთი,
არ აშინებდეს ხანჯარი,
- 15 ფოლადის სათითენიო;
მთვრალა დაიწყებს კეხნასა:
სახელ თუ ვერა ვქენიო!
უნდა წავიდე ღილღოსა,
ცხვარი მყავ მოსასხმელიო,
20 მთვრალმა ბევრ იცის
კეხნაი,
რომ მოფხიზლდების
ძნელიო.
ამა ლექსისა მათქმელი
ანგრილი, ხანის ფერიო,
აღარ წვებთან ქალები,
25 სახელ თუ ვერა ვქენიო.

338. ოხერო ჟუთისოფელო

- ოხერო, ჟუთისოფელო,
 სიზმარ ხარ, არ ხარ ცხადია,
 ზოგთა მწარე ხარ, ოხერო,
 ზოგთა უდიერად კარგია,
 5 მე მაშინ სიკვდილ მერჩიყო,
 როდესაც დავიბადია.
 სულ მუდამ დაღონებული.
 გავჩინდი, გავიზარდია.
 სამტროდ და სამოკეთეოდ
 10 სრუ მუდამ გულში დარდიო,
 ზოგნ აისითან შამლანძღვენ,
 ვერ გამოდიან კარშია.
 ზაფხულში სიცხე აშინებს,
 სიცხეე იანვარშია.
 15 სანაპიროზე სიბები.
 არამც დაგვეცას თავშია.
 მე უბირუას მეძახან,
 მტრისა არა მაქ დარდიო,
 არ როდის გამოვქცევივარ,
 20 მტერსა შეყრილსა გზაშიო,
 არც შამიჭამავ სირცხვილი,
- არც თავზე მხურავ ფლასია.
 ძმებ ქვე რათ უნდა ვაუკაცსა,
 მარტო სჯობს, ვინც რომ
 ვაჟია.
 25 ხმალი ჯობ ხელში ნაჭერი,
 გასხვეტილ იდგას ტანშია.
 იქნევდას წარაუგონთა,
 სისხლ წვიმდას წმინდას
 დარშია.
 30 მიფანტ-მოფანტნას ოროლნი,
 როგორც მგელმ იცის
 ცხვარშია.
 ოხერო, ჩემო შამილო,
 ხო არ მოგება ჯანგია,
 ჩემის წერისა არა ხარ,
 გაგყიდი, ოხრა დაშჩია.
 35 ქელსაც ვერა გყრის
 პატრონი,
 პატრონს ტყუილად
 არცხენია.

საგმირო-სასტბო

339. ხორნაულთას ციხე

- ხორნაულთას რო ციხე დგა,
 ოქროს ჩარდახი მეგონა.
 5 შიგ ისხდა მეთოფეები,
 მთავარ ანგელოზ მეგონა.
 აყრიდეს ტყვია-წამალსა,
 თვალ-მარგალიტი მეგონა.

340. სიმეზი

- სიმევე, გმირულად ნაზარდო,
 როსტომიანთა სახეო,
 5 სპილო-ნადირის მომკვლელი,
 ძვალსა ტყაურებ დახეგო,
 გახსოვდეს, მომიგონებდე,
 შენი კეთილი ვნახეო.

341. არ ღრიდებს თოფის ტყვიანსო

- ქალი ორ გორშედმიონი,
 ადგილს გავხედავ ტყიანსო,
 სახლ-კარს გავხედავ
 დართულსა

სიმირველივ გალავნიანსო.
 5 შიგა ნადგომსა ციხესა
 ნაგებს მა ბასრის ქვიანსო,
 ვეფხესა შიგათი ნადგომსა
 მაგ რკინის საკიდლიანსო.
 იმთხილეთ, არცა დაზეზდას,
 10 გადმოჰყვას დილის ნიავსო.
 არავინ დაგაზიანნასთ,
 არ ღრიდებს თოფის
 ტყვიასო.

ეცადეთ აგებ გასწურთნათ;
 მათშლევთ ხანჯრის პრიალსო,
 15 მემრ გზებზე თამაშობასა
 თოფ-იარაღის ჭღრიალსო.
 ქვენ უბან უძეს ლიბუი
 ნაგებს მა ბასრის ქვიანსო,
 დაუკრავს ტილიგრამასა
 20 ქორ-შავარდენსა მკრიანსო.

342. საისკე მისდით კევსურნო

საისკე მისდით კევსურნო,
 რომ მიხჭრით ქორებულასა,

წინ გიდგასთ გუდანის
 ჭვარი,
 ყვიროდის კარებულასა.

343. კოზმანაშვილი

კახეთში კოზმანაშვილო,
 შენი ხმა თუშეთს ამოდის!
 გაგიმაგრებავ კონდოლი,
 ჯარი ველარსით შემოდის.

თელავში მალმალ შემოდის,
 ეგ ჩვენი ხმალი ფრანგული.
 ქარქაშში ლალად ამოდის.
 ეგ ჩვენი აზნაურები
 10 გაღმით ხმა გამოლმ გამოდის..

5 ეგ ჩვენი ცხენი ლურჯაი

344. შენი ბამჩენის ჰირიმი

შენი გამჩენის ჰირიმი,
 რომ გილიღინებს ყელია,

ბეჭები არსენას გიგავ,
 შენ რას დაგაკლებს მტერია!!

345. ქმანო, კარმბო რკინისავ

ძმანო, კარებო რკინისავ,
 ციხეებო აღმასისი,
 შიგ შესავლად აზნაურნო,
 საქადინო ბატონ-ყმისი,
 5 ომად-ჩაის, ეგონება,
 ჩამოარდა მეხი ცისი,
 ხმლის მოქნევა ეგონება,
 ნაფოტია შორი მტერისი.

ბინდის პირზე ჩასვლა
 ხგულავ,
 10 ზედ დახურვა ლურჯი ცისი,
 ბაკის კარზე ხოცა ხგულავ.
 წყუმსებისი, მოჯერისი,
 გულა-ნაბად უფროსებო,
 ფალ-მოგება ახლებისი.

346. წოწრეს პაპა

ვინამც სთქვა, ენა გაჰხმება — 5 ცხენზე შეჯდება — ქორსა
 „წოწრეს პაპაი ბერია“, ჰგავ,
 ბერია, არც-რა ბერია, დაუქვეითებს — მგელია.
 სიახლე ხელთა სჭერია.

347. ძმაო, შენსა უპატიესსა

ძმაო, შენსა უკეთესსა როსტომს გოგავ, ფალავანსა.
 ვისა ვნახავ მამავალსა? 5 ახლოს მტერსა არ მიუშვებ,
 მხარ-ბეჭები, მხარ-კისერი შემოირტყამ გალავანსა.

348. კადელი ღერენათა

კა ყმა შევაქათ, ვაყებო, საგონი ჩაეყრებოდა, —
 — ცუდებიც შეეცდებოდა. 5 შაუყრავ მშველის ლაშქარი,
 კადელსა ღერენათასა ტანიეს უგროვდებოდა.

349. არშას

არშას ბაზალი ჭურღმაი განჯას შაჰგლიჯა კლიტენი,
 ვეფხვი კლანჭებზე დგებო— ჩემს არშას მოუხდებო.

350. კაცი არავინ ბაშუა

კაცი არავინ გამუა ათი მოუკლავ ხმალდახმალ,
 ბერი დავითის კისრითა, თორმეტი ფეხით მისრისა.

351. ივა

ნეტავი მიაც ცხენ მამცა! ეგები გავედრებოდი
 ვაჭმევდი ქერსა, თივასა. ქურასძიშვილსა ივასა.

352. მარიამულისძე

ჩაიარის და ჩაკოცნის ყველამ ეგრე ქნას ვაეკაცმა!
 მარიამულისძემო. ომმ რალა იცის გქელმო?

353. კილავის გადამღებელი

კილავის გადამღებელი კილავის კმლისა ზრინკანი
 ბურმა ხირსილა თქვიანო. გუდან სახუტოს ხკრიანო.

354. ჯვარ ჳორჳიანა შაბრუნდა

ჯვარ ჳორჳიანა შაბრუნდა
გაბუურისძე გვარიო,

წელთ აქვის ჩახმახეები,
ვეზნა არ უყორს ჳრელიო..

355. აბაჲ ჳურჳიაული

აბაჲ ჳურჳიაული
ჳირთ ფასობს ობლობისათა,

ლიბოს დაუდებს ციხესა.
სამუჳაროსა მტრისასა.

356. ვერიცანა

ვერიცანს ცხენსა უქებენ,
კვიცია სამი წლისაო,
ზედ ვერიცანა შეჯდება
ლერწამი ზღვის პირისაო.

5 მუხლი უბია მგლისაო,
თვალეზი შავარდნისაო,
ჩოხა, მასრები უყრია,
დათლილი ჩერქეზისაო.

357. ღაძახილი ფანდურზი

ამბობენ სტეფანწმინდასა
სოფელი არის გზისაო;
ორპირად სხედან ერობა,
მადლი ტრიალებს ღვთისაო.
5 მაგათნი ახალგაზდანი
ანგელოზნია ცისაო,

მაგათი ბერიკაცები
სულნია ხემწიფისაო,
მაგათ უჳირავეთ სიმაგრე
10 ყუროისა და ხლისაო,
ცხენები დააყრვეინეს,
ცხენები მეცხვარისაო!

358. თუშეთის გმირები

ჳონთიოს ციგუს სულთანნი
აზნაურია ყმიანი;
გირევეს ხოსიკას ივანე
დიღბანდი დიჩინისაი.
5 ფარსმაში აუს აღუდა —
— კოშკია სიმაგრისაი;
ჳემოს აბალოს დავითი —
ხმალია ბასრის ფხისაი,
დანოში თავბერაიძე —
10 ჳურწყალი თუშეთისაი;
ჩილოს ჳაზნიძე მეშველე —

ხემწიფის დროშაიანი.
კვავლოში თილისძე გორგი—
შიშია შორის მტრისაო;
15 დართლოში თადიაური —
მემეტე თუშეთისაი;
დიკლოში აბულის ჳორთოში
ყამირობს ყანასავითა,
ჳარზე მოსულსა მოძალეს.
20 აბრუნებს ნახირსავითა.
არ დაგაბერა, ჳორთოში,
ფშლას ბაშტის ყურებამაო.

364. ბერიკა ლაღუხისშვილი

ბერიკა ლაღუხისშვილი
 ელვა თქვეს ამოშვებული.
 ერთ მუხლად ახადს მოვიდა,

5 ხოშართ გამოშვებული,
 პირდაპირ ვერვინ დასწონა,
 ტყვია ხკრეს გამოშვებული.

365. ობოლათ ბათაბა

ბათაბა ობოლათაი
 ვეფხვია სალის კლდისაო:
 „არცრას თოფს მივსცემ
 ძაღლებსა,

5 არ ვიცი ზავის ქნისაო.
 მამწონსაე აის მღერაივ,
 ჭალათ რო ამადისაო“!

366. ნია

ჭირთამც დაეხპარავ ნიასა,
 ნიას ნიას, პირჩია.
 გაუმართებავ კირიმი,

5 ტყვიას აგრილებს ძვალჩია,
 სახელს მათურლებს აძღვედა:
 „დაიკვეხნილით ქალჩია“...

367. ითიურძე

ჭონთიოს ითიურიძე
 შინ ვერ ათენებს ღამესა,
 იწროთ დაღბანდავს ხუნჩასა,
 გზა შორის გამხანებელსა.

5 მოკლე-მოკლეთა შაჰკოჰავს
 ჭალასა ქვა-ხიდისასა.
 საშუალამოდ ესტუმრებ
 ქალასა არდოტლისასა.

10 ქალ ყელზე ჩამაეხვევა,
 დაჰკოცნის ორსაე თვალეზსა:
 —ქალის იმედო, გარაო,
 მარტო რად დახვალ
 ამ დროსა?

15 შენ რომ მტერმ ზიან რამ
 მოგცეს,
 ქალ, არ ვიცოცხლებ
 თავსაო,
 წავალი, წყალსა გავეყვები,
 წყალსა მაგ არდოტისასა.
 — გარა მოუყვდეს
 დარციალს,
 თუ მტრისა ჭამოს ჭავრია,
 ღამე ბნელი სჯობს
 სავლელად,
 20 თუ ვაჟკაც გულიანიო.

368. უთხრიდი ქალის ნათქომი

უთხრიდი ქალის ნათქომი
 პატრონსა შავრაისასა,
 — ე მთა თუ თოვლიანიო,

5 წამაე ქალაისასა.
 გზა მადის საკემწიფოი,
 ბრალია ქინონისასა,

- მაიავ, რად მიქებდი
 კვესურის შვილსა გიჟასა. 15 არ დაგიფერებს სხვისასა,
 — კაცთ ენის შეშინებული 15 შამაგეყრების, გასწავლებს
 10 სახელს ვერ ვამბობ სხვისასა, ამამღერებას კმლისასა.
 გემუქარების კვესური ჩახყვების სვილის ფერაი
 იმედსა არაისასა. ნაგრილსა ფარაისასა,
 ვეუბენ, თავ დაანებე, 20 აიქავ დაგასრევიებს
 ნაგაბარს კელ-ფეჯისასა.

369. ვაჟ უნდა იყვას ისეთი

- ქალი ორ მალსა შამქლარი, 10 ფიცხად კმარობდას დანასა,
 ვინ ჩამამიყონს ბარადა? სიცილით უნდა იშულლას,
 ვინაც კვესურა არ მამწონ. კმაიც არ გაიტანასა.
 5 ვერ მამაწონებთ ძალადა! მტერს იმის ძახილ რად
 არ მინდა ა ისეთაი, უნდა,
 კარგ იყოს თვალად, ტანადა, —შენ გიზამ იმას'დ ამასა?
 რას უშველს სილამაზეი, 15 ვაი რო შორით კვეხნამა
 ხალხნი რო ხკვლევედან ტყუილად ჩაიარასა,
 ქალადა. ე მაგის მალექსებელი
 ვაშკაც უნდ იყვას ისეთი, ახალს გარმონზე თვალავსა.

370. ნეტა რა დედამ გაგზარდა

- ნეტა რა დედამ გაგზარდა 10 საჭირნახულო დღენიო.
 ეგეთი მშვენიერიო. გული ამაყი, ფოლადი.
 ზრდილი, ქველ-გმირი, მკლავი მტრებისა მსვრელიო,
 მამაცი, ქვეყნის ორგულთა
 ბრძენი და გონიერიო. დამსჯელო,
 5 გიხდება ბრტყელი მხარ- ხარ მათი სისხლის მსმელიო,
 ბეჭი, 15 ნეტა რა დედამ გაგზარდა
 წვრილი. წერწეტა წელიო, ეგეთი მშვენიერიო,
 ტურფა სახეზე თვალ-წარბი, მოყვარე ღმერთმა
 შავი ულვამი, წვერიო. გიცოცხლოს,
 მოძმისთვის თავის გაწირვა, და გაგიწყვიტოს მტერიო.



საკმირო - სამონადირეო

371. ლექსი ვეფხვისა და მოყმისა

- მოყმემ თქვა პირშიშველამა, 20 ვეფხვი ჩქარია კლდისანი,
 შიბნ გავიარენ კლდისანი. გაზით გაართვნა კალთანი,
 მოვინადირენ, დავლახენ, ჯაჭვისა ჯავშანისანი.
 ბილიკნი ჭიუხისანი. მოყმემაც ხელში იყარნა,
 5 შამამხვდეს კლდისა თავზედა ვადანი თავის ხმლისანი.
 ხორონი ჯიხვებისანი, 25 მაშინ გაუჭრა ფრანგულმა,
 ჯიხვსა თოფ დავკარ დრონ იყვნენ წაქცევისანი.
 ბერხენსა, ვეფხვი კლდით გადაეკიდა,
 ჭალას ჯახნ იქნენ რქისანი. ჩამოაწითნა ქვიშანი.
 შავღვარდი ვეფხვსა ნაწოლსა, თავად კლდის თავზე
 10 დრონ იყვნენ შულამისანი. შემოწვა
 ვეფხვი რო წამომიფრინდა, 30 მოყმე სულ ამომდინარი,
 თვალნი მარისხნა ხთისანი. ქვიშას მიჰღებავს წითლად,
 შაიბნენ ვეფხვი მოყმეი, ვინ ეტყვის მაგის დედასა,
 მაშინ დაიძრეს მიწანი, კარს უსხედს ქალაგ-
 15 კლდეები ჩამანგრევენს, მკითხავნი.
 შტონ დაილეწნეს ტყისანი, 35 უერთოდ კი რა იხარჯნეს
 დრო აღარ დარჩა მოყმესა ჩვენ მონადირნის ისარნი.
 ხანი რო ჰქონდეს ცდისანი. იარებოდა დედაი
 ფარსა უფარებს, ვერ ტირილით თვალცრემლიანი,
 ჰფარავს,

- ჩემ შვილს გზად ვეფხვი
შაჰყრია
- 40 გაჯაერებული, ტიალი,
ჩემს შვილს — ხმლით,
იმას — ტოტითა
დღე დაუღამდათ მზიანი.
არც ვეფხვი იყო ჯაბანი,
არც ჩემ შვილ შახვდა
ტკვიანი,
- 45 მათ დაუხოცავ ერთურთი,
არ დარჩენ სირცხვილიანი.
ტირილით წყლულებს
უხვევდა
ვეფხვის კლანჭებით
დაჭრილსა,
შვილო, არ მოჰკვდი,
შენ გძინავ,
- 50 დაქანცული ხარ ჯაფითა,
ეს შენი ჯაჭვის კალთები
ტიალმა როგორ დაგფლითა?
შენც იმის საფერ
ჰყოფილხარ,
ხმალი ქნევაში გაგიცვდა.
- 55 არც იმან მოგცა მეტი დრო,
აღარც შენ დააცალია,
ველარც შენ დაიფარიე
შენ ხელთ ნაჭერი ფარია,
ველარცა ვეფხვმა ტოტებით,
- 60 ხმალმა დაკუწა ძვალია.
მაგის მეტს აღარ გიტირებ,
შენ არ ხარ სატირალა.
მშვიდობით, ჯვარი გეწეროს,
ეგეც სამარის კარია,
- 65 ერთი შვილ მაინც გაგზარდე
ვეფხვებთან მეომარია.
ხან ვეფხვი, ხან თავის
შვილი
ელანდებოდა მძინარსა,
ხან ვეფხვი ვითომ იმის
შვილს
- 70 ტანზეით აჰყრის რკინასა,
ხან კიღენ იმისი შვილი
ვეფხვს გადაავლევს ყირასა,
აი ამ სიზმრებს ხედავდის,
გამაეღვიძის მტირალსა.
- 75 ხან იფიქრებდა, უდედლოდ
გაზდა ვინა თქვა შვილისა,
იქნება ვეფხვის დედაი
ჩემზე მწარედა სტირისა,
წავიდე, მეც იქ მივიდე,
- 80 სამძიმარ უთხრა ჰირისა,
ისიც მიამბობს ამბებსა,
მეც უთხრა ჩემის შვილისა,
იმასაც ბრალი ექნების
უწყალოდ ხმლით
დაჭრილისა.

372. შვილს ძმათა, მერვეს ბიძასა

- შვილს ძმათა! მერვეს ბიძასა
მთას ვეფხვი გადმოგვეკიდა,
შვილთავ ვესროლეთ
შვილ-შვილი,
ვეფხვს ერთიც არ მოეკიდა,
ესროლა ბერმა ბიძამა:
ვეფხვი ბწყლით ჩამოეკიდა.
- 10 ნეტამც ჩვენ: თოფ-იარაღნი
ჰალას მურყანზე დაჰკიდა.
ანამც გვაქცია ქალადა,
უნდაურ ქმრებიმც აგვიკიდა.
ანამც გვაქცია ხუცადა,
გულზე ოლრებიმც დაგვიკიდა.

- ავთანდილ გაღინაღირა
 ქელი მაღალი, ტყიანი,
 ვერც ხარი მოჰკლა, ვერც
 ფური,
 ვერცა ირემი რქიანი.
- 5 მშველსა ჰკრა გამოფრენილსა
 ისარი ორბის ფრთიანი;
 დაჰკიდა ცხენის ტახტასა
 ტყავგადაუხდელი, რქიანი.
 ჩამოხდა ბურვილ ძირშია,
- 10 ცეცხლი დაანთო პრიალი.
 ცხენსა მოჰხადა, დაიგო
 თაქალთო უნაგრიანი,
 დაჯდა, დათალა შამფურნი,
 მწვადნი ააგო მცვრიანი.
- 15 სანამ მწვად შაიწვებოდა,
 ცხენსა მისცა საძოვარი.
 ლურჯამ კაცი დაინახა
 შორი გზითა მომავალი,
 შეჰხტა ცხენი, შესჰიხვიანი;
- 20 ისა კაცი ავი არი!
 მეჩინიბეს დაუძახა:
 ლურჯა მამგვარე ჩქარათა.
 გავასა ხელი გაღუსვა,
- ზედ წამოახტა მარდათა,
 ვიწრონი გაარბევიანი,
 მინდორი უფრო ჩქარათა.
 უკუიხედა, მოსდევენ
 ის ურჯულონი ჯარათა.
 ასსა ჰკრა, ასი დაჰკოდა,
 ერთი გაღურჩა შავათა!
 ერთი იმანაც ესროლა,
 სისხლი წავიდა ღვარათა.
 მუხისა ძირსა ჩამოხტა,
 ტოტი იწოდა ფარათა,
 დაჯდა და წიგნი დასწერა,
 მტრედს გამოაბა მხარათა.
 ეს დედაჩემსა მიმირთვი:
 ფელარ მოგივალ ჩქარათა!
 გიყვარდა თეთრი მანდილი,
 ჩემზე შეღებე შავათა.
 ის ჩემი ქამარ-ხანჯალი
 მღვდელს მიეც საწირავათა,
 ის ქალი ასეთ კაცს მიე,
 მე მჯობდეს თვალათ, ტანათა,
 ის ჩემი ციხე-ქალაქი
 თან გაატანე შხითვათა.

374. ჯარჯო

- ჯიხვების განავალი კლდე
 რო ნახო, გაგიკვირდება,
 იმათ ნაწოლსა, ნადგომსა
 თოლი არ შეეკიდება.
- 5 ფეხ რო მათსხლტეს ტიალსა
 კლდეზე რქით დაეკიდება,
 იმათ მიმყოლსა ვაჟკაცსა
 რა კარგი წაეკიდება.
 ჯარჯო ჩაჰხედავს ჯიხვებსა,
 რა მშვენიერნი წევანანო,
- 10 რქა რქაზე გადაუხვევავ,
 ანგელოზებსა ღვეანანო.
 ჯარჯივ, ნუ მისდევ ჯიხვებსა,
 მოგინელეებენ ტიალნი.
 15 არ დაიჯერა ჯარჯიმა,
 სხვაც ბევრ მამკიდარა
 ჰკვიანი,
 ჩამაუქაღლა ვაჟკაცმა
 ხირიმი სპილოს ძვლიანი,
 წინ ჯიხვთა, უკან ჯარჯიმა
 20 კლდეზე გადიდეს გრიალი.
 არხალოს ჰალას ჩაცვივდნენ,

- არხალოს პერანგიანი. 30 ყორნის დათხრილნი
ჩაბანოს ქალას გავარდა ოვალნია,
მოყმე ფეხწრიაპიანი. სახსოვრად ჯარჯის საფლავზე
25 ამაიტანეს მამკვდარი, დააკრნეს ჯიხვის რქანია.
ტირის ქალი და ზალია, ერთ გვერდზე თოფი სიათა,
შამააწვინეს კარზედა მეორე გვერდზე ხმალია,
კლდის დაფლეთილი ტანია, 35 ზედ დააწერეს წერილი:
გადაგლეჯილი თავ-პირი, ჯარჯი ჯიხვთაგან მკვდარია.

375. ზენ ბაცალიგოს თოვლი თოვს

- ზენ ბაცალიგოს თოვლი 5 თავს შემომჯდარა ყორანი,
თოვს, ლიბოში გველი ძვრებო.
ქვენ ბაცალიგოს შრებო... შიგა წევს ალუდაური,
თინიბექ, შენსა ციხესა კვდება, აღარა რჩებო;
მარჯვენა კუთხე ჰსქდება, გვერდს უზის ცოლი ლამაზი,
10 სანთელივითა დნებო...

376. მონადირე

- ბიჭი ვარ გოგიტაური, ქოჩორზედ შევექენ ტრიალი,
თოფი მაგდია მხრიანი, ზედ შემჯდა, ბეჭი მომტეხა,
აწყვერში დავიარები, დამიწყო ტანმან ყრიალი,
როგორც ირემი რქიანი, 15 სატევარს ხელი გავიკარ,
ნადირსა ვწყვიტამ, მუსრს ღლიას ვჰკარ, შექმნა წიალი,
ვადენ, იმან მე ჩემი დამმართა,
არ გარდმირჩება ფხიანი, არ ვებრალეები ბევრსაო,
ვეფხვი, ფოცხვერი, მგელ- დათესაც ვაი დაეყარა,
კატა 20 გარდაკვდა იმავ ღღესაო.
პირ გაბლემუილი, ღიანი. ქალებსა გახარებოდათ,
ერთ ღღეს დათვს თოფი დათვი მოგვიკლა ტყისაო,
ვესროლე, აღარც მოგვიჭამს ყოლოსა,
10 დაიწყო დიდი ღრიალი, არც მოცხარს, არცა
მომვარდა, ტოტი შემომკრა, თხილსაო.

377. ე კაჭიური ცუცუნა

- ე კაჭიური ცუცუნა, დათვსა ხოცამს და ირემსა,
მონადირეა ტყისაო, ღორს უშინჯავდა კბილსაო,

5 თალარად ყარყარა უდგა,
 არ დიძინებს ძილსაო.
 ცუცუნამ მუშა შეყარა,
 ამბავი ქვეყნებისაო,
 გადმოუხტება ლეკებსა,
 10 ურჯულო დაღესტნისაო.
 ფრანგულსა ხელი მოვისვი,
 ელვა რო იქნა ცისაო,

ლაპკერს და ლაპკერს
 ლეკებმა,
 ცუცუნა დაპცეს ძირსაო.
 15 ვაიმე, ჩემო ცუცუნავ,
 შე საქებურო ხსნისაო,
 საიქიოს რო წავიდა,
 ოქროს სკამზედა ზისაო.

378. ბაზაფხულ იყო მაშინა

გაზაფხულ იყო მაშინა,
 როცა ყვოდნენ იანი,
 საძოვრად ჩამოსულიყო
 ხარი ირემი რქიანი.
 5 —ირემო რქებით მშვენარო,
 ყურებით ლამაზიანო,
 ნუ იარები ველადა,
 თავი არ დააზიანო.
 არ გაახარო მოყმეი,
 10 თოფი არ გაახმიანო.
 ჩამოჩნდა მოყმე პირქუში,
 ჩამოვა მშვილდისირიანი,
 წამოფრთხა ხარი ირემი,

გუნება მძიმე, რქიანი,
 15 გაფრინდა ნიავ-ქარივით,
 რქებმა წაიღო ზრიალი,
 წამაყოლა მოყმემა,
 — შორს ველარ ივლის
 ტიალი.
 — რას სჩადი, კაცო, რადა
 მკლავ,
 20 შენთვის რა მიქნავ ზიანი?
 ჩემის დღის დამბნელებელსა
 შენ კი შაგჭამენ ჭიანი,
 შენ ჯოჯობეთში ჩავარდე,
 ჩემთვის მზა სამოთხე არი.

379. მთაში ნუ ღვდიხარ, ირემო

მთაში ნუ ღვდიხარ, ირემო,
 ბარად ჩამოდი ნისლითა.

შინ როდი არი ბერდია,
 კორცთა ნუ დახყრი შიშითა!

380. ბერდია და ჯიჰვები

ვამ თქვენს ბერდიას,
 ჯიჰვებო,
 დავბერდი, მაკლებს
 თვალთაო,

კარგად ვერ ვხედავ ლიშანსა,
 ვერც გადასავალს გზასაო.
 5 კიდევ სად გაყურებიებთ
 ჩემის კირიმის კმასაო.

381. დათვმა სთქვა

დათვმა სთქვა: ვნახე სიზმარი
 რაც რომ თავს
 გადაამხდებოდა;

სოფლის თავს გადმოვიარე,
 სოფელი ჩოჩქოლდებოდა;

- 5 ჯაქვით დაბმული მყეფერები
სუ მალა-მალა ხტებოდა.
ვაჟაი-ქალის პირაი
გორს უკან მემალეზოდა;
ვაჟაი სვილის ფერაი
- 10 ხმალ-და-ხმალ მეტანებოდა;
ხმალ დამკრა საქოჩრეშია,
გონი და გონი მხდებოდა;
ტოტი მეც მოვკარ, ბუჩამა,
ფეხზედ ვერც ისი დგებოდა

382. დათვმა თქვა ბუზანზარელმა

- დათვმა თქვა ბუზანზარელმა: 5 მე ტოტით, იმან—ისრითა
„ჭალა გამოვხარ სხლიანი,
მამპარეზიყო ყმაწვილი
ბატარა, მშვილდ-ისრიანი,
- 5 მე ტოტით, იმან—ისრითა
დღე დავალამეთ მზიანი,
მეორე დილა გათენდა,
ვალო გამოვხარ წვნიანი“.

383. ნეფის მონადირე

- ნეფის მონადირე ვიყავ,
ვაჭრევიზნებდი ხმალსაო,
გაქცეულ ნადირს ვიჭერდი,
ზედ მოვისომდი მხარსაო!
- 5 ნეფე მწყალობელი მყავდა,
მას მივართმევდი ჯარსაო;
- მტერი რომ გამოჩნდებოდა,
წინ მიუძლოდი ჯარსაო;
სადაც ცუდ სავალ ვნახავდი,
10 მე გაურჩევედი გზასაო,
საწყაღსა, გაჭირვებულსა
შორით ვაწვდენდი ხმასაო.

384. რამ შემოგთვალა, ფანდურო

- რამ შემოგთვალა ფანდურო,
ძახილი მაუწყინარი,
სხვას ყველა საქმეს
შემემსწრაღვარ,
წყალი დადგება მდინარი.
- 5 არათერია ქალებო,
მაგათ მიმყოლ კაც ვინ არი?
თოფი და ხმალი ვაუბსა,
იმას ჰყვარობდნენ წინანი,
ხელზე საფუხარნ ჩაეცენეს,
- 10 ფეხზე დაეკრნეს რკინანი,
გაჭხენეთ სერებს, გავიდეს
ჯიხვნი რქაჯანგებიანი,
თან მონადირე მიზღვედა
ჯღანზე ფეხწრიაპიანი,
- 15 ესროლა, ვერას გამაშჩა,
დაბრუნდა გულჯავრიანი,
დაჯდა და ბევრი იტირა,
შინ მივა თვალცრემლიანი.



საგმირო-სამკლოვცარო

385. ხიტალიონო ლერენავ

ხიტალიონო ლერენავ,
დედა გიტირის კმითაო,
შინ ველარ მახოლ
მშვიდობით,

ვერ დადბრუნდები გზითაო.
5 სახელის მოყვარული ხარ,
ომჩი ჩაეჭვრი კმლითაო.

386. არმაზის ციხე-ქალაქო

არმაზის ციხე-ქალაქო,
ძველთაგან გაოხრებულო,

შენ ვილამ განახოს ნაშენი,
მტერთა მახვილით
მოსრულო!

387. ბაბუშრთი მზირი აუდგა

5 გაბუურთ მზირი აუდგა,
დილა ამაეს მზისასა,
ბრალი ას მინდიისა,
ბეჭ რო მიანდოს ქევიშასა.
ზე დარჩის ალუდაური,
დაელვებას ღგავ ცისასა,

აჯლოლას შამაშუყიოდა,
კელთ მაგცემ შენის ჭკვისასა.
10 ჩაუდებ ალუდაურო,
ნათოსსა გულ-ღვიძლისასა.
მახკელავ ამჟორიტესა,
საფერსა თავის ძმისასა.

382. არწივი

არწივო, კაუხთ გაზრდილო,
ღმერთმა გაცხონოს
მკვდარიო;

ღედამ შეილი ვერ გაზარდა,
შენსავეთ მეომარიო.

ციხე სტირს შუქიაურთა,
უქმობს ქვიტკირის კარია,
სიკვდილსა შუქიასას
იწყენს წყალ-შუის ჭვარია:

5 „ორივ დამექცა ბელელი,
დრომას შამიწყდა ზარია, —
პატრონ მარტია მამიკვდა,
მტერმ შამამართვა თვალია“.

390. ლომო, შე ლომის მოკლულო

ლომო, შე ლომის მოკლულო,
ბუნნი-ჭალაის პირსაო.
ვინ შეგიღება წითლად
მხარ-ბეჭი პერანგისაო,
5 ვინ გაგიმეტა სათოფრად
პატრონი ბევრი ცხვრისაო?

ჯავრისგან დაგიღრეჯია
კბილები ბროლებისაო,
ლამაზად დაგიტირებდი,
10 ხათრი არ მქონდეს
ქმრისაო.

391. თქვენი ჰირიმი ყორნებო

თქვენი ჰირიმი ყორნებო,
გლოვა არ იცით მკვდარზედა;
რაც უნდა კარგი ყმა
მოკვდეს,
ცრემლ არ მოგივათ
თვალზედა;
5 შაიმოსებით შავადა,

თეთრს არ ჩაიცომთ
ტანზედა,
კარგს ყმას გულს
ამაარიდებთ,
ჩამაირიგებთ ჯარზედა,
გაილექებით სისხლითა,
10 გადახვალთ ილტოს
წყალზედა!

392. ზვავი

გაგნის დაჰხვიენა გორზედა
შავნი ღრუბელნი ცამაო,
წვიმა დაწვიმეს ღრუბელთა,
თოვლი დაღრივა ქარმაო.
5 თორმეტი თუში დალივა
ერთის ფერდაის ზევემაო.
ბევრმა ჩაბერტყა ქოჩორი
ლამაზის ქალის ქმარმაო.
ნეტარ, რაი ქნა დიდომა
10 უშიშაისქემ კარმაო?!

გაფრინდა-ღ' ვერ გაეხვეწა,

შორით მაუჭრა ზევემაო.
„რად არ დაგვლინვა მტრის
ძალმა,
ან კაის ვაჟის კმალმაო?
15 რად ჩამოგვეყარა აშანა
ერთ უდაბურმა მთამაო?“
თუშეთს ატირდა ქალები
„დაგვიგვიანდა ქმარები,
რა უყვათ ცხენ-ოქერებსა?
20 ჩანაყეს ნალ-უსმარები“.

ზოგთა თქვეს: „ბოსელთ
შავყარათ,
გამაუჯარათ კარები“.
„მინდორს გაუშვათ“, —
ზოგებმ თქვეს,
— „იქ ცვითან
ნალ-უსმარები“

25 ზოგთ კიდევ: „უკულმ
დავსკაზმათ,
ზედ თავად შავსხდათ
ქალები.
გადვიდეთ კევსურეთშია,
იქ ავირჩიოთ ქმარები“.

393. გამწირა

გამწირა წუთისოფელმა,
გამომამორა ყველასა.
გული დულს, ხმალო, ამოდი,
შენგან მოველი შევლასა.

5 გული დულს, გული ენთება,
გზებსა რო ვხედავ ხვეულსა,
რა დაავიწყებს აღთქმასა
მთად ნაწრთობს, იქვე
ჩვეულსა.

394. გიყორდა იარაღები

გიყორდა იარაღები,
წელზე შემორტყმა კმლისაო,
უბის მასრები გიყორდა
თორმეტისა და ცხრისაო,

5 საპირისწამლევ გიყორდა
ლამაზ გათლილი რქისაო,
მარტუამ ჩამაიარი
ის გძელი ჭალა კდისაო.

395. უბტილის ღაფვა

იყრების დიდი ლაშქარი,
ტყეს ფათვლად
გადასწვდებისა.
არავგი შამაიარეს,
მთას იქით გადაქდებისა;
5 ჩაწვა, ჩადაგა შატილი,
ალ ზეცას ღმერთს
მისწვდებისა;
გუროს სიმაგრეს მიუდგეს,
ვაყებ შიგ შაუდგებისა.
10 გამადის ბუჩასეული,
მკვდარ კლდეზე
გადიყრებისა.
ამანდით გამაბრუნებულ
ქევსურეთს ჩამადგებისა.

ქევსურეთ დაწვა, დადაგა,
ცოდო-ბრალ დიდი დგებისა.
15 კეოს დაბრუნდა ლაშქარი,
ქობულოს გამაქდებისა:
მამუკას კელ-მოკლეთასა
ვეფხვ საომრადა კდებისა.
აკუშოს ჩავა ლაშქარი,
20 მდევარი ჩამახყვებისა.
კმალს ნუ სტებს, მგელათ
სუმბატავ,
ნაცად არ გეკარგებისა.
ბაბუა მგელაისშვილი
ვეფხვი კანჭებზე დგებისა.
25 კვირიკა ჭილჭაისძეი
ბულაი დაბრუნდებისა.

ნუ ხკვდები, გორელაურო,
 — მარტო ხარ, არ გიკვდებისა.
 მამასა ურჯუკიასას
 30 მზე უდგას, უბნელდებისა,
 თორ დედა ბებერ ხყოლია,

ცვილის სანთლებურ
 დნებისა.
 დანი საბნელოდ ჩაუსხდეს,
 ფარავით იხოშებისა.

396. დემურ

ადგა დემურ, შეიკმაზა,
 ტანთ ჩაიცვა საომარი:
 „თუშნო, კარგათ მოიხმარეთ
 სამკლავე და საფუხარი!“
 5 თუშნი უკან გამობრუნდნენ,
 ვაჟ ქიზიყო, შენი ბრალი!
 აქ ქიზიყურმა ბიჭებმა
 დააყენეს სისხლის ღვარი,
 დემურამა ასი მოკლა,
 10 მემრე დემურს მოსჭრეს
 თავი.
 დედას კაცი გაუგზავნეს:
 „შენი დემურ მოგდის
 მკვდარი!“
 „ჩემ დემურსა ვინ მოკლავდა,
 ხმელეთში გათქმული არი“.

15 შაჰკიელა და გამოვარდა,
 გადაყარა გიშრის თმანი:
 „ვაიმე შეილო დემურო,
 რა დროს შენი ომი არი!
 შაბათს ქორწილს გიპირობდი,
 20 უნდა მომეყვანა რძალი!
 მოღრუბლული ტახტი მიდგა,
 ოქრო-მკედით მოქარგული,
 შიგ მიზის ბატონის შვილი,
 შავთვალწარბა თეთრი ქალი,
 25 იმას რო ვაეცინება,
 მწვანეზე მოეფინება,
 სიტურფით და სილამაზით
 მტვერი არ მიედიდება!
 შიგნიდან მოვის პერანგო,
 30 გარეთ შაკრულო ღილითა!“

397. გოლოღინში

ატირდა ბელის ღელესა
 ორი ლამაზი ქალია.
 მესამე დედა ატირდა,
 ცრემლით იბანა თვალნია.

5 კახეთს არიან ახლები,
 ველით, — მოსვლისაე ხანია;
 ველით და არ მოგვივიდეს,
 თეთრად დათოვნა მთანია.

398. ჩილოს წახდენა მბერთაგან

ჩაირიშვილის ლაშქარი
 ხმას ივდებს, შამოდისაო,
 ოთხშაბათს, თენებისასა,
 ღელეზე შამოდისაო;
 5 ღელეზე გადმონადენი,
 ჩილოს ქორწილ აქვს კიცვასა,
 სტუმარიც ბევრი ჰყავსაო;

სტუმრებს უხვდება კიცვაი,
 სიკეთეც აგონდებაო.
 10 ჩილოს რომ თეთრი ციხე
 დგას,
 თოფის ხმაც გამოდისაო,
 ქორ-შავარდენთა ჩილოელთ

- 15 ალ მხარზე გადასდისაო.
ჩილოელთ ვაჟკაცთ ნახოცნი
ციხის კარ გადმოდიანო;
ჩილოს ძირ წყალი დაწურა,
აგერთ ძირ აღარ ზდისაო.
სულეთში ჩილოელები
ჩივილით შამოდიანო:
- 20 არ მოგვეშველა თუშეთი,
ჯავრი გვაჰამეს მტრისაო,
ჩილოელთ დიაც-ყმაწვილნი
ტირილით მიუდისაო,
ჩვენის წახდენის მიზეზით,
25 რისხვიამც გქონდესთ
ღეთისაო!...

399. ფაშტელი ელგუჯა

- ამოვიარე სოფელი
დილისა მზისა პირსაო,
ორპირად იჯდა ერობა,
მადლი ტრიალებს ხვთისაო.
- 5 ახლა კი დამგლოვიარდეს,
აღარვინ იტყვის ლხინსაო;
ძალიან გვიმწუხარებენ
ფაშეტს ბუშეკას შვილსაო.
შეწუხდნენ მეზობლებიცა,
10 ეს რა წყრობაა ღეთისაო,
ზოგთა სთქვეს, — არა
უნდა-რა,
ზოგთა სთქვეს, — საქმე
სჭირსაო,
- რა ცოტა ხანი გავიდა,
ნაპირი მოტყდა ცისაო;
15 არ ვაგიგიათ, ფაშტელნო,
დაბნელები მზისაო.
მანდიღვენ მტრელი
გაფრინდა
და ანგელოზი ცისაო.
ანაზდეულად წავიდა
20 ვარსკვლავი თენებისაო.
უყვარდა ყველა ვაჟკაცსა,
ვისაც ცნობა აქვს მისაო,
ტილო, შავო სიკვდილო,
შენ მგზავრო შორი გზისაო;
25 არ ეგერეკა ხმელეთი,
ვაჟკაცი კაი ჰკვისაო.
- ელგუჯას სადაც შემოხვდი,
მაგ საბაურის შვილსაო,
თვითონაც კარგი ვაჟია,
30 შიში არა აქვს მტრისაო.
ტანი მიუგავს როსტომსა,
ბეკნი აღრინდელ გმირსაო!
ყველას მხარზეა სიკვდილი
ვაჟკაცის კარგის ჰკვისაო;
35 მეუფემ გადამიკვეთა
სიცოცხლე მოკლე ხნისაო;
ტიროდა ქალი და რძალი,
კრემლით იბანდნენ პირსაო,
ქორელი გადადიოდა
40 თავზე ნაწნავი თმისაო.
ღედა არ გაზრდის ეგეთსა,
ელგუჯასთანა შვილსაო.
ძნელი კი არის ძალიან,
მიწა უშლიდეს პირსაო,
45 იმისი ძმა გუფუაი
სულ ღღე და დამე ტირსაო:
— დავკარგე ძმაი ელგუჯა,
ცქერა არ მინდა მზისაო.
— ნუ სტირი, ძმაო გუფუა,
50 ნულარ იწუხებ გულსაო,
გადახდა დიდი ყალანი —
აწერილობა ღეთისაო,
სულ ცოცხალს რაი
გვამყოფებს
საწყალი მიწის შვილსაო.

- 55 დავეყარე წვერილი ობლები,
ჯავრი მიმყვება მისაო.
—ნუ გეშინია ელგუჯავ,
ჯავრი ნუ მიგდევს მისაო.
მაგებს კარგად შევინახავ,
60 სიტყვა მეშოვნის მისაო.
კაკლის კუბო გაუკეთეს
მაგ საბაურის შვილსაო,
ვერცხლის შულო ჩააყვალეს,
თან შუქი ჩაჰყვა მზისაო;
65 ვეფხვია ვეფხვის მომკლავი
მაგ ივანწმინდის პირსაო.
ნადირს ჩახედა ღურბინით,
შუქი რომ დაჰკრა მზისაო,
ვეფხვსა მოავლო თოლია,
70 ჰრელია ვარსკვლავსვითაო;
თითო ეგეთი ტოტი აქვს,
მკლავი ვერ გასწვდებისაო.
მაშინ სთქვა ელგუჯამაო,
ეხლა ჩემია ცდისაო.
75 თოფსა საწამლეს აყრიდა,
ნიშანი მოსდის პირსაო.
ვეფხვმა რა იცის ტიალმა,
ელგუჯა აქ სადმ ზისაო,
კომლი რა გადაეშალა,
80 ნისლი ეგონა მთისაო.
სამჯერ შეფრინდა ოხერი,
გულს სისხლი გადმოსდისაო.
სად მისდიოდი, ტიალო,
აქ შეგხვდა შენის ჰკვისაო,
85 არ მოვშილი მაგის სახელსა,
სანამ ხსენება მზისაო;
ყველამ უთხარით შენდობა,
კაცია ჩვენის მხრისაო.

400. პასილანი

- რა ცუდი უამი დოგიდგა,
ნისლი შამაწვა ზღვისაო,
ვასილას ამწუხარებუნ,
ტროპეთ ივანეს შვილსაო.
5 ამბობუნ, აღარაჩია
ვაშკაცი დიდის ჰკვისაო.
იშლება მათაა წვერები,
ლოდი ჩამოდის ძირსაო.
10 როგორ გერევა სიკვდილი,
ნაშალო სალის კლდისაო,
მთის ფალავანო ვაშკაცო,
ვეფხო, არწივო მთისაო.
კარგი გაგზარდა დედამა,
კბილის დამჰქერი მტრისაო,
15 სუყველა იმედიანი,
ყველგა გამღები გზისაო.

401. ბრალია შენი სიკვდილი

ბრალია შენი სიკვდილი
ფუძნარში ჰავჰვაძაძეო,
თავში გჰირს სამი ნახმლევი,
ზედ ერბო-კვერცხი გაძეო.

402. თუშისა დედა ტიროდა

თუშისა დედა ტიროდა
თუშისა ნაომარზედა:
დავეყარე წვერილი ობლები,
ვერ გამოვასხი ტბაზედა.

403. სნოს ციხემ მაშინ შასტირა

სნოს ციხემ მაშინ შასტირა, 5 ან ცოტა პური მაკმია,
თოლები დაისველაო, ან ძილით მამისვენაო —
ნეტავი ჩემთა მეთოფედ თოფებ ვინ დაუგრიალა,
ყელან ვინ გაუსველაო. წამალი დაუსველაო.

404. სამნი ძმანი ლულუშაშრნი

სამ ძმათ შავკართ პირობა ძმა ძმას დაურჩეს ეგეთი,
სიცოცხლით ემისთანაო, 10 დოლდის რო ნიკო ხყვანია,—
ვინც ერთი მაკვდეს დოლდი კლდეს
ჩვენგანი, გადმოვარდნილა,
ცხონიც ჩაჰყვესო თანაო. ნიკოც თან გადახყვალა.
5 სიკვდილსაც გახარებიყო, ძმა ძმას დაურჩეს ეგეთი,
ერთს თვეზე გოგიტანაო, ნიკოს რო ლაზო ხყვანია;
არავის გაუგონია 15 ნიკო კლდეს გადავარდნილა.
ცხო ძმობა ემისთანაო: ლაზოც თან გადახყვალა.

405. სიკვდილის ზნი

ნეტავ რა ზნი სჭირს შიგ ამოარჩევს ვაჟკაცსა,
სიკვდილსა, რომელიც მოეწონება.
ვერ მიხვდა ჩემი გონება!

406. ნიტავი შენა, მთვარეო

ნეტავი შენა, მთვარეო, ლაგოდახშიით გავხედავ,
რა ბევრს რასამა ჰხედაო! სათიბთ ველები ჩნდებაო...
ფშავში იქნება ქორწილი, ნუ დამივიწყებთ, სწორებო.
5 ტაშიოთ სადა ტყვრებაო; 10 დამიტიროდი დედაო,
თამაშობს წითელ-კაბაი, ომში მოკლულის ტირილი
რაკი არ შაუხდებაო; ძალიან შავიხდებაო!..

407. ბაბუკიშვილი

ხევით წამახვე, ლომგულო, ყორანი ხყეფდა ყორასა,
ბაბუკის ნათელისძეო. საალიონოდ გადასციდი
ხვესურეთს გადაემართე ჯუთის სამარე გორასა,
არ გქონდა ღუშმნის რიდეო. მანდა წევს ბერდელიშვილი
5 ყორის კარს ცხენი დაგიდგა, 10 ჩვეულ არ იყო წოლასა,

უქმედ აწყვია მკლავები,
 ალაღებს გველის ხროვასა.
 მხედარო, ლურჯას მიენდვე,
 ველზე საფერხის ბრძოლასა.
 15 არ ვარგა გაუგონრობა,
 რკინა სჭამს გაუგონარსა.
 მტერი ჩაგიჭდა, ხევსურო,
 ემეფტარა გორასა.
 ზედიზედ შვიდი გავარდა,
 20 ცხენი დაიწყებს ზრზოლასა.
 გულ-მკერდი ტყვიამ დაგიწო,
 მაინც ღლამობდი სროლასა,
 სიტყო აღმაგხდა მამაკვდავს:

„ტყვიამ გამთელა ძლიარი.
 25 ცვრიანს გამიშლის ლოგინსა,
 ჩემი სამშობლო კლდიანი.
 დედაი შემებრალება,
 გაეწირე ოხერ-ტიალი,
 ცხოდ კი სიკვდილი
 ტყუითა —
 30 მაჩნია სამართლიანი.
 ნუ აჩქარდები ვაშკაცი,
 მიწა არ ძღება მტვრიანი,
 ამაყი ადრე მაკვდება,
 დიდხანს იცოცხლებს
 ჭკვიანი“.

408. ხუთშაბათი თინებაზედა

ხუთშაბათ თენებაზედა
 ცაზე სიწმიდის დარია,
 არ მწადის გახენებაი,
 მზემ რომ მიაგლას თვალთა.
 5 მადიან წელწად-ქრისტენი,
 ჯვარში აქოთდა ჯარია.
 არ სტანავ მენადირეი,
 ამლას დაძწერა ჯვარია.
 10 თემ-სოფლის საიმედოო,
 შენი სიკვდილი ბრალია.
 თავ მაიშალე იმედი,
 ძმას გააყარე მკარია.
 გაიგას მაკეთებმა,
 ყინჩა ატირდეს დანია,
 15 კმა გატყდა მშავ-ქვესურეთა,
 ამბავს აყოლებს ქარია,
 სიკუდილის მაგონებითა
 გულს გადიქცევენ ქვანია.
 ყინჩა ატირდეს ჭაუხნი,
 20 სანადირონი მთანია,
 დაქერებულან მასკულავნი,
 ჩამონადენი წყალია.
 იმით ხარ დასანანები,

ცდისა არ გქონდა ხანია,
 25 გასაოკრებსა სიკუდილსა
 არ თუ ექცევის ძალია,
 სულეთ შავიდა ობოლა,
 შაალა ციხის კარია,
 აბიკა წამაეგება,
 30 ერცხეას დახკელვენ ძმანია.
 მოგვიხვე სახელიანი,
 მერდალ რო გქონდას ჯვარია,
 სათავეს გადააქდინეს,
 დაუდგეს ოქროს სკამია,
 35 გვერდით დაუდგეს საწლდი,
 დაუკრეს კელაპტარია,
 კარგა იგვლიეთ ქალებო,
 გვიღირს საგლევად
 მკვდარია,
 ნაქნარსა ობოლასისა,
 40 ვერვინ იქმოდეს სხვანია.
 დილლოთ წამავას ლაშქარი,
 არ სწვდების წვიმის ცვარია,
 ბალახნ იღებნ ენასა,
 პირდაპირ მისცა ბანია.

45 სხვამ ხომ ვერავინ დასწონა,
 მაგან დაუკრნა გზანია.
 თოფ დახკრა, ქისტი ჩამოწვა,
 წითლი არაყით მთვრალია.
 თაო მშვიდობით დაბრუნდა,
 50 არწივი მეომარია,
 შამახყვა ბონობითა,
 შამაიგრუნა მკარნია,

გვერდს უდგა შავი ღურბელი,
 ბაჯამ უჭირა მკარია,
 55 ორთავ ლამაზა იომეს,
 მტრისა არ ჭამეს ჯავრია.
 ამაგის მალექსებელი
 შორა კევსური ქალია
 ლექსი ვერა ვთქვი სწორებო,
 40 კაი ყმის შესადარია.

409. უახალის ნათქომი

ლამაზი ვაჟის სიკვდილსა
 დედანი აღარ ნანობენ,
 ხევს მდგარი ჩემი სახლ-
 კარნი

ჩაქცევას ჩამალამობენ,
 5 ჩაიქცევიან ოხერნი,
 ბოძები ტყვილად წვალობენ.

410. ყორანი

ბრალია, შაო ყორანო,
 შენ ჩემის ლეშით ზძღებოდე,
 წახვიდე, ჭალას იბანა,
 მალლა მუხებზე ზჯდებოდე;

5 აწიოკებდე მთა მაღალს,
 დაბლა ბარს ემუქრებოდე.
 მამრე მენახას, ფრთა-შაო,
 თოფის ნიშანზე ზდგებოდე.

411. საბურამოში ყორნები

საგურამოში ყორნები
 ერთი ეძახის სხვასაო:
 —ადე, წავიდეთ, ყორნებო,

ჩავყვეთ ფშავლების
 კვალსაო!
 ჯერ დაგვაძღებენ სისხლითა,
 შემრე გვახრევენ ძვალსაო!...

412. ტოშკი

ტოშკი იტირა დედამა,
 შვილო, თავ შაუღებარო,
 სიკვდილის დღემდე მაგარო,
 სპილოვო გაუტეხარო;

5 ჯავგვრიტეს რუსის
 ტყვიებმა,
 ცხოთა მიწაჩი მდებარო...
 სად რჩება შენი ძოლები,
 ჩემო გაზდილო მხედარო!?

413. ლურჯაის ჩივილი

ჩავა ჩაპხვივის ლურჯაი,
 მთიბელავ, შენი ცხენია:

— ვერვინ შამამხვდა,
 მთიბელავ,

მკედარი შენი ფერია.
5 „ვერცვინ მიმიყვანს ომშია,

ვერცვინ მაქმია ქერია“.

414. მიბრელათ ფუნჩია

რად არ ამოხვალ, ღრუბელო, 20
ამეხვევევი ცასაო?
ნისლო, ჭალაში ნუ ჩახვალ,
ნურას წასთოვლი გზასაო!
5 ფეჭზე ნაცემთა ქუჩათა,
ნუ ჩაუყინავ ჭლანთაო!
შავო, ნუ მახკლავ, სიკედლო,
მეგრელათ ფუნჩიასაო!
დედა უკედება ტირილსა,
10 დანი იღებენ თავსაო.
ბაკში ნადგომსა ცხვარ-
წყემსსა
ვინა-ღ გაულებს კარსაო?
ნადირთა გადამდინართა
ვინა-ღ გადუქრის კვალსაო?
15 სატერელოო ლაშქართა
ვინა-ღ შაუყრის თავთაო?
ნადირთად ატირებული
კლდეს ჩამეეჭრა ფხასაო.
შავო, რას დახვალ, ყორანო,

რალას იმრუდებ მქართაო?!
ქვე-ყურეს რას ეთელები,
რასლა ეძახდი სხვათაო?
ეგ ლექს დამიბარებავ
სამხლეშიგურსა ქალსაო;
25 შავხედავ სპეროზიათა
ჩემის ერთგულის ძვალთაო.
გადამავალო ყორანო,
გადამიყოლე მთასაო;
ჩაწითლებულთა ქვიშათა
30 ჩამოვაწრევედი თვალთაო;
ჩამოვკრეფე ჩიქილაშია
ჩამობნეულთა თმათაო;
დავჭდებ, დავიწყებ
ტირილსა,
კრემლით დავიბან თვალთაო:
35 რაადა-ღ ვიყო ცოცხალი,
რად არ მოვიკლავ თავსაო?

415. რეკათ ჯამრული

აწ მოკვდა რეკათ ჯამრული,
დაწვა და დაიძინაო.
მზეი ჩაუღდა ბეჭებში,

ღრუბელმა ჩაუჩდილაო.
5 ყორნები ჩავიდ საჰმელად,
არწივებმ ჩაუშქინაო.

416. ჯიჭუა მაჰინცაური

ჯიჭუავ მაჰინცაურო,
ყორანო მალლის მთისაო,
შენსა ვინ იტყვის
სიკედილსა?

ვინ გარმაავლებს პირსაო?
5 შენის კელ-მჭარის ქირიმე,
ფიცხლა მქნეველო კმლისაო!

417. ჩუას სიკვდილი

- | | |
|---|---|
| <p>შატელ შე ჩუას ციხეო,
გაილამაზე ტანია!
შიგა ვაჟნი სხენ ლამაზნი,
გვერდი დაისვეს ქალია.</p> <p>5 შუაჩი ეჭდა ბებერი
ლექსების მოუბარია.
ბაბლიათ ჩუას სიკვდილით,
ციხევ, დაგეძრა ტანია.</p> | <p>10 მონა ყოფილა სიკვდილი!
ოროლნ დაგბრუნვენ დანია.
სკლატი ჩააცვით ჩუასა,
ჩოქა მაუდის არია.
თათარის შვილმა სალირამ
გამობზანა ჯვარია.</p> <p>15 „დალიენ გოგოთურანი!
მაგათგნიე აესრ ვარია“.</p> |
|---|---|

418. ხმალი გორდაი

- | | |
|--|---|
| <p>დაჟანგებულა გორდაი,
კედელზე დაკიდებული.
დაობებიყო ქარქაში,
ტიროდა დაფიქრებული.</p> <p>5 გახუნებიყუნეს ვადანი,
ჯანგისგან გაყვითლებული.
გულისტკივილი იმისა,
ზღვა იყო, ადიდებული.</p> <p>10 ფხას ჯანგი სჭამდა უენოდ,
გულს კაეშანთა კრებული.
სამოცი ომის მნახველი,
სამოცკერ გამარჯვებული.
მუდამ გმირობას ჩვეული</p> | <p>არ არის დამშვიდებული.
15 მონატრებია ოხერსა
ფხაზე მტრის სისხლი
ცხებული.
ომში აღარვის შააქვის,
აღარცად უჩან ერთგული.
იმიტო ტირის გორდაი,
20 მითია დამარცხებული.
აღარ უშინჯავს ვადათა
გმირის მარჯვენა ქებული,
ჩიოდა, რაზე შამომწყრა
ის სულით განათლებული.</p> |
|--|---|





ნაწილი მეორე

უენიუკნები

და

პარიანტები



ბრძოლა მომხდურებთან

1. ჩაბვიძელ, ბერო მინდიაჰ

ჩაწერილი ხევში. მოხ., გვ. 18. პირველი ოთხი სტრიქონი დამოუკიდებლადაც არის გავრცელებული. ახლა ძნელია დადგენა, პირველი ოთხი სტრიქონი მოწყდა ტექსტს და დამოუკიდებელი ნაწარმოების სახე მიიღო, თუ თავიდანვე დამოუკიდებლად შეიქმნა ეს სტრიქონები და შემდეგ განავრცეს იგი. ასეა თუ ისე, ეს ტექსტი დამთავრებული სახის ნაწარმოებია და იგი ხოგაის მინდიას ციკლში შეგვაქვს.

ხ ე ს უ რ უ ლ ი

ბ

გაგვიძველ, ბერო მინდიაჰ, მუჭლი შაიბი მგლისაო.
ახლებიე ჩაახალიზენ, ვისაც გული აქვ ცღისაო.
ქოციდიან სასახელოდა, მინდის ბერი ხყავ ძმისაო*.

ჩამწერი აკ. შანიძე, შან., № 190, გვ. 79.

მ ო ხ ე უ რ ი

ბ

ჩაგვიძელ, ბერო მინდიაჰ, მუჭლი შაიბი მგლისაო.
ჩაგვიყოლიე უნტროსნი, ვისაც თავი აქვს ცღისაო.

ჩამწერი ალ. ყაზბეგი. შან., გვ. 455.

2. ხოგაის მინდი

ხევსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 146, გვ. 58—59. ტექსტს ახლავს ჩამწერის შენიშვნა: „ეს მინდი შესანიშნავი

* ტექნიკური მიზეზების გამო ამ ნაკვეთშიც ვარიანტები 16 მარცვლოვნად აბეჭდება.

გმირია ხევსურებისა. ეს ლექსი მრავალ ვარიანტად არის გავრცელებული ფშავში თუ ქვესურეთში. ეს ერთი ვარიანტია ამ მშვენიერი პოემისა“. იქვე, გვ. 421. ლექსი იმითაც არის საინტერესო, რომ შეიცავს მოტივს ქართული საგმირო ტრადიციისა, რომლის მიხედვითაც ცოლ-ვად ითვლებოდა მტრის რაზმიდან თორმეტზე მეტის მოკვლა: „თორმეტი მოკლა მინდიმა, დადგა, ჩააგა კმალია“ — სტრიქ. 49.

ბ

- ხევსურებ ქისტეთს წავიდეს, გადაიარნეს მთანიო;
როსცა ჩავიდეს ქისტეთში, გადაერივნეს გზანიო.
დაუხედეს ქისტის ქალები, გაუღეს ციხის კარიო,
მითხოში კაცებ დაგზავნეს, თქვენაც გვიჭირეთ მხარიო;
- 5 მოვიდეს აჩქარებითა სულხან, ბათაჟა, ძმანიო,
მოლაღეს ქისტის შვილები, გარს შემოართყეს ჯარიო;
ხოგაის მინდი გვიჩვენეთ, ბევრი გვიმართებს ვალიო...
ამს იძახდა ყველაი ქისტის კაცი და ქალიო;
— მინდი რა სანახავია, წელთ აღარ არტყავ ხმალიო;
- 10 ბეწინამ ნანაიძემა ფეხზედ ჩაიცივნა ჭლანნიო.
საკმისას გამაუვარდა, შუა გახივა ჯარიო:
შვიდი-რვა მოკლა ომითა, გავარდა ნიაგ-ქარიო.
ხოგაის მინდიმ უძახა: — აბა მიჭირეთ თვალიო,
ძალღნო, მიდგეხართ კარზედა, გინდოდათ ჩემი თავიო!?
- 15 საკმისას გამაუვარდა, გამაიყოლა ხმალიო;
თორმეტი მოკლა ომითა, გავარდა ნიაგ-ქარიო!
ვერაინ დასწვდა სახმლედა, ვერც მაუკვლიეს კვალიო!
ამბობდეს ქისტის შვილები, — ხომ არ შაუსხნეს მხარნიო?
ხევსურეთს როსცა მოვიდეს, შაყარეს ქალი-რძალიო.
- 20 უთხრეს, თქვენ უნდა გიამბოთ ეს ჩვენი ცოდვა-ბრალიო:
მიზოში ქალმ მოგვატყუა, შინ არა ჰყვანდა ქმარიო;
წინ-წინ შინ შავიპატრია, მემრე შაყარა ჯარიო,
გავვიშვნა უიარაღო, წელზედ შამოგვხსნა ხმალიო;
ქისტეთში ციხე გავტეხეთ, ველარც კი მოგვკარეს თვალიო...

ფშავი. ჩამწერი დავით ხიზანაშვილი. ფშ. ლექს, გვ. 90—92. ამ ვარიანტს თითქმის იმეორებს 1911 წ. ფშავში, 18 წლის ივანე მისრიაშვილის თქმით, აკაკი შანიძის მიერ ჩაწერილი ტექსტი (შან., გვ. 422). ამის გამო აკაკი შანიძე შენიშნავს: „ეს ვარიანტი (აკ. შანიძის ჩანაწერი. ქ. ს.) ისე ძალიან მისდევს ხიზანაშვილის ჩანაწერს, რომ შეიძლება ექვი დაიბადოს: ჩემს მოამბეს (ან მის მასწავლებელს) წიგნის საშუალებით ხომ არ აქვს შეთვისებული“. შან., გვ. 422, აკ. შანიძეს აღნიშნული აქვს მათ შორის მცირე განსხვავებანი. იქვე, ხიზანაშვილის

ჩაწერილ ლექსში მინდიასთან ერთად იხსენიება მეორე გმირიც — ბე-
წინა, ე. ი. ბატარა ნანაიძე. ტექსტს ახლავს შენიშვნა — სტრიქ. 9.
მინდი — ხევისურის სახელია.

3

არხოტით მზირი წავიდა, გაწყრომით გაჰყვა ჭვარია,
ჩაცვივდეს ჭარეგაშია მონადირენი რუანია.

გამევეგება ერთ ქალი: „მოსულან ჩემნი ძმანია“,
გაუძღვა, ციხეს შაყარანა, გამაუჭარა კარია.

- 5 ტერელოს კაცი გაგზავნეს: „ებლა გვიჭირეთ მქარია, —
აქა გვეყან: ხოგაის მინდი, თქვენი მკოცელნი მგელნია“.
საგათენებოდ მოცივიდენ სულხან, ზათაკა, ძმანია.
„გვაჩვენეთ ხოგაის მინდი, ძველი გვიკიდავ ეალია“.
— „რად გინდათ ხოგაის მინდი? წელთ არ არტყავის კმალია,
- 10 მინდის მიეცით აბჯარი, დაუღეინეთ თავია.
მინდის რო თავის კმალ მისცეს, თორმეტ-ოცს მასჭრა თავია.
ბატარამ ნანაისძემა ვიწროდ ვაბანლა ჭლანია.
ციხიდან გამაუფარდა, შუა ჩახია ჭარია.
გაფრინდა მერცხალივითა, გეკიდება თვალია.
- 15 არხოტში გადაიარე, გადაიტანე ბრალია,
მიიტანოდი ამბავი, მინდის რაც ადგა დარია.
უნდა ატირდენ ცრემლადა არხოტის ქალი — დ' რძალია.

ჩამწერი ე. ტუქსიშვილი. შან., გვ. 423.

დ

ჩაწერილი კაწალხევში 1940 წ. ფშ.-ხევის., გვ. 116, სათაურად აქვს
„ხოგაის მინდი“. ახლავს განმარტება: სტრიქ. 13 ქავი — ციხე, ნაგებო-
ბა, სიმაგრე.

ე

მოყვანილია ვაჟა-ფშაველას წერილში „ხევისურები“, როგორც სა-
კუთრივ ხევისურული პოეზიის ნიმუში. ტ. V, გვ. 45—46.

3. ხოგაის მინდი

ფშავი. ჩამწერი ბეწუკლიშვილი. კოტ., გვ. 125, ახ. გამოც., გვ. 141.
ხოგაის მინდიზე შექმნილი ვრცელი ლექსის (2 შან., № 146) დასასრუ-
ლის ვარიანტია. შეიძლება დამოუკიდებლადაც იყოს შექმნილი და შემ-
დეგ დაკავშირებული ვრცელ ლექსთან.

მთქმელი ბაღია ბალიაური. ხევსურეთი. ჩამწერი ნ. ურბნელი. ივ., № 57, 1888 წ., — შან., № 103, გვ. 39. აკ. შანიძე შენიშნავს: „აქ მოხსენებული ალუდაური იყო შვილი აბაისძისა (№№ 252, 328). № 250 კი მოგვითხრობს სხვა ალუდაურის შესახებ, რომელიც უფრო ადრე ცხოვრობდა“. შან., გვ. 402.

ბ

კომლას დაიქცა ქვიტიკირი, კუთხი გამოსქდა ქვისაო:

მინდიაშ გაბურის ძემა შეუქი ჩაკრიფა მზისაო.

ჯარაის წყარო შეეკრა გოშტიკაურის მზირთაო.

ბრალი ას მინდიასად, ტანი დაეძრას გმირსაო!

5 ზედ დაშჩის ალუდაური, შავი ღერბელი ცისაო“.

ხ ე ვ ს უ რ ე თ ი. ჩამწერი ბეს. გაბური. შან., გვ. 402 აკ. შანიძე შენიშნავს: „ბესარიონის ცნობით, ახალა ჯაბუშანურს ორი შვილი დაუხოცავს ავლოლა გოშტიკაურისაჲვის და უკანასკნელს სისხლის ასაღებად მზირი წამოუყვანია საარხვატოდ და ჩაუსხამს არხოტის ჭალაში, ჯარაის წყაროსთან, რომელზედაც არხოტივნებს საბოსლო ტანიეს გზა აქვთ. ამ დროს ს. კომლიდან ალუდაური და მინდია, ძმები, ხეების საჭრელად წასულან ჯარაის წყაროზე. თუმცა ისინი ავლოლას მესისხლენი არ ყოფილან, მაგრამ ავლოლას უთქვამ: „სულ ერთია, მე რა ვისა მემართა, რომ შვილნი გამიწყვიტენს“—ო და დაუხლიათ თოფები. მოჰხვედრია მინდიას და წაქცეულა. ძმა ალუდაური კი გადამბტარა „ხუთ საჲან წყალზე“ და დასდევნებია ქისტებს და მოუკლავს „ძმის მეკელე“ (ძმის მომკლავი) ავლოლა. თვითონაც მოჰხვედრია ტყვია, მაგრამ საპირისწამლეს გადაურჩენია. დაბრუნებულ ალუდაურს მინდია კიდევ ცოცხალი დაჰხვდომია. ამასობაში არხოტში ხმა გამტყდარა და მდევარი წასულა, რომელიც სისხლის კვალს დაჰკრილ ავლოლამდი მიუყვანია. ალუდაურს ყური მოუთლია ავლოლასთვის და თავისი ძმის უმცროსობა უთქვამს. ხალხს შემდეგ თოფები დაუყრია ქისტისათვის და მოუკლავთ, მიუხედავად ალუდაურის ხვეწნისა: „უსაკადრევოდ ნუ გახტდითავ უსაკადრევოდ გაქდილი არ მინდავ ძმის უნცროსადავ“. ამაზე ყოფილა ნათქვამი:

014.

არხოტის ჭალას ყორნები მკვდარზე ჩაღიან ქოთითა.

დაგლოცვენ, ალუდაურო, გაბუურისძევ, თოფითა:

ძმას წაულალე უნცროსი, რომელიც ღიღლოს სჯობისა.

შან., გვ. 402—403.

5. ჯარის წყაროს

ხევსურეთი. ჩამწერი სიმ. გაბური. შან., № 104, გვ. 40. ახლავს აკ. შანიძის შენიშვნა „დავებქდე Gs-ის (იგულისხმება სიმონ გაბური. ქ. ს.) ჩანაწერის მიხედვით. — 7 აბუორიტესა (აბზორიტესა — Gs-ის ცნობით ეს ამბავი უნდა მომხდარიყოს დაახლოებით 90 წლის წინად) (G იგულისხმება ბესარიონ გაბური. ქ. ს.) 1914 წერდა, 60 წლის ამბავიო). Gs გვატყობინებს: „ალუდაური გარდაიცვალა სიბერით 1896 წელს“. (სხვა ალუდაურის შესახებ ნ. № 250).

აქ რომ ბოლოში მათქვამობაა (მმ. 9—12), ეს არსებითად იგივეა, რაც წინა ნომრისა (მმ. 17—20). რადგანაც რითმის მიხედვით იგი წინა ნომერს უდგება და არა ამას, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, აქ შემთხვევითაა გადმოტანილი“. შან., გვ. 403. ამ ლექსისა და მისი აღრესატის შესახებ ნარკვევში „ხევსურულ პოეზიაზე“ ნ. ურბნელი წერს: „...როგორც ძველ დროს, ისე ეხლაც ხშირად საკმაოა ერთი უბრალო ქისტი მოჰკლა, რომ გმირთა-გმირის სახელი გაითქვა; მაგალითებრ, სოფ. ჭიმლაში, ეხლაც ცოცხალია ახოვანი ალუდაური, რომელმაც ამ რამდენისამე წლის წინათ თავის ძმის მკვლეელი ქისტი მოჰკლა. ეს ხომ უბრალო საქმეა, მაგრამ ალუდაურს-კი სიმღერა სხვანაირად იხსენიებს:

ბარაქა, ალუდაურო, არეის შაარჩენ ჭირააო
მანამდენ სახსოვარია, მანამდენ წყალი დისაო — .
ნაქნარი ალუდაურის ანდერძად არ ითქმისაო!

რა არის აქ ისეთი, რაც ანდერძად არა თქმულიყვეს, არ გავგონილიყვეს“. ივ., № 178, 1887 წ., — ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940, გვ. 117.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

- ჯარის წყაროს ომ იქნა დილა ამავს მზისასა,
აუღდა მზირი გაბურთა, ჩამატეხას ღვაგ ცისასა.
ბრალი ას მინდიასად, ბეჭნი მიანდენას ქვიშასა
ზედ დაშჩის ალუდაური, დველნებას ღვაგ ცისასა,
5 აქდოლას ჩამახკიოდა: „ქელთ მაგცემ შენის ჭკვისასა!
გამექცა, ვერცად წამიხოლ, ტუვიას გკრავ კირიშისასა“.
თოფო, დაგაყრის წამალსა, ტუვიავ, დაგარტყამს ისარსა.
ბარაქალ, ალუდაურო, კენესას არ ხყურობ ძმისასა!
გაღფრინდი გაუფრინდომჲა ჯარის წყაროს სხვისასა
10 აქდოლა გოშტიკაური ტოტით სადამ თხრის ქვიშათა.
ჩაუღდე, ალუდაურო, ნათოზსა გულ-ღვიძლისასა,

მახველავ ამჟორიტესა საფერსა შენის ძმისასა,
აქლოლას გოშტიკაურსა, უკულმ მლოცველსა ღთისასა.
დაბრუნდი, ალუდაურო, ნაპირს ამახვევ წყლისასა!
15 ქება ნიაღვ შაგვლები იმავე ღლეს მძებნელს ძმისასა!“
ხევსურეთი. ჩამწერი ბეს. გაბუერი, შან., გვ. 403.

გ

ბარაქელ, ალუდაურო, უქნელს შენ სჩადი სხვისასა!
გახფრინდი არხოტის წყალსა გაუფრინდალსა სხვისასა.
თოფსა ჰქმარობდი ოროლსა: თავისას, თავის ძმისასა.
გავარდა შენი ჳირიში, გაამტვრევს გულის ფიცარსა,
5 კვალს მიხვევ, ალუდაურო, ნათოსსა გულ-ღვიძლისასა.
ხევსურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., გვ. 404.

6. ოჩიაშრნი

მთქმელი ალუდა ზვიადაური. ხევსურეთი. ჩამწერი ნ. ურბნელი.
ივ. № 32, 1888 წ., შან., № 181, გვ. 74—75. ახლავს ნ. ურბნელის
ტექსტუალური შენიშვნები: სტრიქ. 4 არ დაგიბარათ გზიანი — „მუქა-
რა შემოგითვალათო“; სტრიქ. 11. ქორილამოს — „ქორი ალამოს“;
სტრიქ. 14. ირემა რქა-ჯანგიანი — „ხევსური კარგს ვაქყაცს ირემსაც
ადარებს“. სტრიქ. 17. იქნებიმც ალუდაისა — „საიქიოს ალუდას მო-
სამსახურე იქნებო“. სტრიქ. 23—24. ნეტავი მაგათ დედასა! ჳარ დასხ-
დეს სახელიანი — „საქორწილო ნადიმობა; ვაქყაცის დედას დიდ პა-
ტივს სცემენ და საპატიო თასს სასმელით მიართმევენ“. შან., გვ. 443.

ბ

რად გაგიხარდათ, ქისტებო, არხოტიენების ზიანი?
უშიშამ ოჩიაურმა არ დაგიბარათ გზიანი.
მიუვას ალუდიკასა: „შინშნო, ორთ სირცხვილიანნი:
„ამლას მაგვიკლეს დისწული, აბათ კუოდლეა კმლიანი.
5 ადგეს, ჩაიდვეს საგძალი, წვერ გაიარეს კლდიანი,
ჩავიდეს ჳორიელასა, დილა ას თვირთვილიანი.
მიუვას ჩხორაგოელი მანძილა რქა-ჯანგიანი.
ჩამაეხვიენეს თოფებსა, მაერებს გახქონდა ძგრიალი.
„კურდღელაისადამც იქნები! მანდ დაწვე გულს-ნატყვიარი!“
10 ჩორებს ჩახყეფენ ყორნები: „ვინ იყავ, ვინ ხქენ ზიანი?“
— იქნების ოჩიაური, ბევრჯელ დაგაძლნათ მშიერი
ამავე სიმღერის მათქვამი, ზენ-უბან ბანზე ვზივარი.
საამხანიგოდ რად გძულდით? ვანთა ქალ-ვიყავ თძიანი?

ჩამწერი ბეს. გაბუერი. შან., გვ. 443.

რად გაგიხარდათ, ღიღღეღეღო, არხოტიანთა ზიანი?
 უშიშა ოჩიაურმა, როს დაგიბარა გზიანი,
 ალუდაიშვილს მიუა, შინ სხედვართ სირცხვილიანი.
 ადგეს, ჩაიდგეს საგძალი, წვერ გაიარეს კლდიანი,

- 5 გავიდეს ქორიელაზე, დილაა აირთვილიანი.
 მოუკლავთ ცხვირგუელი თეთრა მანძილა რქიანი,
 ერთმანეთს ეუბნებიან: ორა გულს უყვეს ზიანი,
 კურღლელაიდამც იქნები, შამოწე გულს ნატყუიარი.
 ჩორეხ აყეფდა ყორნები: ვინ იყავ, ვინ ხქენ რიალი?
 10 „ოჩიაურნი, ყორანნო, სრუ დიან სახელიანნი“.
 ამაგ ლექსისა მათქემამი ახიელ ბანზე ეზივარო.

ხევი. 1870 წ. უმიკ., № 34, გვ. 42. ახლავს განმარტებანი: სტრიქ.
 5—ქორიელა — მთა; სტრიქ. 9 — ჩორეხი — კლდე.

7. უშიშავ ოჩიაური

მთქმელი ბახა ოჩიაური, ხევსურეთი, სოფ. ახიელა. ჩამწერი
 აკ. შანიძე, 4. VIII—1913 წ. შან., № 106, გვ. 41. აკ. შანიძე მართებუ-
 ლად აღნიშნავს, რომ ეს ლექსი მიბმულია მეორე ამავე ციკლის (№ 8)
 ლექსზე. იქვე, გვ. 404. თითქმის ასეთივეა 2. VII—1944 წ.— ჩვენს მი-
 ერ ახიელაში გაბრიელ ბაბუას ძე ოჩიაურისაგან ჩაწერილი ტექსტი.
 აღსანიშნავია, რომ გაბრიელმაც ეს ტექსტი გადააბა მომღვენო ლექსს.

8. უშიშავ ოჩიაური

მთქმელი ბახა ოჩიაური. ხევსურეთი. ახიელა. ჩამწერი აკ. შანიძე.
 4. VIII—1913 წ. შან., № 106, გვ. 41.

ბ

კომლის კლდეს ხყეფდან ყორანები, ერთი უძახდეს სხვასაო,
 ველთ მივას ოჩიაური, გავხვეთ ე მაგის კვალსაო,
 სახერელად არ მოგვაკლდების თათარა ქისტის ძვალსაო.

მთქმელი გაბრიელ ოჩიაური. ხევსურეთი, ს. ახიელა. ჩამწერი ქს.
 სიხარულიძე. 2. VII—1944 წ. მთქმელმა ამ ტექსტსს მოაბა № 7.

ბ

კომლის კლდეს ხყეფდა ყორანი, ერთი უძახდეს სხვასაო;
 უშიშა არ მოგვაკლებდა — სახრავად ქისტის ძვალსაო.

მთქმელი გიორგი ოჩიაური (გერგეტელი) სოფ. ახიელა — ჩამწერი ქს. სიხარულიძე. 2. VIII—1944 წ.

ამ ლექსს მთქმელის ცნობით ხატობაზე დასტურები ასრულებდნენ. მთქმელის გადმოცემით უშიშა ოჩიაური ყოფილა ახიელი, კარგი ვაჟკაცი. იგი ქისტებს მოუყვავთ, ამოუღიათ მისი გული და ორსული ქალისათვის უჭმევიათ, რომ ისეთი ვაჟკაცი დაებადებო. „ეგრე ას ანდრეზიო“ აღნიშნა მთქმელმა. ამავეს აღნიშნავს ხალხი აგრეთვე ხოგაის მინდის შესახებაც.

9. ვიზლის კლდეს ხუფდა ყორანი

ხევსურეთი. ჩამწერი ივ. ოჩიაური, უმიკ., № 35, გვ. 43. პირველი. ოთხი სტრიქონი ვარიანტია წინა ნომრისა.

10. ნარჩვი ვაჟების ჩაწოცა

ხევსურეთი. ჩამწერი ბეს. გაბური. შან., № 524, გვ. 213—214. შეიძლებოდა ლექსი სამგლოვიარო განყოფილებაშიც მოთავსებულიყო—

ბ.

- სიკვდილმ თქო: „არ დავიჭვრებ, ნაბძანებს ვიქამ ღვთისასა, —
ახიელს მავაგლეჩიებ ნაწურსა გრილის მთისასა,
მაუკლავ ბუზურაულსა, ყარაულს ზენ-უბნისასა,
დათვით კიბალაურსა, ფალავანს ბატონისასა,
5 ქადელსა ღერენათასა, ქავის კარს გამღეს გზისასა,
უშიშას ოჩიაურსა, მგლებურ მჭამელსა მტრისასა,
მაუკლავ ბაკთ ბაკასა, თესლს დავლღევ შავარდნისასა,
ბადათა აბაისძესა, კულას ჩამავული ქვისასა,
მარტიას შუქიაურსა, მარტოს მკერს ადგილისასა,
10 შეღმათა აღუდაურსა, შავსა ლურბელსა ცისასა,
საავდროდ დამზადებულსა მალღის არხვატის მთისასა,
გალმათა აბაისძესა, წელ-შუგ მუშასა სმისასა,
ჩინგლათა ბაჩაყაურსა, მთვარესა ხუთმეტისასა,
ციათას შავეკლავ ნიასა, ჭალას ამაღლეს კმლისასა.

ჩაწერილი გიორგი ჯაბუშანურის 6. VIII. 1913. ს. ახიელში. (—ავ: შანიძის შენიშვნა: „ახიელს მავაგლეჩიებ ნაწურსა გრილის მთისასა“) შან., გვ. 567. ეს იმაზეა ნათქვამი, რომ ყინვარი დაქანებულა მთიდან და სოფლის ნაწილი მოუგლეჩია და ხალხი გაუწყვეტია; 7 თესლს დავლღევ შავარდნისასა (ე. ი. ამომწყდარა; 12 წელ-შუგ მუშასა სმისასა) ე. ი. წელ-გამომშვებით ნადიმის გამმართველსაო. აქ ჩამოთვლილია მარტო ახიელები, მაშინ როდესაც ა. ვარიანტში გამოჩენილ არხოტელ-

თა სიკვდილის ამბავია ზემო სოფლიდან მოყოლებული ქვემოთმდე, ე. ი. კიმილიდან კალოთანამდე („სათავით ჩამავხეყებოდი, ბოლოს გამავალ წყლისასა“-ო)“. შან., გვ. 567.

ბ

სიკვდილ თქუ, არ დავიჭერებ, ნაბრძანებს ვიქამ ხეთისასო, ზენუბანს შავაწმენდიებ ნაწურსა გრილის მთისასო.

მავხკლევდი კანჭარუსა ყარაულს ზენუბნისაო, უშიშას ოჩიაურსა მგლებურ შქაშელსა მტრისაო,

5 აქულათ ქასას მავხკლევდი შაორდენს შალაისაო, ალიათ ბაბლეს მავხკლევდი დამლუპავს დილღლებისაო.

მთქმელი გიორგი ოჩიაური (გერგეტელი), სოფ. ახიელა. ჩამწერი ქს. სიხარულიძე. 2. VIII—1944 წ. სტრიქ. 3. კ ა ნ ჭ ა რ უ ა ც ი ს კ ა - რ ა უ ლ ი — ხ ე ვ ს უ რ ი. სტრიქ. 4. უ შ ი შ ა ო ჩ ი ა უ რ ი — ა ხ ი ე ლ ე - ლ ი გ მ ი რ ი. სტრიქ. 5. ა ქ უ ა ლ დ ქ ა ს ა - ა ხ ი ე ლ ი ხ ე ვ ს უ რ ი; სტრიქ. 6. ა ლ ი ა დ ბ ა ბ ლ ე — ბ ა ბ ლ ე ჭ ა ბ უ შ ა ნ უ რ ი. მთქმე- ლის ცნობით ამ სიმღერას დასტურები ასრულებდნენ ხატობაში.

დ

სიკვდილმა თქვა: „არ დავიჭერებ, ნაწერობს ვიქამ ღვთისასა. ჩავდგები სოფლით-სოფელში, ღივს დაველე ახლებისასა“.

ფშავი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., გვ. 568.

ე

სიკვდილმ თქვა: არ დავიჭერებ, ნაბრძანებს ვიზამ ღვთისასა: შავეთში შავური ლაშქარსა შავგვრემანას ყმისასა. იქ დავდგამ ლუდიანს კოდებს, შიგ თა:ებს ჩავდგამ ხისასა; დავალევიებ იმასა, ვინც მაღლა შაქრავს ისარსა!

ფშავი. ჩამწერი გრ. აფშინაშვილი. ფ. არქ., № 904. ხელნაწ. ინსტ. H—1990. ტექსტს ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 1. ა რ დ ა ვ ი ჭ ე - რ ე ბ, ე. ი. არ დავიშლი; სტრიქ. 4. ყმას ფშაველი კარგს ვაქყაცს უწოდებს; სტრიქ. 5. კ ო დ ი - ხ ის დიდი კასრი, ლუდის დასაყენები. ამ ლექსში ნათქვამია: „ლუდს მხოლოდ იმას დავალევიებ, რომელიც ყველაზე ღონიერად და უფრო მაღლა შესტყორცნის ისარსო“.

ხევსურეთი. ჩამწერი სიმონ გაბური. შან., № 124. გვ. 47. ტექსტს ახლავს აკ. შანიძის შენიშვნა: „ეს ის უშიშა წიკლაური, რომელზე-დაც მოგვითხრობს №№ 107—109“. შან., გვ. 409.

12. უშიშა წიკლაური

მთქმელი ალექსი ოჩიაური, ხევსურეთი. ს. ახიელა. ჩამწერი აკ. შანიძე, 4. VI-II—1913 წ. შან., № 107, გვ. 41. დართული აქვს ალექსი ოჩიაურის მოთხრობილი გადმოცემის შინაარსი: „ქისტი დაზი მხლებლებითურთ ჩაჰსაფრებია თავის მოსისხლეს ამღელ აბაისძეს. ამ დროს შეჰფეთებთან მონადირენი უშიშა და ოდინა. უშიშა დაუჭრიათ, მაგრამ ოდინას არ დაუნებებია დაჭრილი: წყალში დასველებული თოფი ქისტებისათვის დაუჭრია და უშიშამდი არ მიუშვია, უშიშას მხოლოდ ერთხელ მოუსწვრია თოფის გასროლა. თოფის ხმა უცვნია უშიშას ძმას, თამარისძეს, რომელსაც სწრაფად შეუყრია ამხანაგები, გადაუღობავს გზა ქისტებისათვის, მოუკლავს სამი და დაჭრილი ძმისთვის კიდევ ცოცხლისთვის მიუსწვრია“. შან., გვ. 404—405.

ბ

ტერღის წვერ გაუგონებავ ბინას დაქცევა კლდისაო.

ეტყოღის თამარისძეი: „უშიშას უჭირღისაო, —

ჭირიმი უშიშაისი ნელ-ნელა გამოღისაო“.

სადღუე ჩამოიარეს არწივებმ კივილითაო.

5 იწროდ შაუკრეს სახვევი, საღით მისავალ იყვის მტრისაო.

ორთავ ესროლეს ოროლი, ქისტები ერთუც თრისაო.

ხ ე ვ ს უ რ ე თ ი. ჩამწერი სიმ. გაბური. შან., გვ. 405, იქვე მოყვანილია სიმ. გაბურის მონათხრობი: „წავიდეს სამზირად: მინღია, თამარისძე და უშიშა. თამარისძე და უშიშა ძმანი იყენეს და მინღია კი — ბიძაშვილი იმათი. შინშნი მინღია და თამარისძე წავიდეს ტერღის წვერს და უშიშამ კი შეუკრა ბინის ჰალა. თუ იმაზე მავიდოღეს ქისტები, უშიშა დახვდებოდა, და თუ ტერღის წვერ, — მაშინ დახვდებოღეს მინღია და თამარისძე, შინშნი. უშიშა ჯობდა მათ და იმით დავიდოდა მარტო. ქისტის ჯარი მავიდა, საც იყვა უშიშა. ქისტებს ესროლა უშიშამა და ისენიც ესროღეს და დახკრეს. უშიშას ერთი კი ესროლა. მინღიამა და თამარისძემ გაიგონეს თოფების ხმა, უშიშაის თოფისა იცნეს, უთხრეს ერთუც, რო მოკლესავ, — ერთის მეტი არ გამავარდავ უშიშაის თოფივ. დაიქცენეს ჰალაისკენ და შაუკრეს გზა. მავიდა ქისტები შღერით და ლზინით. ის უხარიან, რომ უშიშა მოკლეს. გზაში ჩა-

საფრებულთ დაუძახეს: ვინები ხართ? ქისტები აირ-დაირივნეს. გას-
 ცქირა თამარისძემ და ნახა მის ძმის უშიშაის სასაგძლე და თოფის ბუდე
 იცნა ძმისა. უთხრა მინდიას: აგერა, ჩემი ძმის გულა მიაქვსავ, მაჟკლავ-
 სავ. უთხრა მინდიამ: მე კი იმას ვესრვივ, ვისაც მიაქვსავ და შენ მეორეს
 ესროლევ. ესროლეს ვართავ (ორთავ). მინდიამ რომენსაც ესროლა, მოკ-
 ლა და თამარისძემ კი ააცილა მეორე ქისტს ტყვია. კიდევ გატენეს
 თოფები მეორ-მეორე, ესროლეს. კიდევ მოკლა მეორეც მინდიამ. თა-
 მარისძემ ისევ ააცილინა ტყვია. მივიდეს მკვდრებ ქისტებსთან და ის
 გულა წაიღეს. წავიდეს უშიშასთან და ხის ძირში იპოვნეს დაჭრილი
 ზძიმედ. და რამთვენიმე დღის შემდეგ გადაიცივალა უშიშა. ის კი ყველა
 უამბეს, რაც ქისტები მოკლეს და მის გულაც მოართვეს სისხლიანი,
 ქისტის სისხლით გასვრილი. მაშინ უშიშამ მინდიას თოლებში აკოც-
 უშიშას ქისტი მაკლული ჰყვანდა 20 მეტობით. უშიშა იყვ წიკლაური,
 სოფ. ალაში მცხ., რაც გადაიცივალა, იქნება 60 წელი“. შან., გვ. 405.

ბ

ტერლის წვერს მონადირეთა თოფის კმა იცნეს ძმისაო.

მინდოდა გუბნებოდა: „თუ კვლად დაგვიკრეს ვისაო!“

მეორედ აღარ მოიდა თოფის კმა ჩვენის ძმისაო“.

წამოვლენ საქალაოდა არწივნი კივილითაო.

5 ტერლის კარს მაუტაცებავ საყარი ორის გზისაო.

მაუვა შუადღის დროსა, ჯარ მოვა დილიღვლებისაო.

ერთმანერთს ეუბნებიან: „გერშ მოვიდ ჩვენის ძმისაო“.

საცმელა უშიშაისა დილიღველს მკარს შახტდებისაო.

თოფები დააყარიან, ჩამოტეხაა ცისაო.

10 ორი შასწირეს უშიშას თავი კარგისა ყმისაო.

დაძვირდა ტყვია-წამალი, ნდობა ვერ მოკლეს ცდისაო.

ხევსურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., გვ. 405—406 .ახლავს
 ჩამწერის შენიშვნა სტრიქ. 8 საცმელა უშიშაისი დილიღველს ტანს შახტ-
 დებისაო — მინდოდას ძმა უშიშა მაჟკლეს ქისტებმა და იმისი ტანისა-
 მოსი ერთ ქისტს ჩაეცვა, ამათ რო გზა შაუკრეს ქისტებს“. იქვე.

დ

ტერლის წვერს მონადირეთა თოფის კმა იცნეს ძმისაო.

ერთმანეთს ეუბნებიან: „უშიშას უკირდისაო“,

მეორე აღარ გავარდა, თუ-კლად დაგვიკრეს გმირსაო“.

სადღუე ჩამაიარეს არწივთა კივილითაო,

5 შაუკრეს მოსავალი გზა გამარჯვებულთა შირითაო.

შახენეს: მოდიან ქისტები, თოფ მააქვ იპათ ძმისაო.

ქერ იცნეს თოფის ბუდეი, ძვალ თოფის ყონდაყისაო.

ჩვესაფრენს, ჩაუსხდეს ქვესურნი, ძალი აქსენეს ხთისაო.
იმ ღროს ნახნეს ქისტებმა გული ძნელია მტრისაო.

- 10 ქვესურთ ესრეს თოფები, ქისტები დასცეს ძირსაო.
მემრ კმლებს მოივლნეს ქელები, სრუ დაკოცნეს კმლითაო.
წავიდეს უშიშასთანა, იქაც აზრი აქვ მკვედრისაო.
უშიშა ცოცხალივ ყოფილა, ნახვა გაუხარდ ძმისაო.
ენით კი ველარ ამბობს, უშიშა, ნატყვიარ ბევრი სჭირსაო.
- 15 ქელით ალიშნა მოკლული, „ერთ რომ ვესროლე, მითაო,
ჩემ თოფ წაგირთომთ ისრევე, თქვენსამ წავიღებ კირსაო.

სოფ. ახიელა. ჩამწერი გიორგი ჯაბუშანური. 6. VI.II—1913 წ.
შან., გვ. 406.

13. ველობა გაუბედავის

მთქმელი ალუდა ზვიადაური. ჩამწერი ნ. ურბნელი ივ., № 43, 1888 წ.; — შან., № 108, გვ. 42. ეს ლექსი უშიშა წიკლაურზე შექმნილ ნაწარმოებთა ციკლს ეკუთვნის. აკ. შანიძის მოსაზრებით იგი ვარიანტია №107 (მისი ნუმერაციით) ჩვენ — კი იგი დამოუკიდებელ ნაწარმოებად მიგვაჩნია.

ბ

ველობა გაუბედავის აბათ კირჩლაის შვილსაო,
ახიელ დაუბარებავ იმ თოთიის შვილსაო.
კარგი ხარ საამხანაგოთ წინან სამწუყარა მზითაო,
ჩაღიან ქალაიჩია, გულნი გაქვ ჯიკვებისაო.

- 5 თავ-თავლე გააკარნიან მაჟორის წადით მთისაო,
წვერი პირს დასძინებია მარტიას კირჩლათ შვილსაო.
წასულა საოცარშია, სიზმარ უნახვ ცდისაო,
მეელის გათენებასა, კარი გველას ცისაო.
ჯიკვებ გახედავს მარტია, ჯარ ნახის ქისტებისაო,
- 10 უჯავრდებოდის კირიშა, თავ არ ირჩივა მტრისაო.
ნაქალი კოჩიკაურთა მარტიას აცდებისაო,
მარტიასა ნასრევი ცარელზე არ ოჩებისაო.
თავთავი კოჩიკაური ყორნიჲ საჭრელად ქდებისაო.
თოფი დაგვიკრეს თენგარსა, ტოტი კლდეს დააჯდებისაო.
- 15 შინ დაბრუნდის მარიაი, წინ საკელ მაუძღვებისაო.
ამლას შამოდგის სოფლადა, მლოკავ კარს მიუდგებისაო,
კითხვდას ცდილობისასა, ვერა ვქენ, ეუბნებისაო.
მამა უაზრევე მარტიას, პირჩი ღმინილმით შჩებისაო.
საყაუბზე მაჰიმზაღეთაო, აქადა ეუბნებისაო.
- 20 ჯარს ამაჯდებდეს კირჩლაი, ცხვარს კი არ შამჯერდებისაო.
ცეტნი ხართ არხოტიონნო, არ აივსევი პირსაო,
თავი არ გიძევთ ტვინისა, მუცელჩი — ნაწლავისაო.

უფროსებ გაუგონევა, ქვე გაამაგრე ქვისაო.
შიგ ისხდენ მეთოღეები, ასე ზო არა მტრისაო.

მთქმელი თოთა მახისძე წიკლაური, 81 წლის. ბრმა. ხევსურეთი, სოფ. ამლა. ჩამწერი ქს. სიხარულიძე 6. VIII—1944. განმარტება — სტრიქ.—19. ს ა ყ ა უ ბ ზ ე — ძ ღ ვ ე ნ ი.

14. ლმერთმა თუ ბძანა

მთქმელი გიორგი ჯაბუშანური. ხევსურეთი, ახიელა. ჩამწერი აკ. შანიძე. შან., № 109, გვ. 42.

15. უთუზბიანნი

ხევსურეთი. ჩამწერი ბეს. გაბური. შან., № 240, გვ. 109.

16. უთუზბის ბიორბი

ხევსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 100, გვ. 38.

17. სახელობა

მთქმელი მამისწვერა არაბული. ჩამწერი ნ. ურბნელი. ივ., № 59, 1888 წ. — შან., № 101, გვ. 38. ამ ლექსის გამო აკ. შანიძე შენიშნავს: „როგორც ჩანს, ეს უნდა იყოს ნაწყვეტი დიდი ლექსისა, სადაც ყველა ხევსურთ სოფლები თუ არა, უმეტესობა მაინც იქნებოდა მოხსენებულ-ლი. აქ მოხსენებულია „სახელობა“ მხოლოდ ზოგიერთებისა: არდოტე-ლებისა, ლიქოკელებისა, გუდანელ-ქორმეშიენებისა, კაკმატელებისა, ბაცალიგვლებისა და კადუელებისა“. შან., გვ. 400.

ბ

- სახელობდა ბერი ქვესური, ბერამ გაბანდის ჭლანო:
გაბერტყეს არდოტელებმა დილით აღრიან ნაშიო.
უთურგათ გორგომ გაწირა ქერიგოს ლელეშიგა მკვდარიო.
ქოდეს წლითავ კაკმატელები, მტერს მაგით შესდვიანავ ზარიო.
- 5 დაქონიანავ ლიქოკელებმა არლოთ მომდინარნი მგზავრნიო.
დაფერნიანავ ბაცალიგველთა ბუყარეშოში კმალნიო,
ამანდ ატირნეს დედანი, ჯვარის სოფელში ქალნიო.
ჩაყარნესავ კადუელებმა უხნოდ შუ ლილღოს კმანიო.
შენავ, მარეშათ ღამბოლიანო, არ მოგცეს, ქისტო, ომის ხანიო.
- 10 შაუკრნესავ წყალს-იქითელთა ბალხის ბათირას გზანიო.
გასტეხიდი ქმოსტი, როშკაი, წაგვისხ, ბათირავ, კარავანიო.
გავიდესავ საყაეჩოსა, პალას ხუშეთის მთასაო.

- ქელი გაიკრისავე აბამა ჩალხურის შვილმა კმალსაო.
 განათლისავე ბაწარაული, ცაწმინდა დაუცემდა თვალსაო.
 15 ჩიოდისავე ნებიერული გატეხას ფრანგულისასაო.
 ნუ შჩივი, ნებიერულო, — აბა გაშოვებს მტრისასაო.

ჩაწერილი ხთისო გოგოჭურის მიერ. ამ ვარიანტს ახლავს აკ. შანიძის შენიშვნა: „გადმომცა 6.III.1931. — აქ ორი სხვა-და-სხვა ლექსია შეერთებული: მუხლები 12—16 ვარიანტია 50 №-ისა“. შან., გვ. 400—401.

8

- ბევრა სახელობს ხევსური, ბევრამ გაბანდა ჭლანიო,
 წლით ხოცენ ხახმატელები, მტერს იმით შესდევს ზარიო.
 არდოტელები აძრახდეს: „მტერმა შემოგერთო თვალიო“.
 ბევრგან გაწირა გიორგიმ უთურგას შვილმა მკვდარიო.
 5 აწითნეს ბაცალიგველთა ბუყარეჩოში გზანიო,
 დაუკრნეს წყალსიქითელთა ბალხის ბათარის გზანიო,
 ჩვენდ იყავ მონის მოქმედო, წაგვისხი ხაროვანიო,
 შიბუს ბათარა მოხკლიან, ყორნებ აილით მკვდარიო,
 დალუპეს ლიქოკელებმა ბუნოთ მომდინარ მგზავრიო,
 10 საშოვარ დაყრევიენს, იმით შურობენ სხვანიო.

მტკმელი ხახმატელი ბერდია ეულაკისძე გამლივარაული. ჩაწერილი ხევსურეთში 1874 წ. უმიკ., № 25, გვ. 38—39.

18. ჯაჯროთ გიორგის ლურჯაი

მტკმელი ვინმე გოგია — ხევსურეთი. ჩამწერი ვ. ტუქსიშვილი. შან., № 133, გვ. 51.

19. გორგი

სოფ. გოგოლაურთა. ჩამწერი შ. ხახონაშვილი 1946 წ. ფშ. ხევს., გვ. 94.

20. გორგის ნუ მაკლავთ

ფშავი. ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 78. ეს და წინა ნომერი ერთიმეორის ვარიანტები არის.

21. მხავლემის ლაშქრობა შაბილში ბარას მეთაურობით

ხევსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 148, გვ. 60. ტექსტს ახლავს ჩამწერის რამდენიმე განმარტება: სტრიქ. 13. რად ეგრე ჩემო ბატონო? — „ლაშარის ჯვარი“. სტრიქ. 17 ლაშარის გორზე

მიკოცავ — „ვითომ ქისტეთიდან გადმორეკილი ხარები ლაშარის ჯვრისათვის შამიწირიაო“. შან., № გვ. 423. ეს ლექსი იმ ხანისა არის, როდესაც შატილში ქისტები სახლობდნენ. ამ ლექსის სტრიქ. 15—18 დამოუკიდებელი ლექსის სახით გამოაქვეყნა ალ. ოჩიაურმა. ოჩ., გვ. 212. როგორც შენიშენიდან ჩანს, აკ შენიძეს ჰქონია ამ ლექსის ფშაური ვარიანტები ჩაწერილი მის მიერ და აგრეთვე ვ. ტუქსიშვილისა და შ. ბეწუკლიშვილის მიერ. შან., გვ. 423.

22. ბარანის ლაშქრობა მისტიზმ

მთქმელი საღირა გიგოს ძე ნადირაშვილი, 86 წლის. სოფ. საკობიანო. ჩამწერი ივ. ხორნაული, 1940 წ. ფშ.—ხევს., გვ. 96. ახლავს განმარტებანი სტრიქ. 2 — მითხო — ქისტეთის სოფელი; სტრიქ. 21 — ქვაკიდი — ადგილია პირიქით ქისტეთში; სტრიქ. 23 — გარა — გმირის სახელი; სტრიქ. 24 — ბორაყის ტარი — დროშის ტარი; სტრიქ. 25 — კისტანი — ქისტეთის სოფელი; სტრიქ. 28 — ვარდანა — კაცის სახელი; სტრიქ. 32 — ლიბუ — საძირკვლის ქვა; სტრიქ. 49 — არ დამელივენ — არ დამეხო/ოს;

23. ბარამა თურმანაულმა

ფშავი. ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ ლექს., გვ. 66—67.

ბ

- გარამა თურმანაულმა მშავისხეე მაიარაო,
შაყარა მშავლის ლაშქარი, მათურა აიარაო,
წითელ-ყვითელი დროშით ბოროლა გადიარაო.
კისტან ატირდა ბებერი — ქარით სად მიხოლ გარაო?
- 5 — შატილს მივდივარ, ბებერი, ვარდანამ დამიბარაო,
მე-დ-იმან უნდა ვიოპოთ, უნდა იქეხნას ცამაო,
გვერდ უნდა გადაიქციენას ვარდანის ციხის ქვამაო,
უნდა ქუიოდან გოზანი, ვარდანის ციხესთანაო.
უნდა ტყვეებოდან ისარნი ციხის წვერ ჩარდახთანაო.
- 10 — პირ ცრემლით უნდა იზანას შუქომ, ვარდანის დამაო,
სისხლნი წავიდან ღვარადა, არ გაირივნას ზღვაშაო,
უნდა დახერდან ღურბელნი, აღარ იწვიმას ცამაო.
გაღუჩნდეს საქვერტელშია, ცა წმინდა უცემს თვალსაო,
ხმა გადის საგათენებოდ, ბიბინ დაიწყა ცამაო,
- 15 — საგათენებოდ დაეცნეს ვარდანას ციხის კარსაო:
— კარზე გამეად, ვარდანაე, ნუ მაიმთვრალე თავსაო,
თას თუ გვეპირას ხელჩია, გადააწვადე სხვასაო,
თუ ხელი ფანდურ გვეპირას, ძმას მიეც მგელიასაო.
გამავალ მგელიას მზეზ, გამაგიყოლებ ფარსაო,

20 — დავიქნევ წარამარადა ჩემს მისურაულს ხმალსაო.
ვაი თქვენს ვარდანს მშველებო, ველარ გადმაველ ქავსაო,
თორ თუ ქავს გადმავსულიყავ, გათრევინებდით მკვდარსაო.

ჩამწერი ალ. ოჩიაური. ოჩ., გვ. 37—38.

24. ღაბერებულა ბარაი

მთქმელი გ. ზვიადაური. ჩაწერილი სოფ. ხაიშოში, ფშ. ხეცს., გვ. 112.

25. ბარა თურმანაული

ხეცურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 153, გვ. 61.

26. როსტომ სთჰვა

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, გვ. 65. როგორც ჩანს როსტომი თუშეთში განთქმული ყოფილა ქისტების დალაშქვრით. ამაზე მეტყველებს მომდევნო ლექსი.

27. ბაჰადელიმც დაილოცება

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, გვ. 65. ჭრელ., გვ. 25. სასიმღეროა, აქვს მელოდია. ორი სტრიქონის — 9—10. გამოკლებით დაბეჭდილია — ქართ. სიმღ., I, გვ. 171, როგორც ქართლური სიმღერა სათაურით „ქება თუში გმირისა“.

28. ბარღის თავს უღბა ლოგინი

ფშავი. ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს. გვ. 74.—შან., გვ. 390, მოყვანილია როგორც ვარიანტი ლექსისა „აზნავეს ქალნი ატირდეს“— შან., № 79, გვ. 31. აკ. შანიძე გრძნობს ამ ლექსის დამოუკიდებლობას და შენიშნავს: „პირველი ორი მუხლი სხვა ლექსის ნაწყვეტი უნდა იყოს“. შან., გვ. 390. ეს სხვა — კი მომდევნო № № 29, 30, 31. კმნიან ერთ ციკლს. № 31 გ ვარიანტის სტრიქ. 3 ემთხვევა ამ ლექსის სტრიქ. 7—8.

29. ბაბა ბარღიშვილი

ხეცურეთი. მთქმელი და ჩამწერი ბეს. გაბური. შან., № 78, გვ. 31.

30. აზნაგის ძალნი ატირდეს

მთქმელი ბადია ბალიაური. ხეცურეთი. ჩამწერი ნ. ურბნელი. ივ. № 135. 1888;— შან., № 79, გვ. 31.

ბ

აზნაგეს დედან ატირდეს, ცრემლით იბანენ პირსაო:
„ევეჲ თქვენ, ჩვენნო მამანო ველარ გახქეთ ჩდილსაო
ველარ მოხკალით გაგაი, ჩორუხის ჩდილში ზისაო.
ადეგით, შეხევეწენით გაგასა ბერდიშვილსაო:

- 5 თავ დაგვანებე, გაგაო, დაგვდეუ ბეგარი ცხვრითაო!“
ჩამწერი ბეს. გაბური. შან., გვ. 389.

ბ

აზნაკს ატირდეს დედანი, ცრემლით იბანენ პირსაო:
„რად არვინ შეხევეწებით ამლას ბერდიას შვილსაო?

- 5 ადავექსენ, ნუ გეჲოც, გაგაო, ბეგარი დაგვდე ცხვრისაო.
აეავსეთ აკალდამაი შენი ნაჲოცი მკვდრითაო.“
ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., გვ. 389.

დ

ჩილოს ატირდეს დედანი, ცრემლით იბანენ პირსაო:
„რაი ქნეს ჩვენთა მამულთა? ველარ გასცილდეს ჩდილსაო?
ვერცვის მუჲკლავ გაგაი, ეგ არ დაგვიღევს ქირსაო.
დაგვექსენ გაგაიო, ჩვენშიგ ნუ აღენ მზირსაო!

- 5 ან წაგვიყვანენ ცოლად, ან დაგვდეუ ბეგარ ცხვრისაო.
სრულ შავით-შავად ვერ მივდიო, მოგეწუინდა გლოვა მკვდრისაო.
დავისახებით ქალად, ფარავს ავისხამთ ღილსაო.
აივსო ეკალდამაი შენის ნაჲოცის მკვდრითაო,
ეკალდამაის კარები — ქალის ნაჲანის თმითაო“.

ჩამწერი ბაჩანა. ივ., № 217, 1898 წ., შან., გვ. 389. აკ. შანიძის
შენიშვნით ეგევე ვარიანტი ყოფილა თ. რაზიკაშვილთანაც. იქვე.

ე

აკალდამები შევავსეთ თქვენის ნაჲოცის მკვდრითაო,
აკალდამისა კარები — ქალთა ნაგლეჯის თმითაო.

ჩამწერი გ. თედორაძე. შან., გვ. 390.

31. ღილღოს იჲრბის ლაშქარი

ხევსურეთი. ჩამწერი ერ. ბალიაური. შან., № 80, გვ. 31.

ბ

ღილღოს იჲრება ლაშქარი, არავინ იცის რაზედა.
საარხოტივნიდ წამავა გაგაის მუჲარაზედა.

ეზოს მოკელეს გაგაი, ვეფხეს სძინებოყო პწკალზედა.

მაშინის გამეღვიძა, ჰელნ რო შაუკრეს მკარზედა.

- 5 „ვაი თქვენს ღედას, ქისტებო, ხანჯარ არ შამჩა ტანზედა“
ერთს ქისტს ასწევდა ხანჯარი, იმასაც დასცა გულზედა,
მეორეს გაღმაუქნია, მკედარ გადააგლო მკედარზედა.
იძახა მამაობითა: „კარი გამიღე ხანზედა“
მარტო შარუმა ომობდა, ერთის ქეიტკირის კარზედა.
- 10 თოფს ისრის გაგაის მამა, მკედარი იყრების მკედარზედა.

ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., გვ. 390. ახლავს ჩამწერის განმარტება. სტრიქ. 8. იძახა მამაობითა — „მამას დაუძახა“. იქვე.

ბ

ღიღღოს შაყრილა ლაშქარი ერთის ღიღღველის კარზედა.

წამოვლენ არხოტისაჲა გაგაის მუქარაზედა.

„წამოვიყვანოთ გაგაი, ჩვენ თავი მოესკრათ ვზაზედა“.

სენას მოასწერეს გაგასა, ცოლი რომ ეწვა მკლავზედა.

- 5 ბერღიაობით იძახდის: „კარი გამიღე ხანზედა“
ბერი ბერღია თოფს ისრის, ღიღღველებსა ჰკოცს ძალზედა.
მარტო ოროლთა დატუსვილათა მკედარი შაყარეს მკედარზედა.
ტერღის კართ კალოთანლები ვეფხევები დაუწვა მკლავზედა.

ჩამწერი შ. ბეწუკლიშვილი. შან., გვ. 390—391. ახლავს აკ. შანიძის შენიშვნა: სტრიქ. 7 მ ა რ ტ ო — ამის შემდეგ სტრიქონი ცარიელია დაგდებული. აქ შარუმას შესახები ამბავია მოსალოდნელი“. შან., გვ. 391.

ღ

წამოვა ქისტის ლაშქარი გაგაის მუქარაზედა,

ბოსელში ჰკელვენ გაგასა, ვეფხეს სძინებოყო მკლავზედა.

აიმ დროს გემეღვიძა, გაუხდა დასწრობაზედა.

ღიღღველს აპგლიჯა ხანჯალი, პატრონსავე ჰკრა გულზედა.

- 5 იძახდა ბაღიაობით ბაღიაე კიბე ხანზედა.
ბადის არ სცალის კიბისად, ხირიმს იბრუნებს მკლავზედა.
ოროლთა დატუსვილათა მკედარი ჩაყარეს მკედარზედა.
შვიდი გავწირე ჯალაფი, მარტუა დაეჯე სკამზედა.

მთქმელი ხევესური ბიძურა არაბული. თიანეთის რ. სოფ. ბადანი.
ჩამწერი შ. კონსტანტიდი. 1961 წ. ფ. არქ., კ—21, გვ. 105.

32. ღიღღველთ დაცევა ჯუთათაჲ

მთქმელი ბაბუკი არაბული. ჯუთა. აკ. შანიძე 3. VIII — 1913 წ. შან., № 175, გვ. 71—72. ახლავს აკ. შანიძის შენიშვნა:

„სიმღერის საერთო რითმაა ა ა ო, რაიცა, დარღვეულია თავში. ამიტომ მეორე სტრიქონის (3—4) პირვანდელი ვერსია „ყიბილა გამაუ-
ძღვების, სამეტოდ მოსთხოვს ქარსაო“ უფრო სწორია; 3 (6) ჯუთისკე
ლამევედიანო (პირველად თქვა: ჯუთისკე კმას იგდებდიანო; 11 (23) მშა-
ველა ძმა იყო უთუათ ქალებისა; 37(73) გუ მარტო არ მოვიდოდა, ორთ
მაიყოლებს სხვათაო) გამოდის, რომ სამნი წასულან, მაგრამ ბ ა ბ უ კ ი ს
სიტყვით ხუთნი გადარჩენილან სულ“. შან., გვ. 436—437.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

- ლილოს იყრების ლაშქარი, ღონდების წინამძღვარსაო.
ყიბილა გამაუძღვების, მასთხოვს სამეტოდ ქარსაო.
დიდი ას არხოტის ჭვარი, იბომს სისხლიანს კმალსაო,
გამამართულსა ლაშქარსა ბადეს გახურავს თავსაო,
5 არ გამოუშობს არხოტა, სხვაეე აურევს გზასაო.
იძახეს უხანოს ხანთა: „ჯუთას დაეცნეს ბანთაო“
შაასწერეს სიმაგრეშია, ამტრევენ ბოსლის კარსაო.
ეგ ქურსიკის ნაგები ცეცხლის მიივლებს აღსაო.
ქეიტკირი მამუკაისა, ტყეიავ, დაგისრევეს მწვაესაო.
10 ზენ-უბან რა ამბავი ას? უთუათ უთხრეს ბანთაო.
ცდის ხან არ მისცეს, — ბრალი ას — უთუათ მშაველასაო.
ზედ დასჩის კიბალაური, კმალზე ცდის მკლავის ჭანსაო.
რომენიც მეფონების, იმას შასწირავს მძასაო.
კაცი გაადეს ართხმოსა: „რად არ გვიქერდით მქარსაო?“
15 ართხმით წამავა ჭურჭაი, ცხენ უგავ ნიავ-ქარსაო.
ქვეითში გილათ კვირია შავარდენსა ღვავ ჩქარსაო,
აივლის ფადუხის წვერსა, შახკრავს სამთრეხლოს მთასაო.
ქვართ კორჯ იონა შაბრუნდა, გაბუურისქე ქარია.
წელთ ასხვ ჩაწყულავები — ოზნა არ უყვარს ჭრელია.
20 წვერის ძირ შამეწვივა, ქალას გამუდის მკედარია.
ნაკოცსა იონაისას რად სახელობდით სხვანი?
არ უკდებოდა სახელი? კიბლას არ უვლავ ქავია?
თოთელ წაიყრის პერანგსა: აწ ეგ ჩაიცივი, ქალაო!
ნუ სტირი, ნუ გედარდების, გვადვას მტრისაგნივ ძალაო.
25 ქალმა ჩაიცივა პერანგი, ცრემლები გადმოყარაო.
თოთელმ ჩოვაზედ ისარტელა, მტრისაკედ მკრები შალაო.
სისხლის კვალ მიზღვეს ქისტებსა, გზები სრუ გაისვარაო.
არხოტის მთაზედ, ამბობენ არწივებ შაიყარაო.
თეთრაულთ იონეურმა გულს დარდი აიშალაო.
30 ლაშქრისკე გამევეართა, ქორებულ მკრები შალაო.
სამთრეხლოს ძირში, ღილღველო, მკედარ ქალას ჩაგიტანაო.
შამარბის გაგაის ცხენი, ოთხეე ანათებს ნალთაო.

- მალევედრის მაგის პატრონი: „დაონახევრებ ჭართაო“.
- 35 მერცხალიშვილის კირიში არხოტში ჩახყრის კმათაო, გაგაის ქომო ხანჯარსა დაუმტვრევს სპილოს ტარსაო. წინ ფუნჩაიძე დაუდგა, ჩამაიყვანა ლაშქარი. გარდუქიდებავ მქარზედა, მააქე ქისტების აბჯარი. ამბობდა: უნდა დავიდგათ, ქისტებო, ძალღის სასეარი“.
- ბერები ქომო-ციხლები ამახედევდეს მათათაო.
- 40 „მოვიდა წყალი წითელი“, — შინჯვენ არხოტის წყალსაო, — გაგვიგვიანდა ლაშქარი, არხოტ თუ სკრიან თავსაო“.

ჩამწერი ბეს. გაბური. შან., გვ. 437—438. ახლავს აკ. შანიძის შენიშვნა: „ბესარიონს ეს გრძელი ლექსი ნაწყვეტ-ნაწყვეტად აქვს შეტანილი თავის მოთხრობაში ამ სათაურით: „ქისტის ლაშქარი არხოტში“ (გვ. 164—170). ამ მოთხრობის თანახმად, შეყრილან ქისტები იარდაში (ადგილი, სადაც ისინი სალაშქრო საქმეს გაარიგებენო) და ორი ბელადის მეთაურობით ორ წყებად წამოსულან არხოტზე დასაცემად: ყიზილას წამოუყვანია შიბუ-ღელისას და დოლასკი კდის თავისას. მაგრამ არხოტის გზა აპრევიათ და ჯუთას მისდგომიან. ჯუთელთ ქისტების დაცემის ამბავი შეუტყობინებიათ ერთი მხრივ ართხმოელთათვის და მეორე მხრივ არხოტელთათვის. ქისტებს დაურბევიათ ჯუთა და, სხვათა შორის, იქიდან გაუტაცნიათ ორი ქალი, თინა და მარიამი, რომელთაგანაც ერთი, თინა, გზაში მოუკლავთ მღვეართან შეტაკების დროს, ხოლო მეორისათვის, რომელიც თავისიანებისაკენ გამოქცეულა, გულზე ფარავი აუჭრიათ, თოთელს (ჯუთელი ყოფილა), რომელმაც ხმლით იმსხვერპლა თინას მომკლავი, წაუყრია თავისი პერანგი და მარიამისათვის გადაუდგია: აჰა, ჩაიცივი და ტიტველი გულმკერდი დაიფარეო, თვითონ კი ტიტველ ტანზე ჩოხა ჩაუცვამს და ზედ სარტყელი შეურტყამს. შეერთებულ ძალებს ხევსურებისას დაუძლევიათ ქისტები.

აქ მოყვანილი ნაწყვეტების უმეტესობა უთუოდ ერთი ლექსის ნაწილებია (ასეთებია I, II, III, VI და VIII), ხოლო დანარჩენები სხვა ლექსების ნაწყვეტები უნდა იყოს. ორი მათგანის შესახებ (მე-IV-ისა და მე-V-ის შესახებ) ბესარიონი აღნიშნავს: „მაშინ ნათქვამიაო“, ე. ი. ძველი ნაწყვეტებიაო, ორის შესახებ (მე-VI-ისა და მე-VII-ისა). არაფერი აქვს აღნიშნული, მაგრამ ესენიც ძველი მგონია...

მე-IV ნაწყვეტის ვარიანტი მოეპოვება Gs (იგულისხმება სიმონ გაბური. ქ. ს.):

ჯოთ კოტქ იონა შებრუნდა, გაბურის ძეი კარი.
წელთ ასხავ ჩაწყულაები, ვეზნა არ უყორს კრელია.
ნაკოცსა იონისას რად სახელობდით სხვანია!

ამაზე Cs შენიშნავს: „იონას ქისტი ბევრი უტოცია, მაგრამ თითონ არ აცხადებდა, რადგანაც არ უყვარდა კეცხა“. ამასთანავე Cs იგონებს თეთრულთ იონასის სიმღერეს.

33. აფშინა

ხეცსურეთი. მთქმელი და ჩამწერი ხახმატელი ბერდია ჟულაკისძე გამდივარაული. უმიკ., № 21, გვ. 37. სტრიქ. 3. დაბეჭდილია უ ხ ა თ რ ა ვ დ. და უზის კითხვის ნიშანი. შევასწორეთ — უხათრავად.

ბ

ქვაკიბის ქალას ამბობენ გატეხას ბასრი ქვისასა,
შიგ დატანებას ამბობენ ოთაშვილ ხახაისასა.
უმეროს ძმას უბარებდისა: — ჯავრს ნუ შემაკმევ მტრისასა. —

- ქიატი ქიატს ეტყვის მთისასა: — ვინა მოგვივა სტუმრათა!
5 — ეგ აფშინაი იქნება, შურს ძეობს თავის ძმისასა.
ხელბ ნუ დამჭრი აფშინავ, ცხონებას წიქაისასა. —
დედა ვაცხონე ვაჟისა, ღილღველ მომჭრელი ვაზისა.
კარზე დაჰკიდა სასაგზლე, შიგ ხელი ჩადვა კაქისა.

მთქმელი ნ. აფციაური. დუმაცხო. ჩამწერი ელ. ვირსალაძე. 1934 წ. ვირსალ., № 70, გვ. 142. ეს ვარიანტი იმდენად თავისებურია, შეიძლებოდა ცალკე ნომრითაც წარმოგვედგინა.

34. საბუროვოლ წამოვებით

ხეცსურეთი. ჩამწერი ივ. ოჩიაური. 1884 წ. უმიკ., № 22, გვ. 37. სტრიქ. 1, დაბეჭდილია ს ა გ უ რ ვ ო ლ — შევასწორეთ — ს ა გ უ რ ო ვ ო ლ.

ბ

საგუროვოთ წამოელი, აფშინაის სატირლადა,
ცოცხალივ აფშინაო, გვიმასპინძლა საკვირულადა.
მწუხრას ცხვარი დაგვიხოცნა, კარ დაგვიკლა სადილადა.
ვერ დამიჭერთ თავადებო, თქვენ რო გგონავთ ადვილადა.

- 5 ბუჩასეულს გამოვიტან — ზარბაზნების მაგივრად,
გინდა დაჰკელივეთ ტალზედა, ღიშანი აქ სამპირადა.

მთქმელი — ხეცსური გიგუა არაბული. თიანეთის რ. სოფ. თრანი. ჩამწერი — შოთა კონსტანტინიდი, 1961 წ. ფ. არქ., კ—21, გვ. 60.

ბ

გუროთ ამოდის ნიავი, ვერ ჩამოსცილდეს კისტანსაო,
გუროთ აფშინა უბარებს დედას მტრისას პრისტავსაო,

- ხუთნი მყავ შვილნი, ძმისწულნი, მზეს ჰფიცვენ ერთუცისასაო,
 ბევრი აქეს ტყვია-წამალი, ღღის თავად დასდგმენ ჯილდასაო,
 5 რო დაუტდების, იწყენენო, ფერს დაიდებენ მგლისასაო,
 თავისანი მყვანო ძროხანი, ბალახს აძოვენ მთისასაო.
 დილაზე გაყურებებით ხმას ჩემის ბუჩინისასაო.
 ამბობენ ჩამოვლევასო ბებრისა არწივისასაო,
 თან ჩამოყოლას ამბობენო თავ თავის ღთისშვილისასაო,
 10 ღმერთმა გატხონოს აფშინავ, ხანს იყავ სიკვდილისასაო,
 ზედა მოსწირენ მგლის ლეკენი, ჯავრს არა სჭამენ მტრისასო.

ხელნაწ. ინსტ. H — 2009. იმდენად დამოუკიდებელი ვარიანტია,
 რომ შეიძლებაოდა ცალკე ნომრადაც შესულიყო კრებულში.

35. ბუკულიშვილი

ხეცსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 76, გვ. 30.

ხ ე ს უ რ უ ლ ი

ბ

- მთას ბუკულიშვილ გადმოჰდა, ირემმ გადმაილ რქანიო,
 ბოლოთ მოუდგა ლაშქართა, როგორ შამასდვა ზარიო!
 ეგრე დაფანტა ლაშქარი, როგორც მგელმ ფანტას ცხვარიო.
 დაბრუნდა ტოშის ყმაწვილი, „ვაიუაერგ ვარიო“.
 5 თოფ დახკრა ბუკულიშვილსა, არწივს მასტეხა მკარიო:
 „შენ რო მამიკალ უნტროსი, იმასიმც უნტროს ხარო!“
 ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., გვ. 388.

36. კისტნელი იმედა

ხეცსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 90, გვ. 34.

ბ

- ვედარ წავსულორ კისტანა, ვერცა მილოცავ ჯვარიო.
 ვერცად შაუქი ახლები, იმით მიტანავ ბრალიო.
 აიქ მზის სადენს იმედა, საც ვერ მიღიან სხვანიო.
 აწივნა ხირსილაურნი, კელით არჩივნა ყმანიო.
 5 ტყუებით ჩაიარიან, ნაბადში ხვივნეს კმალნიო.
 ჩავიდეს, აწითებინეს აკვათ ჭალანი, გზანიო.
 მარეშათ ლამბოლოთაი დაკაფეს, ეგრ რო კარიო.
 აუტყდა მძიმე მდევარი, ეცოტავების მკვდარიო.
 ერთის გულისად როგორ გავაღათ აკალდამაის კარიო?
 10 ორნ გამოღმეტდეს მდევართა: „დავლათ გვაქვ ძალიანიო“.
 ძალიან დავლათ ზქონია, აისრემც სწყალობს ჯვარიო!

ნასხდომთ ზე მიხედუბიყენეს, ქოღ თუ იყენეს ბრმანიო?
ქართულამა და იმედამ ერთუეს უკირეს მქარიო.
ერთუეს მეგჯობიაზე ლაში იხვიეს ალიო.

15 კისრისას ამოზღიოღა კილი და კბილის ძვალიო.

ჩამწერი ბაბო ლიქოკელი. შან., გვ. 393. აკ. შანიძის შენიშვნა — სტრიქ. 13. ქართულამა აქ „თ“ ასო გაურკვეველადაა დაწერილი. შეიძლება სხვა რამე იკითხებოდეს, მაგ. „დ“. შან., გვ. 393.

37. შინდია (შინდია) ბალახურიძე

მთქმელი ბადია ბალიური. ხეცსურეთი, ჩამწერი ნ. ურბნელი. ივ., № 44, 1888 წ.; — შან., № 102, გვ. 38. აკ. შანიძეს შენიშვნებში მოყავს. ბეს. გაბურის მონათხრობი: „ერეკლე ნეფის ღროს“ ბარის დიდლებში, აკვითას, სტუმრად ყოფილა შინდია. აქ აკათ უთქვამს, რომ თქვენ, არხოტივნები, სხვა ქისტებზე ხართ დაჩვეული, თორემ ჩვენთან თქვენ ვერას გაჰხდებითო. შინდიას ეს სასაცილოდ არა ჰყოფნია. აკვით უთქვამს: მაშ კარგი, ახლა შენ ჩვენი სტუმარი ხარ და შინ რომ მიხვალ, სოფლელებს გააგებე, რომ ამ დღეებში ჩვენ თქვენზე სალაშქროდ წამოვალთ და მზად იყენითო. შინდიას შეუქცევია, რომ სოფლელების შეწუხება რად შინდა? მარტო მეც გაგიმკლავდებითო. შინ მოსულ შინდიას არავისთვის არა უთქვამს რა, ოღონდ ნაშუაღამევს, წასვლის წინ, შამისთვის გაუნდვია ამბავი. შამა გასწყრომია: აკვით და ჩვენ შორის ზაჯია დიდი ხნიდან და რად აგეშაღეო? ამის შემდეგ თითქო შინდია მარტო წასულიყოს, ჩასჯდომოდეს აკვით და სამუქაროდ წამოსულ ლაშქართაგან ზოგი დაეხოცოს და ზოგიც უკან გაებრუნებინოს. შან., გვ. 401. თუ ბეს. გაბურის გადმოცემას ვერწმუნებით, მაშინ შინდია ბალახურისძე ერეკლე მეორის თანამედროვე — XVIII საუკ. მეორე ნახევრის გმირი ყოფილა.

ბ

შამა გემდურის. შინდია: „შეილო. უჯეროდ ხარია.
აკვითა, არხოტიონთა შენ აუშაღე ზაჯია.
დაჯერებულთა აკვითა მძივე შაუყრავ ქარია“.

ღ ე ღ ა

ლურჯას რად ხეჯუმბ, შინდია, ხარ საიქ მიშავალია?
5 რად ისხამ იარაღებსა? — არკვის მიგვიღვეს ვალია.
შამად არ გვაქსონს ანდრეზი, არეინ გვეყე უძებარია,
არც-რა სხვაფრე ვეძე სირცხვილი, რო დაგნცინოდან სხვანაი.

უნდა წავიდა, დედაო, შამამეყარა ჯავრია.

- 10 გუშინ მაყვედრა მამამა: „შვილო, უჯეროდ ხარია“,
 ვითამ ჩემ სიტყვით აქვათა მძიმე შაყარეს ჯარია.
 უნდა ჩავიდა ქალასა, ლაშქარს შაუქრნა გზანია.

ლ ე დ ა

მშვიდობით, ჯვარი გეწერას! სახელიანიმე ხარია!
 არ მოიტანა სირცხვილი, რო დაგეცინოდან სხვანია,
 მასთხარა თავის ვაჟობა, მემრ კი ბალახურთ გვარია.

- 15 საძრომთ მინდია ჩავიდა, საც აღგილი ას მაგარი,
 ლურჯა საძოვზე მიუშვა, თაოდ მივლა სანგალი.
 ლაშქრის მასვლის ხან მავიდა, ვაჟე მამაზადა აბჯარი.
 მავიდა ნისლი ორთქლისა, თან მახყვა აქვათ ლაშქარი.
 ცხენნი რო ნახნა მასულნი, დაშალა ვეფხვმა ძაგარი.
- 20 საძრომთ მინდია დაგიხვდათ, ბალახურისძე გვარადა.
 „არ შამაგიშობთ, აქვანო, არხვატს შავემბი კარადა“.
 ცეცხლი ხკრა პირის წამალთა, ტყვიავ, დაგლაღავს ჩქარადა.
 ცეცხლი გამადის ეხშიგით, ლვედრის: მინდია ვარია“.
 ზოგებს მამაქრის მარჯვენა, კლდეზე გადადის მკედარია.

შან., გვ. 401—402. აკ. შანიძის ცნობით ეს არის ბეს. გაბურის-
 ზემოთ მოყვანილ მოთხრობაში ჩართული ლექსები, „რომელთაგანაც:
 ზოგი ძველი უნდა იყოს, ზოგი კი, თითქო, თვით ბესარიონის გამო--
 თქმული“. იქვე.

38. ლამბერდი და შაბანა

ხევსურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 110, გვ. 43. ახლავს.
 ჩამწერის შენიშვნები: სტრიქ. 6 — მეშველნ მაუნდეს ცხრანო — „ხევ-
 სურებისაკენ გამოიწია ლამბერდამ და ცხრა კაცი მძლივ იმაგრებდა, არ
 უშვებდნენო“; სტრიქ. 28 — ლამბერდის ნაკანჭარიო — „ვითონ ლამ-
 ბერდი არწივი იყო და კანჭი გამოსდო შაკანასაო“. იქვე, გვ. 407.

ხ ე გ ს უ რ უ ლ ი

ბ

როშკის თავს დილღველ თამაშობს, კელში უჭირავ კმალიო.
 გამოვლენ ქვესურთ შვილები, — „ერთად არ მეყო ცხრანო“,
 მგელასა ბაშლაჯაურსა გაულესავის კმალიო,
 კმლითა სცა ქისტთა ბელადსა. ფეჭი გაილა მკედარია.

ხევსურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., გვ. 407, ახლავს ჩამწერის განმარტება: სტრიქ. 8—4—ფექჩი გაილა მკვდარიო—„გათელაო“. იქვე. აკ. შანიძე მართებულად აღნიშნავს, რომ ამ ვარიანტში „მგელა“ ბაშლაჯაურია შაჯანას ნაცვლად“. იქვე.

39. ჩაპალის, ჩაუზბნება

ფშავი. ჩამწერი შ. ბეწუკლიშვილი. კოტ., გვ. 165. ახ. გამოც., გვ. 181.

ბ

ჩავალს, ჩაუზნება ტუნკით ივანე სალარსა:
ცხენავ, გეშინის, გეტყობა, გულს მენ ჩაგიდებ მაგარსა,
პირიქით ქერებს აქებენ, ჩავატანიებ ნალარსა,
შენაც იქ დაგთობ ბილო, თავსაც იქ დავდებ ქალარსა!

მთქმელი ელ. ელისაბედაშვილი. ჩაწერილი სოფ. შუაფხოში 1938 წ. ფშ. ხევს., გვ. 108. ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 1 — ტუნკით ივანე — გმირი ყოფილა მათურიდან, რომელსაც თერეთეგოში (ქისტეთში) სალაშქროდ უვლია.

40. ნაროზ ბლოელი

მთქმელები ჭიმღელი გაგა თეთრაული და ბლოელი აბა გიგაური. ჩაწერილი სოფ. ახიელაში 6. VIII — 1913 წ. და ხანმატში 21. VIII — 1913 წ. აკ. შანიძის მიერ. შან., № 177, გვ. 73—74.

ბ

ბლოში გაზილა მინინო, ქორი ზარებულ მკივანი:
დედა უწოვავ ქრისტისა, გან კორციელისა რძიანი?
ადგა, შახკაზმა ზერდაგი, ზედ თაო შაქდა მქრიანი,
ბლო-დეღე გარდმაეღლია, საქელე მწვანილიანი,
5 შუშპრობით ჩამაავლივა ქვათანა ბექ-ბუქიანი.
ე ტიმლებ-ნექაფსოვლები ჭუთას სამზირლად დიანი;
აუდგეს გზის თავ, გზის ძირით, შუე ნავროზ ჩაიგდიანო.
ჯერ ხომ იომა ცხენ-და-ცხენ, მემრ შვილდ აყუფა რქიანი,
მემრ კმალი ამამღერა ვადათით მელანქრიანი;
10 ერთი წამოხკრა ტიმლეუსა, ნაწყვეტნ გზის იქით ხყრიანი;
მეორე ნექაფსოელსა, ქელ-მუტლზედ ჩამასვიანი;
მესამე ჩანაყოლა, სისხლის წყაროებ დიანი.
ქელ დახკრა ლურჯას, დაღვერდა: „შინ წიედ ოქერ-ტილი“.
თავს დააკეცა ლაგამი, მათრაქი ოქროიანი.

- 15 ლურჯა პატრის ბლო-ლეღა, ვითამ ქალია თმინი.
 „პატრონ მამიკლეს ჟუთაში, შინ მათლ ოკერ-ტიალი“.
 ნაეროზ, გვიკლებენ ქვესურნი, ლაშქარ ხარ იმედინი,
 შენი ქელი და ქელ-კვერი, მარჯვენა მარჯვებიანი.

მთქმელი აფშინა გიგაური. ჩამწერი ნ. ურბნელი. ივ., № 43, 1888 წ. აკაკი შანიძის ცნობით ეს აფშინა არის მამა ძირითადი ტექსტის მთქმელის აბა გიგაურის. შან., გვ. 440. ახლოს არის ძირითად ტექსტთან. რაკი ვარიანტების მთქმელები მამა-შვილია, ვამჯობინეთ მისი სრული სახით მოყვანა, მოლექსეობის სკოლის გათვალისწინების მიზნით.

გ

- ბლოში მინინო მავიდა ქორ-შეარდენი მკრიანი.
 მქართ თეთრი მშვილდი გარდიცვა, ისარი ორბის ფრთიანი.
 სრუ რბოლით გადაიარა საძელე მწვენილიანი,
 ხტომითა ჩამაათაენა ქოთანა ბექ-ბუქიანი.
- 5 ტიმლეღნი, ნეჭაფსოელნი ჟუთას სამზირლად დიანო.
 ჩაუსხდეს გზის ძირ, გზის თავა, შუ ვეფხვი შაიგდიანო.
 წინ-წინ შამახკრის ტიმლეღსა, ნაგლეჯნი გზის ძირ ხყრიანო,
 მეორე ნეჭაფსოელსა, სისხლის წყარონი დიანო.
 ცხენზე შაადღის მათრაკი: „ლურჯავ, შინ წადი ტიალო!“
- 10 ლურჯა ქოთანას შამასტირს, ვითამ ქალი ას თმინი:
 პატრონ ქოთანას მამიკლეს, შინ მიოლ ოკერ-ტიალი.
 ხევსურეთი. ჩამწერი ერ. ბალიაური. შან., გვ. 441.

41. ჯურხა ცხინს ებჰვის

ჩაწერილი ხევსურეთში სოფ. კიმლაში. კოტ., გვ. 128, ახ. გამოც. 33-114.

42. მითხოვლუბ ბადიღეაულა

მთქმელი ხახმატელი ხევსური. ჩაწერილი 1870 წ. უმიკ., № 31, გვ. 40—41.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

გ

მითხოვლუბ დადიბულან, არ იყენეს კაცის წარზედა,
 ყრიან უდუმლად ლაშქარსა, კმას დაიგდებენ სხვაზედა.

- აცეხ მუშას დაბრეყებულსა ჩამეხვეინეს სამზედა,
შამაგებმა ახლები, სტუმართ რო მასპინძელ კარზედა.
- 5 თოფი დაღრიეს ერთუცსა, კვამლი დაღბადეს კვამლზედა.
კვირიკა გორგალათაი ურჩოდ დაკოდეს მქარზედა.
ქურსიკათ ბადურიკამა არ ჩამაუშენა მკედარზედა.
ყმაწვილი თორელიშვილი აღარა-კაცის წარზედა.
თითიამ თორელიშვილმა მაჟარ დაიბრუნ მკლაზედა,
- 10 დაგიკრათ შაკორიშვილსა: ძალღებვ, სადილ გინდათ გზაზედა!“
ცაჩი უძახეს ყორანთა: „ჩახყევით სისხლის კვალზედა,
ამბავ მალე მაგეიტანილით, მკედარ ვის დაუწევებ კარზედა!“
მითხოს ატირდეს დედანი, ქალნ ქარსამაულთ კარზედა.
კვირიკას ნუ დაიცილებთ უფროსნ დარბასის კარზედა,
- 15 ამანდ ნამყოფებ ახლები სათაეს დასხით ჯარზედა.

მთქმელი ს. ჭინჭარაული, შატილი. ჩამწერი ა. ჭინჭარაული, ჭინ., გვ. 391. სათაურად აქვს: „მითხოვლები და შატილიონნი“.

ბ

- მითხოვლებ დადიდებულან, არ იყენეს კაცის წარზედა,
უღღმლივ ყრიან ლაშქარსა, ხმას ყრიან სხვადასხვაზედა.
აცეხს ნამყოფსა მუშასა, ჩამეხვეინეს სამზედა,
თოფი კვირიკას დაგვიკრეს, არწივ დაკენჭეს მქარზედა,
- 5 ყმაწვილა, თორელიშვილი მაჟარს იბრუნებს მკლაზედა,
დაგიკრათ შაკორიშვილსა, სადილს გაქმედათ გზაზედა.

მთქმელი ხევსური ტ. ჭინჭარაული. გამარჯვება. ჩამწერი გ. ხორნა-
ული. 1961 წ. ფ. არქ., კ. 17, გვ. 321.

ცნობილია კიდევ ვარიანტი, რომლის ჩაწერის ადგილი აღნიშნული
არ არის. უმიკ., № 44, გვ. 48.

43. წოვათას ციხეს აგებენ

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, № 39, გვ. 69. არის
ავრეთვე წოვათის ციხეზე ლეკების თავდასხმის ამსახველი ლექსიც:
„რამ აგაშენა წოვათაჲ“. — ჭრელ., გვ. 23. სტრიქ. 63 დედანშია: — მე
მ ა გ ი ს — შევასწორეთ ე მ ა გ ი ს.

ბ

- საგირთას ციხეს აგებენ, ციხესა აღმასისაო,
აგაშენებენ ხურონი, ლამაზ ნაგებო ჭვისაო,
შიგა-შიგ ბანებს გამართვენ, შესახიზნ ქალებისაო,
სათოფურებსაც უშვებენ საომრად ბიჭებისაო.
- 5 ექვს სართულზედა ააგეს, ზევიდან ხურვენ სიხსაო.
— ქისტოს იყრება ჯარები, ციხევ, შენს მუქარაზეო,

- გამაგრდი, ციხეე ტიალო, ჯაქვი ჩაიცივი ტანზუო;
 მაგეხის ლელეს გადმოდის ჯარები ქისტებისაო,
 გალაღებული ბელადი ახალისებდა ჯარსაო,
- 10 ცოლადაც შეგართვიენებთ ქალებმა სავირთისაო,
 საკეხურ მოვიყოლიებთ მარჯვენას კარგი ყმისაო.
 სავირთის ვაკეს ჩამოდგა, ნამი არ სწედება ცისაო,
 სავირთელ ბიჭებმ შეიტყვეს, ყამი არა აქეთ მტრისაო,
 ერთმანეთს ეუბნებიან, სიცილი მოსდით პირსაო:
- 15 — მოველოდით და მოვიდნენ ქალები ქისტებისაო.
 ციხეში შეგროვებულან ვეფხვები სალის კლდისაო,
 თორმეტ დღე-ღამეს იომეს, ჩამოტეხვას ჰგავს ცისაო,
 თოფისა ალი ჩამოწვა, წვერებ დაშალა მთისაო.
 ამბობენ შეწუხებასა ბიჭების სავირთისაო,
- 20 ტყვია-წამალი გასთავებთ გულგალაღებულ მტრისაო,
 ერთმანეთს ეუბნებიან, ახლა დრო მოვიდ ცდისაო.
 ხმალდახმალ გამოუციენდნენ არწიენი მაღალ მთისაო,
 ჩაერიენენ და ჩაკაფეს როგორც ტოტები ხისაო,
 ჩაერიენენ და ჩააფრთხეს როგორც რომ ნატო ცხერისაო,
- 25 ფშაველ-ხევსურნიც მოვიდნენ, აღმ შეაბრუნენ წყალსაო,
 დალახეს ქისტის ჯარები, მკედარი შეყარეს მკედარსაო,
 ალაზან წითლად შეღებეს, ველარა სომენ წყალსაო,
 სიმწყურვლით შეწუხებულან მეომარ სავირთისაო.
 მიდიან ქისტებ, ჩივიან თავიანთ მკედრების სისხლსაო:
- 30 — ძნელი ყოფილა ნაჭერი, ნაქნევი თუშის ხმლისაო.
 ამ ლექსის მომღექსებელი შუა წყაროში ზისაო,
 თორმეტ მეც მერგო მარჯვენა მანდ ნახოც ქისტებისაო.

თუშეთი, ალვანი. ჩამწერი ი. ჭარელიშვილი. კოტ., გვ. 160, ახ.
 გამოც., გვ. 176. ასეთივეა — ფ. არქ., № 3141. განსხვავება: სტრიქ. 5
 და 6 შორის ორი სტრიქონია: ქისტეთში ქისტებმ შეიტყვეს, მძიმედ
 მიდგ-მოდგებიანო.

არის კიდევ ხელნაწერი ვარიანტები:

ბ

ჩამწერი ქ. ლუხუმიძე. ლიტმუზ., 20069-ხ, ყ. 341, გვ. 82.

ღ

მთქმელი ლეო ცისკარიშვილი. ს. ზემო ალვანი. ჩამწერი ვ. ბუთ-
 ლიაშვილი. ლიტმუზ. 20050-ხ, ყ. 337. გვ. 54, დათარიღებულია X —
 1935.

44. მინდინა ბარდნიშვილი

ხევსურეთი. ჩამწერი ერ. ბალიაური. შან., № 96, გვ. 37.

45. ნისლაურისძე

ჩამწერი ბეს. გაბური. შან., № 251. გვ. 113. აკ. შანიძის შენიშვნა: „ეს კირჩლა ნისლაურისძე არხოტიონია, ამლიონი. ბეს. გაბურის ცნობით იგი განთქმული იყო თავისი ნადირობით, გულადობით. 1915 წელს იგი ცოცხალი ყოფილა“. შან., გვ. 482. ჩვენი აზრით, ეს ის ნისლაურთ კირჩლა წიკლაური უნდა იყოს, რომლისაგანაც ჩვენ 1944 წ. ს. ამლაში ჩაეწერეთ მასალები. მაშინ იგი 93 წლის იყო. იხ. სიხ. საგმ., გვ. 291—2937.

46. მათუაშვილი

ჩაწერილი 1946 წ. გამიხარდი თქმანაულისაგან. ფშ. ხეცს., გვ. 107. სტრიქ. 4. ა მ ო გ ა — ა დ გ ი ლ ი ა ქ ი ს ტ ე თ შ ი.

47. მთიულეთზე დაცემა

ჩაწერილია სოფ. ომალოში 120 წლის ალ. ბეჭაურისაგან. ფშ. ხეცს. გვ. 107. ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 7, 8 — კიმშო, კიტოხი — ადგილის სახელებია მთიულეთში.

48. შაჰინაურნი

ხეცსურეთი. ჩამწერი აბიკა. შან., № 161, გვ. 63. ტექსტს ახლავს აკ. შანიძის შენიშვნები, იქვე, გვ. 425—426. სტრიქ. 5 — ბაკან — შევასწორეთ ბ ა კ ა ლ ა ნ, აკ. შანიძის მისედვით. შან., გვ. 425.

49. ხახაბოს დალაშქვრა მემორეჟი

მთქმელი ლ. მინდიკაური. ხახაბო, ჩამწერი ალ. კინჭარაული. კინ., გვ. 374. ლექსს უძღვის გადმოცემა: „ხახაბოს დასცემიან. ცოტა ჯარ ქვე ყოფილ. ივანეს ღერენათს თოფ უწმედავა, მაშინ გადმაჩენილან ამაგაჩი, ამაგ კალოებსთან. უსრევავა და თავზე დაუყუდებავ ერთ ქისტი. მეორე გამაქცეულა და ქვენას სახლსთანით ცხენ აუქსნავა და გაუქცევაგ. იმისად გულოთ აპარეკას უსრევავა და მაუკლავ ისიც. მაშინ ვერა წაულავ ხახაბოთ“.

50. ბაბუხური

ხეცსურეთი. ჩამწერი სიმ. გაბური. შან., № 71, გვ. 28—29. დართული აქვს მთქმელის მონათხრობი ამბის შინაარსი: „...ძაუგს საქისტო 19. ქართულს ხალხურს პოეზიას. ტ. II, ნაკვეთი 2

გზით მიმავალი არხოტივები, რომელთა შორისაც ყოფილა ბაბუხურ წიკლაური, ღამით დამდგარან ერთი სოფლის ახლო. ხევსურებს დაუძინიათ, გარდა ბაბუხურისა, რომელიც ფხიზლადა ყოფილა, რადგანაც სცოდნია, რომ ერთი ქისტი ცხენის მოპარვას ემუქრებოდა. ნაშუაღამევს ბაბუხურს შეუნიშნავს, რომ მის ცხენთან ვილაც კაცი მივიდა, გაჰკრა თოკი და ცხენი წაიყვანა. ბაბუხურს უსვრია და ქისტი ბლავილით დაცემულა. გათენებისას ბაბუხური მისულა და მიწიდან სისხლიანი ტყვია ამოუღია. ხევსურები დაბრუნებულან. მათ დასწევია პარტალას ბიძა და უკითხავს: „წინ ვინები წავიდესავ? ძმის-წული მამიკლესავ“. მათ უპასუხნიათ: ჩვენ არა ვიცით რაო და წამოსულან. მას „შემდეგ იქნების ასე 70 წელი“-ო, დასძენს სიმ. გაბური“. შან., გვ. 381. ამგვარ ამბებს მნიშვნელობა აქვს საგმირო ლექსების ერთი ნაწილის რეალური საფუძვლის დასადგენად.

51. ცისპარმა ამონათა

მთქმელი კ. წვერაიძე. ჩაწერილი თუშეთში სოფ. შტროლთაში. კოტ., გვ. 126. ახ. გამოც., გვ. 142.

52. მარხვა ბაბრიძის ამაზვი

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., 1, № 23, გვ. 57. გამოტყმულია სინანული იმის გამო, რომ ქისტს მუხანათურად მოუკლავს მძინარე თუში გმირი მარხვა გაბრიძე.

ბ

ქისტეთ ქისტ გადიდებულა, კობტად გამოდის ბანზედავ,
შემოქდებ ნიყაიჩოზე, საკელს ჩაიყრის მქარზედავ,
ჩამოა გულდანთის თავ, ჩატანა ღვულავ ცხვარზედავ.
მანდ მარხვაჲს დაზძინებია, ჩატანა ღვულავ ცხვარზედავ.

5 ქისტო, რად ხკლევდე მარხვაჲსა, რად არ გასლვიძიდ წამზედავ;
თუშ იყო-ღ? წამოდგებოდა, დადგებოდ ხანჯრის ტარზედავ.

უთურგ., გვ. 151.

53. მუჰარა

მთქმელი სოფ. ახიელაში მცხოვრები. მ. ოჩიაური. ჩამწერი გ. ხ. გიგაური. 1945 წ. ხევს., გვ. 108. თუ გილანი გვარის აღმნიშვნელია, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ლექსი შინაური უფლის განყოფილებაში წარმოგვედგინა.

54. ორშაბათ სალაშქროზედა

მთქმელი გ. ოზგაიძე, ჩაწერილი თიანეთში. კოტ., გვ. 250, ახ. გამოც., 171.

55. ფულიკა

ხევსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 189, გვ. 79.

56. კაბა ნაროზაული

დაბეჭდილია „საქართველოში“ (№ 240, 1916) არხოტიონის (მ. შამანაურის) მიერ.; — შან., № 207, გვ. 86. საგმირო ლექსის რეალური საფუძვლის თვალსაზრისით საგულისხმოა მ. შამანაურის (არხოტიონის) შენიშვნა ტექსტისადმი: „ს. ახმეტის ახლო კვერნაძეულში ცხოვრობს ერთი ღრმად მოხუცებული 90 წლის ხევსური, კაბა ნაროზაული, ქისტების წყალობით არხოტიდან გადმოსახლებული. აი ამ კაბაზედ გამოთქმული ლექსი, როდესაც მან ქისტებს თავისი საქონელი დააყრევინა“. „საქართველო“, № 240, 1916. შან., გვ. 461.

57. არხოტს ღამცა ლაშქარი

მთქმელი გ. წიკლაური. ხევსურეთი, სოფ. ამლა. ფშ. ხევს., გვ. 101.

58. ჩითილათ გოიგარანი

შუაფხო. ჩამწერი ლევან საგანელიძე, 1915 წ. ფშ. ხევს., გვ. 106. ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 2 — ჩარმა — თოფის სახელია; სტრიქ. 4. — მუცუ — არღოტი — სოფლების სახელებია პირიქით ხევსურეთში.

59. შურის ძეგა

მთქმელი გ. ლიქოკელი. ჩამწერი ივ. ხორნაული, 1939 წ. ფშ. ხევს., გვ. 101. ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 47 — კინწათ შვილები-ს ბისოში მცხოვრებნი.

60. ომი ბაზრის მიუცემლოვის ზამო

მთქმელი მიხა ჭინჭარაული. შატილი. ჩამწერი აკ. შანიძე, 29. VIII. — 1913 წ. შან., № 172, გვ. 70. ახლავს აკ. შანიძის განმარტება: სტრიქ. 19. არც ქალი წააყვანია — იგულისხმება: თავისი ცოლი. იქვე, გვ. 436.

ლექსტს ახლავს აგრეთვე აკ. შანიძის შენიშვნა, რაც საგულისხმოა საგმირო ლექსების სექციის თვალსაზრისით: „შატილივინებს ჭალაიათ ბეგარი სდებია (ერთი ცხვარიო, ლექსში ნათქვამია და ისედაც მიწერია, მაგრამ ახლა კი აღარ მახსოვს: სოფელს, თუ თვითეულ კომლს, ალბათ თვითეულს), მაგრამ აღარ მიუციათ. ამიტომ ჭალაიანი (გვართა ქისტეთში) დასცემიან. მელექსე შატილივინებს „ბრალს სდებს ვითომ: თქვენი ბრალია, დახყარეთ ბეგარიო, ე. ი. ბეგარი არ მიეცითო“. შან., გვ. 436.

61. ხმსსურამის გალახარება მითხოს

ხევსურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი შან., № 167, გვ. 67—68. ახლავს აკ. შანიძის შენიშვნა: სტრიქ. 17. შ ა ტ ი ლ ს ს ა მ დ ა ს ვ ე ს ქ ა დ ა ვ ი „თ. რაზიკაშვილის აზრით, აქ „სამ“ ამას ნიშნავს: „სადმე, თურმე“; შეიძლება აგრეც იყოს, მაგრამ უფრო კი მგონია, რომ აქ „სამ“ რიტორიკის აღმნიშვნელია. მაშასადამე, ასე თუ გავიგებთ, მაშინ გვექნება: შატილს სამი ქადაგი დასვეს. მართლაც, ერთგან მოიპოვება ასეთი რამაც: „სამი დასვიან ქადაგი, არ ულამინებს ჭვარიო“ (48, 10); რაღა შორს წავიდეთ? აქვე, ბ და ბ ვარიანტში ცხადად ჩანს, რომ ქადაგი სამი ყოფილა... ამ ლექსს თ. რაზიკაშვილის ხელნაწერში სათაურად აქვს: „წაგებული თარეში ქვესურებისა“ და მართლაც წაუგიათ, ძალიან წაუგიათ. მიუხედავად ამისა, ლექსი გამოუთქვამთ და კარგი ლექსი, რომელიც რამდენიმე ვარიანტადაა ცნობილი“. შან., გვ. 429—430.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

ბევრამ ქვესურმა გაბანდა კარის გავიის ჭლანო.

ბევრმ ქვესურის ქალმ გაკევაბა სათარეშოდა ქმარიო.

შვილს დღეს, შვილს ღამეს ეშხადნეს, იყვა სიწმინდის დარიო.

ველ-კეთილ გარდმადიოდა, ეგრ რო მარილზე ცხვარიო.

5 სალაშქროს ქალას ხეადებმა ჩანაყეს ნალ-უნმარიო.

ქულ-საქდელად ჩაგროვდა თეთრის სიათის ჭარიო.

სამ დასვეს ქადაგი, არც ერთს მაუვიდ ჭვარიო.

არ დაიჭერეს ქვესურებმ, „აქით არ ბრუნავს ჭარიო“.

ჭარევა გამაამტერიეს, ქაეი და ქაეის კარიო.

10 გაითარეშეს მითხოსა, ცხენთ შარან დასხნეს, გზანიო.

ქისტებმა კმაი გააგდეს: „ქელში გვყავ ქვესურთ ყმანიო“.

საიმედოდ აქეთ კანთეთი: აქ მოგვაშველეთ ჭარიო.

კანთეთით ცხენნი მავიდეს, ახვრიტეს მითხოს წყალიო.

„ჭერ ჩვენ გაქმვეთ სადილსა, მემრ კიდე მოვლენ სხვანიო“.

15 ომია არლოს ქალასა, ტყვია წვიმს, ზეთი დარიო.

ცხენს წაატოლა ბევრამა ყაწიმიანი ტანიო.

ღვედრება ამადიოდა: „სოსანთ გელია ვარო“,
სახელ ნუ დაიმალების, მარცხენით მოეკალ საშოო“.

- ბევრმ დასთმა გაუხლათავად ახალ სანეფო თავიო.
20 ქისტმ ბაჩაყმ წამაგვიყარნა, ქვესურნ გეარბოლა რეანიო,
ამაგ სიმღერის მოთქეამმა დაეხიე არლოს წყალო,
ამბავ ქვესურეთ მავილი, არლოსავ დარჩა ქარიო.
სირცხელით რაით ვიამბა? ცოლ მყვანდა ახალ-წალო.

მთქმელი ჩალხია ალუდაური. ხანმატი. ჩამწერი აკ. შანიძე 27.
VII — 1913 წ. შან., გვ. 430. აკ. შანიძეს ხელთ ქქონია ჩალხია ალუდა-
ურისაგან ჩაწერილი ამავე ლექსის სხვა ვარიანტებიც: მოყავს განსხვა-
ებანი: სტრიქ. 6. იყვა სიწმინდის დარიო — „ელვენ სიწმინდის ცანიო.
სტრიქ. 9. — ხვადებმა — „ცხენებმა“; სტრიქ. 15. არ დაიჭერეს — „არ
დაიშალეს“ და სხვ. იქვე.

ბ

მთქმელი ბადია ბალიაური. ხევსურეთი. ჩამწერი ნ. ურბნელი. ივ.
ქნ 264, 1887, შან., გვ. 431.

ღ

ჩამწერი ერ. ბალიაური. შან., გვ. 431—432.

ე

თავთავად მოკდა ლაშქრობა, თავ-თავად დასხდა ქარია.
შასძახეს თავთავადადა: „ფუნჩიას ახევა ჭვარია“.

- „არ გაქვის გამარჯვებით, დაბრუნდით ჩემნი ყმანია,
სამის წლის ვადით შამექსნა ფხა-სისხლიანი კმალია“.
- 5 — „შიშით ქადაგობს! ფუნჩიავ, არ გაქადაგებნ ჭვარია“
— „აბა თუ შიშით ექადაგობ, გექნებით წინამძღვარია.
თქვენ თუ მშვიდობით იღინათ, მე კი მოპკრიდით თავია“.
- „ამაშინ მავსკრით კალთასა, დარბაზს რა დასხდას ქარია“.
- ქვესურთა საშუღამოთა შუ-მიტხოს დასცნეს ცანია,
- 10 ჩაწვეს, ჩადაგეს მიტხოი, ცას გაადინეს ალია,
ატირეს დიაც-ყმაწვილი, კალოდ გაღეწეს მკედარიო.
ამაიბრუნეს კარ-ცხენი, ტყვიას მიუღის ქარია.
დავითავ მარაიშვილო, მშვენიერ ვიდგას ტანაი;
ეგრე აღბრუნდი ტუტილში, როგორც კალოხედ ქარაი,
ეგრე კლდებოდეს ამქარნი, როგორც მანძილას რქანია.
- 15 გამაიციოთხე აქვია: „მეშეტე რომენ ხარია?“
წამაგავების აქვამა ქემხათ ნაკერი ტყავია,
ერთ ქელით ტყავი მააქვის, მეორე ქელით ფარია.
ფარს დახეარ, კაცსა გაღვარდა, მიწაზე ცხროგობს ტანია.

20 შენსა ნასრევსა, დავითავ, ეზიდებიან ცხრანია.
ამავის მალექსებელი მეც შიგ ნატანებ ვარია.
აიქით გამომაქციეს, არლოს დაეხიე წყალია.

ჩამწერი გ. თედორაძე. „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“, გვ. 199;
— შან., გვ. 432. საგულისხმოა აკ. შანიძის შენიშვნა ტექსტისადმი: „ეს ვარიანტი ძალიან საინტერესოა თავისი შესავლით, სადაც გადმოცემულია სალაშქროდ გამზადებული ხალხის შეკითხვა ჯარისადმი. „ფუნჩიას ახევა ჯვარია“ (2), — ალბათ, საამისოდ დაწესებული რიტუალის თანახმად, ფუნჩიას შეჰხვდა ქადაგობა. ფუნჩია ჯვარის სახელით ეუბნება ხალხს: დაბრუნდით, ნუ მისდინხართ სალაშქროდ, რადგანაც სამის წლის ვადით შეხსნილი მაქვს ფხა-სისხლიანი ხმალიო და ამიტომ ვერ გაიმარჯვებთო, მაგრამ ხევსურები შიშს აბრალებენ ფუნჩიას. ფუნჩია კი გაჯავრებული გაიძახის: აბა თუ შიში მალაპარაკებს, მე თვითონ გაგიძღვებითო და, თუ თქვენ გაიმარჯვოთ, თავი მომჭერითო. თავი არაო და, როცა გამარჯვებულნი დავბრუნდებით და დარბაზს დავსხდებით, კალთას მოგპრითო“. შან., გვ. 432—433.

62. ამა სიმღერის მათჳვაში

ჩაწერილი უცნობი ხევსურის მიერ. შან., გვ. 432. აკ. შანიძეს, იგი მოყავს, როგორც ვარიანტი წინა ლექსისა — და შენიშნავს: „ეს მხოლოდ მათქვამობაა“ — იქვე. ეს ტექსტი მართლაც მათქვამისაა, ოღონდ არა როგორც ვარიანტი, არამედ — დამოუკიდებელი ტექსტი შექმნილი იმავე ამბავზე, რაც გადმოცემულია წინა ლექსში. ლექსი, როგორც შინაარსიდან ჩანს, ბრძოლის მონაწილის გამოთქმულია.

63. ბერღიშვილი და ჰისტები

მთქმელი ხევსური სოფ. ჭიმღის მცხოვრები მიხ. გიგაური. ჩაწერილი სოფ. ხორნაულთაში ხთ. ხორნაულის მიერ. ფშ. ხევს., გვ. 98, სტრიქ. 18 — მ ა ლ უ ლ ი — მ ზ ი რ ი. სტრიქ. 8, დაბეჭდილია თ ო ლ ი, შევასწორეთ — თ ო ვ ლ ი.

64. ბერღიშვილები

ავტორი — მთქმელი კუკუა ცისკარაული. ხევსურეთი, ჩამწერი ერ. ბალიაური. შან., № 164, გვ. 65—66.

ბ

ლექს იტყვის გაბიდაური, არცა რას დალევს დიდხანსა,
ხელად მოვიწყობსთ ვაეებო, ვინც რომ სახელსა იქამთა.

- დაბნელდა მზისა სხივები, ნაპირს ჩაეიდა ზღვისასა,
 ცაზედ დაჩერდეს ფრინველნი, ცრემლი დაწურეს თბისასა.
- 5 ველარ დადიან ბრალითა, არხოტის ქალისასა.
 ამლით გავილან მზირები, ჯავრსა ნუ შეეკამთ მტრისასა.
 ჩადიან, ჩასაუბრობენ, მგლები უშიშრად გზისასა,
 ფრინველად აკლავის თმები, არ აჩქამებენ ქეიშასა.
 ერთმანეთს ეუბნებიან, თვალ არ შეგეასწრას ღთის მადლსა.
- 10 თორ ომს აგვიტებს ძრიელსა, არ დაგვიფერებს სხვისასა.
 საწყალო ხირჩლის შვილო, შუქს გაიშელებენ მზისასა!
 პირდაპირ გისხენ მალულნი, გლიშნებენ როგორც ჭილდასა.
 თვალ ვერ შეგასწერ რჯულ-ძალლო, ვაპ, ცდასა ვაეკაცისასა.
 რო დაათაეა, იძახა, სული ღმერთს, ლეში მიწასა!
- 15 ხმა მისწვდა, ბაბუტიშვილსა ბეწინას კუთხსა ქვისასა.
 ღიღღურად ჩამოუქვივლა, პირდაპირ რაზმსა მტრისასა.
 სულეთ უნცროსად წაღლაღეს, ორთავ გამბანდლათ ჯღნისათა,
 ბაბუტიშვილის ნასრევი ნაქოქს გაიდებს ძელისასა.
 ბეწინას ნელად დაგვიკრეს, მასკვლავს მოსწილვენ ცისასა,
- 20 ცაზედ დაჩერდეს ღრუბელნი, მდინარნი ჰაერისასა.
 ველარ დადიან არწივნი, კლდეებზედ ჩორებისასა.
 ბაბუტამა და გოგიზა, გზა დაისწავლეს სხვისასა.
 სახარის ჩრდილჩი ჩაუსხდეს, ძალს ახსენებენ ღვთისასა.
 თოფ დაჰკრეს ქისტის გაზდილსა ნაპირსა სოფლებისასა.
- 25 ამლას მშვიდობით მოვიდეს, სახელს ულოცვენ ვითასა,
 არ ხეარგავთ ბერდიშვილებო, ჭილაგსა მამ-პაპისასა.
 ამავის მალექსებელი, ბოლოს ვარ კეკევისასა,
 ხელჩიგ მიჰყვარე კალამი, თბესა ვწერ ქალაღლისასა.
 ამლას მივლნატრი ვაეკაცთა, მზინდნეთა სახელისათა.
- 30 ახიელაში ციხეთა, ნაგებთა აბაისასა,
 მოვწირე სიბეჩაეითა, კირთ ვჩივი, ობლობისათა,
 კიდევაც გამოვიგზავნით, ვაე ვინთა სახელს იქამთა!

მთქმელი ალ. ჭინჭარაული. ჩამწერი ვ. ბუთლიაშვილი. ლიტმუზ.
 20050-ბ. ყ-337, გვ. 109, დათარიღებულია — X — 1935. ახლავს გან-
 მარტება; სტრიქ. 28, თ ბ ე — ქ ა ღ ა ლ დ ი ს ფ უ რ ც ე ლ ი.

8

დ. ჯანელიძის მასალებიდან. სნჯ. I, გვ. 371.

65. მარბია პირჩილაიშვილი

მთქმელი ბადია ბალიაური. ხეცსურეთი, ჩამწერი ნ. ურბნელი, ივ.,
 № 43, 1888 წ.; — შან. № 105. გვ. 40.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

- ქიუზში ვეფხვი ნადირობს, ჭიჭეებსა ეპარებოდა.
ესროდეს გოშტიკაურნი, მარტიას არ მოხვდებოდა.
ნასრევი მარტიასი ძვალზედა აჩქამდებოდა,
მომეტე გოშტიკაურთი ყორნის საქმელად ჯდებოდა.
- 5 მარტია თოფსა ჰკოცნიდა: „სახელსა შეკვილებოდა“
მაგას ნუ სჩივი, მარტიავე, — სახელი შენ დაგრჩებოდა.
წამოხვედ საშინაოდა, სახელ წინ დაგიდგებოდა.
სწორნი გილოცვენ სახელსა, მამას პირს ეცინებოდა.

ხევსურეთი. ჩამწერი შ. ბეწუკლიშვილი. შან., გვ. 404.

66. მბრის ვალი

ხევსურეთი. ჩამწერი ალ. ოჩიაური. შან.. № 193, გვ. 80. აკ. შანიძის ცნობით ტექსტს სათაურად ჰქონია „ძველი სიმღერე“. ბოლოში-კი მიწერილია „გაგონილი“. შან., გვ. 455. აკ. შანიძე მართებულად შენიშნავს, რომ ლექსი შეეხება იმავე ამბავს, რაც წინა ლექსშია (შან., № 105 — ჩვენი ნომრით 65) გადმოცემული. იქვე. ამ ლექსის ნაწყვეტად, მიაჩნია აკ. შანიძეს მომღევენო ბ ვარიანტი.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

ცეტნი ხართ, არხოტიონხო, ბეერსა გპირსთ თავის ჰკვისაო.
თუ შე რას დამიჭერებდით, ქავ მაივლივეთ ქვისაო.

იქვე. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., გვ. 455.

67. მიუვლენ ალუღიკასა

მთქმელი გიორგი ოჩიაური — შერქმეული სახელით გერგეტელი-სოფ. ახიელა, ჩამწერი ქს. სიხარულიძე. სტრიქ. 5. ხ ო რ ი ე ლ ა — დ გ ი ლ ი ხ ე ვ ს უ რ ე თ შ ი ; სტრიქ. 7. უხორეგულა — შ ა ტ ი ლ ი ს მ ხ ა რ ე ს ა დ გ ი ლ ი . ტექსტი ფრაგმენტი უნდა იყოს უფრო ვრცელი ლექსისა.

68. ჰაჰმატს ვერ ბამოსცილდების

ხევსურეთი. ჩამწერი ბაბო ლიკოკელი. შან., № 195, გვ. 81.

მთქმელი ხოლიგა არაბული, ხევსურეთი. ჩამწერი ნ. ურბნელი. ივ., № 73, 1886; — შან., № 196, გვ. 81. ტექსტს ახლავს ნ. ურბნელის განმარტება — ბოლო სტრიქ. დაბადებიდგე ს რ უ ბ ე რ ი — „შივ მჭდომი მოხუცი, რომელსაც ვაუკაცობა აღარ შეუძლიანო“. ამგვარი განმარტების გამო აკ. შანიძე შენიშნავს: „ასე განმარტავს ნ. ურბნელი, მაგრამ დამაკმაყოფილებელი ვერაა. „დაბადებიდგე ს რ უ ბ ე რ ი“ ჩვენებურად ამას ნიშნავს: „დაბადებიდან სულ ბერი“, როგორ შეიძლება კაცი დაბადებიდან იყოს მოხუცი? ორში ერთი: ამისი, მათქვამი ან დაბადებიდანვე დახუთული ყოფილა და ბერიკაცისთვის სულ შინ მჭდარა, ან არა და მას სახელად ჰრქმევი „ბერი“, ოღონდ ამ ლექსის თქმის დროს იგი მოხუცი ყოფილა და გადაკვრით ხმარობს ორ-აზროვან სიტყვას: დაბადებიდანვე ვარ ბერიო. მე უფრო მეორე ახსნა მიზის ჭკუა-ში“. შან., გვ. 456.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

ივანე ჯოჯოხიათო, კაცი გამოხვედ რაფერი,
დაბადების დღეს გამოგყვა მარჯვენას მხარზედ სანთელი,
აღარას შენ გაუღალი საურჯულოსა მთა-წვერი,
აღარს შენი დაუჭდომი, სადაც ტყის ღბავა ბანცვერი,

- 5 შენი კაც-მოუკლავი არ იყო ქისტის სოფელი.
ივანე, შენ გამჩაყავი კაციმც ნულარ არს დღეგრძელი,
ისითამად გაგჩაყოს. რომელიც იყოს შენფერი.

ჩამწერილი ხევსურეთში 1876 წ. ხახმატელი ბერდია ყულაკის ძე გამლივარაულის მიერ. უმიკ., № 23, გვ. 38.

70. როვას ჯარის მოსვლა

ხევსურეთი. ჩამწერი ხახმატელი ბერდია ყულაკის ძე გამლივარაული, 1876 წ. უმიკ., № 20. გვ. 36.

71. ივანე ჯოჯოხიათო

ხევსურეთი. ჩამწერი ხახმატელი ბერდია ყულაკის ძე გამლივარაული, 1876 წ. უმიკ., № 24. გვ. 36. შეიძლება ტექსტი № 69-ს ვარიანტადც წარმოდგენილიყო.

მთქმელი შატილელი გ. კინკარაული. გამარჯვება. ჩამწერი აღ. კინკარაული. კინ., გვ. 371.

ბ

- ტერელის რა ამბავია, ქედენ ნალურსმარს ძალზედა,
ველ-კეთილ თარემ ჩამუშნა ჟოჟოლას მუქარაზედა.
შინ არ დაგხედებისთ ჟოჟოლა, დარჩა თუშეთის გზაზედა,
ათეზიშვილის ლურჯაი ნაღვარ მოხტება ძალზედა.
- 5 რას შეეშურებ ტიალო, მეთოფე გიზის გზაზედა,
ჟოჟოლას ხათუთისძესა ლოყა აქვს თოფის თბეზედა,
შკედრისად დალიშნულო ლურჯავ დაგვეკრითა ტანზედა,
ქიდის პირ მასულ ლურჯამა მკედარ დაჰყუდა თავზედა.

მთქმელი ალუდაური თაძია გიორგის ძე. 34 წლისა, გადმოსულია ასხაბრიდან. — ჩაწერილი ქისტაურში, 10.VI.61.

ჩამწერის შენიშვნით მთქმელს „მეტი არ ახსოვს“. ფ. არქ., კ. ვ გვ. 310. ასეთივეა უ. ცინდელიანის მიერ ყულდროში X. 15. VII—1961, ჩაწერილი. ფ. არქ., კ. 47, გვ. 128 — განსხვავება: სტრიქ. 7—8. „გადაწვა გულალმ მკედარი, („თავი გადიგდო განზედა“, აქვს აგრეთვე უკანასკნელი სტრიქონები, რაც არ გააჩნია ბ ვარიანტს: „სული ელევა მოყმესა) მზის გადაწირვის ხანზედა“.

73. ჰაჰმატელთ მზირი ძისბითოზი

მთქმელი ალუდაური. ხევსურეთი. ჩამწერი ნ. ურბნელი. ივ. № 264, 1887 წ. — შან., № 185, გვ. 77.

74. ბორბალ აჰეფლა ჟორნაბი

ხევსურეთი. ჩამწერი ბაბო ლიქოკელი. შან., № 186, გვ. 78. გადმოცემულია იგივე ამბავი, რაც წინა ნომერში.

75. აიჩავ ჩამო ძმოზილო

ხევსურეთი. ჩამწერი ბეს. გაბური. შან., № 218, გვ. 94.

76. ფუტარის ჭურდი

ხევსურეთი. ჩამწერი აკ. შანიძე. შან., № 210. გვ. 89.

მთქმელი მამისწვერა არაბული. ხევსურეთი, ჩამწერი ნ. ურბნელი. ივ., № 27, 1888, — შან., № 174, გვ. 71. აკ. შანიძე შენიშნავს „შინაარსით შეადარეთ წინა ნომერს, თითქო ორივე ერთსა და იმავე საგანს უნდა ეხებოდეს“, შან., გვ. 436.

78. მვადლური ღა წიჟა

ხევსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 97, გვ. 37.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

შედლ იქნა კონის ორწყალსა, ტყვია წვიმს ზედა დარია,
იტყვიან ჯალაბაურნი წიჟა, მქედლურა ძმანია,
ველარ იქმარა წიჟამა ჯორი ნაყიდი კმალია,
ვაზუამ კარგა უქირა, დისწულ-დედი ძმათ მქარია.

მთქმელი ც. კინჭარაული. გამარჯვება, ჩამწერი გ. ხორნაული, 1961 წ. ფ. არქ., კ. 17, გვ. 334.

79. ჟურღობა არ შპარჩინეს

ხევსურეთი. ჩამწერი სიმ. გაბური. შან., № 202, გვ. 84. დართული აქვს მთქმელის შენიშვნა გადმოცემის სახით: „ეს არის იმაზე, რო ქისტებს ქურდობის დროს დახვდეს გზაში და დაკოცეს ორი კაცი, ქისტი, იმ ბაბუხურის შვილმა თათარამ და მეორე მეზობელმა ბაბუა ბეჟიტაშვილმა (ახლა ისეები ორივე მკვდარია). ბაბუა ბეჟიტას ძე წიკლაური გადაიცვალა, იქნება 30 წელი. თათარა ბაბუხურის ძე კოლიკაური ანუ წიკლაური გადაიცვალა 1917 წელს. ხყვანდა მას მაკლული ქისტი 4—5 კაცი“. შან., გვ. 458. ამ გადმოცემას მნიშვნელობა აქვს ლექსის რეალური საფუძვლის დასადგენად.

80. ბობა არხობისა ღა ლილღოს შპარჩინებლად

მთქმელი გიორგი ჯაბუშანური. ახიელა, ჩამწერი აკ. შანიძე, 6. VIII — 1913 წ. შან., № 265. გვ. 118—119. ახლავს განმარტება: სტრიქ. 4. წინა — იგულისხმება ფ ა ნ დ უ რ ი. დართული აქვს აგრეთვე შენიშვნა: „არხოტიენები და ლილღვლები შეყრილან (ეს იყო

ათიოდე წლის წინადო, მითხრეს 1913 წელს) ტერლის კარს (სადაც მიჯნა არხოტივებისა და ქისტების მიწა-წყლისა), და ბჰობა ჰქონიათ სამუდამო ზავზე. ქისტებს არხოტიონთ მიერ დახოცილი ხალხის სისხლში გასაბრელად სამ-სამი ცხვარი მოუთხოვიათ კომლურად, მაგრამ არხოტივები არ დასთანხმებიან და უშედეგოდ გაყრილან. თათბირის მონაწილეთაგან ლექსში პირადად მოხსენებულნი არიან: ა) ქისტების მხრივ მაჭლიგა, (მ. 6, ჩვენი დაყოფით სტრიქ. 11), ჭეგაიშვილი (მ. 12, ჩვენი დაყოფით სტრიქ. 23) და ფარეშაშვილი (მ. 8. ჩვენი დაყოფით სტრიქ. 34), ბ) არხოტელთაგან კი: სისკარათ იონეური (ახიელელი, მ. 16, ჩვენი დაყოფით სტრიქ. 31), ფიცხელა ნაროზაული (ისიც ახიელელი, მ. 17 ჩვენი დაყოფით სტრიქ. 33) და თათარა (ამლიონი, ქისტების მომკლავი, (მ. 19 ჩვენი დაყოფით სტრიქ. 37). „—შან., გვ. 493.

ბ

ჩვენ-ლილვლებ შავიყარენით, საცა ტერლის კარს ვეტყვითო.
სამკან დავანთეთ ცეცხლები, თხებიც დავკალით, ცხვრებიცო.
მოვიდა ლილვლის შვილები, ძაგძაგ გახქონდა ყბებისო.
ქიმილით თათარა მოვიდა, იქისკე იზიდებისო.

- 5 ქელჩი ბერდენკა უქირავს, ფიჭვის ძირებზე ძვრებისო.
ველარ იქვრენ ხუთ-ხუთნი, კალმახივითა ხტებისო.
ავა და ჩავა მაჭლიგა, ყვარნის სულ აღარ დგებისო.
სრუ თქვენ ველარ გაძლებთ, ძალლებო, ვითასაც მოგშვიდებისო.
სისკარათ ივანეური ქალაღში რასამ სწერდისო.
- 10 სამ-სამ ცხვარ გაუთაუბავ, ან მიმცემ ვინ-ა ერთისო?
მე თიკნის ყურსაც არ მივსცემ, ზოგებ მკვდარს იწირებისო.
ფარეშაშვილ მოვიდა, ღურბინდით იცქირებისო,
არ გამოვიდა გარეთა, ხალხის შუაში დგებისო.
დამაგრდით, არხოტელებო! დატეხით რა იქნებისო?
- 15 ვინაც მოკვდება, დაღმარხეთ, კიდევ სხვა გაიზრდებისო.
ტერლის კარს ქავი ვაღმართეთ, ქორი არ ვადახტებისო.
შიგა დგას მეთოფეები, ბერდენკეები ტყვრებისო.

ჩამწერი ნ. ჰონქაძე. შან., გვ. 493. სტრიქ. 9. დაბეჭდილია ქ ა ლ დ შ ი — შევასწორეთ ქ ა ლ ა ლ დ შ ი .

81. ჰავსურნო, ჰისბნი ღაგლევადისტ

ხევსურეთი. ჩამწერი ბაბო ლიქოკელი, შან., № 156, გვ. 62. სათაურით „ქისტებმა გზა შეუკრეს თუშეთს მიმავალ კარატის ჭვარიონთ“, ბაბო ლიქოკელს გაერთიანებული აქვს ერთი ციკლის ოთხი ლექსი — №№ 156—159. (აკ. შანიძის დანომვრით. ჩვენი დანომვრით №№ 81, 82, 83, 84). აკაკი შანიძე შენიშნავს: „ბაბო ლიქოკელის მიერ

ესენი ყველა ერთადაა დაწერილი, მე კი გავყავ და სხვადასხვა ნონ-რები შივეც, რადგანაც სხვადასხვა რითმები მოუღის“. შან., გვ. 425. იქვე, აკაკი შანიძეს ამ ციკლის ლექსების გამაერთიანებელი ამბავ-ბაბო ლიქოკელის გადმოცემით: „მშვილდ-ისრობა ყოფილას, რო კა-რატის ჯვარიონთ თუშეთ უღენავის. ერთხან გზა შაუკრავის ქისტისა ჯარს, სამოცი კაცი ყოფილა ქისტი, თორმეტი ლიქოკელი. უსროლავ ისარი ერთმანეცისად. სამი ლიქოკელი მამკვდარა, სამოცისა სამ ქისტ-ტი წასულას“. იქვე.

82. ბორბალ აბიბენ ციხისა

ხევსურეთი. ჩამწერი ბ. ლიქოკელი. შან., № 157, გვ. 62.

ბ

- ქორქის თავ მარიემული პირს დაიბრუნებს მგლისასა.
ბორბალ აგებენ ციხესა ბროლ-მარილას ქვისასა,
ლიბუჩი უსხმენ ვადათა ხახიკთ ხახონის კლოასასა,
ფარსა შაამბენ კარადა ბებრისა ჯაქნაისასა,
5 ხედ დაუსხმენ გალოთა თავ-თავის ქისტებისასა,
ედეშად ფერცხალთ აყრიან სამოცის ფხოწხლისასა.
ბორბალ შაიბნეს ვაუ-ვერძნი, რქათას ისარი გასდისა,
ვაუ-ვერძნი არა ყოფილან, მაგას კოპალა ჩადისა.

ხევსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., გვ. 425.

83. ზანთის, ბირელოს, ფხაჰიხას

ხევსურეთი. ჩამწერი სიმ. გაბური. შან., № 158, გვ. 63.

84. ოში ან ნაროვანაზელა

ხევსურეთი. ჩამწერი სიმ. გაბური. შან., № 159, გვ. 63.

85. შუღლი ძნის ხახიკაურთა

ფშავი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., გვ. 425. ეს ნაწყვეტი, როგორც ოშის ამსახველი, ერთვის № 82 (შან. № 157) — ბ — ვარი-ანტს. ახლავს აკ. შანიძის შენიშვნა: „აქ გადარეული უნდა იყოს: მოსა-ლოდნელია „ძალლიკაური“ კი არა, არამედ „ძალლიკა“ (მაგ. ასე: „შვიდთა სცეს ერთსა ძალლიკას“ ან სხვა რამ ამნაირი (—უქანასკნელი სიტყვების შესახებ R (იგულისხმება თ. რაზიკაშვილი ქ. ს.) შენიშნავს: „ფარები დასჭრეს, ნაფოტებად აქციესო“, შან., გვ. 425.

ხევსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 160, გვ. 63. საემირო პოეზიის ტრადიციის თვალსაზრისით საგულისხმოა თედო რაზიკაშვილის შენიშვნა: „ამ ლექსის გაგრძელება ველარ ვიშოვე. ძალიან დიდი ლექსია და წელიწადში ერთხელ იმღერება, ისიც ახალწელიწად დღესაო“. შან., გვ. 425.

87. ფშავლების ბალაშყრება მითხოვო

სოფ. გოგოლაურთა. ჩამწერი გოგნელაშვილი. სნჯ, III, გვ. 18.

ფ შ ა უ რ ი

ბ

ქისტებს ნუ მიზღვეთ, ფშავლებო, განა ქალაქის კარია?!

არცა სხელს ოქრომქედლები, არც იწურება რვალია,
იქა სხელს ქისტის შვილები, ტყვიას გამაჟ ჩქამია,
სამს ძმას ერთივით მაჰკლავენ, არა აქსე სამართალია.

სოფ. შუაფხო. ჩამწერი ლ. თვარელაშვილი. 1939 წ. ფშ. ხევს., გვ. 95. ასეთივეა: ფშ. ლექს., გვ. 24 და კოტ., გვ. 220. ახ. გამოც. გვ. 240. განსხვავებანი: სტრიქ. 1 — ქისტებს — შატილს., იქვე — კარია — გზანია., სტრიქ. 4 — ერთვით — ერთსავით.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

შატილს რადა სდით, მშავლებო? განა ქალაქის კარია?

განა სხენ ოქრომქედლნი, გან იწურება რვალია?

შატილ გამტერეს მშავლებმა ქვაზედ არ წირენს ქვანია.

„რაჰლა გატეხეს შატილი?“ იმას ხკვირობდეს სხვანია.

ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 151, გვ. 61. სათაურად აქვს „შატილის გატეხა“. ტექსტს ახლავს ჩამწერის შენიშვნა: „წინათ ფშავლები ხევსურეთშიაც დაიარებოდენ თარეშით, აგრეთვე ხევსურები ფშავში, გულამაყარში, თუშეთში“. შან., გვ. 423. მართალია ეს ასე იყო, მაგრამ ეს ლექსი ფშავლების მიერ ხევსურების დალაშქვრაზე კი არ არის ნათქვამი, არამედ — ქისტებისა, როგორც ეს აღნიშ-

წულია დ. ხიზანაშვილის ჩანაწერში. ლექსი იმ ხანას უნდა ეკუთვნოდეს, როდესაც შატილში ქისტები სახლობდნენ.

88. მვე იჯაჲ

მთქმელი სიდო მოზაიძე. ჩაწერილი თუშეთში, დიკლო, 1931 წ. კოტ., გვ. 87. ახ. გამოც., გვ. 103. შეიძლება ეს ფრაგმენტული ლექსი ფარსმის ომის ერთგვარი გამომახილიც იყოს.

89. გოშტა ბადიდაშლა

ხევსურეთი. ჩამწერი ივ. ოჩიაური. უმიკ., გვ. 39, № 26.

90. ნიბი შვინდეთელათი

მთქმელი 106 წლის გამახარე ხორნაული. სოფ. შუაფხო, 1946 წ. ფშ. ხევს., გვ. 91. ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 6. ფარაგი — ქალის ტანსაცმელი: სტრიქ. 12. ბოცოხი — სოფ. ქისტეთში; სტრიქ. 20. უღუმლივ — ჩუმაღ.

91. ვაჟება შატილინებმა

მთქმელი შ. გიგაური. ყუდრო, ჩამწერი უ. ცინდელიანი. 1961 წ. ფ. არქ., კ. 47, გვ. 141. ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 5 — არღუმი — ადგილი ქისტეთში; სტრიქ. 10. სახდი-მოსახდენი; სტრიქ. 19— კვიშტა — სახელი ხევსურის — ბაგრატიულის ნათესავის; სტრიქ. 21. იბა ქისტის სახელი.

92. ზოზნი რო წვიმღას

მთქმელი სოლომონ ხისფეხიშვილი. ჩამწერი იოსებ ლონგიშვილი, 17. VII — 1961 წ. ფ. არქ., კ. 23, გვ. 441.

93. ღუსხის ციხე

მთქმელი ლ. ჭინჭარაული. შატილი, ჩამწერი ალ. ჭინჭარაული. ჭინ., გვ. 366.

94. ხოშაქის ტურა

მთქმელი გ. ჭინჭარაული. გამარჯვება, ჩამწერი ა. ჭინჭარაული, ჭინ., გვ. 363. საინტერესოა მთქმელის ცნობა ლექსის ხნოვანებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ხოშაქის ტურაზე შექმნილი ყოფილა ციკლი

ნაწარმოებთა. ზოგი ერთვის ტექსტს: „ეეს სიმღერე ყველაზე ძველ სიმღერე უნდა იყვას, რაიც მე ვიცი. ხოშაქის ტურას ძალიენ ძალ უტანე-ბავ ქაჩუ — შატილისადაც. მაშინ ცოტა ხალხ ყოფილ. გურო-შატილ. ქაჩუთ შატილ წინაზე რო ჩამასულან, ხუთ კვამლ ყოფილ — ქაჩუ ულაშქრავ ხოშაქის ტურას.

ხოშაქის ტურა წინავ ცხოვრებულ აი კორუს გაღამგარ რო ეხე-ბი; იქ ხქონი ბინაი. გაუგდავ ხალხს იქით: „შენავ თუშის ნათესავ ხა-რივ, თუშის ნატეშვარ ხარივ“.

მემრ თუშეთიწი წასულ ხოშაქის ტურა, იქით დაუწყავ თუშებისაი აჩარლების ლაშქრით ლაშქვრა გურო-შატილ-ქაჩუსაი. აი თხორითაც მაშინ უზიდვიებავ ქაჩუს წყალი.

ერთს ლაშქრობაჩი ქაჩუს მაუკლავ ლიჯური — გათქმულ თუში. იქავ იმათ ლაშქარჩიგურს ქისტს ქვე მაუკლავ. კმითნატირალიც არის თუშებისა.

ჩვენი ლიჯური ქაჩუს დარჩაო, თქვენის თურქაის იყვა სწორიო.
გასანელებსა აჩარლებსაო ისრის ლიშანჩი ამასელიყვაო...

სხვან სიმღერენიც არიან:

ხოშაქის ტურა ჩიოდა: „ფას ვერ ვქენ ქაუხ წყლისაო,
გიორწმიდას კი შავსწირე თავი სამოცის ყმისაო“. იქვე, გვ. 363—364:

95. სისხლის ალბა

მთქმელი გორელაშვილი. ჩაბანო, ჩამწერი მ. წიკლაური, 1962 წ. ფ. არქ., კ. 113, გვ. 214.

96. სანაშდე იყო ჩანთელი

მთქმელი გიორგი წიკლაური — 120 წ. გადაცილებული. სოფ. ზანდუკი, ჩამწერი ელ. ვირსალაძე, 1934 წ. ვირსალ., № 12, გვ. 112.

ასეთივეა ფ. არქ., კ. 27, გვ. 130. განსხვავება — სტრიქ. 3— მე-რე — ა ხ ლ ა; იქვე — გ ი ნ დ ა — უ ნ დ ა.

ელ. ვირსალაძე მიუთითებს შან., № 154, როგორც ჩანთელზე შექმნილ ლექსზე. ჩვენის აზრით აფთარაულის წინააღმდეგ მებრძო-ლი ჩანთელი და ქისტების წინააღმდეგ მებრძოლი (იხ. წინა № 95) ერ-თი და იგივე პირი არ უნდა იყოს.

97. ძვლის სამანი

ხევსურეთი. ჩამწერი ბეს. გაბური. შან., № 131. გვ. 50.

ტექსტს ახლავს შენიშვნა: „გაბურის მოწმობით, ეს ლექსი ნათქვამია უშიშა წიკლაურის მიერ, რომელიც უფრო პეტროს (ანუ პეტრუ-ას) სახელით არის ცნობილი ლექსებში.

„როგორც ძველები მოგვეთხრობენ, ძველად ერთხან მოსული ლაშქარი. მოკლეს არხოტს (ს. ამლას) 140 სული ქისტი, არხოტიენების მკრით ყოფილა მკვდარი 60 სული“. გაბური. ეს ის ამბავია, რომელზედაც მოგვეთხრობს ნაწყვეტი № 247 (წითელათანა)“. შან., გვ. 411.

შეიძლება ის უშიშა წიკლაურიც იყოს, რომელზედაც შექმნილია ლექსების ციკლი.

98. ანვანნი და შატილიონნი

მთქმელი გ. ჭინჭარაული, შატილელი. გამარჯვება. ჩამწერი ალ. ჭინჭარაული. ჭინ., გვ. 390. ტექსტს კომენტარის სახით ერთვის მთქმელის შენიშვნა: „ჯალაილენ ეეგ დიჩინნ ყოფილან, ჭანთნი. იმათად წელჩი ერთ ცხვარ უძღვევგ შატილიონთ: „ახა ლაშქარ გვეცემოდასავ, შავვატყობიდითავ. ბეგარ აღარ მიუცავს აღარც იმათა-ღ გაუგებებავ. სადიჩინო ყოფილ ამაგ ჭანთეთ-ტერელოს, ისენ ღმეტებიან სრუ ყველას, თავიანნ ხალხნ ყოფილან, ზარიანნი. იქვე, გვ. 390—391.

99. სალაშქროს ზალას დაბროვდა

მთქმელი ს. ჭინჭარაული, შატილი, ჩამწერი ა. ჭინჭარაული. ჭინ., გვ. 385. ჩართულია გადმოცემაში, რომლის სათაურიცაა: „ქორუათოელი ზეითა“, იქვე, გვ. 384—386.

100. ახვათით მჟირი ბამავა

მთქმელი ს. ჭინჭარაული. შატილი, ჩამწერი ა. ჭინჭარაული. ჭინ., გვ. 386. ჩართულია იმავე გადმოცემაში.

101. ჭისტების დაცემა მთიბელ-მამკლისად

მთქმელი გიორგი ჭინჭარაული. თბილისი, ჩამწერი აკ. შანიძე, 1.III—1931 წ. შან. № 608, გვ. 250. ახლავს შენიშვნა. შან., გვ. 614.

ლექსი ნათქვამია გამახელა ჭინჭარაულის მიერ. აქ მოთხრობილი დაცემა ქისტებისა დაახლოებით 1915 წელს მოხდაო.

1. ზედა კვირაედ არია (გიორგიმ ასე მითხრა: „ზედა კვირაე დარია“, მაგრამ იქვე მყოფმა ვახტანგ ბალიაურმა ფორმა გაიკვირვა და

ისე შემასწორებინა, როგორც დაბეჭდილია. არ ვიცი კი, ვინ უფრო მართალია: გიორგი, თუ ვახტანგი; 2. ამაუჭამეს ხთისოსა კალ-ერბო-იან ჯამია—ხთისო ჭინჭარაულს, შატილელს, მუშები ჰყავდა, რომელ-თაც კალი და ერბო ჰამესო“. იქვე.

102. ბავრი ვერ ბაზრდის დედაო

მთქმელი მიხ. გიორგის ძე ყველაიძე. სოფ. ყველიანი. ჩაწერილია 1946 წ. ვირსალ., № 379, გვ. 248.

103. ამოგილისულ ფანდურსა

მთქმელი თ. ჭინჭარაული. გამარჯვება, ჩამწერი გ. ხორნაული. ფ. არქ., კ. 17. გვ. 353.

104. იმერულს ღალაშვრა ჰევისურების მიერ

მთქმელი გ. ჭინჭარაული, შატილელი. გამარჯვება, ჩამწერი ა. ჭინჭარაული. ჭინ., გვ. 369. ახლავს გადმოცემა. იგი მთქმელს კომენტარის სახით მიუყოლებია ლექსისათვის: „იღუკა ჭვესურ ვინამ-ა. რომნის სოფლისაი, სინამდვილეჩი ვერ გეტყვი. შვილ მიუცავ მაგას იქერშლოვლებისად. ეგ იქერშლოვლებ დაამაყებულანა იღუკას ქარაია („მზევალივ“, რო ჩვენ ვიცით, ეგენ „ქარაიას“ ეძახდეს) მიუცავ მაგათად: „დავინდენაო, მემრ დავლივანავ“.

ამდგარა, შაუყრავ ლაშქარი, დაუცავ იქერშლოვლებისად ბევრ ხალხ დაუკოცავა, ბევრ დავლაიცი წამაულავ ქარაიაად მიცემულ შვილი, რა თქმა უნდა, იქ დაშრომივ. ის იღუკაის შვილი ციხის საკვამჩით გამაუჩრავ. თავრივლით იქერშლოვლებს (შაღმა ციხე რო-ა იქერშლოს, აიმ ციხეჩით), მაუჭრავ თავი, გამაუგორებავ. „იღუკამავ ერთხან გახენავ: „ეგ არაფერივ, — თქვაეგ — ბევრს ეგეთს ვაზღვევავ იქერშლოელთავ...“

იმ იღუკას სისხლ ღმართებავ ვისაი-მ ჭვესურისა. უკენ რო დაბრუნვილ ლაშქარი, იმ მეათეს თოფ დაუკრავ იღუკაისადა' მაუკლავ“. იქვე გვ. 369—370.

ხ ე ს უ რ უ ლ ი

ბ

მიტხოვლებს დაუბარებავ: „ჭვესურნ ნულარ ხართ ზავზედა!“
შაიტყვეს გამძღობარეთა, აბჯარ აისხეს ტანზედა.

შეყარეს მძიმე ლაშქარი მითხოვლთ მუქარაზედა.
ჩადიან კისტინის ქალასა, ხედებ ჩაგოგვენ ნალზედა.

- 5 გაქანდა თეთრი ჩაჩანი იქერშლოს ქავის კარზედა,
ატირდეს გორის სოფელსა ქალნ ჯოღბექისძეთ კარზედა:
დაგვლივნა თათარიშვილმა იდუკამ დანდობაზედა.
ფიც-ვერცხლიმ გამაუბრუნდებ ჩვენ შინ ნაქამი სკამზედა.
შინამც ნუ მივა ცოცხალი, ტყვიამც მახვდებ ტანზედა,
10 ნუმც იტირებენ დედანი, ქალნიმც ნუ მივლენ მკვდარზედა!”

მთქმელი ლ. მინდიკაური. ხახაბო. ჩამწერი ა. ჭინჭარაული. ჭინ., გვ. 370. ახლავს მთქმელის შენიშვნა: „ჯარ შაუყრავ ავესურსა-ღ’ მითხოელნ დაულევინან, აიმაზეა ნათქვამი ეეგ სიმღერე“ — იქვე.

105. ტაბელოს ჰალას ყორანო

მთქმელი გ. ჭინჭარაული, სოფ. გამარჯვება, ჩამწერი ხ. კეშელავა, 1961 წ. ფ. არქ., კ. 13, გვ. 83.

ბ

ტერელოს ქალას, ყვარანო, რად ეთელებ ჩრდილსაო,
ნია იყვა და გორგაი, არვის გარჩენდესთ ჭირსაო.

- უშიშრა ჩაიარიან, ქალაი კერნატისაო,
კოხკიზძეთ სოფელს მიუხდეს, ხანი ას თენებისაო,
5 დაყარიან თოფები, ალი ახვიეს პირსაო,
ცის ქეხა, ელვა-ქუხილი ერთმანეთს გამაჰყვისაო,
დაბრუნდეს ნასახელარნი, მგელნ დვერიენეს ჩდილსაო.
ქაბუჯა მათუყანავის საქებაბის კარზედ ზისაო.

მთქმელი ნინო გოგოჭური, 15 წლ. სოფ. გამარჯვება. ჩამწერი გ. ხორნაული, 1961 წ. ფ. არქ., კ. 17, გვ. 329. სათაურად აქვს — „სიმღერე“.

106. ბულს შამაპარა სალონი

ავტორი — მთქმელი ობოლა წიკლაური. ხევსურეთი. ჩამწერი ერასტი ბალიაური. შან., № 137. გვ. 54. ეტყობა ობოლა წიკლაური კარგი მოღვექსე ყოფილა. ლექსში მოხსენებული ურჯულო ჩვენის აზრით ქისტები უნდა იყვნენ, რადგანაც მის მეორე ლექსშიც (№ 136, შან.) — ქისტები იხსენიება.

107. სალუქის ჟავთან

ხევსურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 123, გვ. 47.

მთქმელი ა. ქეთელაური. სოფ. ბისო. ფშ.-ხევს., გვ. 120.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

დაგიკარ, ჩემო ფანდურო, გამოთხრილი ხარ ბალია.
სიკვდილი მითირისაი, ღმერთო, იწყანე, ბრალია.
შაბოთის ჯორჯში დამრჩალმა ცას შემოავლენა თვალნია.
უსაფეროსგან მომკვდარა, ას ვაშკაცისად ბრალია!

- 5 კმა გატყდა ზენა მითხოსა: „ქვეით დაგვეცნეს ცანია“.
ზე დასტიროდეს მითირსა, ხუთნი ხუვენთან დანია.
შაბოთს ხკრეს ტელიგრამაი, ფოშტამ წაილა ჩქამია.
მეორე დილა გათენდა, თელავს ჩაყარა კვანია.
პაეცს ნიართვეს ამბავი: „აგიდგა ცოდო-ბრალია“.
გათენებისად მაცემა ცხენსა დაკვერნა ნალნია.
საჩქარო შემოიარა გმელნი კახეთის გზანია.
ჩქარა ჩაეილა მითხოსა, ბევრ არ დალია ხანია.
შაბოთის ჯორჯში ჩამოვა, ჩამობუზუნდა კარია.
ჩემის მითირის მომკლაო, ისეც ცოცხალავ ხარია?
- 15 გვერდს ედგეს ბიძაშვილები, მაგრად უკირეს მკარია.
ნავთი სასახლეს დაასხეს, ცამდის გაუშვეს ალია.
ტყვეების ტყუბ-ტყუპა თოფები, ჩაჩნელთ თქვეს: „რუსის ჯარია“.
ხუთნ გამოწყვიტნეს ჯალაფნი, გამოუჯარეს კარია.
ძმასა ძმა უნდა ისეთი, მითირს რო მაცე ხუენია!

ჩაწერილი ხევსურეთში. შან., № 676, გვ. 275. სათაურად აქვს „მითირი“. სტრიქ. 11 დაბეჭდილია მითრთვეს. შესწორებულია მითრთვეს აკ. შანიძის შენიშვნის მიხედვით (იხ. შან., გვ. 626).

109. თორმეტის შურის მძებნელი

ხევსურეთი. ჩამწერი ბეს გაბური. შან., № 237, გვ. 109.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

თავი რად მახკალ, მინდიავე? სიათა ყინჩა ტირსაო.
თორმეტის შურის მძებნელო, კელად მამყვანო ტყვისაო.

ლილვლები ქოროცხლები გაიყინებენ ძილსაო:

„ვინა-ღ შავციურის ლაშქართა? ვინა-ღ აუსხამს პირსაო?

5 კიწაოს კალა დაგვნებდა, ვინა-ღ ჩავცისხამს შირისაო?“

ჩამწერი ალ. ოჩიაური. შან., გვ. 478. იქვე მოყვანილია ამავე მთქმელის მიერ მოთხრობილი გადმოცემის შინაარსი: „ახიელში ობ-ლად დარჩენილა მინდია ოჩიაური, კირაქლის შვილი, რომლისთვისაც ქისტებს მამა მოუყლავთ. მინდია რომ წამოზრდილა, მას „იაგის თაგ-ზე უძებნავ მამაი“, მოუკლავს თორმეტი ქისტი და მეცამეტე ტყვედ მოუყვანია. მეთოთხმეტედ რომ წასულა, სმა გაუტეხიათ ლილვოს და მდევარი გამოსდგომია. მაშინ აღუთქვამს გორულის ჯვარისთვის (რო-მელიც საკუთრივ ოჩიაურთა ს:ლოცაეა) ქორა ხარის დაკვლა. დეკი-ანში ჩამალულა და ქისტებს ვერ უპოვნიათ. შინ რომ მოსულა, ცოლს ხარი არ დაუკვლენებია, — მე სად მყავს იმდენი ხარი, რამდენჯერაც შენ ლილვოს წახვალო?! ამის შემდეგ მინდიას გასჩენია რალაც სატკი-ჯარი. რომელიც ხატისთვის დაუბრალებია, აღთქმის შეუსრულებლო-ვის გაპო, და შეწუხებულს თოფი დაუკრავს და თავი მოუკლავს. სიკ-ვდილის წინ დაუბარებია: ჩემს დას ნანას ნუ მოუშვებთო, — ქება დიდებით ტირილი იცისო, არ მინდაო, მაგრამ აბა ვინ დაუშლიდა? თით-ქო ნანა მოსულიყოს და დაეტიროს, როგორც ზემოთაა მოყვანილი“. შან., გვ. 478. გადმოცემა საინტერესოა საგმირო და სამგლოვიარო პოეზიის გენეტიკური კავშირის თვალსაზრისით.

110. ციღან ჩამოსწადა მარსლაპი

ფ. არქ., № 5033 ბ. ტექსტი უპასპორტოა. მიწერილი აქვს შა. აბ-უნდა იყოს იგივე მათე აბაშიძე, რომლის სახელიც მიწერილია ტექს-ტზე ფ. არქ., № 5033. ხელნაწერი ორივე ტექსტისა ერთსა და იმავე პირს ეკუთვნის. რაკი ტექსტი ფ. არქ., № 5032 ხევესურულია, № 5033 ბ-ც ხევესურული უნდა იყოს. ფრჩხილებში ჩასმული ანბანები ხელნაწერში არ არის.

111. გაბურთ ღალევა

ხევესურეთი. ჩამწერი ბეს. გაბური შან., № 252, გვ. 113. შენიშ-ვნებში დართული აქვს ბეს. გაბურის მონათხრობი გადმოცემის ში-ნაარსი: „ყოფილან სამნი ძმანი გაბურნი, ანუ გაბურნი: ბერდია, იო-ნა და ხ:მიზურა, რომლებიც სანადიროდ წასულან და ღამით ღაბერ-დის ეხში დამდგარან. აქ დაძინებულთ თავს წასდგომიანთ ქისტები, დაუტყვევებიათ, ჩაუყვანიათ თავის სოფელში და დაუხოცავეთ. ხომი-

ზურას დაპრჩენია სამი თვის ვაჟი, რომელიც დედასთან ერთად (ბაქათ ქალი ყოფილა, ჯაბუშანურთი) დედიძემებს წაუყვანიათ ახიელს. დედიძემების რჩევით ნანუქს თავისი სამი თვის ყმაწვილი, სახელად აბაისძე წაუყვანია ქისტებში, სადაც ქმარი და მაზლები დაუზოცეს, და იქ დაუგდია: ქმარი და მაზლები თქვენ მომიკალით და ბარემ ესეც მოკალითო და გამობრუნებულა. ქისტის ქალებს აუყვანიათ ბავშვი და გაუზრდიათ. ოცის წლისა რომ გამხდარა ეს აბაისძე, ქისტებს წამოუყვანიათ და დედისთვის ჩაუბარებიათ არხოტში. აბაისძეს დაუბრუნებია ხალხის მიერ ამასობაში დატაცებული მამული („აბაისძემ შაიდვა დროშა მჯარზედ და ისე დაუარა ადგილს, დაიბრუნა თავის მამული, რაც დედამ ასწავლა“). ამის შემდეგ აბაისძე დადიოდა თურმე ქისტეთში და სისხლს იძევდა „იოგის თავად“. ამ აბაისძის ჩამომავლობა არის ღღეს, რაც გაბურები არიან.

ეს აბაისძე იყო მამა უმცროსი ალუდაურისა (№№ 103, 104). მას ეხება კიდევ № 328“. შან., გვ. 482.

112. შაფვილის მოკვლა ჰორგეშავს

ხევსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 194, გვ. 80. ახლავს ჩამწერის ტექსტუალური შენიშვნები: სტრიქ. 4. ჰორმეშავის ძირ — ჰორმეშაის ძირ.

სტრიქ. 7. პირი წახყვიან ლხინობას, რო ამავიდეს მთაზედა — ქისტებმა თამაშობა დაიწყეს, მთაზედ რო ავიდნენო“.

113. წინას ვალზედ მიჰოლა

ხევსურეთი. ჩამწერი გიგია ქინჭარაული. შან., № 264, გვ. 117—118. აკ. შანიძე შენიშნავს: „აქ მოხსენებულმა სულხანაურმა ხელის მოქრა არ აკმარა მოლას, არამედ თავიეც მოჰკვეთა და წამოიღო, რისთვისაც სახსარი გადმოუტანეს ქისტებმა, მაგრამ მაინც არ დაუბრუნაო, ნითხრეს. ეს მოლა არ გამოდგა იმისი მოსისხლე და მეორედ რომ გაემგზავრა სისხლის ასაღებად, შეცდომით, ქისტის ნაცვლად, ხევსურს ესროლა და თვითონაც მსხვერპლი გახდა თავისი შეცდომისა (ამის შესახებ. №№ 208, 209, 538)“. შან., გვ. 493.

114. სულხანაური

მთქმელი მგელა ლიქოკელი. ჩამწერი პავლე შანიძე, 1922 წ. შან., № 208, გვ. 87.

ახლავს აკ. შანიძის შენიშვნები: „სულხანაური შვილი იყო გოგოთურ ქინჭარაულისა, რომელსაც ყველა იცნობდა, ვისაც ბარისახო-310

ში მოუხდებოდა მისვლა. ყველას იზიდავდა მისი სტუმართ-მოყვარეობა. სულხანაური მოკლეს 1921 წ. ზაფხულში. ...სისხლის ალების მიზნით სულხანაური მითხოს გადასულა, მოლა მოუკლავს, მოუჭრია თავი (ჩვეულებრივ მარჯვენა ხელს სჭრიან ხოლმე) და გადმოუტანია. მაგრამ რადგანაც მოლა სხვა გვარისა აღმოჩენილა, ვიდრე მესისხლე იყო, ამიტომ ხელმეორედ გამგზავრებულია შურის საძიებლად და შატილს ქვემოთ შეცდომით ხევსურისათვის დაუკრავს თოფი... სულხანაური აბას ტანისამოსს შეუტენია: ჩაცმულობაზე მას ქისტი ჰგონებია და ხევსური კი შემოჰკვდომია... სულხანაურს შატილივების მღვევარი გამოუდგა, გზა მოუჭრეს და კისტნის ქალაში მოკლეს... სულხანაურის სიკვდილი ვერ აიტანა მისმა ბიძაშვილმა ქალმა, ნათულამ, და თავი მოიკლა.... სულხანაური მილიციის უფროსად იყო იმ ხანებში ხევსურეთში“. შან., გვ. 461—462. ლექსები № 113 და 114 ერთ ამბავზეა აგებული. ლექსში გმირი ორ ადგილას (სტრიქ. 13,19) სურხანაურად იწოდება. შევესწორეთ სულხანაურად როგორც არის სტრიქ. 5, 49 და როგორც უწოდებს აკაკი შანიძე, შან., გვ. 461.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

- გამართებ, ჩემო ფანდურო, ახალს ჩავიდებ ლარსაო.
 რას ფიქრობს სულხანაური, რო ბედავს ველობასაო?
 წამეას სამითხოვოდა, ქისტებს მაელებს თვალსაო.
 ანატორაში ჩავიდეს თვალ-შუალამის ხანსაო.
- 5 მავიდეს შატილივები, ჩამოღლაეცდეს ცხვარსაო.
 ნუ იცვამ, ვიგიაშვილო, ქისტების ტალავარასო,
 შახვლებების სულხანაური, გაფერებს ქისტის ყმასაო,
 დაგლიშნებს, არ დაგარიდებს, გაილებს თოფი კმასაო.
 „შვილო, ვინა გკლავს, აბაო, ვინა-რა მხურავს ცასაო?
- 10 მამა-შვილობით ვიყრებით, რას მამობინებ თვალთაო“.
 მემრე მა შატილივებსა ბევრად ვერა ვზღებ ბრალსაო.
 შავიკერენ, სულხანაური, მალლა მთას, დაბლა ბარსაო,
 დაფთოფვენ კისტნის ქალასა მზე-ამადენის ხანსაო.
 თოფ დაგკრეს, მთისა არწივო, შამაიქუქკე მკართაო,
 ვინ-რა მორართმს ამბავსა შენსა დედასა, დათაო?
- 15 ფერ ახკდა, სულხანაური, შენსა სახლსა და კარსაო,
 ციხეს ლამ-კირით ნაგებსა, ქვაზედ ნადებსა ქვასაო.
 აღარ დაუდის სტუმარი დედა-შენს თამიასაო,
 აღარცა მელიციენები მელიცის აფიკარსაო.
- 20 მე წინაუ ვითხარ, სულხანო, ღრიდე სისხლიანს გზასაო.
 ძველთაგან მოდის ანდრეზად: „კოკა ს.რუ არ ზიდს წყალსაო,

წულისა ზიდნაში გატყდების, დევრეკების ქვასაო“.
ქვესურ ლთისიკა გეტანა, ერთ მშაველ გვერდა მკარსაო.

მთქმელი შიშია ქერაული. ჩამწერი გიორგი წერეთელი. 11.VII—
1925 წ. შან., გვ. 462.

115. ახლად მოდის ზაფხული

ჩამწერი გ. თედორაძე. „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“, გვ. 198. გადაბეჭდილია — შან., № 209, გვ. 88. ახლავს აკ. შანიძის განმარტება:

სტრიქ. 61 — გუდელას დამჩა ციხეი — ეს ციხე ახალ-
აგებული ჰქონდა სულხანას. შან., გვ. 462.

116. ბარბაზიბანა ფანდური

მთქმელი შუქია (ნინო) ჰინჭარაული — არაბული — 43 წლის, ხევსურეთი, სოფ. წინხადუ, ჩამწერი ქს. სიხარულიძე, 10.VIII—1946 წ. დაბეჭდილია სახ. მთქმ., გვ. 194. მთქმელის ცნობით ლექსი არის „ნათქვამი ბიძურა მგელაის ლიქოკელის“. აღნიშნა ისიც, რომ ბიძურა მგელა ლიქოკელი „ყოფილა კარგი მოლექსე“. მგელა ლიქოკელისაგან აკაკი შანიძის მიერ 1922 წ. არის ჩაწერილი ლექსი სულხანაურის შესახებ (შან., № 208). აკ. შანიძის მოსაზრებით „მგელა ლიქოკელი უფრო მოამბე უნდა იყოს, ვიდრე მათქვამი“. თუ შუქია ჰინჭარელის მიერ დასახელებული ბიძურა მგელა ლიქოკელი და აკ. შანიძის მიერ გამოკვეყნებული ლექსის მთქმელი მგელა ლიქოკელი ერთი და იგივეა, მაშინ, როგორც ეს აღნიშნული გვაქვს, მგელა ლიქოკელს „სულხანაურის შესახებ შეუქმნია ციკლი ლექსებისა“ (სახ. მთქმ., გვ. 194).

საინტერესოა აკ. შანიძის ცნობა სულხანაურის შესახებ, რომ მას ყველა იცნობდა, ვისაც ბარისახოში მოუხდებოდა მისვლა. შან., გვ. 461

ჩანს სულხანაური სახელმწიფევილი ყოფილა ხევსურეთში, მის შესახებ არსებობს ციკლი ლექსებისა (შან., №№ 208, 209, 264, 538; სახ. მთქმ. გვ. 194, 195). ახლავს განმარტება: სტრიქ. 9 — ბეწიკუა — ჰატარა.

117. აწოში რა აგბავია

მთქმელი შუქია (ნინო) ჰინჭარაული-არაბული. ჩაწერილი წინხადულში, ქს. სიხარულიძის მიერ. 9. VIII — 1946 წ.

ახლავს განმარტებანი: სტრიქონი 11 არშევიანი — თ ო ფ ი. სტრი-
ქონი 12 ხაზინი — ი ა რ ა ლ ი.

საინტერესოა სტრიქონები: 50, 51, 52, როგორც ნიმუში ძველი
საგმირო ლექსის („ისევეც დაიწრდებიან, ალგეთს ლეკვები მგლისანი“)
გადამუშავებისა.

118. ბანალ ღაბალი ვაჟკაცი

მთქმელი ვიგია ჭინჭარაული. ბარისახო. ჩამწერი გიორგი წერეთე-
ლი. 1925 წ. შ.ნ. № 538, გვ. 218—219.

119. ხახაბოს რა ამბავია?

მთქმელი ლ. მინდიკაური. ხახაბო. ჩამწერი ა. ჭინჭარაული. ჭინ.,
გვ. 373. ლექსი ნათქვამია ქისტებთან ბრძოლაში დაღუპულ დედისერ-
ვაა გაგა ბერუაშვილზე. ლექსი თან ერთვის გადმოცემას. გადმოცემას:
ერთვის აგრეთვე გმირის ცოლის ნატირალი:

‘მაკედა, ქვე რაღა ჯარ სიკედილმანო?‘ მე გავზდი მამიდაიშვილსაო;

დადგება შენსა ნადგომირო, აისხამს შენთა იარაღთაო,

დედა ვაცხონე ვაჟისაო შენდა ლიშნისა დამდებისიო.

არ-გასამარჯვებს აჩარელსაო, თოფის ლიშანჩი ამასელიყვაო;

5 ტყვიასა უასაოჭრებელსაო ყაწიში ორივე გუეგლიჭაო...

მაგვწყინდა შენი მალოდინიო, — თოღმ დაიქირა ხიდოტანიო... იქვე, გვ. 372.

120. ბერჩიყმა მბელანის ძოძმე

მთქმელი ბიძურა არაბული. ს. ბადარა (თიანეთის რ.), ჩამწერი
შ. კონსტანტინიდი. ფ. არქ., კ. 21, გვ. 107.

121. შაბილზე

მთქმელი ვიგია ჭინჭარაული, შატილელი. ჩამწერი ალ. ჭინჭარაუ-
ლი. ჭინ., გვ. 378.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

ბოლოში ანატორელთა ჯეპირ გაღმართეს მკედრისაო.

ისტამულ გაუმართებავ ტრიხას ვიორგიშვილსაო.

ცოლ ჩამაუსხამს ტყვიათა. იპედი ხქონდა ქმრისაო...

— მე პარკალ დამამტრევიე, ოთხით დაჰკიდეს ჩიღისაო,

5 შენი ჭირაჰე, ბ-ტონო, შენ ხო აღარა გჰირსაო?

მთქმელი გიგია ჭინჭარაული, შატილელი. ჩამწერი ალ. ჭინჭარაული. კინ., გვ. 378.

122. ჩოხს დაიბადა არწივი

მთქმელი ლევან აფციაური. 42 წლის. წ/კ. მცოდნე. დატირების კარგი შემსრულებელი. სოფლის მოწინავე და ჭკვიანი ადამიანი. სოფ. დუმაცხო. ჩამწერი ელ. ვირსალაძე. 1934 წ. ვირსალ., № 62, გვ. 138.

ქ ა რ თ ლ უ რ ი

ბ

ჩოხს დაიბადა არწივი, ამბობენ ცოტა ხნისასა,
ამზადებს ტყვია-წამალსა, ხანსა არს ცდილობისასა.
ორანი გამოემართნენ ორშაბათს თენებისასა;
ავიდნენ თამარისძესთან, ამბავს მოჰკითხენ მტრისასა.

5 ჩავიდნენ საყორნის ხევსა, სანგალს ივლებენ ქვისასა;
თოფებს ააჩნეს ცეცხლები, წითლად ლებავენ მიწასა.
— კარგი, დაგვეხსენ ბერაო, ბედსა გაფიცებ ღვთისასა!
კომლზე დავიდებთ იჯარას ხარისასა და ცხერისასა! —
არ დაიშალა ბერამა, შურს ეძებს ბიძაშვილთასა.

10 გაგეშოდ მგლისა ჯოგსა ჰგავს, პეროზიის ტყისასა;
აფხუშოუელ ქორსა ჰგავს, შევარდნს მალღის მთისასა.

თექმის ხეობა, სოფ. გოგოთური. ჩამწერი ია კარგარეთელი. სახ. გაზ., № 457, 1911 წ., ვირსალ., გვ. 457. ტექსტში სტრიქ. 3—წერია: „ქნასა არს ცდილობისასა“. იბეჭდება ელ. ვირსალაძის შესწორებით.

ფ შ ა უ რ ი

ბ

ჩოხს დაიბადა არწივი, ამბობენ ცოტა ხნისასა;
ამზადებს ტყვია-წამალსა, ახლა ხანს მოველ ცდისასა.

ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 101. ასეთივეა — ხალხ. სიტყვა, III, № 137, გვ. 68. განსხვავება — უკანასკნელი სტრიქონი: „ე ხ ლ ა ხ ა ნ ს ა რ ი ც დ ი ს ა ს ა“.

ხ ე გ ს უ რ უ ლ ი

დ

- ჩოხს დაიბადა არწივი, ამბობენ ცოტა ხნისასა,
ამზადებს ტყვია-წამალსა: — ეხლა ხანსა ორ ცდისასა!
ბევრი აქვს ტყვია-წამალი, სალალოს წურავს ქვიშასა.
— ერთის დედას კი ვატირებ, ან ჩემს, ან ჩემის მტრისასა!
5 არხოტის ქალას ჩადიან, ვეფხვებ ჩახკვალვენ ქვიშასა.
ჩამწერი ალ. ოჩიაური. ოჩ., გვ. 10.

მ თ ი უ ლ უ რ ი

მ

- ჩ-ხთ დაიბადა არწივი, ამბობენ ცოტა ხნისასა,
ამზადებს ტყვია-წამალსა: — ახლა ხანსა ვარ ცდისასა, —
მეუა თამარიძესა, კილოსა კითხავს მტრისასა.
შამზადენ, გამოემართენ, ბელს ახსენებენ ლეთისასა.
5 ქვენა მთა გადაიარეს, ფერს იღვენებენ მგლისასა,
არხოტის ქალას ჩადიან, ვაჟნი ჩაყარენ ქვიშასა,
ქისტები შამოეყარნენ, სასტუმროს იყვენენ სხვისასა.
დაიცა, ძალოო ქისტებო, შურს ვეძებ ბიძაშვილთასა,
ესროლა ჩოხელთ ბერამა, შუბლს დაკრა, ღებავს კისერსა,
10 ბევრი აქვს ტყვია, წამალი, სალალოს სწურავს ქვიშასა.
კარგი, დაგვეხსენ ბერაო, ამას გვაკმარე ღეთის მადლსა,
დაივსო აკლამეები ნახოცი შენის მკედრისაო,
თუ გინდ იჯარა აიღე ორისა ქალ-ვაჟისასა,
თუ გინდ ბეგარას დავიდებთ სამოცდასამი ცხვრისასა.
15 წაღლიდან სცნობენ ყორნები თოფის ხმას ბერაისასა.
ჩამოდიან და სისხლსა სმენ, მზეს ფიცვენ ბერაისასა.

მკ. მთიულ., გვ. 31—32. ვირსალ., გვ. 456—457. იბეჭდება
მ. ვირსალადის შესწორებით.

გ უ დ ა მ ა ყ რ უ ლ ი

3

- ჩოხში გაჩინდა არწივი, ამბობენ ცოტა ხნისასაო,
არ დადევს საქმე საგონსა, ძალს ჩივის ქისტებისასაო,
ამზადებს ტყვია-წამალსა, ხანს ეხლა მოვე ცდისასაო:
— ბევრი გვაქ ტყვია-წამალი, სალალოს ვწურავთ ქვიშასაო. —

- 5 ადგა და გამაემართა, ბედს ახსენებდა ხთვისასო.
— გამაყევე წმინდა ვიორგი, ხმალსა ნუ მომრევე მტრისასაო. —
ქვენა მთა გადაიარა, ფერ გადიდევნებს მგლისასაო.
მუჟა თამარისძესა, კილოსა ჰკითხავს მტრისასაო:
— ნუ გეჭაფვიონ ბერაო, სისტუმროსა ვართ დისასაო. —
- 10 ორანი ჩამაემართნენ, ორანი თენებნისასა.
არხოტის ჰალას ჩაადიან, ვაყებ ჩალარვენ ქვიშასა.
ტუჟად გაცვივდა თოფები, წითლად შალებენ ქვიშასაო.
ეგ არი ჩოხელთ ბერაი, შურს ეოზს ბაჰაშვილთასაო.
— ბიძაშვილების წაქსხმელსა დედას უტირებ მტერსაო.
- 15 — კარგი, დაცეხსენ ბერაო, აჰას გვაქმარე ხთის მადლსაო.
აიესო აკლამეები, შენი ნახოცი მყედროთაო.
გინდა დავიდებთ ბეგარსა ხარისასა და ცხვრისასა.
ან წელში გადმოგილაღაეთ ქალ-ვაჟთა ჩენი მხრისასაო. —
ბერაი რასმე მოუკლავ, სუ ფასი არაგვისაო,
- 20 უნრობენ ე მაგ გულბათას რისხავმცა მადლი ხთისაო.
— კარგა გაზარდეთ ობოლი, ნუ გამიჭაყრებთ ქვრივისაო.
ხანჯალიც მაგას შარტყით, თუ ფერ აქ ბერაისაო. —
გაახედეთ ბიჭო, რა მოდის, სეტყევა მოვიდა ქვისაო.
ჩოხში უშლია ქვიტყირი, ნაგები ბასრის ქვისაო.
- 25 სახლი ავაგე ხისაო, არ არი ნაფოტისაო,
ზედ ბანი წამოვაფარე, სუ ირმისა და შვლისაო.
ე მაგის გამლექსებელი დიქროს ამბობენ გიესაო,
სალექსოდ გამომიგზავნეთ ნაცორცი ქისტებისაო.

მთქმელი ივანე ირემას ძე ჩოხელი — 85 წლის, წ/კ. მცოდნე-
სოფ. ჩოხი. ჩამწერი თამარ ოქროშიძე. 1950 წ. ვირსალ., № 63, გვ.
138—139. სტრიქ. 11 — დაბეჭდილია — ა რ ხ ო ტ ი ს ჩ ა ლ ა ს. შე-
ვასწორეთ — ა რ ხ ო ტ ი ს ჰ ა ლ ა ს; სტრიქ. 20 — დაბეჭდილია რ ი ს-
ხ ვ ა მ ც ა მ ა დ ლ ი ხ თ ი ს ა ო — შევასწორეთ: — რ ი ს ხ ა ვ მ ც ა
მ ა დ ლ ი ხ თ ი ს ა ო.

გუდამაყრულია აგრეთვე ვარიანტები:

ზ

მთქმელი გიორგი წიკლაური. ს. ზანდუჯი. ჩამწერი ელ. ვირსალა-
ძე. 1934 წ. ვირსალ., გვ. 456.

შ

მთქმელი ეფრემ ჩოხელი. წ. კ. უცოდინარი. ს. ჩოხი. ჩამწერი თა-
მარ ოქროშიძე, 1950 წ. ვირსალ. გვ. 457—458. მთქმელის შენიშვნა:
„ჩვენ ჩოხშია ეგ არის საფერხის ლექსი, სხვას არად დააძინიან, ეგ
ყველთაგან გამოთქმულია“. ვირსალ., 458.

მთქმელი გიორგი ბექაური, წ. კ. უცოდინარი. ს. კიტოხი. ჩამწერი ელ. ვირსალაძე. 1934 წ. ვირსალ., გვ. 457.

მ ო ხ ე უ რ ი

0

- სწოი დაზღილან არწიენი, ამბობენ ცოტა ხნისასა, გაღწეეს ტყვია-წამალი, ეხლა ხანსა ვართ ცდისასა. ქვენა მთას ცხენებ გარეკეს, სიბნელეს ჩვენი მზისასა. ადგება იობიშვილი, პირჯვარს ისახავს ხთისასა.
- 5 არ დაზღევს საქმე საქონსა, ძალს შჩივის ქიშტებისასა, ვამაიშართნეს ქელები, ვეფხვსა შაპგვანან კლდისასა — აქედან მაგიელასა ყმაწვილსა ცოტა ხნისასა. ოთხნი შამახედეს ერთურთსა დილაზე თენებისასა, შახედეს შაენის წვერზედა, შაუად ჩახედეს ქვიშასა.
- 10 გაურეკია ცხენები, ამ ოხერ ქალას ხდისასა; დაქიველა გირგოლაშვილმა, თაექვე ჩაქკოლევს ქვიშასა. თქვენ იყო სუნჯაზე რო მოვკალ, ეხლაც თქვენ გაკუმეეთ მიწასა. წინათით წამოუარეს, საფარს ზებნიან ქვისასა, ეუბნებიან ერთმანეთს, ძრიალ ვიშთხილათ ღთის მადლსა.
- 15 თუ რო მძინარებს მოგვისწრონ, სულ დაგოყრიან მგლისასა. მალე გარეკეს ცხენები, ვადას მასწიეს ხმლისასა. გოგოშვით ლულუშაურნო, თქვენი რა მოგყავთ ღეთის მადლსა. ფიცხად დაუხედა კახელა, გულს არ იცინებს მტრისასა, — რუსულად დასცა ჩახმახი, ღამე ვერ არჩევს ნიშანსა.
- 20 გონაე ბექებჩი დაუკრა, წითლად შალებავს ქვიშასა, სად ქაზღიხოდი რჯულ-ძაღლო, შხეს დაგიბნელებ ცისასა: მოხ., გვ. 116. სათაურად აქვს „მღევარი“.

123. ახიას

ხევსურული. ჩამწერი ალ. ოჩიაური. შან., № 89, გვ. 34. ჩამწერის შენიშვნა: „ეს ლექსი ვითომ ერთს ფშაველს ეთქვას იმავე თამარისძის (იგულისხმება ადრესატი ლექსისა. შან., № 88. ქ. ს.) სიკვდილის გამო, რომელზედაც წინა ნომერშია (შან., 88) საუბარი“. შან., გვ. 393.

124. ბაღურა

მთქმელი ბ. ხორნაული. სოფ. ბაჩალი. 1930 წ. ფშ. ხევს., გვ. 104. ახლავს განმარტება — სტრიქ. 25 — გამკითხველული — მ კ ი თ ხ ა ვ ი. ლექსი უფრო იუმორულია, ვიდრე საგმირო.

ფშავი. ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 29. ლექსი კავკასიელ ტომთა საქართველოში თარეშზეა შექმნილი. შინაარსის მიხედვით ბაადო ბაძიგაშვილი მითხოელებით, ე. ი. ქისტებით, სალაშქროთ მოდის ფშავში. სტრიქ. 6 დაბეჭდილია — წუბროვანს უძე ბინაო, შევასწორეთ წუბროვანს უძე ბინაო.

კ ა ხ უ რ ი

ბ

ბაადოს ბაძიგაშვილსა საქმე არა აქ შინაო,
აარჩევს მითხოელებსა, გამაუძღვება წინაო.
ლეგუას უძილაურსა წუბროვანს უძე ბინაო.
შიგ ცხვარშია აქ სანგალი, თითონაც იქა ძინაო.

- 5 ჭერ შუალამე არ იყო, ბაადომ წამაპკივლაო:
— სადა ხართ, ფშავლის ქალებო, უნდა გაგრეკოთ შინაო.
ლეგუამ წამაუქაღლა თავის ფერლურჯი რკინაო,
ლეგუამ თოფმა დაქეხა, ბაადომ დაიქვილაო.
ეძახის ამხანიგები: — წამოდ ბაადოვ შინაო.
- 10 — ბაადო ველარ წამოვა, დალაღულს დეეძინაო.
— შარშანდებული გეგონა? ლეგუამ ჩაიძინაო.

მთქმელი ფუნჩია ხუციშვილი. თიანეთის რ. სოფ. ომარიანი. ჩამწერი შოთა კონსტანტინიდი, 1961 წ. ფ. არქ., კ. 21, გვ. 74—75.

ბ

სამთავ ბათურაშვილებსა წუბროვან უძეს ბინაო.
ბაადოს ბაძიგაშვილსა საქმე არა აქე შინაო.
დაარჩევს მითხოელებსა, გამაუძღვება წინაო.
— „ფშავლებზე ნახალიზარო!“ — ლეგუას ჩაეცინაო.

- 5 ჩამოჯდა, გამოუმიზნა თავის თმალურჯი რკინაო.
ამხანაგები ეძახდენ, — იარ, ბაადო შინაო,
ბაადო ველარ წამოვა, ბაადომ დაიძინაო.

მთქმელი გ. ოზგაიძე, მაგრანეთი, ჩამწერი გ. არაბული, 1961 წ. ფ. არქ., კ. 27, გვ. 11. სათაურად აქვს „ბაადო ბაძიგაშვილის მოკვლა“. მთქმელის შენიშვნა: „ბათურაშვილებს ცხვარი სდგომიათ საღლაც პანკისის მიდამოებში, თუშს ბაადო ბაძიგაშვილს წამოუხსამს ქისტები და დასცემიან ბათურაშვილებს. მაგრამ თვითონ ბაადო მოუკლავთ“.

ღ

ბაღუსა ბაძიგათასა საქმე არ ხჭონდა შინაო,
აწვედა მითხოვლებსა: „მე გაგიძღვებით წინაო!“
ოროლთა მანურიშვილთა წუბროანს უქეს ბინაო.
არ ქნილა შეუღამეო, კმაწმიდამ დაიკივლაო.

- 5 „შარშანდებულად მაგინდაე!“ — ლეგუამ გაიცინაო.
ქელზეით შამაგობრუნა თავისფერ ლურჯი რკინაო —
არ ვიცი დაგცდა, ბაღუო, არ ვიცი — მაგიწვდინაო.
ექახან ამხანაგები: „ბაღუე, წავიდეთ შინაო!“
ბაღუ შინ ველარ წამაეა, წუბროანს დაღვა ბინაო,
10 თავადაც გვერდი(თ) დაუწვა, მაგარი დაიძინაო.
ლეგუამ გამაიწივა, ვაჟიკამ დაიპირაო:
„ძმამო, ნუ დაეიჯოებით, ცოცხალ წავიდათ შინაო“.

მთქმელი ლ. მინდიკაური. ხახაბო, ჩამწერი ალ. ჭინჭარაული. ჭინ.
გვ. 391. სათაურად აქვს „ბაძიგათ ბაღუ“. ახლავს შენიშვნა. „მშავლებს
მაუკლავ მაშინ ბაღუ“.

ი

ბაადოს ბაძიგაშვილსა, საქმე არა აქ შინაო.
წამოვა, გამოუძღვების მითხოვლებსა წინაო.
ორ ძმათა ბაღურიშვილთა წუბროვანს დადეს ბინაო.
ბაადომ შამოუარა, მწყემსურათ შამუსტვინაო.

- 5 ლეგუამ გამოუბრუნა თეთრის ხირიმის რკინაო.
არ ვიცი მოგხვდა ბაადოვ, არ ვიცი, ვერ გიწვდინაო.
ექახდეს ამხანიგები, — იარ ბაადოვ შინაო.
ბაადო ვიცი არ წამოა, ნაბაკრის პირზე სძინაო.

მთქმელი ბიძურა არაბული. ს. ბადიანი (თიანეთის რ.) — ჩამწერი
შოთა კონსტანტინილი. ფ. არქ., კ. 21, გვ. 106.

126. ბაღურიანნი

მთქმელი გ. ჭინჭარაული. შატილელი. გამარჯვება, ჩამწერი ა. ჭინ-
ჭარაული. ჭინ., გვ. 383. ახლავს შენიშვნა: „ოთხ მაუკლავ მაშინ მის-
ტის წყალზე“. იქვე.

127. წიქია

მთქმელი გ. ჭინჭარაული. შატილელი, გამარჯვება, ჩამწერი ა. ჭინ-
ჭარაული. ჭინ., გვ. 383. ახლავს შენიშვნა: „წიქიას წყალნივ“, რო ვი-
ციოთ, აის წყალან აიმ წიქიასიად დალოცვილი“. იქვე.

მთქმელი გ. ჰინჭარაული. შატილელი, გამარჯვება, ჩამწერი ალ. ჰინჭარაული. ჰინ., გვ. 380. შენიშვნის სახით ერთვის ჩამწერისა და მთქმელის კითხვა-პასუხი: „ვეითამ მტრის გულისან რაად დაკდებოდეს?“ — ვეკითხები მთხრობელს. „ზედ რო ჩავიდოდეს კმლით, სხვა ხალხ იმათ დახკრავდ თოფსა მტრის გულისან დაკდებოდეს, იმით ნათქვამი“ მიპასუხებს იგი (ალ. ჰ.). იქვე.

129. ყანის მოკვლა

მთქმელი გ. ჰინჭარაული, შატილელი. გამარჯვება, ჩამწერი ალ. ჰინჭარაული. ჰინ., გვ. 380. ახლავს შენიშვნა: „ჯალაბაურთასა ბულოურთას მაუკლავ ყანია. ბულოურთის სახელ კი არ ვიცი და ჯალაბაურთა კი წიქა ყოფილ — ეს ახალ, სხვა წიქა ვინამ-ა, ისკი არ-ა კონის-ორწყალჩი რომ მაუკლავ მშავლებს“ — იქვე გვ. 380—381.

130. წიქა და მანგია

მთქმელი გ. ჰინჭარაული. შატილელი. გამარჯვება, ჩამწერი ალ. ჰინ., გვ. 381. ახლავს გადმოცემა: „ბადა — მანაკლავა რო-ა ფიჭვი, აიქ ბადა მაუკლავ კორუათოვლებს ციციქასა' ყანკიას. აიმაზედ მანგიათას წიქასა, მანგიას ყელ მაუჭრავ ჰისტისად კორუათოს. ის ცხვარს სწოლივ ჰავჩია' მიხპარებიანა' მაუჭრივ ყელი. კორუათრელთა' შატილივნებს რო ხქონივ, მაგოდენ შულლ არც ვის ხქონივ ჰისტებს ჩვენთან“. იქვე.

131. ბოსელათ წიქის მკვლა

მთქმელი ლ. მინდიკაური. ხახაბო. ჩამწერი ალ. ჰინჭარაული. ჰინ., გვ. 374. წამძღვარებული აქვს შენიშვნა: „ბოსელათ წიქა მკლავს ჰისტებმ, აიმისად იყვ ნათქვამ სიმღერე“. იქვე.

132. ბაცალგის მკვლა

მთქმელი ლ. მინდიკაური. სოფ. ხახაბო, ჩამწერი ალ. ჰინჭარაული. ჰინ., გვ. 375. ახლავს შენიშვნა: „დიაცისად კელ მაუჭრავ ბაცალგას, როსაც ის ბაცალგა მაუკლავ მიცუელთ, კელ ჯიბაჩი ამასჩენივ დიაცისაი“. იქვე.

მთქმელი შატილელი. გ. ჰინჭარაული. გამარჯვება. ჩამწერი ალ. ჰინჭარაული. ჰინ., გვ. 382. ლექსის რეალური საფუძვლის თვალსაზრისით საინტერესოა მთქმელის მონათხრობი: „მაგათ უშულღავ კოხციტეს. იქ ტყე არ-ა, სოფელი' სრუ. კერნატეს ციხენ შენც იცნი, კოხციტეს გამაქეთიგ რო დგან. იმათ უფიქრავ: „ამ ველჩი ვერცად წაუვალთავ, გამაგვიდგებიანაო' მაკვეწევიანავ, კერნატეს ციხეჩი შავასწრათაო' აიქ გაუმაგრდათავ. წვიმიან ყოფილ მაშინ. გორგის რო თოფ უსრევაგ, დაუქებნებაგ ცასაცა' ერცხვაჩი ვახვეულ ცის ჰეხაი' თოფის კმა. ჰისტებს ვერა გაუგავა' მშვიდობით წამასულან ნია — გორგინ ქვე“ — იქვე, გვ. 382—383.

134. ძირითა

მთქმელი მიხა ჰინჭარაული. შატილი, ჩამწერი აკ. შანიძე, 29. VIII—1913 წ. შან., № 173, გვ. 70. აკ. შანიძის შენიშვნით „ლექსის მთქმელი ძმა ყოფილა წიქასო“. შან., გვ. 436.

ბ

ქაუხით მადის კივილი, სულწუხა ცხვარ წყემსისაო,
„არიქათ, შატილივნებო, ფარა წაღეს ცხვრისაო!“
კვირიკასა და აძიკას, პირზე ოფლ გადაზღისაო
შამაქდეს ჰანის თავსა, ხანა თენეპისაო.

- 5 დააყარიან თოფები, ალ კი ახეიეს პირსაო;
თამარისძეი ხახონი, ვაღმეტდის დაელათითაო.
გამარტუებით ესრია, ქორთუა ქვიშა სთხრისაო,
ქორუათოვლებს მაგწყინდას, ფასი ვაქრობა მკვდრისაო.
არც ქორთო დააყენილით, შაკრული დღე-წერისაო.

მთქმელი ნინო გოგოჭური. სოფ. გამარჯვება. ჩამწერი გ. ხორნაულ-ლი. 1961 წ. ფ. არქ., კ. 17, გვ. 322.

135. ძისტბიგის დასკმა ფშავლებიგის ცხვარეზი ანდარუყოს მეთაურობით

დაბეჭდა „საქართველოში“ (№ 240, 1961 წ.) არხოტიონმა (მ. შამანაურმა). გადაბეჭდილია — შან., № 204, გვ. 84, ახლავს შენიშვნა:

„მისი სიტყვების თანახმად: „ერთხელ ზაფხულში, როდესაც კალოთანის ახლო-მახლო მთებში ფშავლების ცხვარი სძოვდა, კალოთანაში მოვიდა ჰისტების ყაჩაღთა ბრბო, ვინმე ანდარუყოს მეთაურობით, და მოსთხოვა გიორგისა და კვირიკა ჰიბიშაურებს ესწავლებინა მათთვის

ცხვრის ბინა და თითონაც დახმარებიყვნენ ცხვრების მოტაცებაში. მართლაც ქისტებმა ძალად წაიყვანეს ძმანი ქიბიშაურნი საყაჩაღოდ, მაგრამ გზაზედ ძმებმა ჩახოცეს ყაჩაღები, რის შემდეგ მთელი სოფელი იძულებული იყო აყრილიყო თავიანთ ადგილებიდან, მამა-პაპის ადგილისა და ძვლებისათვის თავი დაენებებინათ და ბარად ერჩინათ თავი, რადგანაც დახოცილთა ნათესავეებისაგან სისხლის ძიებისა ეშინოდათ. აი ამ კალოთანის გმირებზედ არის ნათქვამი ორი ლექსი“ (№№ 204, 206). — 1 ბარით) „საქ“-ში დაბეჭდილია: ბარათ; 4 უბეს ჩაიცვა სუდარი) შეცდომაა კორექტურული, „საქართველოდან“ აქ გადმოყოლილი, უნდა: უბეს ჩაიდვა სუდარი.

ლექსის მათქვამი ხატის მსახური ყოფილა: ხუცესი ან დასტური („ბელელს გავაწყვენ ქვანია“). ჭიკვის რქებს რომ ითხოვს სალექსოდ, იგი ბელელზე დასაკრავად უნდა, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა მთაში. ამისი ვარიანტია მომდევნო № 205“. შან., გვ. 458.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

საწყლებო მემცხვარეებო, შუ გიდისთ სისხლის წყალია, ან დაგლევსთ ბარში თათრები, ან მთაში ქისტის ჭარია. გადვა კალოთანასა ახარებაის ცხვარია.

ლილოთ წამავლენ ღილღვლები, აქსენეს თავის ჭვარია.

5 მიუვლენ ანდარუყოსა: „ღიჩიმმ, გავვართვენ გზანია“.

დაჯდა, გაბანდა გულითა ქარის გავაის ჭლანია.

უბეჩი სუდარ ჩაიდვა, ჭალაფთ დასწერა ჭვარია.

შამაქდეს კალოთანასა, წუხრ რო ბნელობის ხანია.

წამაგებნეს ხირსილნი, მარტიას შვილნი, ძმანია.

10 ქისტურად ხკითხეს ამბავი, ერთუცს დაუცეს თვალა.

ხკითხევდა ანდარუყო: „ფშავლებს სად უდგა ცხვარია?“

„ვიდინათ, ანდარუყოო, ჭერ მიგვიდიან გზანია“.

წყაროს სათავეს შამაქდეს, ბევიჩი აქვს საუბარია.

შულამის ხან რო შვილია, ქისტებმ მათაყვეს ჭარია,

15 იწყინა უძილაურმა: „რა ღროს სტუმრობის ხანია?“

გიორგიმ მარტიათამა ძმობილს დახურნა ცანია.

დაგვიკრა ანდარუყოსა, დააგლეჭივნა ყბანია.

ჩამოდიოდა ღვედრაი: „ქიბიშაურ ორ გვარია“.

უბრალოდ არ ჩაითვლება „ობლის ნალესავ ქმალა.

20 სალექსოდ გამამიგზავნენ, გიორგივ, ჭაქვის რქანია,

უნდა დაეკრა ბელელსა, შორის ემბოდან თვალნია.

ავტორი — მოქმელი მინდია წიკლაური. ჩამწერი ერ. ბალიაური. შან., № 205, გვ. 85.

მთქმელი დავით ლიქოკელი. ჩამწერი ვ. ტუქსიშვილი. შან., გვ. 459.

დ

- წამავს ბარით ღილღველი, ეხლა ველობის ხანია,
 მუველენ ანდარუყოსა, დიჩინ გევიკირე მკარია.
 დეემზად ანდარუყოი, იწროდ გაბანდა ჭლანია,
 უბეს ჩაიდვა სუდარი, ჭალაბთ დასწერა ჭვარია.
- 5 მივიდეს კალოთანაში თვალ შუალამის ხანია,
 წამაეგების ხირსილნი შინით ორანი ძმანია.
 ქისტურა ჰკითხეს ამბავი, ერთურთს დაუცეს თვალია,
 ერთოდა ანდარუყოი, ფშავლებს სად უდგა ცხვარია.
 ამაგ შაირის მათქვამმა ბელელს შევასხი ქვანია,
- 10 სალექსო გამამიტანე ტერლელ ჭიკვის რქანია.

მთქმელი გიორგი ოჩიაური (გერგეტელი). ახიელა. ჩამწერი ქს. სი-
 ხარულიძე, 3. VIII—1944 წ. სტრიქ. 2—3. დიჩინ — ყ ა ჩ ა დ ი. სტრიქ.
 6. ხირსილნი — ქ ი ს ტ უ რ ი გ ვ ა რ ი.

ე

- წამავა ბარის ღილღვლები, დიდ უდგას საუბარია,
 მუველენ ანდარუყოსა: დიჩინ, გაგვართვენ გზანია,
 ემზადებ ანდარუყოი, ვიწრო გაბანდა ჭლანია,
 უბეს ჩაიდვა სუდარი, ჭალაფთ დასწერა ჭვარია;
- 5 ამანდით გამეგმართა, გამაუხანდეს გზანია,
 წამაქდეს კალოთანასა თვალ შუალამის ხანია,
 წამეეგებნეს ხირსილნი, მარტიაისშვილნი ძმანია;
 ღილღურა ხკითხეს ამბავი, ერთურის დაუცეს თვალიო.
 მემრ კითხა ანდარუყომა: მშავლებს სად უდგა ცხვარიაო.
- 10 „დაიცა, ანდარუყოო, ბევრნ აღარა გქონ გზანიაო,
 გიორგიმ, ანდარუყოო, ძმობილმ არ დაგენას ცანიაო.
 გეჭურამ, მშავლის გაზდილმა, ბერდენკა ჩაგიწკრიალათ.
 დაგიკრათ ანდარუყოსა, ტარივით დაგიტრიალათ.
 ეგ ლექსი გამაგიგზავნათ, ღული ბაბილის ნიამა,
- 15 ანდარუყოის ხანჭარსა, ტარჩი სპილოსან ხკრიანა,
 ეეგენ გამამიგზავნენ, ქევსურებს ჩაუპრიალა,
 შორა სიარულ არ მინდა სრუ ჩვენ ჰალაზე ხკრიანა,
 ზოგან ადგილს მეკიდებიან, ზოგან ტყეჩი შამადიანა.

მთქმელი ტ. ჭინჭარაული. გამარჯვება, ჩამწერი გ. ხორნაული —
 1961 წ. ფ. არქ., კ. 17, გვ. 323.

ჩამწერი არხოტიონი (მ. შამანაური) დაბეჭდილია (საქართვე. 1916, № 240). შან. № 206. ახლავს ჩამწერის შენიშვნა-განმარტებანი: 3 კრაველან — „გიორგი და კვირიკას ხუტუქი, კრაველივით თმა ჰქონიათ და ეძახდნენ „კრაველიანს“ (არხ); 4 ოქში წინ, ოქში უკენა — საქ-ში დაბეჭდილია: ოხშამი წინ, ოხშამი უკან (შეიძლებოდა ასეც შეგვესწორებინა: ოქშამთ წინ, ოქშამთ უკენა, როგორც ვარიანტშია); 15 კარნი უღელში ღბიანა („იგულისხმებიან კვირიკა და გიორგი“. აკ. შანიძის შენიშვნა: „ლექის ტექნიკის თვალსაზრისით საუკეთესოდ გამართული ნაწარმოებია“. გასწორდეს ბეჭდვის შეცდომა: 12 (ჩვენი დაყოფით 23. ქ. ს.) მგელაი უნდა მგელაოს. შან., გვ. 460.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

მტკმელი სიმონ გაბური. ჩამწერი აკ. შანიძე, 3.V—1931 წ. ახლავს აკ. შანიძის შენიშვნა: „სიმონ გაბურის სიტყვით, გიორგის ჯავრი სჭირდა ქისტებისა: გიორგის ქისტური კარგად სცოდნია და შეეტყო გამოკითხვით, რომ მის ბიძაშვილისთვის, მგელასთვის, თოფი ანდარუყოს დაეკრა, რის გამოც მგელას ხელი ჰქონდა გაფუჭებული. ამ მგელაის თოფი ჰქონოდა თან იმ დროს გიორგის, როცა ქისტები ფშავლის ბინაზე მოსულან, ვითომ ცხვრის საყიდლად, მაგრამ ნამდვილად თითქო დასაცემად“. შან., გვ. 460.

ბ

- ცდა უნდა აეგითასა, რო კრავლიანნი ცდიანო!
 ოქშამთ წინ, ოქშამთ უკენა საბაკეს სისხლით სვრიანო.
 გიორგიმ კრავლიანათამ აღარა დააგვიანო,
 დაგვიკრა ანდარუყოსა, ტარივით აატრიალო.
- 5 უყურეთ ფშავლის გაზღილსა: ბერდენკა შააწკრიალო,
 დაგვიკრა ანდარუყოსა, ტარივით აატრიალო.
 ერთი ნასარგევით ოროლნი ჭაით დაკვრიტნა ტყვიამა?
 აეგ ლექსი გამაგიგზავნათ ღუღით ბაბილის ნიამა.
 სალექსოდ შევხლის ხანჯარი, ქვესურებს ჩაუპრიალა.

ჩამწერი აბიკა. შან., გვ. 460—461.

ღ

ცდა უნდა ა ეგეთასა კრავლიანან რო სცდიანა,
 ოქშამთ წინ, ოქშამთ უკენა საბაკეს სისხლით სვრიანა.
 გიორგიმ კრავლიანათამ ბევრ აღარ დააგვიანა,
 ოროლნ დასტატნა ერთ სხვასა, როგორ დაკვრიტნა ტყვიამა.

- 5 უყურეთ ფშავლის ჯღუგასა, ბერდენკა ჩაძვრილა,
დაგვიკრა ანდარუყოსა, ტარიეთ დაატრიალა.
ფარეშაისად ამბობენ, შვილის საქველად იარა,
შვილს ნულარ ეძებ, ფარეშო, თვალებ დასთხარა კვიამა,
კალოთანაში მარხავის, ზე ქვიშან ქანოიანა.
- 10 ეგ ლექსი გამოგიგზავნა ღულით ბაბილის ნიამა,
გამამიგზავნეთ ხანჯარი, ქვესურებს დაუპრიალა,
შორა სიარულ არ მინდა, სრუ ჩვენ კალაზე დიანა.

მთქმელი სოფ. ღულის მცხოვრები ნია ქისტაური. სოფ. ხორნა-
ულთა. 1946 წ. ფშ. ხეცს., გვ. 109.

2

მთქმელი გიგუა არაბული. სოფ. თრანი (თიანეთის რ.) ჩამწერი —
შოთა კონსტანტინიდი. 1961 წ. ფ. არქ., კ. 21, გვ. 64.

ფ შ ა უ რ ი

3

- ქისტეთით ქისტებ წამოვლენ, საგძალ ჩაიდევს ზიარა,
გადმოვლენ საფშავლოშია, საქურდნელადა დიანა.
კალოთანაის კორქჩია ფშავლის ბინაზე პყრიანა.
ქისტმა თქვა ანდარუყამა: „ცხვარს უნდა დაეურიალა“.
- 5 გიორგიმ კრავლიანათამ აღარა დაუგვიანა,
ორ ქისტ გაკვრიტა ქელადა ერთხელ ნასროლმა ტყვიამა.
ჯღუგამაც უძილაურმა პატრონა ჩააწყრიალა.
თოფ დაჰკრა ანდარუყასა, წალმ-უკულმ დაატრიალა.
ზოგთა თქვეს: „ზოგში ჩაეყარნეთ, ზოგნი მიწასა, სთხრიანა“.
- 10 ზოგნი ფულს ანგარიშობენ, ზოგნი იარალსა პყრიანა.

—

ეგ ლექსი გამოგიგზავნათ ღულით ბაბილის ნიამა.
თქვენგან ქისტების დაქოცა, ღმერთმა იცოდას, შიამა.
ერთ ხანჯარ გამოგიგზავნეთ, რო ქისტებ დაეზიანა.
აე-ჩაესა მუასწრობ, ჩვენის კალისას დიანა.

მთქმელი ხვთისო ქისტაური, მალაროს — კარი. ჩამწერი აკ. შანი-
ძე 3. X 1913. — შან., გვ. 461. აკ. შანიძის შენიშვნა: „8 დაჰკრა—მოამ-
ბემ უფრო ასე გამოთქვა: დაჰკრა“. სტრიქ. 13 დაბეჭდილია და ვ ა ზ ი ნ ა,
შევასწორეთ — და ვ ა ზ ი ა ნ ა.

ხევისურეთი. ჩამწერი ც. ელო რაზიკაშვილი. შან., № 150, გვ. 60. ჩამწერის განმარტება: სტრიქ. 22 — არ მწაის თავისისაო — „ქება არ მწადიან ჩემი ნათესავისაო“. შან., გვ. 423.

138. აპარეპა

ხევისურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 145, გვ. 58, ლექსი წარმოშობით ახალი არ უნდა იყოს. მასში გადმოცემული ამბავი ეხება იმ დროს, როდესაც შატილში ქისტები სახლობდნენ.

139. გუროვლავი

მთქმელი აღუდა ხირჩლასძე ზვიადაური. სოფ. არდოტი. ჩამწერი ნ. ურბნელი. ივ., № 264, 1887 წ., — შან., № 128. გვ. 48. ხელნაწერს სათაურად აქვს „მეკობრობაზედ“. ხელნაწ. ინსტ. A — 5293, გვ. 38. ჩამწერის შენიშვნები: სტრიქ. 32. — „ძმას ზევით ომობდისაო — „მოკლულ ძმაზედ თოფი გასდო, ძმა არ დაკურწონო, სირცხვილი იყო აკურწვა, მამაცობა ჩაიღინა“. სტრიქ. 36—ზ დ ვ ა—დიდი ომი იყოვო“; სტრიქ. 52. ანდე — ა ზ რ ი, გ ა გ ე ბ ა. ამ ამბავზე როგორც მომდევნო ნომრებიდან ჩანს, ლექსების ციკლია შექმნილი.

140. აკნახ აყუფდის ყორნები

ხევისურეთი. ჩამწერი ალ. ოჩიაური. შან., № 129, გვ. 48—49.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

აკნახ აყუფდა ყვარანი: „ხანია ველობისაო“

ველობა გაუბედავა ულაკაურიშვილთაო.

მაუვლენ აპარეკასა „მჭერელ სხვა არ გვინდ მკრისაო“:

ბოსოხ ჭიღის-ყურს ჩაუსხდეს, ცას მასკვლავ გადადისაო,

5 ელიან გათენებასა, ბოსოხ გამასელას ცხვრისაო.

მაუვა კაის მაქმელი — ალი ახვიეს პირსაო.

ჭიღნ გადაყარნეს წყალჩიგა, — იმედ აქვ მდიდრის ტყისაო.

მაგათ ის არ მალგონდება, ქისტებს მცურავ ხეყ წყლისაო.

ქისტები ტიტველეები წყალს ცურვით გამადისაო.

10 თოფი ზოლიგას დაუკრეს, მუქლი მასტხეს მგლისაო.

ანდრეზად არ მადიოდა საყუჩად დება ძმისაო.

ყელ-ქრელი იღუაისა მზის-პირს უკმობდა ჩდილსაო:
„ხოლიგაისადამც იქნებვი! „(ცოცხალი, ყურთ მიზღისაო!)“

- 15 „შინ წეედ, აპარეკაო, წასვლა წესია მთლისაო,
მე ვერ გავსწირავ ხოლიგას ძნელი გაწირვა ძმისაო
უამბიდ ჩვენსა დედასა ჩვენი ბოსოხვლთ ცდისაო.
ბებერი ჩვენი დედი ბუქნას გაღმართებს, ლხინსაო“...

მთქმელი: გ. ჭინჭარაული. სოფ. გამარჯვება, ჩამწერი ა. ჭინჭარაული. ჭინ., გვ. 393. მთქმელს ერთად ჩაუწერიანებია ციკლი ლექსებისა და გადმოცემათა ულაკაურზე. გადმოცემები საინტერესოა ლექსების რეალური საფუძვლის შესასწავლად. იქვ., გვ. 392—393.

141. ბუროვლავი სამეპოზროლ

მთქმელი კირჩლა წიკლაური, ს. გარბანი, ჩამწერი აკ. შანიძე. 21. VII. 1911. შან. № 249, გვ. 112. ახლავს შენიშვნა: — „დათ თუ ვინ გააგებინებს“ — პირველად დამიწერია: დათ ვინ გააგებინებს? — ნაჰაპან — მოსალოდნელია: ნაჰაპანს, ან ნაჰაპანთ.

ეს ლექსი იმავე საგანს შეეხება, რასაც №№ 128, 129. შან., გვ. 480. აკ. შანიძის მითითებული ნომრები ისე მსგავსია შინაარსით, რომ შეიძლება ისინი ვარიანტებადაც იქნას მიჩნეული.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

ამბავ რა იქნა გუროსა, წყრომა რა იღვა ხთისაო?
ჩამოდის წვრილი მასკელავი, მთვარე შავს იქნევს პირსაო:
ველობა გაუბედავის, ულუკაურის შვილთაო.

მიუვლენ აპარეკასა: „ადე, გავვიძებ მზირთაო!“

- 5 გაუძღვა აპარეკაი, მართევი შავარდნისაი,
გადაავლივა ჭალაი, ჭავრი აქვ ქისტებისაო.
დაბრიყვებულა წყემსები, ცხვარი გამოდის ჩრდილსაო.
თოფი ხკრეს, შიგ შეარჩიეს, მანძილა დასცეს ტყისაო.
ცოცხალა მამას შესწირეს: „ბანდა უნდა ჯღისაო“.
- 10 მომცდარან სიყმაწვილითა: კიდი მოშალეს წყლისაო.
წყალსა გამოვა თორმეტი ნარჩევის მითხოვლისაო.
სათოფრად ეეკიდიან (ერთურთს), ძალი აქსენეს ხთისაო.
წინ-წინ ხოლიგას დაგვიკრეს, მუკლი მოსტეხეს მგლისაო.
ყელ-ქრელი იღუამისა ნელ-ნელა გამოდისაო.
- 15 ბებერი აქვ ტყვია-წაშალი, სატოლ აღარ აქვ კლდისაო.
ეგ უფრო საკვირველია: საყუჩად დება ძმისაო
„შინ წაედ, აპარეკაო, შინ წასვლა წესი მთლისაო.

წად, წაიღე ამბავი, ჩენი-დ' ქისტების ცდისაო.
უამბე ჩენსა დელასა, ბერია-დ' იქამს ლხინსაო.
20 დათ ვინად გაგვიგებებს, ნაჰან დაიქრან თმისაო?"

მთქმელი — ვაჟიკა არაბული — ივერია 1900, № 12 — შან., გვ. 480—481.

ბ

შან., გვ. 481. ახლავს შენიშვნა: „აქ საკუთრადღებოა ხმარება ზედ-მეტი მარცვლებისა და გლოსებისა, რომლებიც კავებშია ჩასმული. ფრჩხილებში კი ჩამწერის დაკლებული ასოებია ჩემ მიერ დართული. ამით მთლად მაინც არ გაიმართა ლექსი. სამაგიეროდ სხვა ჩამწერის კალმის ქვეშ ან სხვა მოამბის პირში ეს ლექსიც გაიმართება, როგორც კოდალი“. იქვე.

დ

ჩამწერი ალ. ოჩიაური, ოჩ., გვ. 30.

142. ულააკაურის უზილნი

მთქმელი გ. ჭინჭარაული. შათილი. ჩამწერი ა. ჭინჭარაული. ჭინ.. გვ. 392. ახლავს გადმოცემები. იქვე, გვ. 392—394.

143. სანარის ლელეს ჩამოდის

მთქმელი გ. გოგოჭური. თეთრწყლები, ჩამწერი შ. კოსტანტინიდი. ფ. არქ. კ. 15, გვ. 214. მეთორმეტე სტრიქონიდან წაბმულია სხვა ლექსი.

144. მითხოვლების დასხმა არდოტლის ცხვარზე

ხევესურეთი. ჩამწერი ბეს. გაბური. შან., № 130, გვ. 49. ტექსტს ახლავს შენიშვნა: „ბესარიონის ცნობით ქისტები, ციკქათ ძოძის მეთაურობით, სალაშქროდ წამოსულან არდოტში. არდოტის ხორხში რომ გადმოსულან, უნახავთ ფარა ცხვისა და კარ-ცხენი. მწყემსები ჯამრული და ლაგაზიშვილი, წინააღმდეგობის გაწევის გამო, დაუხოცავთ (სხვა მწყემსები ბავშვები იყვნენ) და გაურეკავთ ცხვარ-საქონი და კარ-ცხენი. გამტყდარა ხმა და დასდევნებია მღვეარი, რომელთა შორისაც ყოფილან ძმები ივანე და ხოლიგა. მიჰმველებიათ აგრეთვე სანადიროდ წასული ძმები, სისკარას შვილები, რომელთაც თოფის ხმა

გაეგონათ, და ამგვარად ქისტები დაუმარცხებიათ. — 26—27 (ჩვენი დაყოფით 51—54. ქ. ს.) მოგიცდათ არდოტლებო... ნუ სწირავთ თოფიარაღსა... „მაშინ მეკარავნებებს, როცა ჯოგი გაშალეს, თოფები ქოხებში მათწირათ, ჯამრულს და ლაგაზიშვილს. ქისტები, ანუ მითხოვლები თუმც დაამარცხეს, მაგრამ სიმღერის მთქმელმა ისევ საყვედური მისცა, ფარეხებში თოფები რად დასტოვესო“. ბეს. გაბური“, შან., გვ. 411.

ბ

- არდოტ მავიდა ლაშქარი, გადმაჯდა არიშკისასა.
მალულს ბახაოს ამბობენ, მუშასა არდოტლისასა
ამბობენ აბრუნებასა კარავნისასა, ტყვისასა.
ბრაღია, მურღეანისძეო, ბეჟნი რო მისცნა ქვიშასა,
5 არ გესხას იარაღები, არ გახედავდა ლიშანსა.
— ნუ მახკლავთ ლაგაზისშვილსა, ლეკვსა მაგ ბებრის მგლისასა.
ღედა ვაცხოვნე ვაჟისი ხახიათ ყმაწვილისაო:
ხახაბოთ გამაქეუელი დაქუახ 'შამაქდისაო.
შაუკრა გადასავალი, ნება: არ აძლევს გზისასა.
10 ივანე უთურგათი უტყუარს ხედავს ლიშანსა:
დაგიკრათ ციქათ ძომისა, ნათოსს დაისრეგს ყბისასა.
შიგ ჩამარევას ამბობენ გიორგიტ ჯამრულისასა,
ამბობენ გამარჩევასა კარავნისასა. ტყვისასა.

მთქმელი ლ. მინდიკაური. ხახაბო. ჩამწერი ალ. ჭინჭარაული. ჭინ., გვ. 376. ერთვის გადმოცემას. რომლის სათაურია „არდოტის დალაშქრა“ — იქვე, გვ. 375—376.

145. ნანნიათ ოსინიშირაი

ხეგსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან. № 187, გვ. 78.

ბ

- მანგიათ სვილის ფერაო, გამოსეარდი ბანზედა.
არც იცი დიდურობაი, არც აკვლთ იური მჭარზედა.
არც იტომ ახალ-ახლებსა, დაისარტყლები ტყავზედა.
წამავა მეძაუგეი, აუღვა მზირი გზაზედა.
5 გამეტდა ამხანიგებსა, ქისტი დახყულა თავზედა.

ხეგსურეთი. ჩამწერი ბაბო არაბული. შან., გვ. 454. ტექსტს ახლავს აკ. შანიძის შენიშვნა: „ვილამაც (აღარ მახსოვს ვინ) ეს ლექსი დაუკავშირა წ ვ რ ი ლ ა წ ი კ ლ ა უ რ ს, რომელიც მსოფლიო ომის

ღროს მოკლეს ავსტრიის ფრონტზე: წ ვ რ ი ლ ა ს ნათქვამიაო“. შან.,
გვ. 454.

146. ღილღვლები ღსსხმ ლაზაზინამ ცხვარისა ღა კაროვანხა

ხეესურეთი. ჩამწერი თეღო რაზიკაშვილი. შან., № 139. გვ. 55.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

ღილღვლები ყრიდეს ლაშქარსა, ჩვენ ვერ გავიგეთ რაზეღა,
ღამინობს არხოტობასა, გავიდეს არხოტის მთაზეღა.
გამაიშალა ცხვარ-წყემსი, მზე რო მავიღა ცაზეღა.
ნახევარ ცხვარ-წყემსს ღაეცა, ნახევარ-ქაროვანზეღა.

5 ისინ ღაქოცეს წყემსები, ვინც რო შაუღღა ძალზეღა,
კეკით ღა გონებით აჯობეს, ვინც რო გაუღღეს განზეღა.
არხოტს ღაიწყეს ძახილი: „მოგვეშვეღენით ხანზეღა!“
აჩქარაღა არხოტიენები, ერთმანერთს უძახს ძალზეღა.
ოროღ პირ მასრებ აისხეს, თოფებ უხარისთ მქარზეღა.

10 არხოტის ქალას მღევარი ერთმანერთს სწირავს გზაზეღა.
თავ-კანი მამინ ვიცენით, მეწვერენ ვნახენ მთაზეღა.
თავ-კან პირღაპირ წავიღღეს, სხვანი უგზოსა სხვაზეღა.
ამთაეც კარგა აქერტეს, რო გღაღასწერეს მთაზეღა.
ჩვენ მთაზეღ აღარ აგვიშვეს, მეწვერენ ღაღღეს ძალზეღა.

15 ღასქღღეს, ღაქურღღეს სტამბოღნი, ვერ გასღღეს კირიღღესთანა.
მაქარნი ტყვიას აღარ უტევენ, მაქარნ ღაქურღღეს თან-თანა.
სიათან ღაქავრებღღნი სქეხღღინ ამაყ კმაზეღა.
თან-თან ღაფიცღღეს კირიღღნი, კვამღს იხვევღღინ თავზეღა.
ჩარმა რამღღენიც გავარღღის, ღახუღღის მკვღარი თავზეღა.

20 ხუთი-ექვს ჩვენაც მოგვიკლეს, მკვღარ შავგვიყარეს მკვღარზეღა.
მეწვერენ გავათავენით, ჩვენაც შავქეღღით მთაზეღა.
ახღა ღიღღღოსკე ჩავხენეთ, კმაღნ ეღვენ ღიღღღვის წყაღზეღა.
გამოღღის წყაღი წითელი, წყაღმ ქეზირი ქნის წყღღისაო.
ახღამ შუქიღღურმა გაქეღღულს გაასწვრისაო.

25 კმღით სევე, ჩაახვეია, წინავ ეგრ უქნავ სხვისაო.
ორნი წყაღ-ღა-წყაღ ღაგვექენეს, ცურვა სეღღინყეღათ წყღღისაო.
ვეღარ მისწონეს ქეესურთა, წონა არ ქონღათ წყღღისაო.
თოფიც ესრევეს ზევრია, ვერ მამბემღღეს პირსაო.
მაღღა შამოკღენ მთაზეღა, აზქარ ასწორეს მტრისაო.

30 თოფ გაასწორეს ღიღღვეღღით, კაც-კაცაღ ოთხ-ოთხ გაერგისაო.
„ხანზეღ ვერ მოგვეშვეღენით“, ჩვენ არ გვიღღებენ წიღღისაო.
ჩქარა ვერ მივეშვეღენით, — მანძიღ ღიღ გვეკონღა გზისაო.

ჩამწერი თ. რაზიკაშვილი, შან., გვ. 417. აკ. შანიძე შენიშნავს: „სათურად ამისთვის თ. რაზიკაშვილს გაუკეთებია: „თარეში“. ტექსტს ახლავს ზოგი სტრიქონის განმარტებანი, რაც ჩამწერს ეკუთვნის. იქვე.

147. ქისტების ლაშქარ იურების

მთქმელი გ. გიგაური. თიანეთი, ჩამწერი ნ. სახელაშვილი. 1961 წ. ფ. არქ., კ. 28, გვ. 108.

148. წითილათანა

ხეცსურეთი. ჩამწერი ბეს. გაბური. შან., № 247. გვ. 111.

ხ ე ც ს უ რ უ ლ ი

ბ

არხოტის ქალა გათესა ქისტიშვილების მკედრითათ.
ბარაქალ, არხოტიენებო! ქელ-უკულმ დახკვლენ კმლითათ.

ჩამწერი აკ. შანიძე. შან., გვ. 480.

149. ჯაბირი წყალზე

მთქმელი ხეცსურის ქალი მზექალა. ჩამწერი ბეს. გაბური. შან., № 248, გვ. 111—112.

150. დავნაბრი დავაღმბას

ფშავი. ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 71. ასახულია ბრძოლა ქისტებსა და ფშაველებს შორის იმ დროს, როდესაც შატბერდი ქისტები ცხოვრობდნენ.

151. გუგუა წამარაშლი

მთქმელი გიორგი ჭამარაშვილი, ხევი. 1881 წ. უმიკ., გვ. 55, № 56.

152. უკვენა ფშაველთ შვილებსა

ფშავი. ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 77. ასეთივე ს. ითიურიძის თქმით სოფ. ზემო ალვანში ვ. ბუთლიაშვილის ჩაწერილი ტექსტი. ლიტმუზ. 20006-ბ. ყ. 329. გვ. 31.

უკვენა ფშაველთ ბიჭებსა ცხვარ უღდა ბორბლის ძირსაო.

ქელსარკიანებ დადიან, დილდილ იბანენ პირსაო.

თავთავის კირჩხა უსკუევის, თავთავის ბინის პირსაო,

ზედ უკიდავის თოფები, საპირისწამლე რქისაო.

- 5 აურიან სეტყუასავითა, ბეჭედში გაუდისაო.

ქისტეთში დანავარდობენ, ყამი არა აქე მტრისაო.

ცხვარ-ძროხას ერეკებიან თავთავის მწყემსებითაო,

ქისტების მოლოდინი აქე, შაკვერა იციან გზისაო.

მეგრელამ მეგრელათამა ქელნ უკვენ გაუქრისაო.

- 10 მაპგვარის ლაშარელასა, სამანზე დაუბისაო.

ხევისბრებ ამწყალობენებენ, მულამც ქელგემართვისთაო.

მთქმელი დ. თვარელაშვილი. სოფ. შუათხო. 1946 წ. ფშ. ხევს., გვ. 92. სათაურად აქვს „მეგრელათ მეგრელა“. ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 3. კირჩხა — კ ა პ ი ა ნ ი ბ ო ძ ი, თ ო ფ ი ს დ ა ს ა კ ი დ ი; სტრიქ. 5. ბეჭედში — ნ ი შ ა ნ შ ი; სტრიქ. 89. მეგრელა — კ ა ც ი ს ს ა ხ ე ლ ი.

153. ბუბაის შვილი

მთქმელი შოთა ხორნაული. სოფ. კაწალხევში. 1946 წ. ფშ.-ხევს. გვ. 90. ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 2 — ქუჯექათ — მალაროსკარ-ში მცხოვრებლებია; სტრიქ. 8 — გაგა ხორნაული.

154. გოგოლაურთ ლაშქრობა

მთქმელი საღირ ნადირაშვილი 86 წლის. ჩაწერილი 1940 წ. ფშ. ხევს., გვ. 107.

155. ლომ-ხუზაურნი

მთქმელი თევდორე გედეხაური. სოფ. შუათხო, 1946 წ. ფშ.-ხევს., გვ. 88. ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 54 — ისრით მიუყერებია კედელ-ზე მკვდრები, სტრიქ. 57 — თქმულებით დის თმები რომ არ ამოსჩენოდა, გაუშვებდნენო.

156. ფილი

ჩაწერილი ხევში. მოხ., გვ. 108.

მთქმელი მარო ლომნიას ას. წიკლაური-ქენქაძე. ფშავი, სოფ. მა-
ღაროსკარი. ნათ., გვ. 10, № 8.

ფ შ ა უ რ ი

ბ

- დილა ნუმც გათენებულა ორშაბათ საწყინარაა,
სამშაბათს გაღმულახავ ჩვენის სამშობლოს მთანია.
მაცნე მოვიდა ბაჩალსა, — ქისტებმ გარეყეს ცხვარია.
დაერჩევიან ბაჩლითა ოთხნი ვეფხევიით ძმანია,
- 5 სულ წინ მოვიდა თეფანო, შავარდენივით ჩქარია,
მის შემდეგ კამიაური, მძიმედა როგორც ხარია.
მას უკან მოვა მკედლური, უბერავს როგორც ქარია.
ბოლოს მოვიდა ბერიძე შვიდი წლის ნაჩობნარია.
შემოხდნენ მთაწმინდაზედა, მთათ შემოაღლეს თვალთა,
- 10 ერთმანეთს ეუბნებოდნენ: — არ გაუღლევავ კვალთა.
— აგერ გახედეთ ბიჭებო, ფადლაურაზე ცხვარია,
სანგრებს დაუწყეს კეთება, მოკლედ შევეუკრათ გზანთა,
ჩავხოცოთ ქისტის შვილები, მკვდარზე შევეყაროთ მკვდარია.
მოდინ ქისტის შვილები, ჩუმი აქვთ საუბარია.
- 15 გაუქეჩებენ ვაცები, ზარებს მოაქეის ჩქამია.
— საღ მიხვალ ვაცო ტიალო, ხვარ აგერივინ გზანთა.
მოარტყეს ქისტის ბელადსა, ეხლა გარეყე ცხვარია.
დაუთავზშირეს რჯულძაღლთა, რომ ნახეს თავის მკვდარია.
შუაში შემოიყარეს, როგორც ფარებში ცხვარია.
- 20 რას იზმენ ორი-სამანი, ეს ამოდენა ჯარია.
ახალის ღელეს ომია, ძირსა წვიმს, მალა ღარია.
მთან შვილებნენ წითლად, ცას არ გავარდა ნამთა,
ჯლუგასა ახალურსა ნუმცა ჰყოლია ცხვარია,
სულ მაგათაგან დაბრუნდა ამდენი ცოდვა-ბრალთა.
- 25 საწყალ ღელ-მამა დასტოვეს, გუთანში შემბულ ხარია,
მამულე დასახნავები, ნახნავებ დასათარია.
ე მაგ ლექსაის მოთქვამი, სოფელ ყვარაში მდგარია.
სახელად მქვია გიორგი, გობრეშვილი ვარ გვარია.

მთქმელი გობრეშვილი გიორგი. ჩამწერი სიკო თურმანაული. ლიტ.
მუზ. 20021—ხ. ყ—332, გვ. 12, ყდა დათარიღებულია XII—1934 წ.
სტრიქ. 3 — განმარტება — ბაჩალი — ა დ გ ი ლ ის ს ა ხ ე ლ ი ა. სა-
თაურად აქვს „ჯლუგაის ლექსი“. იგივე ტექსტი მანქანაზე ნაბეჭდი. იხ.
ლიტ. მუზ. 20053—ხ. ყ—338, გვ. 24.

მთქმელი გიორგი ნაბიჯაშვილი, სიმონიანთხევი. ჩამწერი თამარ გოგოჭური, 10. VI—1961. ფ. არქ. კ. 29. გვ. 201—202.

თ უ შ რ ი

ღ

- პირველად ღმერთი ვახსენოთ, ის უფრო დიდებულია, მემრედ ლაშარის ჯვარი, ფშავლების სახვეწარია.
- ამბობენ ქისტის შვილებსა, მითხოს ივსება ჯარია, ემზადებიან ივრისკენ, უნდა ავილოთ ფშავია.
- 5 ორშაბათ გადმოუმტვრევევ ჩვენი სამშობლოს კარია, ახალაურსა ჯლუგასა ნურცა ყოლია ცხვარია. მაგის ცხვრისაგან დაბრუნდა ამტვენი ცოლო-ბრალია, სამშაბათ დილა გათენდა, სამშაბათ საწყინარია. შაიყრებიან ბაჩლენი
- 10 წინ მიუძღვებათ თეიფან, შვიდი წლის ნაჩობნარია. თანაც მისდევდა მკედლური, ქორ-შავარდენი ჩქარია, უკან მისდევდა მკედლური, მძიმედა როგორც ხარია. შამოხვდენ მთაწმიდაზედა, მთებს შამაივლეს თვალა. ერთმანეთს ეუბნებიან, არ გადუტანო რვალია.
- 15 სანგლებს კეთება დაუწყეს, საც ვიწრო გასავალია. ჯერ სადილობა არ იყო, გადმოჩნდა ვაცის რქანია. გადმაყვინენ ქისტის შვილები, ჩუმი აქვთ საუბარია. გულს მოსულს ფშავლის შვილებსა კბილი კბილს გააქვს ჩქამა. თოფი ჰკრეს ქისტის ბელადსა, ეხლა გარეკე ცხვარია.
- 20 დაათავსირეს რჯულძალთა, რო ნახეს თავის მკვდარია. შამოგვიყარეს გზაშია, ჩაგვხოცეს ბატკნეზივითა. მცა რად არ ჩამოიქცევი, ზედ მოგველება ბარია. ჩქავანით მიდის ჩვენ სისხლი, მიწაზე როგორც ღვარია.

ჩამწერი გ. ჯიმშიტაშვილი. სოფ. ჩაბანო. ლიტ. მუხ. 20018—6, ყ — 331, გვ. 35. ყდა დათარიღებული XI—1934 წ.

158. მაცხვარის ლეჟნი

გულამაყარი. ჩამწერი ნიკო სიჯინაშვილი. ნათ., № 3, გვ. 5.

159. ჯარებით მოღის ქისტობი

მოყვანილია ვაჟა-ფშაველას წერილში „თიანური ფელეტონი“, ტ. V, გვ. 171.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

ჯარეგით ქისტებ წამებულენ, საგზალ ჩაიდევს ზიარი;
ზენამქრით ცხენებ წაასხეს, ეგონათ ოქერ-ტიალი.
არაგვის ქალას ჩამოქდეს, ღამეა, განა დღე არი?
ნუ წახვალთ ქაქმატისასა, გზაში ვეფხვი წვეს ბწკლიანი.

- 5 სად მიხვალ, ქისტის გოგოო? ჩოქ-პერანგ მოგჩეს ტიალი.
ველ-კეთილს შემოგეწევათ, თოფ-ჩახმასს გააქე წკრიალი.
თოფი ხკრა ამიშვილსა, სისხლმა გაიღო ჩქრიალი.
აბულეთ ქაქმატიონო, მუღამამცა ხარ კმინი!
მუღამამც გაგეშარჯეება, მუღამამცა ხარ კმლიანი!
- 10 სასამართლონი წადგება ე ღვთისგან ნაწილიანი,
რა რიგა შამობრუნდება მარცხენა მკარზე ჯვრიანი!

ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 213, გვ. 91. ჩამწერის გან-
მარტება: სტრიქ. 5. სად მიხვალ ქისტის გოგოო — „აქ ქისტს ეძახის
გოგოს“. შან., გვ. 466. სათაურად აქვს „ცხენების წასხმა ზენა-მკრი-
დან“, იქვე, გვ. 91.

160. შავაღლი ბირელოს

ხევისურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 149, გვ. 60.

ფ შ ა უ რ ი

ბ

შაგროვდა ბოროლაზედა ჩარმა-სიათის ჯარია,
სალაშქროს ქალას ჩაგროვდეს, არ გასწვდა წვიმის ცვარია.
გაქანდეს ტერელოსაჲ, ცისა შაბერტყეს ნამია,
დაგლიჯეს ბაჲის კარები, აქ შაუყრავის ცხვარია.

- 5 აყრიან სეტყვასავითა, ტყვიას არ მიაქე ძალია.
გორს იქი-აქათა გორავს ტერელოვლების მკედარია.
ნუ დაიკენენებთ ფშავლებო, ეგ ლაშარის ჯვრის ძალია.

მთქმელი შ. ხახონაშვილი. სოფ. გოგოლაურთა. 1940 წ. ფშ. ხევის.,
გვ. 118. სათაურად აქვს „ლაშარის ჯვრის ძალი“.

ბ

ქალი მოიდა ცხრის წლისა — ეგ თამარ დედუფალივ,
ქელში, უქირავს ლურჯაი, ფეკს უქრავ ოქროს ნალივ,

წელში ატანავ მათრაქი, ვაშალა, შვიდი მკარიავე,
შემოუარა საყმესა: — ყველამ ვალესეთ ქშალია!

- 5 ვინც არ ვალესა, ვადახკრა, იმის ნაცემი მწარეა.
ორშაბათ დილა ჩამოდგა, როგორც ნაგუბარ წყალია.
შეორე დილა გაიძრა, ღმერთო, დასწერე ჭვარია!
ჩავიდნეს ტერელოშია, ციხეს აულეს კარია,
შიგითა გამორეკესა ბევრი ცხვარი და კარია.
- 10 შემოდგებ წვერის ძირშია, როგორც ნაგუბარ წყალია.
უკვენ გამოხყვა მდევარი, ნარჩევი ქისტის ყმანია.
იგრე აყრიან ტყვიასა, როგორც რო ქარიშხალია.
ყველაყვი იმას ხკვირობდა, ტყვიას ვერ მოხქონდ ძალია.
— არ დლიყვებოთ, ფშავლებო, ჩვენიც არ იყო ბრალიავ,
15 თან გტანავთ ლაშარელაყვი, ბელის გიქროლავთ ქარიავე,
— წვერის ძირ შემიყიდონა ჩემი პატარა ზარიავე,
ტელი ხკრან, კმაიდ გაილოს, აქადს გავიდეს კმაიავე!
ემავის მომლექებელი აღვანს თუშის ქალ ვარიავე,
სალექსოდ გამომიგზავნეთ ქისტური თეთრი ცხვარიავე.

უთურგ., გვ. 141. სათაურად აქვს „ფშავლები“.

დ

მთქმელი ფუნჩია ხუციშვილი. სოფ. ომარიანი (თიანეთის რ.) ჩამ-
წერი შოთა კონსტანტიდი. 1961 წ. ფ. არქ., კ. 21, გვ. 79—81.

161. ძისტათით ძისტავ წამავლენ

ხეცსურეთი. ჩამწერი აბიკა შან., № 214, გვ. 92. აკ. შანიძეს ამის
ვარიანტად მიაჩნია ლექსი „ჯარეგით ქისტებ წამავლენ“ (შან., № 213).
აკ. შანიძეს მოყავს ამ ლექსის გამო ბერდია ალუდაურის მიერ 27.IV—
1931 წ. ნათქვამი: „... მაშინ ქისტს მარჯვენა ხელი რომ მოსჭრესო (მა-
ჯაში იყო მოჭრილიო), იგი აბულეთის ქვიტკირს ეკრაო და ორი-სამი
წლის წინად ჩამოვარდაო“. შან., გვ. 466.

ფ შ ა უ რ ი

ბ

- ქისტეთით ქისტებ წამოვლენ, უნდა წავიდეთ ფშავშია,
ან უნდა ცხენებ ვიპაროთ, ან ცხვარ ვარჩიოთ ცხვარშია.
არაგვზე ჩამოდიოდნენ, მივდივართ სავართალშია,
ეგ გულარახი დ' ბუქალო სულ ულაყვებით სავსეა.
5 ქისტმა თქვა: ცხენის პატრონი ერთ-კი ხაიბარ კაცია,
იმას რომ სახლშია ძინავს, ორ წელში უზის გზაშია.

- თოფი ჰკრა წინ-წინ მოსულსა, გაახვია ცეცხლის ალშია.
ქისტებს ისე ხდის ტყვიად, როგორც ხორბალი ცხვარშია.
- 10 ისე ცხენებ გაგარეკინო, დამსოდით დიაცთ ჭარშია.
ისე აბრუნებს ქისტებსა, როგორც ხორბალი ცხვარშია.
ხმა გატყდა ზენა ლიქოკსა, გზა შეკრეს ასავეალშია,
მოაგვევლებენ თოფებსა, თითო ვაჟკაცის ფასია.
შორით უდებენ ნიშანსა, ახლოთ გადააქვს თავშია.
ზენაით ჩამოაგორეს, ქვემოთ ჩამარხეს ლაფშია.
- 15 ერთ მაინც კიდევ გაუშვათ, მათ თავის ქვეყანაშია.
გადიტანეს ამბავი დაგვხოცნეს ქურდობაშია.
ემაგის მალექსებელი ყიზილაი ვარ ფშავშია,
სალექსოდ გამომიგზავნეთ კაბალახის ყასია.
ვიყიდო კაბალახი, გადავიყიდო მხარშია.

ჩამწერი უგუნურაშვილი. ლიტ. მუხ. 20075-ს. ყ. 342, გვ. 22.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

- ჭარგვით ქისტებ წამაველენ, ე რო ძიდიან მშავჩია.
ქისტმ უთხრა: „ცხენის პატრონი, ვიცნობ, ზაიზარ კაცია“.
ის კი არ იცის საწყალმა, მშაველ ჩაუჭდა გზაჩია.
შაუკრა მალალ-სახვევი ორწყალჩი, ასაველჩია.
- 5 კმა გატყდა ზენას ლიქოკა გძელ-სადილობის ხანჯია,
ჩამანათეს ჭირიმთა, თითო ვაჟკაცის ფასია...
ქისტებს მიზდიოდ ტყვიად, ვგრ რო ხორბალი ცხვარჩია.
ჩამიტანნეს მდაბლადა, ქალას დაღმარხნეს ლამჩია.
„ერთ კიდევ გაუტიათ-თქვეს — იმ თავის ქვეყანაჩია,
- 10 კარგა უამბას ამბავი: დაგვლიენეს ქურდობაჩია...“
ციხეგორობა მგულავის, ვიკაფაეებ ჭვარჩია;
მშაველს მაქვ ყაბალახი გადახატული მქარჩია.

მთქმელი: მ. ჭინჭარაული. შატილი. ჩამწერი ა. ჭინჭარაული. ჭინ., გვ. 415. სათაურად აქვს: „ქურდების დახოცა“.

დ

მთქმელი: არაბული მარიამ დავითის ასული. პალდო — ჩამწერი უ. ცინდელიანი, 1. VI — 1961 წ. ფ. არქ., კ. 2, გვ. 231.

162. პირობის შმპვრა

მთქმელი ბადია ბალიაური. ხევისურეთი. ჩამწერი ნ. ურბნელი. ივ., № 41, გვ. 74. შან., № 179, გვ. 74, ახლავს ჩამწერის განმარტებანი:
22. ქართული ხალხური პოეზია, ტ. II. ნაკვეთი 2

სტრიქ. 6 — ჰედებ დროშაზე ხყარიან — „დროშაზედ დაჰედგა ფი-
ცია“, სტრიქ. 10 — გარმააბიან — „გაამწკრივესო“, შან., გვ. 441.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

ამას წინ ფშაველ-ჰევსურთა ლაშარს პირობა ჰნიანა:
„ნუ უღალატებთ ერთურთსა“! დროშებზედ ჰედებს ჰყარიანა.
შატილში ჩამასულიყვენენ, ამის ძირს მითხო ჰჰვიანა.
„შენთან მოვდივართ სტუმრადა, მითომ მითხოსა გთჰვიანა?“

- 5 ცხვარანი სად გიდგან, ლადუმავ? საბაკეს გიჰებდიანა.
ყმაწვილებ დაპარულიყვენენ, ჰოხს რაით დაგიშლიანა.
შენთა საწოლთა, ლადუმავ, ჩარდახთით გადმოჰყარიანა.
ცხვარანი წავისხნეს, ლადუმო, მითხოს თავს შაძაბიანა.
რად არ გაჰყეები მდევრადა? მთას რაით გადაჰყარიანა.
- 10 შატილში გადმოსულიყვენენ, აღლუმ-აღლუმად ჰყარიანა.
ჰადაგსა და მედროშავეს სამეტოს აძლევდიანა.

გიორგი ლეონიძის კრებულიდან. შან., გვ. 441—442.

ბ

ამას წინ ფშაველ-ჰევსურთა, ლაშარს პირობა ჰნიანა.
ერთმანეთს ნუ უღალატებთ, დროშაზე ჰედებს ჰყარიანა.
ლაშქარს ჩავიდეს შატილა, ამის ძირს მითხო ჰჰვიანა.
კარზე ლადუმას მიუდგეს, — ლადუმავ მითხოს გთჰვიანა.

- 5 ცხვარი სად გიდგას, ლადუმო, სამფარა მთაში თჰვიანა,
დაპარულიყვენეს ახლები, ჰოხ-ფარებს ჩავიშლიანა.
შენთა საწოლთა ლოგინთა ჩარდახთით გადმოჰყარიანა.
ცხვარი წავისხეს, ლადუმავ, მითხოს თავს შაძაბიანა.
რადარ გაჰყეები მდევრადა, მთას რაით გადაჰყარიანა.
- 10 შატილის ჰალას ჩაღლაღვენ, აღლუმ-აღლუმად ჰყარიანა,
ჰადაგსად-მედროშავეს სამეტოს აძლევდიანა.

მთქმელი ნ. ლიქოკელი. სოფ. აკუშო — 1935 წ., ფშ. ხეცს., გვ.
119. სათაურად აქვს „ღადუმის დალაშქერა“. ცნობილია სხვა ხეცსუ-
რული ვარიანტები:

ღ

მთქმელი ყუდა ჰინჰარაული. ჩამწერი აკ. შანიძე. 17. VIII—1913
წ. შან., № 200, გვ. 83.

ჩამწერი შ. ბეწუკლიშვილი. შან., გვ. 442.

163. ძისტაბჷ წაბჷნსხჷს ხარეზი

მთქმელი ბ. ქერაული. ხადუ (ხევესურეთი) 1945 წ. ხთ. ბ. ხორნაულისაგან, ფშ. ხევეს., გვ. 95. განმარტება — სტრიქ. 26 — სასალი — ტანწვრილი.

164. ლილღოს წამავლენ ძისტაბჷ

მთქმელი ლაგაზა ბიჭიას ძე ზაიელი, 17 წლის. უსწავლია მეოთხე კლასამდე. უკანა ხადუს მცხოვრები. ჩაწერილი ბარისახოში ქს. სიხარულიძის მიერ. 31.VIII—1946. სტრიქ. 3. ტანიის დეღე — სოფ. ხადუს მარჯვნივ ქისტეთისაკენ გადასავალი. ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 18 — ბუსნა-გაუტეხელი კორდი. სტრიქ. 47 — ჩხუტი — ლუდის ქურჭელი.

ბ

ღილღოთ წამოვა ქისტები, ამბობენ ქურდობისასა.

ტანიის დეღეს შამაქდეს სანგალ ივლევენ ქვისასა, შამავლენ კარავანზედა ნეტა არჩევენ ვისასა, არჩევენ, გამარჩევენ კმელათ გაგაის ნისლასა,
5 ამაგას არ სჯერდებიან, ორს დაატანენ სხვისასა, ამანლით მაიქცევიან, ჩამაივლიან ტყისასა.

შამაქდეს ხოჭაგურასა ნაქნავებს სასვილისასა.

კარის იარალ დაგეპარეს, რა კარგა კრიდა გიშლოსა,

დაგეპარეს საულღეები დასაბანდავად ჭლნისადა,

10 თან გააყოლეს ნაბადი შიგ გასახვევლად მკვდრისადა.

ზაიელთო უულაკო, ახლოს არა ხარ ჭკვისასა,

თავო შინ გამაქცეულხარ, ბებერთ იქ სწირავ ბიძასა.

ამანდი გარმამფრინდალი კვალ შავხდი კარებისასა,

კმა უკენ კადუს გასტეხე, დილა ამავს მზისასა,

15 აჩქარდეს კადუელები, ლემადესა ჰგავ ცისასა,

საჩქაროდ მოგეწევიანთ, ხანს არ დაღევენ ცდისასა,

შუღლი ქნას საქრის მალალა ჩამატეხას ჰგავ ცისასა,

ერთ გეტანავ კინჰარაული, ჭილაგს არ ჰკარგავს ცდისასა,

საჩქაროდ შამეზიდა, ჩახმახ მააქდა ფიცარსა,

20 — თოფო ორადამც გასტყდები, თავს რაად მადებ მტრისასა,

ამბობენ სოფლად საჩულსა ამავის მალექსისასა;

თავს მამკედარს არ დაეინანებ, ჩხუტს დამილოცვენ რელისასა.

მთქმელი: თ. წიკლაური. არხილოსკალო. ჩამწერი გ. შეთეკაური 1962 წ. ფ. არქ., კ. 111, გვ. 1.

ხევსურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 212, გვ. 91.

166. ღაპვიჟას ცხენის მოპარვა

ხევსურეთი. ჩამწერი ს. გაბური. შან., № 203, გვ. 84, ახლავს ჩამწერის მონათხრობი რასაც მნიშვნელობა აქვს ლექსის შექმნის რეალური საფუძვლის დასადგენად: „ეს არის იმაზე, რო ქისტებს ქურობის დროს დახვდეს გზაში და დაქოცეს ორი კაცი, ქისტი, იმ ბაბუხურის შვილმა თათარამ და მეორე მეზობელმა ბაბუა ბეჟიტაშვილმა (ახლა ისეები ორივე მკვდარია). ბაბუა ბეჟიტას ძე წიკლაური გადაიცვალა, იქნება 30 წელი. თათარა ბუბუხურის ძე კოლიკაური ანუ წიკლაური გადაიცვალა 1917 წელს, ხეყანდა მას მაკლული ქისტი 4—5 კაცი“ — შან., გვ. 458.

167. სამითხროდ აპირებან ბალაშპრებას

მთქმელი ბადია ბალიაური. ჩამწერი ნ. ურბნელი. ივ., № 90, 1891; შან., № 178, გვ. 74.

168. ბარღანიკრიფნას ღრუბელნი

ხევსურეთი. ჩამწერი ბაბო არაბული. შან., № 165, გვ. 66. აკ. შანიძის აზრით ლექსის ავტორი იყოს გრანჯა წიკლაური. შან., გვ. 428.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

- რას ხფიქრობთ, ბერდიშვილებო? ველად გავიდა თხანია.
გადაიკრიფნეს ღრუბელნი, დადგა სიწმიდის დარია,
ამზადეთ ტყვია-წაშალი, მაგრა გაბანდეთ ჭლანია.
გადავიარათ ბისნაი, ჩორეხს დაეავლათ თვალთ.
- 5 სრუყველა კარგად გავიგათ, ქისტებს სად უდგა ცხვარია.
ეხლადაც თუ ვერას ვიქამთ, გავეციინებენ სხვანია.
ბისნის წვერ ქვიშის ლოგინი მესამ-მეოთხედ ვთხარეა.
სამ დღე ალაგზე დავლიეთ, წყლისა ვერ ვნახეთ ცვარია.
გვეიმედების წვრილაი მანგიათ ალვის ტანია,
- 10 თვალს უცემს წელზე ნარტყამი აბოინაის ჯარია,
ჩორეხის ჩდილში ჩავედით, წუხრა ბნელობის ხანია.
ნუმც გაუზდიორ დედასა, თუ შეგარჩინათ ვალიაი

ქიჟულამ გვითხრა: „დახკარით, არ დაგვედების ბრალია“.

ჯერ არ ას გათენებული, აქუხდეს ბერდენჯანია.

- 15 თავის ფარების კარზედა ორ ქისტ გავწირეთ მკედარია.
აიქისაკე გავსწიეთ, საცა თოვლიან მთანია.
გამაგვიდგების მღევარი, ვეღარ მაქელეს კვალია.

მთქმელი გრანჯა წიკლაური. ჩამწერი ერასტი ბალიაური. სტრიქ.
5 დაბეჭდილია კ ა რ ვ ა დ, შევასწორეთ, კ ა რ გ ა დ. შან., გვ. 428—429.

3

გადაიკრიფნეს ღრუბელნი, დარჩა სიწმიდის დარია.

რას ხეიქრობთ ბერდისშვილებო? — გვაქვს შური საძებარია.

გადაწვიო ტყვია-წამალი, ბისნას დაეველაო თვალისა.

ბისნის წვერ ქვიშის ლოგინო, მეორ-მესამედ გთხარია.

- 5 ეხლადაც რო ვერაი ვქნათ, გაგვიცინებენ სხვანია.

გვეიმედება წვრილაი, უშიშათ ალვის ტანია.

თვალს უცემს წელთად ნახვევი აბონიანის ჯარია.

შულამის დრო რო მავიდა, თოფს ება წვერშიგ ალია.

გამაგვიდგება მღევარი, რახან მოქელან კვალია.

- 10 ჩვენ აიქისკე წავედით, საცა თოვლიან მთანია.

წავედათ სულშივ, ვიჩიელათ: ბისნას დაგვიცენა ცანია.

შაწუხდენ მაგათ ღედები, ტირიან როგორც ცანია,

წვიმას დაშლიდა ჰაერი, მერე მაგათი თვალისა.

მთქმელი აბიკა. შან., გვ. 429. აკ. შანიძისთვის გადაუცია ერ. ბა-
ლიაურს. იქვე, გვ. 673.

169. ხუთშაბათ ქისტებ გადმოვლენ

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, № 87, გვ. 106.

170. უხათუა დაცემა

მთქმელი გუდანელი წიქა ჯინჯარაული. ხახმატი. ჩამწერი აკ. შანი-
ძე, 22.VIII—1913 წ. — შან., № 171, გვ. 70.

171. აჰორაღლისა მთაზედა

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, გვ. 65—66.

172. მთა გაშრა

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, გვ. 70.

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუჭურაული. თაყ., I, გვ. 70—71. ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 3 — ქოსა, მეშველ — კაცის სახელები. სტრიქ. 5. აქვარი — სოფელი.

174. გუროვლება შატილივენაღა

მთქმელი ლაგაზა ზაიელი — სოფ. უკანა ხადუდან. ჩამწერილი ხევისურეთში ქს. სიხარულიძის მიერ. 5. VIII — 1946 წ. სტრიქ. 15, საწდელი — ლუდის ქვაბი.

175. ქისტების ლაშქრობა არხოტზე

ავტორ-მთქმელი თარფა ბალიაური, ხევისურეთი, ჩამწერი ალექსი ოჩიაური. შან., № 135, გვ. 52. საგმირო ლექსის წარმოშობის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ტექტისადმი შენიშვნის სახით დართული გადმოცემა. იგი არკვევს ლექსის რეალურ საფუძველს: „აქ აწერილი ამბავი მომხმდარა შემოდგომაზე, ენკენისთვეში, როცა უმეტესობა არხოტელებისა სამგზავროდ ყოფილა ტფილისში, კავკაეში თუ სხვაგან (ერბოების გასასყიდად და თავისთვის რისიმე საყიდლად). გამოწვეული ყოფილა იმით, რომ ამლელებს ქისტების ცხვარი გადმოერეკათ, (და, როგორც ამ ლექსიდან ჩანს, მწყემსიც მოეკლათ) იმაზე წინად და ქისტებს სამაგიეროს გადახდა მოენდომებიათ. რომ უფრო აღვილად გაეტანათ თავისი, ქისტებს თავისი თავი მთავრობის ხალხად გამოუცხადებიათ და ასე მოტყუებით შესულან სოფლებში; ჭიმლაში, ახიელში და ამლაში, დაუტყვევებიათ ხალხი, გაურეკიათ თავისი ცხვარი, მიუყოლებიათ არხოტელების საქონელი და ნივთებიც (ფარდაგები, ვერცხლეულობა და სხ.), ამლას მოუკლავთ ოთხი პირი (ორი კაცი და ორი ქალი) და წასულან, მაგრამ ნამდვილ მთავრობას, სასწრაფოდ მიღებული ენერგიული ზომების წყალობით, მშვიდობიანობა მალე აღუდგენია“. შან., გვ. 415—416. ახლავს აგრეთვე ტესტტუალური შენიშვნა:

სტრიქ. 11. ერავენლები, ე. ი. ერანელები (ხალხური როსტომიანიდან), იგულისხმება ჭიმდელები, რომლებიც არხოტის სათავეში არიან“. იქვე.

176. შალვათ ხახონი

მთქმელი მინდია ქისტაური. თვალისი. ჩამწერი აკ. შანიძე. 11.VIII — 1913. შან., № 111. გვ. 43—44. ახლავს განმარტება: სტრიქ. 14 —

ნიავე უქრის მთისაო — ე. ი. შიშის გამო ცახცახებენო.
იქვე, გვ. 407. იქვეა შენიშვნა: სტრიქ. 19-ის ვარიანტის გამო: შინ
ველარ წახოლ ცოცხალი — ქისტო, დასჩები გზა-
შია.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

- ქადუელ-ბაალიგველები არ იძინებენ ძილსაო,
მიუვლენ შალვათ ხახონსა, შენავ გაგვიძელ მზირსაო.
გამოუძღვების ხახონი, არ მახკიდებდა ძილსაო,
დღეს გაავლებდა, ღამესა, სწავლა არ უნდა გზისაო.
- 5 საგათენებო ჩაუსხამს ტერელოს წვერის ძირსაო,
დაახლიან თოფები, მემრ დეერიენეს კმლითაო.
ტერელოს ქალას მდინარე წყალი სუ წითლად დისაო,
წამაიტანეს ნადავლი, დაბრუნდეს მშვიდობითაო,
იციან ბაცილიგველთა კარგა კმარება კმლისაო.
- 10 დაბრუნდეს ნასახლარნი, გაღმაელა ღუღლავ მთისაო,
წამაიტანეს ხურჯინი სავსეი ხელებითაო.
ციხის კუთხეზე მიაკრეს, ნაწვეთი ჩამსდისაო,
საკარგუმოს ულოცევდიან, ვინაც რო ირჯებისაო,
ვაუების ნაქნარ სახელი შვილი-შვილ დარჩებისაო. —

მთქმელი გიორგი ბექაური. ქორუბანი, ჩამწერი უ. ცინდელიანი,
13.VI—1961 წ. ფ. არქ., კ. 3, გვ. 497.

ბ

ქადუელ-ბაალიგველნი არ იძინებენ ძილსაო,
მიუვლენ შალვად ხახონსა, ადგვ, გაგვიძელ მზირთაო —
გაუძღვათ შალვათ ხახონი ქვესურთ შვილების მზირსაო,
საგათენებოდ ჩაუსხნა ჩიქნათეს წვერის ძირსაო.

მთქმელი ლავანა ზაიელი. სოფ. უკანა ხადუს მცხოვრები.
ჩაწერილი ბარისახოში ქს. სიხარულიძის მიერ, 31.VII—1946 წ.
მთქმელის ცნობით ამ სიმღერეს მღერიან ხატობაში. მთქმელის
განმარტება: სტრიქ. 8. 4 — ჩიქნათე — ქისტების მთა.

177. შალვათ ღაბერდა ხახონი

ხევსურეთი, ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 112, გვ. 44.
ტექსტს ახლავს თედო რაზიკაშვილის შენიშვნა: „ეს შალვა ხახონი
ნი გათქმული ქვესური ყოფილა, 19 ქისტის მომკვლელი. ამისი კმა-

ლი დღესაც წმინდათ მიაჩნიათ. კეცესურებმა მითხრეს „ნაწილ — დავ-
ლათიანიაო“. მელოგინეს თუ გაუქირდა, ჩაპრეცხვენ ხახონის კმალს.
დაალენებენ მელოგინეს, უეკველად უშველისო“. შან., გვ. 407.

178. აბა გიგაური

ხეცსურეთი. ჩამწერი აბა გიგაური. შან., № 216, გვ. 93, აკ. შანიძე
შენიშნავს: „მათქვამი ამ ლექსისა ო მ ა ყოფილა, როგორც ჩართულია
ბოლოში“. შან., გვ. 466. აკ. შანიძეს აღნიშნული აქვს კონტამინაციის
მოვლენები: სტრიქ. 47—48. „თორმეტ პატრონა დაუწვავ, ას კიდევ
ჩქონდა სრულია“ თავისი რითმით არ უდგება დანარჩენებს, იგი შემ-
დგომი ნომრიდან (შან., № 217, 49), უნდა იყოს გადმოსული“. შან., გვ.
466. მითითებულია აგრეთვე კონტამინაციის მეორე მაგალითზე. იქვე.

ხ ე ც ს უ რ უ ლ ი

ბ

ცხენის მკამლებსა ქისტებსა ქურდობაზედ აქვ გულია.

თიანეთ ჩამაეიდოდეს, ცხენების პარვა ღგულია.

ნაჩლიკ გამასერნავდა, მკართ პალტო-წამასხმულია,

იმ დროს მსახურებმ იძახეს: „ცხენებიც დაკარგულია“.

5 გაგაურს დაიბარებენ, მდევრობა იცის მგლურია.

„მტრისად მიყოლა, ბატონო, ადვილი სამსახურია“.

ქელად აისხა აბჯარი, ლურჯა დგას შაკახმულია.

კვირობენ თიანელები: „სადისკენ მამზადღულია?

მაგვდენ პატრონა რად უნდა? სრუ მირგვლივ გადასხმულია“.

10 მშავის კალაზედ შამაჩნდა ლურჯა კულ-შანასკულია.

მუჯავერდების პატრონი, გზანი ხქონ გაწაფულნია.

კვალს იძევს გაბოროტვილი, სპიქა აქვ განათულია.

შამაეჯარა ორ-წყალსა, სისკარიც გამამბულია.

„გათენდი, — ამბობს, — ოქერო, აგებ გაიკსნას გულია“.

15 მეორე გამაიცივალა წითლად დაკვართულია.

გაქურდა, თან-თან გამალდა, მათრაცზე ხქონდა ყურია.

ა ბეჩავ დედის გაზდილო, რა ფიქრებს მისცა გულია!

„ჩვენებ სტრაცნიკებ ჩაქოცეს, სამეზარი მაქვ შური!!

ღალატით ვქოცა ქისტები, ეგ რალა ვაშკაცურია?“

20 შორიდან ნახა ქურდები, კალაში ჩამასულია.

„აჲ, ნუ მიზლით, ეძახდა, თქვენთან შულლობა მგულთან.

ერთჰანეს სროლა დაუწყეს, საყუჩში ჩასაფრულნია,

ჰაშინავ დააყირავა. წაწყმდას ქისტების რჯელია!

თორმეტ პატრონა დაუწვავ, ას კიდევ ხქონდა სრულია.

25 შენზე წინ კაც კი ვერ წავა, რკინისა გიძეს გულია.

მთქმელი ბეს. გაბური, ჩამწერი აბა გიგაური, შან., № 217, გვ. 94.

- ქისტებსა მამამაღლებსა რა ცუდ რაიმ აქვ რჯულია!
სრუ ქურდობისას გონობენ, კაცმ რომ დაუგდას ყურია.
წამველენ საარაგეოდა, ცხენის მოპარვა სწყურია.
ჩაეს ჩაზვერეს სავალი, აქვ კარვად ჩასაზრულია.
- 5 ჩაივდეს თიანეთშია, ქამეს სტუმრულად პურია.
მანდით გარეკეს ცხენები, მითხომი ჩასვლა ღველია.
ნაჩალნიკ კარზე სერნაობს, მკართ შინელ-წამასხმულია.
იმ დროს იძახა მსახურმა: „ცხენები დაკარგულია“.
ნაჩალნიკ აბას იბარებს — მღვერობა იცის მგლურია.
- 10 „ადგე, გაუდე ქისტებსა, გზა იცი მაგნებურია“.
აბეჩავე, აფშინაშვილი! აჩქარდა, უცემს გულია.
წვეა რად უნდა სხვისაგან? სრუ ომის მონატურია.
„მტრისად გაყოლა, ბატონო, ეგ ადვილ სამსახურია“.
მზადდების, ისხამს აბჯარსა, ლერჯა დგას შაკაზმულია,
- 15 ამბობენ თიანელეზა: „საისკე მამზადულია?
რად აქვის პატრონტაშები მქარ-ილიე გადაცმულია?“
ლერჯა არაგვზე შამარბის, აქვ ძუა შანასკულია.
მუჯაერდების მკედარი, მტრის ჭაგრით გაბასრულია.
მამინჯავს ქურდების კვალსა, აქვ ლამაზ განთებულია.
- 20 შამაგათავა, არაგვო, ცისპირიც შამამრულია,
საგათენებო ვარსკვლავი გორის პირ ამასულია,
დაუგზავნავის სხივები ჰაერში დაქსაქსულია.
გადაიარა ბორბალი. პერანგზე დასარტულელია,
ყინვარა წყალზე ჩავიდა, ლამი ჩანს ჩაკვალულია.
- 25 შორითავ ნახა ლილველი, ცხენ მიხყავ მაპარულია
ბარაქალ, აფშინაშვილი! რა ფიქრებს მისცა გულია!
„ღალატით მოვკლა ლილველი. — ფიქრობს, — რა ვაშაკურია?“
უძახა: „ქისტო, ნუ მიხოლ, მე შენთან მუღლი მწყურია.
მე-ღ' შენ სწორ-და-სწორ ვიშულღათ, ღმერთი ვაქსენათ, რჯულია“,
- 30 თავს ადგა მონა ავდარი, ცით სეტყვა ჩამასულია,
თოფის კმა, ქეხა-ქუხილი ერთუცზე გადაბმულია,
ქისტო, დაგაწყდა ტყვიანი, გაგინათოზა ტეინია.
სანამდი დაეფშენიტების, დახკრა მეორე სულია.
პირ-ჩალმ დაიწვეს ლილველი, ახლა წყლის შასმა სწყურია.
- 35 ვეღარც წყალს დასწვდა დაქრილა, იწვეს და ხტდების სულია.
ბარაქალ, აფშინაშვილი! რკინის გდებოვა გულია!
ვაქამ ქნას ყველამ აეგრა, ვინც ომის მოყვარულია!
სალექსოდ არაკიანი ბათლაი შანახულია.
გიბარა ბესარიონმა ქარ-ბუქში გამათქმულია.

ჩამწერი ბეს. გაბურთი. შან., გვ. 466—467. აკ. შანიძეს მოყავს ტექსტზე მინაწერი: „ჩაგვირილა ბალახურისძე გაბურთი. ნათქვამი 1913 წელს, ვსწერ 1927 წელს, 25 დეკემბერს“. შან., გვ. 466. ჩაგვირილა ბეს. გაბურთის თიკუნია. ნ. შან., გვ. 675.

- ქისტეთით ქისტებ წამოვლენ, სტუმრულად ჰამეს პურია.
ჩამოვლენ თიანეთშია, მაგათ ქურდობა ღგულია.
ამ დროს იძახეს მსახურთა: „ცბენია დაკარგულია“.
ნაჩალიკ გამოსეგარნავდა, მკართ პალტო-წამოსხმულია.
- 5 ნაჩალიკმ აბას უბძანა: „იმედი მქონდა შენია.
აბავ, შახკაზზე ლურჯაი, ზე შაჯედ ქორის ფერია“.
აბამ შახკაზმა ლურჯაი, ზე თაოდ შეჯდა მგელია.
გახკვირდეს თიანელები: „საისკე მომზადებულია?
მაგთვენ პატრონა რად უნდა მკარ-ილლივ გადასხმულია?“
- 10 ქისტებს გამუდგა კვალზედა, გზავრობა იცის მგლურია.
მინათებდა ლამფასა, ზე ლამე დახვდა ბნელია.
მოვა, მოფიქრობს გულშივა: „ვია, თუ ვერა ვქენია!“
გათენებისას დაწირნა ფშავ-ქვესურეთის ტყენია.
დარჩა და დარჩა ლურჯაი, თორმეტ თუმნიან ცბენია.
- 15 არ დამჩა, ჩემო ლურჯაო, ბევრჯელ გაქმიე ქერია“.
მინც დარჩომას აპირებს, აღარ ას გადამცვლელია.
ცხენ რომენმ გამაუცვალე, რა კა სიკეთე ხქენია!
გადაიარა ბორბალი, ცხენ არ ას დასაქერია.
ქცეულად ჩამაუბრუნდა, ჩამაათავა ცერია.
- 20 დილღეღესა ორ-წყალაშივა მონა დაეცა ფერია.
ნახა, დახკიელა აბამა: — ძაღლო, გაწირე ცბენია!“
პირდაპირ ომი მოუქდა, საყუჩად ექნეს კლდენია.
თოფის ქმა, ეღვა-ქუხილი აღარ ას გასაყრელია.
დილღეღელი პირ-სისხლიანი გზავრობას დასცდა მგელია.
- 25 თაოდ დაბრუნდა არწივი, შამაიჭუქქნა თბენია.
მავას, მაგონობს გულშივა: „მაქე გილდი დასათვლელია.
თორმეტ იმისად მისრევაე, ას კიდეე დანარჩენია“.
ბლოელო, აფშინას შვილო, დედა ვაცხონე შენია!
ლექს კი ვერ გითხარ საფერი, შენ კი ვაეობა ხქენია.
- 30 ამაგის მალექსებელი ომა მკარ-გვერდზე სვენია,
ქელჩი უქერავ ფანდური, თავით-ბოლომდე ჰრელია.

მთქმელი გიორგი ჭინჭარაული. ბარისახო, ჩამწერი გიორგი წერეთელი. 18.VII—1925 წ. შან., გვ. 467—468. ახლავს ჩამწერის შენიშვნა: სტრიქ. — 31 ომა — თომა. აკ. შანიძე შენიშნავს: „აქ არეულია ერთმანეთში ბესარიონის და ომას ლექსი ერთისა და იმავე საგნის შესახებ“. იქვე. არის კიდევ ხევსურული ვარიანტები:

ე

მთქმელი მართა ლიქოკელი. თიანეთი. ჩამწერი შოთა კონსტანტინიდი, 1916 წ. ფ. არქ., კ. 21, გვ. 132—134.

მთქმელი გ. ლიქოკელი. ქიაურა. ჩამწერი ა. შიშმანაშვილი, 15.VII—1961, ფ. არქ., კ. 26, გვ. 115—117.

179. მართსა მც მცხპვი სიტხვასა

ჩამწერი ბეს. გაბური. შან., № 219, გვ. 96. სტრიქ. 5. დაბეჭდილია მათარაჟ — შევასწორეთ — მათარაჟ.

180. ნეთხით წამავა ძინტობი

უპასპორტო. შეიძლება მივიჩნიოთ № 116-ს ვარიანტად.

181. ბატაბი

ერასტი ბალიაურის კრებულიდან. შან., № 258, გვ. 116. ახლავს აკ. შანიძის შენიშვნა: „აქ მოხსენებული ქალი ნერვებ-აშლილი, თუ რაღაც ამგვარი უნდა ყოფილიყო: ჩემს ხევისურეთში ყოფნის დროს (1913 წ.) კი მითხრეს: ერთი ქალი არისო (არ ვიცი დათვისში, თუ მოწმარში), რომელსაც ახლო ნათესავეები გაუწყვიტეს, სისხლის მაძიებელი არავინ დარჩა და თვითონ აიღო თოფი და სისხლის აღებას აპირებდნო. მოწინააღმდეგე ბანაკის ხალხი ვერაფერს უშვრებოდა, რადგანაც დედაკაცი იყო და დედაკაცზე იარაღის ხმარება სირცხვილია. არ ვიცი, ეს დედაკაცი იგულისხმება აქ, თუ სხვა“. შან; გვ. 490. აკაკი შანიძის ვარაუდს თუ მივიღებთ, მაშინ ლექსი აუზომოელია. რაკი ლექსი საგმირო ხერხებითაა გამართული, იგი მაინც ამ ტომში შემოვიტანეთ. ბატატი, დავით გოგოჭურის ცნობით, იყო სოფ. დინიფხოდან მოლექსე ჯღანას ქალიშვილი.

ფ შ ა უ რ ი

ბ

ხუთშაბათ გათენებადა გარნოვიტანენ ხენია;
ლექსი უნდა ვთქვა ახალი, ჩამწყინდ-მამწყინდა ძველია.

აქამდე არვინ გაზდილა ბაჩლელ ლელაის ფერია,
ახლა გამოჩნდა ბატატი, ქალი ვაჟების მტერია.

- 5 ტახტის თავითი უკიდავ აბჯარი ასასხელოო,
ხანჯარი სპილოსტრიანი თავით-ბოლომდენ ქრელიო.
ქირიმი დასევადული მამპაპეული ძველიო.

- აჩაროს უნდა ვადვიდას, გარმაცივანოს ცხენიო.
 გაიგეს აჩაროვლებმა, შიშით სწყულებოდათ წელიო.
 10 / დელეკატ გამაუგზავნეს, ბატატო დაგვექსენიო:
 არა, — ისი თქვა ბატატმა, — აჩარო ჰაინც ჩემიო. —
 შსთხოვეს აჩაროვლებმა, არ გაგვადინა მტვერიო.
 ძირს ნულარ გაუნდლებდით, დახმეს მტერობის ხენიო.
 ე მაგის მოლექსებელსა ცხენას არ მიკლავ ქერიო.
 15 ნუშერი ბატატისაი პირის სახეზედ სწერიო.

მთქმელი მზექალა ხორნაული. ჩაწერილი თიანეთის რ. სოფ. სა-
 ქურეში, 1942 წ. ფშ. ხევს., გვ. 124. ახლავს განმარტება — სტრიქ. 9
 ა ჩ ა რ ო ს — ქ ი ს ტ ე თ შ ი.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

8

- გარმოვიტანე ფანდური, ჩავათამაშე ქელიო,
 ქევსურეთ ბატატ გაითქვა, რომ წინას დროში ლელიო.
 სხვა არვინ გამიგონავის ბაჩალ ლელაის ფერიო.
 ახლა გაითქვა ბატატი, ქალა ვაჟების მტერიო.
 5 ქევსურეთ შამოიარო, მააწერიო ქელიო,
 თოთხმეტ შაკრიფო ყაზახი, ეგ იმათ აფიცერიო.
 აიშას ამბობს ბატატი: „თოლის გაშრომას ველიო.
 უნდა გარდვიდო ქისტეთში, გარმოვიყვანო ცხენია“.
 წაეილო საქისტეთოდა, ქალამ ჩაწიპო ცხენია.
 10 ტახტის თავითი უკიდავ აბჯარი ასასხელიო;
 ხანჯარი სპილოს ტრიანი, თავი-ბოლომდე ჰრელიო,
 ვინტონკა არშავიანი, თავი-ბოლომდე ძველიო,
 ნაგან, სხვას გვერდზე მაუზერ... მკარ-ილღიე პატრონტაშეზი...

ჩამწერი აპარეკა რკინული. შან., გვ. 490; აკ. შანიძეს აღნიშნული
 აქვს ამ ლექსის თავისებური ფორმა: შ ა მ ა ი ა რ ო , მ ა ა წ ე -
 რ ი ო , შ ა კ რ ი ფ ო , ჩ ა წ კ ი პ ო . იქვე.

162. ნისლის ფერი

ავტორ-მთქმელი და ჩამწერი ალექსი ოჩიაური — ფსევდონი-
 მით — პატარა ხევსური. შან., № 619, გვ. 254.

183. ჟორჯოს მოკვლა

მთქმელი ა. თეთრაული. ახშანი, ჩამწერი გ. არაბული 1961 წ.,
 ფ. არქ., კ. 27, გვ. 77.

მთქმელი ალექსი ივანეს ძე აფციური. სოფ. დუმაცხო. ჩამწერი ელ. ვირსალაძე, 1934 წ. ვირსალ., № 57, გვ. 128.

185. თოფებ სპახს სახარეშია

მთქმელი შუშანა ხარანაული. ფშავი. ჩამწერი, ი. ბოძაშვილი, 1897 წ. ხელნაწ. ინსტ. H — 1968.

186. ლეჰსი იოსებ ჩაჰარიშვილზე

მთქმელი ირაკლი მამიაური. სოფ. საკობიანო, ჩამწერი შ. კონსტანტინიდი. ფ. არქ., კ. 21, გვ. 169—171.

187. ღავით წიკლაური

ავტორი და ჩამწერი ბეს. გაბური. ჩაწერილი ხევსურეთში. შან., № 539, გვ. 219—220. ახლავს აკ. შანიძის შენიშვნა:

„ლექსი ბესარიონის მიერაა ნათქვამი ქისტების ლაშქრობის დროს (ნ. №№ 135—137). ახლავს აკ. შანიძის განმარტებანი:

72. ვა ბრალი ერთისაო — დავითი დედის ერთა ყოფილა. სამი წლისა რომ გამხდარა, დედა-მისი დაქვრივებულა და ობლობით გამოუზრდია; 104. შენაც ხარ დასანანები, გოგოვ თვრამეტის წლისაო—„დავითს ცოლი ჰყოლია, რომელსაც ქმრის სიკვდილის შემდეგ თოფი დაუკრავს და თავი მოუკლავს“. შან., გვ. 571.

188—189. ხოხობჯაღ

მოყვანილია ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიულ წერილში „ფშავლები“, როგორც ძველი ლექსის ნიმუში — პირველ სტრიქონში შ ა ტ ი ს მიმართ არის შენიშვნა:

„სოფელი პირიქით ხევსურეთში“. ტ. V, გვ. 21—22. ლექსი იმ ხანას ეხება, როცა შათილში ქისტები სახლობდნენ. ამ ტექსტს მთლიანად ემთხვევა ლიტ. მუზ. 20027-ს, ყ-333, გვ. 75, ყდა დათარიღებულია I — 1935, აქვს პასპორტი, ჩამწერი ელიზბარაშვილი, ჩაწერის ადგილი სოფ. შუაფხო. გადმოწერილი უნდა იყოს ვაჟას ტექსტიდან.

ჩვენი აზრით, როგორც აღვნიშნეთ, ეს ლექსი და ლექიანობასთან დაკავშირებული „ვინა ხარ გულჭირიანი“ წარმოშობით ერთი უნდა იყოს. ოღონდ ერთი ქისტებსა და ფშავლებს შორის შუღლის ამსახველია, მეორე-კი ლექიანობისა.

ერთი ვარიანტი ლექსებისა „ხოხობზედ“ და „ვინა ხარ გულჭირიანი“. ინახება ფ. არქ., № 3135 სათაურით „ლექსი ახად გოდერძის ქალის ხორეშანზედ, ქისტებმა რო გეიტაცეს“. 510 სტრიქონიანი პოემა. ტექსტი არ არის უშუალო ჩაწერი. იგი წარმოადგენს გადამუშავებას აღნიშნული ლექსებისა, მაგრამ ხალხურ ტექსტებთან შედარებით მხატვრულად სუსტია. ვარიანტის ავტორს ხოხობი გაგებული აქვს, როგორც შერქმეული სახელი ქალისა:

გოდერძის ყავდა ასული, ხორეშან მანათობელი;
კრიალა ყელმძვიანი, ჰაბუჯთ გულს ლახვის მსობელი.
ხოხობ არქმეედენ სახელად მეთის სიტურფით მშობელი.

ლექსი „ხოხობზედ“, თარგმნილია რუსულად ვ. დერჟავინის მიერ.

ქ ა რ თ ლ უ რ ი

ბ

- შატისს ატირდა ბებერი, შედგა საფეხნოს ბანზედა,
დავზარდენ შვიდი წიწილი ფშავლების მუქარაზედა.
შვილსავე ვუყიდე ფრანგული, შვილსავე დაეკიდე წელზედა,
შვილსავე დასკრა თავები, შვილნივე დაყარა გზაზედა.
- 5 გავისტუმრე და გავგზავნე, შადგენს სამტერო გზაზედა,
საგათენებლად მიუხტენენ ახადს გოდერძის ციხესა,
გოდერძის ციხეე გამაგრდი, ლიბოს გითხრიან ძირსაო,
გამოიყვანენ თამარსა, ყელ-ყური ჩამაქ მძიესაო.
გამოიყვანეს თამარი, ცრემლითა ბანენ პირსაო.
- 10 წინ ფშაველ შემოეყარა — შამოსარტყლული წელზედა;
საითა ქისტიშვილებო, საითა თქვენს მგზავრობა,
ეგ ქალი საიდან მოგყავთ, ცრემლი რომ მოზღის თვალზედა.
ეს ქალი გოდერძისია, შატისს ჩვენ დავსვამ ქარზედა.
— თუ მაგას წაგაყვანიხებთ, წვერი ნუ მსხავის ყბაზედა.
- 15 შეიდ ქისტმა, ერთმა ფშაველმა ხელი გაიკრეს ხმალზედა,
შვილსავე დასკრა თავები, შვილნივე დაყარა გზაზედა.
ქალმა ჰესტირა და ეგრე თქვა: დობა რად მითხარ წამზედა,
მე და შენ მოგვიხდებოდა ერთად დასხდომა ქარზედა.

ქართლი. ჩამწერი ანეტა კაპანაძე. ხელნაწ. ინსტ. H — 2449, № 81.
ცნობილია სხვა ქართლური ვარიანტები:

ჩაწერილი ატენში. ჩამწერი აკაკი თურქაძე. ლიტმუზ. 20016 —
 ყ 333, გვ. 50. ყდა დათარიღებულია 1934 წ.

დ

მთქმელი მიხა ყველაშვილი. ს. ზაქარო (მცხეთის რ). ჩამწერი ანზ.
 ჯალალოვი. 2. VII—1961 წ. ფ. არქ., ქ. 79., 79, გვ. 1.

ე

მთქმელი: ჯავახიშვილი ბესარიონ გიორგის ძე, სოფ. ფლავი (გო-
 რის რ.), ჩამწერი მ. გოგიშვილი, 23. VII—1961, ფ. არქ., ქ. 61, გვ. 469.
 სათაურად აქვს „ქისტების ლექსი“.

კ ა ხ უ რ ი

3

შატისლ გადიდა ხობობი, გულდიდალ დაჯა ჯარზედა,
 დაზარდა შვიდი წიწილი არწივის ნაბუღარზედა.
 შვიდნივე იყენენ გმირები განთქმული ქისტისტანზედა
 თითო ლომისა სწორია, ხელი ეკიდათ ხმაღზედა.

- 5 შვილთაე უყიდა ჩაჩქნები, შვილთაე დახურა თავზედა,
 შვილსაე უყიდა ფრანგული, პირი უშინჯა ქვაზედა.
 — „შვილებო, მიხვალთ მეომრად, ფრთხილად იყავით გზაზედა,
 მშვიდობით ნულარ მომიხვალთ, თუ ვინმე გატირათ ცლაზედა,
 თუ ის ქალ ვერ მომიყვანეთ, ნულარ წამოხვალთ კარზედა“.
- 10 გზას თითონ ჩაასწავლებდა, ჩაპყევით ფშავის წყალზედა.
 — ახალს გოდერძის ციხეო, მოგადგნენ თენებაზედა,
 სიმურგვლიე შამოგიარეს, ცხრა კარ გაგიღეს წამზედა,
 თუ ეგერე მალე გაგტებდნენ, ქვამც ნუ გდებია ქვაზედა.
 ჩაუბდნენ გოდერძის ციხეს, ალი დაკიდეს თავზედა,
- 15 გამოიყვანეს პირად მზე, ცრემლსა მოპლვრიდა გზაზედა,
 ახალზე ჩამოატარეს, გახდეს მათურის მთაზედა.
 ეს რო გოდერძიმ გაიგო, ჯავრ მოუვიდა გულზედა,
 მოავლო თავის ლურჯაი, შეკაზმა იმავ წამზედა.
 აისხა ტანზე აბჯარი, ფარ გადაიგდო მხარზედა,
- 20 წელზე შაიბა ფრანგული, კიდევც გაუღდა გზაზედა.
 — ნეტაე ვიცოდე, რჯულძაღლნო, მიდინართ რომელ მხარზედა,
 ნეტავც შამყარა თქვენს თავსა, მზეს დაგიბნელებთ წამზედა,

- ერთიან მოვლო მთა-ბარი, ევრსად მიაგნო კვალზედა.
დაბრუნდა გაჭაყრებული, სისხლი მოადგა თვალზედა.
- 25 ეტყოდა თავის ჭალაბსა, ძლიერ მოვედი ჭაერზედა.
ახლა კი ვფიქრობ: რჯულძაღლთა რომ იქ მიუხდე კარზედა,
ან მეც მოგვედები იქავე, ან შეილს მოგიყვან ჭარზედა.
ქალისა დედა ტიროდა, თმებს იგლეჯავდა თავზედა,
ვაიმე, შეილო, სადა ხარ, მტერს სად მიჰყევხარ გზაზედა.
- 30 მიდიან, მიშილინდობენ, მისაუბრობენ ცდაზედა.
წინ ფშაველ შემოეყარათ, თხის ტყავი ეცვა ტანზედა.
დადგა და კითხვა დაუწყო: — პასუხ მითხარით წამზედა,
ეგ ქალი საიდან მოგყავთ, ცრემლი რო მოსდის თვალზედა?
— ქალი ახალით მოგვეყავის, ბეგარ ავიღეთ ფშავედა.
- 35 — ბეგარს ვინ აგაღებინებთ ლაშარის ჭვარის ყმაზედა?
მოდი, გაუშვით ეგ ქალი, ნუ გავლთ მუქარაზედა.
— რამ გადაგვრია, ფშაველო, რამ შაგაწყინა ჭკვაზედა,
ჩვენ ვართ ხოხობის შვილები განთქმული ქისტისტანზედა,
ზეცას ფრინველსა ეშინის, ლომი გაგვირბის განზედა.
- 40 შენ წერას აუტანიხარ, მიტომ გვიდგები შარზედა.
გიჯობს ჭკვიანად წახვიდე, სანამ თავ გაბამ ტანზედა.
— მეც კი გახლავართ ფშაველი, არ გაგექცევით განზედა,
თუ ეგ ქალ წაგაყვანიოთ, წვერიც ნუ მსხმია ყბაზედა.
შვილთ იმათ, მარტო ფშაველმა ხმლები აანთეს წამზედა.
- 45 ეგრე ფრინავდა ფშაველი ვით შავარდენი ცაზედა.
ექვს მათგანს დასჭრა თავები, მკედარი შაყარა მკედარზედა,
მეშვილეს ყურებ დასთალა, ამბავ მიართვი ჭარზედა.
აჰყარა იარაღები, ლერწამს აისხა ტანზედა,
თავის იარაღ ქალს მისცა, უთხრა: დავ, გასწი გზაზედა.
- 50 მამას უთხარი გოდერძის: — მტერ მე დავხოცე ცდაზედა,
შვილსავე დავექრ თავები, დავყარე შარაგზაზედა.
ნუ იტყვი ჩემსა სახელსა, ჩვენ ვიყვეთ დამშობაზედა.
— არ ვიტყვი შენსა სახელსა, ჩვენ ვიყვეთ ცოლქმრობაზედა,
გამოჰყვა ქალსა ფშაველი, მამას მოჰგვარა კარზედა,
- 5 გამოუთხოვნენ ერთმანეთს, ცრემლი სდიოდათ თვალზედა.

მთქმელი ბრმა მეჩონგურე ილო მათიაშვილი. კახეთი, მარტყოფი.
კოტ., გვ. 114, ახ. გამოც., გვ. 130. კახური ვარიანტებია აგრეთვე:

ზ

მგზავრული სიმღერაა. ქართ. სიმღ. 1, გვ. 375. ამ ვარიანტს კონტა-
ნინაციის წესით შესავლის სახით წამძღვარებული აქვს ოთხი სტრიქო-
ნი მეორე დამოუკიდებელი ლექსისა „მადლიდგან გადმომდარიყო
თვალყუყუნ თეთრი ქალიო“. ამგვარი კონტამინაცია ერთგვარი მელო-
დიის შედეგია.

მთქმელი ი. მათიაშვილი. ჩამწერი ელაშვილი, თბილისი. სათაურად აქვს „შვიდი წიწილი“. ლიტ. მუზ. 20053—ხ, ყ—338, გვ. 32. იგივე ტექსტია იქვე, 20063—ხ, ყ—340, გვ. 44. ორივე მანქანაზეა ნაბეჭდი. ამავე ტექსტის ხელნაწერია იქვე 20016—ხ, ყ — 331, გვ. 35, დათარიღებულია ყდა 1934 წ. ადგილებ გადასმული იგივე ტექსტია და იმავე მთქმელისაგან არის ჩაწერილი ვ. ბუთლიშვილის მიერ. იქვე, ხ—20055, ყ—338, გვ. 160. განსხვავება — სტრიქ. 1 ჰინტველაშვილი—ტ ი ტ ვ ე-
ლ ა შ ვ ი ლ ი. ამავე მთქმელისაგან არის ჩაწერილი 3 ვარიანტი.

თ

მთქმელი მ. გახუტილაშვილი. გომბორი. ჩამწერი ნ. კოტეტიშვილი, 1961 წ. ფ. არქ., კ. 12, გვ. 194.

ი

მთქმელი ვ. ჩარბოდაშვილი. ქვემოქედი. ჩამწერი გ. შეთეკაური, 1961 წ. ფ. არქ., კ. 114, გვ. 40.

ია

მთქმელი გ. გიქუაშვილი. ნათარეული. ჩამწერი დ. წერედიანი 10. VI. 61.—ფ. არქ., კ. 5, გვ. 556.

იბ

მთქმელი მიკირტუმაშვილი. ქისტაური, ჩამწერი გ. არაბული. 1961 წ. ფ. არქ., კ. 27, გვ. 52. ფრაგმენტული ვარიანტია.

ივ

მთქმელი მარკოზ ნადირაშვილი. ლათანყური. ჩამწერი გობრონოძე. 1961 წ. ფ. არქ., კ. 9, გვ. 58.

იღ

მთქმელი მ. კანდელაკი პალდო, ჩამწერი დ. წერედიანი. 1. VI—
61. ფ. არქ., კ. 4, გვ. 238.

იპ

მთქმელი ისაკ მოსიაშვილი. ქისტაური, ჩამწერი უ. ცინდელიანი.
1961 წ. ფ. არქ., კ. 3, გვ. 384.

ფ შ ა უ რ ი

ივ

- შატის მოიდა ხოხობი, გულდიდალ დაჯდა ჯარზედა,
გაიარ-გამაიარა, სახლებ შაისხა მხარზედა,
— საით რას მოხვალ ხოხობო, საით გადმოხვე მთაზედა?
— მთა და მთა გადმოვიარე, ვეფხეებს გადმოვკევე კვალზედა.
- 5 შვილნი მოეზარდენ წიწილნი არწივის ნაბუღარზედა.
შვილთა უყიდე თოფები, შვილთა დავკიდე მხარზედა,
შვილთა ფრანგულე უყიდე, შვილთა შავარტყი წელზედა,
შვილთა ჯაჭვებიც უყიდე, შვილთა ჩაეცვი ტანზედა.
საფშაოდ გამაისტუმრნა: შეილნო, მშვიდობით გზაზედა,
- 10 წინ რო ვინ შამოგეყაროსთ, ამავე ოკითხეთ წარზედა,
მათურის ხეე რო ჩახვალთ, მარცხნივ შაბრუნდით გზაზედა,
ახადს გოდერძათ ციხესა ალი ახვიეთ თავზედა!
მანდით ქალ წამაიყვანეს, მატირებენ გზაზედა,
წინ თადიურ შამახვდა, დასარტყლულია ტყავზედა,
15 — ეგ ქალ საილა მოგყავისთ, ცრემლს რომ მაახნეეს გაზედა?
— ეს ქალ ახადით მოგყვეს, შატის უნდ დავსვათ ჯარზედა,
ამის საქმარეც აქ გვტანავ, გზარდილი ლერწმის ტანზედა.
— თუ ეგ ქალ წაგაყვანიოთ, წვერიმც ნუ მასხავ ებაზედა.
შვიდ ქისტი, ერთი ფშველი, გავიდენ მუქარაზედა,
- 20 საფარ იარალ იხმარა, შვილთა თავ გასქრა წამზედა
გულ-ჩრინა თადიურმა მკვლარი შეყარა მკვლარზედა,
აყარა იარაღები, ქალსა დაკიდა მხარზედა,
ქალი შინ წამაიყვანა, ახადს მაკვარა კარზედა,
აქამდინ იყავ ნაძრახი, აწ ვიყვნათ და-ძმობაზედა.

ჩამწერი ალ. ოჩიაური. ოჩ., გვ. 214—215.

იზ

შატის მოიდა ხოხობი, დიდგულად დაჯდა ჯარზედა.
— აქ საით მოხველ ხოხობი, საით გადმოხველ მთაზედა.

- გადმოიარე ქიუხი, ჯიქეებს გადმოჰყევე კვალზედა?
 — შეიღნი მოვზარდენ წიწილნი არწივის ნაბუღარზედა,
 შეიღთავე ვუყიდე თოფები, ავასხი ლერწმის ტანზედა;
- 5 შეიღთავე ვუყიდე ჩაჩქნები, შეიღთავე დაეხურე თავზედა,
 საფშაოდ გამოვისტუმრე, ჯვარი დაწერე გზაზედა.
 აქადს გოდერძის ციხეო მოვიტლებიან კარზედა,
 მანღით ქალს გამაიყვანენ, გადაავლებენ მთაზედა;
- 10 გამაიყვანეს ქალაი, მათირებენ გზაზედა.
 შამახვდა თადიური პირველ მაისტის მთაზედა.
 — ე ქალა საით მოგყავისთ, ცრემლი რო მამსდის თვალზედა?
 — ე ქალ აქადით მოგყავის, შატილში დავეამთ ჯარზედა.
 — თუ ე ქალ წაგაყვანინოთ, ქუდიმც ნუ მხურავ თავზედა!
- 15 შეიღ ქისტი, ერთი ფშაველი გავიღნენ ბიჭობაზედა.
 შეიღ მურგვალ შემოუარა, შეიღთავე თავ მასქრა წამზედა.
 აპყარა იარაღები, მკვდარი დაპყარა მკვდარზედა.
 ქალ სახლში გამაისტუმრა — მშვიდობით, დო, გზაზედა,
 ნუ დავივიწყებთ ერთმანეთს, ვიკვნოდეთ და-ძმობაზედა,
- 20 ნუ იტყვი ჩემსა სახელსა, თუ ვინ მიკითხოს გზაზედა.
 თავისა დაიკვეხნოდი, ქალმა თავ გავსქერ წაპზედა.
 ხოხობთან კაცი გაგზავნა, ლუდი ადულე წამზედა,
 აღარ მოვიკლენ შეიღები, დამრჩალან ფშავის მთაზედა.
 თუ გულ აგტკივდეს, ხოხობო, დაიბჯინოდი ქვაზედა!

მთქმელი თამარ ტონას ასული ქოჩაშვილი, მცხოვრები ფშავის სოფელ თხილიანში. 39 წლის. სოფელი თხილიანი. ჩამწერი გვანცა კობლატაძე. ახლავს ჩამწერის შენიშვნა: „სანამ ამ ლექსს ჩამაწერინებდა, მანამდე მითხრა, რომ იცოდა ამ ლექსის გამოქვეყნებული ვარიანტი. გადამიშალა ვ. კოტეტიშვილის „ხალხური პოეზია“. მაინც ჩაგაწერინებო, მითხრა, მე სულ სხვა ვარიანტი ვიციო“. თსუფა, № 15053.

იხ

- შატილში ხოხობ გადიღდა, გულ-დიღად დაქდა ჯარზედა;
 შეიღნი მოვზარდნა წიწილნი არწივის ნაბუღარზედა;
 შეიღთავე იარაღ უყიდა, ჯაქვებ ჩააცვა ტანზედა;
 საფშაოდ გამოისტუმრნა, ხელ დაქრა მუზარაღზედა.
- 5 მოღიან თოფოსნობითა დალაღებულნი გზაზედა...
 — ს, გოდერძის ციხეო, მოვადგებიან კარზედა,
 თუ ეგრე მალე გავტებდენ, ქვამც ნუ სღებულხარ ქვაზედა!
 მანღით ქალს გამაიყვანდეს, ცრემლი ჩამოსდის თვალზედა.
 ახაღზედ ჩამოავლიეს, გახადეს მათურის მთაზედა;
- 10 წინ დათიურ შემოხვდა, ამბავსა ჰკითხავს გზაზედა:
 — ე ქალ საით მოგყავისთ, ცრემლი რომ მამსდის თვალზედა?
 — ე ქალ ახადით მოგყავის, შატილში დავესომთ ჯარზედა;
 — აცა-დაიცათ, ვაუებო, სიტყვა ვიუბნოთ ჰქვაზედა;
 ჩავიცენ თეთრის წინდანი, გადავიჭირო ჭღანზედა.

- 15 შეიღთ იმათ, მარტომ ფშაველმა ხელებ გაიკრეს ხმაღზედა...
— თუ თქვენ ეგ წაგაყვანილოთ, წვერიმც ნუ მსხავის ყბაზედა!
შემოუბრინა მარტომა, თავ გასკრა საჩქაროზედა,
შვილთავ ფრანგულებ ჩამოხსნა, სისხლი გადასდის მკლავეზედა;
შვილთავ წაართვა თოფები, ერთ ქალს დაჰკიდა, მხარზედა;
- 20 ქალ უკან გამაისტუმრა, — მშვიდობით, დაო, გზაზედა!
ნუ იტყვი ჩემსა სახელსა, ვიყენოდეთ და-ქმობაზედა
მამას გოდერძის უთხოროდი: ქალმ მე დაეხოცე გზაზედა...
შატილს უთხოროდით ხოხობსა, დაეჭინოდეს ქვაზედა,
უფროსშვილ დაქორწილოს, უმცროსებ დასეას ჯარზედა.
- 25 ახად დასწყია ხოხობმა — ქვამც ნუ სდებულხარ ქვაზედა!..

ფშავი. ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 83—85, ახლავს
შენიშვნა: სტრიქ. 1 — ხოხობ — კ ა ც ი ს ს ა ხ ე ლ ი ა.

ი თ

- შატილს მოვიდა ხოხობი, თავდაბლა დაჭდა ჯარზედა.
გაჰკვირდენ შატიენლები — მაგ ოქროს სამკლავეზედა.
მიღგებ-მოღგება ხოხობი სახელ შაყრილი მხარზედა,
მოზარდნა შვიდნი წიწილნი ფშაველების მუქარაზედა.
- 5 შვილთავ უყიდა ფარები, შვილთავ აჰკიდა მხარზედა.
შვილთავ უყიდა ხანჯრები, შვილთავ შაარტყა ტანზედა.
შვილთავ ფრანგულებ უყიდა, ხელი გადუსვა ფხაზედა.
შვილთავ ხირიშებ უყიდა, შვილთავ აჰკიდა მხარზედა.
დაგზავნა საახადოდ: გოდერძის მუქარაზედა.
- 10 გამაჰყევა, გამაისტუმრა: — მშვიდობით, შვილნო, გზაზედა!
თუ ქალ არ წამაიყვანეთ, ნულარ მაიხვალთ კარზედა!
უსახელოებს ვაჟებსა შატილს არა ესხამთ ჯარზედა!
ახადს გოდერძის ციხეო, ჯაჰკვი გადიცივი ტანზედა!
თუ ეგრე მალე გაგტეხენ, ქვამც ნუ ჰდებულხარ ქვაზედა!
- 15 იქით ქალს წამაიყვანენ, ქალი მოტირის გზაზედა.
ხოშარა გამაავლიეს, გზა უძე მათურაზედა.
თაღია შამეყარა, თაღია მალას მთაზედა.
მოვალის გაჯავრებული, თვალ შამაველებს მთა-ველთა.
შატალის ყელში გადმოვა, ქისტებ შახედება გზაზედა.
- 20 არ ეტყვის გამარჯვებასა, ამბავსა ჰკითხავს ჰკვაზედა.
— ე ქალი საით მოგყავისთ, ცრემლი რო მაჰდის თვალზედა?
— ეს ქალი ახალით მოგვეყავ, შატილს ჩამოვსოთ ჯარზედა,
მაგის საქმარეს ვეჟაა ბეგთარი გვიცევა ტანზედა.
— ძაღნო, რა ონა გიქნავისთ ლაშარის ჯვარის ყმაზედა?!
- 25 თუ თქვენი ქალ წაგყვანილოთ, წვერიმც ნუ მსხავის ყბაზედა.
ტყვი დეყარნა თხისანი, ჯაჰკვი გადივლო თავზედა.
შვიდ ქისტმა, ერთმა ფშაველმა, ხელებ გაიკრეს ხმაღზედა.
მგელივით შამაურბინა, თავ გასკრა საჩქაროზედა.
რა ისენ შამაუქევედენ? — გადახტ-გადმოხტა თავზედა.

- 30 აპყარა იარაღები, მკედარი შაყარა მკედარზედა.
ქალს ქისტის ხმალი შარტყა, — შშვილობით, დაო გზაზედა!“
მამას გოდერძის ნუ ეტყვი, „თადია შამხვდა გზაზედა!“
ქალმ მე დავხოცე ქისტები, მარტუა ვიყავ ცდაზედა.
ნუ იტყვი ჩემსა სახელსა, ვიყნოდეთ და-მშობაზედა!
- 35 მამინის მამიგონილით, რო ჩამასხედებით ქარზედა.
ნახანის გაგიჟირდება, დამიფიცნოდი ძმაზედა.
ახადურს ახალ-უხლებსა ქუდიმც ნუ გზურათ თავზედა!
დაყარეთ იარაღები, დასხედით დედათ ქარზედა!..
ხმა გატყდა არქილოშია, გაიგეს ციხის გატება.
- 40 მოდიან დალაღებულნი, ვისაც გული აქე ცდაზედა.
ყორანმა თითი წაიღო, ჩააგდო მანის დაზედა.
არქილოს ქალას შამუდგენ, — მოდიან სისხლის წყალზედა.
თადია გადმუჟნდება, ნასახელარი სხვაზედა.
ხმალ-და-ხმალ ჩამეერია, მკედარი შაყარა მკედარზედა.
- 45 შატილს უთხრობდით ხოხობსა: — დაებჭინოდი ქვაზედა!
უფროს შვილ დააჭორწილოს, უმცროსებ დასევას ქარზედა.
აიხსენ იარაღები, დაყარე სატირალზედა!
ახად დასწყია ხოხობმა: „ქვეც ნუ ჰდებულხარ ქვაზედა!“
ემა ლექსაის მოთქომი ქალი ვარ, ვზივარ კარზედა.
- 50 ხელში მიჰირავ ჩხირ-წინდა, ცრემლებ ჩამამდის თვალებდა.
გაჰირდა სიტყვა, ვერ ვამბობ, მგლოვიარე ვარ ძმაზედა!

მთქმელი გლახა ბურხანაშვილი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. ხალხ. სიტყვ., III, № 131. გვ. 64—66. ახლავს ჩამწერის შენიშვნები: სტრიქ. 23. „ბეგთარი ფშავლების რწმენით ისეთი ჯაკვი იყო, რომ ვერათფერი იარაღი იმას ვერ გაჰკრიდა. სადაც ხმალი ან ისარი და ტყვია მოხვდებოდა, თურმე სულ იქ მიიხვეტებოდა“. იქვე, გვ. 65, სტრიქ. 24. ონა — „ძალმომრეობა“, სტრიქ. 33. ქალმ მე დავხოცე ქისტებო — ფრჩხილებში მიწერილია „ეგრე თქვიო“. იქვე, სტრიქ. 32. „თადია შამხვდა გზაზედა“ — „ეს თადია მოკვეთილი ყოფილა და სოფლიდან გაქევებული ფშაველი“. იქვე, სტრიქ. 41. მანი — ქისტის სახელია, რწვე, გვ. 66.

კ

- შვიდი გავზარდე წიწილი არწივის ნაბუდარზედა,
საფშოდ გამოფსტუმრე, — შვილო მშვიდობით გზაზედა.
ხოშრ.ს გორაზე შაქლებით. კელ მარჯენიე შამბრუნდებით,
იქა დგას გოდერძის ციხე, გამაიყვანეთ ქალია.
- 5 გამაიყვანეს ქალაი, ჩამაველიეს ფრენითა.
სამშაბათ დილას შამახედენ იქ, საქარავნო გზაზედა.
იქ დახვდა თადიაური, წამოსარტყლული ტყავზედა.
— ე ქალა საით მოკყავით, რომ აატირეთ გზაზედა?
— ე ქალ ახადით მოკყავის, შატილს რომ დავსევამთ ქარზედა,

- 10 ამის სამეფოც იქა ყავს, გაზღილი ლერწამ ტანზედა.
 — ვინც ე ქალ წაგაყვანივით, წვერიმც ნუ მასხავ ყბაზედა.
 გადიურევიანა თხის ტყავნი, ჭაქვი გამოჩნდა ტანზედა.
 შვიდ ქისტი, ერთი ფწაველი გავიდენ მუქარაზედა.
 დაჰკივლა, შამაურბინა, ექვსთას თავები გააპრა,
 15 მეშვიდეს ყური ათალა.
 წადი და მამას მიუდი, ეხლა დასომდეს ჭარზედა.
 ბრუნაედ- თადიური ქისტების ნასისხლარზედა,
 ახყარა იარაღები, ქალს ჩამაჰკიდა მქარზედა.
 — დაო, მშვიდობით გზაზედა.

მთქმელი ფშაველი სოფ. აკუმოს მცხოვრები ალექსი ხუზაურაშვილი. ბარისახო. ჩამწერი ქს. სიხარულიძე, 5.VIII—1946. მთქმელმა ლექსს სათაურად მისცა „ფშაური“. არის კიდევ ფშაური ვარიანტები:

კა

ჩამწერი გ. გულმაგარაშვილი. სათაურად აქვს „ძველი ფშაური ლექსი“. ლიტმუზ. 2005—ხ, ყ—338, გვ. 151.

კბ

მთქმელი ახალა ქისტაური. სიონი. ჩამწერი თ. გოგოჭური. 11 VI—1961 წ. ფ. არქ., კ. 29, გვ. 203.

კგ

მთქმელი ფშაველი მიგრიაული ვანო. სოფ. ნოსტე.
 ჩამწერი გუგული გობრონიძე 16.VII—61 წ. ფ. არქ. კ 651, გვ. 260.

კდ

მთქმელი ფშაველი ა. ქისტაური. სიონი. ჩამწერი ა. შიშმანაშვილი ფ. არქ., კ. 25, გვ. 86. სტრიქ. 12 მუშით — ლ ა ფ ნ ი თ; მთქმელის ცნობით „ეს ფშაველი ქალის ძმის მომკლავი ყოფილა, მოსისხლესთან ველარ გამოჩენილა — ქალისთვის კი უშველნია, მაგრამ ძმასთან კი ველარ გამოჩენილა“. თუ მთქმელი ამავე სოფელში მცხოვრები ახალა ქისტაურია; ვისგანაც თ. გოგოჭურმა ჩაწერა ამ ტექსტისაგან განსხვავებული კგ ვარიანტი, იგი საინტერესოა მთქმელის ცოცხალი შემოქმედების პროცესის თვალსაზრისით. ჩვენი აზრით ესენი სხვადასხვა მთქმელებია. ამას გვაფიქრებინებს კგ ვარიანტში ზმნის თავისებურად ფორმები, რაც არ არის კე ვარიანტში.

მთქმელი შ. ი. წიკლაური. ახმეტა. ჩამწერი: თ. გოგოჭური, 1961 წ.
ფ. არქ., კ. 30, გვ. 399.

33

მთქმელი ე. წიკლაური. გომბორი, ჩამწერი ნ. გოგოჭური, 1961 წ.
ფ. არქ., კ. 18, გვ. 8.

38

მთქმელი ფ. ხორნაული. სიონი. ჩამწერი დ. წერედიანი, 14.VII—
1961. ფ. არქ. კ. 27, გვ. 146.

ხ ე ს უ რ უ ლ ი

35

- შატილ მოიდა ხოხობი, გულდილად დაჯდა ხარაა.
შვილნი მალალნა წიწილნი ფშაელების მუქარაზედა.
საფშაოდ გამაისტუმრნის: — შეილნო, მშვიდობით გზაზედა!
შვილთავ ცხენები უყიდა, შვილთავ დაუბა კარზედა.
- 5 შვილთავ უყიდა ხანჯრები, შვილთავ შაარტყა წელზედა.
მათურის ქალას შავილის, მარცხნივ გაბრუნდის გზაზედა.
— გაღმით ბილიკას აღყვეით, — შახდებით შეიდანზედა.
— ახადს გოდერძის ციხეო, მტერი მაგადგა კარზედა.
თუ მტერსა ვერ გაუძლებდი, — ქვაო, რად იღე ქვაზედა?
- 10 იქით ქალ გამაიყვანეს; — შატილ ჩამოესომო ქარზედა!
იმის საქმაროც აქა გვეყავ, გაზრდილი ლერწმის ტანზედა...
კარგი ხარ, თადიაურო, გათქმული ქვეყანაზედა.
მაგრამ შემთხვევა მოგხვდა თავის მეზობლის ქალზედა.
ახად გოდერძის ელენე იყო შენს ჰირობაზედა.
- 15 გაიგა თადიაურმა, ჯაჭვი ჩაიცივა ტანზედა.
შვილთა წინ შამოუარა სახარავნოსა მთაზედა.
ჯერ გამარჯვება დაასწრა, ამხავი ხეითხა კვეაზედა;
— ეგ ქალი საით მაგყავით, ცრემლებ რო მაადის თვალებდა?
— ახადით ჩამოვიყვანეთ, შატილ ჩამოესომო ქარზედა.
- 20 — თუ ეგ ქალ წაგაყვანიოთ, წვერიც ნუ მსხმია უბაზედა.
თბის ტყავან გადაისერიგინა, ჯაჭვიც კი ეცოა ტანზედა.
შამოურბინა ირგვლივა, შვილთავ თავ გასქრა წამზედა
ახვარა იარაღები, ქალსა აასხა ტანზედა.
— თავისი სოჭვიდი სახელი, ნუ გამცემ ქვეყანაზედა.

მთქმელი ი. ჭინქარაული. კიაურა. ჩამწერი ა. შიშმანაშვილი,
1961 წ. ფ. არქ., კ. 26, გვ. 104—105.

შატილ მაიდა ქოქობი, გულდიდად დაჭდა ჭარზედა,
 შვიდნი გაზარდნა წიწილნი არწივის ნაბუდარზედა.
 შვიდთავ უყიდა კმალები, შააბა ლერწმის ტანზედა,
 შვიდთავ უყიდა თოფები, შვიდთავ დახკიდა მქარზედა.

- 5 შამშაოდ გამემართნეს, შვილნო, მშვიდობით გზაზედა,
 აქად გოლდრძის ციხეო, მაგიდგეს თენებაზედა,
 შენ ცოტა ხან თუ ვერ გასძელ, ქვაიმეც ნუ გაძევ ქვაზედა.
 მანდი ქალ გამაიყვანეს, მახყავ, მატირის გზაზედა,
 შამაქვდა თხისტყავიანი, ამბავი ხეთხა ჭკვაზედა.
- 10 ე ქალ საიდან მაგყავის, ცრემლი რო მასდის თვალზედა.
 ე ქალ აჯადით მაგყავის, შატილ უნდ დავსოთ სკამზედა.
 შვიდ ქისტმა, ერთმა ფშაველმა: ღებებ დაისხეს კმალზედა.
 შამაეტანა ფშაველი, შვიდსა თავ მაქრა წამზედა,
 ახყარა იარაღები, ქალსა აასხა ტანზედა.
- 15 აუგათ ნურას გაიღებთ, ჩვენ ვიყვნით და-ძმობაზედა,
 შინამღი გამაგყებოდი, მესისხლე მიღვა გზაზედა.

მთქმელი გიორგი ოჩიაური (გერგეტელი). ხევსურეთი, სოფ. ახიე-
 ლა. ჩამწერი ქს. სიხარულიძე. 4.VIII—1944 წ. სტრიქ. 5. შ ა მ შ ა ო დ —
 ს ა ფ შ ა ო დ.

ლ

შატილ მოვიდა ქოქობი, გულდიდა დაჭდა ჭარზედა,
 ჭიკვის ტყავ წამაიხურის, წადგის, წამადგის ბანზედა,
 შვიდნი დაზარდნის ბაკალნი არწივის ნაბუდარზედა,
 შვიდთავ უყიდის თოფები, შვიდთავ აასხის მქარზედა,

- 5 შვიდთავ ფრანგულებ უყიდის, შვიდთავ შააბის წელზედა.
 შვიდთავ უყიდის ჩაჩქნები, ქელ დახკრა მუზარაზედა.
 საფშაოდ გამაისტურის აჯადის მუქარაზედა.
 აქად გოლდრძის ციხეო, ქეაც ნუ დებულხარ ქვაზედა,
 რად გაეტეხი ქისტებსა, რად არ შაუდეგ ძალზედა.
- 10 შივით ქალ გამაიყვანეს, მოვას, მატირის გზაზედა,
 შამაქდის თხისტყავიანი, ამბავს დახკითხის წამზედა:
 — ე ქალა საით მიგყავისთ, ცრემლ რო ჩამასდის თვალზედა.
 — ე ქალ აჯადით მიგყავის, შატილ უნდ დავსოთ კარზედა.
 — ე ქალ თუ წაგაყვანიეთ, წვერიმეც ნუ მსხია ყბაზედა.
- 15 შვიდ ქისტსა, მერვე ფშაველსა ქელებ მიუღისთ კმალზედა.
 სიმირგვალდ შამაუარა, თავ გასქრა იმავ წამზედა.
 ქალ უკულმ გამააბრუნეს თავის შანავალ გზაზედა.
 — თუ ვინ შამაგხედეს გზაშია, უთხრიდი სხედასხვაზედა,
 ეებლა ეგრე წავიდეთ, კვლავ ვიყვნით და-ძმობაზედა.

მთქმელი ლაგაზა ზაიელი, 17 წლის, უკანა ხადუს მცხოვრები. ჩა-
 წერილი ბარისახოში, ქს. სიხარულიძის მიერ, 31.VII—1946 წ.

ლგ

- შატის ჩამაჭდა ქოქობი, დაჭდა გულდიდად ჟარზედა,
გაიარ-გამიიარა, საკელთ გაიყრის მქარზედა.
შვილნი გაზარდნა წიწილნი არწივის ნაბუღარზედა,
შვილთაჲ უყიდა ფრანგული, შვილთაჲ შარტყა წელზედა,
- 5 შვილთაჲ უყიდა თოფები, შვილთაჲ გახკიდა მქარზედა.
სამშაო გამაემართნეს, შვილნო, მშვიდობის გზაზედა,
ეგ ქალ თუ ვერ მიიყვანეთ, სწორნიმც ნუ დაგსხვენ ჟარზედა.
ნურც გიტირებენ დედანი...
- აქადს გოდერძის ციხეო, მაგადგე საღამოზედა,
10 გათენებამღე ვერ გასძელ, ქვაიმც ნუ გიძე ქვაზედა.
მანდი ქალ გამიყვანეს, მავა, მატირის გზაზედა.
შამაქვდა თხისტყავიანი, ამბავს დახეთხავს კქაზედა.
— ე ქალა საით მიგყავისთ, — შატილ ჩამოვსხამთ სკამზედა,
ამის საქმარედა გვეყავის გაზღილ ლერწამის ტანზედა.
- 15 შვილთ იმათ, ერთმა მშაველმა ქელ, გაიყრეს კმალზედა,
შვილთაჲ მაგვიქრა თავები, ერთი მინუტის ხანზედა.
წამიყვანა ქალაი, მამას მადგვარა კარზედა,
შინამღე გამაგყვებოდი, მესისხლე მიღვა გზაზედა.
დაუბარიდი ქოქობსა, შვილთ სამარტ უქენ თავზედა,
- 20 შვილნი შინ აღარ მაგივლენ. მარჩეს მათურის მთაზედა,
შამაქვდა თხისტყავიანი, შამაგვივინა გზაზედა.

მთქმელი მართა ბაბუტას ას. წიკლაური, 15 წლის. არხოტი —
სოფ. ამლა, ჩამწერი ქს. სიხარულიძე, 5.VIII—1944 წ. ცნობილია კი-
დეგ ხევსურული ვარიანტები:

ლგ

მთქმელი შიო სისაური. ლიქოკი. ჩამწერი გ. ლომთათიძე. ლიტ.
მუზ. 20031 — ხ, ყ-333, გვ. 100. ყდა დათარიღებულია II—1935.
ტექსტს ახლავს მინაწერი ფრჩხილებში: „ქალმა მანინც გაამხილა“.

ლდ

მთქმელი გ. გოგოჭური. თეთრწყლები. ჩამწერი შ. კონსტანტინი-
დი, 1961 წ. ფ. არქ., კ. 15, გვ. 189. ეს ვარიანტი ინდივიდუალურ შე-
მოქმედების ხასიათს ატარებს.

ლე

მთქმელი გ. არაბული. ქისტაური. ჩამწერი უ. ცინდელიანი, 10.VI—
1961 წ. ფ. არქ., კ. 3, გვ. 312.

ლ3

მთქმელი რ. ჩობალაური. ნორიო. ჩამწერი ხ. კეშელავა. 21. VI—
1961. ფ. არქ., კ. 13, გვ. 20.

ლ4

მთქმელი გ. ლიქოკელი. ქიაურა. ჩამწერი დ. წერედინი, 1961 წ.
ფ. არქ., კ. 27, გვ. 164.

ლ5

მთქმელი ნ. გრიქულოვი. სოფ. მაგრანეთი. ჩამწერი თ. გოგოქური,
27.V—1961 წ. ფ. არქ., კ. 29, გვ. 30.

მ თ ი უ ლ უ რ ი

ლთ

შვიდნი დაზარდა დედამა არწივის მუქარაზედა,
შვიდსა უყიდა თოფები, დაკიდა მარჯვნივ მხარზედა,
შვიდსა უყიდა ფარ-ხმალი, დალესა ცულის ქვაზედა,
შვიდსა უყიდა ცხენები, დაკაზმა უზალდაზედა,

- 5 — წადიო შვილო და ნურც მოხვალთ, უსახელო იმ ქალზედა. —
ფშავისა, ციხევ, გამაგრდი, ლაშქარ გეცემა თავზედა.
შუალამისას დაეცნენ, ქვა ააყენეს ქვაზედა.
წამაიყვანეს ლამაზი ნამტირალევი თვალზედა.
გზაზე მთიელი შემოხვდათ, მშვიდობას ჰკითხავს გზაზედა.
- 10 — საიდან მოგყავთ ეგ ქალი ნამტირალევი თვალზედა?
— ფშავედან მოგვეყავს ეს ქალი — წართმეულია ძალზედა.
— თუ ეგ ქალი გაგატანოთ, თავი რად მინდა ტანზედა.
შვიდ ლეკმა. ერთმა მთიელმა, — ხელი გაისვეს ხმალზედა,
გასჭრა და გასჭრა თავები, მკედარი მოვიდა მკედარზედა.
- 15 წამოიყვანა ლანაზი, გადმოაიკლა მთაზედა.
— შინამდინ გამოგყვებოდნი, მტერნი მისხედან გზაზედა!

მთქმელი პ. გიგაური. ფასანაური. ჩამწერი ს. ხუციშვილი. ვირ-
სალ., № 37, გვ. 120.

- ქისტებმა ციხე გატეხეს, ბოლი აღინეს ქვაზედა;
 წამაიყვანეს ლამაზი, ცრემლი დის შავსა თვალზედა,
 წინ ფშაველ შამეყარა, თხის ტყავი ეცვა ტანზედა,
 — ეი, ქისტებო, სად მიხვალთ, ვის მიადექით კარზედა,
 5 სადიდან მოგყავთ ეს ქალი, ცრემლი რო მოსდის თვალზედა?
 — არხორით წამოიყვანეთ, წართმეულია ძალზედა.
 — თუ ეგ ქალ წაგიყვანინოთ, წვერიმც ნუ მიდგა ყბაზედა.
 — იქითა, თხისტყავიანო, სისხლ არ გაგვაცხო ტანზედა. —
 თხის ტყავი გადაიყრენა, ჭაქვი გამოჩნდა ტანზედა.
 10 შეიღ ქისტი, ერთი ფშაველი, გავიღენ საომარზედა.
 შეიღთავეს დასჭრა თავები, მკედარი დააწყო მკედარზედა.
 შეიღთავე აყარა თოფები, ქალს ჩამოჰკიდა მხარზედა.
 — აღექ, წავიღეთ ქალაო, ვიაროთ დამშობაზედა. —
 ქალი ღელას მუუყვანა, თვითონ ბრუნდება გზაზედა.
 15 — აპა, წაიყვა, შვილოჟან, იგოროს შენსა მკლავზედა.
 — არა, რას ამბობ ღელიჟან, ვიარეთ დამშობაზედა. —
 არ დაიშალა წყეულმა, ხობობს მიუხდა კარზედა.
 — მოდი, მობრუნდი ფშაველო, გვეწვიე ლედის სმაზედა.
 ამელამ გვაქუ ქორწილი, ნეფიონ მოვა კარზედა.
 20 — ნეფიონ ველარ მოგიავთ, დარჩნენ არხორის მთაზედა.
 შეიღთავეს დავქერ თავები, მკედარი დავაწუე მკედარზედა. —
 მამა ლორღავდა კარებსა, ღელა იცემდა თავზედა,
 — ვაიმე, ჩემო შვილებო, დამრჩით იმ ციხსა მთაზედა.

მთქმელი ვ. ჩოხელი. ს. ჩოხი. ჩამწ. ელ. ვირსალაძე, 1946 წ., ვირსალ., № 38, გვ. 121. გუდამაყარშია ჩაწერილი აგრეთვე ტექსტები:

მბ

მთქმელი პელო აფციაური. დუმაცხო. ჩამწერი ელ. ვირსალაძე. 1950 წ. ვირსალ., გვ. 447—448.

მბ

მთქმელი ნადიბაიძე ივანე ანტონის ძე, ნადიბაანკარი. ჩამწერი თამარ ოქროშიძე, 1950 წ., ვირსალ., გვ. 448.

მგ

- ნელად მოვიდა ხოხობი, შატილჩი დაჭდა კარზედა,
 ხუთ გავზარდეთ წიწილი არწივის ნაბუღარზედა.
 ხუთთავ ვუყიდე თოფ-ხმალი, ხუთთავ შავაბი ტანზედა.
 დედამ მასწყევლა შვილებსა, ცრემლი მადგა თოლზედა:
- 5 ნემც მამიხოლით ცოცხლები უსახელონი ცხოზედა.
 ადგეს და გამამართნეს ახადის მუქარაზედა.
 ახადს გოდერძის ციხეო, დეგენეს თენებაზედა,
 ძირს ლიბო გამაგაცალეს, ალი აუშვეს ცაზედა.
 გამაიყვანეს თამარი, ეშურებიან გზაზედა,
- 10 წინ დახედა ბალიური, თხის ტყავი ეცო ტანზედა;
 — საით რა მაგყავთ ე ქალი, ნატირალ მაჩნავ თოლზედა.
 — გამოვიტაცეთ ახადით, შატილს უნდ დავსოთ ჭარზედა,
 — აქვეა მაგის საქმარე — გაზლილი ლერწმის ტანზედა.
 თე ეგ თქვენ წაგაყვანიანთ, წვერი ნუ მესხას ყბაზედა,
- 15 ნემც მიტირებენ დედანი, ნემც მოქესელება ჭარზედა.
 ხუთ-ლეკმა, ერთმა ხევსურმა ხელებ გაიკრეს ხმალზედა.
 ხუთთავ დაქრა თავები, ერთის მინუტის ხანზედა,
 ხუთთავ აჰყარა თოფ-ხმალი, ქალო, შენ გქონდეს მხარზედა.
 მაშინის უთხრა თამარმა: — ცოლქმრობა ითქოს ჩვენზედა.
- 20 — რას ამბობ, ქალო-თამარო, რამა შავშალა ჭკოზედა,
 ეგ სიტყო გადაივიწყე, და-ძმობა ითქოს ჩვენზედა,
 მაშინის მამიგონოდე, — როცა მიხვიდე ჭარზედა.

ჩაწერილი ხევში. მოხ., გვ. 114. სათაურად აქვს „ხოხობი“. ეს ვარიანტი კონტამინაციის ნიმუშია. მსგავსად ნათაძის ვარიანტისა, აქაც ქალის სახელი თამარია. ოღონდ სხვა ვარიანტებისაგან განსხვავებით გატაცებული ქალის ქომაგად ხევსური ბალიურია გამოყვანილი. ცნობილია კიდევ მოხეური ვარიანტი:

მდ

სოფ. სნო. ჩამწერი ალექსი ლუღუშაური. სათაურად აქვს „ლექსი „თხისტყავიანისა“. ლიტ. მუზ. 8480—ხ, ყ—918, გვ. 72.

მე

შატილს მოვიდა ხოხობი, გულდიდათ დაჭდა ჭარზედა!
 შვილნი დაზარდნა წიწილი არწივის ნაბუღარზედა.

- შვიდთავ უყიდა ხირიმებ ლერწმებ დაჰკიდა ტანზედა.
 შვიდთავ უყიდა ფრანგულეზ, ლერწმებ შემოარტყ წელზედა!
- 5 გამოისტუმრის საფშავლოს, შვილებ, შვიდობით გზაზედა,
 ახადს რო ერთი ქალია, ის აქ მომგვარეთ კარზედა!
 ახადს გოდერძის ციხეო, შიშით გაქანებს ქარია,
 ორშაბათს გასათენოდა ალი აგვხვიეს თავზედა!
- 10 შვიდი მთა გადმოატარეს ფშავლების მუქარაზედა!
 თადია შემოეყრება — თადია, მალა მთაზედა.
 ჭერ ჰკოხის გამარჯობასა, მემრე ჰყეით ამბავებესა.
 — ეს ქალ საიდან მოგყავისთ, რო მოატირებთ გზაზედა?
 — ეს ქალი მოგვეყავს ახადით — შატილს უნდ დავსვათ ჯარზედა!
- 15 — ეს ქალ თუ თქვენ გაგატანოთ, წვერიმც გააცივია ყბაზედა!
 ქალ უკან გამოაბრუნის — თვალზე შაპრისი ცრემლია!
 შვიდ ქისტმა, ერთმა ხევსურმა, ხელნი გაიკრის ხმალზედა!
 თადიამ ღმერთი ახსენის, შემოურბინის განზედა!
 თადიას ხმლისა ქნევაში — კლაეზე გადაზღის სისხლია!
- 20 შვიდთავე დასკრის თავები; დაყარის შუა გზაშია!
 თავის ხმალ ქალსა შაარტყის, დაო, მშვიდობით გზაზედა!
 მამას მითქვიდი გოდერძის, ქებას ნუ იტყვის ჩენზედა!
 აპყარის ქისტებს იარაღ, აისხის ლერწამ ტანზედა!
 შინაის წამო თადიავე, ვაჟკაცი სახელოვანი.
- 25 წინ ღედა მავეგებობოდ, დაჰკოცნის ორსავე თვალებსა!
 ღედის იმედო თადიავე, გაზრდილო ცოდვა-ქირითა;
 ზევიდამ გახდის ტანსამოს, დაჰპოხავს ირმის ტვინითა!

მთქმელი საბა ითიურითქე. ს. ზემო ალვანი. ჩამწ. ვ. ბუთლიაშვილი. ლიტ. მუზ. 20006—ხ, ყ—329, გვ. 30. ქალის მსხნელი თადია ხევსურადაა გამოყვანილი.

თუშურია ვარიანტები:

მგ

მთქმელი სოლომონ სულხანიშვილი. ზემო ალვანი. ჩამწ. იოს. ლონგიშვილი. 14.VII—1961 წ. ფ. არქ., კ. 23, გვ. 411.

მზ

მთქმელი სოსო ქარუმაშვილი. ზემო ალვანი. ჩამწ. იოს. ლონგიშვილი. IX—1961 წ. ამ ვარიანტით გოდერძის ქალი ხან თამარად იწოდება, ხან — თინად. ფ. არქ., კ. 24, გვ. 73.

არის ვარიანტები, რომელთა ჩაწერის ადგილი ცნობილი არ არის. ასეთებია:

ჩამწერი გ. ნათაძე. ნათ., № 15, გვ. 7.

6

ლიტ. მუზ. 20070—ხ, ყ-341, გვ. 91, სათაურად აქვს „ხ ო ხ ო ბ ი“
არის აგრეთვე მრავალი უპასპორტო ტექსტი:

ლიტ. მუზ. 20013—ხ, ყ. 330, გვ. 65; იქვე, 8483—ხ, ყ—92.
იქვე, 20063—ხ, ყ—340, გვ. 51; იქვე, 8480—ხ, ყ—918, გვ. 27. იქვე,
20033—ხ, ყ. 334, გვ. 96; იქვე, 20019—ხ, ყ. 331. გვ. 37. ხ ე ლ ნ ა წ .
ი ნ ს ტ. H — 2009; H — 2017; ფ. ა რ ქ., № № 779ა, 11920, 12958,
17571, 32501; კ. 27, გვ. 51; კ. 27, გვ. 162.

190. გზას მიდიოდნენ მგზავრები

მთქმელი პავ. ბეჟაური. ქართლი. სოფ. გოსტიბე. ჩამწერი ან. კა-
ჭანაძე. კოტ., გვ. 199, ახ. გამოც., გვ. 218. იმავე თემას ეხება, რასაც
წინა ნომერი. ეს და მომდევნო ნომერი იმის მაჩვენებელია, რომ ლექ-
სების ციკლია შექმნილი ქისტების მიერ გოდერძის ქალის გატაცებასა
და ქართველი გმირის მიერ ქალის დახსნაზე. ამ ლექსით ქალის
მხსნელი აფციაურია. ლექსის მთქმელი მთიულია. როგორც აღვნიშნეთ,
წინა ნომრის ერთი მთიულური ვარიანტიცაა ქალის მხსნელი მთიული
აფციაურია. ეს ჩეულებრივი მოვლენაა ზეპირსიტყვიერებაში. —
მთქმელები საყვარელ გმირს თავისი კუთხის მკვიდრად მიიჩნევენ.

191. ახალის ციხე

მთქმელი პ. გორელიშვილი. სოფ. ჩაბანო. ჩამწერი მ. წიკლაური,
1962 წ. ფ. არქ., კ. 113, გვ. 195.

192. კახეთში ფუნათ ჯამრული

ფშავი. ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 3.

კ ა ხ უ რ ი

ბ

- კახეთში ფუნჩათ ჩამრული ათეთრებს შუბის ტარსაო,
პირდაპირ გამოხედვდა მალას ბორბალო მთასაო.
ვერ გადივლისა ლურჯაი, ვერ მოკიდებსა პწყალსაო,
უკულმა დასქედს ლურჯასა, უკულმა დაკრავს ნალსაო.
- 5 ქაივ ქარსამაულო, ქმარს რად უქარგავ ტყავსაო,
მოვალის ფუნჩათ ჩამრული ცხვრებურად მოსქრის თავსაო.
ცხენის გავაზე შეგისვამს, წაგაღებინებს ქარსაო.
მოზდიონ ქარსამაულთა უკულმ ნაქედის კვალსაო. —

მთქმელი ნადირაშვილი მარკოზ. ჩამწერი გ. გობრონიძე. ფ. არქ.,
კ. 9, გვ. 66.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

- კახეთში ფუნჩათ ჩამრული ათეთრებს შუბის ტარსაო.
„ბორბალ არ გამოვიდა? გაახედნებს ბორბლის მთასაო“.
„ვერ გადივლისა ლურჯაი, ვერ მახკიდებსა ნალსაო?“
ქაივ ქარსის ქალო, ქმარს ნუ უქარგავ ტყავსაო
- 5 მოგვიათ ფუნჩათ ჩამრული, მასქრის ცხვარივით თავსაო.
ცხენის გავაზე შავისომს, შეგავლებს ბორბლის მთასაო.
„მასდივან ქარსამაულთა უკულმა ნაქედს ნალსაო“.

ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 119, გვ. 45.

დ

- კახეთ ზის ფუნჩათ ჩამრული, შუბვ, გაგითეთრებს ტარსაო,
თუშურთ კითხულობს ამბავთა, კითხულობს ბორბლის მთათაო:
ვერ გამოვიდა ბორბალი, ხვად ვერ აბომსა ნალთაო?
ევ ქარსამაულთ ცხვარ-წყემსი, არ გაჰავდა მთათაო?
- 5 დადიდდეს ქარსამაულნი, ჩავალ, ჩავევლებ თვალსაო,
დაღბრიყვიებივა წყემსები, ჩამრულ ჩაუყრის კკოოაო
ქაივ ქარსამაულო, ქალს ნუ უქარგავ ქმარსაო.
თუში რო შახვდას გულადი, გავისრევიებს თავსაო,
თან შენაც გადაგიყოლებს, გასმევედა ბორბლის წყალსაო,
- 10 ვავლევდა ფეხშიშველასა თვირთვილიანთა მთათაო.
ჩამაგსომს საანჯბოშია, თუშეთს მავლებ თვალსაო,
პირდაპირ დაგიკიდებენ ძმის ზამბულაკას ფარსაო.

ჩამწერი ალ. ოჩიაური, ოჩ., გვ. 39.

კახეთ ძის ფუნჩათ ჯამრული, შუბო, გაგათლის ტარსაო,
კითხულობს თუშურს ამბავსა, ბორბალ გადმასულს მთასაო:
„არ გამავიდა ბორბალი? ცხენ ვერ მახკიდებს ნალსაო?
ქარსამაულთა ცხეარ-წყემსსა ერთხან მავაელებდ თვალსაო.

- 5 დაღბრიყეებიან წყემსები, ჯამრულ მასხამს კვეასაო!“
კაითა, ქარსამის ქალო, ძმის ნუ უქარდავ ტყავთაო, —
მავალის თუში გულდიდი, მავა, მაგიქრის თავსაო,
ქალას თან გამავიყოლებს, ბორბალ გასმევედას წყალსაო.
გავლევდა ფეკშიშველასა თვირთვილიანთა მთათაო,
10 ჩავიყვანს ომალოჩია, შამაგხევეს თუშის ქალთაო.

ავტორი-მთქმელი ჩ. ლიქოკელი. ხახაბო. ჩამწერი: ალ. ჭინჭარაუ-
ლი. ჭინ., გვ. 416. სათაურად აქვს „ფუნჩათ ჯამრული“.

თ უ შ უ რ ი

3

ალენში ფუნჩათ ჯამრულსა, შუბო, გითეთრებს ტარსაო;
ბორბლისა მთებსა დახედავს: ცხენ ვერ მოხკიდებს ნალსაო,
ტყემან მოისხას ფოთოლი, მხედარმ დაღმალოს თავიო.
ქალო, შენ ქარსამაულო, ქმარს რად უქარგავ ტყავსაო?

- 5 თუში ბეერია, გულდიდი, ჯამრულ მოგიქრის თავსაო.
ჩამოგსვამს ალის გორშია, ჩამოგიჟაპნავს თმასაო;
პირდაპირ ციხეს მიაკრავს შენის ქმრის მარჯვენასაო;
შემოვიდოდეს, ტიროდეს, ცრემლით იბანდეს პირსაო!..

ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., № 81, გვ. 102. სათაურად აქვს
„ჯამრული“.

193. ეროი ხმხსურისა

მთქმელი გ. არაბული. სოფ. თრანი (თიანეთის რ.) ჩამწერი
შ. კონსტანტინიდი, 1961 წ. ფ. არქ., კ. 21, გვ. 37—38.

194. ხახაბოს დალაშჰვრა

მთქმელი ლ. მინდიკაური. ხახაბო. ჩამწერი ა. ჭინჭარაული. ჭინ.,
გვ. 371. ტექსტს უძღვის მთქმელის მონათხრობი, რასაც მნიშვნელობა
აქვს ლექსის რეალური საფუძვლის დასადგენად: „აი, ე ჩვენ თალას

ქალ რო წაუყვანავ, მაშინ ნათქვამიც-ა ერთ სიმღერა. ხახაბოს ლაშქარ დასცემია — და შინ არავის ყოფილ ქალ ყოფილ ერთი და იმას უსრევავ თოფი. ლაშქარს უფიქრებავ: „მეთოფე ვინამ გვიძისაო“ — და გაბრუნვილარის. მემრ ვისამ უნახავ ლაშქარ ჩიგურს, რომ ჩარდახჩიგით ქალის დარალან ჩამაშლილან, მაშინ შასულან ციხეჩია ის ქალიც ტყვედ წაუყვანავ“. საინტერესოა აგრეთვე მთქმელის ცნობა, რაც ერთვის ტექსტს: „ჩვენ სიძე ყოფილ ბეენა. აქით ის გაქცეულ კმა რო გატეხილ, იმაზედ-ა ნათქვამი.

ბუყიეხ რო მიუყვანავ ი თამარი, იმას მანდლითა წყალ უსმევავ ლაშქრისად თითობით: „აგებ დავგვიანდათაო-და მამულნ მამივიდანავ“. მისწვეიანაც მემრადე კი...“ იქვე, გვ. 371—372.

195. ანრჩლას ქალი ტყვედ

ხევსურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 39, გვ. 14. ჩამწერის შენიშვნა:

„ხევსურის ქალები და მათ შორის ხირჩლას ქალიც ლეკებს წაუსხამ ტყვედ. ქალები თურმე არ მისდევდნენ. ამისთვის ერთი ქალი მოკლეს თურმე კიდევ. ხირჩლას ქალმა უთხრა ამხანაგებს: ქალებო, გავყვეთო, თორემ შატილელები გაიგებენ, მდევარი გამოგვყვება და ვაი თუ ლეკებმა მოკლან ვინმე და მაშინ იმათი ცოდვა ჩვენ დაგვედებო. ხევსურს ძვირად უღირს სიცოცხლე თვითეული წევრისა და ამიტომ აქებს ხირჩლას ქალის საქციელს. წასულან პატრონები და გამოუსყიდიათ ის ქალები სისხლის დაუღვრელად“. შან., გვ. 336.

196. არსობინენაბს

ავტორი აბიკა წიკლაური. ჩამწერი ერ. ბალიაური. შან., № 266, გვ. 119—120

197. შამომეყარა ყივიჩალი

მთქმელი ვ. კავთიაშვილი. ქართლი. სოფ. სასხორი. კოტ., გვ. 74. ახ. გამოც., გვ. 91. ძირითად ტექსტთან ახლოს არის ს. მერკვილაძის მიერ „აკაკის კრებულში“ (1899; XII,—განყოფ. II, გვ. 152) გამოქვეყნებული ვარიანტი. უმნიშვნელო ენობრივი სხვაობით ძირითად

ტექსტის იმეორებს აგრეთვე სოფ. ლაილაშში ჩანაწერი შ. ახვლედიანისა. ლიტ. მუხ. 20046—ხ, ყ. 336, გვ. 33. დათარიღებულია V—1935 წ. განსხვავება — სტრიქ. 315. ვ ა ჯ ა მ ი. ძირითად ტექსტს ემთხვევა აგრეთვე ალ. გომიაშვილის და რ. გვეტაძის მიერ შედგენილ კრებულში გამოქვეყნებული ტექსტი, ოღონდ აკლია ორი სტრიქონი 20—21. (ხალხური პოეზია. რჩეული, 1950 წ., გვ. 63—64). საისტორიო წყაროების საფუძველზე ვ. კოტეტიშვილმა დამაჯერებლად დაათარიღა ეს ბალადა. მკვლევარი აღნიშნავს: „...დავით აღმაშენებელმა ყივჩაღები უმთავრესად ქსნის ხეობაში დასახლა, და ჩვენი ლექსიც სწორედ ამ ტერიტორიას აღნიშნავს, მაგრამ საინტერესო არის იმ საკითხის გამორკვევა, თუ ყივჩაღებმა როდის აიშვეს თავი, როდის დაიწყეს შარა გზებზე დახვედრა და ქალების ტაციობა, რასაც ლექსი მოგვითხრობს? XIII საუკ. დასასრულსა და XIV საუკ. დასაწყისს... შემდეგში კი ყივჩაღთა სახსენებელი ჰქრება. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ხსენებული ლექსი, XIII—XIV საუკუნეებზე გვიანი წარმოშობისა არ უნდა იყოს“. კოტ., გვ. 335—336. ახ. გამოც. 363—364. მიხ. ჩიქოვანის მოსაზრებით ეს ბალადა უფრო ადრე, ყივჩაღების ჩამოსახლების პირველ პერიოდში, დავით აღმაშენებლის სიცოცხლეშია შექმნილი. (მიხ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 337.). საინტერესო ნარკვევი მიუძღვნა ამ ბალადას გიორგი შატბერაშვილმა. მანვე შენიშვნებით გამოაქვეყნა მისი ვარიანტები (გიორგი შატბერაშვილი, „ბალადა ქართველი მოყმისა და ყივჩაღისა“, „ნათიქარი“, 1959 წ., გვ. 35—88). თუმც ძირითადი ტექსტის მიმართ ვერ გავიზიარებთ მწერლის შეხედულებას. ამის თაობაზე დასაბუთებული მოსაზრება გამოთქვა ლალი ბერძენიშვილმა; (ლ. ბერძენიშვილი, ფოლკლორული ჩანაწერები „აკაკის კრებულში“, მ ა ც ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 1, გვ. 80—81). ვარიანტებიდან ჩანს, რომ მთქმელების უმეტესობას აღარ ესმის სიტყვა ყ ი ვ ჩ ა ღ ი ს მნიშვნელობა. ამიტომ არის იგი შეცვლილი და ვარიანტებში იხსენიება — ხ ი რ ჩ ლ ა, ხ ი რ ჩ ლ ა ს ძ ე, ყ ი ბ რ ა გ ი, ჯ ი მ შ ე რ ი, ჯ ი ჯ ი ბ ი, ყ ა ჩ ა ღ ი და სხვ. ამავე ბალადას ეხება გ. კალანდაძე თავის წიგნში (ქართული ხალხური ბალადა, 1957, გვ. 42—47). ბალადა თარგმნილია რუსულად ნ. ზაბალოცკის მიერ.

ქ ა რ თ ლ უ რ ი

ბ

ამბავსა შკითხამ, გაამბობ, ნეტავ იმ ჭიჭიბისასა!
ჩვენ სამნი შავიყარენით სამზღვარსა მუხრანისასა.

- ამბავსა მკითხამ, გიამბობ, ნეტავ იმ ჭიჭიბისასა!..
 პურსა მთხოვდა და ვაჰმეველი, ვურჩევდი ქაბახისასა;
 5 ღვინოს მთხოვდა და ვასმეველი, ვურჩევდი ბადაგისასა;
 ხორცსა მთხოვდა და ვაჰმეველი, ვურჩევდი კაკაბისასა;
 ცოლი მთხოვა და ვერ მიეე, მიმყვანდა სიმამრისასა.
 ხელი გადასლო, აყოცა ნაწნავსა გიშრის თმისასა.
 ფრანგულსა ხელი გავიკარ, ნაჩუქებ ცოლი ძმისასა;
 10 ერთი ისეთი შემოვკარ, წვერმა უწია ქვიშასა.
 ერთი იმანაც შამამკრა, ელვასა ჰგვანდა ცისასა.
 აქეთ მე ვკვდები, იქით ის, ქალი წავიდა ძმისასა.
 შანდობას შინც იტყვიან მე და იმ ჭიჭიბისასა!

ქართლი, სოფ. დილომი. ჩამწერი იროდიონ სონღულაშვილი. თაყ.,
 I, № 94, გვ. 110.

ბ

- ამბავსა გეტყვი, გიამბობთ ამბავსა ყივიჩლისასა,
 ჩვენ სამნი შევიყარენით სამზღვარსა მუხრანისასა.
 პურსა მთხოვდა და ვაჰმეველი, ვურჩევდი თავთუხისასა,
 ღვინოს მთხოვდა და ვასმეველი, ვურჩევდი ლალისფრისასა.
 5 ხორცსა მთხოვდა და ვაჰმეველი, ვურჩევდი ხოხობისასა,
 ცოლი მთხოვა და არ მივეე, ჩემი ვარჩიე სხვისასა,
 ან კი ცოლს როგორ მივცემდი, მიმყავდა თავის ძმისასა.
 არ დაიშალა, აყოცა ცხრანაწნავ გიშრისთმისასა.
 10 ასტირდა ქალი, ასტირდა, „ვაი, უყანო ქმრასასა!“
 ისეთი გული გამიხდა, მორევსა გავდა ზღვისასა.
 ლეკურ ხმალს ხელი გავიკარ ნაჩუქარს ცოლისძმისასა,
 უწინა იმან მომასწრო, რისხვასა გავდა ხეთისასა.
 ერთი ასეთი გადავცხე, წვერმა უწია ქვიშასა,
 თავს ის მოკვდა და ბოლოს მე, ცოლი წავიდა ძმისასა.
 15 დავჯექ და ქვაზე დავწერე — ქალასა ცინცილისასა,
 ვინც გაიაროთ, ასე სთქვით შენდობა დიაკვნისასა.

მთქმელი სონკა ცხვედაძე. სოფ. კეხიჭვარი (ქარელის რ.) ჩამწერი
 მალაქია ჭიანი, გ. შატბერაშვილი, ნაფიქრი, 1959 წ., გვ. 73—74. სა-
 თაურად აქვს „ყივიჩლის ლექსი“.

ღ

- თუ მკითხავთ, ამბავს გიამბობთ ჩემსა და ჭიმშერისასა,
 მეღ' ჭიმშერ შევიყარენით სამძღვარსა მუხრანისასა.
 პური მთხოვა და ვაჰამე, ურჩევდი თათუხისასა,
 ხორცი მთხოვა და ვაჰამე, ურჩევდი ხოხობისასა.
 5 ღვინო მთხოვა და ვასმეველი, ურჩევდი ბადაგისასა,
 ცოლი მთხოვა და არ მივეე, მიმყავდა სიდღერისასა.

- აკოცა, მკლავი მოხვია, ნაწნავსა გიშრის თმისასა,
 მაშინ მენც ხელი გავიქარ ნაჩუქარს ცოლის ძმისასა.
 ხმლით გავკერ შუა ჭიმშერი, წვერი უწივა ქეიშასა.
- 10 ჭიმშერმაც გადმომიქნია, ელვასა გვანდა ცისასა.
 უთხარ, ნუ მებრძვი ჭიმშერო, გულითა კაჟის ქვისასა,
 ცოცხალი ვეღარ წაუხვალ — ხმალს გველისპირის ფხისასა.
 სულის მებრძოლი დავტოვე სამძღვარსა მუხრანისასა,
 მე აქ გაიპობთ ამბავსა, ჭიმშერ იქა სთხრის მიწასა.
- 15 ჭიმშერთან გამარჯვებული ვქეიფობ ცოლისძმისასა,
 კრილობას ყურსაც არ უგდებ ჩემზე ჭიმშერის ხლმისასა.
 თქვენ ქალსა ჰკითხეთ ამბავი, გაიპობთ თავის ქმრისასა,
 მაგან უყურა ხმლის ქნევას ჩემსა და ჭიმშერისასა.

ქართლი სოფ. წიფთორი (კასპის რ.). მთქმელი მელექსე ალექსანდრე გოგოლაური, გ. შატბერაშვილი, ნათქმრი, გვ. 75—76. სათაურად აქვს „ჭიმშერის ლექსი“. თუ როგორ იცვლება ტექსტი ზეპირბრუნებაში თვით ერთი და იმავე მთქმელის მიერაც-კი. ამის მაჩვენებელია მომ-
 დენო ე ვარიანტი.

ე

- მკითხავთ და ამბავს გაიპობთ ჩემსა და ჭიმშერისასა.
 მეღ' ჭიმშერ შავიყარენით სამძღვარსა მუხრანისასა,
 პური მთხოვა და ვაქამე, ურჩევდი თათუხისასა,
 ყველი მთხოვა და მივართვი, ურჩევდი გუდის ცხვრისასა,
- 5 ხორცი მთხოვა და უნებე, ვაძლევდი ხოხობისასა,
 ღვინო მთხოვა და ვასმევდი, ურჩევდი ბადაგისასა,
 ცოლი მთხოვა და არ მივეც, მიმყავდა სიღედრისასა.
 არ დაიშალა, აკოცა ნაწნავებს გიშრის თმისასა,
 მაშინ მეც ხელი გავიქლე, ხმალს ნაქონს ცოლის ძმისასა,
- 10 ცხენ-კაცი გავაჟაფინე, წვერი უწივა ქეიშასა.
 ჭიმშერმაც გადმომიქნია, მეღვარსა ჰგვანდა ცისასა,
 უთხარ: — ნუ მებრძვი ჭიმშერო, გულითა ვაჟის ქვისასა,
 ცოცხალი ვეღარ წაუხვალ, ხმალს გველისპირულს ფხისასა.
 სულთან მებრძოლი დავტოვე, საზღვარსა მუხრანისასა.
- 15 მე აქ გაიპობთ ამბავსა, ჭიმშერ იქა თხრის მიწასა,
 ჭიმშერთან გამარჯვებული ვქეილობ ცოლის ძმისასა.
 კრილობას ყურსაც არ უგდებ, ჩემზე ჭიმშერის ხმლისასა,
 მალამო არა სჭირდება შეხვეულს სიღედრისასა.

მთქმელი ალექსანდრე ივანეს ძე გოგოლაური. დაბადებით ინვა-
 ლიდი. არის ავტორ-მთქმელიც. სოფ. წიფთორი (კასპის რ.) ჩამწერი
 გ. ყაბანაშვილი. 19. VII—1961 წ. ფ. არქ., ქ—60, გვ. 144. სათაურად
 აქვს „ყაჩაღის მსხვერპლი“.

ცნობილია სხვა ქართლური ვარიანტები:

მთქმელი კარბელი ეფრემ გორშიშელი: ჩამწერი ივ. ტერ-სტეფანოვი. უმიკ., № 48, გვ. 51. მითითებულია ვარიანტების განსხვავებათა აღნიშვნით. იქვე, გვ. 556.

ზ

ს. ატენი. ჩამწერი ანეტა კაპანაძე. ხელნაწ. ინსტ. H 2449, № 80.

ყ

სოფ. ბროწლეთი. ჩამწერი ვარლამ თოფურია. „არილი“, 1925 წ. სამი ლექსის კონტამინაციის ნიმუშია. პირველი რვა სტრიქონი და მომდევნო ექვსი სტრიქონი დამოუკიდებელი ლექსებია. ეს ლექსები მთქმელს შინაარსობრივად დაუკავშირებია და გადაუბამს ბალადის ამ ვარიანტისთვის.

თ

მთქმელი სოლომონ კაციაშვილი. ს. თვალადი. ჩამწერი გ. შატბერაშვილი. გ. შატბერაშვილი, „ნაფიქრი“, 1959 წ., გვ. 76—77.

ი

მთქმელი გ. გაბანაშვილი. ს. თვალადი. ჩამწ. გ. შატბერაშვილი. მთქმელს ბავშვობაში გაუგონია ნორიელი მეცხვარის 63 წლის ალექსი ნიკოლაშვილისაგან. გ. შატბერაშვილი, „ნაფიქრი“, გვ. 72—73.

ია

მთქმელი კოტე ონოფრიშვილი 1873 წ. დაბადებული. მომღერალი, წ. კ. უცოდინარი. ავტორ-მთქმელი. ს. კავთისხევი. ჩამწ. გ. ყაბანაშვილი, 10. VII—1961 წ. ფ. არქ., ქ. 60, გვ. 75

იბ

მთქმელი დავით სონდულაშვილი. ს. დილომი. ჩამწ. ჯ. სონდულაშვილი. 1949 წ. მასალ., II, გვ. 19. ამ ვარიანტში „ყ ი ვ ჩ ა ლ ი ს ნ ა ც ე ლ ა ლ ი ხ ს ე ნ ი ე ბ ა ყ ი ყ ლ ა ლ ი“.

იზ

ამბავსა ჩემსა გიამბობ, ჩემსა და ყაჩაღისასა,
 ცოლი მიმყევანდა სამშობლოს, სამშობლოს სიმამრისასა.
 ყაჩაღი შემემყვარა სამძღვარსა მუხრანისასა.

პურსა მთხოვდა და ვაჰმევედი, გამამცხვარ ქაბახისასა.

- 5 ხორცსა მთხოვდა და ვაჰმევედი, შემწვარსა კაკაბისასა,
 ღვინოსა მთხოვდა, ვასმევედი ტბილსა და ბადაგისასა.
 ცოლი მთხოვა და არ მივე, მიმყევანდა ცოლისძმისასა,
 არ დაიშალა ყაჩაღმა, გაღმევეწოდა, აყოცა ცხრა ნაწნავ გიშრი თმისასა.
 ქალმა შაახედა, შასტირა, ბრალი ამ ჩემი ქმრისასა.
- 10 ხანჯალზედ ხელიც გაივლე, ნაჩუქარ ცოლისძმისასა.
 ერთი გადააქრა ყაჩაღსა, ელვასა ჰგვანდა ცისასა.
 მეორეც გადაუქნეი, რისხვასა ჰგვანდა ღვთისასა.
 კაცი და ცხენი გადააქრა, წვერმა უწივა ქვიშასა.

მთქმელი სანდრო შეღვიაშვილი, 73 წლის. ყვარელი. ჩამწ. ქს. სი-
 ხარულიძე, 1947 წ. ქს. სიხარულიძე, ნარკვევები, 1, 1958 წ., გვ. 353.
 პეტრე უმიკაშვილის არქივით ცნობილია აგრეთვე სოფელ მარაბდაში
 ნინო ბარათოვის ჩაწერილი ვარიანტი. იგი ახლოს არის ქართლურ ბ
 ვარიანტთან. თავისებურია დასაწყისი:

იღ

სამზღვარსა შავიყარენით, სამზღვარსა მუხრანისასა,
 ცოლი მყევანდა და მიყვარდა, მიმყევანდა თავის ძმისასა.

თავისებურია აგრეთვე დასასრული ტექსტისა.

სატევარ ხელი გავიყარ, ნაჩუქებ ცოლის ძმისასა,
 ერთი ასეთი უსართე, წვერი უწვდინე ქვიშასა.
 ერთი იმანაც მისართა, ელვას ვამსგავსე ცისასა.
 აქეთ მე მოვკვდი, იქით ის, ქალი წავიდა ძმისასა.

უმიკ., გვ. 556. არის კახური ვარიანტები:

იპ

მთქმელი გ. მუსაშვილი. ნაფარეული. ჩამწ. დ. წერედლიანი. 10.VI—
 1961 წ. ფ. არქ., კ. 5.

იზ

მთქმელი თამარ ქააძე. ჩამწ. იოს. ლონგიშვილი, XII—1961 წ. ფ.
 არქ., კ. 24, გვ. 123.

იზ

- თუ მკითხავ, კიდეც ვიამბობ ჩემსა და ლომისისასა...
 ა ჩქ სამ შავიყარენით — საბრუნსა სამუხისასა;
 პური მთხოვა და ვაქმიე, ვურჩევედი თათუხისასა;
 ხორცი მთხოვა და ვაქმიე, ვურჩევედი ხოხობისასა;
 5 ლეინო მთხოვა და ვასმიე, ვურჩევედი კახეთისასა;
 ცოლი მთხოვა და ვერ მივე, მიმყავდა სიღვდრისასა,
 ადგა და ხელი გააბა ნაქაანსა გიშრის თმისასა.
 ამიტირდა და ამოთქვა: „ვაი ცოლს ცუდის ყმისასა“.
 შამრცხვა და ხელი გაეიყარ ნაჩუქარს ცოლის ძმისასა;
 10 უწინავე იმანავე დამასწვრა, ელვასა ჰგვანდა ცისასა;
 ახლა მე გადაუქმიე, რისხვასა ჰგვანდა ღვთისასა;
 სუქსა ვეც, გულსა ეწია, წვერი უწვდინა ქვიშასა.
 ცოლსა ნუ ხელაე, ვაჟო, თავს უკეთესის ყმისასა,
 გაიგებს, გაგიჭაერდება, ვადას მოჰზიდნებს ხმლისასა.

მოყვანილია ვაჟა-ფშაველას წერილში „ფშაველები“, როგორც
 ძველ ხანაში ე. ი. კაპიტალიზმის შემოკრამდე შექმნილი ლექსის ნიმუ-
 ში. ტ. V, გვ. 19—20.

იი

- მე-დ ხირჩლა შავიყარენით სამძლევარსა მუხრანისასა;
 ხორცი მთხოვა და ვაქმიე, ვურჩევედი სასუქისასა;
 პური მთხოვა და ვაქმიე, ვურჩევედი თათუხისასა;
 ლეინო მთხოვა და ვასმიე, ვურჩევედი ზადაგისასა;
 5 ცოლი მთხოვა და ვერ მივეც, მიმყვანდა სიღვდრისასა;
 არ დიჭერა, — აკოცა ნაწნავსა გიშრის თმისასა,
 ქალმა დაიწყო ტირილი, — ვა ცოლსა ცუდის ყმისასა!
 ხელი გაეივლე ფრანგულსა, ნაჩუქარს ცოლის ძმისასა,
 წინ-წინ იმანავე დამასწრო, ელვასა ჰგვანდა ცისასა!..
 10 გადმამიქნივა, ვერ დამკრა, წვერი უწვდინა ქვიშასა;
 ერთი მეც გადაუქმიე, რისხვასა ჰგვანდა ღვთისასა!..
 ცხენ-მხედარ დაეაკენტიენენ, წვერი ეუწვდინე ქვიშასა!..

ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 61.

იიი

ცოლსა ნუ გეუხუმრები, თავს უკეთესის ყმისასა,
 გაიგებს, გაგიჭაერდება, ვადას მოჰზიდნებს ხმლისასა,

თუ მკითხავ, კიდეც გვიამბობ ჩეპა და გიმშელისასა,
ცუდს ალაგს შავიყარენით, სამზღვარსა სამუხისასა.

- 5 პური მთხოვა და ვაკშიე, ურჩევი თათუხისასა.
ღვინო მთხოვა და ვასშიე, ურჩევი ბადაგისასა.
ხორცი მთხოვა და ვაკშიე, ურჩევი ხოხობისასა.
ცოლი მთხოვა და ვერ მივეც, — მიმყვანდა ცოლის ძმისასა.
მართომდა, არ იჯერებდა, ნაკაპნს სწვდა ქალისასა.
- 10 ქალმა იძახა წინწინა: „ვაჰ, ცოლსა ცუდის ყმისასა!“
მამინვე ხელი გავიკარ ნაჩუქარს ცოლის ძმისასა.
წინწინ იმანავ დამასწრო, ელვისა ჰგვანდა ცისასა.
ახლა მე გადაუქნიე, რისხეასა ჰგვანდა ღთისასა,
დავავლეჩინენ ცხენ-კაცი, წვერი უწვდინა ქვიშასა.
- 15 მე აქავ მოველ ცოცხალი, ის იქავა სკამს მიწასა!

მთქმელი ბეწინა წოწყურაული. ს. ინო. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი.
ხალხ. სიტყვ. III, № 142, გვ. 70. პირველი ორი სტრიქონი ცნობილია,
როგორც აფორიზმი. იგი უთუოდ შინაარსის მიხედვით წაუმძღვარა
მთქმელმა ბალადის ამ ვარიანტს.

იბ

შამოშეყარა ყინჩაი სამზღვარსა მუხრანისასა,
პური მთხოვა და ვაკშიე, ვურჩევი თათუხისასა,
ხორცი მთხოვა და ვაკშიე, ვურჩევი ხოხობისასა,
ღვინო მთხოვა და ვასშიე, ვურჩევი ბადაგისასა.

- 5 ცოლი მთხოვა და ვერ მივეც, მიმყვანდა ცოლის ძმისასა.
თითონ გადმოსწვდა კაშკაში ნაკაპნსა გიშრის თმისასა.
მამინ მეც ხელი ავიკარ ნაჩუქარს ცოლის ძმისასა.
წინწინ ყინჩამა დამასწრო, ელვის გვანდა ცისასა,
ახლა მე გადავუქნიე, რისხეასა ჰგვანდა ღვთისასა.
- 10 დავაწყვეტიე ცხენ-კაცი, წვერი უწვდინა ქვიშასა,
მე ცოლელში წაპოველ, ის იქა ლოკდა ქვიშასა.

მთქმელი ფშაველი შამილი ჩეკურიშვილი. პანკისის ხეობა, სოფ.
ყვარელწყალი, ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი, გ. შატბერაშვილი, „ნაფიქრი“,
გვ. 78. სათაურად აქვს „ყინჩაის ლექსი“. ფშაურია აგრეთვე ვარიანტი:

თბ

მთქმელი ფშაველი სისო ბუწანკალური. პანკისის ხეობა, სოფ.
ბაყილოვანი, გ. შატბერაშვილი, „ნაფიქრი“, გვ. 78—79. სათაურად
აქვს „მე და ყილჩაღი“.

კბ

შემომეყარა ყიფჩაგი ბოლოსა მუხრანისასა.

პური მთხოვა და ვაჰმიე, ვურჩევდი თავთუხისასა;

ღვინო მთხოვა და ვასმიე, ვურჩევდი ბადაგისასა;

ხორცი მთხოვა და ვაჰმიე, ვურჩევდი ხობობისასა;

5 ცოლი მთხოვა და არ მიეცე, მიშყავდა მამა-ძმისასა.

წამოღდა, ხელი წაველ ნაქაპნსა ქალის თმისასა.

ქალმა შასტირნა, შაჰკიოლა: „ამედს ვარ ცული ქრმისასა!“

დამრცხვენდა, ხელი დავიდე ვადას ფრანგულის ხლმისასა,

ჩერ ყიფჩაგმ ჩამოიქნია, რისხვასა ჰგვანდა ცისასა;

10 მერე მე გადაუქნე, წვერი უწვდინე ქვისასა.

ყიფჩაგის თავი გაგორდა, ვაი დედას ყიფჩაგისასა!

ქალ, ავდექ, წამოვიყვანე, შინ მივცუვანე ძმისასა

ჩამწერი მის. შამანაური. თაყ., 1, № 93, გვ. 110. სტრიქ. 2 დაბეჭ-
დილია ვ ა ჰ ა მ ე, შევასწორეთ ვ ა ჰ მ ი ე — სტრიქ. 3—ს მიხედვით.

მ თ ი უ ლ უ რ ი

კვ

— თუ შეითხავ, ამბავს გიამბობ ჩემსა და ჯიმშელისასა,

შავიყარენით სამძღორსა, სამძღორსა მუხრანისასა.

პური მთხოვა და მივართვი, ურჩევდი თავთუხისასა.

ღვინო მთხოვა და მივართვი, ურჩევდი ბადაგისასა.

5 ხორცი მთხოვა და მივართვი, ურჩევდი კოკობისასა.

ცოლი მთხოვა და არ მივეცე, მიშყავდა სიღედრისასა.

არ დაიშალა, აკოცა ნაწნავსა გიშრის თმისასა.

მობრუნდა, ქალმა შასტირა, — ვაი სინაბარას ქმრისასა.

— ფრანგულსა ჰელი გაეიკარ, ნაჩუქარ ცოლი ძმისასა.

10 გაგვაფე ცხენი და კაცი, წვერმა უწავა ქთისასა.

ჩვენ ერთმანეთი გაეწვევიტეთ, ქალი წავიდა ძმისასა.

მთქმელი სიმონ ადამის ძე ბუჩუკური. სოფ. ქიმბარიანი, ჩამწერი
ელ. ვირსალაძე. 1934 წ. ვირსალ., № 64, გვ. 139.

კვ

თუ გინდა, ამბავს გიამბობ ჩემსა და ხირჩლაისასა,

შვევიყარენით სამძღვარსა, სამძღვარსა მუხრანისასა,

პური მთხოვა და ვაჰმიე, ვურჩევდი ფაფუქისასა,

ღვინო მთხოვა და ვასმიე, ვურჩევდი ბადაგისასა,

- 5 ხორცი მთხოვა და ვაქმიე, ვურჩევდი ზოზობისასა,
 ცოლი მთხოვა და არ მივეც, მიმყავდა სიამამრისასა,
 არ დაიშალა, აკოცა ნაწნავსა გიშრის თმისასა.
 ფრანგულსა ხელი გავივლე, ნაჩუქარს ცოლი ძმისასა,
 ცხენ-კაცი გავაკვეთინე, წვერი უწვდინე ქვიშასა.

მთქმელი შალვა შიოს ძე ბურდული. სოფ. ქვემო მღეთა, ჩამწერი
 თ. ოქროშიძე, 1950 წ. ვირსალ., გვ. 459. მთიულურია აგრეთვე ვა-
 რიანტი:

კე

მთქმ. ალექსი ბიბილაშვილი. ს. ბიბილიანი. ჩამწ. ელ. ვირსალაძე.
 1934, ვირსალ., გვ. 459.

გ უ დ ა მ ა ყ რ უ ლ ი

კვ

- თუ მკითხავ, ამბავს გიამბობ ჩემსა და ხირჩლას ძისასა.
 შავიყარენით სამძლორსა, სამძლორსა მუხრანისასა.
 პური მთხოვა და ვაქმიე, ურჩევდი თათუხისასა.
 ხორცი მთხოვა და ვაქმიე, ურჩევდი ზოზობისასა.
- 5 ღვინო მთხოვა და ვაქმიე, ურჩევდი ზადაგისასა.
 ცოლი მთხოვა და ვერ მივე, მიმყავდა სიღედრისასა.
 არ დაიშალა, აკოცა ნაწნავსა გიშრის თმისასა,
 ფრანგულსა ხელი ავიკარ, ნაჩუქარს ცოლის ძმისასა.
 წინწინ მე იმან დამასწრო, რისხვასა ჰგვანდა ხთისასა.
- 10 ერთი მეც გადავუქნიე, არც ისი იყო უარსა.
 ჩვენ ერთურთი გავწყვიტეთ, ქალი წავიდა ძმისასა.
 გზის თავ ის მოკვდა, გზის ძირ მე, ქალი წავიდა ძმისასა.

მთქმელი ივანე ირმას ძე ჩოხელი. სოფ. ჩოხი, ჩამწერი თ. ოქრო-
 შიძე. 1950 წ. ვირსალ., გვ. 458. ამასთან ახლოს არის ივანე ნადიბა-
 იძის თქმით სოფ. ნადიბაანთკარში თ. ოქროშიძის მიერ 1950 წ. ჩაწე-
 რილი ტექსტი. თითქმის საერთოა პირველი ნახევარი — 8 სტრიქონი.
 განსხვავება — სტრიქ. 8. ცოლის — დედის. ნადიბაიძის ვარიანტის
 მეორე ნაწილი უფრო მოკლეა. თუ ჩოხელის ვარიანტი 12 სტრიქო-
 ნია — ნადიბაიძის — არის 10 სტრიქ. 8 სტრიქონის შემდეგ იკითხება:

ერთი მეც გადავიქნიეო, კიდევა ჯობდა მისასა,
 ცხენი და კაცი გაკაფა, წვერი უწივა ქვიშასა.

ვირსალ., გვ. 459.

გუდამაყრულია ვარიანტი:

მთქმელი შალვა ადამის ძე აფციაური. სოფ. ათნოხი, ჩამწერი თ. ოქროშიძე. 1950 წ. ვირსალ. 459—460. ახლავს მთქმელის შენიშვნა: „ფერხისაში დიდ ლექსებს დაძახებენ, პატარას კი არ ამბობენ“, იქვე, გვ. 460. მართებულია ტექსტზე დართული შენიშვნა: „საგულისხმოა ამ ლექსის დასაწყისი, რომელიც მის ფერხისას სახით შესრულებას მოწმობს“. იქვე.

მ ო ხ ე უ რ ი

38

- აგსა გზას შევიყარენით სამზღვარსა მუხრანისასა,
მკითხამ და მეც მოგახსენებ ჩემსა და ქინცრაძისასა.
ღვინოსა მთხოვდა, ვასმევი, ვურჩევდით შაფანცისასა,
ხორცსა მთხოვდა ვაჰმევი, ვურჩევდი ხობობისასა,
- 5 პურსა მთხოვდა და ვაჰმევი კარგსა და თათუხისასა,
ცოლი მთხოვა და ვერ მივე, ჩემი ვირჩივე სხვისასა.
არ დაიშალა, აკოცა ნაწნავესა გიშრის თმისასა.
ამიტირდა და ქალმა თქო: „გაა ქალ დანდობსა ქმრისასა!
ვაჟკაც რო ცოლი წაართონ, მიჰყვანდეს სიდედრისასა!
- 10 შოღი და ქალი ქმარს ენდოს, დახე იმედსა ქმრისასა!
ამისთანა ვაჟიკაცი ქვეშა მოექცეს მიწასა!“
ვაჟკაცმა ყური დავუგდე მე ჩემი ცოლის სიტყვასა,
ისეთი გული გამიხდა, მორევსა ჰგვანდა ზღვისასა.
ხელი ვავიკარ ფრანგულ ხმალს, ნაჩუქებ ცოლის ძმისასა,
- 15 დავკვარ, შუაზე ვაეწყვიტე, ხმალმა გაუსო ქეიშასა;
ერთი იმანაც ვადმამკრა, ლახვარსა ჰგვანდა ღვინისასა,
ორნივე იქ დავიხოცენით, ქალი წავიდა ძმისასა.
რო ვკვდებოდი, ვინანოდი: რისთვის დავდექი შარზედა,
ორივე ქალმა გვინაცვალა, ხელი გადადო სხვაზედა.
- 20 ის კაცი ცული იქნება, ვინც დადგეს ქალის ჰკვაზედა.

მთქმელი ალ. გოძიაშვილი. 1878 წ., უმიკ., № 49, გვ. 51—52.
მოხეურია აგრეთვე

39

ჩამწერილი ხევში. მოხ., გვ. 23.

თ უ შ უ რ ი

ლ

— დაჯექ, ძმობილო, მიაპბე ცლა შენი ღ' ყიბრაგისაო.
— დავეჯდებ, ძმობილო, გიამბობ: პური მთხოვ, პური ვაქამე,
ირჩევედა სიშინდისაო...

ხორცი მთხოვდ, ხორცი ვაქამე, ირჩევედა ხოხობისაო...

5 ღვინო მთხოვ, ღვინო ვასვი მე, არჩია ბადაგისაო...

ახლა ცოლს მომკიდებია, გაზარდულ სხვისა შვილსაო...

ყიბრაგმა გადმომიქნია, ელვას დაამზგავს ცისაო,

ქალმა დაძრახა ბეჩავმა: იმედო ჩემო მხრისაო!...

ყიბრაგმა გადმომიქნია, ელვას დაამზგავს ცისაო,

10 ერთი მეც გადაუქნე, ელვას დაამზგავს ცისაო.

ცხენ-მხელარ გავაწყვეტინე, წვეერი მიწასა სწვდისაო!..

მე ცოლსა ვერას გავატანდ, ხათრი მქონდ სიდღერისაო,

წელს მერტყა ქამარ-ხანჯალი, ნაჩუქარ ცოლის ძმისაო!..

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., 1, გვ. 65. ტექსტი როგორც გაგრძელება გადაბმულია მეორე დამოუკიდებელ ლექსთან „ღიკლო დასწვესა“.

ჯ ა ვ ა ხ უ რ ი

ლა

ნადირის კვალსა შემოვყევ, ნახტომსა ჭვირინისასა,
ვეძებ და ველარ შევეყრთვარ მიჯნურს ჩემს გუნებისასა.

ორნივ იქ შევიყარენით ქალასა დიდ ვაკისასა,

ხელი გადავყავ, ვაკოცე ნაწნავსა გიშრის თმისასა!

5 იმან შემამკრა ერთი მე, წვეერი ურია ქვიშასა,

თავსა ის მოკვდა, ბოლოს მე, ქალასა დიდ-ვაკისასა.

ჯავახეთი, სოფ. ხიზაბავრა. ჩამწერი აკ. ლაზარაშვილი. ივ., 1887 წ. გ. შატბერაშვილი, „ნაფიქრი“, გვ. 19. იხ. უმიკ., გვ. 556. გ. შატბერაშვილი მართებულად აღნიშნავს: „დროთა ვითარებაში ხალხური ლექსის გარდაქმნის თვალსაზრისით ეს მოკლე ნათქვამი ძალზე საინტერესოა“. იქვე.

რ ა კ უ ლ ი

ლგ

მე და ტრბუ შევიყარენით გასაყარ მუხრანისასა,
პური მთხოვა და ვაქამე ვურჩევედი ბადაგისასა.

ღვინო მთხოვა და ვასმევდი, ვურჩევდი კაბიშტვისასა,
ხორცი მთხოვა და ვაქამე, ვურჩევდი ბატკნი-მშვლისასა.

5 ქალი მთხოვა და არ მივე, თავი ვარჩიე სხვისასა.

მან მისი არ მოიშალა, მივარდა ქალსა, დაკონა, ლოყასა ქიშპაპისასა.

ქალმა ქვე ამეიხვნეშა, ვაი ზაბუნე ქმრისასა.

ხანჯალზე ხელი დავივლი, ტრიანსა, სპილო ძელისასა, ნაჩუქარს
ცოლისძმისასა.

შემოუქნიე, შემოვკარ, წვერით მიაღვა ქვიშასა,

10 ერთი იმანაც შემომკრა, რისხვასა გავდა ღვთისასა.

იქით ის მოკვდა, აქეთ მე, ქალმა შეაბა ხარები,

გაწია თავის ძმისასა.

მთქმელი მალაქია ალექსის ძე გობეჯიშვილი, 1870 წ. დაბადებული. წ. კ. უცოდინარი. რაჭა, სოფ. ღებე, ჩამწერი ნონა ღამბაშიძე, 19. VII—1962 წ. თსუფა, № 273. მთქმელის განმარტება — სტრიქ. 1—ტრბუ — გიჟი.

არის კიდევ ვარიანტები. რომელთა ჩაწერის ადგილი აღნიშნული არ არის:

ლდ

მთქმელი არჩილ მკედლიშვილი. ჩამწერი გ. ჩიჩუა. გ. შატბერაშვილი, „ნაფიქრი“, გვ. 77.

ლე

ჩამწერი ლ. დოლოჯობი. თტრ., № 42, 1886.

ლვ

ჩამწერი აბ. წულაძე, 1887, უმიკ., გვ. 556.

ლჟ

უმიკ., გვ. 556.

198. ოთარას ლექსი

იმერეთი, სოფ. წვევა. ჩამწერი სევ. გაჩეჩილაძე. თაყ., 1, გვ. 4. სტრიქ. 26. განმარტებულია — ქუწა — ქალის საკუთარი სახელია.

რაქა. ჩამწერი ელ. აგლაძე. კოტ., გვ. 8., ახ. გამოც., გვ. 98. მრავალ ვარიანტად გავრცელებული საფერხულო სიმღერაა. სტრიქ. 10— დაბეჭდილია ფეიქომერი. ვებეკდავთ შესწორებით — ფაიქომელი, რადგანაც სოფლის სახელი არის ფაიქომი.

რ ა ქ უ ლ ი

ბ

- იგი მოღვა, იგი მთას მოღვაო,
 იგი მთას მოღვა უცხო მფრინველი,
 უცხო მფრინველი, თეთრი ფრთიანიო,
 თეთრი ფრთიანი ბოლო წითელიო,
- 5 ბოლო წითელი ქოჩეიახიო,
 ქოჩეიანი ეღელეს ჩამოღვესო.
 ეღელეს ჩამოღვა დიდი ლაშქარი,
 დიდი ლაშქარი ოსი და დვალი,
 ოსი და დვალი ფაიქომელი.
- 10 ფაიქომელი, სულ რომ დვალეთიო,
 სულ რომ დვალეთი, ომი შეიქნა,
 ომი შეიქნა ქალაქის კარსა,
 ქალაქის კარსა, ცისკრისა ჟამსა,
 გათენებასა, მზის ამოსვლასა,
- 15 მზის ამოსვლასა, ელვა ელვისაო,
 ელვა ელვისა, ქნევა ხმალისა,
 ქნევა ხმალისაო, ძგერა შუბისაო,
 ძგერა შუბისაო, შუბთა ნალეწიო
 შუბთა ნალეწიო, ზეცას ცვიოდაო,
- 20 ზეცას ცვიოდა, მესამე დღესა ჩამოცვიოდა
 ჩამოცვიოდა, ხმალი ორპირი
 სისხლში ცურევდაო,
 სისხლში ცურევდაო, ის ორნი ძმანი,
 ის ორნი ძმანი ქვედანი დვალნი,
 ქვედანი დვალნი ხატაველთანიო...
- 25 ხატაველთანიო დროშა მოვიდაო,
 დროშა მოვიდა, ვინ მოიტანა?
 ვინ მოიტანა, — პირხოლმა ჩვენმა,
 პირხოლმა ჩვენმა პირხოლის მზემა,
 პირხოლის მზემა ბოცორ გაიქცაო,
- 30 ბოცორ გაიქცა, გორსა გაიქრა,
 გორსა გაიქრა, კვიცი გვეგონაო,
 კვიცი გვეგონა ვით რომ დედალიო,

ბოცორ, ვერ წახვალ შინა მშვიდობით,
ცოლს ვერ მოუტან ლაშქრის ამბავსა,
ლაშქრის ამბავსა, წითელ კაბასაო,
წითელ კაბასა ბოცორს ჰკითხვიანო,
ბოცორს ჰკითხვიან დვალნი დედანიო,
დვალნი დედანი: — ჩვენნი რა იქნესო,
ჩვენნი რა იქნეს? — გუშინ ომს იყენესო,

- 40 გუშინ ომს იყენეს, დღეს კი მოვლიანო,
დღეს კი მოვლიან თავდატეხილნი,
თავდატეხილნი, თავი გოდრითაო,
თავი გოდრითა, ტანი ლაშქრითაო.
ტანი ლაშქრითა
ტვრილნი: წელები ხელკალათითა.
- 45 ხელკალათითა, ამოთ კანაფოო,
ამოთ კანაფოო, გრძელო და წვრილო,
დიდზე გაწედილო, ფესოვანებოო,
ფესოვანებოო, ზეით თავებო თესლოვანებოო.

შთქმელი გაბრიელ ბაკურაძე, 92 წლის. რაჭა, სოფ. გლოლა, ჩამ-
წერი ელ. ვირსალაძე, 1953 წ. სახ. მთქმ., გვ. 76—78: ქრესტ., II, გვ.
146—147.

ბ

მალა მთას მოდგა უცხო ფრინველი,
უცხო ფრინველი, ბოლო წითელი.
ელელეს ჩამოდგა ოსი და დვალი,
ოსი და დვალი ფაიქომელი.

- 5 ომი შეიქნა ცისკრისა ჟამსა,
გათენებულსა, გამოთიებულსა...
ქნევა ხრმალისა, ძვერა შუბისა...
შუბის ნალეწი ზეცას ცვივოდა,
მესამე დღესა ჩამოსცივოდა.
- 10 ხრმალი ორპირი სისხლში სცურავდა,
მუზარადი გორსა გორავდა.
ჯაფარ გაიქცა დვალი მოსდევდა:
„ჯაფარ, ვერ წახვალ შინა მშვიდობით,
ცოლს ვერ მიუტან ლაშქრულ ამბავსა.“
- 15 ლაშქრულ ამბავსა, წითელ კაბასა-
ტერგილ იძახის გაღმა ყანასა:
„ჩვენი რეიქნენ მოწიფულები?“
— უკან მოდიან, მოაქეთ ქალაქი,
თავი გოდრითა, ტანი ლაშქრითა,
- 20 წვრილი წელები ხელკალათითა“.

რაჭა, ჩამწერი ვუკოლ ბერიძე. 1911 წ. ჩანაწერი გადმოგვცა ვუკ. ბერიძემ.

დ

იქით მთას მოდგა უცხო ფრინველი,
ბოლო წითელი, თეთრი ფრთიანი,
ღელეს ჩამოდგესო, ის ორნი ძმანი,
ხატაველნიო. შუბთა ნალეწიო,

- 5 ზეცას ცვიოდაო, ჩამოცვიოდაო,
ჩამოცვიოდაო, ხმალი ორპირიო,
ომი შეიქნაო ქალაქის კარსაო,
ქალაქის კარსაო, ცისკრისა ქამსაო,
ვათენებისაო, ბოცრო გაიქცაო,
- 10 გორსა გაიქრაო, გორსა გაიქრაო,
ვით რომ დედალიო,
ჩვენი რა იქნესო, უკან მოდიანო,
თავდატეხილნიო, თავი გოდრითაო,
წვრილი წელეზიო ხელკალათითაო.

მთქმელი სონა მალაქის ას. გოგიჩაიშვილი — 1906 წ. დაბადებული, მც. განათლ. სოფ. გლოლა, რაჭა. ჩამწერი ჯუმბერ თითმერია. 1962 წ. თსუფა. № 678. მთქმელის შენიშვნა — სტრიქ. 7 ქალაქის კარსაო — დვალეთი არის იქით, ქალაქიც იქ არისო.

ე

მალა მთას მოდგა უცხო ფრინველი,
უცხო ფრინველი ბოლო წითელი,
ბოლო წითელი, თეთრი ფრთიანი,
თეთრი ფრთიანი, ეღელს ჩამოდგა.

- 5 ეღელეს ჩამოდგა ოსი და დვალი ბაიკონელი,
ბაიკონელი, სულ ამ ოსების,
სულ ამ ოსების. ომი შეიქნა,
ომი შეიქნა ცისკრისა ქამსა,
გამთენიასა, გამთენიასა,
- 10 ეღერა შუბისა, ეღერა ხმალისა,
შუბის ნალეწი ზეცას ცვიოდა,
ზეცას ცვიოდა, ჩამოცვიოდა,
ჩამოცვიოდა გამთენიასა.

მთქმელი გრიგოლ თვალოს ძე ლობჯანიძე. 1882 წ. დაბადებ. რაჭა, სოფ. ღებნი — ჩამწერი ლაურა გრიგოლაშვილი, 21. VII-62. თსუფა, № 448.

- ხრმალი ორპირი სისხლში ცურვედა.
 ბოცორ გაიქცა, გორსა გაიქრა,
 ვაცი გვეგონა, ვით რომ დედალი.
 ბოცორ, ვერ წახეალ შინა მშვიდობით,
- 5 ცოლს ვერ მიუტან ლაშქრის ამბავსა, წითელ კაბასა,
 ბოცორ ჰკითხვიან დვალნი დედალნი,
 — ჩვენნი რა იქნეს?
 — უკან მოდიან, გუშინ ომს იყვნეს,
 დღეს კი მოვლიან.
- 10 თავი გოდრითა, ტანი ლაშქრითა,
 წვრილი წელები ხელ-კალათითა;
 დვინომ რაჲ გვიქმნა სადმელოსამა,
 ხორცმა რაჲ გვიქნა ლურშოვისამა;
 ანად კანაფო, გრძელო და წვრილო,
- 15 ქვეით ფერხებო ფესოანებო,
 ზეითა თავო ყვაელოვანო...

მთქმელი მიხა სულტანიშვილი. რაჭა, სოფ. გლოლა. ჩამწერი შოთა ძიძიგური, ძიძიგ., გვ. 265—266.

არის კიდევ რაჭული ვარიანტები:

ზ

მთქმელი ივანე გუტაშვილი. ს. გლოლა. ჩამწერი ელ. ვირსალაძე. 1953 წ. ფ. არქ., კოლ. II, ყ 1, გვ.75 ახლავს შენიშვნა: სტრიქ. 13 ბოცორი — კურდღლის შვილი.

ს

მთქმელი მიხა გოგრიჭიანი, 62 წლის. ჩამწერი ნინო დუმბაძე. 1962, თსუფა, № 577.

თ

მთქმელი მიხეილ ლობჯანიძე, 74 წლის. ს. ღებო. ჩამწერი ლაურა გრიგოლაშვილი, 20. VII—1962 წ. თსუფა, № 441. სათაურად აქვს „სიმღერა“.

მთქმელი სალომე ხარებაშვილი. ს. გლოლა. ჩამწერი ნონა ლამბა-
შიძე. 15. VII—1962 წ. თსუფა, № 261. სათაურად აქვს „საფერხულო
სიმღერა“.

200. დიბორსა დასხდენ დიდი ვეზირნი

ზემო რაქა. ჩამწერი აფრასიონ ჯაფარიძე. თაყ. 1, გვ. 162. ტექსტს
ახლავს შენიშვნები: სტრიქ. 4.—ღ ე ბ ი — ს ო ფ ე ლ ი. სტრიქ. 6 —
კ ი რ ტ ი შ ო — ა დ გ ი ლ ი ს ს ა ხ ე ლ ი. სტრიქ. 29— ქარჩინა — პური
ოსურად — ქერის ფქვილისაგან გამომცხვარი პური.

რ ა კ უ ლ ი

ბ

დიგორსა დასხდენ ვეზირნი, რჩეულნი ბადელოვანი,
მათ გამორჩევა შეიქნა: ღები გვეყავს საქონლოვანი;
მთანი და მთანი ასწონეს, სავალად კირტიშუანი.

- კირტიშოს რომ გადმოვიდენ, გზანი დაუხვდათ წყლიანი,
5 წინ კაცი შემოეყარათ, რომელს გაგნია ჰქვიანი.
ფიცხლავ შინისკენ გაფრინდა, ვით შეეარდენი ფთიანი,
ციხის ადგილას გავიდა, მალა დაიწყო ხმიანი;
„გაუებო, ფთხილად იყავით, საქმეა ლალატუანი,
მაცხოვარს სიტყვა მივართოთ ჰქვიანი და სვიანი!
- 10 მე მგონი თქვენცა გეწყინოსთ თქვენი ღებისა ზიანი.
ღები დასწვან და დასდაგონ, არსად გაუშვან ხიანი“.
ღილა გათენდა მზიანი, ლაშქარსა გახდა ხრიალი,
ქვემოთით ვაუნი მოვიდენ დაკაზმულ-ჭაფაროვანი,
თან ახლდა გამყრელოვანი.
გამყრელიძესა აქებენ, რომელს იესე ჰქვიანო,
- 15 რუსული ხრმალი გასტეხა, სისხლი ყუასა სცხიანო,
ოსები გაუბედურდენ, უკუღმა ჩამოღიანო.
ასე გასწყვიტეს ოსები, ჭირკვებოვითა ჰკრიანო,
სამარე ველარ იშოენეს, ღორის ნათხარში ყრიანო.
გიგობდა, ჭამხოთიშვილო, არ ჩახტომოდე ღებსაო,
- 20 გეჭამოს ქერის ქარჩინა, ქვე მოსდგომოდე ცხვრებსაო,
სწუნობდი ღებურ თოფებსა, ახლა დახედე მკვდრებსაო.

უმიკ., № 85, გვ. 70—71. სათაურად აქვს „ოსების თავდასხმა ღე-
ბელებზე“.

დიგორსა დასხდნენ ვეზირნი, რჩეულნი ბადელოვანნი,
არჩიეს, გამოარჩიეს, „ღები გვეყავს საქონლიანი“.

მთანი და მთანი ასწორეს სავალათ კირტიშოვანი,
კირტიშოს რომ ჩამოვიდნენ, გზანი დაუხვდათ წყლოვანი.

- 5 წყლოვანი, ქვიშნაროვანი, მინდორი ბალახოვანი.
წინ კაცი შემოეყარათ, რომელს გავნია ჰქვიანა,
ფიცხლათ შინისკენ დაბრუნდა, ვით შავარდენი ფრთიანა.
ციხის სადგურას გავიდა, მაღლა დაიწყო ხმიანა:
„ვეაებო, ფრთხილათ იყავით, საქმეა ლალატიანა“.

- 10 დილა გათენდა მზიანი, ლაშქარსა გახდა გრიალი.
ქვემოთით კაცი მოვიდა დაკაზმულ ჭაფაროვანი,
თან მოყვა გამყრელოვანი. გამყრელოძესა აქებენ,
რომელს იასე ჰქვიანო.

კალდამის ხმალი გასტეხა, სისხლი ყუასა სცხიაო.
უკან დაწევა შეიქნა, საშდელი ველი ფთოანი,

- 15 „ოსებო, შამოგვიცადეთ, ვინცა ხართ კინკილოანი,
გიჭობდა ჭამხეტიშვილო, არ მოხდომოდე ღებსაო,
ღებურ თოფებსა სწუნობდი, მოდი დახე მკვდრებსაო.“

ჩამწერი ვუკოლ ბერიძე, 1911 წ. ხელნაწერი გადმოგვცა ვუკ. ბე-
რიძემ.

ღ

დიგორსა დასხდნენ ვეზირნი, ვეზირნი ბადელოვანი.

მათ გამორჩევა შეექნა, არჩიეს, გამოარჩიეს.

მთანი და მთანი აწონეს სავალად კირტიშოვანი.

კირტიშოს რომ ჩამოვიდნენ, გზანი დაუხვდა წყლიანი.

წყლიანი, ქვიშნარაინი.

- 5 ღები დავწათ და დავდავთ, არსად დავტოვთ რქიანი.
წინ კაცი შემოგვეყარა, მადლიანი და ღვთიანი.
ვაი თუ თქვენცა გეწყინათ დიდი ღებისა ზიანი.
ღები დაწვეს და დადაგეს, არსად დასტოვეს რქიანი.

მთქმელი ივანე გუტაშვილი. გლოლა, ჩამწერი ე. ვირსალაძე, 1953
წ. ფ. არქ., კილ. II, გ/—I, გვ. 96.

ტექსტს ახლავს მთქმელის განმარტებები: „სტრიქ. 1. ბ ა დ ე ლ ო -
ვ ა ნ ი — გ ვ ა რ ი ს ვ ა ნ ე ბ ი ს ა .“

სტრიქ. 3. კ ი რ ტ ი შ ო — მ თ ა და ბ ი ლ ი კ ი რ ა ქ ა შ ი .
მთქმელის შენიშვნა: „ფ ე რ ხ უ ლ ი ს ა“.

დიგორსა დასხდნენ ვეზირნი, რჩეული ბადელუანი, არჩიეს, გამოარჩიეს, ლები გვეყვს საქონლიანი. მთანი და მთანი აწონეს სავალად კირტიშოანი. კირტიშოს რო ჩამოვიდნენ, გზანი დაუხვდათ წყლუანი,

- 5 წყლუანი, ქვიშნარუანი.
წინ კაცი შემოეყარათ, რომელსა ესე ქვიაო.
ფიცხლად შინისკენ გაბრუნდა, ვით შეეკარდენი ფრთიანი.
ციხის სადგურას გაიქრა, მალლა დაიწყო ხმინი.
ბიჭებო, ფრთხილად იყავით, საქმეა ლალატუანი.
- 10 ლები დაწვეს და დადაგეს, აღარ გაუშვეს ფრთიანი.
ქვემოთით კაცი მოვიდა შეკაზმულ ჭაფარუანი.
მაცხოვარს სიტყვა მიართვა მადლიანი და ღვთიანი.
ღმერთმანი მეცა მეწყინა შენი ლებისა ზიანი.
წამოეწია ნაომარს, გაწვიტა სულ ოსიანი.

მთქმელი მიხა მამუკას ძე გოგრიჭიანი, 62 წლის. სოფ. ლები. ჩამწერი ნინო ღუმბაძე. 1962 წლის ივლისი. თსუფა, № 573.

3

დიგორსა დასხდეს ვეზირნი, ვეზირნი ბადელოვანი, მათ გამორჩევა შეექმნა საომრად ტვირთის შოვანი. კირტიშოს რომ წამოვიდეს, გზანი დაუხვდეს წყლიანი, წყლიანი, ქვიშნარიანი.

- 5 წინ კაცი შემოეყარა, მადლიანი და ღვთიანი,
ვაი თუ შენცა გეწყინა ჩვენი ლებისა ზიანი.
ლებიდანა გამორეკეს, როგორც რომ ფრები ცხვარი.
ქიორის ქალას ჩამოდგეს, არსად მოგვეწია ჭარი.
აგვიყვანეს, წაგვიყვანეს, წინ უწერას ჩაგვიყვანეს.
- 10 ჩაფით ღვინო მოგვიტანეს, თითო ფართალა დავლიეთ,
მაშინ ამოეყარეთ ჭავრი.
აგვიყვანეს, წაგვიყვანეს, ამბროლაურს ჩაგვიყვანეს.
ამბროლაურის ციხესა. შიდა შეისქელა ჭავრი.
შემობრძანდა მიქელაძე ანთებული ჭვარის ქალი.
- 15 ჯარო, კარგად დაიძინეთ, გულში ნუ ჩაგვეება ჭავრი.

მთქმელი სარდიონ გოგიჩაიშვილი. სოფ. ლები. ჩამწერი მ. ჯანელიძე. 1962 წ. თსუფა, № 850.

ზ

დიგორსა დასხდნენ ვეზირნი რჩეულნი, სახელოვანი, არჩიეს, გამოარჩიეს სავალად კირტიშოიანი,

კირტიშოს რო ჩამოვიდნენ, გზანი დაუხედნენ წყლიანი,
წყლიანი, ქვიშნარიანი.

- 5 ჯაფარიძესა აქებენ, რომელს იასონ ქეიაო,
რუსული ხმალი გატეხა, სისხლი უჟას აცხიაო.
ჯანხოტაშვილო, გიჯობდა, არ ატეხოდე ლეხსაო,
გეკაშა ცხელი ქარჩინა, გამოდგომოდე ლეხსაო.

მთქმელი ალექსი გავაშელი — 71 წლის. სოფ. ლები. ჩამწერი თი-
ნათინ მარგველაშვილი, 1962 წ. ივლისი. თსუფა, № 828. სათაურად
აქვს „დიგორის ისტორია“. ახლავს მთქმელის განმარტებანი: „დიგო-
რი — ჩ რ დ ი ლ ო ო ს ე თ შ ი ა“; სტრიქ. 7. ჯ ა ნ ხ ო ტ ა შ ვ ი ლ ი —
ო ს ე ბ ი ს ჯ ა რ ე ბ ი ს უ ფ რ ო ს ი უ ო ფ ი ლ ი ყ ო; სტრიქ. 8. ქ ა რ-
ჩ ი ნ ა — მ კ ა დ ი. მთქმელის შენიშვნა: მერე მოკლეს ჯანხოტაშვილი. მოკ-
ლეს ჯაფარიძეც. ეს ჩვენი ჯარების უფროსი. ლებიდან სამოცი ბავშვი
წაეყვანათ. ჯანხოტაშვილის ბატონმა არ მიიღო და უკან დაუბრუნა ლე-
ბელეებს“.

ჰ

ტატუქს რათ უნდა ქებანი, ვაჟია ლამაზოვანი,
გამყრელიძესა აქებენ, რომელს იესე რქვიანო,
კლავი მასა აქ ძრიელი და ხრმალი აღმასოვანი...

- ციხის სადგურას ვაეიდა, ლაშქარსა გახდა ხმიანი,
5 აფხანიგ შემოუძახა: — ბიკებო, ფრთხილად იყვენით,
საქმეა ლალატოვანი.
ფიცხლად შემოედეს ცხენებსა, გზანიც დაუხედეს წყლიანი,
წითელი ფარი გადრიკეს, შუბი კრეს, ხრმალი გადრიკეს,
სილინგი გადგა ისრისა, წელთა არტყია სარტყელა,
10 ქარქაშს უგია ისარი, გათლილი ათასოვანი...

მთქმელი მიხა სულტანიშვილი. ს. გლოლა. ჩამწერი შოთა ძიძიგუ-
რი. ძიძიგ., გვ. 266.
რაქაშია აგრეთვე ჩაწერილი ვარიანტები:

თ

მთქმელი იოსებ დარჩიშვილი. სოფ. ჭიორა. ჩამწერი გოლა რეხ-
ვიაშვილი. ლიტმუზ. 20074—ბ. ყ. 343, გვ. 134. ახლავს განმარტებანი:
სტრ. 1— დ ი გ ო რ ი — ოსების მხარეა; ბ ა დ ე ლ უ ა ნ ი — გვარია.

ი

მთქმელი მაკრინე გოგრიკიანი, 73 წლის. წ. კ. უცოდინარი. ს. ლე-
ბი. ჩამწერი ნინო ღუმბაძე, 1962 წ. ივლისი თსუფა, № 549.

ია

მთქმელი მიხეილ პეტრესძე ლობჯანიძე, 74 წლის. სოფ. ღები. ჩამწერი ლაურა გრიგოლაშვილი. 20.VII-62. თსუფა, № 431. ლექსში ჩართულია საგმირო აფორიზმი — სტრიქ. 11—12.

მთქმელის განმარტება — სტრიქ. 14 ქ ა რ ჯ ი ნ ა — პ უ რ ი ა. მთქმელმა დაუთოთ გადმოცემა: „მარყალიდან მომავალი ოსები (მარყალეები) დასხმიან ღებს. დიდ სოფელში ვერ შემოუბედავთ და პატარა სოფელს მისდგომიან. თითოზე თითო ყმა უშოვნიათ. ამას არ დასჯერებიათ და მერე დიდ სოფელშიც შემოსულან. ამ დროს კირტიშოდან მეომარ ღებელებს მოუსწრიათ, ჩასაფრებიან და მოუსპიათ მარყალეები. ამბის მიმტანიც კი არ გაუშვიათ. ამაზე ლექსი მარყალურად არის:

ატ ოტმეს ქიბიკ ყანბოდღუ,
გეზელნ იჩინდე შარი სულ არი,
ჯილლი ბარალა მარყალნი ურალი.

მთქმელის თარგმანი: წითელი სისხლი ღების შარეებში მდინარესავით წავიდა. შიგ იხრჩობოდნენ მარყალი მეომრები.

იბ

მთქმელი გრიგოლ თვალოს ძე ლობჯანიძე — 1882 წ. დაბადებული. სოფ. ღები. ჩამწერი ლაურა გრიგოლაშვილი. 27.VII-62 წ. თსუფა, № 445. მთქმელს დაუმატებია: „ამაზე მარყალურადაც არის ლექსი:

ჩეგეტ ელგე ჩაფნამბის,
ულუ ბისერყულ აღღამბის,
ულუ ელქე ჩაფხამბის,
ულუ ხათა თაფხმების.

იქვე მოყვანილია მთქმელის ქართული თარგმანი:

პატარა სოფელს დავესხითო,
თითო ყმა შევიძინეთო,
დიდ სოფელს დავესხითო,
დიდი უბედურება შევიძინეთო,
ჩვენგანი ყველა გაგვიწყვიტესაო,
ერთი გაუშვეს მთხრობლათაო.

ივ

მთქმელი ბიჭია ლობჯანიძე, ღები ჩამწერი ე. ვირსალაძე. 1953 წ.

ფ. არქ., კოლ. II, ყ. 2, გვ. 91. უკანასკნელი ოთხი სტრიქონი საგმირო აფორიზმია კონტამინაციის წესით მობმული ამ ვარიანტზე.

იღ

მთქმელი უუუუნა მეტრეველი, უწერა, ჩამწერი ე. ვირსალაძე, 1953 წ. ფ. არქ., კოლ. II, ყ. 2, გვ. 62. სათაურად აქვს „საფერხულო“.

იი

მთქმელი ელისა გიორგის ას. ბუხაშვილი, 70 წლის. წ. კ. უცოდინარი. სოფ. ღები. ჩამწერი ნინო ღუმბაძე, 1962 წ. ივლისი. თსუფა, № 568.

იზ

მთქმელი ნესტორ გავაშელაშვილი — 73 წლის. სოფ. ღები. ჩამწერი მანანა ჯანელიძე. 1962 წლის ივლისი. თსუფა, № 881. მთქმელის განმარტება — სტრიქ. 3. კ ი რ წ ი შ ი — მ თ ა. უნდა იყოს კ ი რ ტ ი - შ ო — ქ. ს.

იწ

მთქმელი სიმონ თვალოს ძე ლობჯანიძე, 83 წლის. სოფ. ღები. ჩამწერი ლაურა გრიგოლაშვილი. 22. VII-62. თსუფ, № 463.

იყ

მთქმელი ელისა ლობჯანიძე — 90 წლის. სოფ. ღები. ჩამწერი ლია მდინარაძე, 1962 წ. ივლისი. თსუფა, № 659.

ს ვ ა ნ უ რ ი

კ

დიგორსა გაცხდი ვაზირი, ჩეული ბადელოვანი.
არჩიათ, გამოარჩიე, შიგნიდგან მოარჩიე,
ღები გოქე საქლოვანი (სუქნი). ქეაეიხეს რომ ჩამოვიდე,
თანი და თანი დაეწონე სავალათ კინტრიშუანი;

- 5 გზანი დაგვიხვდა წყლიანი, ფირცხლაშივი და მსვიანი.
წინ კაცი შამომეყარენ, რომელ გოგისა ჰქვიანო.
დაბრუნდა, წინ წამევიდე, ვით შაურდელი ფრთიანი.

- ივაკებო, ფთხილად იყავი: საქმეა ღალატოვანი“.
- 10 მალაღ ვათანდა ბზიანი, ლაშგრიდგან ისმა ხრიალი;
ციხის შადლუღა დეიქცა, მალაღ დაიწყო ხრიალი.
მაცხოვარს სიტყვა მიართვი, მგონიე, რამ შენ მეწყინე,
ღები თქვენისა ზნიანი,
უგვანად ჩვენი ანბავე, ჩვენი ხრმალისა სრიელი,
ქვემოთ ანბავი მოვიდე. ქვემოთი კაცი მოვიდა,
- 15 შეკაზმულ ჭაფაროვანი, მთელ-მოყრილ გამყრელოვანი,
მაცხოვარი დაილოცეს. ვოსები და უბადურთ,
უქულმართი კრა ნიავი, ჭირკვებივითა ყრიანი.
ომი შეიქნა ძნელია, წითელი სისხლი ღვართა;
სურიელი და სრიელი, კქუვიანი და ხნიარი,
- 20 გამყრელიძესა აქებდეს, რომელს სვიეა ხქვიოდეს.

ჩაწერილი უშგულში ბესარიონ ნიჟარაძის მიერ 1883 წ. სვან., I, № 127, გვ. 365. შენიშვნა: „კიდევ აქვს მინაწერი: „გაიგზავნა „კვალ-ში“ 8 დეკემბ. 1895 წ. იქვე, გვ. 430. მთქმელს ცუდად სცოდნია ქართული ენა. ამის შედეგია ტექსტის დამახინჯება. იგი მაინც საინტერესოა ლექსის ერთი ეთნოგრაფიული კუთხიდან მეორეში გადასვლის თვალსაზრისით სტრიქ. 3 — დაბეჭდილია გოქცესა ქოლოვანი, შევასწორეთ — გოქცე საქოლოვანი.

201. იყრება ოსის ლაშქარი

მთქმელი გიგოლა ზვიადაური. ჩაწერილი ს. ანდაკში. 1932 წ. ფშ. ხევს., გვ. 86. ახლავს განმარტება — სტრიქ. 2 — სალმ — ოსების ბელადი ყოფილა, რომელიც დაუმარცხებიათ მთიულებს. იმავე მთქმელისაგან არის ჩაწერილი იგივე ტექსტი დ. წერედნიანის მიერ ს. ჭიაურაში 1961 წ. ფ. არქ., კ. 27, გვ. 172.

მ თ ი უ ლ უ რ ი

ბ

- ოსეთს იყრება ლაშქარი, სალმი უდგება წინაო,
— გავიდეთ მთიულეთშია, ნალორევე დაედვათ ბინაო,
ვარჩიოთ ქალი და რძალი, სალმის მივართვათ წინაო! —
ეგ მთიულებმა გაიგეს, წელზე შაიბეს რკინაო,
- 5 შვიდი ათასი კაცისა, შვიდი ვაგზავნეს შინაო.
სალმის კელები დააპრეს, თან გაატანეს შინაო.
— გადაავიტანეთ ამბავი, თქვენ ძმებს ნალორევე ძინაო. —
— სალმი მოძიხველ მშვიდობით, გამამილაღე ნადავლი —
(ცოლმა უთხრა)
— არც ნადავლ მომცეს მთიულთა, ჩემი სინაიც იქ არი.

მთქმელი ჯღუნა გიორგის ძე ნარაიძე. წკერე. ჩამწერი ელ. ვირსალადე. ვირსალ., № 25, გვ. 115. ახლავს შენიშვნები: სტრიქ. 1 — სალმი — ოსების ბელადის სახელი; სტრიქ. 9. სინა — მისი ვაჟის სახელი, ვირსალ., გვ. 444.

ბ

თრუსოს იყრება ლაშქარი. სალმი უძღვება წინაო,
— გადვიდეთ მთიულეთშია, ნალორეუ დაეღათ ბინაო.
ვარჩიოთ ქალი და ვაჟი, გამოვიმძღვართ წინაო.
ეს რომ გაიგეს მთიულთა, წელზე შაიბეს რკინაო,
5 შვილი ათასი კაცისა, შვილი გაგზავნეს შინაო.

მთქმელი ბუჩუკური გლახა ივანეს ძე, ს. გვიდაქე. ჩამწერი ელ. ვირსალადე. 1946 წ. ვირსალ., გვ. 444.

მთქმელის შენიშვნა: „ამბავი გადაუტანეთო რა.. რამდენი დარჩითო — სალმი — უფროსი ყოფილა ოსებისა“.

ღ

ოსეთს იყრება ლაშქარი, ალმი უძღვება წინაო,
წავიდეთ მთიულეთშია, ნალორეუს დაეღათ ბინაო,
ვარჩიოთ ქალი და რძალი, ვინ დაგვიღვება წინაო...

მთქმელი ნადიბაიძე ივანე ანტონის ძე, ს. ნადიბაანთკარი. ჩამწერი თ. ოქროშიძე, 1950 წ. ვირსალ., გვ. 444.

ე

ოსეთს იყრება ლაშქარი, სალმი უძღვება წინა,
გადვიდეთ მთიულეთშია, ნალორებს დაეღათ ბინა.
ვარჩიოთ ქალი და რძალი, სალმის მივართოთ წინა.
გაიგეს არაგველებმა, წელზე შაიბეს რკინა.
5 მინდორში თხრილი გათხარეს, ზედ წააყარეს მიწა.
შვილი ათასი კაცისა, შვილი გაგზავნეს შინა.
წადით და თქვენებს უამბეთ, თქვენს ძმებს მინდორში ძინავთ.

მთქმელი სეთურიძე ივანე. სოფ. კაიშაური, ჩამწერი თ. ოქროშიძე, 1950 წ. ვირსალ., გვ. 444. არის კიდევ მთიულური ნაბეჭდი ვარიანტები:

ზ

ჩამწერი სერგი მაკალათია. მაკ. მთიულ., გვ. 31, დრ. 1885, № 173.

ზ

ჩამწ. შ. ძიძიგური. ძიძიგ., № 132.

შ

ვირსალ., № 522, გვ. 303—304. ლექსი ჩართულია თქმულებაში.

თ

ვირსალ., № 523. გვ. 304—305. ესეც შერეული ფორმის ნაწარ-
მოებია.

ი

მთქმელი ი. ბენიანიძე. ბენიანთკარი. ჩამწერი ელ. ვირსალაძე, ვირ-
სალ., № 26, გვ. 115.

კ

მთქმელი გიორგი ზაქაიძე. ს. ბეგოთკარი. ჩამწერი ელ. ვირსალაძე,
1964 წ., ვირსალ., გვ. 445.

ლ

მთქმელი ბუჩუკური გიორგი გამეზარდას ძე, სოფ. ქიმბარიანი.
1946, ვირსალ., გვ. 445.

202. ოსაგის თავდასახვა სოფელ შამპირო

რაჭა. ჩამწერი სპ. აბესალაშვილი, 1871 წ. უმიკ., გვ. 71, № 86.
ტექსტს ახლავს შენიშვნები: სტრიქ. 2 მ ა ც ხ უ ა რ ე ლ ი ე ლ ი — ს ა -
დ ა ც მ ა ც ხ ო ვ რ ი ს ს ა ყ დ ა რ ი ა , ი ქ ი დ ა ნ . ს ტ რ ი ქ . 3 . კ ვ ა ყ ა -
ლ ე თ ი — ს ო ფ ე ლ ი . ს ტ რ ი ქ . 16 . შ ქ მ ე რ ი — ს ო ფ . რ ა ჭ ა შ ი .

203. ყაისი

უმიკ., გვ. 74, № 90.

ტექსტს ახლავს შენიშვნები: სტრიქ. 1. ყაისი — გმირ — ფალავა-
ნი ყოფილა. სტრიქ. 3. სკოდორა — კლდე; სტრიქ. 6. ფაციაშვილი —
ყაისის მტერი. სტრიქ. 7. გიორგელა — ყაისის ამხანაგი ყოფილა:
სტრიქ. 11. წესი და სორი — სოფლები. სტრიქ. 29. ჯამბოლა — ყაი-

სის ძმა. სტრიქ. 27. მაყლანი — დიდი ბუჩქებიანი მინდორი, რომელიც ყაისის ეკუთვნოდა. სტრიქ. 25. ჩიჩაბიძე — ყაისის წინააღმდეგ მებრძოლი. სტრიქ. 21. პაპუნა — ყაისის ამხანაგი.

204. ჭანისთანა ვაჟასა

მთქმელი მიხ. ლობჯანიძე, ს. ლები. ჩამწერი ლაურა გრიგოლაშვილი. 1961 წ. თსუთა, № 440. სათაურად აქვს „ყაისის ცოლის ნატირალი“.

205. პატარა ბიძი ოსისა

ქართლი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. თაყ., 1, გვ. 189, № 54.

206. ე ჰიკაიძე ხუცვისი

მთქმელი ს. ჭიკაიძე. მთიულეთი. სოფ. ჭიკაანი. 1966 წ. ვირსალ., № 28, გვ. 115.

207. ხალას აჰიბენ ვაჟაცსა

მთქმელი ს. ბეგოიძე. ბეგოთკარი. მთიულეთი. 1946 წ. ვირსალ., № 29. გვ. 115—116. ახლავს მთქმელის განმარტება: სტრიქ. 30. ცამან და ცამან რვისაო — ოსურად, თავი დაანებებო.

208. თაბანის ქალი

მთქმელი ფილო მუჯაშვილი. ხევი, სოფ. სტეფანწმინდა. ჩაწერილია სამების დღეობაში 1875 წ. უმიკ. № 64. გვ. 58. ტექსტს ახლავს შენიშვნები: სტრიქ. 1. დასძროს შემდეგ — „აქ სიტყვა აკლია“. სტრიქ. 27. იაღი—ბედისწერა. [სტრიქ. 21 — დაბეჭდილია — მოკლეებმა — შევასწორეთ მოკევეებმა. თავისებური ვარიანტია № 193-ს.

209. ოსასა ამირაჯიბი

მთქმელი ივანე ბაბულაშვილი, ვარძია, ჩამწერი მელ. კელენჯერიძე, 1889 წ. ხელნაწ. ინსტ. მ. კელენჯერიძის არქივი № 64, გვ. 111.

210. მირანბულა

მთქმელი გიორგი ხარზიანი (46 წლის) კალა, ჩამწერი ვ. თოფურია, 19. VII. 1927 წ. სვან., 1, № 3. გვ. 6.

ტექსტს ახლავს შენიშვნები: „10 ბენჯვინილ—მეჯგვენილა“, მოქმედლის განმარტებით ამას ნიშნავს: „კარგად იყო“. 14 და სხვაგან: სეფსკვერდ) სეფისკვერდ“. იქვე, გვ. 395. ვარიანტი იხ. თსუფა. ჯ. თითმერიას კოლ. რვ. 6, გვ. 62. მოქმელი ნავრუზ ავალიანი. ჩაწერილი სოფ. აღიშში ჯუმბერ თითმერიას მიერ, 1962 წ. აგვისტო.

211. ყიფიანთ ახალგაზრდობი

მოქმელი ქავზა ხორგუანი, იფარი. ჩამწერი ბესარიონ ნიჟარაძე, 1881 წ. სვან. I. გვ. 12. ტექსტს ახლავს შენიშვნა: „36 ურჯულუ/ურჩულუ“. იქვე. გვ. 395.

212. ბურმაჩ დედისაჲ

სვანეთი. ჩამწერი ივ. ნიჟარაძე Сборник материалов ტ. XXXI, აგნყ. 3—4.; — სვან. I, გვ. 20.

213. დიდება უზგულის მარიამს

სვანეთი. ჩამწერი ივ. ნიჟარაძე Сборник материалов ტ. XXXI, აგნყ. 4. — სვან. 1, — გვ. 22. ამის ვარიანტში შდრ. „ქ. ზალხური პოეზია“, I, გვ. 137.

214. თაჰამეკილა

მოქმელი ვასილ იასონის ძე კახიანი (45 წლისა), სოფ. ყაბეში (მულახი). ჩამწერი მ. ნიგურიანი. 12. VI. 1936 წ. სვან. I, № 8, გვ. 24.

215. რიჰა

ჩამწერი ბესარიონ ნიჟარაძე. სვან. I, გვ. 40. დედანში „წითელი ფანქრით მიწერილი აქვს“: „გეგი ბეშიძე, ქაი ხაქვანი“. იქვე, გვ. 413. ახლავს შენიშვნა: „თუმცა ეს სიმღერა შინაარსობლივ მე-7 ნომრის („თავბეჭილა“) ვარიანტს წარმოადგენს, მაგრამ, როგორც დამოუკიდებელი სიმღერა, ცალკე დავბეჭდეთ“. იქვე.

216. ბიროს ლაჰჰარი

მოქმელი მაქსიმე ფილფანი (45 წლისა). ლენჯერი, ჩამწერი სეზი გულედანი, 14. IX. 1923 წ. სვან. I. გვ. 42.

217. ციოჰი და მისი ლაჰჰარი

ჩამწერი სპირიდონ ვაწაძე, 1871 წ. სვან. I, გვ. 44. დართული აქვს შენიშვნა: „თან ახლავს თარგმანი და ბოლოს ასეთი შენიშვნა: 396

„ეს ლექსი გამიგონია ს. ფარს მცხოვრები სუდიასაგან, რომელმაც იცოდა ქართულიც და კიდეცაც შემეწია გადათარგმნაზე“. ესა და სხვა სიმღერები დაცულია ცნობილ მოღვაწის პეტრე უმიკაშვილის არქივში. ჩვენ გადმოგვცა პროფ. ფილიპე გოგიჩაიშვილმა“. იქვე. გვ. 413:

ტექსტს ახლავს ზოგიერთი სიტყვის განმარტება: სტრიქ. 1—**ა დ ა-ჯ უ ყ ვ ა** — არის ყვეგმის უფროსი კაცის სახელი. სტრიქ. 2 — **ც ი ო-ყ ი** — არის სვანების უფროსი კაცის სახელი. სტრიქ. 5—**ე ე გ მ ი** (უნდა: ყეგემი) არის სოფლის სახელი, სადაც არიან თათრები. იქვე.

218. ისლამი

უმგული. ჩამწერი ბესარიონ ნიქარაძე. სვან. I, გვ. 116.

219. მოხუცი შარა

მთქმელი იოსებ წერედინი, (75 წლის) ბეჩო. ჩამწერი სები გულედანი. 8. II—1939. სვან. I. გვ. 163.

220. გიიგ ღაღვანი

მთქმელი დავით ნიგურიანი, 38 წლის. მესტია. ჩამწერი მ. ნიგურიანი, 1936 წ. დეკემბერში. სვან., I, გვ. 36.

შინაური უშლლი

221. თორღვა

(არ დასდევ, ვაჟის-ძაი)

ფშავი. ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 62—63. ეს ლექსი მცირე ცვლილებით გადაბეჭდა აკ. შანიძემ. შან. 344—345.

ტექსტს ახლავს შენიშვნები: სტრიქ. 1. **ვაჟის ძია** — სახელია; სტრიქ. 11. **დგნალოვანი** — ალაგის სახელი. სტრიქ. 15. **არკილო** — ალაგის სახელი. ფშ. ლექს., გვ. 62—63. როგორც ჩანს ლექსის ავტორია კვეთილში ჩასმული ქალი. კვეთილში ჩასმა იყო სასჯელი, რის მიხედვითაც ქალს არ ჰქონდა უფლება მეორედ გათხოვებისა... ლექსი იმითაც არის საგულისხმო, რომ ასახავს ტრადიცია მოლექსის დასაჩუქრებისა. ქალი ასე მიმართავს ლექსის ადრესატს თორღვას — „სალექსოდ გამომიგზავნე საყური გუგუმიანი“. თორღვას სახე გაორებულია ხალხურ პოეზიაში. ეს ლექსი საქართველოში უცხო ტომთა თარეშის ამსახველია. ამ ლექ-

სის მიხედვით თორღვაც ებრძვის აგრესორს. თორღვაზე შექმნილია აგრეთვე ციკლი ლექსებისა, რომლითაც იგი შინაური შუღლის ამტეხიდა. მასალების ანალიზის საფუძველზე ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ თორღვა სახალხო გმირია (იხ. ჩვენი წერილი „არის თუ არა თორღვა სახალხო გმირი“, „მნათობი“, № 10, 1972). ჩვენ საჭიროდ ვცანით თორღვაზე შექმნილი ლექსების ციკლი ერთად წარმოგვედგინა. ამიტომ ვერ მოხვდა იგი მომხდურთა წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველ ნაწარმოებთა განყოფილებაში. თუმცა იქნებ უფრო მიზანშეწონილი კი იქნებოდა.

ფ შ ა უ რ ი

ბ

არ დასდევ, ოზუზიო, თუშებშია ჰქენ ზიანი.
ახლა ქვესურეთს წამოხვე, მთა მოგცეს საყელიანი.
შამოგეყარა თორღვაი, შენკ უფრო სახელიანი.
კმალი შენ მოგცა, უზუზი, დანა დამალა ფხიანი,
5 მარჯენისას წამოგიარა, მარცხნისას გიყუა ზიანი,
დგნალოვანს წამოგაქცია, ნაბად წაგხურა ცვრიანი,
თავად ბაცურზე წავიდა, მანძილა რქა-ჯანგვიანი.

ჩამწერი ვ. ტუქსიშვილი. შან., გვ. 344.

ბ

- არ დაკდევ, ზაზულიო, თუშეთს ბევრი, ჰქენ ზიანი.
წამოხველ ქვესურეთისაჲ, გზა დაგხვდა საყელიანი.
წინ თორღვა შამოგეყარა, ღეთისაგან სახელიანი,
კმალ მოგცა, დაგაღალატა, დანა დამალა ფხიანი,
5 მარცხნისაჲ ჩამოგიარა, მარჯენისაჲ გიყუა ზიანი,
დგნალოვანს შამოგაწვინა, ნაბად გაგხურა ცვრიანი,
თავით დაგისვა ყორანი: „გალო გამოხარ წვნიანი!“
თავად არქილოს გავარდა მანძილა რქა-ჯანგვიანი.
მუცუს მუალის თორღვაი დილაზე მკლავ-სისხლიანი.
- 10 ზახელს ულოცვენ ქვესურნი: „მოხველა სახელიანი?“
— „კმალი ზაზულიმ წამართვა, ვერ მოველ სახელიანი“.
კმალს ნუ იკეხი, თორღვაო, მამა მეცა მყავ კმლიანი:
წავალის, აიქ დაქდება, სადაც სამტერო ტყე არი,
სამთ შაკყარავს შენისთანათა ჯაჭვიან-პერანგვიანი.
- 15 ემაგის მოლექსებელი თუშთა ქალი ვარ თმიანი,
საღეჭსოდ გამამიგზავნე ტყავ-კაბა ნაოქიანი.
თუ არ იქნება ტყავ-კაბა, — კალათა ორ-შიბიანი.

მთქმელი პაპა მარტიაშვილი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან. გვ. 344. ხალხ. სიტყ., III, გვ. 23. ახლავს ჩამწერის შენიშვნა: „ეს ზაზულაიცი და თორღეაც ორივე საზიზლარი მტარვალები ყოფილან. თორღვამ ღალატით მოკლა ზაზულია და ახლა თვითონ დაიჭირა იმისი ხელობა, სანამ ფშავლის ჩონთას ისარმა გული არ გაუგმირა“; 16 სალექსოდ გამამიგზავნე... „ჩვეულებად ჰქონდათ, მოლექსისათვის გამარჯვებულს უნდა გაეგზავნა ნადავლიდან: თუ კაცი იყო, — ან ხმალი, თოფი, ხანჯალი, ჭედილა ცხვარი; თუ ქალი იყო და, — საყურე, ტყავი, ტყავ-კაბა, კალათა, ან სხვა რამე საქალო სამკაული“, იქვე არის კიდევ ფშაურ ვარიანტები:

ღ

მთქმელი ს. ჟამიაშვილი. ჩარგალი. 1935 წ. ფშ. ხეცს., გვ. 103. სათაურად აქვს „თორღეისგან ვაყუსძის მოკვლა“. ახლავს შენიშვნა. სტრიქ. 3—ვაყუსძე — ქისტი ყოფილა.

ე

როგორც დასაწყისი ლექსისა მოყვანილია ვაჟა-ფშაველას წერილში „ფშავლების ძველი სამართალი და საოჯახო წესები“, ტ. V, გვ. 65. ლექსს, როგორც ვაჟა აღნიშნავს „ქალი ეუბნება გმირ თორღვას“ (იქვე), ლექსი მოყვანილია ფშაური საოჯახო წესის საილუსტრაციოდ, რომ „კვეთილში ჩასმულ“ ქალს ნება არ ჰქონდა სხვა ქმარი. პოეძებნა. იქვე.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

3

- დაჯედ, ვაყუსძევე, დაგვექსენ, თუშეთს მოგწყინდას ზიანი
ერთხან ქევსურეთ გადაქედ, აღვილ იქ ნახე კლდნიანი
ყოჩინის ღელეს შამოხქე, მგზავრ შავხედა ქალ-ვაჟიანი.
შიგ სტანავ ცუცქიური, ბულა მოღბიჯავს რქიანი.
- 5 თოფი ესროლე, ვერ დახკარ, ლთით იყო დავლათიანი.
ქმალი მოსთხოვე, შენ მოგცა, დანა დამალა ფხიანი.
ქელი გკრა საყულოშივა მკლავ თითას იმედიანი.
დაგბალითა, გულს დაგცა, მიწა გაქმივა მტვრიანი.
გაგწირა დგნალონის ჩდილა, დაგაგდა სისხლ-ტვირნიანი.
- 10 ქმალი თავითი დაგიდვა, ნაბად გაგხურა ცვრიანი.
გვერდით მოგისვა ყორანი: „გალო გამოხარ წენიანი“

თაოდ ანდაკზე გაღვარდა ირემი თვირთვილიანი.
 სალილად არლოტს ჩაეიდა თორღვაი მკლავ-სისხლიანი.
 წამეგებნეს დედანი: „საით მოხვედ სახელიანი?
 „—ბოზნო, რას მკითხავთ, დედანო?
 კმალი ვაჟუსქემ წამართვა შინ მოვედ სირცხვილიანი“.
 — გეტყობის საუბარზედა, თორღვაე, სამ გიქნავ რიალი.
 ამაგ ქართულის მათქვამი თუშის ქალი ორ თმიანი.
 სალექსოდ გამამიგზავნე საყური კუქუმიანი.

- 20 ცოლად კი წამოგივიდოდი, თუშის ვარ კვეთილიანი.
 ძალიან ნუ გაზდიდღები, მამა მეც მყვანდა კმლიანი.

მთქმელი მინდია ქისტაური — ხევსური. თვალივი. ჩამწერი აკ. შანიძე, 11. VIII—1913 წ. შან. № 43, გვ. 15. სათაურად აქვს „ვაჟუსძის მოკვლა თორღვას მიერ“. ახლავს ჩამწერის შენიშვნა: „—მინდიას სიტყვით, თორღვა კონსტანტინე ბაგრატიონის ნაბიჭვარი იყო“. ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 10 კმალი თავითით დაგიდვა, ნაბად გავხურა ცვრიანი. (ვაჟუსძეს, მართალია, პირველად ხმალი წაურთმეგია თორღვასთვის, მაგრამ თორღვა ხელ-და-ხელ სცემია და ლეკისთვის დანა დაუკრავს. შემდეგ ხევსურს თორღვას აღარ მოუსურვებია თავისი ხმლის დაბრუნება, რადგანაც წანართმევი იყო მტრის მიერ. ის კი არა ნაბადიც გადაუხურავს გულადი მოწინააღმდეგის პატივისცემის ნიშნად სტრიქ. 12—ირემი თვირთვილიანი) ვითომ: ოფლი რთვილად შეაყარაო; სტრიქ. 15 — აქ მეორე ნაწილი ლექსისაც აკლია,—მოამბებ არ იცოდა; სტრიქ. (21—ძალიან ნუ გაზდიდღები...) ეს სტრიქონი, მოამბემ მე-17-სა და მე-18-ს შორის მოაქცია“. შან., გვ. 342.

ზ

დაჟე, დაგვექსენ, ვაჟუსძევე, თუშეთს იკმარე რიალი,
 ქევსურეთ ნულარ გარმახოლ, გზანი გქონ საქრიკიანი.
 არ დაიჭვრებ, გარმახოლ, არ იყავ დავლათიანი:
 შამაგეყარა თორღვაი დილაზედ თვირთვილიანი.

- 5 მარცხნივ მქარ გამოგიარა, მარჯვნივ მქარ გიყო ზიანი,
 გულს დაგცა ქომა ხანჯარი, მიწა გაქმია მტერიანი,
 დგნალონის ჩდილში გაგწირა, ნაბად გავხურა ცვრიანი,
 თავითი ყორანს მაგისხნა: „გალო გახარით წენიანი!“
 თაოდ არჭილოს გავარდა თორღვაი მარჯვებიანი.
- 10 არჭილოს ქალნი ულოცვენ: „სად იყავ მკლავ-სისხლიანი?
 — ვაჟუს ძემ კმალი წამართო, შინ მოლო სირცხვილიანი“.
 — ვაჟუსძის გარდამღებელო, თორღვაე, რა გქონდა ფარადა?
 — „სამკლავენ მიფარებიან, დაშნა მქონიყო კმალადა!“
 თორღვას უბარებს ბატონი: „თორღვაე, ჩამოვედ ბარადა!
 15 ცხენსა ჩემს მოგცემ, თორღვაო, ერთიც ვერ სჯობდეს თვალადა“.
 ამაგ სიმღერის მათქვამი არჭილოს ქალ ვარ თმიანი.

ცოლად წაშავივდოდ, მაგრამ ვარ კვეთილიანი,
სალექსოდ გამაძილალე საყური ზინზილიანი.
ქებასა არ მაგიშლიდი, თუ კიდევ საღ ხქენ ზიანი.

მთქმელი ბათაკა არაბული. ჩამწერი ნ. ურბნელი.. „ივ“. 1888,
№ 121. — შან., გვ. 342. ახლავს აკ. შანიძის შენიშვნა: „ამ ლექსში
შეზავალი სტრ-ბი 12—15 წარმოადგენს 45 ნომრის ვარიანტს“. იქვე.
ხვესურულია ვარიანტები:

შ

ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., გვ. 343. ახლავს ჩამწერის შენიშვნა: „ვაყისძე“ თუში ყოფილა, ხვესურეთში უთარეშნია, უწიოკებია და უცარცვია ხალხი. ეს ღალატით მოკლა თორღვამ. მაგრამ თორღვამ უარესი დღე დააყენა ხალხსა, სანამ ჩონთას ისარმა გული არ გაუგმირა ამ სისხლის მსმელსა“, იქვე.

თ

ჩამწერი ალ. ოჩიაური. სათაურად აქვს „თორღვა და ვაყუხძე“, ოჩ., გვ. 40—41.

თ უ შ უ რ ი

ო

დადექ, ვაზურო, დაგეხსენ, თუშეთს გეყოფა ზიანი,
ახლა გადადი ხვესურეთს, სამალავ ნახე კლდიანი!
გზას თორღვა შემოგეყრება, ღეთისაგან დოვლათიანი,
ფარი და ხმალი შენ მოგცა, დაშნა დამალა ფხიანი!

- 5 მარჯვნიდან წამოგირბინა, მარცხნიდან დაგკრა ზიანი,
გულის პირს დაგცა დაშნაი, ბორტი დაკენიტე მტერიანი.
გაგწირა დაგლის ღელესა, ნაბად დაგხურა ცვრიანი,
თავსა დაგანხა ყორნები, ძვალ ახერევირა წვნიანი.
— თორღვავ, ვაზურის მომკლავო, ნეტა რა გქონდა ჯაერადა,
- 10 კახეთს გიბარებს ბატონი, ერთხელ ჩამოდი ბარადა;
ტანთ გამოგიცელის ხალათსა, ხვესურთ ბიჭების ჯაერადა,
ცხენსაე ივეთსა გიბოძებს, შინ წაგყვიანოს ჩქარადა.
თორღვაო, შენი მქებელი ქალი გახლავარ თმიანი,
საცოლედ არას მიკადრებ, აზნაური ხარ ყმიანი,
- 15 სალექსო ვამომიგზავნე საყურე გუგუმნიანი,
თუ იმას არ გაიმეტებ, ტყავ-კაბა ნაეოქიანი.

ი ა

- მოდი, ვაზუზი, დაგეხსენ, თუშეთის გეყო ზიანი,
ახლა ხეესურეთს გადადი, ხმალი დაგხედება ფხიანი.
გზათ თორღეა შემოგეყარა ლეთისაგან დოვლათიანი,
ფარი და ხმალი შენ მოქცა, დაშნა დამალა უხიანი,
- 5 მარჯენიდან წამოგირბინა, მარცხნიდან დაგკრა ზიანი.
გულის პირს დაგკრა დაშნაი, ბორტეი დაკმინე მტერიანი;
ჩაგიტან დაგლოვანასა, ნაბად დაგბერა ცერიანი,
თავით დაგისხა ყორნები, ძვალ ახრევირა წვნიანი!..
თორღევე, ვაზუზის მომკლაო, ნეტარ რა გქონდა ფარადა?..
- 10 კახეთს გიბარებს ბატონი: ერთხელ ჩამოდი ბარადა.
ტანთ გამოგიცვლის ხალათსა ხეესურთ ბიჭების ქაერადა.
ცხენსა გიბოძებს ისეთსა, შინ წაგიყვანოს ჩქარადა.
ემაგის მოშაირეი ქალ გომეწრელთ ვარ თმინი,
შეიტყო, გამომიგზავნე საყურე გუგუმიანი.
- 15 საცოლეთ არას მიკადრებ, აზნაური ხარ ყმინი.
ჩემის ქებით თავს ნუ გაიდებ, თორღეო,
მამა მეც მყევანდა ხმლიანი.
ქარ-ბელაქნიდან მოუდიოდა ყოჩი, ვაცები რქიანი.
იკითხავდითა გამეწარშია ვერხოვანს ქაეთარ მქვიანი.

ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., 1, გვ. 56. თორღვაზე ლექსებისა და გადმოცემების მთელი ციკლია შექმნილი საქართველოს მთაში. ამ ვარიანტის მთქმელი, როგორც დასახელებულ სტრიქონებიდან ჩანს— ქალია. როგორც ცნობილია, ქალებს დიდი როლი ეკუთვნით საგმირო ლექსების შექმნასა და გავრცელებაში. ივ. ბუქურაული ლექსის კომენტარის სახით თავისი სიტყვებით მოგვითხრობს მთაში გავრცელებულ გადმოცემას: — „გარდმოცემა მოგვითხრობს, რომ თორღვა იყო ბაგრატიონთ ნაბიჭვარი, სცხოვრობდა სოფელ მუცოში, რომელიც მდებარეობს პირაქით ხეესურეთში, მდინარე არგუნის სათავეში. მთაში, მძინარეს თავს დასდგომია თორღვას ქისტების გამოჩენილი ბელადი ვაზუზი, რომელიც შიშის ზარსა სცემდა მთელ მთა-ბარს და დაუტყვევებია. როდესაც ერთ კლდის პირას ბილიკზე მიდენილან, უცბათ უძვრია თორღვას საცვეთიდან ხანჯალი, დაუცია ვაზუზისათვის გულში, გადამხტარა კლდეზე და თავისათვის უშველია.

ფშავლებს და ხევსურებს ხარჯი უძლევიანთ თორღვასათვის და ერთხელ ხარჯის აღების დროს ფშაველს მოუქლავს იგი ისრით. ეს ჩანს ფშავური ლექსიდან, რომელიც მოყვანილი აქვს ხიზანაშვილს „ფშავურ ლექსებში“. იქვე, გვ. 56—57.

სტრიქ. 6 — ბორტვი — ბელტი. სტრიქ. 14 — გუგუმი — ლითონის მსხვილი შძივი.

ამ ლექსით თორღვა ქისტების წინააღმდეგ მებრძოლი ჩანს.

თუშურია აგრეთვე ვარიანტები:

იბ

ჩამწერი დ. როსტომაშვილი, მმბ, 1895, № 3, შან., გვ. 346.

იბ

ჩამწერი დ. ალბანელი, კვლ, 1897, № 13; შან., გვ. 346—347. ჩამწერის შენიშვნა: „ხალხის თქმით, ვაზოძე მძინარე თორღვას წააღვა და აპყარა იარაღი“. იქვე.

222. თორღვა

მთქმელი მინდია ქისტაური. თვალივი. ჩამწერი აკ. შანიძე. 11. VIII—1913. შან., № 44, გვ. 16. ტექსტს ახლავს საყურადღებო შენიშვნები: სტრიქ. 3—ამაეს ამაიყოლა ნავთი და ნაკვერცხალიო — ე. ი. ფიცხი ყოფილა მეტად; სტრიქ. 5—ამაიჩქვიფა — ე. ი. ტანი დაიბანა; სტრიქ. 6—შორით ვინ უგა თვალიო — აქ საეჭვოა, რომ კითხვა იყოს, უფრო ამას უნდა ნიშნავდეს: შორით ვილაცამ თვალი მოჰკრა; სტრიქ. 8—ბეჭებს უნახეს ჭვარიო — როცა იორში ბანაობდა ვილაც კაცს თვალი შეუსწვრია და დაუნახავს, რომ ზურგზე ჭვარი ჰქონდა გამოხატულიო; სტრიქ. 16—რო ძუძაური ჭვარია — ვარიანტი იმავე მიხედვით: როგორც მანძილა კარიო, არის აკ. შანიძის სხვა განმარტებანიც. განსაკუთრებით საინტერესოა სტრიქ. 8, რომელიც თორღვას წარმოგვიდგენს ზებუნებრივი თვისების მატარებელ გმირად. იქვე აკ. შანიძეს მოყავს მთქმელის ნაამბობი, რომლითაც თორღვა „კონსტანტინე ბაგრატიუნის ნაბიჭვარი იყოვო“. ამის გამო აკ. შანიძე შენიშნავს: „...ძაგანის გვარი“, „ძაგანთ გვარი“, ან კიდევ — ძაგნის გვარი“, როგორც ვარიანტებში იკითხება, დედის მხრივ ხომ არ აღნიშნავს ჩამომავლობას?“ აკაკი შანიძეს იქვე ისიც აქვს აღნიშნული, რომ თქმულება მცურავი ჯაჭვის შესახებ დაკავშირებულია მამუკა ქალუნდაურის და მექობაურის სახელებთანაც, რომ მის ჩუქებას ძმობილს (ხშირად ვეშაპს) მიაწერენ. შან., გვ. 347.

ბ

- არქილოშიით მოვიდეს მონადირენი რენიო;
შემოეყრება თორღვაი, ქორ-შავარდენი ჩქარიო...
- სადა რა იყავ, თორღვაო, საით რა მოხვალ მგზავრიო?
— საფელს დავადევ ბეგარი, კომლზედ ორ-ოლი ცხვარიო.
- 5 — აბჯარ რა უყავ, თორღვაო, ძმობილის ნაჩუქარიო?
— იელოვანზედ გაუშვი, გაქანდა როგორც წყალიო;
გამაუყენენ ვეზირნი, ველარც-კი მაჰკრეს თვალიო.
— სამჭერ გეხვეწე, თორღვაო, სამჭერ დაგიკალ ცხვარიო,
მეოთხედ გავიფიცენით, თეთრი ქორაი ხარო;
- 10 არ დაიჭერე, თორღვაო, ოსრიე შამუშვი ჩარო,
ძმობილის მოლაღატესა ღმერთმ გიყვას სამართალიო.
ჩამოვადვენა ჩოთამა ისარი მქვეარტლიანიო:
სუკსა გკრა, გულსა გეწია, გაბოძებინა მხარნიო!
თორღვაე, ნუ დამემდურები, ძალისა მოგე ძალიო!
- 15 შვიდ წელს ვარ ნაავადარი, სამსა-კი ნაცივარიო,
მუხლით მოვზიდენ ბოძალდსა, ხელში არა მაქვს ჩანიო;
შიგი-შიგ შავატანიე: ჯაჭვი პერანგი, ძვალიო...

ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 64. გადაბეჭდილია უცვლელად. ოღონდ დიალექტის მიხედვით ხ შესწორებულია 3-დ. შან., გვ. 352—353.

ბ

- ანდაკით ამოემართნეს მონადირენი ორნიო;
მობუბუნებდა თორღვაი, როგორც მანძილა-ხარო.
— სადა რა იყავ, თორღვაო, სად რა აუშვი ალიო?
— ემანდ სამ ვიყავ მუტუსა, ბეგარას მუშატეო;
- 5 თქვენც უნდა მამცეთ, ფშავლებო, თითო შიშაქი ცხვარიო,
თითო ტომარა ნაცარი, თითო ბორაის მხარო...
— სამჭერ გეხვეწე, თორღვაო, სამჭერ დაგიკალ ცხვარიო,
მეოთხედ შამოგეხვეწე — თეთრი ქორაი ხარო...
ვინც ხუთჭერ მოგცეს ბეგარი, მამა უძალდეს მკვდარიო!
- 10 გადმაჩინა თოთამა ისარნი მქვეარტლიანიო,
წყალს გაღმით მშვილდსა მასწია, წყალს გამოღმ იქნეს ჩქამნიო.
ხელამც შავრჩება, მსროლელო, რა კარგი მიეც ძალიო.
ერთის ნასროლით გახერიტე ჩოხა, პერანგი, ჯაჭვიო.
— გაგორდი, მუტუს გაზრდილო, თორღვაო, გამცივარიო;
- 15 გატირეს ორის თვალითა, როგორც ქმარ-მკვდარი ქალიო...
თორღვაე, ნუ დამემდურები, ბოძალდს ვერ მივე ძალიო, —
შვიდს წელს ვარ ნაავადარი, სამსა-კი — ნაცივარიო...

- ჭაჭვი რა უყავ, თორღვაო, ძმობილას ნაჩუქარიო?
 - იელოვანზედ გავწირე, გაქანდა როგორც წყალიო;
- 20 ძმობილის მოღალატესა ღმერთმ გიყვას სამართალიო...

ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 87—89.

ტექსტს შენიშვნის სახით ახლავს გადმოცემა: „ეს თორღვა, ხალხის გადმოცემით, ბაგრატიონთ ნაბიჰვარი იყო, ხევსურეთში აღზრდილი და ხევსურის ქალის შვილი. ბეგარას იღებდა ხევსურებზე და ფშავლებზედ, რა მიზეზის გამოც მოჰკლეს. ნაცარი გზების გასაშრობად უნდოდა — ბორაის მხარი — ისრის ფრთად... თორღვას ციხე ეხლაც არის სოფ. მუცუში, ხევსურეთში“.

აქვე არის განმარტებანი:

სტრიქ. 1 — ა ნ დ ა კ ი — მ თ ა ფ შ ა ვ შ ი ;

სტრიქ. 19 — იელოვანი — ადგილის სახელია, სადაც თორღვა მოჰკლეს. ეს ტექსტიც გადაბეჭდა აკაკი შანიძემ. ამ შემთხვევაში დიალექტის მიხედვით ხ შეასწორა ჯ-დ. შან., გვ. 353—354.

ღ

ანდაკში ამოდიოდეს მონადირენი რვანია,
 მობუბუნებდა თორღვაო, როგორც მანძილა ქარია:
 — საისაკ მიხვალ, თორღვაო, საით მიგიდის ჭარია! —
 — ფშავს მივალ, ბეგარ უმატე კომლ-კომლად თითო ცხვარია.

5 თითო ნაციან ტომარა, თითო ბორაის მქარია.
 ყვარაში დადგა კარავი, დანთო კელაპტარია,
 კაც მოუგზავნა ძმობილას: შენ ცოლ მენ გამამგვარია!
 — სამჭერ გეხეწუნ, თორღვაო, სამჭერ დაგიკალ ცხვარია.
 მეოთხეს ჩაჰოსგლაზედა თეთრი ქორაი ქარია.

10 შენ არ დამინდეც, ძმობილო, ღმერთმ მოგცას სამართალია!
 გამაუწვავა ჩოთამა ისარი მჭვარტლიანია.
 გაღმით მოზიდნა ბოძალდსა, გამოღმით იქნეს კმანია.
 — თორღვაე, ნუ დამემღურები, ბოძალდს ვერ მივეც ძალია,
 შეიღის წლისი ვარ ტუსალი, სამის თვის — ნაცივარია! —

15 კელიმც შაგჩება მსროლელო, მაგრა მივიცავ ძალია,
 ყველა თან წაალებინე ჭაჭვი, ჩოქა და ძვალა.

მთქმელი შეთე ხაზონაშვილი. სოფ. გოგოლაურთა. 1946 წ., ფშ. ზეგს., გვ. 117. სათაურად აქვს „თორღვაის მოკვლა ჩოთასაგან“.
 ცნობილია სხვა ფშაური ვარიანტები:

კ

ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 148. გადაბეჭდილია — შან., გვ. 353.

მთქმელი გიგოლა ზვიადაური. ს. არქილო, 1940 წ., ფშ. ხევის., გვ. 110. სათაურად აქვს „არ დაინდობი, თორღვაო“. სტრიქ. 8 დაბეჭდილია კვკ ა ნ ი ა, შევასწორეთ — ჩ ქ ა მ ი ა. გარდა იმისა, რომ აზრობრივად ასე სწორია, ახლავს განმარტება — ხ მ ა უ რ ი.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ზ

ობლობით ამიზარდა თორღვაი ძაგან გვარიო,
ამაეს, ამიყოლა ნავთი და ნაკვერჩხალიო.
იელოვანზე გავიდა ზინ რა შაბა თვალიო,
ანდაქით ამაღიოდეს მენადირენი რვანიო.
თორღვამ მასთხოვა ბეგარი თითო შიშაქი ცხვარიო,
თითო ნაციან ტომარა გზაზე დაყარა მშრალიო.
ამაიწვავდა ჩოთამა ისარი მკვარტლიანიო,
სუქსა ხკრა, გულსა უწვდინა, წავიდა ნატყვიარიო.
სამჭერ მამიხედ თორღვაო, დაგიკალ თეთრი ქარიო,
გეუბენ, ვერ მაგადინე ბაგრატიონთა ხარიო.
რა უქენ ჭაჭვი თორღვაო სმობილის ნაჩუქარიო?
წავიდას აბანოჩივა, გაქანდა როგორც წყალიო.

მთქმელი თოთია წიკლაური; 60 წლის. სოფ. როშკა. ჩამწერი ქს. სიხარულიძე 13.VIII—44 წ. მთქმელმა ლექსს მისი ტერმინით — ლიმღერეს — მიაყოლა გადმოცემა (მისი ტერმინით ანდრეზი), რომელიც აქვე მოგვყავს:

„ერეკლეს როცა თათარი შემოსევია, როცა მოკვდა, მერე შვილები გამევეკიდენ ერთიმეორეს მეფობას. ის ერთს გიორგი ერქვინა და ის გამაიქცა ჯევსურეთში. ის შაჯდა, აქლემით გამეექცა თათარს თბილისშით. იქიდან გამაქცეული აქლემი დამდგარა საკანათის ქევს. გადავიდა ის ერთ წელიწადს, გაჩერდა სოფ. მიცუჩი. ს. მიცუჩი დაღვა ერთი წელი, იქ იყო ციხეჩი, სიმაგრეჩი. იმას ვინც ხყვანდა პოვერი, ერთი დედაკაცი იყო და ორი ქალი ყვანდა იმას. ის პურს ქალებს აზიდვინებდა ბატონთან. ეხლა მასწონდა დედას ბატონიშვილი გიორგი, ქალებს თუ ეუბნებოდა — პურს რომ მიართომთო, ხვარ შემაგიცქერთო თქვენო, რომ თქვენზე გული დაშჩასო?

უფროსმა ქალმა უთხრა, როა არას შემომიციქერსო. მეორემ ქალმ უთხრა რომაო — მე რომ მივართომავე პურსო, შემომიციქერსო და პირჩი მეცინებისო.

მემრე უთქმია დედას ქალისთვის:

— მაშინ იმასთან ისე დასჯდიდიო, დასტრიალდიდიო, ისე დაჯდიდიო, რომ შიშველი დაგინახოსო. მისც ი ქალ, მიილა პური და დამჯდარ ისე, რომ თვალით უცქეროდა ი ბატონიშვილ იმას. მერე ის შეუცდენია ბატონიშვილი გიორგი ქალს. დაორსულებულა იმისაგან ი ქალი. მემრ გაზაფხულზე გამშრალა თოვლი და წასულ გიორგი ისევ. იმ ქალს ყოლივა ვაჟიშვილი. იმას დახქვინებია სახელი თორღვა. ის გამოსულა იმისანა ბიჭი, რო კორცის კაცი მეტ აღარ შაიძლებოდა იმაზე. იმას უბიჭებავ იმისთანა, ამ ფშავლებისთვინ დაუდვია ბეგარ. ურთმავე თითო ცხვარი კომლზე და თითო თეთრი ქარი თუ ეხლა გზა აუჭყლაპდება, მშავლებს ნაცარი უნდა ეყრივა მისთვინ გზაზე. იმას კლდენი გადაუნადირებია, არწივისათვინ მაურტყამს თოფი და წასვლივა დაქრილი არწივი. გადასულ იმასთან და მაშინ უნახავ პირადად, აბანო მაუკელია. შასულა ის იმ აბანოში თაოდ. ერთი ფშაველი ჰყოლია ძმობილი და ჯაჭვი უჩუქებავ თორღვისთვინ. ი ჯაჭვი ისეთი იყო, რომ მცურავს ეძახის. თუ იმ ჯაჭვს ტანზე ჩაიცომდა, სისხლი არ გამასდიოდაო. ისარი ვერ ხგლეჯდა ჯაჭვს. ყოფილა რამდენს ხანს ისი. მემრე იმ აბანოში ყოფილა და ჯაჭვი წასლიაო. წასვლია იმას მაშინ სიცოცხლის დროება. მემრე ისევ ფშავშია დადიოდ, ფშავლებს ბეგარას სთხოვდა და ფშაველმ მოკლეს ისი. თუ მიდიოდა სხვა კაცი და მოუთხოვია — მომეციო ესო. ფშაველ ჩოთაჲ ერქვა და იმას უსროლავ ისარი და იმას მოუქლავ“.

223. სულს შიშველს

ხევსურეთი. ჩამწერი თამარ მაქავარიანი. კოტ., გვ. 113. ახ. გამოც., გვ. 129. შენიღვნებში ვახტ. კოტეტიშვილს მოყავს თქმულების შინაარსი: „თორღვას აბანო იმყოფება თუშების მთაში. გადმოცემით, ეს აბანო თორღვას აღმოუჩენია, ზევსურების განთქმულ გმირს. თქმულებით თორღვასა ჰქონია მცურავი ჯაჭვი, ქაჯის ქალის მიერ ნაჩუქარი. ხმალი თუ ისარი სადაც არ უნდა მოხვედრიყო, ვერას აკლებდა თორღვას, რადგან ჯაჭვი იქ მოგროვდებოდა და ამ რიგად არჩენდა თორღვას სიკვდილისაგან. როდესაც თორღვა აბანოში ჩასულა, აუხვლია ჯაჭვი და მარგილით დაუბავ, მაგრამ ბანაობის გათავებამდე ჯაჭვი გაპარულა. ამაზე არის ლექსი დარჩენილი:

ჯაჭვი რა უყავ თორღვაო,
ქაჯების ნაჩუქარო,
გავწირე აბანოშია,
გაქანდა როგორც წყალიო».

კოტ., გვ. 345. ახ. გამოც., გვ. 371.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

კახეთში ჩამავიარე, ადგილი ავიტანეო,
სულს შიქცევს უინულიანი, ჩინან ლეკეთის მთანიო,
პირდაპირ სპეროზიანი ჭიქეების საბუღარიო,
სად იცით აბანოს ქვეი თორღვანის ნაციხვარიო.

- 5 ქვესურ ვინ იუვის თორღვაი, ერეკლის ნაბიჭვარიო,
შშაველთა უღვავ ბეგარი თითო ნაცრიან ცალიო,
იმისად უყოლებავის თითო არწივის მკარიო,
მთაზე უშლევავ ნაციარი, აასრ უღენავ ჭარიო.

მთქმელი ლაგაზა ზაიელი 17 წლის. სოფ. უკანახადუ, ჩამწერი
ქს. სიხარულიძე, 31. VII—1964 წ. მთქმელი ლექსს დასძახოდა ფან-
დურზე.

ბ

თოვლიან უინულიანი სჩანან ლეკეთის მთანია,
სად იყოს აბანოს ხეი, თორღვანის ნაციხვარია.
თორღვა ყოფილა ხევსური, ლევანის ნაბიჭვარია.
ფშაველებს რო დასღვა ბეგარი, თითო შიშავი ცხვარია.

- 5 თითო ნაცრიან-ტომარა, ამშრალეზინო წყალია,
სამუცო გამოშიყოლეთ თითო არწივის მხარია.
ვინცა შენ მოგცეს ბეგარა, წაუწყდეს მამა მკედარია.

სნჯ.; III, გვ. 154. ახლავს განმარტება: სტრიქ. 3— ლევანი —
ერეკლე მეორის შვილი, ახალგაზრდა დაიღუპა.

224. თორღვავ გიბარემს ბატონი

ხევსურეთი, ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 45, გვ. 17. იქვე,
გვ. 355.

ფ შ ა უ რ ი

ბ

უამი მივია, მოვია მუცოს თორღვანის კარადა.
თორღვავ, გიბარემს ბატონი: „კახეთს ჩამოდი ბარადა!
ოზუზის გადამღებელო, თორღვავ, რა გქონდა ფარადა?“
— „წელთ კმალი, თავზე ჩაჩქანი, სამკლავე საბუქარადა.

- 5 მიუჯე მუხათ პირშია, სტო გავიხარე ფარადა“.

ჩამწერი ვ. ტუქსიშვილი. შან., გვ. 355.

- თორღევე, გიბარებს ბატონი: „კახეთს ჩამოდი ბარადა!
 ცხენსა მოგცემდი ისეთსა, შინ მიგიყვანდა ჩქარადა;
 კმალსა მაგცემდა ისეთსა, ევრვინ ჩამოგყროს ძალადა“.
 ვაჟისძის გადამღებულო, თორღევე, რა გქონდა ფარადა?
 5 — „სამკლავენ მიფარებიან, დანა მქონია კმალადა“.

ჩამწერი თ. რაზიკაშვილი, შან., გვ. 355.

225. თორღვას მოკვლა

ხევსურეთი. ჩამწერი ნ. ურბნელი. ივ., № 120, 1888 წ. შან.,
 № 46, გვ. 17.

226. დაბვლივნა ხოზარის გორმა

მოყვანილია ვაჟა-ფშაველას წერილში „ჩემი პოემების შესახებ“, ტ. VII, გვ. 334—336. ლექსის რეალური საფუძვლის გასარკვევად საინტერესოა ადგილი ვაჟას წერილიდან: „...სუმელჯი და სანათა ეკუთვნიან იმ შავსა და ბნელს დროს, როცა ფშავლები და თუშები ერთი მეორეს ჰლაშქრავდნენ, არ იყო მათ შორის ძმობა და თანხმობა. თოფი მაშინ ხმარებაში არა ყოფილა. არამედ მშვილდისარი და ბოძალი. თქმულება ხალხური და ლექსი ასე განმარტავენ, რომ თილისძის ბელადობით მოსული თუშის ლაშქარი მთლად გასწყვიტეს ფშავლებმა, მხოლოდ სარდალი-და გადურჩათ ცოცხალი და შინ როცა მივიდა, დედას უამბობს თუშების დამარცხების ამბავს ფშავლების მიერ“. აქვე ვაჟას მოყავს ეს ლექსი და აღნიშნავს: „ეს ორივე გმირი—სუმელჯი და სანათა-მე შევსურე „ბახტრიონის“ გმირებში: სანათა როგორც ენით, სიტყვით გამამხნევებელი დიაცი და სუმელჯი — კი როგორც თავის ქვეყნისათვის მებრძოლი ვაჟაკი“. იქვე, გვ. 335. თილისძის ხსენება თქმულებაში საფუძველს გვაძლევს, ლექსი დავათარილოთ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრით. ამავე მიზეზით ლექსი შეიძლება თილისძის შესახებ ნაწარმოებთა ციკლშიც მოთავსებულიყო. რაკი მისი შინაარსი ძირითადად შინაურ შულღზეა აგებული, ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მისი აქ მოთავსება.

ბ

თუშნო, ქოშარამ დაგლიენათ, ადგილმა ქვეჭუვიანმა,
მალალმა საყაჰის წვერმა, წყლის აღარ ჩამოდენამა.
წოწკურაულის ისარმა, უწყალოდ გადმოდენამა,
ნარჩევის თუშებისამა — ცხენზეით ჩამოდენამა.

მთქმელი გ. ზვიადაური. სოფ. ხაიშო (თიანეთის რ.), 1939 წ. ფშ. ხევს. გვ. 111. სათაურად აქვს „თუშების დალევა ხოშარაში“. ამავე მთქმელისაგან ეს ტექსტი უცვლელად ჩაწერილია სოფ. ჭიაურაში დ. წერედინის მიერ — 1961 წ. ფ. არქ., კ. 27, გვ. 171. ახლავს განმარტება: სტრიქ. 2.— საყაჰის წვერი — შთა.

ბ

დაგვლიენა ხოშარის გორმა, ბოზვთა დედათა ენამა,
მალალმა ხოშარის გორმა, მანდ წყლის არ გამოდენამა,
წოწკურაულის ისარმა, უწყალოდ ზედ მოდენამა,
ფეხ-ჩითიან თუშებმა, პირთაქვე ჩამოდენამა.

ჩამწერი ალ. ოჩიაური, ოჩ., გვ. 213.

227. სუმილჯისაგან თუშთ ხოცა

მთქმელი შ. ხახონაშვილი. სოფ. გოგოლაურთა, 1946 წ. ფშ. ხევს., გვ. 113.

228. ხმესურბის ბალაშჰრება არხოტჰი

მთქმელი გიორგი ჯაბუშანური. სოფ. ახიელა, ჩამწერი აკ. შანიძე. შან., № 176, გვ. 73.

ტექსტს ახლავს განმარტებანი და შენიშვნები: სტრიქ. 4—სამის ბატონის ყმანი — ე. ი. გუდანის ჯვრისა, ბაცალიგოს ჯვრისა და კაჯ. მატის ჯვრისა სტრიქ. 15—შავხენე კვირიწმინდასა — ამას იონეური იმბობსო; სტრიქ. 20 — სოფლადავ შამადიანო — ე. ი. ახიელს; სტრიქ. 26 — მაწმინდარს გეტყოდიანო — თუ „იწმინდებოდა“ დასტური იყო, ან ჯელოსანი.

შინაარსი ეს არის: პირ-აქეთელი ჯევესურები სალაშქროდ წასულან არხოტს. არხოტიენები ციხეებს შეკფარებთან. ბელადი თამარისძე შესულა იონეურის სახლში, ბაკნიდან ფათა ამოუჭამია და დაუძახნია ციხეში მყოფის იონეურისათვის: აი, რა გიყავიო. — არ მესმის კარგად,

ცოტა ჩამოჩინდი, რო კარგად დაგინახოვო. დაუქეპნია ბურას, მოჰხვედრია დერიფნის „სანაპიროს“ და კაციც გაუტანია.

აქ მოკლული თამარიძე ის თამარიძეა, რომლის დატირებაც არის 88 ნომერში (იგულისხმება შან. № 88) — შან., გვ. 439.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

ქადაგობს გაიდაური: „ბძანებს გუდანის ჭვარიო:

ჩემს კარზე შაიყარენით სამი ბატონის ყმანიო.

სამი ამიბით დროშია, სამსავ შააბით ზარაო“,

გაიგა არხოტის ჭვარმა, წელთ შამაირტყა კმალიო:

- 5 „სხვაენით ამილაე ბეგარი, დამპალო, სად მიხვალაიო?
ბეგარს კი ვერას წაილებ, სამი წაილი მკვდარიო“.

—

შავხენე კვირიწმიდასა, — ყროლანი გამადიანა.

აქა ნუ მაზღით ყროლანო, — გულს სისხლნი გადამდიანა.

არ დაიჭერეს ყროლათა, სოფლადაე შამადიანა.

- 10 ცხიბთ დასქენსა ბურამა, ყაწიმინი ლაშში ხყრიანა.

ამადეგ, თამარისძეო, ლულუან გელევიანა.

ჩამაქედ, ივანეურო, ყმაწვილას გაქებდიანა.

ჩამწერი ალ. ოჩიაური. ტექსტს ახლავს შენიშვნა: „O ის (იგულისხმება ალ. ოჩიაური. ქ. ს.) თანახმად, არხოტის გასაბეგრადად მთას გადასული ხევსურები სოფ. ახიელს მისდგომიან. სოფლის სათავეში ერთი ციხე დგას და იქ შეხიზნულან ახიელები. ერთს 15 წლის ყმაწვილს, ივანეურს, ბუჩა თოფი ჰქონია, რომლითაც შორს მანძილზე მოუკლავს ბელადი თამარისძე. მიუხედავად ამისა ხევსურები შესულან სოფელში და დაპრევიან სახლებში. ერთ სახლში ფაფა დაპრჩომიათ ნადულარი. გამოსულა ერთი ხევსური და დაუძახნია: — ფაფა ქვე ამავიჭამეთაო ბაკანშიგავ, შიგ ჩავჯედივ“. — „ვერ გავიგონევ, ძმობილო, — უძახებავ ციხეშიით, — წამაჩინდიო, რას იძახივ“. ცოტაად წამაჩენილ კვესური. სანაპირონი ხფარებიონ. უსრეგავ ციხეშიით და აი სანაპირონიც გადაუტეხიან და კაცსაც მახვედრივ, მამკვდარ“. ამის შემდეგ დაშინებულან ხევსურები და წამოსულან. „ერთ დიაც ყოფილა, სრუ ზურგით გადმაუცილებიან თითობით გადმასაფარებშიამდე კვესურები, იმით რო ზურგზე როსაც კაც ეკიდ, იმ დიაცის ხათრით თოფს ხო ვერ ესრევედეს“. ამის შემდეგ თითქო გზაში ჩაჰსაფრებოდეს უშიშა ოჩიაური და ერთი ხევსური მოეკლას. შან., გვ. 439—440.

ხევსურეთი, ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 198, გვ. 82. ახლავს ჩამწერის განმარტებანი:

სტრიქ. 14. თამნიაურს — „ამ თამნიაურს (გუდამაყრელი ყოფილა) ორმოცი ხევსური ჰყოლია მოკლული“;

სტრიქ. 17—18. ჩვენდ იყავ კაის მაქმედი, ახლა შენც მაგიწვდინნო. — „ვითომ, ჩვენ ბევრი ზიანი მოგვეცი და ახლა კი გადაგიხადეთო“.

სტრიქ. 27—28. თამარისძესა მძებნელ დაშჩ არავინაო—თამნიაურს თამარისძე მოუკლავს, თურმე არხეინად იყო, იმას ნათესავი არ დაჰჩა, რომ სისხლი აიღოსო. ამ თამარისძის სისხლი ბერაიშვილსა და ბადათერას აუღიათ“. შან., გვ. 456. შეიძლება აქ იმ თამარისძის სისხლის აღებაზეა ნათქვამი, რომელიც ქისტების წინააღმდეგ ბრძოლით იყო განთქმული და რომელზედაც არის შექმნილი „თამარისძის დატირება“ (შან., № 88).

230. ტროპეუ ბიგოლი

ჩაწერილი ხევში. მოხ. გვ. 19. თითქმის ასეთივეა 1936 წ. ყაზბეგის რ. ს. აჩხოტში მიხ. მალსაგიშვილის მიერ ჩაწერილი ტექსტი. ფ. არქ., № 5140.

განსხვავებანი სტრიქ. 2— დ ე ე ქ ა რ ბ ა ო — დ ე ე ქ ა რ ა ო ; სტრიქ. 4 — ვ ა ე ა ი ე მ გ ი ს თ ა ნ ა ო ; სტრიქ. 10 — ე რ თ ი ც ა რ გ ა ა ტ ა ნ ა ო . სტრიქ. 14— დ ო გ ბ ნ ი დ ა წ ა რ ა მ ა რ ა ო ;

231. ბიგოლი

ხევი. მოხ., გვ. 19. როგორც ლექსის დასასრულიდან ჩანს, მისი ავტორი ლულუშაური უნდა იყოს.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

ლუდი დულს პირიმზეშიგა, ქვაბებს გადმოსდის პირსაო,
სულ აირია ღრუბელი, ნისლი დაეცა ძირსაო.

სოფლად კარკუჩას აქებენ გიგოლ მარსაგიშვილსაო,
დედამ გაზარდოს მაგეთი, ერთი ათასად ღირსაო.

5 გოგოლამ ნახა სიზმარი, მომკლავი თავის ძმისაო.

— რას ფიქრობ, ძმაო გიგოლი, შური მოეგე მტრისაო,

- მაშინ წამოდგა გიგოლი. ბედი ახსუხა ღვთისაო,
 — თოფი ბურნუჩას ბურაო, ძალმალ ეკოცნის პირსაო.
 ძრიელ ჩქარობდა გიგოლი, გადავლა უნდა მთისაო.
- 10 ახოს მთა გადაიარა, შეუქა პირიმზისაო.
 გზაში სამ შეხვდეს ხევსურნი. ჰკითხეს ამბავი გზისაო.
 — რაისთვის მკითხავთ ამბავსა, თქვენი რა ქარი ქრისაო,
 ხომ არვინა ხართ ისეთი, სისხლი გემართოს სხვისაო,
 აბჯარშია შეკაზმული შეგავს წინანდელ გმირსაო.
- 15 — შენ თუ არ გინდა ის კაცი მოჰკლავი შენი ძმისაო,
 თუ ფიქრობ შერიგებაა, ტეტრეკა ძვირად ღირსაო.
 მადლობა უთხრა გიგოლიმ, თავი დაუქრა ძირსაო.
 წყალობა რამ ჩამოვიდა მადლიდან ზეცით ღვთისაო.
 დასხდა, დარიგდა მხვეწარი, დრო არი ჩვენი სმისაო.
- 20 იქ ჭარზე შეხვდა ხევსური, რომელსაც ჭავრი სჭირსაო,
 — რას ფიქრობ ბრივეო ხევსურო, მზე გიბნელდება ცისაო.
 ხევსურმა ფარი იფარა, ფხა ნახა თავის ხმლისაო.
 უწინ დაასწრო გიგოლიმ მარჯენითვე ბეჭის პირსაო.
 წამოიწია ხევსურმა, პირქვე დაეცა ძირსაო.
- 25 ხელიდან მიწას იგლეჯდა, იღებს ნაჭრევის პირსაო.
 სახელი ნუ დაეღვეა ლუთხუმ ჩოხელაშვილსაო,
 გიგოლის ცხენი მიართვა, რომელიც კარგა რბისაო,
 — შაქეჭ, გიგოლი, იარე, მდევარი მოგდევს მისაო,
 მარდად შეახტა გიგოლი, როგორც ჭერანი ტყისაო.
- 30 თან გაჰყვა წმინდა გიორგი, ხმალი რას უზამს მტრისაო.
 სოფლად კარკუნას ჩამოვა სადამო ჟამის პირსაო,
 მიდიან, სახელს ულოცვენ, ლამაზი მამიშვილსაო,
 თემსაც აჰამა სახელი, სული უცხოვნდეს მკვდრისაო.
 ამა ლექსისა მათჟომი ლარსში მუხასა ეპრიდიო,
- 35 ცულმა რომ აღარ გამიქრა, დავჯე და ლექსებს ვთვლიდიო.

მთქმელი ბაბო ჭინჭარაული. გამარჯვება. ჩამწერი გ. შეთეკაური.
 ფ. არქ. კ. 116, გვ. 258.

232. მინდია თეთრაულიძე

ხევსურეთი, ჩამწერი ბეს. გაბური, შან., № 238, გვ. 109.

233. ვინ მახალ თეთრაულიძე

ხევსურეთი. ჩამწერი ბეს. გაბური. შან., № 239, გვ. 109.

234. რად ბიხარინან შინვანო

ჩაწერილი 1930 წ. სოფ. ვერხველში გოგია ჭინჭარაულისაგან.
 ფშ. ხევს., გვ. 111. ახლვს განმარტება: სტრიქ. 5— სიხარულია — კა-
 ცის სახელია.

ქ ა რ თ ლ უ რ ი

ბ

რად გიხარია დუშმანო, ფშავ-ხევსურეთის ზიანი?
ერთ ლამეს დაიბადება სამოცდასამი ხმლიანი.

ჩაწერილი არანისში 1967 წ. ექსპედიციის მიერ. ექსპედ.
ხელმძღვ. ელ. ვირსალაძე.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

რად გავიხარდა, ეინვანო, ფშავ-ქევსურეთის ზიანი?
ერთაზე დაიბადება თორმეტი ვაჟი კმლიანი.

ჩაწერილი სოფერ სეთურთკარში. ქინ., გვ. 347.

235. ღმერთი გაუწყრის ხიწოსა

მთქმელი გ. ლასურაშვილი, ქართლი, დიღომი. კოტ., გვ. 91, ახ.
გამოც., გვ. 108.

236. იოსება

მთქმელი გაგა თეთრაული. ხევსურეთი, ახიელა. ჩამწერი აკ. შა-
ნიძე. შან., № 74, გვ. 29.

ფ შ ა უ რ ი

ბ

კეცსა თქვეს იოსებაი, ბულა ბუბუნებს ქარია,
ჩამეჩვივის ქმოსტშია, ნამარილევს რო ცხვარია,
ქალმ აიყარნა მანდილნი, არხოტს ჩაყარნა კმანია:
„ვინც მაპკლავს იოსებასა, საკარგუმოდ ჩემი თავია“.

5 არხოტში არხოტიენებსა მუქში შაუჯდა ქარია,
შამაპყვის გორის პირზედა ყმაწვილი უმვცარია,
უძახის იოსებამა: „ბალდავ, რომენი ხარია?“

— „ნუ მკითხავ, იოსებაო, დამბრუნავ აღარ ვარია.
დისწულ ვარ აქიური, ახილელი გვარია.“

10 გუშინ რო გამოგქცევიყენენ, მე ვარ იმ ქალის ქმარია“.

მთქმელი ათია წოწყურაული. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. ჩამწერის შენიშვნა: „ეს ვარიანტი ხევესურულად მაქვს კარგად ჩაწერილი“ (იგულისხმება დ. ვარიანტი — ქ. ს.) — „ლექსშია, რომ უმეცარმა ბაღმა მოკლაო, აქვე კი ნათქვამია, რომ მე ვარ იმ ქალის ქმარიო. უნდა ვიცოდეთ, რომ ხევესურები ხშირად იქვე აკვანში ნიშნავენ ბავშვებს“... „ეს ლექსი ხევესურულია და ფშავში გავრცელებულა. არც ბოლო უჩანს, გვარებიც გადარეულია. საზოგადოდ თუ ძალიან გამოჩენილი კაცის სახელი ან გვარი არ არის, ხშირად ავიწყდება ნამდვილი გვარი და სახელი ხალხს, აგრეთვე სოფლისაც“. შან., გვ. 386.

ბ

კვეთა ზის იოსებაი, ბულა ბუბუნებს ქარია.

კვესურეთს ჩამეჩვია, როგორც მარილზე ცხვარია.

ქალმ გადაყარან მანდილნი, არხოტს ჩაყარან ქმანიო:

„ვინც მაჰკლავთ იოსებასა, საკარგუმოდ ჩემი თავია“.

5 ჩამოგეწია თორღეაი, ყმაწვილი უმეცარია.

ჰკითხავდა იოსებაი: „ბაღლო, შენ ვინა ხარია?“

— „შენ რო გუშინის გეწვალა, იმ ქალისი ვარ ქმარია“.

მოგარტყა, იოსებაო, მანძილავ დასხენ რქანია!

ჩამწერი ვ. ტუქსიშვილი. შან., გვ. 386.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

დ

მოკევე იოსებაი ბუბუნებს, როგორც ქარია.

ქმოსტ-როშკას გაღმოსჩევეიყო, როგორც მარილზე ცხვარია.

ახლა არხოტსაც გაღვიდა, ცირცლოვანს დასხნა გზანიო.

მეშზახლეს არხოტიონსა დანდობით დასქრა თავიო.

5 წინ ქალსა, უკვენ იოსებს მუკლებს შაუჭდა ქარია.

ქალმა დაშალნა მანდილნი, არხოტს ჩაყარან ქმანიო:

— „იოსებ გამოგეერია, ძმა-შინშთ დამიქრა თავიო.

ვინც მახკლავთ იოსებასა, იმის საცოლუ ვარია“.

საფიხნოშით ვაეებსა მუხლებს შაუჭდის ქარია.

10 იოსებს მდევარ აუტყდა, გაუღვა დიდი ჭარია,
გამოღმეტღების მდევარსა ყმაწვილი უმეცარიაო,
ჭუთის კორკს გადასეესა იოსებს მახკრა თვალიო.
„დამაცა იოსებაო, დამბრუნავ აღარ ვარია“.

ხკითხავდა იოსებაი: „ყმაწვილო, ვისი ხარია?“

15 „რას მკითხავ, მოკევის შეილო? საომრად მკიდავ ფარია.
შენ რო ქალ გამოგექციეა, იმის საქმარე ვარია“.

კმლითა სცის იოსებასა, ფეჰქვეშ გაიგის მკედარიაო.

ამაგ სიმღერის მათქვამი კვეთილიანი ვარიაო.

ტექსტს ახლავს აკ. შანიძის შენიშვნა: „თ. რაზიკაშვილს ამ ლექსის ზოგიერთი ადგილისათვის ვარიანტები მოჰყავს: 1— მოკვევე იოსებაი — კვესა ზის იოსებაი; 4 — მემზახლეს — ამ სიტყვას თ. რაზიკაშვილი კითხვით ნიშანს უსვამს და შენიშნავს: „სხვა ვარიანტში შემხლესა — მხლის მკრეფავეებს“. შან., გვ. 384—385.

9

კვეში ზის იოსებაი, ბულა ბუბუნებს ქარია.

ქალაქ გაწვიტნა სომეხნი, გულამაყარს უყვ ძალია,
ქმოსტ-როშკას გარმასჩევეია, როგორც მარილზე ცხვარია,
წამავა საარხვატოდა, საწყინარ ეტყვის მქარია,

5 გარმავა ცირცვლოვანშია, საწყინარ ეტყვის მქარია.
ჩამაქდა ეხის კარშია, ჩამაიყულა ფარია.

გამაუღვების ცხვრის წყემსსა, ვერ დაიჭირა ქალია.

ქალმა ისრიენა მანდელნი, არხვატ ჩაყარნა კმანია.

ვაეებს ციხის კარ ნასხდომებს მუქლებს შაუქდა ჭარია.

10 გამაღმეტდების ობოლი, გამაიმეტა თავია.

მაზღევდა იოსებასა, შუ არ ჩაუოს ფარია.

ხკითხევდა იოსებაი: „ყმაწვილო, ვისა ხარია?“

— „რას მკითხავ, იოსებაო, დამბრუნავ არა ვარია.

დისწული ორ იონეურთა, ბალახურისძე გვარია.

15 შენ რო მაზღევდი ქალასა, იმის საქმარე ვარია“.

იოსებამ და ობოლმა სამ-საჰჯერ სცადეს თავია.

იცილებს მტრისა ნაქნევსა ბალახურისძის ფარია.

ობოლმაც ჩქარა მაასწვრა, ბევრ არ დალიო ხანია.

შამახკრა იოსებასა, შამააწვირა მკედარია.

ჩამწერი ბესარიონ გაბური. ტექსტს ახლავს აკ. შანიძის შენიშვნა: „გაბურის სიტყვით, ეს ამბავი „ერეკლე ნეფის დროს“ მომხდარა. ბალახურისძე ლექსში ქალის საქმარედ არის გამოყვანილი. გაბურის თქმით კი ის ქალი მისი ცოლი ყოფილა. ამ ქალს ცხვარი ჰყოლია საბოებლად ვერძის ტყის გორის თავს და იოსებას იქ მოუსწვრია. — გაბურის მეორე ჩანაწერში მცირეოდენი განსხვავებანია: 5 — გარმავა — ეს სულ აკლია: 15. შე რო მაზღევდი ქალასა — გუშინ რო ქალას მაზღევდი. ამას გარდა ბოლო აქ სხვაგვარად თავდება:

საჩქაროზედა ყმაწვილმა ამამღერა კმალია,

შამახკრა იოსებასა, შამააწვირა მკედარია.

„ეგ გინდა, მეკვეის შვილო! ძალეებმ გამაგხრან მკედარია!“

შან. გვ. 384.

ხეცსურულია ვარიანტი:

ჩამწერი შ. ბეწუკლიშვილი. შან., გვ. 387.

მ ო ხ ე უ რ ი

ზ

- ქვეს ვინლაც ივასებაო მინდორს ბუბუნებს ქარო,
 არ იარება დაბალზე, მთის წვერზე დაქნა გზანიო.
 ქალაქს დაწყვიტნა სომეხები, გულამაყარს ქნა ძალიო,
 ქმოსტ-როშას ჩამაჩეუელა, როგორც მუჯაზე ქარო:
- 5 წისქვილჩი მჯდომსა ქალასა თავს დასცემია ქვანიო.
 ქალმა დაიწყა ტირილო, არზოტს შაყარა ყმანიო,
 კერხოჩი მსხდართა ვაჟათა მუქლჩი ჩაუჯდა ქარო,
 დასქარბდა ერთი ქვესური, ყოფილა ქალის ქმარიო.
 ხკითხავდა ივასებაი: ყმაწვილო, ვისი ხარო?
- 10 რას მკითხავ, ივასებაო;
 — შე რო ქალს ეხუმრებოდი, მე ვარ იმისი ქმარიო“.
 შამახკრა ივასებასა, გზის თავს შამაწვეა მკედარიო,
 არც ვალი მაგას გაუყვა, მასქრა მარჯვენა მკარო.

მთქმელი ალ. შადური. ხევი. ჩამწერი ივ. შადური, 1884 წ. უმიკ.,
 № 57, გვ. 56. მითითებულია ვარიანტები, იქვე, გვ. 557. 1884 წ.
 ივ. შადურის ჩაწერილი ალ. შადურის თქმით. — აგრეთვე მისივე ჩა-
 წერილი. ახლავს განმარტებანი:

სტრიქ. 4 — მარილზე ან საბალახოზე ერთ ადგილას მიჩვევა ხა-
 რისა. იმავე სტრიქ. დაბეჭდილია ქ მ ო ს ტ რ ო ჩ ხ ა ს — შევასწო-
 რეთ — ქ მ ო ს ტ-რ ო შ კ ა ს.

ც

- ქვეს ვინლაც ივასებაი ბულა ბუბუნებს ქარია,
 აღარ კადრულობს დაბალზედ, მალაღზედ დაქნა გზანია,
 ქალაქს დაშიშნა სომეხნი, გულამაყარს ქნა ძალია.
 ქვესურეთს გადაეჩეია, ცხორ-ძროხას უყო ძალია.
- 5 ხესთანას ჩამომავალსა ქალმა შაასწრო თოლია,
 დაყარა თავისი ჩიქილა, არზოტს შააგდა ქმანია.
 არზოტიონსა ვაჟებსა მუქლჩი შაუჯდა ქარია.
 მთლად გამაუდგა მდევარი, ვადაიარეს მთანია.
 ქალის ქმარიც დაედევნა, თოფს დაუპირა ტალია,
- 10 მალ დაუარა წინაი, მიწროდ შაუკრნა გზანია.
 „სად მიხოლ, ივასებაო, საით მიგიქრის ქარია?“

ივასებაი ჰკითხაედა: „ვაჟავ, შენ ვისი ხარ:?“
— რას მკითხავ, ივასებაო? გამბრუნებ აღარ ვარია.
დისწულ ვარ ივანეურთა, ბუბუნაურთა გვარია.

- 15 გუშინ რომ ქალას მოზღვედი, მე ვარ იმ ქალის ქმარია“.
გადაუქნია მოკევემ, მოსკრა მარჯვენა მკარია.
ეგრე ჩაკუწეს ერთ-ერთი, როგორც ქვეარი მხალა.
საწყალი ივასებაი გზის თავს შემოწვა მკვდარია.

მთქმელი ანდრია კობაიძე. სოფ. სიონი. ჩამწერი აკ. შანიძე,
30.VII—1913. შან., გვ. 385.

მოხეურია ვარიანტები:

თ

მთქმელი შიო კობაიძე. ს. სიონი. ჩამწერი შალვა დოლაქიძე, შან.,
გვ. 386.

ი

მოხ., გვ. 33.

237. გუროჩი ბაჩაყაური

უმიკ., გვ. 48, № 43.. ტექსტი უპასპორტოა..

238. შაყრილან ფშავლის შვილები

ჩაწერილი თუშეთში. უმიკ. გვ. 47, № 42. დასასრულიდან ჩანს,
ლექსის ავტორი ქალია.

239. ფოცხვერა და თოთიაშვილი

მთქმელი გოგოჭური. ჩაწერილი ხევსურეთში. კოტ., გვ. 240. ახ.
გამოც. 261. ეს ტექსტი № 254-ს ვარიანტად შეიძლება წარმოგვედ-
გინა.

240. ი ვ ა ნ ე უ რ ი

ხევსურეთი. ჩამწერი ბაბო არაბული. შან., № 184, გვ. 77.

თუ ბესარიონ გაბურის გადმოცემას დაეუჭვრებთ, (შან., გვ. 448),
ივანეური ერეკლე მეორის თანამედროვე ყოფილა და შეიძლება
ლექსი საისტორიო ნაწარმოებთა ციკლებშიც შეგვეტანა.

ბ

- კიძლაში ივანეური დღე-შუ გალესავეს ხმალსაო,
დღდა უცხოზდა საგძალსა, მამა უბანდავეს ჭლანსაო.
საშუალამოდ მოუა მოწმეოს მამიდასაო,
გამოპყვა მამიდაშვილი, ასწავლის ფშავის გზასაო.
- 5 უკან მამიდა მოპყვება, პირწალმ მისწერდა ჭვარსაო;
— წალმ გაყევე კიძლის ბატონო, ფშავს მიმდინარე მგზავრსაო.
შემოხდა მუჰის ღელესა, ფშავო, დაგავლებ თვალსაო,
ეთამაშება მწყემსებსა, ხოცას არ ჰკადრებს თავსაო.
გარდით იკითხავს ამზავსა, მთიბლებ სად სთიბენ მთასაო,
- 10 ყარტულასამც შემყარა ლაფიტოპია ხარსაო.
თაწმინდას ჩამოეწია ცაბურთ მთიბლის ჭარსაო,
შემოხვედა ყარტულასა, კალოდ მალეწავს მკვდარსაო.
ივანე დარბაში შევა, შეეხეწევა ჭვარსაო. —
შეპყვება ხოშარაული, შეინთებს კელაპტარსაო.
- 15 მარცხნივე კელაპტარს დაიქერს, მარჯვნივე — შიშველა ხმალსაო.
მოუქნევს ივანეური, გაუქრობს კელაპტარსაო.
ხოშარაული მოუქნევს, იქ აღენს სისხლის ღვარსაო.
აღეკ და წადი მერცხალო, ჩამუღეგ ფშავის გზასაო.
ჭერ ხევსურეთში მიხვიდე, მემრ კიძლას ჩვენსა კარსაო.
- 20 მამას მინდიას მითქოდი, მამავ, ნუ წახვალ თავსაო.
წამაჯღებოდე ბანზედა, წამაიხვევედე ტყავსაო.
მომიზარდოდე ობლები, ნუ მიმიბაძე სხვასაო.
ფშავს დარჩა ივანეური, ველარ მოვალის აქაო,
ივანეურის ფრანგულსა ქალაქ უშინჯვენ ფხასაო.
- 25 ბასრი ყოფილხარ ფოლადო, იმად თუ ფქვავედი ძვალსაო.

მთქმელი მარკოზ ნადირაშვილი, ლაფანყური. ჩამწერი გ. გობრო-
ნიძე. 1961 წ. ფ. არქ., კ. 9, გვ. 67.

ფ შ ა უ რ ი

ბ

- კიძლაში ივანეური დღე-შუ გალესავეს ხმალსაო;
დღდა უმზადებს საგძალსა, მამა უბანდავეს ჭლანსაო,
შუა-ლამისას მალევა მოწმეოს მამიდასაო;
გამოპყვა მამიდაშვილი, ასწავლის ფშავის გზასაო;
- 5 უკვენ მამიდა მაპყვება, პირ-წალმ მისწერდა ჭვარსაო:
„წალმ გაპყევე, თეთრო გიორგი, ფშავს მიმავალსა მგზავრსაო
შამოხდა მუჰის ღელესა, ფშავო, დაგავლებს თვალსაო;
ეთამაშება წყემსებსა, ხოცას არ ჰკადრებს თავსაო.
ყარტულასამც შამყარა, ვიყრიდი იმის ჭავრსაო!

- 10 მწუხრის ხანს ჩამოეწია ცაბურთ მთობლის ქარსაო;
 ხმლითა სცემს ყარტაულასა, გამაგორებს მკედარსაო;
 შავალის სალუდეშია, წელთით დაჰკეტავს კარსაო.
 გაიგო ხომურაულმა, აღარა ზოგავს თავსაო;
 მივილის სალუდეშია, წუთზე შეამტვრევს კარსაო;
- 15 მარცხენით სანთელს შაიტანს, მარჯვნივ — შიშველა ხმალსაო;
 მაუქნევს ივანეური, გაუქრობს კელაპტარსაო!
 მაუქნევს ხომურაული, გააგდებინებს თავსაო...
 ადევ და წადი, მერცხალო, შაუდეგ შავსა გზასაო,
 ჭერ მიხვალ ხვესურეთშია, მემრ კიმლას ჩემსა კარსაო;
- 20 უთხარი მამუას ჩემსა, ნუ შამაიკრის ჯავრსაო,
 დამახელმოკლეს ფშავლებმა, ველარ გამოვედ მთასაო;
 ნუ დამიობლებს შვილებსა, ნუ მიმიზარებს სხვასაო,
 თოფაიცი გამიწმინდოდენ, ნუ შამიკმევენ ჟანგსაო,
 წამოდგებოდეს ბანზედა, წამაიხვევდეს ტყავსაო...
- 25 ივანეურის ფრანგულსა ქალაქს უშინჯვენ ფხასაო:
 — ბასრი ჰყოფილხარ, ტიალო, იმით თუ სჭრიდი ძვალსაო.
 სად არის შენი მკედელი? ველარ იქამსა სხვასაო!..

ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 58. ახლავს განმარტება:
 სტრიქ. 3 — მ ო წ მ ა ო — ს ო ფ ე ლ ი ხ ე გ ს უ რ ე თ შ ი .

დ

- ამღაში ივანეური დღეშუე გაჰლესავს ხმალსაო.
 დედა უცხოდა საგძალსა, მამა უბანდავს ჭლანთაო,
 მამიდა გამაისტუმრებს, ლამაზა დასწერს ჯვარსაო:
 „წალმ ჩაჰყევ, წმინდავ გიორგი, თავის წულს, თავის ყმასაო!“
- 5 მალედავ ჩამეწია ლაშარის ჯვარის ყმათაო.
 ხმლითა სცა ყლარტიულთა, ფეხით მაჰლაზავს მკედარსაო,
 მასდედა პირშიშველაი, ცხვრებულა სჭრიდა თავსაო,
 შავარდა სალუდეშია, წელთით დაჰკეტავს კარსაო.
 მივიდა ხომარეული, შუაზე გასტეხს კარსაო.
- 10 მარცხენით კელაპტარს შაიტანს, მარჯვნივ — შიშველა ხმალსაო,
 მაუქნევს ივანეური, გაუქრობს კელაპტარსაო,
 მაუქნევს ხომარეული, გააგდებინებს თავსაო.
 ივანეურის სახელი ნავით გავიდა ზღვასაო,
 ივანეურის ფრანგულსა ქალაქს უსინჯვენ ფხასაო:
- 15 „ბასრი ჰყოფილხარ, ტიალო, იმით თუ ჰვენტიდი ძვალსაო“.

ჩამწერი ვაჟა-ფშაველა. თაყ., 1, გვ. 494. № 29. ტექსტს ახლავს
 შენიშვნები:

სტრიქ. 1 — დ ღ ე შ უ ე — დ ღ ე - გ ა მ ო შ ე ე ბ ი თ , ო რ დ ღ ე -
 შ ი ე რ თ ხ ე ლ ;

სტრიქ. 5 — ლაშარის ჯვარის ყმათაო — ფშავლებს;
სტრიქ. 8 შავარდა სალუდეშია — ხატი.
არის სხვა ფშაური ვარიანტებიც:

2

ჩამწერი ე. ტუქსიშვილი. შან., გვ. 450—451.

3

ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., გვ. 451; ხალხ. სიტყვ., III, გვ. 27.
ახლავს აკ. შანიძისა და ჩამწერის განმარტებანი:

„ორი მუხლი აქ (5—6) ფუნჩათ ჯამრულის ლექსიდან გადმო-
სულა (№ 119, 2—3) 4 ნაპოტივარი პატიმრიდანაა გადამახინჯებული;
13 ყელ-ლილიანის ქმარსაო ეს ეპითეტი გავრცელებულია: მკედ-
ლურთ ჰრელუას გარდა ასეთად იხსენიება მაგ. ელგუჯა გუშერიშვი-
ლი (120 დ, 2) და გარა თურმანაული (015,5) 17 მარცხნით შაიტანს
სანთელსა — „მარცხენა ხელით სანთელი შაიტანა, რომ სალუდე არ
წავბილწოვო“; 18 ჯვარ(ს), ჯვარის კარსაო) ჯვარ — ჯვარის კარსაო“.
იქვე.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ზ

გამავედ ვერძის ტყის გორა, კიძლავ, მაგაველებ თვალსაო.

კარგი ხარ, ჩემო ადგილო, ახლა დაგწერ ჯვარსაო.

ჩაეხმრების წყემსებსა, არ ჯოცს, არ ხეადრებს თავსაო.

ხვითხევა იონეური: „მშავში ვინ ივდებს, კმასაო?“

5 სამწუხროდ ჩაეწეოდა ცაბურთ მთიბლის ჯარსაო.

კმლითა სცა უარტიულასძეს, ფექ-ძირ გაიგებს მკვდარსაო.

ამჟიპანდი, მერცხალო, პირ-შელმ შაუდეგ წყალსაო!

ჯერ მიხოლ ქვესურეთშია, მემრ თეთრაულის კარსაო.

მამას მინდიას მითქვიდი: ნუ შეაქცევი თავსაო,

10 ნუ გამილუბებ ლურჯასა, თაუჯს ნუ შემიკმევ ჯანგსაო.

მშავში ზის იონეური, ათამაშებდა კმაღსაო.

ჩამწერი ბეს. გაბური. შან., გვ; 447. ახლავს აკ. შანიძის შენიშვნა:

„ეს ნაწყვეტები შეტანილი აქვს გაბურს თავის „იონეურ თეთრა-
ულის ამბავში“ (გვ. 185—187), რომელიც, როგორც ბევრი სხვა ძვე-
ლი ამბავი, ხევსურთა ჩვეულებრივი დათარიღების მიხედვით, „ერეკ-
ლე ნეთის დროს“ მომხდარა. იონეურს „ჯვარისად რაიმ შაუწყენავ

თავის სიამაყით და ჭვარი გასწყრომივა და გაუყრევავ წვერი და ამ იონეურს ძალიან უუკადროებავ ეს, რომ მე ახლა ხალხში როგორა-ღ ვიარავ“. აუსხამ იარადი, შემჯდარა ცხენზე და გამომართულა ფშავსკენ, რომ მოკლას ვინმე სახელოვანი ვაჟი და თავიც იქ გაწიროს. მწყემსებისაგან გაუგია, რომ ცაბაურთ მთიბელში რეულა განთქმული მეომარი ყარტიულისძე, რომლისკენაც გაქანებულა იონეური და მოუკლავს. შემდეგ გაქცეულა და სახატო საქვაბეში შევარდნილა. ფშავლებს ვერ გაუბედავთ საქვაბეში შესვლა და დაუბრებიათ ერთი მეომარი, სახელად მექობაური, რომელსაც ტანზე ისეთი ჭაჭვი სცმია, რომ დაკრული არ ეკარება. მექობაურს შეუღია საქვაბის კარი და იქ ერთიმეორე დაუხოცავთ, შემდეგ თეთრაულთ წაუღიათ იონეური და თავის მიწა-წყალში დაუმარხავთ.

ამ ვარიანტს გარდა მექობაური არსად გვხვდება, ყველგან ხომურაულია“. იქვე, გვ. 448. ეს გადმოცემა საინტერესოა ტექსტის დასათარიღებლად, რომ მასში — XVIII საუკ. ამბავი ყოფილა გადმოცემული. სტრიქ. 4— დაბეჭდილია ი დ გ ე ბ ს — შევასწორეთ ი გ დ ე ბ ს. რაც შეეხება მექობაურის ხსენებას იგი კონტამინაციის წესითაა შესული გადმოცემაში.

მ

- ქიმაში ივანეური რას-რა შატყობს თავსაო?
გამოვა წინგარდაზედა, ღმართებდა სიათასაო.
ფშაობა გაუბედავის, ვაჟი გაღლესაგს კმალსაო.
ღედა დაუცობს საგძალთა, მამა უბანდაეს ჭლანთაო.
- 5 ცირკლოვანს ჩამავიდოდა, მავაგლებდა ფარსაო.
როშკას მამიდას მაუვა, თეთრაულის ქალსაო.
მამიდა წამევეგება, ტირილს დაითხრის თვალთაო.
გამისტუმრებს მამიდა, ფუნჩა დასწერდა ჭვარსაო:
„წაღმა დაჰყვ, წმინდა გიორგი, შენს პატიმარსა ყმასაო!“
- 10 ავის თავს გამოვიდოდა, გამაახანებს გზასაო.
გავიდა გუგასჭერის ღელეს, ათამაშებდა კმალსაო.
„ღმერთო, ჭუთუას შამყარე, ან ყარტაულას კარსაო!“
მაკლულსა ჭუთუაისას ღმერთ აღარ დასდებს ბრალსაო.
ამანდით ჩამეემართა, კოთხლობს ფშავლის გზათაო.
- 15 მემრ მუჯის ღელეს გამოვა, ფშაო, მოგავლებს თვალსაო.
ამახარავებს წყემსებსა, კოცას არ ხკადრებს თავსაო.
ეუბნებოდა წყემსებსა: „ფშავლებ სად თიბენ მთასაო?“
ამანდით ჩამეემართა, მათსაბლუჭებს ფარსაო.
ჩამეეს ჩამეეწია ცაბაურთ მთიბლის ჭარსაო.
- 20 კმლითა სცემს ყარტაულასა, ფექ ქვეშ გაივლებს მკვდარსაო.
სამსა-ოდ გაფრინდომასა სამს გასწირავდა მკვდარსაო.
შავარდა საქობეშია, წელთით დახკეტავს კარსაო.

მაუეა ხომურაული, მანათებს კელაპტარსაო.

— „გამეედ, ივანეურო, ნუ შამაცოდევბ ჭვარსაო!“

- 25 მარჯვნივ კმალს მიყოლებდა, მარცხნივ — კელაპტარსაო. გამოვა ივანეური, გაუქრობს კელაპტარსაო. წინ-წინა ეგივ მაუქნევს, მასკრის მარცხენა მკარსაო. ხომურაულმაც შამახკრა, სისხლმა შეასხა ქეასაო. შაუშინებავ ფშავლები, ელარი დიან კარსაო.
- 30 ველარც აწევედეს სტუმართა, ვისაც წელთ ღნახვენ კმალსაო. ივანეურის ფრანგულსა ქალაქს უშინჩვენ ფხასაო: „ქვე მოკედა შენი მქედელი? ველარ გასკედსა სხეასაო?“ ბასრი ყოფილხარ ფოლადო, განალამც სკრიდი ძვალსაო! ამაუქუქუადი, მერცხალო, პირ-შაღმ შაუდეგ წყალსაო!
- 35 ჭერ ქვესურეთში შახკლიდი, გემრ თეთრაულათ კარსაო. ჩემ ჭალათ ეგრე მითქვიდი: კარგა მიქმიან ცხენსაო, გამიკვებდით ზამთარსა, თევას ნუ მიკლებთ, ჭერსაო! დელასა ეგრე მითქვიდით: ქალ ნუ დაიჭრის თმათაო. ობოლიც კარგა გაზარდეთ, ნუ მიმიბარებთ სხვათაო.
- 40 მამას მინდიას მითქვიდი: ნურას შაიდებს თავსაო: ფშავს იქდა ივანეური, ამამღერებს კმალსაო.

მთქმელი დავით ლიქოკელი. ჩამწერი ვ. ტუქსიშვილი. შან., გვ. 448—449. ავ. შანიძის შენიშვნა:—8 „ფუნჩა დასწერდა ჭვარსაო—ფუნჩა ივანეურის მამიდის ქმარი თუ იყო, რომელსაც შეიძლება ხევისბრობა ჰქონდა, ეს იმ შემთხვევაში, თუ რომ „ფუნჩა“ შეცდომით არ არის წაკითხული „ყინჩა“-ს მაგივრად, გადმოწერის დროს; „ყინჩა(დ)“ კი ამას ნიშნავს: „ლამაზად, კარგად“; 10 ივანეური ხატის პატიმრად რომ იხსენიება, შდრ. — გაბურის შენიშვნა (ზემოთ, ბ. ვარიანტთან): 16 მუჯის (პო, ასე აქვს ტუქსიშვილს 16, 27, 28 გამოვა) გამუა; 35 ყოფილხარ კყოფილხარ; განალამც — განამლაც; 37 შახკლიდი — შაკკლიდი. ტუქსიშვილი; 41 ნუ მიმიბარებთ — თითქო ხელნაწერშია: ნუ მიმიბარებთ“. იქვე. გვ. 449).

თ

კომლაში ივანეური რას-რა შატყობს თავსაო?

ფშავობა გაუბედავის, დღე-შუ ლესეედის კმალსაო.

გაპოვას წინგარდაზედა, მართებდა სიათასაო.

დედა დაუცხობს საგძალთა, მამა უბანდაეს ჭლანთაო.

- 5 ფშავისაყ გამემართა, მახანებლის გზათაო. როშკას მამიდას მაუეა, თეთრაულათა ქალსაო. მამიდა მოეგებება, ტირილს ითხრიდა თვალთაო. ფშავისაყ გამაისტუმრა, ყინჩად დასწერდის ჭვარსაო: „წაღმ დაჰყევე, კომლის გიორგივე, შენს პატიმარსა ყმასაო“.

- 10 გამოვას მუქის ღელესა, ათამაშებდის კმალსაო.
„ღმერთო, ჯუთუას შამყარე, ან ყლარტიულას კარსაო!
მოკლულსა ჯუთუაისას ღმერთ აღარ დამდებს ბრალსაო“.
ამასხარაეებს წყემსებსა, კოცას არ ჰკადრებს თავსაო.
ფექთით წაიყრის ჩითათა, ამოიბაწრავს ჯღანთაო.
- 15 შაეკითხების წყემსებსა: „ფშავლებ სად სთიბენ მთასაო?“
ემანდით ჩამემართა, კითხულობს ფშავის გზათაო.
ჩამავს ჩამოსწევიყო ცაბაურთ მთიბლის ჯარსაო.
კმლითა სცემს ყლარტიულასა, ფექთ ქვეშ გაიგდებს მკვდარსაო.
ჩამოვას საქობეშია, წელთით დაქეტავს კარსაო.
- 20 ხომურაული მალა, მალუნთებს კელაპტარსაო.
„გამაედ, ივანეურო, ნუ შამაიოდებ ჯვარსაო!“
რო იცნობს ივანეური, მაშიგ გაულდებს კარსაო.
წინ-წინ ეეგიე მალქნევს, მასჭრის მარცხენა მქარსაო.
ხომურაულმაე შამოჰკრა, სისხლიე შასხნის ქვათაო.
- 25 ივანეურის ფრანგულსა ქალაქ უშინჯვენ ფხასაო.
„სად-რა ას შენი მქედელი? აღარ გასქედსა სხვასაო?
ბასრი ჰყოფილხარ ფოლადი, განალამე სჭრიდი ძვალსაო!“
„ამაუქუქუკდი, მერცხალო თავ-აღმ შაუდეგ წყალთაო,
ჯერ ჰვესურეთში შახვიდი, მემარ თეთრაულათ კარსაო.
- 30 დედას მითქვიდი ეეგი: ქალ ნუ დაიჭრის თმათაო,
მამას მინდიას მითქვიდით, ნურას შაიდებს თავსაო;
ფშავს იქდა ივანეური, ამამღერებს კმალსაო“.

შან., გვ. 449—450. აკ. შანიძის შენიშვნა:

ამოღებულია გიორგი ლეონიძის კრებულიდან. თუმცა ფორმები ფშაურადაა გადაკეთებული, მაგრამ ცხადია მაინც, რომ ამ ლექსის მოამბე ხევსური ყოფილა“. იქვე, გვ. 450. არის სხვა ხევსურული ვარიანტები:

ო

მთქმელი მამუკა არაბული. ჩაწერილი 1930 წ.. ფშ. ხეცს., გვ. 121.

ბ

მთქმელი ნოე სისაური. ჩამწერი გ. ლომთათიძე. ლიტ. მუხ., 20031-ბ. ყ—333, გვ. 45. დათარიღებულია — II—1935 წ. იგივეა იქვე, 20058-ბ, ყ—339, გვ. 67. მანქანაზე ნაბეჭდი.

თ უ შ უ რ ი

პ

ქიპლოში ივანური დღეთ-შუ ვალღესავს კმალსაო.
დედა უცხოზდა საგძალსა, მამა უზანდავს ჯღანთაო.

- შუალამისას მოუვა მოწმას მამის დასაო,
გამოაყვებ მამიდაშვილი, ფშავის ასწავლის გზასაო,
- 5 თავის მამიდა გამოაყვია, პირ-წალმ დასწერდა ჯვარსაო.
შამოკლა მუქის ლელესა, ფშავო, დაგავლებს თვალსაო,
ფექთით დაიქდის ჩითებსა, ვიწროს ჩაიკვამს ჭლანსაო,
ჩეთამაშებ მწყემსებსა, კოცად არ ჰკადრებს თავსაო.
გარდით კითხულობს ამბავსა: „მთიბლებ სად სთიბენ მთასაო?
- 10 შამყარა ყარტაულსა, — ლაფიტოპია კარსაო!“
კმალსა სცემს ყარტაულსა გააქანენგს მკვდარსაო,
შავლის სალუდეშია, შეეხვეწება ჯვარსაო.
შაიტყობს ხოშურაული, წელზედ შეირტყამს კმალსაო.
მარცხნივ დაიქერს სანთელსა, მარჯვნივ — შიშველა კმალსაო.
- 15 მოუქნევს ივანაური, გაუქრობს კელაპტარსაო.
შამოკრავს ხოშურაული, გააგდებინებს თავსაო.
— „ყორანო გადამაველო, გადიხვენ ჩემნი კმანია:
ჯერ მიდი ქვესურეთშია, მემრ კიმლის ჩვენსა კარსაო.
მამას მითქეიდი მინდიას: „ნუ შეეკმევი თმასაო;
- 20 ნუ დამიშოვლებ ობლებსა, ნუ მიმიბარებ ცხვარსაო;
მინამ ცოცხალ ხარ, მინდიავ, ცოლს ნუ მიმიცემ ცხვასაო;
ეგებ გასწმინდო მალ-მალე, თოფს ნუ შემიკნევ ენგსაო“.

თუშეთი. ჩამწერი ივ. გომელაური. შან., გვ. 453. აკ. შანიძის შენიშვნა:

„19 ნუ შეეკმევი თმასაო — ხევსურები მკვდარზე თმას და წვერს მოუშობენ ხოლმე, ვიდრე სათავმასაპარსავო არ მოვა (ერთი წლის თავზე)“.

კბ

ქალაქში კმლისა მკვდლები ერთი გასძახის სხვასაო:
„ვინ იყო ამის ოსტატი? ნეტარ, აღარ სქედლ სხვასაო?
ბასრი ყოფილა ფოლადი, მით გემით სკამდა ძვალსაო“.

ჩამწერი ივ. ბუქურაული. შან., გვ. 453. აკ. შანიძის შენიშვნა:
„ეს ნაწყვეტი სხვა ნაწყვეტებთან არის გაერთიანებული ამ სათაურის ქვეშ: „თუშის კმალი“. მაგრამ ამის რითმა არ უდგება სხვებისას და ცხადია, ივანეურის ლექსიდან უნდა იყოს ჩაკერებული“. შან. იქვე. ცნობილია ვარიანტი, რომლის ჩაწერის ადგილი აღნიშნული არ არის.

კვ

ჩამწერი ი. როსტომაშვილი. ლიტ. მუზ. 8483—ხ, ყ—92.

ფშავი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., გვ. 453. ამ ლექსის გამო აკ. შანიძე. შენიშნავს: „თითქოს იმავე ივანეურს (წინა ნომრის ადრესატს. ქ. ს.) ეხება ერთი ფშავური ნაწყვეტი“. იქვე. ჩვენ ეს უდავოდ მიგვაჩნია.

242. თუშნო, ხოშარას ნუ ჩახვალთ

ფშავური. მოყვანილია ვაჟა-ფშაველას წერილში „ლაშარობა“. ტ. V, გვ. 52. უკანასკნელ სტრიქონს ფრჩხილებში აქვს განმარტება — წმინდა გიორგი. იქვე, იგივე ლექსი ვაჟას მოყავს წერილში „ლაშარის ჯვრის დღეობა ანუ ლაშარობა“. ამ შემთხვევაშიც უკანასკნელ სტრიქონს ახლავს განმარტება — პირველ სიტყვას ამ სტრიქონისა: „წმინდა გიორგი და ლაშარის ჯვარი“ — მეორე სიტყვას (ეტლიანი) — „იღბლიანი“. იქვე, გვ. 200. ასეთივეა — 1884 წ. სოფ. არტანში დავით ხიზანაშვილის მიერ ჩაწერილი. ფშ. ლექს., გვ. 125. უმიკ. № 110, გვ. 83.

ეს ლექსი თილისძის ციკლისა ჩანს, ამ ციკლთან ერთად განიხილა იგი ვაჟა-ფშაველამ, მაგრამ იმდენად დამოუკიდებელი ხასიათი აქვს და ისე რეალურად ახასიათებს შინაურ უშუღლს, რომ მიზანშეწონილად ვცანით მისი აქ მოთავსება.

ბ

თუშნო, ხოშარას ნუ ჩახვალთ, ხოშარა ეკლიანია,
თუ ჩახვალთ, ველარ ამოხვალთ, ამოსვლა თქვენი ძნელია,
ხოშარას ორი მგელია, ორივაც ლეკვიანია!

ჩამწერი ალ. ოჩიაური. ოჩ., გვ. 214.

ქ ა რ თ ლ უ რ ი

ბ

თუშო, ნუ მიხვალ ხოშორსა, ხოშორი ეკლიანია,
ჩახვალ და ველარ ამოხვალ, შენი ამოსვლა ძნელია.

მთქმელი დ. აზალაძე. სოფ. გალავანი (მცხეთის რ.). ჩამწერი ი. ჩინჩალაძე 4. VII—1961, ფ. არქ. ქ. 64. გვ. 79. ქართლური რეპერტუარისთვის ეს ლექსი არ არის დამახასიათებელი. დავით აზალაძე ყოფილი მედოლე და მომღერალია და იგი უთუოდ სწავლობდა სხვადასხვა კუთხის რეპერტუარს.

კ ა ხ უ რ ი

ბ

თუშო, ნუ ჩახვალ ხოშორში, ხოშორი ეკლიანია,
ჩახვალ და ველარ ამოხვალ, მოსელა იქიდგან ძნელია.

სოფ. ველისციხე. ჩამწერი სიღამონ-ერისთავი. უმიკ. გვ. 561.

ფ შ ა უ რ ი

დ

თუშნო, ხოშარას ნუ ჩახვალთ, ხოშარა ეკლიანია.
თუ ჩახვალთ, ველარ ამოხვალთ, იქით ამოსელა ძნელია.

მთქმელი: გ. ზვიდაური. სოფ. ჭიაურა (თიანეთის რ.). ჩამწერი:
დ. წერდიანი. 1961 წ. ფ. არქ., კ. 27, გვ. 171. ასეთივეა ივ., № 96,
1889 წ. არის კიდევ ფშაური ვარიანტი:

ე

მთქმელი: ვ. სიმონიშვილი. სოფ. სიონი (თიანეთის რ.). ჩამწერი:
დ. წერდიანი 13. VII—61 წ. ფ. არქ., კ. 27, გვ. 138, სხვადასხვა და-
მოუკიდებელ ლექსთა კონტამინაციის ნიმუშია.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ზ

იმეორებს ზ ვარიანტს. განსხვავება სტრიქ. 1— ჩახვალ ხოშორას,
ჩამწერი ალ. ხახანაშვილი, 1888 წ. ხელნაწ. ინსტ. ხახანაშვილის
არქ., № 72, უბ. წიგნაკი, № 12. გვ. 26.

მ თ ი უ ლ უ რ ი

ყ

ხოშო, ნუ მოხვალ ხოშორას, ხოშორა ეკლიანია.
ჩახვალ და ველარ ამოხვალ, შენი ამოსელა ძნელია.

მთქმელი ვ. ზაქაიძე. სოფ. წკერე — ჩამწერი ელ. ვირსალაძე.
!946 წ. ვირსალ. № 51, გვ. 127. ასეთივეა — ივ. № 212, 216. 1887 წ.

თ უ შ უ რ ი

შ

თუშო, ნუ მიხვალ ხოშარას, ხოშარა ეკლიანია;
წახვალ და ველარ ამოხვალ, შენი ამოსვლა ძნელია.

აქეს მელოდია. იმღერება სხვა ტექსტებთან („ტირიან თუშის ქა-
ლები“, „თებრო ვარ, მაგრამ კარგი ვარ“) ერთად. ქართ. სიმლ., 1, გვ.
35.

თ

იმეორებს ძირითად ტექსტს. განსხვავება: სტრიქ. 1— თუშო, ნუ
ჩახვალ ხოშარას, სტრიქ. 4—სამივე; სტრიქ. 5 — ჩახვალ; ამოხვალ.

მთქმელი ჩარხაშვილი. ალვანი, ჩამწერი ვ. ბუთლიაშვილი. ლიტ.
მუზ., 20075—ხ. ყ—342. გვ. 5.

ო

ჩაწერის ადგილი აღნიშნული არ არის. ივ., № 96, 1889.

243. ხაშს მოხაშვანი უბნობაჲს

მთქმელი ალუშკა შადური, ხევი, სოფ. სტეფანწმინდა. ჩამწერი
ივ. შადური. 1884 წ. უმიკ. № 1587; გვ. 433.

ხელნაწერში, პასპორტში მთქმელის მიმართ აღნიშნულია ფრჩხი-
ლებში გოდაის შვილის ან გოდაეთ. ფ. არქ. კოლ. უმიკ.
ყუთი 5, № 1587 ვარიანტი.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

ხევს გახკვირს მახევეები, ხევსურნი გავაქციენითო,
წითელ-ყვითელნი დროშანი სამელეს დაგაყრიენეთ,
მაგათ ნასროლნი ისარნი მაგათაჲ შევასრიენით.

მთქმელი ხახმატელი ბერდია გამლივარაული. ჩაწერილი 1874 წ.
ფ. არქ., კოლ. უმიკ., ყ. 5, № 1587 ვარიანტი. სტრიქ. 2. იყო ს ა მ ე-
ლ ე ს. შეევსწორეთ ს ა ძ ე ლ ე ს.

ქვესა თქვეს მაქვევებმა: „ქვესურნი მავაქციენით;
წითელ-ყვითელან დროშანი საბაკეს მავაყრიენით;
იმათ ნასრეენი ისარნი იმათავ შავესრიენით“.

ჩამწერი თ. რაზიკაშვილი შან., № 125, გვ. 47. აქვს ვარიანტი —
იქვე, გვ. 409—410 და ახლავს საინტერესო შენიშვნა. იქვე.

მ ო ხ ე უ რ ი

დ

ქვეს მოქვეენი გაკოვის, ქვესურნი გავაქციენით,
იმათგან ნასროლნი ისარნი უკანვე შავაქციენით,
წითელ-ყვითელი დროშანი საძელეს დავაცილენით.

სოფ. სტეფანწმინდა. ჩამწერი პ. უმიკაშვილი. 1881 წ. ჩაწერილია
ხატობაში (ნათლისმცემელში). ფ. არქ., კოლ. უმიკ. ყ. 5, № 1587 ვა-
რიანტი. სტრიქ. 1 — გაჰკივის ზემოდ ფანქრით მიწერილია უ ბ-
ნ ო ბ ე ნ; სტრიქ. 3. დავაცილენით — მიწერილია — დ ა ვ ა ყ რ ე ი-
ნ ე თ. სარიტუალო სიმღერა ყოფილა. ეს ჩანს გარბანში ჩაწერილი ვა-
რიანტიდანაც.

კ ა ვ კ ა უ რ ი

ი

დიდება წმინდა სამებასქვეს მოქვეენი იტყვიან ქვესურნი გავაქციენით,
იმათ ნასროლნი ისარნი თვითონვე შავაქციენით.

მთქმელი გარბანელი. ვლადიკავკავი, სოფ. გარბანში (კობსა და
ყაზბეგს შუა) 1873 წ. ამ ტექსტს წაბმული აქვს ფილოსოფიური ლექ-
სის („წუთისოფლის სტუმრები ვართ“) ვარიანტი. ფ. არქ. კოლ. უმიკ.
ყ. 5, № 1587 ვარიანტი. სტრიქ. 1. იყო კ ე მ ე ს — შევასწორეთ ხ ე ვ ს.

244. ბულშხვიშვილნი

ხვესურეთი. ჩამწერი თელო რაზიკაშვილი. შან. № 85, გვ. 33. ჩამ-
წერის შენიშვნა: სტრიქ. 1—სვიანი — „ქარბად მისცეს სვია ლუდს,
რომ უფრო გაეჭრა“ — შან., გვ. 396. ვარიანტები დაშორებულია ძი-
რითადი ტექსტისაგან, მაგრამ ამბავი მსგავსია.

ბის მბობის დროს: მზისასაო, მგლისასაო, ცხერისასაო და შემდგომი“. შან., გვ. 479—480.

248. ძმის სისხლის აღება

ხევსურეთი. ჩამწერი ბეს. გაბური. შან., № 230, გვ. 107.

249. ფაღიაში

ხევსურეთი. ჩამწერი ბეს. გაბური. შან., № 232, გვ. 108.

ფ შ ა უ რ ი

ბ

„სად იყავ, თადიაურო? ნამი ნაბადზე გდებია“.
— „მთას ვიყავ, შური ვეძიე, ნამაშერალს დამძინებია.
ავაწიოკენ ცხვარ-წყემსნი, ძილი არ მაქიდებია.
ქელში ეჭირათ თოფები, ბინას არ მაპშორებია“

ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., გვ. 476; ხალხ. სიტყვ., III, № 100, გვ. 55.

ბ

„სად იყავ, თადიაურო? ნამი ნაბადთა გდებია“.
— „მთას ვიყავ, შური ვეძიე, ნამაშერალს დამძინებია.
ავაწიოკე ძალღები, ჯერ წყემსებს არ დასძინებია“.
უძახა ბათირმაზამა ჩოფანას თავის ძმასაო.

5 „მგელი ხვარ შამოგივარდა, თავში რა გიბთობს ცხვარსაო?“
— „ვეფხვს რალაღ ჰგავს, ვერ ვარჩევ, შორით იბნუბებს თავსაო“.

გიორგი ლეონიძის დავალებით ჩაუწერია შ. ბეწუკლიშვილს. შან., გვ. 477. აკ. შანიძისათვის გადაუცია გიორგი ლეონიძეს, იქვე, გვ. 674. ახლავს აკ. შანიძის შენიშვნა: „მეორე ნაწილი სულ სხვა ლექსი უნდა

იყოს. იგი თ. რაზიკაშვილსაც აქვს ჩაწერილი ფშავში“. იქვე მოყვანილია ტექსტიც:

(022)

ქძახი ბათირმარზაი ჩოფანას თაეის ძმასაო:
„მგელ ხო არ შამოგერია, ბაჰო, რა გიფთხობს ცხვარსაო?
გუშინ მანდ იყო თორღვაი, არწივი შლიდა მკართაო.

შან., გვ. 477. იხ. აგრეთვე — ხალხ. სიტყვ., III, 44, გვ. 37. სტრიქ. 3 მოხსენებული თორღვა, როგორც შენიშვნაშია აღნიშნული (ხალხ. სიტყვ. III, გვ. 37), ფშაველი ჩოთას მიერ მოკლული გმირია.

250. უმავვილი ღვიძის ერთაი

მთქმელი ივ. ფიცხელაური. ხევი ჩამწერი შალვა დოლაქიძე. შან., გვ. 477. აკ. შანიძეს ეს ტექსტი მოთავსებული აქვს № 250-ს ვარიანტებში. ჩვენ მიზანშეწონილად ვცანით იგი ცალკე ნომრად წარმოგვედგინა.

251. ველგუჯა ხუშანიშვილი

მთქმელი აბა გიგაური. ჩამწერი აკ. შანიძე. 10.VIII, 1916 წ. შან., № 120, გვ. 46. რაკი გმირს ჭარის საზღვარზე ეძიებენ, შეიძლება ლექსი ლეკიანობის ამსახველ ნაწარმოებთა ციკლში წარმოგვედგინა. იქნებ იგი სამონადირეოც იყოს. ამას მომავალი ძიება აჩვენებს.

ფ შ ა უ რ ი

ბ

ყორანო ჭარის ბოლოსა ვერ მაველია თვალთა?
ელგუჯა ვერა ჰნახია, გუშერიშვილი ჭარია?
— ვნახე და კარგიც ყოფილა, კარგის დაგმობა ბრალია.
ჩასვლა მინდოდა, ვერ ჩაველ, არწივს ეხურნენ მკარნია.
5 გაპთავებიყო წამალი, გაჰწითლებიყვნენ გზანია.

ბ

- ! ქარის ბოლოსა, ყორანო, არ დაავლია თვალია?
ელგუჯა ვერა ჰნახია, ყელ-ლილიანის ქმარია?
— ვნახე, კარგიცა ყოფილა კარვის დაგმობა ბრალია.
გასთავებიყო საგძალი, ასლიდებიყო წყალია.
5 მინდოდა ლეშიც მექვაბა, — არწივს ეფარნეს მქარნია.

ჩამწერი ვ. ტუქსიშვილი. შან., გვ. 408. ახლავს შენიშვნა: „ყელ-ლილიანის ქმრად ერთ ლექსში გარა თურმანაულიც არის მოხსენებული (№ 015, 5 — აკ. შანიძის დანომერის. ქ. ს.) და მკედლური ჭრელუაც (№ 184 ვ. 13— აკ. შანიძის დანომერით. ქ. ს.) — შან., გვ. 408.

დ

- ფანდურო, ცოლი მითხოვე ყელ-ლილიანი ქალაა,
მარტო ჩამოჯდეს კერასა, ჩამოიჰპანნეს თმანია.
— ყორანო, ქარის ბოლოსა არ დაავლეა თვალია?
ელგუჯა ვერა ჰნახეა, ყელ-ლილიანის ქმარია?
5 ვნახე და სისხლი ვერა ესვი, — არწივს ეფარნენ მქარნია.
— ვაპ, თუ სტყუოდე, წუეულო, მიხვედ, დასთხარენ თვალნია!

ჩამწერი გრ. აფშინაშვილი, კვ. 1893, № 13. ჩამწერის შენიშვნა: სტრიქ. 1—2 — მარტო ჩამოჯდეს კერასა, ჩამოიჰპანნეს თმანია — „დი-დი სირცხვილია, თუ ფშაველი დედაკაცი თავ-მოხდილი, თავ-შიშველა მამაკაცს დაენახვა, მეტადრე მეზობელს და უფრო შორეულს, უცხოს. ამიტომაც დედაკაცი მუდამ ცდილობს, მარტოკამ და მოფარებით დაიბანოს თავი. უფრო მეტად მონადირე უფროთხის თავ-მოხდილი დედაკაცის ხილვას.. ეს ჩვეულება უასაკოთ არ შეეხება“. შან., გვ. 409. აკ. შანიძის შენიშვნა: „D-ის (შალვა დოლაქიძე. ქ. ს.) მიერ ჩაწერილი ერთი მოხეური ლექსიც იწყება ამის მსგავსად („ყვარანო, ქარის ბოლოსა მთას არ ჩაავლე თოლიო? დავითი თუ არცა ღნახე, დავითი ჩემი ქმარო?“ და სხვ.), მაგრამ შემდეგ სულ სხვა მოსდევს.

მ ო ხ ე უ რ ი

ე

ყორანო, ქალის ბოლოსა რად არ ჩაავლე თვალია?
ამირანისა სახლ-ქარის თუ არსად ჩანდა კვალია?

განობისა დამრჩო ვერ ჰნახე, ან იმის ლომა ქარია?
— ვნახე და ველარ დავსწონე, — არწივის ეფარა მქარია.

ჩამწერი ალ. ყაზბეგი. ივ. 1885 წ. შან., გვ. 408. ასეთივეა —
კოტ, გვ. 38. ახ. გამოც., გვ. 100 — ოლონდ აქ მთქმელად ა. მ-ძეა და-
სახელებული.

252. ფხოველი და შავანელი

ხევსურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 126, გვ. 47. აქვს
ფშაური ვარიანტი. ამის გამო იგი დაბეჭდილია სათაურით „მზირი“
(ხალხ. სიტყვ. III, გვ. 36). თ. რაზიკაშვილი შენიშნავს: „მე ამათი ვერა
გავიგე რა: ვინ იყო შავანელი, ან სადაური. ამისი ვარიანტი ფშა-
ურ ლექსებში მაქვს. იქ ასე იწყება: „ერთი პატარა ფხოველი შავ
მთას სამზირლად დაჯდება“. ახლავს კიდევ ჩამწერის სხვა შენიშვნები:
სტრიქ. 6 — მე შველი აღარ შაშჩაო — „რაკი მე შვე-
ლი შევა გასაშველებლად, უნდა გაშველდენ,
არ შეიძლება“, სტრიქ. 8. მაგათ ვაგლახი დასცაო —
„ვითომ ვაგლახი დააყარა, რაზედ ამოხოცეთ
ერთმანეთი“. შან., გვ. 410. დავით გოგოჭურის ცნობით შავანი
ქისტების თემია. ფხოველის მოწინააღმდეგე შავანიდან ყოფილა.

253. შავლების ლაშქრობა ქმოსტზე

ხევსურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 180, გვ. 74. ახ-
ლავს თ. რაზიკაშვილის განმარტებანი: „ფშავლები დამარცხდნენ აქაც“;
სტრიქ. 4 — ქმოსტი ძეს საქონიანი — „ქმოსტში ბევრი საქონელიაო;
სტრიქ. 9 — კოკლუცაური — „ქმოსტელი ხევსური ყო-
ფილა, ყარდანაული გვარად“, შან., გვ. 442.

ხ ე გ ს უ რ უ ლ ი

ბ

- ჯორო ხიზანას ცხვირ-თეთრო, პატრონ გყავ იღეთიანი;
ლაშარს შავიყრის ფშავლებსა, „ქმოსტი ძე საქონიანი!“
— ქმოსტი არ გაიტეხება, ვანა კოკაა წყლიანი?
ფშავლებო, ლქერ-ქვეის გორს მწარე დღე გადგათ მზიანი:
5 მოგდედათ კოკლუცაური, მოგდედათ მშვილდი რქიანი.
საკაპით წაგალებინეს ბეკურა ფარ-შუბიანი;
დაგიკრეს დედის ერთასა, გიკმინეს მიწა მტვრიანი.
ქმალიც ბევრია კიდევ ფშავს, ფრანგული ფხა-სიხლიანი,
თოფიც ბევრია კიდევ ფშავს, სიათა პირ-კომლიანი;
10 ვაუბიცი კიდევ არიან, ჯაერისგან გულ-ლორლიანნი!

ივ., № 278, 1889. შან., გვ. 442. ახლავს შენიშვნა: „ეს ლექსი ქმოსტში რომ იმღეროთ, ხევესურები მაშინვე ხმლებს დაიწვდიან და დაუქრელი არ გადარჩებით“. ლექსი დაიბეჭდა ხელმოუწერლად.

3

ხიზანას ჯორო ცხვირ-თეთრო, პატრონ გყავ იღეთიანი:
დაარჩევს ფშავლის შვილებსა, ვინაც მზას არის კმლიანი,
ქმოსტისაჲ გამაუძღვება: „ქმოსტი თქვეს საქონიანი“.
ქმოსტი ეგრე რად გატყდებოდა? გან კოჲ იყო წყლიანი?
ეჲუ ბევრია ხელათ-გორს მტრისთვის მზა, გულ-ჭაყრიანი;
თოფი ბევრია ხელათ გორს, კირიჲებ პირ-კომლიანი;
კმალიც ბევრია ხელათ-გორს, ფრანგულეზ პირ-სისხლიანი.

ჩამწერი შ. ბეწუკლიშვილი. შან., გვ. 443. ჩვენთვის არ არის ნათელი ეს ვარიანტი შ. ბეწუკლიშვილმა ფშავში ჩამწერა თუ ხევესურეთში. აკ. შანიძისათვის შ. ბეწუკლიშვილის ჩანაწერები გადაუცია გიორგი ლეონიძეს. ჩანაწერები ასე ყოფილა დასათაურებული: „ფშაური ლექსები და სიმღერები, შეკრებილი გ. ლეონიძის დავალებით“. აკ. შანიძე შენიშნავს: „ზოგიერთი ლექსის ენას ხევესურული ელფერი აქვს“. შან., გვ. 674.

254. შაცხპერი და ალუღი

ხევესურეთი. სოფ. ახიელა, ჩამწერი გიორგი ჯაბუშანური, 6. VIII—1913 წ. შან., № 134, გვ. 51. ამ ლექსის ვარიანტია აგრეთვე № 239.

ფ შ ა უ რ ი

ბ

ფოცხვერას მაქინცაურსა ჩავლა სწადიან გზისაო,
ჩავლა სწადიან მითხოსა, ჯღერება დროშისაო,
კოლად წაყენა სწადიან ქალისა განძისაო,
წელზედ შემორტყმა სწადიან ჯიგრაულაის კმლისაო.

- 5 — ლაშქრით ნუ შეჲქადინები, ჩამოუძლოდი მზირსაო.
ცხვარ-ძროხან არსად წამისხნე ცირკლოვანს კილდის ძირსაო,
არსად ჩამისვა ჰალული დეკიანს წვერის პირსაო.
მოგდევდეს თოთაიშვილი ქარსლაი პერანგითაო,
გესრიდეს თათრისეულსა, ქეხა გეგონოს ცისაო,
- 10 წელთ ერტყას ჯიგრაულაი, ფიქრ არა ჰქონდეს მტრისაო.

ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექსი, გვ. 28; შან., გვ. 414. ახლავს განმარტებანი: დ. ხიზანაშვილს სტრიქ. 2— მითხო ქისტეთი — აკ. შანიძე შენიშნავს: „მითხო აქ შეცდომითაა. სად მითხო და სად ახიელი?

დ. ხიზანაშვილის განმარტება: სტრიქ. 10— ჯიჯრაულია — ხმლის სახელი. აკ. შანიძის შესწორებანი: სტრიქ. 6— ძროხან; სტრიქ. 7— დეკიანს — დეკიანს.

ბ

ფაცხვერა მაქინცაურსა ჩავლა ეწადა გზისაო.

ჩასვლა ახიელშია, ამომღერება კმლისაო.

შენ ისრ ვერ მომკლავ, ალუდო, ჭიკვებსა რო ჰკოც კლდისასა,

დავარჩევ ფშავლის შვილებსა, მოგივლი ცირცლოვნისასა.

5 ირმულად მოგეპარები, არ ავაჩქამებ ქვიშასა,

საგათენებოდ მოგიჩენ თეთრ ბაჰიკვებსა ქსლისასა.

გესროდე თათრისეულსა, ჭეხასა ჰგვანდეს ცისასა.

ცირცლოვნით გაყურებინებ ტირილსა განძაისასა.

ჩაწერილი ფშავში შ. ბეწუკლიშვილის მიერ გიორგი ლეონიძის დავალებით. აკ. შანიძისთვის გადაუცია გიორგი ლეონიძეს. შან., გვ. 414. აკ. შანიძე შენიშნავს: „აქ შუაზე მეორე მუხლსა და მესამეს შუა, გარა თურმანაულის ლექსის ნაწყვეტია ჩართული“. იქვე მოყვანილია ტექსტი. შან., გვ. 415.

ფშაური ვარიანტებია:

ღ

ჩამწერი ვ. ტუქსიშვილი. შან., გვ. 414.

ე

სოფ. ხოშარა. მთქმელი გოგოლაურთის მცხოვრები ხთისო ბარნოშვილი. ჩამწერი აკ. შანიძე. 3. VII—1911 წ. შან., გვ. 415. ჩამწერის შენიშვნები: „გარა თურმანაულზე, რომელიც გოგოლაურთიდან ყოფილა, აქაც არის საუბარი. სტრიქ. 14— გაყურებინებ გორვასა მაგ შენის ციხის ქვისასა ე. ი. ციხეს დაგიშლიო“. იქვე.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

3

რად არ გარდმახოლ, ფშაველო, რად(ა)ლ მასუქებ ნადირსა?
ალუდ ორ კურდღელის ძეი, მწარეს გიმზადებ სადილსა.

თოფი მაქვ ავის პირისა, თუნდა ტერლს ხეითხე ნადირსა.

— ეგრ ვერა მამქ(ლ)ავ, ალუღო, შენ რომ ჭიკვს მახკლავ კლდისასა.

- 5 ვერცა ეგრ დამიბარებდი, იმედს ხარ ქვესურისასა.
საკლავს დაუკლავ ქვესურსა, გზასა გამავსთხოვ მთისასა,
მძიმეს შაგიყრო ლაშქარსა, გარმაოლ ტანისასა.
შვილჯან ჩაგისხმა მალულთა, არ აგიჩქამემ ქვიშასა,
თოფის ქარს დაგიშლევინებ ანაგებს ბაკისასა.
- 10 — ცოლად შეერთოს დედაი მალუბარს მავაისასა
არხვატი როს კლოვ ყოფილა იმედს ქვესურის კმლისასა?

მთქმელი მამისწვერა არაბული. ჩამწერი ნ. ურბნელი. ივ. 1890 წ.
№ 90; შან., გვ. 411—412. ჩამწერის განმარტებანი: სტრიქ. 1— რა-
და-ლ მასუქებ — რად აღმისუქებ; სტრიქ. 3— ავის პირისა — ავის პი-
რასა. შან. იქვე.

ზ

გადიდდა არხოტიონი, ფშავლებს უბარებს ქადილსა:

„გამოდით, ფშავლის შვილებო, ნულარ მასუქებთ ნადირსა.

ალულ ვარ კურდღელიკაითი, მწარეს გიმზადებთ სადილსა.

თოფი მაქვ ავის პირისა, გინდ ტერლის ხეითხე ნადირსა.“

- 5 — „მე ის ვერ მამკლავ, ქვესურო, როგორც ჭიკვს მახკლავ კლდისასა.
სანეს კარს მივღვერი ქვესურთა, გზას გამოვართომ მთისასა.
სერობას დაგროვებულსა ჭარს შავხური ფშავლებისასა;
კალოთანაზე გადმოვალ, ჩამოვალ ცირცლოვნისასა;
ირმულად მოგეპარები. არ ავიჩქამემ ქვიშასა;
- 10 ტერლის მოგიჩენს გარაი ბაკიქთა ძელაისათა.
ციხეს დაგიშლი, ქვესურო, თვალთაც გარისხებ ღთისათა.
ცირცლოვნით გაუტრებინებთ ტირილსა ჯანძისასა“.
ფოცხვერაჲ მაქინცაურო, გავლა გეწადის გზისაო,
ხახაბოს ჩასვლა გეწადის ყერება დროშაისაო:
- 15 წვერის ჩამოშლა გეწადის ციხისა ვაჟაისაო;
გეწადის გამოყვანაი ქალისა ჯანძისაო.
ვერ გამაიყვან, ფოცხვერაჲ, — აქვის იმედი ძმისაო.
თოთას შვილები მანდ არი, სულ მაგათ მასდით მგლისაო.
მალედაჲ მოგეწევიან ცირცლოვანს წვერის ძირსაო.
- 20 გესროდეს თათრისეულსა, კეხა გეგონას ცისაო.
ტანთ ეცვას ჭიგრაულაი, ვადა უმშვენოს კმლისაო.
„ცირცლოვანს გზათა კლდიანთა დავდნბავ თქვენის წვნითაო“.

ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., გვ. 412.

ხევსურულია ვარიანტები:

შ

ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., გვ. 412.

ჩამწერი ბეს. გაბური. შან., გვ, 413. ავ. შანიძის შენიშვნა: „იგევე ლექსის (გაბურს ქ. ს.(მეორედაც აქვს ჩაწერილი, მაგრამ შემოკლებით, მმ, 14—24. იწყება მესამე პირის ფორმით „ფაცხვერას ბაჯინცაურსა გავლა სწადიან მთისაო“; სტრიქ. 17— გამაყვანა და წაყვანა — სწადიან გამაყვანაი; სტრიქ. 19— გვერდს მედგას — ეს ერთი სტრიქონი სულ აკლია; სტრიქ. 21— არხოტიონსა — თოთაის შეილსა.

ერთი-ორი მუხლი შეიძლება ბესარიონს ჰქონდეს დამატებული.— ალუდ კურდღელაიძე, ბესარიონის თანახმად, ჯაბუშანური ყოფილა, არხოტიონი, ხოლო ფაცხვერა ბაჯინცაური — ფშაველი. შან., გვ. 413—414.

255. თუშუბის ღაცემა ხოზარაზი მიცჰის ბალაღობით

ხვესურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 141, გვ. 57. ახლავს ჩამწერის ტექსტუალური შენიშვნები: სტრიქ. 2— ჯოყარ გამაჰხარ ნარისა „მთაში საზოგადოდ ზამთარში საქონლის საქმელი ძალიან ნაკლებად არის და მშვიერი საქონელი ნარსაც შესჰამს და ნეკერსაც“; სტრიქ. 23 — კაცმა კოშარით იძახა — „კუკუმაურმა იძახა“: სტრიქ. 24— კაცთ — „კაცთაგან“; სტრიქ. 28— თუშნ გორვენ ჩითაიანნი — „სუმელჯი მიეშველა“. იქვე, გვ. 419.

ფ შ ა უ რ ი

ბ

ამ ზამთარ მიცქის ლურჯაო, ჯოყარი ხერიმე ნარისა...
გაზაფხული რომ მოვალის, ლუსმარი ვალე ნალისა;
აგიყვან საყაჰის წვერზედ, შუქი ზედ გადგეს მთვარისა;
ხოშარას ხაგირს ჩაგაგდებ, ოღოში ჰემივე ქერისა;

- 5 სანათაურთ კარს მიგაგდებ, ქება იყურო ფარისა...
დათვივ სანათაურო, ჩიქალამც გხურავ ქალისა!..
თუშთ სამუქაროდ ნაგები ციხე სადა გაქვს თავისა?
— არ მინდა ციხე მაგარი, იმელი მაქვის მკლავისა!...
უშველის კუკუმაური, მეზობელია კარისა.

ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 41. ახლავს განმარტება. სტრიქ 3— საყაჰის წვერი — მთა ფშავეში.

ფშავში ჩაწერილი ვაჟა-ფშაველას მიერ თაყ. 1. № 20, გვ. 492. შეიძლება ეს ლექსი ქისტებთან შუღლის ამსახველიც იყოს, რაკი ცი-ბალა ქისტის სახელია.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

ქარი ქრის საქარაენოსა, ღრუბელნი ბერვედიანო,
ძილაი, თათულიკაი ერთურთსა ძელვედიანო.
ხმლებსა დაუწყდა ვადები, ზანგლებით ჩხვერვედიანო.
მიწა დაუხვდის გვალული, თოვლულად კვალებდიანო,
5 იმათი კმლების ნამტერევი მინდორ გველებურ ძვრანო.

მთქმელი შუქო გაბრიელის ას. გიგაური. ს. ყუღრო. ჩამწერი 1961 წ. ფ. არქ., კ. 12, გვ. 193.

257. არხოტიონზე შალვაძე

მთქმელი შუქო გაბრიელის ას. გიგაური. ს. ყუღრო. ჩამწერი უ. ცინდელიანი. 1961 წ., ფ. არქ., კ. 47, გვ. 140.

258. ჩანთელი და აფთარაული

ხევსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 154. გვ. 61. ლექსის დასაწყისის ვარიანტი ფშავში ჩაუწერია აკ. შანიძეს. შან., გვ. 424.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

კმლით ჩანთელს აფთარაულმა ზედ მიანაჟა ტარია.
ზეავს ქვეშ ჩავარდა ჩანთელი, ჩამასდის ზოვის წყალია.
ზოვის ქვემოთ ამეედიანა ჩანთელის თოფის კმანია.
„თუ მაგვხვდა, აფთარაულო, ღმერთმა გაცხონოს მკვდარი!“
5 თუ დაგცდა, აფთარაულო, დიდხანს ცოცხალიმც ხარია!“

ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., გვ. 424. სტრიქ. 5 დაბეჭდილია და გ ც ა და — შევასწორეთ და გ ც და.

მთქმელი გაგა არაბული. ბარისახო. ჩამწერი აკ. შანიძე. 13. VII—1911 წ. შან., № 170, გვ. 69. აღნიშნულია სხვა ხევესურთაგან მოსმენილი ტექსტების ვარიანტული სხვაობანი: სტრიქ. 5— ჩ უ ჩ ა ყ ა უ რ ს ა; სტრიქ. 8— გროობდიანო — გროვდებიანო., სტრიქ. 22— ჭაუხნი ბანს ეტყვიანო — ჭაუხნ ბანს ეტყოდიანო.. სტრიქ. 30— ლალევედიანო — ლალევედიანო., სტრიქ. 33 ყვარანნი — ყორნები, ყვარნები. იქვე, გვ. 434.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

- გუდან აბემდეს დროშასა, სალაშქროდ ხეაზმებდიანო,
შასხიან ჩუჩაყურსა: „შალეაე, შენ შაგვდებიანო“
წყალს იქეთელე ვაჟები როშკის გორს გროვდებიანო.
კაქმატელთ მელოდინან: ხედან არსად მაჟყვიანო?
- 5 ლიქოკელთ ახალ-ვაჟები ღელეში გარმადიანო.
ენკენიასა დილასა საქელეს გადადიანო.
ჯუთას ჩადიან ჭვარშია, სიმღერეს ჩაიტყვიანო.
წალმ დახყევ, ჭუთის გიორგოვ, საკარჯემოს გითქვემდიანო
ჯუთას ატირდეს ტირიფნი, ჭაუხნ ბანს ეტყოდიანო.
- 10 მოქვევებებ ხევირობდეს „ქევსურებ სად მიდიანო?“
არშას გავიდეს ქევსურნი, სადილაღ სნოს მოდიანო.
თავ-კან აჩხოტის მინდროში დაბრუნდეს, კარ-ცხენს ლალევედიანო.
ამანდ ნაჟოფებ ქევსურებ საქელეს ბურთობდიანო,
ყორნებ წამოვას არშის მთით, საქელეს ბუდობდიანო,
- 15 კელ-შქარს ლოცავდეს ქევსურთას: „ლეშითა მოგვაქდიანო!“
ბარაქელ, ქევსურთ შვილებო! წინათაც ეგრე ქნიანო.
ქმალნი ნაცადნი წინანი, ფრანგულეზ უფრო ჭრიანო!

ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. ჩამწერის შენიშვნა: სტრიქ. 9— ჭაუხნ ბანს ეტყოდიანო — „მეორე ვარ: ჭაუხნ სეტყვასა ჰყრიანო“. შან., გვ. 435—436.

ბ

- ქვეით მოვიდეს ვეშაგნი, საჩქაროს იტყოდიანა.
გუდან ხეაზმევედეს დროშასა, სალაშქროდ აბემდინა,
შაახდებდეს ჩუჩაყურსა, შალეასა შახტებდიანა.
ვაჟები წყალს-იქითლები როშკის თავს გროვდებიანა.
- 5 ელოდდეს კაქმატელეზსა: ხედან ხვარსად მოჟყვიანო?
იმ ენკენიას დილასა საქელეს გადადიანა;

- ჭუთას ჩადიან ჭვართანა, სიმღერეს ჩაეტყვიანა,
 „წალმ დახყევ, ჭუთის გიორგი საკარგუმოს გითქვემდიანა.
 მოქვევთ შვილებ ზევირობდეს: „ლალნ ქვესურნ სად მიდიანა?“
- 10 — არშას მიდიან ქვესურნი, სადილად სნოს გადიანა.
 ცხენ არშით დაბრუნვილიყენეს, სადილად სნოს მაგლიანა.
 თავ-კან აჩხოტის მინდორთა კარ-ცხენებს ღლალევიანა.
 ომი მჟუქდათ ძლიერი, კმალ სისხლში დაფერნიანა.
 ზოგებ შავიდას ომშია, ზოგნ თვალით იჭერდიანა.
- 15 აიმათ თვალის მკრელები, ნეტარ. შინ რას იტყვიანა?
 ჯალაფთ კი მაატყუებენ, იქ ნამყოფთ რას ეტყვიანა?
 ბარაქალ, ქვესურთ შვილებო! მამა-თქვენთ ეგრე ქნიანა.
 არშით ახყარნეს ყვარნები, საძელეს ბუღობდიანა.
 დაღლოცავდიან ქვესურთა: „ქვე ლეშით დაგვაძლიანა“.
- 20 კმალნი საძელეს ნაცადნი ლესნეს, ისევეც კრიანა.

ჩამწერი ვ. ტუქსიშვილი. ჩამწერის შენიშვნები: სტრიქ. 7 — აბემ-
 დიანა — აბამდიანა., სტრიქ. 11 მაგლიანა — მაჰგლიანა., სტრიქ. 14 —
 ზოგებ შავიდეს :ომშია, ზოგნ თვალით იჭერდიანა — აქ, ალბათ, მოხე-
 ვეები იგუილსხმეზიან, რაიცა შემდგომი სტრიქონებიდან უფრო ნათე-
 ლია., სტრიქ. 20 — ლესნეს — ღლესნეს.

ა. შანიძის შენიშვნა: — „აქ რომ ჯალაფთ მოტყუებაზეა საუბარი.
 (მ. 16), მსგავსი რამ თუშების სააქოროდ გალაშქრებაშიაც მოიპოვება.
 (243, 15)“ შან.. გვ. 434—435. სტრიქ. 8 დაბეჭდილია ს ა კ ა რ ყ მ ს —
 შევასწორეთ — საკარგუმოს; სტრიქ. 10 დაბეჭდილია გ ა დ ი ა ნ ა —
 შევასწორეთ გ ა დ ი ა ნ ა .

არის კიდევ ხევსურული ვარიანტები:

ღ

მთქმელი ბაბუა ქეთელაური. ჩამწერი ვ. ტუქსიშვილი. შან., გვ.-
 435.

ი

ჩამწერი ალ. ოჩიაური. ოჩ., გვ. 21—22. სათაურად აქვს „ვეშავანი“.

მ ო ხ ე უ რ ი

3

გუდან ხკაზმევენ დროშათა, სალაშქროთ ლამევიდიანო,
 შასხემდენ ჩუჩაყურსა შალვასა, შაჰხდებიანო,

- ახლები წყალს-იქითლები რომეის გორს გროვდებიანო,
 ელიან ხახმატელებსა, ცხენ არცად მოიდიანო,
 5 დილაა თირთვილიანი, საძელეს გარდიელიანო,
 ჭეთას ჩადიან ჭვართანა, სიმღერეს ჩაიტყვიანო.
 წალმ ჩაპყევ ჭუთის გიორგი, საყარგემოს შენდ იტყვიანო,
 მაქეევებ კვირობდიანო, ქევსურებ სად მიდიანო.
 არშას მიდიან ქევსურნი, სადილათ სნოს მოდიანო,
 10 სნო-ახალციხე გატეხეს, კარკუჩს ცხენთ გაგალიანო,
 არშით აყრილან ყორანნი, საძელეს ბუდობდიანო.
 კელი და ქმალი დალოცეს, — „მშიერნი დაგვაძლიანო“.
 ბარაქელ ქევსურთ შვილებო, წინეთაც აგრე ქნიანო!

მთქმელი სოფ. გარბაანის მცხოვრები. ხევი, სოფ. სტეთანწმინდა,
 ჩაწერილი სამების დღეობაში 1870 წ. უმიკ., № 65, გვ. 59—60.

260. სპანსა ჯამათას ამბობენ

რაჭა. ჩამწერი ელ. აგლაძე. კოტ., გვ. 203, ახ. გამოც., გვ. 222. ეს
 ლექსი გავრცელებულია რაჭასა და სვანეთში. ჯამათა ყოფილა სვანი,
 რომელიც სისტემატურად თავს ესხმოდა რაჭველ მგზავრებს და სძარც-
 ვავდა. ეს ამბავი მოთხრობილია ლექსებს გარდა გადმოცემებშიც იხ.:
 ქართ. დიალ. I, გვ. 533, ჩაწერილი რაჭაში. სოფ. ღებში. მთქმელი სო-
 ფიო ლობჯანიძე — 82 წ., თსუფა. № 258; ჩაწერილი რაჭაში გლოლა-
 ში ნონა დამბაშიძის მიერ; იქვე № 280; — ჩაწერილი სვანეთში უშგუ-
 ლში ნონა დამბაშიძის მიერ. მთქმელი კოსტა ჩარქსელანი. შეიმჩნევა
 ტენდენცია ამ ამბის შერეული ფორმით, პროზა ნარევი ლექსით, ან
 ლექსნარევი პროზით გადმოცემისა. ჯამათა გვარად ჭელიძე იყო. მისი
 სახლი ახლაც არის უშგულში.

რ ა ჭ უ ლ ი

ბ

- ჯამათა ავი კაცია, ემტერებოდა ღებსაო.
 ჯამათა მიღის ღებსა, ხარის საპარავადაო.
 ქალები კედს უბარებენ, პურის საფალავადაო.
 თამაზიკიანთ დევლეთა თოფს იფერავს ყირიმულსა.
 5 თუ ჯამათა არ მოვკალი, აღარ დავდგები ღებსაო.
 თამაზიკიანთ ციოყა არყის წვერებზე დგებაო.
 ო, საწყალო ჯამათაო, ღები მოვლევს ჯარათაო.
 ნ...ში თოფი მოგახვედრეს, სისხლი გაგდის ღვარათაო.
 მიგაწვინეს გვერდშიდაო, ცული გარტყეს ფერდშიაო.
 10 ეგ იმიტომ, ჯამათაო, არ გვიშვებდი მგზავრადაო.
 ჩოხა-ნაბადს წაგვართმევდი, დავგადებდი ვალათაო.

მთქმელი გამო ბაკურაძე, გლოლა. ჩამწერი ელ. ვირსალაძე. 1953 წ. ფარქ., კოლ. II. უდა 1, გვ. 39.

ტექსტს ახლავს განმარტებანი: 1. ჯამათა ყოფილა სვანი, რომელიც სისტემატურად აწუხებდა ლებს; სტრ. 3. საფალაუად — გასაბერტყად, პურს რომ გამოაცხოზენ ზარის კუდით გაბერტყავენ; სტრ. 4. თამაზი-კიანი—ოჯახი, გვარი, დევლეთა სახელი; სტრ. 6 ციოყ—სახელი; იქვე-არყის წვერებზე დგებო. — არყის ხის წვერზე გასულა; იქვე. მიაწვი-ნეს. სათაურად აქვს „ჯამათას ლექსი“.

ბ

ჯამათა ავი კაცია, მაგრად მტერობდა ლებსო.
კარი კარ დაუარაკე, უშგულელ, ხალდეშლებსო.
გორი ბოლოსკენ წაიღეთ, ნაბღებს ეიშოენით ბუერსო,
თხის ტყავეზი გაიხადეთ, ჩოხებსა ჩაგაცმევთო.

5 მახუკაშვილი ნანია დაყარაულობს წევრსო,
მან ჯამათა დაინახა და მიაშურა ლებსო.

ლებლო ახალგაზრდანო, ჯამათა გღია ჩვენსო,
შეიარალდნენ ლებელნი, შიუკა ხალას შივიდნენ,
ერთი არჩევა ქნესო,
ახალ-ახალი ბიჰევი მეწვერეთ გაგზავნესო.

მოხუც-მოხუცი კაცები მეძირეთ დატოვესო.

ე ჯავოიან გოგია რა წრაფი კაცი თქვეასო,
მარჯენი იცეამს ქალამანსა, მარცხნი იყრის ქარაენსა,
თახუნაშვილი პაპუჩა მოკლა თოფს უსეამს ხელსო.

15 თუ ჯამათა დაეინახე, მე მოუსისხლავ გვერდსო.
თამაზიკიანთ დევლეთა ოქრო თოფს ისომს ხელსო,
თუ ჯამათა დაეინახე, მე მოუსისხლავ გვერდსო.
ჯამათა გაბტა კარშია, ფინთიხი ხვდება ფერდშია,
ჯამათა მიღის ბაძგნარში, ფინთიხი ხვდება ბარძაყში,

20 ეს იმიტომ ჯამათო, არ გაგვიშვი მგზავრათო,
დაგვხედებოდი გორი ბოლოს, წაგვართმევი ჩოხა-ნაბადს,
დაგვიდებდი ვალათო.

მთქმელი მიხეილ პეტრეს ძე ლობჯანიძე, 74 წ. სოფ. ლები. ჩამ-წერი ლაურა გრიგოლაშვილი. 20. VII—62. თსუფთა. № 437.

მთქმელის განმარტება — სტრიქ. 18. ბ ა ძ გ ნ ა რ ი — ბ უ ჩ ქ -
ნ ა რ ი.

დ

ჯამათა იყო ყაჩაღი, მაგრად მტერობდა ლებსო,
კარი კარს დაუვლიდა ყე უშგულ და ხალდეშლებსო.

- გორიბოლოს გადავიდეთ, მგზავრებსა ვნახავთ ბევრსაო,
ჩოხა-ნაბადს წაფართმევ და დავადებთ ვალათაო.
- 5 ლებურნო ახალგაზრდანო, ჯამათა არის ჩვენსაო.
თამაზიკიანთ დევლეთა ოქრო თოფს ისევამს ხელსაო.
— თუ ჯამათა დავინახე, მე მოუსისხლავ გვერდსაო,
ეს ჯაგოიან გოგია არყეფს ევლება წვეერსაო.
შალიკაშვილი თვალია, მარჯვნივ იკრავს ქალამანსა,
10 მარცხნი იყრის ქარავანსა.

მთქმელი ალექსი ნესტორის ძე გავაშელი. 71 წლის. სოფ. ღები. ჩამწერი თინათინ მარგველაშვილი, 1962 წ. ივლისს. თსუფა, № 827. სათაურად აქვს „სვანეთისა და ღების ისტორია“. ბოლოს დართული აქვს მთქმელის შენიშვნა: „წავიდნენ და მოკლეს. მოიყვანეს ღებელეზმა. მევიდნენ მერე სვანეთიდან და წაილეს ცხედარი. ცხენი კუდს მოაბეს და წაათრიეს ისე.“

ჩაწერილია სხვა რაჭული ვარიანტებიც:

2

მთქმელი სოფიო ლობჯანიძე — 80 წლის წ. კ. უცოდინარი. სოფ. ღები, ჩამწერი ლია მდინარაძე. 1962 წ. ივლისში. თსუფა, № 660. სათაურად აქვს „ნამდვილი ამბავი“. სტრიქ. 3-სა და 4-ს შუა მთქმელს ჩაურთავს: „დახვდა ჯამათა ღებელ მგზავრებსა, დაძარცვა და ესენი დაბრუნდნენ ცარიელ-ტარიელნი საზღებში. დაკრეს ზარები, მოიყარა სოფელმა თავი. ხალხმა თქვა: წავიდეთ გორიბოლოსაო. აარჩიეს კარგი ბიჭები, კარგი ვაჟაკები და წავიდნენ გორიბოლოს“. ლექსის დასასრულს — კი მთქმელმა აღნიშნა: „ჯამათა მოკლეს და ჩააგდეს ჭალას. შემდეგ სვანებმა მოიპარეს თავისი გმირი და გადასვენეს სვანეთში“.

3

მთქმელი მაკრინე ალფეზის ას. გოგრიჭიანი. 73 წლის, წ. კ. უცოდინარი. სოფ ღები, ჩამწერი ნინო ღუმბაძე. 1962 წ. ივლისი. თსუფა, № 547.

4

მთქმელი გრიგოლ ლობჯანიძე. ს. ღები. ჩამწ. ლაურა გრიგოლაშვილი. 21. VII—1962 წ., თსუფა, № 447.

5

მთქმელი მიხა გოგრიჭიანი, 62 წლის. ს. ღები. ჩამწერი ნინო ღუმბაძე, 1962 წ. ივლისი, თსუფა, № 574.

მთქმელი სარდიონ დიმიტრის ძე გოგიჩაიშვილი, 58 წლის. ზაქა, სოფ. ლები. ჩამწერი მანანა ჯანელიძე, 19. VII—62 წ., თსუფა., № 847, სათაურად აქვს „ჯამათას ამბავი“. ლექსს წინ უძღვის ცნობა: „ერთი ჯამათა ყოფილიყო სვანი და თურმე ლებულებს მიმავალ-მო-მავალს სცარცვავდა.

ახლა ლებულები შეიყარენ თავი რამოდენიმე ბიჭებმა...“ „დასას-რულს მთქმელი აღნიშნავს: „დაიჭირეს ეს ჯამათა და ჩამოიტანეს ლებ-ში. მერე ისევე დაუბრუნეს სვანეთს ეს ჯამათა“.

არსებობს კიდევ ფრაგმენტული ვარიანტი — მთქმელი მიხ. ლობ-ჯანიძე, ჩაწერილი ლებში, 1953 წ., ფ. არქ., კოლ. II, ყ. 2, გვ. 88. მთქმელის შენიშვნა: „სვანები და ჩვენი ხალხი ებრძოდნენ ერთმანეთს. სვანები ნატაცებიან ქალებს — ჩვენებს სვანები დაუჩეხვიან. სისხლიც ყოფილა ჩვენში“. არის აგრეთვე ლებში ნესტორ გავაშელაშვილის თქმით მ. ჯანელიძის ჩაწერილი ვარიანტი შერეული ფორმისა. თსუფა., № 882. შერეული ფორმისაა აგრეთვე ავრ. გოგრიჭიანის თქმით ნ. დუმბაძის მიერ 1962 წ. ლებში ჩაწერილი ტექსტი, თსუფა., № 565.

ს ვ ა ნ უ რ ი

0

- ჯამათა თავი კაცია, გაღმტერა ლებსაო,
 კარი-კარ გადავილიდა უშგულა-ხალღეშლებსა(ო).
 „წვედიდეთ გორი ბოლოსა, ჩოხა-ნაბადს მოვიტაცებთ!“
 გორი ბოლოს რომ მივიდენ, დალაშვილი პაჩელა
- 5 კი მონადირეა, პაჩელამ რომ დაინახა:
 „ღებელნო, თქვენი ჳირიმე, მტრები სევიან ჩვენსაო!“
 ეგ რომ ლებელთა გაიგეს, სული და ხორცი ჩაყარეს.
 შალიკიან პაჩელა არყებს ევლებეა წვეერსაო:
 „თუ ჳამათა დავინახე, მე მოუსისხლამ გვერდებსა!“
- 10 ჳაგოანთ გოგია მოკლე თოფს ისევამს ხელსაო:
 „თუ ჳამათა დავინახე, მე მოუსისხლამ გვერდებსა!“
 თამაზიკიან(თ) დევლეთა იჭროს თოფს უსევამს ხელსაო:
 „თუ ჳამათა დავინახე, მე მოუსისხლამ გვერდებსა!“
 შანუაშვილი კუჩუკა უკან უქნევდა ხელსა:
 „ნუ წახვალთ გორი ბოლოსა, თუ არა, ყველას გაგწუვეტს ჳამათა“.
- 15 მივიდენ გორი ბოლოსა, ერთი ქნეს არჩევანია:
 უნცროს-უნცროსი ბიჭები მეწვერეთა გაგზავნესა,
 უმფროს-უმფროსი კაცები ქარი ქვებს მიუყენესა.
 ო, საწყალო ჳამათა, ლები დასდევს ჳარადა,

20 ზურგში თოფი მოახვედრეს, სისხლი გადის ღვარადა.
ეგ იმიტომ, ჯამათა, მოხვიდლოდი გორი ბოლოს,
ჩოხა-ნაბადს დაგეპარადვი, რქათეთორი ქერა ხარებსა
გადაგვადებდი ვალადა. უკულმა ცხენსა შემოკრეს,
ხონი ბოლოს რომ მივიდენ, ღებელნი შეიკრიბესა;
ოღელაშვილი თაზელა თავშიშველი მორბისა,
ქოშის ქუსლი ჩაკრა კბილში. ეგ იმიტომ, ჯამათაო,
შუა თითი მეც მომჭერი, ვერცხლი ბეჭედი წამართვი“.

მთქმელი ივანე ხაჭვანი, უშგული. ჩამწერი მ. ნიგურჩიანი. სევან. 1.
გვ. 371, სტრიქ. 1 — ფრჩხილებში მინაწერი: „მაგრამ მტრობდა ღებ-
საო“. სტრიქ. 18-ს ფრჩხილებში მინაწერი: „მოდირეთ დასტოვესა“.
სტრიქ. 18--19-ს შუა: „დეველეთამ ჯამათა დაინახა, ესროლა თოფი ჯა-
ნათას“.

არის აგრეთვე ამ ლექსისა და „დიდი აიძრა სულთანის“ კონტა-
მინირებული ვარიანტი. ჯამათას ამბავს გადაბმული აქვს „დიდი აიძრა
სულთანის“. ვარიანტი შერეული ფორმისაა. ტექსტის მეორე ნახევარში
არის ცერცვის ჭამის მოტივი, რაც მეორე ლექსის ვარიანტთან არის
დაკავშირებული. მთქმელი კოსტა ჩარქსელანი. სოფ. უშგული, ჩამწე-
რი ნონა ღამბაშიძე, 26. VII—62. თსუფა, ქ. № 280.

261. თათარას ჯალაბაური

ფშავი. ჩამწერი ვ. ხორნაული. კოტ., გვ. 238. ახ. გამოც., გვ. 259.
თითქმის ასეთივეა სნჯ. II, გვ. 36. განსხვავება: სტრიქ. 5 — გა და ა -
ე მ ტ ე რ ა — ა ჰ კ ი დ ე ბ ი ა .

262. ბაეი და ბიბაური

მთქმელი იოსებ ჩიტოშვილი. ჩაწერილი ს. ბეტისჩიდილში. 1935 წ.
ფშ. ხევს., გვ. 114.

263. ძვონღევის და ახალციხისა

მთქმელი მოხვევე იაგორა მალსაგიშვილი. მთქმელის ცნობით ლექ-
სის ავტორია ხევში ჩასახლებული ხევსური ნაროზაული. ჩაწერილი
სოფ. ახიელში ქს. სიხარულიძის მიერ 2. VIII—1944 წ.
სტრიქ. 2 — ყ ო რ ა — ა დ გ ი ლ ი ა ხ ე ვ შ ი .

264. საპინა ბიორფინიშელი

ფშ. ლექს.; 26. ასეთივეა — ფშავში, სოფ. შუათხონში ელ. ელიზ-
ბარაშვილის მიერ ჩაწერილი ტექსტი. კოტ., გვ. 215. ახ. გამოც., გვ.
236. არის კიდევ ფშავური ვარიანტი ჩაწერილი გრ. აფშინაშვილის. ავ-
კრბ., 1900, № 3—4.

ხევისურეთი. მტკმელი და ჩამწერი ხახმატელი ბერდია ეულაქის ქე
გამლივარაული. 1876 წ. უმიკ., გვ. 81, № 99.

266. შაირს ბიამგოზ, სწორგოზ

ჩამწერილი ფშავში ვაჟა-ფშაველას მიერ. თაყ., 1, გვ. 493, № 26,
ლექსს სამგლოვიარო ხასიათი აქვს.

267. თუშაგა უთხრის თუშაგა

ხევი. მოხ., გვ. 55.

268. დიდი აიძრა სულთან

მტკმელი გოგია ინატაშვილი. ზემო რაქა, სოფ. საკაო. ჩამწერი
ბ. ჯაფარიძე, 1875 წ. უმიკ. № 87, გვ. 72. სტრიქ. 25—28 კონტამინაციის
წესით არის შესული ტექსტში. სტრიქ. 9 — დედანშია ა ნ ჯ ა რ .
ვბეჭდავთ შესწორებით.

რ ა ჭ უ ლ ი

ბ

დიდი აიძრა სულთან, სულ ამ სვანეთის თავიო,
ეს ეცეჳი და უშგული, შეიქნა დიდი ჯარიო.
თრილისის ალას ჩავიდენ, მიწას დაახნეს ძალიო,
მათ რომ აბჯარი ჩაიცივეს, არ მოშორდება თვალისო.

5 თითო ფართალი დალიეს, მათ იზიარეს თავიო.

ხოლოსა თავსა მოვიდენ, ახსენეს მაცხოვარიო.
მაცხოვარს რაი მივართვათ: რქა თეთრი ქერა ხარიო;
დედასა ღვთისას მივართვათ: რქა დახვეული ცხვარიო.
თევრეშო — კარგი სოფელი, გადაუწაროთ თავიო;

10 კიორას რო ჩამოვიდენ, დაბლა ქალაქის თავიო...

ზემოთა კარსა მოადგა შავი სვანეთის ჯარიო,
ქვემოთა კარსა გავიდა შავი სისხლისა ღვარიო...
ხელო, ჯარ, მკლავო, გაშკერი, გულო, ნუ შეგვიშინდები,
სისხლისა ნატალახვესა, ფეხო, ნუ მოგვიტურდები.

რაქა. ჩამწერი ვუკოლ ბერიძე, 1911 წ. ზაფხული. რვეული საკუ-
თარი ჩანაწერებით გადმოგვცა ვუკოლ ბერიძემ, 1958 წ.

- დიდი აიძრა სულტანი, სულ რომ სვანეთის თავიო,
 ეცერსა კაცი გაგზავნა, გვახმარე შენი ძალიო.
 ეს ეცერი და უშქული შეიქნა დიდი ჭარო,
 მათ რომ აბჭარი ჩაიციეს, არ მოშორდება თვალიო,
- 5 ხიდურის ქალას გაეიდნენ, დაპყარეს იარაღი,
 ჭირლის ქალას რომ მივიდნენ, მიწას დაასხეს ზარიო.
 ბლომად დალიეს არაყი, მით იზიარეს თავიო.
 თევრეშო კარგი სოფელი, გარს გაუარეს კარო,
 ხოლის თავსა რო მივიდნენ, ახსენეს მაცხოვარიო.
- 10 მაცხოვარსა მათ შესწირეს რქა თეთრი ქერა ხარო,
 დედა ღვთისასა მიართვეს რქა დაგრეხილი ვერძიო.
 ჭიორა კარგი სოფელი, დავლა-ქალაქის კარო,
 ზემოთა კარსა მიაღვა შავი სვანისა ჭარო.
 ქვემოთა კარსა გარს გადვა შავი სისხლისა ღვარიო.
- 15 ხელო და ხმალო, გასქერი, გულო, ნუ შეგვიშინდები,
 სისხლისა ნატალახევსა, ფეხო, ნუ მოგვიცურდები.

რატა. ჩამწერი ელ. აგლაძე. კოტ., გვ. 204. ახ. გამოც., გვ. 224.

დ

- დიდი აიძრა სულტანი, სულ ამ სვანეთის ჭარო,
 ეცერსა კაცი გაგზავნეს, გვახმარეთ თქვენი ძალიო.
 ეს ეცერი და უშგული შეიქნა დიდი ჭარო.
 ლაფური გამოიარეს, სასვანო გორის განიო.
- 5 ხოლის ბოლოს ჩამოვიდნენ, მიწას დაასხეს ზარიო.
 თვითო ფარ-ფარა დალიეს, მათ იზიარეს თავიო.
 თევრეშოს რო გამოვიდნენ, გვერდზე უქციეს მხარიო.
 ხოლო ბოლოს რო მოვიდნენ, ახსენეს მაცხუარიო.
 მაცხუარსაც კი მივართოთ რქათეთრი ქერა ხარო,
- 10 დედა ღვთისასაც მივართვათ რქადახვეული ცხვარიო.
 ჭიორა კარგი სოფელი დაბლა ქალაქის კარო.
 თავს ჭიორას წაჰოადგენ შავი სვანისა ჭარო.
 სოფლის ბოლოს გამოვიდა შავი სისხლისა ღვარიო.
 ხელო და რხმალო გასქერი, გულო, ნუ შეგვიშინდები,
- 15 სისხლისა ნატალახევსა ფეხო ნუ მოგვიცურდები.

მთქმელი დ. მეტრეველი, უწერა, ჩამწერი ელ. ვირსალაძე, 1953 წ. ფ. არქ., კოლ. II, ყ. 2, გვ. 82. ტექსტს ახლავს მთქმელის შენიშვნა: „მოსპეს ჭიორა, მერე ისევ გაშენდა“.

განმარტებულია: სტრიქ. 4 — ხოლო — დედათა ნ.

ე

დიდი აიძრა სულტანი სულ ამ სვანეთის თავია.
 ამ ეცერს კაცი გაგზავნა, გვახმარეთ თქვენი ძალია.

- ეს ეცერი და უშგული შეირყა დიდი ჭარია,
 არჩიეს, გამოარჩიეს, შიკრიკი გამოარჩიეს,
- 5 წელს შემოარტყეს ხმალი.
 ა ღმერთო, ჩვენი შიკრიკი, ვიართო ღლე და ღამეა.
 ქალაზე რომ დააწესეს, მიწას დაასხეს ზარია.
 დასხდნენ და წიგნი დაწერეს შვიდეცი, შვიდი მხარია.
 თითო ფარჯარა დალიეს, მით იზიარეს თავია.
- 10 თვერეშო კარგი სოფელი, არ გავუაროთ კარია.
 სოფელი ბოლოს რომ მივიდნენ, ახსენეს მაცხოვარია.
 მაცხოვარს კი მოართვეს რქა თეთრი ქეოა ხარია.
 დედა ღვთისასა მიართვეს რქადახვეული ცხვარია.
 აყუაროთ ღებურ ხედები, ვამაგრეთ ციხას კარია.
- 15 ზემოთა კარსა მოადგა შავი სვანეთის ჭარია.
 ბედინა ქალაქი კარსა ქვას ეკიდება კბილითა.
 ვიცი, თქვენც მოკალაე სვანებო, მე გაჭერებ-ყე ქირითა.
 ხელო და ხმალო გასქერი, გულო, ნუ შემიშინდები,
 სისხლისა ნატალახეზე ფეხო, ნუ მომიცურდები.

მთქმელი მაკრინე გოგრიტიანი, 73 წლის. სოფ. ღები, ჩამწერი ნინო ღუმბაძე. 1962 წ. ივლისი. თსუფა, № 552.

3

- დიდი აიძრა სულთანი, სულ ამ სვანეთის თავი,
 მათ რომ აბჯარი ჩაიცვეს, არ მოშორდება თვალი.
 გორი ბოლოს რომ დავიდნენ, დაჯდეს და წიგნი დაწერეს,
 სიგრძე, სიფართე მხარით. გრილი წყალზე რომ დავიდნენ,
- 5 თითო მათარა დალიეს, მით იზიარეს თავია,
 თვერეშოს კარგსა სოფელსა გან გაუარეს მხარით.
 ხოლო ბოლოს რომ მოვიდნენ, ახსენეს მაცხოვარით,
 მაცხოვარსა კი მივართვათ რქა თეთრა ქერა ხარით.
 დედა ღვთისასაც მივართვათ რქადახვეული ვერძით.
- 10 ზემოთა კარსა გამოდგა, შავი სვანისა ჭარით,
 ქვემოთა კარსა გარდადგა შავი სისხლისა ღვარით,
 ხელო და ხმალო გაქერი, გულო, ნუ შეგვიშინდები,
 სისხლისა ნატალახევსა ფეხო, ნუ დაგვიცურდები.

მთქმელი ბიჭია გრიგოლის ძე ლობჯანიძე, 83 წლის. სოფ. ღები, ჩამწერი ღია მდინარაძე. თსუფა, № 658.
 ცნობილია სხვა რაჭული ვარიანტები:

4

მთქმელი ივანე გუტაშვილი, გლოლა. ჩამწერი ელ. ვირსალაძე, 1953 წ. ფ. არქ., II, ყ. 2, გვ. 84. ახლავს განმარტება: ბოლო სტრიქონი — რქადაკაული — დაკაუჭებული, დაგრაგნილი.

მთქმელი გრიგოლ თვალოს ძე ლობჯანიძე, 1882 წ. დაბად. სოფ. ღები. ჩამწერი ლაურა გრიგოლაშვილი, 21. VII—62 წ. თსუფა., № 443. სათაურად აქვს: „ჯაფარიძის ომი სვან გელასთან“. ახლავს განმარტება: სტრიქ. 4. ფ ა რ ფ ა ლ ა — ს ა ს მ ი ს ი.

თ

მთქმელი სიმონ თვალოს ძე ლობჯანიძე 83 წლის. სოფ. ღები. ჩამწერი ლაურა გრიგოლაშვილი, 22. VII—62 წ. თსუფა., № 462.

ო

მთქმელი მიხა მამუკას ძე გოგრიჭიანი. თსუფა., № 575.

მთქმელი ნესტორ ადიგელის ძე გავაშელიშვილი, 73 წლის. სოფ. ღები. ჩამწერი მანანა ჯანელიძე, 1962 წ. ივლისი. თსუფა № 879. სათაურად აქვს „სვანეთის ამბავი“.

პა

მთქმელი ნესტორ გოგიას ძე გავაშელი, 1879 წ. დაბად. ჭიანჭურზე დამკვრელი. სოფ. ღები. ჩამწერი ნონა ლამბაშიძე. 17. VII—62 წ. თსუფა № 265. სათაურად აქვს „ნამდვილი ამბავი“. ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 1— სურტანი — კაცის სახელი; სტრიქ. 4 ფარფალა — ხ ი ს ს ა ს მ ე ლ ი თ ა ს ი; სტრიქ. 5. გარგაურეს — გზად გამოიარეს; სტრიქ. 6. ხოლი ბოლო — გზა; სტრიქ. 5. თევრეშო — სოფელი: სტრიქ. 27—14. ბედინა — კაცის სახელი. ლექსის დაწყებამდე მთქმელი შენიშნავს. „სვანები რო ადგენ და წამოვიდენ, ახლო-მახლო სოფლები დაიხმარეს“. სტრიქ. 2—3-შუა ნათქვამია: „სვანები გამოვიდენ ბროლი ჭალას. შეერგოთყე შხამად იმათა“.

პბ

მთქმელი აგრაფინა გოგრიჭიანი; 88 წლის. სოფ. პატარა ღები — ჩამწერი ნინო ღუმბაძე. 1962 წ. ივლისი. თსუფა. № 556. არის აგრეთვე ფრაგმენტი. — მთქმელი სარდ. გოგიჩაიშვილი. ჩაწერილი გლოლაში მანანა ჯანელიძის მიერ. თსუფა. № 850 ბ.

მთქმელი ნათელა ლობჯანიძე. ლები. ჩამწერი ე. ვირსალაძე. ფ. არქ. X—103, გვ. 175. სათაურად აქვს „სვანების თავდასხმა ჰიორაზე“. მთქმელის განმარტებები: სტრიქ. 1. „არ გეგონოთ აქ სულთანი, ტანს მიწას ვეძახით, მთელი სვანეთის მიწათ. სტრიქ. 5— ხიდურის ჰალა — ლებისა და სვანეთის გასაყარი ადგილი ცხენისწყლის სათავესთან; სტრიქ. 6— ბრილი — სვანურად გრილს ნიშნავს. ალბათ მათი იქნებოდა ადრე ჰალა. სტრიქ. 8 თევრეშო ყოფილი სვანების ადგილია, ეხლა რაქველები ცხოვრობენ. სტრიქ. 9. ხოლი — დაღმართი საერთოდ, კერძოდ ადგილი ლებთან.

ს ვ ა ნ უ რ ი

კდ

- უშგულა ჰევი დინძრა, მეცერსა კაცი გაგზავნეს:
 „მეცერო, თქვენი ჰირიმე, გვახმარე თქვენი ძალო!“
 ეს ეცერი და უშგული შეიქნა დიდი ჭარიო,
 მათი ულუსი ჭარიო, აინძრა სულ ამ სვანეთი,
 5 გორი ბოლოს რომ ქვე ჩადგენ, მაგრამ რომ ტურთა შაიქნეს,
 მიწას დაასხეს ზარიო. ხიდურის ჰალას ჩევიდენ,
 არაყიც ბლომით დალიეს, იმით იზიარეს თავიო,
 თევრეშსა გარსა უარეს, თევრეში კარგი სოფელი,
 თავათ ჰალაქის კარია. 1.
- 10 ზედა დარბაზში მიადგენ (მივიდენ) ქვემოთსა სისხლი დაღვარსა.
 ხელო და ხმლო, გასჰერი, გულო, ნუ შეგეშინდება,
 ჰალსა და ბოშს არ შეეხითო!
 სისხლსა ნატალაზოვანსა ფეზი ნუ ავიცურდებთ (არ ავიცურდესა!)
 ლაშქრის მთავარი სარდალნი, ციხის სიმაღლე გელო,
 15 ლეზსაც მიადგა ლაშქარი სულ ამ სვანეთის სურთანი.
 (ღებელმა შეუძახაო:).
 „უშგულო, თქვენი ჰირიმე, გვემართოს თქვენი ბეგარა —
 კაი თეთრი ნიშა ხარი, ქა-გახოულა ცხვარიო, —
 ეს იყოს შესაწირიო
 უშგულის დედა ზეთისაო, ერთი საბანე ღვინოვო...“

მთქმელი უშგულელი დადნაშა ჩარქსელიანი. ჩამწერი. ა. შანიძე, 5. XII. 1923 წ. სვან., I, გვ. 366. სათაურად აქვს „უშგული და ლები“. სვანური ვარიანტების მთქმელები ამახინჯებენ ქართულ ენას.

ტექსტს ახლავს განმარტებანი: ლ ა გ ვ ა ნ თ ა — სოფელია უწერას ქვემოთ. ყ ა ნ ა ვ ო ზ — ერთგვარი აბრეშუმის ძველად; თ ე ვ რ ე შ ი — ნასოფლარია ლების თავზე, ახლა საძოვრად აქვთ; ბ ა რ თ უ

ზი — ადგილი უშგულსა და ლებს შუა; გორარა — ადგილია ბართუხას გვერდით.

ლექსთან დაკავშირებულია გადმოცემა, რომელიც წინ უძღვის ტექსტს სვანურად და ქართული თარგმანით. მოგვყავს მხოლოდ თარგმანი:

„რაქიდან მოდიოდნენ უშგულის მგზავრები. დაუხვდნენ აზნაური ჯაფარიძეები, ლების ბატონები (თვითონ ლაგვანთიდან ყოფილან). ამ უშგულის მგზავრებს მათი ნაშოვარი წაართვეს: ფართალი იყო ყანა-ოზი. შეეხვეწა ერთი საწყალი კაცი: „დამანებე საბრალო ცოლთან და შევილთანო!“ მაშინ მოუქნია მუშტი და ჩაართყა ცხვირში. სისხლი წამოუვიდა. „შენ როგორ თუ ამას ლაპარაკობო“ მაშინ გაჯავრდა უშგულელი მგზავრი. „ასე როგორ მივიდე ცოლ-შევილთანო“ მე ამის იმედით მივიდიდიო!“ გაჯავრდა და იშიშვლა დანა, დიდი დანა და ჩაჰკრა მუცელში, მოკლა ჯაფარიძე. ის ამხანაგები მოვიდნენ შინ მშვიდობით. („ოლუნდ ეს მკვლელობა მოგვივიდა („შეგვხვდა“) აქ ჯაფარიძეებთან: დაგვხვდნენ და ფართალი წაგვართვეს. ამის გამო მოკვალით ერთი საუკეთესო აზნაური“).

გაკავდა გზა რაქასა და უშგულს შუა. მტრობა დაუწყეს თევრეშმა, ლებმა და ლაგვანთამ უშგულელებს. აქედან შეიქნა („გამოვიდა“) თევრეშის დაღუბვა და რაქის მეფის დაქვრა, ჯამათას მოკვლა და ამდენი ცუდის ჩადენა, ეს ლებელმა ლექსად გააკეთა ასე“. სვან., I, გვ. 366—367. გადმოცემას სათაურად აქვს „უშგული და ლები“. მთქმელის შენიშვნა:

(„ეს ლექსი დიღია, მაგრამ მე არ ვიცი, ისე ქალღმერთი კია შინ“), შემდეგ ისევ მოაყოლა: „ახლა ერთმანეთს შეეფიცნენ უშგულელები და ლებელები ერთგულებაზე. ახლა ნდობა გამოუცხადეს („მისცეს“) ერთმანეთს: „ახლა დაგვაჰკვრინეთო რაქის მეფე“, ახლა წავიდნენ წინ, უკან გაჰყვა უშგულის ჯარი. დაიჭირეს რაქის მეფე უშგულელებმა და ჩამოიყვანეს ლებში. აქ მეფემ გაშვება ითხოვა: „გამიშვითო, რა ფასიც გინდოდეთ, წაიღეთო!“ მაშინ გაუშვეს. იმდენი ფასი გადაიხადა, რომ ძლივს მიხვდნენ. ლებელებმა სთხოვეს უშგულელებს საჩუქარი. — რა გინდათო თქვენ საჩუქრად? — უშგულელებმა მიუგეს: — ჩვენ გვინდაო ბართუზი. — ამას ვერ მოგცემითო. — აბა სხვა („ამის გარდა“) არაფერი გვინდაო. — ეჰ, ამის გარდა თუ არაფერი გინდათო, სახელი უშგულელებისა იყოსო და მოხვეცეს საძოვრადო. ამის შემდეგ ლებელებმა იავაშად სიარული დაიწყეს ბართუზში, გორარსა და სავეთში. მაშინ ეწყინათ უშგულელებს. მტრობა დაუწყეს ლებელებს: ართმევდნენ მათი ადგილიდან საქონელს. კაცებს იჭერდნენ ჩვენს ადგილში. ამ დროს („ამაში“) უშგულელთა უფროსი ჯამათა იყო. მაგრამ

ემტერებოდა ღებელებს. ბოლოს გაიგეს ღებელებმა. ღების ლაშქარი დაიძრა, ამ ღროს ორმოცი კაცი იყო ღებელთა საქონლის წასართმევად თავიანთ ადგილიდან, გორარიდან (საკუთრივ უშგულისა იყო). იმ ადგილიდან ჯამათას ამხანაგებს საქონელი მიჰყავთ. ამ ღროს თავს დაესხნენ ღებელები. მოჰკლეს ჯამათა, ორმოცი კაცი გაექცათ. შემდეგ მიბრუნდნენ ჯამათას სისხლის ასადებად, ორი მოჰკლეს უშგულელებმა, ორი მოიპარეს, კაცები, ისინი გაჰყიდეს სავეთში. ამის შემდეგ (ჯამათას სიკვდილის შემდეგ) გავიდა სამოცი წელიწადი. ამის შემდეგ იმ ადგილიდან რომ არ წავიდნენ, ისევ დაუწყეს უშგულელებმა ღებელებს საქონლის წართმევა, კიდევ წაართვეს. „სთხოვეს“ საჩივარი ღებელებმა, უშგულელებმა მიუგეს: „სამართალში მოგვეყვითო, სამართლით გავისწორებთო“. სამართლისა ღებელებს შეეშინდათ და უკან დაბრუნდნენ. ბევრი იჩიულეს, მაგრამ არაფერი გაუვიდათ. არ ჩათვალა წინააღმდეგად უშგული მთავრობამ, უშგულელები რომ ამბობდნენ, მართლა ასე ყოფილა“. იქვე, გვ. 368—369.

კე

უშგულა ქევი დაიძრა, ეცერსა კაცი გავზაენე:

„გვახმარე თქვენი ძალია“

შეიყრა სულა სევანეთი, სულა სევანეთის ჯარია,
შავი სევანეთის ჯარია, სულა სევანეთის თავია,

5 თავია დედა მღვთისაო, დედა მღვთისა და უშგული.

ნუშკას რომ გადაეიარეთ, ვერ მოშორდები თვალთა.

ბრილი ქალაზე ქვე ჩადგა მათი ულუსი ჯარია.

დილას შევეკაზმე ცხენები, მანდილა, თეთრი ჩითილა,
თეთრო ფართალი დაეღიეს, მაგრამა ტურფა შეიქნა.

10 მიწას ავაძლევ ბრეილა, თავრეში, კარგი სოფელი,

თავ ამ ქალაქის კარია, ზედ გაუარე მხარია.

ხური თავზე რომ შევედი, ამაგრეს ხიდიკარია,

ხიდიკარში რომ შევედი, ომი შეიქნა მძნელია,

სისხლისა ნამბატალაბა ფეხი ნუ მოწვიმდებო.

15 ყარაჯი, მამა უფროსი, ყარაჯი მამად გვიძახე:

„უშგულა, თქვენი ჰირიმე, აწ კი არის წასვლის ღრობ,

მეტიდ გვიქენი ძნიანი, გვემართა თქვენი ბეგარა —

წელიწადში ორ გაბიწი, მაცხოვარი ჩვენი არი,

ნახევარი თქვენი არი, ნახევარი ჩვენი არი.

20 უშგულა, თქვენი ჰირიმე, ნუ გავიწყვიტე ხალხიო!

გვემართა თქვენი ბეგარა — რქათეთრი ქერა ხარო.

(ანუ: კაი ნიშა თეთრი ხარი);

მაცხოვარო, თქვენ დაილოცე (დედა მღვთის, თქვენ დაილოცე)

გადახვეული ვერზია“.

მაცხოვარს ჩვენ დაილოცე ცერი ვედენი გელაშა,

მეფე მიყევდა ყურალმა. ჰიორა გაუტეხელი,

- 25 ზედა დარბაზში ჩავიდე; ქვეთი კარსა მოვიდა
წითელი სისხლი ღვარათა. ნარაი ხილი გავგიტყდა,
ორმოცი (ორასი) კაცი დაგვერჩვი. პეტრე-პავლობას დღესაო
ზოყოს მიაღდა ჭარიო, ბევრი ქალ ტირე, ბავშვებო.
ჭაფარიძე დაგვიძახე: „უშგულა, თქვენი ჭირიმე,
30 გვემართა თქვენი ბეგარა — წელიწადში ოთხ მარჩილი“.

უშგული. ჩამწერი ბესარიონ ნიჟარაძე. 1883 წ. სვან., I, გვ. 370.
დედანს ახლავს შენიშვნა: „ქვეშ, მიწერილი აქვს სხვა ფერის მელნით:
„გეგი კახბერმა (ბეშიძე), ქაია კაკიჩიჩა (ხაჭვანი)“. იქვე, გვ. 430, ჩა-
წერილია კიდევ სვანური ვარიანტი:

33

მთქმელი ევაკა ნიჟარაძე. სოფ. ადიში, ჩამწერი ნინო ღუმბაძე
1962 წ. აგვისტო. თსუფ. № 584. მთქმელმა ეს ლექსი ჩაურთო გადმო-
ცემაში: „ღები რომ გვეცილებოდა, ჩვენ ეს ეცერში გავგზავნეთ კაცი,
— დაგვახმარეთ ხალხიო. თურმე ღებს უშგულის ღალატი უნდოდა
(აქ ჩართულია ლექსი. ქ. ს.) — და მთა წაერთმია უშგულისათვის. მო-
ხერხებული ძალა მოიგონეს. რიყეზე ცერცვი დათესეს. ხალხმა რო
იმას კრეფა დაუწყო და ჭამდნენ თურმე ცერცვს, ღების ხალხმა იქი-
დან დაინახეს. — ამას ჩვენ ვერ გაუძლებთ, ქვის მჭამელი ხალხი ყო-
ფილაო. შეშინდნენ თურმე ღების ხალხი და შემოეხვეწენ, შევრიგდე-
თო. გვემართოსო თქვენი ბეგარა რქა თეთრი გიშერ ხაროო. ერთი ცხე-
ნი საპალნე ღვინოო, გვემართოსო თქვენი ბეგარაო. მარიობის დღე-
სასწაულზე უნდა მოეტანათ ხოლმე ესენი. ცერცვის ჭამით მტრის
უკუქცევის მოტივი დაკავშირებულია თამარ მეფის სახელთანაც. ეს
საისტორიო გადმოცემაც ჩაწერილია ადიშში 28. VIII—45 წ. გიორგი
ავალიანისაგან. საისტ. I, № 50, გვ. 84.

269. თუშების მიჰალაჰი

ხევსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან. № 121, გვ. 46.
ლექსი შეიძლება ლეკიანობის ამსახველიც იყოს, რაკი თებელები და-
ღესტანშია.

270. კვირიკა და ცხენის ჭურღი

მთქმელი მინდია ფიცხელაური. გორული (ბაკურ-ხევი) ჩამწერი
ა. შანიძე. 22. VI—1913 წ.—შან. № 215, გვ. 92—93. ახლავს ჩამწე-

რინ შენიშენა — განმარტებანი. სტრიქ. — 23 — ეუზნა მემცხვარე-
ებსა — რომელთაც ენახათ ქურდ;

სტრიქ. 24. მარცხენას მკარზე სკირსაო — ნატყვიარი; სტრიქ.
30 — მკედრისაო — პირველად თქვა მტრისაო. იქვე, გვ. 466.

271. უპური ხურთილეგსა

მთქმელი მიხ. ჩქარეული. ხევი., 1884 წ. უმიკ., გვ. 83, № 109.

272. თავს ხადა, ბოლოს ცხავატი

სოფ. ზემომლეთი. 1876 წ. უმიკ., № 66, გვ. 60. ახლავს შენიშენა:
სტრიქ. 6 მენესო — სოფელი.

მ თ ი უ ლ უ რ ი

ბ

როცა ქადა და ცხაოტი შაგროვდა დიდი ერია,
ძმათ ერთმანეთსა შაშიელეს არ მოგვივიდა ქერია,
ავდგეთ და იქაუ წავიდეთ, საცა მოგვივა ბევრია.
მენესოს ვჰამოთ სადილი, წორბლი(ს) მინდორი გრძელია,

- 5 საკანაფოსი კევზედა ბექთა მზე გვადგა ცხელია.
დაგვეცენ ფშაველ-ქევესურნი ეგ უსამართლოს მქნელნია.
— მოგვეციოთ ცოლი და შვილი, თქვენ შინავ წადით მთელნია.
— არც მოგცემთ ცოლსა და შვილსა, არც შინავ წავალთ მთელნია,
დააძახა მარუშინამა: — კმალსა დაჰყავით ხელნია, —
- 10 მემრე იმ როკაიქემა, — მოკვდეს მაგისი მშლელია,
მივდივით გრეხილათამდე, ვლუწოთ ფარი და ხმალია,
სისხლისა ღვარი გაუშვათ, ალაზანს უფრო სქელია,
თავი მიეპრათ და მიეყაროთ, ველარა ჰკვლევდეს ცხენია.

მთქმელი სიმონ ბუჩუკური. სოფ. ქიმბარიანი. ჩამწერი გ. ჩხიკვა-
ძე. 1934. ვირსალ., № 17, გვ. 112—113.

ბ

როცა ქადა და ცხაოტი, შაგროვდა დიდი ერია,
ძმათ ერთმანეთსა შაშიელეს არ მოგვივიდა ქერია,
ავდგეთ და იქაუ წავიდეთ, საცა მოგვივა ბევრია.
მენესოს ვჰამოთ სადილი, წორბლის მინდორი გრძელია.

- 5 საკანაფოსა კევზედა, ბექთა მზე გვადგა ცხელია,
იქ დაგხვდნენ ფშაველ-ქევესურნი, ეგ უსამართლო მქნელნია.
— მაგვეციოთ ცოლი და შვილი, თქვენ შინავ წადით მთელია.

- არ მოგცემთ ცოლსა და შვილსა, არც შინავე წავალთ მთელია!
 მივდიოთ გრეხილათამდე, ვლწოთ ფარი და ხმალია,
 10 თავი მოვკრათ და მივყაროთ, კოლს ვერა ჰკვლევდეს ცხენია.
 სისხლისა ღორი გაუშოთ ალაზანს უფრო სქელია.
 ვინც რო გაიქცას, გავკრიპოთ, ხელსა გვაქვს მაკრატელია.

მთქმელი ბუჩუკური ფილო ადამის ძე, ს. ქიმბარიაანი. ჩამწერი ელ. ვირსალაძე. 1934 წ. ვირსალ.; გვ. 440. იქვე. მითითებულია ვარიანტები. მთქ. ბუჩუკური გლახა (№ 56), ფ. არქ., № 32168. მთქმელი აბულაძე დავით (№ 2). ფ. არქ., № 32125.

ბუჩუკური გლახას შენიშვნა: „ქადა ზემო მთიულეთია, ცხაოტი — ქვემო. სოფელ გვიდაქეს ქვემოთ არის ცხაოტი. ხანდოს კვევის ქვემოთ ბატონის წყაროა და იქამდე ყოფილა სისხლის ღვრა“.

273. სისხლი იძიის

ხევსურეთი. ჩამწერი თელო რაზიკაშვილი. შან., № 197, გვ. 81.

274. ივანე ნადიბაიძე

ჩაწერილი 1871 წ. ხევში. უმიკ., გვ. 57 № 60. სათაურად აქვს „ივანელა დიბაისძე“. ეს შეცდომაა. შევასწორეთ სხვა ვარიანტთა მიხედვით. ლექსი ოსებთან შუღლის ამსახველია. უფრო მიზანშეწონილი იყო მისი შეტანა მომხდურებთან ბრძოლის ამსახველ ნაწარმოებთა ციკლში.

მ თ ი უ ლ უ რ ი

ბ

არაგვის პირას ომია გაუთენებლივ დილითა,
 იქ არის ნადიბაიძე, შალესილია რკინითა,
 ზოგნი კი დაუხოცნია, ზოგნი წასულან პირითა,
 პირითა, როგორ პირითა — სისხლ ამოჰყრიდენ პირითა.

სოფ. ნადიბაანთკარი. მთქმელი ივანე ნადიბაიძე — 75 წლ. წ. კ. უცოდინარი. ჩამწერნი: ელ. ვირსალაძე, გრიგ. ჩხიკვაძე, 1934 წ. ვირსალ. № 23, გვრ. 114.

ბ

ივანე ნადიბაიძე შალესილია რკინითა,
 ქელში უჭირავს სიითა, კბილით იქნევდა ფრანგულსა.
 ზოგნი კი გაუწყვეტია, ზოგნი წასულან პირითა.
 პირითა, რაღა პირითა, სისხლსა მოღვრიდენ პირითა.

სოფ. ნადიბაანთკარი. მთქმელი სიმონ ანდრიას ძე ნადიბაიძე, 1871 წ. დაბადებული წ. კ. მკოდნე. 1946 წ. ვირსალ., № 24, გვ. 114: მთქმელის შენიშვნა: „ოსები დასცემიან მთიულებს და ივანე გამოსდგომია. მყინვარის ძირში დაუყრევინებია ტყვეები და ისინი დაუხოცია. მოხევეები გორისციხეს „ივანწმინდობას“ ეძახიან მყინვარის ძირს იმის ნიშია“. ვირსალ., გვ. 443. გმირისადმი ხალხის სიყვარულის მაჩვენებელია ისიც, რომ ეს ტექსტი ფერხისა არის.

დ

არაგვის თავში ომია, გაუთენებლივ დილითა,
იქ არი ნადიბაიძე, შალესილია რკინითა.
ხელში უჭირავ სიათა, ფრანგულს იქნევდა კბილითა,
ზოგი დაუხოცია, ზოგი წასულან კირითა.

სოფ. ნადიბაანთკარი. მთქმელი ივანე ანტონის ძე. ნადიბაიძე, 95 წლ. წ. კ. უცოდინარი. ყოფილი მეცხვარე. გადასახლებული ქვეშეთში. 20 წლის ბრმა, ჩამწერი თამარ ოქროშიძე, 1950 წ. ვირსალ., გვ. 444. მთქმელის შენიშვნა: „ეგ ბიძა ჩემიი ყო, ოსებთანა ჰქონდა მაგას ჩხუბი. ეგაც ფერხისის სიმღერაა“. იქვე.

მ ო ხ ე უ რ ი

ა

ომია ყინვარწვერზედა გაუთენები დილითა,
იქ არის ნადიბაიძე, შელესილია პირითა.
გაუწყვეტია ოსები, ზოგი გაუშვა კირითა,
ვინც რომ წასულან კირითა, სისხლს აყოლებენ პირითა,
5 ვინ შეხვდა ყინვარწვერზედა, ვინ შესძრა ჯაჭვის სახელი,
ეგაც იქნება რუხელი, მან შესძრა ჯაჭვის სახელი.
მაკ., ხევ., გვ. 273.

ბ

ომია ყინვარწვერზედა გაუთენებლი ღამითა,
შიგა ზის ნადიბაიძე, შალესილია რკინითა,
ზოგი კრა, ზოგი დახოცა, ზოგნი წაუვლენ კირითა.

მაკ. ხევ., გვ. 233. მოყვანილია როგორც სამების ხატობაზე შესრულებული „სმურის“ ნიმუში. ტექსტს მექანიკურად აქვს წაბმული მეორე დამოუკიდებელი საგმირო იდეალის ამსახველი ლექსის სტრიქონები.

არის კიდევ მოხეური ვარიანტი:

მოს., გვ. 124.

275. ბალათმირა ჯაბუშანური

მთქმელი გაგა თეთრაული. ჩაწერილი ხეცსურეთში, სოფ. ახიელ-ში, ჩამწერი აკ. შანიძე, 6. VIII—1913 წ. შან., № 72, გვ. 29. აკ. შანი-ძეს მოყავს ლექსის შინაარსი და ვარიანტები. იქვე, გვ. 381—383.

ფ შ ა უ რ ი

3

- კარკუჩით ბალათერაი გამამართა დილითა,
 აიესა კიმეხის ჭალა ხორნაულეების მზირითა,
 გადმადლობნეს ბალათერს დალესილები რკინითა,
 მობრუნდა ბალათერაი, ხმალ მიუბრუნა პირითა,
- 5 ზოგნი ჭრნა, ზოგნი დახოცნა, ზოგნიც გადურჩნეს პირითა.
 მიუა თავის დედასა გაცინებულის პირითა,
 გადაუშალეს ქოჩორი გადაპოხილის ტვინითა.
 ბიძამ არ მოგცნა ჩაჩქანი, ეგ გაძლა შენის პირითა,
 დედაშენს ბალათერაო გაზდილო ცოდვა-პირითა,
- 10 გშურობდეს შენებ სოფელნი, აწ გაძლან შენის პირითა.
 ჩაწერილი სოფ. ხორნაულთაში. ფ. არქ., № 4617.

ხ ე ს უ რ უ ლ ი

3

- კარკუჩი გამამართა ბალათერაი დილითა,
 დედის ძმათ გაჯავრებულმა რკინა გაცენიტა კბილითა.
 ჭუთისას ამაიარა მართულმა იარაღითა,
 აიგსნეს ქოთანის ბეჭნი ქვომოციხლების მზირითა.
- 5 ცოტინა ბალათერამა კმალნი უქნივა პირითა.
 ზოგნი ჭრნა, ზოგნი ჩაჭოცნა, ზოგნი გაუშვა პირითა.
 ვინც წაუვიდეს ცოცხლები, სისხლს აღებინებს პირითა.
 ერთმანეთს ეუბნებიან, ნუმც წამავსულევართ ჩინითა.
 თაოდაც გადაიარა საჭეოს მთაი გმინვეითა.
- 10 გადაუჩინდა დედასა გაცინებულის პირითა.
 გარდაუშალა ქოჩორი გარდაპოხალი ტვინითა.
 ბალათერაის დედამა თმან დაიკვეცნა ძირითა,

- ბიძამ არ მოგცა ჩაჩქანი, აწ გაძლას შენი პირითა.
 შაჰკილას ქოქვის კარზედა ბალათერაის თარია,
 15 მიუვლის ომის სურვილი, შაუერიალებს ქარია.

მთქმელი თამარ ოჩიაური. 29. VII—1944 წ. ჩამწერი ქს. სიხარულიძე. სოფ. ახიელა. (არხოტის თემი), მთქმელის ცნობით ბალათერა ყოფილა გვარად ჯაბუშანური — გ. ჯაბუშანურის წინაპარი. განმარტებანი: სტრიქ. 1— კარკუჩა — სოფ. ხევეში; სტრიქ. 3. ჯუთა — ხევესურების სოფელი ხევეში; სტრიქ. 4—ქოთანა — ადგილი;

მ ო ხ ე უ რ ი

დ

- კარკუჩას ბალათერაი დამე წამოვა დილითა,
 ქოთანი ბექნი აივსნეს ქომაცხლების მზირითა,
 გადმსხდარან გზის თავ, გზის ძირსა გადალესილნი რკინითა.
 გადაუფრინდა ბალათერ,
- 5 ზოგნი კრნა, ზოგნი დახოცნა, ზოგთ დაეხწია პირითა.
 გადაუვიდა დედასა გაცინებულის პირითა,
 გადაუშალნა ქოჩორნი გადაპოხილი ტვინითა.
 ბალათერაის დედამა, თმანი დიპრნა ძირითა:
 „რაზედ გაგზარდე, ბალათერ, რათ გაგიტეე შინითა?“
- 10 პური რომ მოვშევდებოდა, ბოლტსა ყლაპავდი პირითა,
 წყალი რომ მოვწყურდებოდა, სისხლს სომდი ჩაჩქნის ჯამითა,
 ბიძამა ხმალი არ მოგცა, ვერ გაძლა შენის პირითა!“

ხევი, ს. სტეფანწმინდა. უმიკ., № 52, გვ. 53.

ე

- კარკუჩით გამიმართა ბალათერაი დილითა,
 ქოთანის ბექი ავსილა გზა-გზის თავები მზირითა.
 ოთხნი ჩაუხსნდეს ბეჩაგსა სულ შამოსილნი რკინითა.
 მარტუამ ბალათერამა კმალი იქნია პირითა,
- 5 ზოგი კრა, ზოგიც დაჰოცა, ზოგიც წაუა პირითა.
 გადაუჩნდება დედასა გაცინებულის პირითა,
 გადაუშალა ქოჩორი გადაპოხილი ტვინითა.

ყაზბეგის რ. სოფ. აჩხოტი. ჩამწერი მიხ. მალსაგიშვილი, 1936 წ. ფ. არქ., № 5144. ასეთივეა — მოხ., გვ. 15. სტრიქ. 2— დედანშია ბეგი — შევასწორეთ — ბექი.

ხევსურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 114, გვ. 44.

277. დედა ვაცხონე ბიძისა

ხნჯ. III, გვ. 148.

278. თვალნი დაგიღბა ივანე

სოფ. ხუმელაგა. ჩამწერი ნ. ბაკურაძე („ქართველი ოსებში“),
1887 წ. უმიკ., № 58. გვ. 65.

ქ ა რ თ ლ უ რ ი

ბ

დედა გიტირე ივანე, ბაზარსა ველარ იარე,
ლეგამ შამოგცა ხანჯალი, ვირივით დაიდრიალე.
ავქალაცა და მცხეთაცა სულ ერთად შეაგრიალე,
ქვევიდან მორბის ბებერი, ვაიმე, ჩემო ივანე.

5 'ხუ გეშინია, ბებერო, ივანეც მოგიჰკვიანე.

მთქმელი მ. ყველაშვილი. სოფ. საქარო (მცხეთის რ.). ჩამწერი —
ა. ჯალალოვი. 3. VII—1961. ფ. არქ., ქ. 79, გვ. 2.

მ თ ი უ ლ უ რ ი

ბ

— გულამაყრულო ლეგაო, დადიხარ ნელა-ნელაო,
ანანურში რო ჩამოხვალ, ივანე დაგიხვდებაო. —
ორი აბაზი აძლივა, — წადი, არაყი დალიე, —
არ დაიშალა ივანემ, გადასწვდა იმის ცოლსაო.

5 ლეგამა ხელი გაუსვა ნაჩუქარს ცოლის ძმისასა,
გულშიაც დასცა ხანჯალი, წვეგრმა უწივა მიწასა.
დუშეთს ატირდა ბებერი: — ვაიმე ჩემო ივანე...
— რა გაწუწუნებს, ბებერო, ივანე მოგიჰკვიანე.
სხვისა უყვარდა წაწალი, თავისიც გაუტიალე.

მთქმელი ალექსი ბიბილაშვილი. სოფ. ბიბილაანი. ჩამწერი
ელ. ვირსალაძე. 1934 წ. ვირსალ., № 71, გვ. 143.

დ

დუშეთში ტირის ბებერი: — ვაიმე, ჩემო ივანე!
რაღა გატირებს ბებერო, ივანე მოგიკვიანე.
როცა რო დაეკარ ხანჯარი, ვიროვით შევალრიალე.
— რატო დაარტყი ხანჯარი, დიდხანს არ დააგვიანე?

5 — მინდოდა იმის სიკვდილო, იმიტომ დაუზიანე.

მთქმელი ლევან აფციაური. სოფ. დუმაცხო. ჩამწერი ელ. ვირსალაძე, 1934 წ. ვირსალა, გვ. 461.

მ ო ხ ე უ რ ი

ე

გუდამაყრელო ლეგაო, მოდიხარ ნება-ნებაო,
ანანური რომ ჩამოხველ, ივანე დაგიხედებაო.
გაძლია ორი აბაზი, ოჟო, დამეხსენ, ივანე!
არ დაიშალა ივანემ, ხანჯალე გაუწყრილა.

5 თუშეთით მოდის ბებერი: „ვაიმე, ჩემო ივანე!“
„რას ტირო, ძაღლო ბებერო, ივანე დაგიკვიანე,
ჩემ დიაცს მეცილებოდა, თავისიც გავუტიალე!“

მთქმელი სოფ. გარბაანის მცხოვრები. ჩაწერილი ზევში, 1873 წ. უმიკ., № 59, გვ. 56.

279. შუღლიზას მოწადინებული

მთქმელი გიორგი ჭინჭარაული. ჩაწერილი თბილისში აკ. შანიძის მიერ 1. III—1931 წ. შან., № 611, გვ. 252. ახლავს შენიშვნები: „ლექსი ნათქვამია გამახელა ჭინჭარაულის მიერო“. სტრიქ. 2. ლეგუათ შუღლისაო — „შუღლია კაცის სახელიც არის, მაგრამ აქ საზოგადოდ მოჩხუბრის მნიშვნელობით არის ნახმარი“; სტრიქ. 5—6. „ბ ა ჩ ი ა და ი მ ე და ე რ თ ი და ი გ ი ვ ე პ ი რ ი ა ო“; სტრიქ. 7. სამართებელი — ხ მ ა ლ ი ი გ უ ლ ი ს ხ მ ე ბ ა“. შან., გვ. 615.

280. ომი კელის წყალზედ

მთქმელი გიორგი ჭინჭარაული. ჩაწერილი თბილისში აკ. შანიძის მიერ 1. III—1931 წ. შან. № 612, გვ. 252. ახლავს აკ. შანიძის შენიშვნები:

„შეტაკების საბაზის ის ყოფილა, რომ გუროვლების ცხვრები გადასულან შატილელთ მთაში და შატილელთ გამოურეკავთ. გორგალაშვილი (მ. 4, შატილელი იყოვო) მოუქლავთ.

ამ შეტაკების შესახებ ვ. წერეთელი წერდა ცნობის ფურცელში (№ 2774, 18. 3. 1905): „დიდი ხანი არ არის, რაც შატილელებსა და გუროვლებს ჰქონდათ ერთმანეთთან საშინელი ხელჩართული ბრძოლა, რომელმაც იმსხვერპლა ბევრი დაჭრილი და მოკლული. რადგან გუროვლებს ჰქონდათ ერთმანეთთან საშინელი ხელჩართული ბრძოლუნდათ სისხლი დაიბრუნონ მათგან. ამიტომ შატილელებს შიშით გუროს ახლო არ შეუძლიათ გაიარონ. შატილში კაცი ვერ ვიშოვე, ხახმატში გამყოლოდა, — ერიდებოდნენ გუროვლების შეხვედრას. გულსაკლავი რამ არის მათი საქმე. ბიძა დის-წულს დასდევს მოსაკლავად, პაპა — შვილიშვილს, სიძე — ცოლის ძმას, რადგან ერთი სოფელი ემტერება მეორე სოფელს ნათესაობის განურჩევლად და განუკითხავად“. შან., გვ. 615.

281. ხოსრო ებ აფციაური

მთქმელი მიხა ჩოხელი. სოფ. ჩოხი. ჩამწერი ბორის ბასიაშვილი. 1934 წ. ვირსალ., № 20, გვ. 113—114. მთქმელის შენიშვნა: „საზაფხულო საძოვარია ოზანოს მთა. ზაფხულში ყოფილა საძოვარზე ხარები. მათ მძლე და ღონიერი კაცი ედგა — ხოსრო. ხარები კი გაიტაცეს. გამარჯვების შემდეგ სთქვეს მთიელებმა ეს ლექსი“. ვირსალ., გვ. 441.

მ თ ი უ ლ უ რ ი

ბ

ხევსურთ ლაშქარი იყრება, არავინ იცის რაზედა,

ხეთისიაა და ბათაკა შამოდენილან მთაზედა.

არ კითხეს გუდანის ჯორსა მასკვლევი წყდება ცაზედა.

ხოსრო სთქვეს აფციური, ბულა ბუბუნებს ხარია.

5 ხოსრო რო კოშკში შავიდა, ხევსურთ მიაწვრეს კარია.

ხოსრო შაკრეს და მიავდეს, — ახლა იძღერე ბევრია. —

ხოსრომ დაგლიჯა კაპანი, როგორც რო კვირტის ბაწარი.

თხუნიას გამოუძრაბა, წავიდა ქარავანია,

თხუნიაჲ კალი გატყორცნა, როგორც რო მწარე მსხალია.

10 დუმაცხოს გამოუძრაბა, ათნოსს დაყარა ხმანია.

გაიგეს გუდამაყრელთა, გადიან გასწრობაზედა.

- ყორისა წყალი შეუკრეს, ჭუთას ჩაუსდენ გზაზედა, ხუთი იქ მოკლეს ხევსური, დაკაფეს ყორის წყალზედა, ორი თან წამიყვანეს, დააბეს დარბაზის კარზედა.
- 15 იცენეს მკედელი, გაგზავნეს, მაღლა გარბოდა მთაზედა, მოდი და ეგრე უამბე ლიქოკ-ლიქოკელ ჭარზედა: დაგვლივეს გულამაყრელთა, აგვატეეს ხმლისა ფხაზედა. ჩვენი გულა და ნაბადი გაკიდეს ხარის რქაზედა. — მამუკას ქალუნდაურსა ომი სცოდნია კილოთა
- 20 ვეფხიას გადმოუბრუნა ხანჭალი დასცა გულზედა. გაგზავნეს მახარობელი, დილას შადგება ბანზედა, გულია გამოუხედავს, ქვა შემოიკრა თავზედა: — დაჯე ძმაო, და მიამბე ჩვენი ვინ წახდა მთაზედა? — ვეფხიამ შამოგითვალა, აღარ ჩაგივლი კარზედა.
- 25 მე ბალლი გამომიგზავნე მან რო ვიწვენიდი მკლავზედა ატრია გამოაყოლე, მაღ-მაღ გავგზავნო წყალზედა.

იხ. მაკ. „მთიულ“, გვ. 51—52. განმარტებანი: სტრიქ. 3. ჯორსა — კვარსა; სტრიქ. 19 — მამუკა ქალუნდაურსა — ხევსურია; სტრიქ. 20. ვეფხიას — მთიულია. ახლავს აგრეთვე შენიშვნა — გადმოცემა: „ხოსრო აფციაური ოზანოში საქონელს თურმე მწყემსავდა და მას მოულოდნელად ხევსურები დასცემიან. ხევსურებს ხოსრო შეუკრავთ და ჯოგი გაუტაცნიათ. ხოსროს ამის შესახებ გულამაყრელებისათვის უცნობებია, რომლებიც ხევსურებს ყორისწყალთან (ჭუთისკენაა) დასდევნებიან, დაუხოციან და თავიანთი საქონელიც უკანვე გამოურეკიან. მხოლოდ ერთი მკედელი ხევსური ხატში შეპარულა და შემდეგ ის ხევსურეთში გაქცეულა“. იქვე, გვ. 52.

გ უ დ ა მ ა ყ რ უ ლ ი

3

- ხოსრო ეგ ბუბუნაური, ბუბუნებს როგორც ხარია. ხოსრო შაჰკრეს და დაადგეს: — ემად იმღერე ბევრია. — ხოსრომ დაჰწყვიტა ჰაპანი, როგორც რო კვირტის ბაწარი, თხუენიას გამოუზრახა: — წავიდა კარაფანია. —
- 5 თხუენიამ კალი გამსტყორტნა, როგორც რომ მწარე სხალია. ჩქარა გავიდა დუმაცხოს, ათნოხს დაჰყარა ჩქამია. ათხონით ჩამედიდნენ, მაგ არჩეული ყმანია, — ვიაროთ ყორის წყალმდენა, ვლენოთ ფარი და ხმალია. — მაასწრეს ყორის წყალზედა, მაგრა შეუკრეს გზანია.
- 10 — დაგვლივეს გულამაყრელთაო, აგოსხესო კლმისა ფხაზედაო. ერთაი კოქლაი გაუშვესო, ამბავს შიიტანს ჭარზედაო.
- სოფ. ათნოხი. მთქმელი შალვა ადამის ძე აფციაური. ჩამწერი თ. ოქროშიძე, 1950 წ. ვირს., გვ. 441—442.

- ხოსრო ეგ ბუბუნაური, ბუღა ბუბუნებს ხარია,
 ოზანოს უღდა ქარავენს, ხმაურზე როგორც ზარია.
 ხეთისიაი და ბათაკა შამომღვარიან მთაზედა,
 არ კითხეს გუღანის ჯორსა, ბესეკლევი წყლდება ცაზედა.
- 5 ერთმანერთს ეუბნებოდენ: — ჩავიდეთ ქარავენზედა. —
 უხანოს ხანსა დეცენენ, თორეც ჩამოახდა წყალზედა.
 ხოსრო დამკრეს და შაკონეს, მიაგდეს ქობის კარზედა.
 ხოსრომ დამგლიჯა კაპანი, როგორც რომ კვირტის ბაწარი.
 ჩამაუძრახნა ბოსელსა: — წავიდა ქარავენიას!
- 10 თხუნიამ კელი გაატყორცნა როგორც რომ მწარე სხალია.
 ბოსლით იყვირა თხუნიამ, ათნოხს დაჟყარა ჩქამია.
 ათნოხით ჩამედიდინენ შიგ დარჩეული ყმანია.
 ეფხიამ გუღამაყრელმა მუხლში შიისო ქარია:
 — წავიდეთ დუმატხოვლებო, შაუკრათ ყორი(ს) წყალია.
- 15 მიედითო ყორი(ს) წყლამდენა, ვლწოთ ფარი და კმალისა.
 — დავკლევის გუღამაყრელთა, აგეასხეს კმლისა ფხაზედა:
 ე ჩვენი გუღა-ნაბადი გაჰიკიდეს-ქარის რქაზედა.

მთქმელი აფციური აკა გიორგის ძე. სოფ. დუმატხო, ჩამწერი
 თ. ოქროშიძე. 1950 წ. ვირსალ., გვ. 442.

მთქმელის შენიშვნა: „ამას მკაში სთვლიან და ფერხისაშიცა
 სთვლიან ხატში. ქორწილშიაც სთვლიან“.

282. ბუღამაყარში ამბობენ

მთქმელი მახარა ბუჩუკური. მაკ. მთიულ, გვ. 84.

ბ

- ბაიაშვილო მახარე ვაი დედაშენს, დასაო,
 ქურდულად შემოგვეპარენ, ვერ მოხვალ გულის ხმასაო,
 ვახშამ ნაჰამო სტუმარო, როგორღა იქნეე კმალსაო,
 ნეტა არ მოგტეხს პირიმზე ემაგ მარჯვენა მხარსაო,
- 5 ომანა გუღამაყრელო, პირიმზე მოგცემს ძალსაო,
 შენ რომ არ მოგვეღეღიყავ, ბავშვებს გვიპირიდნენ თავსაო.

მთქმელი ლ. ჩოხელი. არხილოს კალო. ჩამწერი გ. შეთეკაური.
 1962 წ. ფ. არქ., კ. 118, გვ. 59. სათაურად აქვს „ბაიაშვილი მახარე“,

283. კითხულობდინან ალვანში

ც. არქ., ფ. 1146. № 689, გვ. 100. ახლავს განმარტებანი: სტრიქ.
 5. ანუ — ან; სტრიქ. 22. ნაწილარი — ნაბინარი.

მთქმელი ტ. კინქარაული. სოფ. ქიაურა. ჩამწერი ა. შიშმანაშვილი. 1961 წ. ფ. არქ., კ. 26. 142—143.

285. ბუღაშაშვილი წამავე

მთქმელი გ. კინქარაული. გამარჯვება. ჩამწერი ნ. გოგოჭერი. 1961 წ. ფ. არქ., კ. 19, გვ. 328. შენიშვნა: „დიდი ლექსია, ბოლომდე არ ასსოვს“.

286. ბათირა

მთქმელი შიშია ქერაული. ხეესურეთი, ჩამწერი გ. წერეთელი, 1925 წ. შან., № 643, გვ. 261.

ბ

ქვესურეთ ამბავ მაილა, ნაპირს შამახუა წყლისასა.

მარშაგლებს უდგა ლაბაჟი, ხალხს ის გვეგონა მთისასა.

იპას რა მაგვავონებდა, ტანს თოფევენ კაის ყმისასა.

ქეცებ ჭვარჩი კვლენ საკლავსა, ბატკანსა შავის ცხვრისასა.

5 ბათირას ეინაც არ მახკლავს, ძალს აქსენებენ ხთისასა.

ზოგთა თქვეს: აბა უნდ მაკვლათ, ძმა იმედს იყვა ძმისასა.

ეგ რა დაეჯდათ ცოცხალი, ჩვენ ეხრგს მიგვდებდა შკვდრისასა.

ვის იტყვით, მარშაგლებო, გამტანს ვის ხედავთ გზისასა.

ჩაქოკას ვინ გამავგირჩევს ორ-ოლის ფალაენისასა.

10 იყვას ბერდია ცოცხალი, რჩევას გეტუოდა ჭკვისასა.

გინება არვინ დაუწყათ, მათქვამსა შაირისასა.

თორე უძმოს ძმა გაჭდების, ქნევას დაგიწყებს კმლისასა.

თავის თავს ვერ პატრონობდი, აბა რას ჭავრობს სხვისასა.

ყოფილამ ყველა დაინანს ლალატით მაკვლას ძმისასა.

მთქმელი: ხ. გიგაური. ს. ყუდრო (თიანეთის რ.), ჩამწერი გ. ხორაული. ფ. არქ., კ. 32, გვ. 255.

287. ბათაბათ იმედა

მთქმელი: ხ. გიგაური. ბლო, ჩამწერი ა. კინქარაული. კინ., გვ. 395.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

ბათაბა იმედათაი წინას მიხევება ჭირსაო,

ვალი მიუდევს ქვესურსა, ჭავრი შვირს აჯოვლისაო;

- ხუთშაბათ დაღამებდა, ნახა სიზმარი ცდისაო, იმელაჲ მემუზადება, სწადის შორს გავლა გზისაო,
- 5 თოფმაც იწივლა, ბუჩამა: „ღროი ას ომობისაო“ გახყვება სანათისძეი სხვა კაცი სხვის მამისაო, სასიბის ლელეს გავიდეს, თანდისთან თენდებისაო. ბარისაჲველთ ვაჟები, აჲოს თავ გროვედბისაო, ი მტერი იმედაისი, ნამკრევეჩი ჩადგებისაო;
- 10 იმედა ღურბინდით ხედავს, გულ ციცივე შადგებისაო. რაჲკელ ვერ იცი, მთიბელო, დღეს რო მეხ გეცემისაო, ნამკრევენი დაწითდებიან, ცოდო-ბრალ დადგებისაო, ბოლორი—სასალესვლეი, თავჩი ცელ დაგჩებისაო, იმედა ჩამეპეპარა, ვეფხვ მწკალზე შადგებისაო. ეტყოდა სანათისძესა: „უფროს ხარ, მაიოდარიო, მე კი ვერ მავხკლავ ჩემ მტერსა, იქავ ეკიდას ვალიო, მაგას რო დავხკრა ბუჩაი, დაუნაგაბრას ტანოო, მაგის დედა-დათ რა ვუთხრა, დიაც ხყავ, ახალზალიო“. სანათისძემეა ეს უთხრა: „კაცო, ხო არ ხარ მთვრალიო,
- 20 ჩაჩანჩი, ურჯულოჩია, არ შაგირჩენავ ვალიო, ჲელ გიკრავ თორმეტ ციხესა, შენ ჩანით მანატანოო. დაგაყვედრებენ შულღჩია: — აჲვას მიგიდევს ვალიო“. — მაყვედრან, თუ მაყვედრებენ, გუროს ნასხტომი ჲარიო, სანათისძემეა ეს უთხრა: გარმამაწუადე ბუჩაი,
- 25 ჩემ კისერს იყვას ვალიო, მაგის დედა-ღის ტირილი, იმათი ცოდვა-ბრალიო“. ეგრო გაჲჯერდა იმედა, კინად წასვლიყვა გონია: „ბათაკათ თოფი სხეას მისცან, მე კი არ გამიგონია“; გადუღვა კლდისა ფთეზედა, ვაშკაცს არ აკლიყვე ღონია,
- 30 დაჲკერაც ლამაზა უნდა, „სტილ“ წამალს იყრი მგონია“. გავარდა ბუჩასეული, გამაიშალა ბოლიო, გულს მოხვდა დედისერთასა, მაგრა დაჲმუჲა მკედარია. გაიჲცა სანათისძეი, ჲელიჩი ხანჲარისა ტარიო, მკედარს პირზე ცვეთა დაუწყო. — ჩვენმკედრის უმცროსიმც ხარიო,
- 35 — ნუ აცვეთ, სანათისძეო, უჲაკროობა არიო, მკედარს პირზე ცვეთა რად უნდა არწივის ნაგაზარიო; წვიდღეთ, სანათისძეო, არამც დაგვიკრნან გზანიო; ყველკან გაიგა მთიბელმა, ბუჩამ ჩაყარა კმანიო, მაგვეწევიან ჲევსურნი, ცხენებ ხყავ ნიავჲარიო.
- 40 იმედა მთისას წამავა, მთის შავარდენი ჩჲარიო, ეძახდა: „სანათისძეო, ჩჲარა გაიღენ გზანიო!“ სანათისძემაც უძახა: „კლდე მეჲწა გასავალიო, იმედა ჩამეეშველა, ელდას ღგვანდ მეომარიო. გაუღვა ბუჩასეული, ჲიდივით გასავალიო,
- 45 გამაიყვანა ვაჲკაცმა მისცნა მშვიდობის გზანიო; ერთ რაიმ ცხენით შამაჲდა, შამაანათნა ნაღნიო, მღვედრის ცხენის პატრონი: „მე აპარეჲა ვარიო!“ ცხენზეით გარმამღრინდალსა, საყურად დახვდეს ჲვანიო; „ვეღარ წახვ, გუროელაო, ყველკან დაგვიკრნეს გზანიო.

- 50 გავარდა კირიმის ბარტყი, იქნეს ძვალზეთ კვენიო.
იმედა დაბლა დაეცა, ცას შამაველა თვალიო.
„ნეტავი ამხანაგ მამცა, ჩემივი მეომარიო,
ან პირზე ქელ დამაფარას, ან შამასმის წყალიო“,
ბარისაქოვლებ ვაეებმა, სოფლა მაილეს მკედარიო,
- 55 იმედაც იქ წაიყვანეს, არწივს დასტეხეს მკარნიო,
შუა ღლის დრო რო მავიდა, ღმერთს შაავედრა თავიო;
იმედამ სული დალია, გაწითდა მთა და ბარიო;
მავიდა ქალი და ზალი, არ იტევს გალაგანიო;
დაიწყეს პირის ტეხაი, ორიე გაწითდა მკედარიო.
- 60 გვერდით დაუსხდეს იმედას, თავის მაკლულის დანიო,
ერთმა დაიწყა ტირილი: „ვაშკაცო, შენ კი ბრალიო,
გურო გასწირე იმედაე, ჯვარი და ჯვარის კარიო,
ნარჩევ იარაღ გასწირე, მთას ნადგომ ფარა ცხვარიო,
შენ ხარ ჩეენი ძმის მამკლაევი, არც კი ხარ სატირალიო,
- 65 მაგრამ გიტირებ შაინცა, მკედარს რაქლა დაგდვა ბრალიო,
ერთა ძმაი გვევა, მაგვიკალ, ცეცხლზე დაგვისხი წყალიო.

მთქმელი თ. ჭინჭარაული. გამარჯვება (სამგორის რ.) ჩამწერი:
გ. ხორნაული. ფ. არქ., კ — 17, გვ. 347.
ხევსურულია ვარიანტი:

ბ

მთქმელი მ. გოგოჭუერი. ჩამწერი გ. არაბული, 1961 წ. ფ. არქ.,
კ. 27, გვ. 73. სათაურად აქვს „იმედას მოკვლა“.

288. მწყემსის მოკვლა

მთქმელი კოლა გაბოს ძე ალავერდაშვილი. ქვემო ნიჩბისი (მცხე-
თის რ.). ჩამწერი მ. გოგიშვილი. 6. VII—1961. ფ. არქ., ქ. 61, გვ. 421.

ქ ა რ თ ლ უ რ ი

ბ

- დედამ ტყავი შამიკერა, მოკლედ მომადგა ტანზეო,
გავიხადე და დაეჰკიდე ჩემს ლამაზ სახედარზეო.
მთიდან ცხვარი წამოვასხი, როგორც მაჰარი ღარზეო,
გამობტა ერთი ბიჭი და ძალით აგვიდგა შარზეო,
5 ცხვირ-პირი სისხლით ამიმსო, ვედარ ჩავედი წყალზეო,
ბიძაშვილები მამცეინდნენ: რა იყო გენაცვალეო,
ერთი გათხოვილი და მყავ, ისიც იქ დავიბარეო,
მთაში ხორველას გადავრჩი, თავი აქ ვანაცვალეო.

მთქმელი ვ. არჩვაძე. შუა ფლავი. ჩამწერი ა. ასანიძე. 1961 წ. ფ. არქ., ქ. 70, გვ. 151.

3

- თრიალეთიდან მოვდივარ, ცხვარი მამიდის გზაზედა,
წინ ჩემი ვაცი მოუძღვის, როგორც ირემი მთაზედა.
უკან მაადევს ჩემი ცხვარი, როგორც მაკარი ღარზედა,
საგარეჯოს მინდორზედა ცხვარი შეუფინე მთაზედა,
5 ან მომეცი ერთი ცხვარი, ან გადარეკე გზაზედა,
არცა მივე ერთი ცხვარი, არც ვადმოვრეკე გზაზედა.
გავიხადე მოკლე ტყავი, დავაკარ სახედარზედა.
ხელში ავიღე ვინტოვკა, ბიჭ გაუვარდი განზედა,
ღაიჩოქა და მესროლა, დამარტყა ძუძუა თავზედა.
10 დედაჩემს ასე გონია, მწყემსი მომივა კარზედა,
მთაში ვადურჩი ხორველას, თავი მოვიკალ გზაზედა.
ე, ჩემი ქამარ-ხანჯალი მღვდელს მიეც საწირავადა,
ეგ ჩემი ტანისამოსი საწყაულს ჩააცვით ტანზედა.

მთქმელი ვ. წიკლაური. ახალ სოფელი (საგარეჯოს რ.). ჩამწერი გ. გობრონაძე, 1961 წ. ფ. არქ., ქ. 65, გვ. 41. სტრიქ. 12—13. კონტაძინაძის წესით არის შესული ლექსიდან „ავთანდილ გადინადირა“.

289. ბოლონას ლექსი

მთქმელი შ. წიკლაური. ს. თრანი, ჩამწერი უ. ცინდელიანი. 1961 წ. ფ. არქ. ქ. 47, გვ. 35.

290. სიხვის ლაშქარი

ჩაწერილი ლახამულელი ალი დავითიანის მიერ 1938 წ. სვან., I, № 17, გვ. 60. შეიძლება ლექსი გარეშე მტერთან ბრძოლასაც ასახავდეს. პირობით შეგვაქვს შინაური შუღლის ამსახველ ლექსთა ციკლში.

291. ლატალელევი და ცხუმარლევი

მთქმელი იასონ უდესიანი (55 წლის). ლენჯერი, ჩამწერი სეზი გულედანი, 19. IX—1923. სვან., I, № 23. გვ. 70.

292. როსტომ შაბუაძი

მთქმელი ემზა გუჯეჯიანი. მულახი. ჩამწერი მ. გუჯეჯიანი, 6. IX. 1936 წ. სვან., I, № 33. გვ. 114.

მთქმელი მუჟალელი პავლე ზურებიანი (42 წლისა), ჩაწერილი მუ-
ლახში აგვისტოში 1936 წ. მ. გუჯეჯიანის მიერ. № 72. გვ. 248.
სვან., I.

საინტერესოა მითიური მოტივი ნაკრძალი ძროხისა.

294. ილუმთიანი

მთქმელი გურმაჩ უდესიანი. ჩამწერი სეზი გულედანი. 5. IX—
1923 წ. სვან., I, გვ. 157.

ს ვ ა ნ უ რ ი

ბ

მავლიოს ღმერთმანი, მავლიოს, ქართლი, კახეთი, თუ არე,
სულა რაქა და ლეჩხუმი მევიდა ლაშხნეს ლაშქარი;
ჩოლური ჩვენთვის ვიარედ, იწაიწა ილუმთიან...

დავიდგი უშგულს კარავი გიორგი — ცეცხლის ულაში,

- 5 მულახში კაცი გაგზავნეს; მულახი, დიდი ბატონი,
ქვეითი მესეტუარე, ბაღდი ქალაქ, სოლა, ლენჯარ,
ეცერში კაცი გაგზავნეს. ეს ეცერი და უშგული,
მოკლეს ქექავოზ ქაიხოსრო, კალას მომხმარი ჯანმარეხ,
ჯანმარეხ დიდი ძალია, მიჯვრიშ გიწირეს ვაზირი.

მთქმელი გიორგი ხარზიანი. ჩაწერილი სვანეთში სოფ. კალაში.
სვან., I, გვ. 373. სათაურად აქვს „მავლიოს“.

295. ნუარსალა

მთქმელი ლაისავ მარგველიანი, კალა. ჩამწერი ბესარიონ ნიჟარა-
ძე, 1878 წ. სვანი., I. № 52. გვ. 166. ქართულ ტექსტს ახლავს გან-
მარტება: სტრ. 31 — პ ი რ ვ ე ლ ი — გვარია.

296. ალბიზებ(ი)

მთქმელები მანია და დოხი ნიჟარაძეები. უშგული. ჩამწერი ბესა-
რიონ ნიჟარაძე, 1879 წ. სვან., I, № 15, გვ. 56.

- 25 დარჩველ ბიმერზოლდ როქე ადგე.
სგა მეჩღელხვი ქორთე მიშვევა,
ლახება მიშვევი ტეტს ხასგურდახ,
ლახება მიშვევი თხვიმს აშობდახ,
ლახება მიშვევი ეი ლოხფეტხინ:
- 30 — თხუმიშ ლიშინი იმ ლახშენდნი?
ხოშა ლემსგოლ ეი როქე ლოხვენაშე,
ღვაშაშ თხვიმ-კინჩხ ცხეადვთე ოთაგ:
— ალი უჯბად ნომ? ემხვიად,
მეძვე დარჩველს მი ლახვექემნი.
- 35 მიბინა ლიზი-ლიჩელი,
ყორს ხვაგენა ბიმერზოლას,
სგა ლოხვეციენარ ლაქერაისგა:
ბიმერზოლა ჩანგილდს აშვემ,
დარჩველ ლიღრპლს ხოსკურფანნი,—
- 40 ალი ბუეი ხოლო ლამად.
აღმიღანა ხოშა გერამენ,
ბიმერზოლს კვშხარ ლოხვეკაჩენი,
მეძვე დარჩველდ ყორქა ანსკინე.
— მამა მაგდენდა კაშშიმ დავრას?
- 45 — ზურალაშ დავრა შვირდ მიქდენი,
მერამა ლავაფს ლამეარს ეჯლი,
მიბინა ლიზი-ლიჩელი,
ყორს ხვაგენი ლამთილს მიშვევი,
სგა ლოხვეციენარ ლაქერარლისგა:
- 50 მიმთილ მიშველ სკამეი სგურდა,
უნხველ გეზალ განხან ხასგურ,
შორჯულდ ხერის ნაქელაშაში;
— ბიმერზოლაშ ხოშაშ კანარს
მეხარ ლოქე ავითე ალქდელ.
- 55 — კანარს გარ იმნარ ელგეჰინი?
კანრეშ ლუბიდ ლელდნარ გვაჟჩ!—
ალი გუეი ხოლა ლამად.
აღმიღანა ხოშა გერამენ,
მუ-გეზალს კვშხარ ლოხვეკაჩენი.
- 60 მიბინავ ლიზი-ლიჩელი,
ყორს ხვაგენი ლახებას მიშვევა,
ღვაშაშ თხვიმ-კინჩხ უჯბად ემხვეგხ.
ხოშა ლემსგოლ ეი ლოხვეცგხინ,
ლახება მიშვევი ეი ლოხვეფეტხინ,
- 65 ღვაშაშ თხვიმ-კინჩხ ენასდ ოჯაბ,
ღვაშაშ თხვიმ-კინჩხ ციჩქთევი
ახვიკდ:
სემი სამთელ ეი მიტვარა,
ფუსდ ჭგვარაგე ეი მიმზერა,
ფუსდ ჭგვარაგე მამედ გვერი!*
- 25 დარჩული ბიმერზოლაშ წაიყვანაო.
შევსულვარ ჩემს სახლში,
ჩემი ძმები ნაცარს უსხდნენ,
ჩემი ძმები თავს იწვეადნენ;
ჩემი ძმები გავამხნევე:
- 30 — თავის დაწვა რას უშველის?
დიდი ცეცხლი დავანთო,
ჩიხვის თავ-კისერი ქვაბი ჩავდები:
— ეს მოუხარშავად არ დამახვედ-
როთ,
მეძვე დარჩულს მე გავეკიდები.
- 35 დამიწყია სელა-წასელა,
კარს მივსდგომივარ ბიმერზოლას,
შევიქვრიტე სარკემლში:
ბიმერზოლა ჩანგს უქრავს,
დარჩული სიმღერას ამღერებს, —
ეს არ მეამა.
- 40 მომიღენია მძღავრი გრიალი,
ბიმერზოლას ფეხები ავაფშეკინე,
მეძვე დარჩული კარში გამოხტა.
— რას მემართლებოდი ქმრის მოკ-
ვლას?
- 45 ქალის მოკვლა მერცხვინება,
მეორე ულუფას მამეულთას
დაგიღებ.
- დამიწყია სელა-წასელა,
კარს მივადექ ჩემს ცოლოურს,
შევიქვრიტე სარკემლში:
- 50 ჩემი სიმამრი სკამზე იჯდა,
ნანებიერები შვილი გვერდით უხის,
ხსენება აქეთ „ნაქვლამისა“;
— ბიმერზოლას დიდ ხარებს
ხვალ შინ მოვიყვანთო.
- 55 — მარტო ხარებს რად დავკერდებით?
ხარების გასაწევი ქვაბები გვინდა!—
ამან ცუდ გუნებაზე დამყენა.
მომიღენია მძღავრი გრიალი,
მამა-შვილს ფეხები ავაფშეკინე.
- 60 დამიწყია სელა-წასელა,
კარს მივადექ ჩემს ძმებს,
ჩიხვის თავ-კისერი მოუხარშავი
დამახვედრუს.
- დიდი ცეცხლი გავაჩაღე,
ჩემი ძმები გავამხნევე,
- 65 ჩიხვის თავ-კისერი სწრაფად
მოვხარე,

ჩიხვის თავ-კისერი (სამფეხ) სუფ-
რაზე დავდები („ავიღე“);
სამი სანთელი ამინთია,

უფალი წმიდა გიორგი მილოცავს,
უფალი წმ. გიორგი მოწყალე
გვეყოლება“.

მთქმელი ბექა გასვიანი. ხალდე. ჩამწერი მ. გუჯეჯიანი. 13. VIII—
36 წ. სენ., I, გვ. 140. სათაურად აქვს: „ბიმურზოლა“.

3

ვოა. საბრალო გუალ დედემ!
ვებოშ ლწთხეართე ხიმარალე,
იშგვიღლეთაშ აფხნეგ ჩინკრი,
იშგვიღ კვიცროლ ჩუ გვიდგარახ.
5 ყორს ლახანგი ლახებას ისგვა:
„დედე მიშგუ, ყორ ლენ აშკარ!“
ლახება მიჩა ტეტას ხასგურხ.
— ვოა, საბრალო ლახება მიშგუ!
მშა ოგფეშედენ ამგევარილა?
10 — ხამა მად ოგფეშედენ, დედემ,
ბიმურზოლდ მწნოლ ადიე.
— ეჩი ლედ სგვა ნომა ჟარხ,
აფხნეგარ ლაქარდ ნომ აფუშდელ!
— ბიმურზოლას ნაქვლაშად რას
15 ხობინაა ლიზ-ლიჩედი,
ყორს ხაგენა ბიმურზოლშერს,
ლამცივარა ლაქეროლისგა:
ბიმურზოლ ჩანგილდს აშმე,
მწნოლ განხან ხელქესაალე.
20 „ვოა საბრალო კუთხვა მიშგუ,
სამერთალი გვიმარჯრა!“
კუთხვას ხოშა გვარმუნ ლახად,
ბიმურზოლდ კიშხ ლააფხეკენე.
ხობინაა ლიზ-ლიჩედი,
25 სვა ხაგენა ლწმთილს მიჩა,
ლობცივარა ლაქეროლისგა,
ნაქვლაშაში შორულდდდ ხარხ:
— ბიმურზოლას ნაქვლაშად იმ
აღკედნენდ?
— ეშუე ხოჩა ულვა კანარს,
30 წერნი საღრილს ეი აღკიშინილ.
— ვოა, საბრალო კუთხვა მიშგუ,
სამერთალი გუმაზრა!“
კუთხვას ხოშა გვარმუნ ლახად,
საშენდ მიშგვა კიშხ ლააფხეკენე.

ო. საბრალო გუალ დედისავ!
პარასეკეს სანადიროდ ეშაღდები,
შვილიოლე ამხანაგი ვახლავს,
შვილი შუნი მოგვიკლავს.
5 კარს მიაღქეი შენს ძმებს:
„დედაჩემო, კარი გამიღე!“
მისი ძმები ნაცარს უსხედან.
ო, საბრალო ჩემო ძმებო!
რა დაგვემართებოლა ამისთანა?
10 — როგორ არ დაგვემართებოლა,
დედისავ,
ბიმურზოლამ მანოლი წაიყვანა,
— იმის ჯავრი თქვენ ნუ გაქვთ,
იმას გუალი ისისხლებს!
ამხანაგები არ მოაწყინოთ!
15 დაუწყია სვლა-წასვლა,
კარს მისდგომია ბიმურზოლანთ,
შემიქვრეტია სარკმელში;
ბიმურზოლა ჩანგს უკრავს,
მანოლი გვერდით ელექება.
20 „ო, საბრალო კუთხვა ჩემო,
სამართალი გვილოცავს!“
კუთხვამ ძლიერ იგრიალა,
ბიმურზოლამ ფეხები ფშოკა.
დაუწყია სვლა-წასვლა,
25 (კარზე) მისდგომია თავის ცოლოურს,
შეუქვრეტია სარკმელში,
ნაქვლაშის ხსენება აქეთ,
— ბიმურზოლას ნაქვლაშად რას
გამოვართმევთ?
— ბიმურზოლას ნაქვლაშად რას
30 წოელ-საღარს ზედ დავამატებინებთ.
„ო, საბრალო კუთხვა ჩემო,
სამართალი გვილოცავს!“
კუთხვამ ძლიერ იგრიალა,
ჩემმა ცოლისძმამ ფეხები ფშოკა.

35 (ვოა), დიდებუ ხარ ლმზერა
 ნიშგვა!
 თხვიმილდ უწერად მამ მაძგენა.
 მიბინაა ლიზ-ლიჩედ,
 ყორს ხვაგენა დედეს მიშგვა:
 „ვოა, საბრალო დედე მიშგუ.
 40 ყორ ლენ პპკარ! თხვიმილდ უწერად
 მამ მაძგენა;
 ეშუხ ხოჩა უღვა კანარს ჩუ ასევინე,
 მეზრა კეცილდს ეი ლმზეპინი,
 სგა ხეწჳინე ნწთივობას.

35 (ოა), დიდება ჩემს სალოცავს
 თავი სისხლაუღებელი არ მგონია.
 დაიწვია სგლა-წასვლა,
 კარზე მივადექი დედაჩემს:
 „ო, საბრალო დედაჩემო,
 40 ეარ გაპილე! თავი სისხლაუღებელი
 არ მგონია;
 ერთ ეღელ კარგ ხარებს დავკლავ,
 სალოცავ ქვეერს თავს მოვხდი
 („დავიწყებ“)
 მოვიწყვე (მთელ) ნათესაობას“.

მთქმელი არჩილ კორძაია 18 წლის. წვიმრი (იფარი) — ჩამწერი ვ. თოფურია, 10. VIII—25. სვან., I. გვ. 144. სათაურად აქვს „გუალ დედისა“.

330. თამბილ გოშთელიანი

მთქმელი ქ. ონიანი. ეახუნდერი (ლაშხეთი). ჩამწერი აკ. შანიძე, 2. VIII—1920 წ. სვან., I. გვ. 148. ახლავს შენიშვნა: „ეს ლექსი გადაღმა სვანებისაა და გადმოღმა სვანეთშიც იმღერიან კინურზე“. იქვე, გვ. 418—419.

ბ

...თვეთნა ყვარილს ეი ხასკუტდნს,
 ხასკინანნას სეტი ლეჳა:
 აშ ხასკინანნას სეტი ლეჳა.
 ეშლიაერუ ჩუე ჳათხენა,
 5 მგ ნამთიში აფხნეგ-მარე.
 ეოდ, ჳიბინახ ლიზ-ლიჩედ,
 კახერის ლეჳა ესღერდად.
 ჩაქილდ მერთენთე ლწასიპდა, —
 ლმამან ჳერახ, ვოა, გზავრობაშ!
 10 „სი ფშთჳოლმა ყვარილ მიშგუ,
 იმ მიმსინე ხოლამ გზავრობს?
 მე მამ მერა ხოლა გზავრობ,
 თვეთნა მწარის სგა ლმხეყვინი“.
 აშ მეჩდეღის კალმ კალმას.
 15 შეჳეჳაშ ჳარენს სგა ჳახხეგენახ, —
 ლმამან ჳერახ, ეოა გზავრობაშ!
 „ნომ ჳაყლუნის ხოჩა აფხნეგარს,
 თვეთნე მწარის კალას გვირი“.
 ბიმურზოლა ჳორთე იპალ,

...თეორ ლაფშაზე იქეტი,
 აატუნებდი სეტს ჳემოთ;
 (სანამ) ასე აბტუნებდი სეტს ჳემოთ,
 თორჳეტი (წამყოლი) გიშოვია,
 5 ყველა რჩეული ამხანაგი.
 ო, დაიწვიათ სგლა-წასვლა,
 კახურს ჳემოთ მიღიოღით.
 ცხენი უკუ შეგიტრიალდა. —
 ნიშანი გექნებათ, ოა (ეული)
 მგზავრობისა!
 10 „შე გასახეთჳო ჩემო ლაფშა,
 რას მიქადი ეულ მგზავრობას?
 ჳე ეული მგზავრობა არ მექნება,
 თეორ მარისხ მივეუწყები“.
 ასე წასულან კალის ჳეობაში,
 15 მწყრის ჳარავანი შეგხვდომიათ, —
 ნიშანი გექნებათ, ოა, (ეული)
 მგზავრობისა!
 „ნუ გეშინიათ კარგ ამხანაგებს,
 თეთრი მარისხი კალაში გყავს“.
 ჳიჳერზოლა შინ იჩჳარის,

20 აფხანეგ-მარე ვეშგინ ხაქიმ.
 ბოგეი ლახხვილბ მუქამაშგრი.
 — გელა ქურდან იმე არი?
 — გელა კურდან ლანთხვადარს არი.
 „აბ, ლაქჩეე ლი ბედი მიშგუ,
 25 თვეთნა მარხის მი ლანხვეყინი!“
 სგა ჭიქესგახ ყორათესგა:
 „მიშგუ მარხი, ყორ მიკარი!“
 თვეთნა მარხიდ ყორ ოთკარე,
 აფხანეგ-მარე ქორთ ნღქერნე,
 30 თვეფს ი ჰვეეჟს ქა ხაბიშა,
 სგა ხოკყოვა აშხე მარანთე.
 „ლამყალ ამჩუ დეშა ჭერახ:
 გელა ქურდან ლანთხვადარს არი“.
 მარხი ვოხშანს ხემარალე,
 35 ბიმურზა, ლიყენალს ჭურ ხიჰალე.
 ყორს ლახვანს გელა ქურდან:
 ..მარხი მიშგუ, ყორ მიკარი!“
 მარხიდ მიჩა ყორ ოთკარე.
 აფხანეგ-მარე გვალარს ლახშგლ,
 40 ბიმურზოლა კიბდენთ' აჩანდ.
 სგა შექდელი გელა ქურდან,
 ვოხშან მუქხვიდ ჭურ ჩუ ჭიმახ,
 ჩუე ჭიყიდა ფანდურ ისგუ,
 ეიე ჭიბინა, ეოე ლიღარალე:
 45 „ვორ, ლაქჩეე ლი ბედილ მიშგუ!
 ლეჰე-უჰა მანე მაჰენა,
 ბაზიშდ ხოჩა მად მაჰენა.
 თვეთნა კანილდს ჩუ ლოქინე,
 მეზრიშ კეცილდს ეი ლანხტყიცი,
 50 ეშხუ კათხას კიბდენს ხოზი,
 მერმა კათხას გვალვარს ხოზი“.
 ქა ხოსკინა ბიმურზოლას:
 — მანდილ ჭერა, გელა ქურდან,
 დავარშე ეში ნომ' ამდაგარე.
 55 ქეინლემგენე ქორთე ამზიხ!
 მამ ჰაჟ ჭაყუ მიშგვანანქა,
 ეშდირუ კანჩუ ლემემ
 კარდალს სგანჩუ თვეფ ხედოლე.
 — ბიმურზოლე, ნომ მუცე ათხე,

20 აჰანანგობა უკან მისდევს.
 ხილზე შეხვდით მენახირე (მწვემსი).
 — გელა ქურდანი სად არის?
 — გელა ქურდანი სანადიროს არის.
 „ა, ნეტავი ჩემს ბედს,
 25 თეთრ მარხის მე მივუწვები!“
 მიგვიღწევათ კარამდე:
 „ჩემო მარხი, კარი გაიღე!“
 თეთრმა მარხიმა კარი გაუღო,
 ამხანაგები შინ შეიყვანა;
 30 თოფ-იარაღი ჩამოურთმევია,
 ჩაულაგებია ერთ მარანში.
 — „შიში აქ არაფრის გექნებათ:
 გელა ქურდანი სანადიროს არის!“
 მარხიხი ვახშამს ამზადებს,
 35 ბიმურზა, დაწოლას ჩქარობ.
 კარს მიადგათ გელა ქურდანი:
 „ჩემო მარხი, კარი გაიღე!“
 მისმა მარხიმა კარი გაუღო,
 ამხანაგები გვალოებს მისცივიდენენ,
 40 ბიმურზოლა კიღობანში ჩაქვრა
 („ჩავიდა“).
 შემოსულა გელა ქურდანი,
 ვახშამი ტუბილად გიჰამიათ,
 ჩამოგილია შენი ფანდური,
 დავიწყია, ოე, სიმღერა:
 45 „ო, ნეტავი ჩემს ბედს!
 მოსალოდნელი და მოულოდნელი
 ყველაფერი მომსწრია.
 ანალამისაზე უეკეთესი არ მომსწრია.
 თეთრ ხარს დავკლავ,
 სალოცავ ქვევრს თავს მოვხდი,
 50 ერთ სასმისს კიღობანს მიუღძღენი
 („გავუგზავნი“),
 გეორე სასმისს გვალოებს
 მიუღძღენი“.
 გამომხტარა ბიმურზოლა:
 — მადლი ქენ („მადლი გექნება“)
 გელა ქურდანო,
 სიკვილით მაინც ნუ მომკლავ,
 55 ცოცხალი („სულმდგმული“) შინ
 გამგზავნი!
 რა აჯაე გინდა ჩემგან,
 თორმეტი ხარის გასაწეე
 ქვანს, შიგ თოფი იღება (ისეთს
 მოგეგმ).
 — ბიმურზოლა, ნუ დამცინი,

- 60 მადე მაკუ ხეხემიშ ნაფას!
მურსგვენ ბარჯა ქვე ხოყეჩა.
თხუმილდ მურთენთეე ჩისპენა,
აფხანეგ-მარე ეიე ჩიხეიტა,
ემშუ მუეკჩიხი. აფხნეგ აციერ,
- 65 ატ, საბრელა, ბიმურზოლა!
ჩაქილდს უშგულ ეიე ჩისგურა,
მუეკჩიხი მარე სგევიზინ ჩიეველ,
ქვე ჩირკალა კალა კალმას,
მელდლა არიხ იფარალემ,
- 70 მანილშე ინლას ხელონფალეხ,
ვეშგინ ჩალეიჭხ იფარი ბეფშ:
„ბიმურზა უშგულ ჩაქს ხასგურა!“
აშ მექდელხი უღვირთექა,
კოლში სვიმრად თე ჩირეკა:
- 75 „ატ, საბრელა ბიმურზოლე,
მელახ-მუეჟალ მელგაკალნი!“
აშ მექდელხი ლექვა მელახდ.
ზარდლამ ნესგა ქვე მექდელხი,
ღვებრად ეიქანქა ქვე ჩიქაბა,
- 80 ღვებრამი ზურელარე აშ ხაკაჩდახ
ბიმურზოლას.
ატ, მელასგარ ბიმურზოლა!
ლეჩემე-უჩემე მან ხოჩემინა,
ათხე უშგულ ჩაქს ლახსგურდა.
აშ მეჩღელხი სეციოთესგა,
- 85 მესტიანში ვარგალე
სგევიზინ ჩეხეახ, ვოჲ. ლახზთე;
სგა მეჩღელხიმდ ქორაშოთესგა,
ამჩუ ლახხიადალ ჩიჩემინა.

- 60 არ მინდა ცოლის ქირა,
მარკვენა მხარი მოუტეხია,
თავი უკუ მოგიკცევია,
ამხანაგები ამოგიწყევიტა,
ერთი კოკლი ამხანაგი დატოვა,
- 65 ო, საბრალო ბიმურზოლა!
ცხენზე უკუღმა დამქდარხარ,
კოკლი კაცი წინ მიგიძღვის,
გაგირეკია კალის ხეობაში.
იფარლების მწყემსები არიან,
- 70 შიმშილით ყოლოს შეექცევიან,
უკან მოგდევნ იფარის ბავშვები:
„ბიმურზა უკუღმა ზის ცხენზე!“
ასე მოსულხარ უღვირამდე,
კოლამის ფიხონისათვის თვალი
მოგიკრავს;
- 75 „ო, საბრალო ბიმურზოლა,
მელახ-მუეჟალი დამკინებს!“
ასე მოსულხარ ქვედა მულახამდე,
შუა ზარდლაში გაგივლია,
ღვებრას ზემოთ მოგივლია,
- 80 ღვებრის ქალები ასე გამომდგარან
ბიმურზოლას სამზერად...
ო, მამა-მიჯ...ი ბიმურზოლა!
საქნარ-უქნარი ყველაფერი უქნია,
ახლა ცხენზე უკუღმა შექდა,
ასე შესულხარ სეტში,
- 85 მესტიის აზნაურები
წინ გხვდებიან, ოჲ, შესახვედრად;
შესულხართ შინ.
აქ ლხინი გადაგიხდია.

მთქმელი კოლაშელი სონია შერვაშიძე. ჩაწერილი ისკარში ვ. თო-
ფურისას მიერ — 9. VIII—1927 წ. სვან., I. გვ. 150. ტექსტს ახლავს
განმარტება: „გვალო (გვალე მრ. გვალვარ) საქონლის ადგილი სახლის
ქვედა სართულში (მაჩუბში). იქვე, გვ. 153. სათაურად აქვს „ბიმურ-
ზოლა“.

301. სოზარი ღა ციოჟი

მთქმელი მუეჟალელი დავით მარგიანი, ჩამწერი მ. გუჭეჭიანი. 3.
VIII—1936 წ. სვან., I. გვ. 120.

ბ

ვოჲ, დედეშუ, ვოჲ, დიაშუ,
ციოჟი მიშგუ სოზარგლა

ო, შვილო, ო, დედისავ,
ჩემო ციოჟი, სოზარულა!

მეჭვი ლეჭქანს არცხელახან,
 ლექვა ლიზის ხემურჯალედ.

5 — დედემ სოზარ, ნომა ახედ,
 ემხუ ეში ქორს დო სედნიდ!
 — ლექვა ნაუზი მამა ნარ,
 მაყალუი უმხუდ ხოჩა,
 მეგრა-მეგრად დამწარს ხვჷქდედ,

10 კინჩხარს ხოშდედ, ვოჲ, გოქარშალ.
 — ვოჲ, დედემუ, ვოჲ, დიაშუ,
 ლეთი ხოლა ისნაჲ მიწეა:
 აერუ მეგამ უმხეარ ხეტუბან,
 ქორა გუშგეჲ ქეჲ ხოფიტახ,

15 ეიჲ ხაგეკახ კალვასგა.
 — დედე მიშგუ, ნომ ჭაყლუნი,
 თერანს ხვანუშდე ეჩითანეს,
 ემხუ ლისგდი დომ ამჩუშახ:
 თხემას მიჩა ეჩე ხვჷქდე,

20 იმვამ კვშხარ ეი ხეგნოლუხ.
 — ვოჲ, დედემუ, ვოჲ, დიაშუ,
 შუქვა ისგვედ ჩუჲ მიშზგრა!
 ვოდ, ჭიბინახ ლიზ-ლიჩედი,
 ვუგვამის ლექვა ესღერდად,

25 ქრისტეს ეშუ ჩოთმანზგრა,
 მგანათ ლაჭხიდს ნავერმანე:
 — გზავრობ ისგვედ ჩუჲ მიშზგრა!
 — მეხეჲე ნიშგვედ ჩუჲ ნიშზგრა!
 — იმთე ესღერიდ, ხოჩა ლახება?

30 — იმთე ესღერიდ ი ნესტარშერთე.
 — ეჭა მადეჲ, ხოჩა ლახება,
 ნესტარშა უშუღ ჭვარს ხაქუშახ;
 აქქერდა დენ ნომის ღგრიდ,
 ემხუ ქა ხიშდ ნათიმ მკადდ!

35 სოზარ ლაქკვართესგა აშუჲდ,
 ჰანბილდ ლჷჲკად ყვითელ-ყვითელ;
 სოზარს ქორთეჲ ჭიქონა,
 ციოჲ ლექვა არცხელათე.
 სგა ლჷჲსიბეხ ნესტარშერთე,

მაწეჲარი მოგვიდათ არცხელიდან,
 ქვემოთ წასვლას აპირებთ.

5 — შვილო სოზარ, ნუ მიღიხართ,
 ერთი მაინც შინ დარჩით!
 — ქვემოთ წაუსვლელობა არ
 გვარგია,
 შინის დროს ერთად (ყოფნა) სჯობს,
 მაგრა-მაგრად („მსხვილ-მსხვილად“)
 ხმლებს დავარტყამთ,
 10 თავებს („კისრებს“) გავაყრევენებთ
 გოქებხსავით.
 — ო, შვილო, ო, დედისაჲ,
 წუხელ ტუდი სიზმარი ენახე
 („მინახავს“):
 ორი ხე ერთმანეთზე ეკრა,
 ჩენი სახლი გაუნგრევიათ,
 15 გამაგრებულან კალოში.
 — დედა ჩემო, ნუ გეშინია,
 თვალებს დავატრიალებ იმისთანას,
 (რომ) ერთი შეხედვა ვერ
 მომასწრონ;
 მათ თავებს იქ დავაგდებ,
 20 სადაც ფეხები ედგმებათ.
 — ო, შვილო, ო, დედისაჲ,
 გზა დამილოცავს თქვენთვის!
 ო, დავიწყით სელა-წასვლა,
 გუგვამის ქვემოთ მიღიოღით,

25 ქრისტეს ისემც დაულოცავს,
 მუსაეთი შეგხვდათ ნავერმანი:
 — თქვენი მგზავრობა დამილოცავს!
 — ჩენი შემხვდომი დავგილოცავს!
 — საღ მიხვალთ, კარგო ძმებო?
 — საღ მივალთ და ნესტარაანთსა
 (ეროჲოლიანებისას)
 — ის კი არა, კარგო ძმებო,
 ნესტარაანნი უკულმა ჭვარცხელია;
 ორივე ნუ წახვალთ,
 ერთი კმარხართ წილის ამღებად!

35 სოზარი ფიქრებს მიეცა,
 ფერი იცვალა ყვით-ყვითლად;
 სოზარი შინ დაბრუნებულხარ,
 ციოჲი ქვემოთ (წასვლა)
 არცხელისკენ,
 შეგიყვანეს ნესტარაანთსა,

- 40 სგა ლაქსიბეხ მარჯობათუაზა.
მწეიბ მგლლტიდ გვეში ჭარ.
ჩუ ლაქსგურეხ სპკურთხეილეი;
ეშხუ კათხას რანგას ჭათრეხ,
მერმამ კათხას ბანგას ჭათრეხ;
- 45 ჩუ ლაქბენგეხ მერგრა-მერგრად,
ვაზნა ისგუ ქაე ხოქეითახ,
სოზარს ლეჟაუდ ჭიზგუხ
ლექვა ლიქედიშ ლაქმანედ.
სოზარ ლექვა იმარალე,
- 50 დედე მიჩა მგხიბდ იგენი:
— ვოა, დედეშუ, ვოა, დიაშუ,
კალთი ლობარ მვგ მექვეე მარ
ვობ, ხობინა ლიზ-ლიჩედი,
გუგეაშის ლექვა ესღერდა.
- 55 მესანეთ ლაქხეიდ ნავერძანე:
— სა სოზარე, იმთე ესღერი?
ნომ' ათქაცად ქორ ი ლირდე,
ნომ', ათხიდად სოფელ ისგვეა,
ნომ, ათქაცად დედე ისგვეა,
- 60 — ლექვა ნაუზი მამა მარ,
ეში ლური, ეში ლური!
სგაე მერდელხი არცხელათე,
სგა ლაქსიბეხ ნესტარშერთე,
ციოყ სოზარს ქაე ხაწედა:
- 65 ყეითელ ჰაბ-ჰაბს იცადუნე:
— ჰეტ, საბრელა მუხებე ისგუ
ეელარს მი დეშ ხვეროლე
ლეღგრალედ-ლეგლგრალედ,
აჯად, სოზარ, ლექვა დო ალე!
- 70 ათხე ჭიბნეხ ლეკმამდ ლითრეს:
ეშხუ კათხას რანგას ჭათრეხ,
მერმამ კათხას ბანგას ჭათრეხ,
ჩუ ლაქბენგეხ მერგრა-მერგრად,
ჩუ ლაქყეინეხ სგირი ლეჟა,
- 75 თოფარს ჭიკედხ, ფავარს ჭიდიხ,
ღაშნარს ჭიკედხ, ლანგვარს ჭიდიხ.
ციოყს დაგრა დეშ ჭიბაჟა,
სოზარ, ლანგვარშე ხიჩაჩხელე,
ეშხუ ლანგაეშ ჩუე ჭიდგარა.
- 80 „ბედის მიჩა ნატმალ ხაქვა,
აჰს, მიშუეღ დამნილ ხულენს,

- 40 შეგეყანეს მარუბში (ქვედა
სართულში),
მაიიბი (ზედა სართული)
ნილატეებით სავსეა („სავსე
გაქეს“).
- დაგსეეს საკურცილზე,
ერთ კათხა რანგს გასმევენ,
მეორე კათხა ბანგს გასმევენ;
- 45 დაგბანგეს მარგრა-მარგრად,
შენი „ვაზნა“ მოუპარათ,
სოზარს აგიგზანეს
აქეთ (ქვემოთ) წამოსვლის ნიშნად.
სოზარი ქვემოთკენ ეშხადება,
- 50 დედამისი მწარედ ტირის;
ო, შვილო, ო, დედისაე,
მუხლები მომეყეთა („ფეხის
ძარღვები დაწყვეტილი მაქვს“),
ო, დაუწყია სლევა-წასვლა,
გუგეაშის ქვემოთ მიდიოდი,
- 55 მუსაეთი შეგხვდა ნავერიანი:
— შე სოზარ, სად მიდინარ?
არ დალუპოთ სახლ-კარი,
არ გაახაროთ თქვენი სოფელი,
არ დალუპოთ დედათქვენი!
- 60 — ქვემოთ წაუსვლელომა არ
მარგია,
მაინც წავალ, მაინც წავალ!
შესულხარ არცხელში,
შეგიყანეს ნესტარაანთსა,
ციოყი სოზარს დაუნახეს;
- 65 ყეითელ ფერს იცვლის.
— ო, საბრალე შენი ძმა
ძალღებს მე ვერ ვეყოფი
დასაგლეჯ-დასაფლეთად,
(რომ), სოზარ, კიდე მოხვედი?!
- 70 ახლა დავიწყებენ მარგრად სმევის:
ერთ კათხა რანგს გასმევენ,
მეორე კათხა ბანგს გასმევენ,
დაგბანგეს მარგრა-მარგრად,
დაგაწვინეს სოხანეზე,
- 75 თოფებს გატლიან, კეტებს გიდებენ,
ხმლებს გატლიან, ცოცხებს გიდებენ.
ციოყს სიკვდილი ვერ გიგრძენია,
სოზარ, ცოცხებით იცემები,
ერთი ცოცხით მოგიკლავს.
- 80 „ო. ნეტავი მის ბედს,
ვისაე ჩემი ხმალი ექნება,

ლიყარმელს ეი დაჭთვენანს!
მაკიდლ, მაკიდლ, დარვილდ ჭულვას,
ქეინილდ ხონკვი ეი ლმჩენდნი!“

85 პატ, საბრელა დედე მიშგუ,
ტებდი ქუთულდს ჩუ მიფანანს,
ჩი მიშლადედ მურყვამთ ადე,
თეფეს ი ჰაეეჟს ხაწმენდნენდს!
პატ, საბრელა ქორ ი ლირდე,

90 კოლში სვიმრას ჩუ ესნანხი!
სოზარს ქეინილდ ეიე ჭაჩედა,
სგა ლაქკოკეხს სანგჩანეთესგა,
წგრინი კანარ სგეე ხობემახს,
ქანრეშ მგეევედ თაზი ირა.

95 აშ აქლენდახ გუგეშუ ლეეა,
დედე ისგეეა მურყვამს არი;
ქა ლმასგიდა მურყვამშ შდურქა,
ჩუ ხოთგრა ლედაგარუ;
თეფეი მესეე განხან ხაზდან,

100 თეფეილდ ხოდა მურყვამშ შდურქა,
ქანრეშ მგეევედ ჩუე ხოდაგარა.
— ატ, ლეჭეე ლი ბედილ მიშგუ,
ეშუ გეზალ ლეწეერ მერა!
ფისეე ხაბა მიშგეა ლითვალს,

105 თეფეიშ ლისეენე მად მიხა!
ლეეშუ მურყვამთე ლოხგერგალ:
— თეფეიშ ლისეენე მად მიხა:
ეპე ხაეუჩ ჩუქვან, ჰა ფინდის?
ცოდვა მიშგუ ნოვ ხაშდებახს,

110 ესნარ აღმარ მოლნატ ირახ!
ლეეშუ მურყვამხან ლამატვილხ:
— ფინდის ჩუქვან, ეპეილდ ეიქან!—
თეფეილდ მიშგუ მად მაშეედა.
— ვოა, დედეშუ, ვოა, დიაშუ,

115 ციეოყ მიშგუ, სოზარელა,
აშ დამ ჭაყლანს,, ვოა, დედეშუ,
დეშ მოშ ხიკედ ქეიშმიშ ლიზგეს?
მმა გეაწხენდა თაზიშ ლიაქე,
ამ ღორთლიან თაზიშურა?!

ცემას გასწავლიდი
დამარტუით, დამარტუით, დრო გაქვო,
იქნებ სული მალე ამომძვრესი

85 ო, საბრალო დედაჩემო,
თბილ ხაქაპურს (სულის
მოსახსენებლად) დამიდგამდე,
ყოველ კვირადღეს ციხეში ადი,
თოფსა და იარაღს გასწმენდღე!
ო, საბრალო სახლ-კარო,

90 კოლაშის საზოგადოებას
ჩაუეარდები!“
სოზარს სული ამოგვლია,
ჩაგვასვენეს მარხილში,
წითელი ხარები შეუბამთ,
ხარების გამძლოლი თაზი იქნება.

95 ასე მოგასვენებდნენ გუგეაშის
ზემოთ,
დედა თქვენი ციხეშია;
გამოიხედა ციხის სათოფურიდან,
ხარების გამძლოლი მოუკლავს.
უცენია მკედრები
გატენილი თოფი გვერდზე ედვა

100 თოფი დაუმიზნა ციხის
სათოფურიდან,
ხარების გამძლოლი მოუკლავს
— ო, ნეტავი ჩემს ბედს,
ერთი შვილი ნასისხლევი მეყოლება!
ფისიმეც დასხმია ჩემს დაბადებას,

105 თოფის გატენა არ ვიცი!
ზემო ციხისკენ შევესიტყვე:
— თოფის გატენა არ ვიცი:
წამალი უნდა ძირს, თუ ტყვია?
ჩემი ცოდვა ნუმც დალევიათ,

110 თურმე ესენიც მოლაღატ არიან
(„იქნებოიან“),
ზემო ციხიდან მომამახეს:
— ტყვია ძირს, წამალი ზეითი —
ჩემი თოფი არ გამეპარდნია.
— ო, შვილო, ო, დედისაგ,

115 ჩემო ციოყ და სოზარულა,
ხომ გეუბნებოდით, ო, შვილებო,
ვერ შეინარჩუნებდით ქვიშის
სახლობას?
რად გეპირდებოდა თაზის მოყვრობა,
ამ კატაჭკრიან თაზისა?!

120 ლაჩქ ისგუ ჩუე ჭიკიდა,
 ლაჩქდ ისგვა ეივ ჭიბდინა,
 ქაე ჭიკვარა მურყემშუ შდურქა,
 ქორად ისგვა ეივ ჭიბდინა,
 (გრამდ ჭიგენა ქვიშაშ ლაღმპარ).

120 ლეჩაქი შენი მოგიხდია,
 შენი ლეჩაქისთვის (ეცხლი)
 წავიკილია,
 გადავისვრია ციხის სათოფურიდან,
 (ეცხლი) წავიკილია შენი
 სახლისთვის,
 (ფერფლად გიქცევი ქვიშის
 სასახლე).

მთქმელი მულახელი სონია შერვაშიძე. ჩაწერილი ეცერში ვ. თოფურიას მიერ. 8.VIII—1927 წ. სვან., I, გვ. 124.

არის აგრეთვე კოსტა ჩარქსალანის თქმით ნ. ლამბაშიძის მიერ უშგულში 1962 წ. აგვისტოში ჩაწერილი ვარიანტი. თსუფ. № 283.

302. ასლან შურზა

ჩაწერილი თბილისში ალი დავითიანის მიერ 29. XII—1923 წ. სვან., I, გვ. 132.

ბ

ასლამაზ ქევის ლაფაშედი,
 ხეხილ ჭირდა ჩინ მაჩნე,
 ხიკლდღლე ცაში ღეთის
 ლიგურგუნაღეს დარჯღლაშ.

5 ქაე აშქედლი ცაში ღეთი,
 ასლამაზ ბაბთე აშჩედლი,
 ბაპღლდ აგითე ხოქიდა,
 დარჯღლ აგის დესა ესხედ.

— დედე, დარჯღლ იმთე აჩანდ?

10 — დედეშ ლადედ სიე ლაქქემა,
 დარჯღლ, მაბუა, ლიტთე აჩანდ.

— დედე საბრალ, სკივრულდ
 აშქარ,
 დარჯღლ ლიტთე დემის ღვრდა.
 ტანის ლახექქემენე აბჯარის,
 15 თხუმას ესეგემენე ზურჩიას,
 ქეშხარს ლახედესგი ჩექმარაღს,
 მექარაღს ლახედესგი ხეშნავრის,
 თვეფს ი დაშნამას სგა ლახეგემენე.
 ხანგირის მიშგვა ფოყს ესვრეკენე,

ასლამაზ ხეეში საქებო,
 ცოლი გყავდა ყველაზე უკეთესი,
 ჩქარობ ხუთშაბათ ღამეს
 ჭვარისწერას დარჯულზე.

5 დამდგარა („მოხულა“) ხუთშაბათ
 ღამე,
 ასლამაზი მღვდელთან წასულა,
 მღვდელი შინ მოუყვანია,
 დარჯული შინ არ დახვდა.
 — დედა, დარჯული სად წავიდა?

10 — დედის დღე შენამც შეგმატებია,
 დარჯული, მგონია, წყალზე წავიდა.
 — საბრალო დედაე, სკივრი გამოიღე,
 დარჯული წყალზე არ წავიღოდა.
 ტანზე ჩაიცივამ აბჯარს,
 15 თავზე დავიხურავ ზუჩს,
 ფეხებზე ჩაიცივამ ჩექმებს,
 მკალეებზე მოვიცივამ ბეგთარს,
 თოფსა და ხმალს დავიცივებ,
 ჩემს ხანგარს გვერდზე („თეძოზე“)
 დავიცივებ,

20 წერნი სიღრისს ეს ლხეზგური,
 ვეშგინ ლხევიმ მეძვე დარჯელს!
 აშ მიბინა ლიზ-ლიჩედი,
 ნაზუს ხეაგენა ნამჩნადუს,
 ხამეა წერნი ქაჭიშე.

25 ლამუარა ფედილ ამჩედლო,
 ძხნილ ლახდე ქახინანქა:
 — ჩხარა მიშგვი ლაქემილა,
 მაუ დომა ჩიჩემინახ,
 ასლამაზ ლუსდგვარს მაქკორე!

30 მეჩი მამა ეს ხასტურდა,
 ესე ხასტურდა ყორაშ ლაცყანს,
 ჩინ მუბანდრე ხოხვრა მუხვებე,
 ქავ ხოსკინა დარბზიშ ყორქა,
 ლიყერ ოხვბინეხ ასლამაზს.

35 — ჩხარა ნიშგვი ლასემუნა,
 ლიყარელეს ეს დო ხიმქერიდ,
 ადო ხანგრილს ქე მოშ ეს
 ლამკიდნიდ,
 ლიყარელს ში ეს ლაჭთრნი,
 კინჩხარს ესევე ქა ლაჭშიდე.

40 ხამევი ნეზემიშ გოქარეს!
 ლახასინჯვე მეჩი მამად,
 ნათსავე მიჩა მეხვტე ირიხ:
 — ცოდა მიშგვი ნოე ჭაშდებხა
 მეძვე დარჯელს, მიშგვა გეზალს!

45 გეზალდ ჩიდ ასლამაზ მიცხან.
 მუშდღვიდ ეშხვი ჩუე აჩარ ემაცარ!
 ...ეშხვი ვეშგმავ ქა ლამსინჯავე!
 ქა ლამსვიდა ბარჯ ვიქანქა,
 თველ ხატყოფი თვილდისგა,

50 ჩუ ხოკვარა საღრილხანჩუ.
 — მავ ღვეარე ნათსავე მიშგვი,
 აჭარიშ ჩიჩხელდ დეშ ლამქერეს!..

20 წოთელ საღარზე შეეჯდები,
 უკან გავეიღები მეძვე დარჯელს!
 ასე დამიწყია წასვლა.
 ნაკვალევს დავდგომივარ
 გაქცეულისას,
 როგორც წითელი ქაქისას.

25 ცოლოურთან ახლოს მისულა,
 შესახა შორიდან:
 — ჩემო ცხრა ძმაო,
 აბა რას იზამთ,
 ასლამაზი ნაწნავებს შაქრის!

30 მოხუცი მამა ზედ იჯდა,
 ზედ იჯდა კარის ურდულზე,
 ყველაზე უბედური უმცროსი ძმა
 გამომხტარა „დარბაზის“ კარიდან,
 ცემა დაუწყეს ასლამაზს.

35 — ჩემო ცხრა ცოლისძმაო,
 ცენა იკმარეთ,
 თორემ ხანგარს თუ ამაღებინებთ,
 ცემას მე გასწავლით,
 თავებს („კისრებს“) გავაყრევინებთ,

40 როგორც ნეზვის გოქებს!
 შეხელა მოხუცმა მამამ,
 შვილები მისი დახოცილი არიან:
 — ჩემი ცოდვა ნუმე დაგლევიო
 მეძვე დარჯელს, ჩემს შვილს!

45 ყველა შვილს ასლამაზი მერჩია.
 ჩენ დამმარხველად ერთი ვინმე
 დაგეტოვებინა!
 — ერთი უკან გამომხედე!
 გაიხედა უკან,
 თოფი მოარტყა თვალში,
 50 ჩამოუგდია საღარიდან.
 — ყველა სულელი ჩემი
 შთამომავალი,
 აბჯრის ჩხარუნე ვერ გაიგეს!..

მთქმელი გიორგი ხაზრიანი. ჩაწერილი კალაში ვ. თოფურიას მი-
 ერ. 19. VII—1927 წ. სენ., I. გვ. 134. სათაურად აქვს „ასლამაზი“.

ბმირის იღვალა

* 303. ვაჟააკი

ჩაწერილი გიორგი ნათაძის მიერ. ნათ., № 10, გვ. 13.

ქ ა რ თ ლ უ რ ი

ბ

მტერსა რო მტრობას უწევდეს, ვაჟაკის შესაფერია,
ვისაც მტრის მტრობა აწინებს, ის ქვეყნად არაფერია.
არც მოუხდება ფარ-ხმალი, არც ომში წასასვლელია,
არცა ხსენდება კაცადა, არც არად ჩასათვლელია.

მთქმელი გიორგი თაბაგარიძე 1897 წ. დაბადებული. სკოლის დარაჯი. ჩაწერილი 1961 წ. მცხეთის რ. სოფ. მისაქციელში ვ. ალიბეგაშვილის მიერ. ფ. არქ., ქ. 68, გვ. 1.

ბ

ჩაწერილი სოფ. დილომში ანზორ შოშიტაშვილის მიერ. მასალ., I, გვ. 7. იმეორებს ძირითად ტექსტს. განსხვავება: სტრიქ. 8. ა რ ა ფ რ ა დ.

მ თ ი უ ლ უ რ ი

დ

მთქმელი პავლე ბეჟაური. ჩაწერილი ქართლში სოფ. გოსტიბეში, ანეტა კაპანაძის მიერ. ფ. არქ. № 3183. ვირსალ., № 16, გვ. 112, იმეორებს ძირითად ტექსტს.

მ ო ხ ე უ რ ი

ე

ჩაწერილი ხევში ა. მ-ძის მიერ. კოტ., გვ. 224, ახ. გამოც., გვ. 245. იმეორებს ძირითად ტექსტს.

304. კალმა სთჰვა

ფშაური. *მოყვანილია ვაჟა-ფშაველას წერილში „ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაურის პოეზიის გამოხატულებით, ტ. V, გვ. 88. ამ ლექსის ექვსი სტრიქონი თითქმის უცვლელად ვაჟას მოყვანილი აქვს აგრეთვე წერილში „ფშაველები“, როგორც ნიმუში ძველი ფშაური პოეზიისა. განსხვავება მხოლოდ ერთ სიტყვაშია 31. ქართული ხალხური პოეზია, ტ. II. ნაკვეთი 2

„ტარ-სახეხავენის“ ნაცვლად არის „ბექ-სახეხავენი — ტ. V გვ. 20. პირველი ოთხი სტრიქონი დამოუკიდებელ ლექსადაც არის გავრცელებული.

ფ შ ა უ რ ი

ბ

- ჩამორბის აიმ მთაზედა თავშურთხავ, შენი ქმარიო,
ნებეში ჩაუდგი ჩარდახი, შიგ თავად დაჭდეს ქალიო..
საგრებელ მიუტანოდი; გააძგრილოს ტარიო,
დაბურე თავზედ ჩიქილა, ჩამაიწნოდეს თმანიო!..
- 5 დაჰკარგნა ბიძა-ძმისწულნი, თავად ცოცხალნივ არიო;
მაგის სიცოცხლეს ეხლად სჯობია იყოს მკვდარიო.

ფშავი. ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 80. ტექსტს ახლავს შენიშვნა.

სტრიქ. 1 თ ა ვ შ უ რ თ ხ ა — ქალის სახელი.

ასეთივეა — ფშავში ვ. ხორნაულის მიერ ჩაწერილი ტექსტი.

კოტი, გვ. 6, ახ. გამოც., გვ. 84. განსხვავება სტრიქ. 2 — თ ა ვ -
შ უ რ თ ხ ა ვ — თ ვ ა ლ შ უ რ თ ხ ა ვ.

ბ

- კაი ყმის ცოლი ტიროდა: „ოხრადა მრჩება ბინაო“.
იცინის ცუდაის ცოლი: „გამაიქცევა წინაო“.
გამოქცეულის მოსვლასა აღარ მოსვლა სჯობ შინაო.
ჩამორბის კოკლასი გორსა თვალ-შურთხო შენი ქმარიო.
- 5 მისცენით ტარ-სახეხავენი, გააბზრილოს ტარიო,
საბუჩეს ჩარდახ აუგეთ, გააზღვევინეთ ქალიო.
კაცი ვარ ბუჯახირაი შეშა-თივათა მზიდავი,
ერთი ვერა მჯობ ლაშქარსა ბასრის ხმლის ამამზიდავი.

ფშაური. მოყვანილია ვაჟა-ფშაველას წერილში „ძველი და ახალი ფშავლების პოეზია“, ტ. V, გვ. 143. სტრიქ. 4 — გამაიქცევა ფრჩხილებში მიწერილი აქვს „ჩემი ქმარი“.

მ ო ხ ე უ რ ი

დ

გორიგორ ჩამოდიოდა. თოლშურთხავ შენი ქმარია,
მაგას რა მარბოლებდა, რაზე მათხარა გორია —
ჩერთ არ უნახავ ლაშქარი, ამაღებული ხმალია.
ჩამაისუნეთ ქალებიჩი, ჩამაუწანით თმანია,
ხელჩი მიეცით ჩონგაი, გააბრუნოდეს ტარია.

ჩაწერილი ხევში. სათაურად აქვს „თოლშურთხაის ქმარი“. მოხ., გვ. 68.

თ უ შ უ რ ი

ა

მთქმელი საშა ითიურიძე. სოფ. ზემო-ალვანი. ჩამწერი ვ. ბუთლი-აშვილი. ლიტ. მუზ. 20006—ხ, ყ. 329, გვ. 31. ზუსტად იმეორებს ფშაურ ზ ვარიანტს.

305. ში ვაჟი მომწონს

მთქმელი ივ. წიკლაური. წითელწყაროს რ. სოფ. არხილო, ჩამწ. შ. წიკლაური. ფ. არქ., კ. 95, გვ. 54.

306. შთიელი

ჩაწერილი ხევში. მოხ., გვ. 53.

307. ძმის დალოცვა

ჩამწერი გ. ნათაძე. ნათ., გვ. 94, № 147.

308. აპი ცხენი

მთქმელები ქეთო და მზექალა ხორნაულები. ჩაწერილია 1943 წ. სოფ. საჭურეში. ფშ. ხევს., გვ. 118. ვარიანტია ქისტებთან შუღლის ამსახველი ლექსისა.

309. აამეჩის მხნამ მიყვამი

ჩაწერილი ქართლში სოფ. ქურთაში. კოტ., გვ. 213. ახ. გამოც., გვ. 233.

კ ა ხ უ რ ი

ბ

იმეორებს ძირითად ტექსტს. განსხვავება: სტრიქ. 3— ურჯულო.—
თ ა თ ა რ ი.

ალავერდი. ჩამწერი ი. მეუნარგია. ხელნაწ. ინსტ. H—1992 ივ. № 15, ასეთივეა ს. მერკვილაძის ჩამწერილი ტექსტი — აკ. კრბ., VII, 1898. ასეთივეა აგრეთვე — დრ. № 251. 1883 წ. ამასვე იმეორებს მეთვალყურეს ჩამწერილი ტექსტი — ივ., № 205, 1893 წ. განსხვავება: სტრიქ. 1—კ ა მ ბ ე ჩ ი ს; სტრიქ. 2— მ ო მ ი კ ლ ა ვ ს.

ჯ ა ვ ა ხ უ რ ი .

ბ

კამჩის მეხრე ვიყავი, მეში მეცვა და მეხვია,
ლეკები ბევრი გავწყვიტე, კლდეებზე გადმიჩხვია,
ჯერ არავისთვინ არ მიტყეამს, არსად არ დამიკვებნია,
შერცხვეს ვაშკაცი შკვებხარი, თავზე დაეცეს მეხია.

ჯავახეთი, სოფ. ბარალეთი. ჩამწერი გიორგი გოგოლაძე. 1937 წ., ფ. არქ., № 11741.

310. ჰუჰა

ჩამწერილია 1942 წ. მ. ნადირაშვილისაგან. ფშ. ხეცს., გვ. 112.

311. ჯორი სჯობს

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. კოტ., გვ. 87. ახ. გამოც., გვ. 104.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

ჯორი სჯობს საქონელშია, — შინ მოვას აკიდებული;
მემრე ქარი სჯობ ბულაი პტყელს მამულს გაკიდებული;
მაგაზედ ქერი მასული თავ-თავზედ გადადებული;
შაგის სამკალად ქალი სჯობ საქმაროდ მაშზადებული.

მთქმელი ბატალიგველი ბათაკა არაბული. ჩამწერი ნ. ურბნელი. ივ. 1884; 1891, № 90; შან. № 715, გვ. 282. სათაურად აქვს „რა სჯობ?“

მ თ ი უ ლ უ რ ი

ბ

ჯორი სჯობ საქონელშია, შინ მოვა აკიდებულო,
ყელში რო თოკი მომიგდე, ევა მაქე წაჭირებულო.

მთქმელი გიორგი ფიდოს ძე ბუჩუკური. სოფ. ქიმბარიანი. ჩამწერი ელ. ვირსალაძე, 1934 წ. ვირსალ., № 202, გვ. 175.

თ უ შ უ რ ი

ღ

ჯორი ჯობ საქონელშია, — კარზე მოვ აკიდებულო;
მეგრე კარი და უღელი მტყელ მამულს გაკიდებულო;
შიგ მოსავლადად ქერ-ფუქლი, თაე-თავით დაკიდებულო;

- იმის სამკელად ქალი ჯობ, საქმარედ მოწიფებულო;
5 ძნის შესაკრავად ვაჟი ჯობ, საქელ-მკარ შერეკებულო;
ნაპირს ალაგში ციხეი საომრით გამართებულო;
შიგ საკიდებლად სიათა, ტყვია-წამლითაც მორათულო;
იმის სასრევლად ვაჟკაცი გუნება-გაჭავრებულო.

მთქმელი დიკლოელი მართა ივახეს ასული სისვაური. ომალო. ჩამწერი აკ. შანიძე. 7. XI. 1913 წ. შან., გვ. 636. იმავე მთქმელისაგან აკ. შანიძეს ჩაუწერია ვარიანტი. აღნიშნულია განსხვავებანი და განმარტებანი: სტრიქ. 1 — ვ ი რ ი ჯ ო ბ. „ვირმა მართლა იცის შინ მისვლა, თუ ტვირთი აკიდებულო აქვსო სტრიქ 4 — მოწიფებულო — მომწადებულო; სტრიქ. 5 — ძნის შესაკრავად — იმის საქმარედ; იქვე — ვაჟი ჯობ — ვაჟკაცი. სტრიქ. 6 — საომრად გამზადებულო. შან., გვ. 636. ერთი და იმავე მთქმელისაგან ჩაწერილი ერთი და იგივე ტექსტის ვარიანტებს შორის განსხვავება ზეპირსიტყვიერების სპეციფიკის თვალსაზრისით საინტერესოა.



ე

ჯორი ჯობს საქონელშია, — კარზედ მოვ აკიდებულო.
მეგრე კარი ჯობს ცხევებშია გრძელ ბექსა გაკიდებულო.
იმის სამკალად ქალი ჯობს საქმარედ მოწიფებულო,
ძნისა შემკრავად ვაჟი ჯობ საქელ-მკარ შერეკებულო.

მთქმელი პავლე აზიკურიძე. ფარსმა. ჩამწერი აკ. შანიძე. 4. XI. 1913 წ. შან., გვ. 636. ახლავს განმარტება: სტრიქ. 4 — როცა რომე-

ლიმე ღარიბს სამკლის ო ჩ ხ ა რ ა აქვს, ქალები მკიან, ვაჟები კი ულო-
თი კონვენო. იქვე, გვ. 637. იხ. აგრეთვე ხელნაწერი ფ. არქ. № 2456.

312. ცხენ კარგო, თავადაც კარგო

ჩაწერილი 1945 წელს სოფ. კაწალხევეში, ე. ხორნაულისაგან.
ფშ. ხეცს., გვ. 125.

313. გიორგი თვაროლაუზილო

ჩაწერილი 1937 წ. ეფრემ ანთაურისაგან. ფშ. ხეცს., გვ. 115.

314. ნიბავი ლაშქარს შაგვარანა

ხევი. სტეფანწმინდა. ჩამწერი ილია ჭავჭავაძე, 1871 წ. უმიკ. 1345.
გვ. 409. დიბეჭდილია აგრეთვე კოტ., გვ. 55. ახ. გამოც. გვ. 73. გან-
სხვავება: სტრიქ. 8 — ლამაზი ქალიო.

315. აბაშა

ხეცსურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 66, გვ. 28.

316. ნისლ ძისა

ხეცსურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი, შან., № 67, გვ. 28.

317. აბაშას დამოუპვრდით

ხეცსურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 68, გვ. 28.

318. საპირისწაშლი

ხეცსურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 69, გვ. 28.

ფ შ ა უ რ ი

ბ

ვჯაო კაწალხეველო, გიშლერი შაფერებულსა,
ნუ მოსდევ დედათ ენასა, ცხენს შაგსმენ გამტერებულსა.
ან კლდეზე გადაგადებენ, ან წყალს კვერენ აღიდებულსა,
დაგიმოკლებენ მამულსა, კარის პირს შაძტყელებულსა,
5 ხარებსაც გამოგიშვებენ მამულში გაგრძელებულსა,
წელზეთ ხმალსა შაგხსნიან ფრანგულსა შაშვენებულსა,
ვაჟკაცსა დაგაფერებენ მონასა, შაჩვენებულსა.

ფშავი, სოფ. კაწალხევი. კოტ., გვ. 62 „ახ. გამოც. გვ. 81. სათაურად აქვს „ნუ მისდევ დედათ ენსა“.

319. მამუა ბელდიური

მთქმელი აბა გიგაური. ხახმატი. ჩამწერი აკ. შანიძე 2. VIII—1913 წ. შან., № 191, გვ. 79. აბა გიგაურს ლექსი ვარიანტებად უთქვამს. შან., გვ. 455.

ბ

ლიქოკის ღელეს გარდაღის ხეცურთ შვილები დილასო,
ხითხვიდეს გელდიურსა ძველსა და წინაწინასო,
გამურჩევს გელდიური ჭერ კეუას, მემრა რკინასო.

გულანს აგებენ ბელელსა, ლიბულ უგებენ სინასო;

5 სწამებენ ჩაჩბარულსა — ქრთამს, ქალაბანსა, ინასო,
არცა რა კარგი თავს უყუვა, არც რა შესძინა შინასო.

ხეცურეთი. მთქმელი და ჩამწერი ბერდია ეულაკის ძე გამლივარაული. 1876 წ. უმიკ., № 32, გვ. 41. ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 4. ლ ი ბ უ — საძირკველი; იქვე — ს ი ნ ა — ზარი; სტრიქ. 5. ქალა-ბ ა ნ ს — ქრთამს.

320. ხმალმა სთქვა

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული, სათაურად აქვს „თუშის ხმალი“. — თაყ. 1. გვ. 52.

არსებობს ამ ლექსის პირველი რვა სტრიქონის ვარიანტები. დაკავშირებული ერეკლე მეორის სახელთან (ჩაწერილი ქართლში და სევსურეთში თ. რაზიკაშვილის მიერ, თაყ., 1, გვ. 352; შან. № 305, გვ. 127 და სხვ.), რომელნიც საისტორიო ლექსებში შეგვაქვს. იქვეა სხვა ვარიანტებიც, სადაც ერეკლე არ იხსენიება (თუშური, ჩამწ. ივ. ბუქურაული, შან., გვ. 505, 506; ია კარგარეთელის ჩაწერილი. შან., გვ. 506 და სხვ.) კონტამინაციის ნიმუშია. წაბმულია ჰიმდელი ივანეულის ლექსი. პირველი ორი სტრიქონის შინაარსი გაუმართავია.

321. შმა იშვიათად ბალმსავს

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., 1, გვ. 53. ბოლო ოთხი სტრიქონი ვარიანტია ლექსის „ხმალმა სთქვა“, № 322. 5—8 სტრიქონებისა.

ხევსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 122. გვ. 46. ლექსი ქისტებთან შუღლის ამსახველია.

323. მშავლიბი ძვა-პიდს

ხევსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. № 152, გვ. 61. აკ. შანიძის მოსაზრებით „ეს ნაწყვეტია რალაც ლექსისა“. გვ. 423.

საგმირო-სახოტბო

324. ძიჩბარაული

ხევსურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 10, გვ. 4. ახლავს აკ. შანიძის შენიშვნა: „ამ ლექსის 10—11 (ჩვენი დაყოფით 17—20. ქ. ს.) სტრიქონებს ძალიან მოგვაგონებს 439, 1—2“. შან., გვ. 312.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

ჯარი მოვიდა გუდანა, ქიე კარავმა შაფარა,
ლურჯამა გალაღებულმა თავი სასოფლოდ დახარა,
ამაგის ლალმა მძედარმა გული საომრა დაყარა.
უნცროსმა ქიჩბარაულმა ლაშქარი წყალში შაყარა.

ხევსურეთი. ჩამწერი ბაბო ლიქოკელი. შან., გვ. 312.

ბ

გუდანს მოვიდა ლაშქარი, ქიე კარებმა შაფარა.
უნცროსმა ქიჩბარაულმა ჯარი სულ წყალში ჩაყარა.
ქალმა ზენ-უბან გაიგო, მანდილი გვერდზედ შახარა:
„გაქებენ, ქიჩბარაულო, ჩემსამც საქმარეს შაგყარა!
5 თუ შენ ვერ დაგიხვედბოდა, შინ მთელიმც ნულარ მამგვარა!

ხევსურეთი. ჩამწერი შ. ბეწუელიშვილი. შან., გვ. 312.

დ

გუდან მოვიდა ლაშქარი, ქიამ კარავი დაფარა,
 უმცროსმა ქიჩმარაულმა ჭარი წყალს გაღმე გაყარა,
 ქიჩმარაულის საღარმა საბაკედ თავი დახარა.
 ზედა ნაჯდომმა მხედარმა საომრად გული დაყარა,
 მხართა ნაკიდებ სითამ პირისაჲ ბოლი დამალა,
 წელთა ნარტყაემა ფრანგულმა პირისაჲ ცეცხლი დაყარა,
 თავზე ნახურმა ჩაჩქანმა ფქვილებურ ქანგი დაყარა.
 ქვენუბან ქალმა დახკივლა, ჩიქალა უკვენ წახარა.
 — გაქებენ, ქიჩმარაულო, იმეამცა ქმარსა შეგყარა,
 10 იმ სასწორიო გზაზედა ორანიმც ერთად შეგყარათ,
 ტანთამც იარალ აგასხათ, საფუხრებ შინავ დაყარა:
 თუ შენ მას ჰოერეოდე. დაქრა. დაქუწა, დაყარა,
 თუ შენ ის მოგერეოდა, მხარამც იარალ აფყარა.

მთქმელი სიღო მოზაიძე. დიკლო. ჩამწერი ლ. იმედაძე. კოტ., გვ. 86, ახ. გამოც., გვ. 102, სტრიქ. 1 — ქიამ კარავი დაფარა ან ჩამწერის შეცდომაა, ან კიდევ თვით მთქმელს თავისებურად გადაუკეთებია იგი. მთქმელისთვის ან ჩამწერისთვის უცნობია ის, რომ ქიე, გეოგრაფიული ადგილია და მისი დაფარვა კარვებით მტრის მომძლავრებას ნიშნავს.

325. შვიდ-მამამღო

მთქმელი მარიამ გრიგოლის ას. ანთაური. სოფ. მზისყანა. 1925 წ., ფშ. ხეცს., გვ. 116.

326. აბა ბახლაური

ხეცსურეთი. ჩამწერი ბეს. გაბური. შან., № 231, გვ. 107.

327. ანი ბატონის ბაჟდლი

ქართლი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი თაყ., 1, № 53, გვ. 189.

328. ბაწუვება ჩქარეულბის

მთქმელი მიხ. ჩქარეული. ხევი, 1834 წ. უმიკ., № 104, გვ. 82.

ხევსურეთი. ჩამწერი თამარ მაქავარიანი. კოტ., გვ. 112, ახ. გამოც., გვ. 129.

330. ღაბირეზულხარ ბიძაო

სნჯ., III, გვ. 27.

331. ხაღაში ბაშიგონია

მთქმელი ზაალ ბურდული. სოფ. ქვემო მლეთა. ჩამწერი ელ. ვირსალაძე, 1950 წ. ვირსალ., № 107, გვ. 151. ასეთივეა ივანე ყველაიძის თქმით სოფ. მაქართაში და კვირტიძის თქმით სოფ. სეფეში ელ. ვირსალაძის მიერ 1934 წ. ჩაწერილი ტექსტები. ვირსალ., გვ. 467.

332. ცხენი

ავტორ-მთქმელი ბეს. გაბური. შან., № 618, გვ. 253—254.

333. შუქიაური

ხევსურეთი, ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 113, გვ. 44. აკ. შანიძე შენიშნავს: „თუ არ ვცდები, ეს ის მარტია შუქიაური უნდა იყოს, რომლის სიკვდილსაც № 532 (შან.) გვატყობინებს“, შან., გვ. 407.

334. ეხლა ველარსად შეხვდები

ქართლი, სოფ. ერთაწმინდა, ჩამწერი ია კარგარეთელი. კოტ., გვ. 136, ახ. გამოც., გვ. 153.

335. ლეჰსის თჰმა მჰადის

მთქმელი ხვთისო გიორგის ძე გიგაური. თიანეთი. ჩამწერი. ნ. სანელაშვილი. აფ. არქ., კ. 28, გვ. 92—94.

336. ღაბიპარ ჩემო ჩონგური

მთქმელი ალუდა თათარას ძე არაბული. სოფ. არხილო (წითელწყაროს რ.). ჩამწერი გ. შეთეკაური. ფ. არქ., კ. 118, გვ. 6.

337. რახელ კარგი ხარ

სნჯ., III, გვ. 173.

- რა კა რაიმ ას ზაფხული, ეხლა დაგვიდგა სთველიო,
 ა ის დრო როსლა მოგვივა, რომ ესწრებოდეს ქერიო,
 ბარში ჩქამობდის ნამჯალი, მთაში ელავდეს ცელიო,
 ემზადებოდის მხედარი, ნალებს იკრავდეს ცხენიო.
- 5 აბეჩავ წყალსიქოთელნო რაა გამოგრჩებათ მტერიო.
 წყალს იქით ბევრა ვაქია, მხრით მფრინავ შავარდენიო.
 სხვაგან ხევსურეთ ბევრია, ბაგაზე დასამბელიო.
 მთვრალა დაიწუებს კვეხნასა, სახელ თუ ვერა ვქენიო,
 მთვრალამ ვგრ იცის კვეხნაი, რომ მათხიზლება ძნელიო.
- 10 ვაქ უნდა იუოს მამაცი, იუღის ნაწინწელიო,
 არ აშინებდეს ხანჯარი, ფოლადის სათითენიო.

მთქმელი თამარ ქისტაული. სოფ. სიონი, თიანეთის რ. ჩამწერი —
 თამარ გოგოქური. 17/VII—61 წ. ფ. არქ., კ. 29, გვ. 254.

- რა კაი რამ ხარ ზაფხულო, როსა რა მახვალ სთველიო,
 როსა რა მახვალ ის დროი, ილასტებოდის ქერიო,
 ბარჩი ნათობდის ნამჯალი, მთაში გელობდეს ცელიო,
 ემზადებოდის მხედარი, იქედებოდის ცხენიო,
- 5 ვაქ უნდა აისეთაი, არ აშინებდის მტერიო.
 არ აშინებდის რკინაი ფოლადის სათითენიო.
 ბევრია ჩვენ სოფელშივა მხრით მფრინავ შავარდენიო,
 ბევრია სხვა სოფელშივა ბაგაზე დასამბელიო.

მთქმელი ბ. ჭინჭარაული. სოფ. გამარჯება. ჩამწერი — გ. შეთე-
 კაური 13. VI—62. ფ. არქ., კ. 116, გვ. 271.

338. ოხნრო წუთისოფალო

მთქმელი უ. ქისტაური. თეთრწყლები. ჩამწერი ნ. სახელაშვილი.
 1961 წ. ფ. არქ., კ. 11, გვ 315.

- ძნელია სიმართოეი, ხალხნ გხოთირობენ თვალშია,
 ერთ მარტუკულა დაეცოცავ, ალამდულიას ხალხშია.
 „მავკლათ და დაიკარგება“, ფიქრობენ თავის კვეამია.
 ფიქრობენ აოსითანი, — ვერ გამადიან კარშია,
- 5 ზაფხულში სიციხე აშინებს, სიცივე იანვარშია.
 სანაპიროზე სიძეზი არცად დაგეცასთ თავშია!

- მე უბირუას მეძახან, კაცის არა მაქვ დარდია,
არ შამიქამავე სირცხვილი, არც დამიხურავ ფლასია.
არც რა ვის გამაუხევევიორ მტერსა, შაყრილსა გზაშია!..
- 10 გაგუიდი ჩემო შამილო, გაგუიდი, ოქრად დარჩია!
თვალზე მამადგა ცრემლები, წინწინ რო შაგაფასია.
ისეთს მიგუიდი პატრონსა, გულ ეღვას რკინა ბასრია.
ჩქნევდას წალმა-უკულმა, სისხლს წვიმდას წმიდა დარშია.

მთქმელი ი. ქეთელაური. თეთრწყლები. ჩამწერი ნ. გოგოქური.
1961 წ. ფ. არქ., კ. 18, გვ. 167.

339. ხორნაულთას ციხე

მთქმელი მ. წიკლაური. ჩაწერილი როშქაში (ხევსურეთი) 1933
წ. ფშ. ხევს., გვ. 113.

340. სიმეზი

მთქმელი ზინ. შამნიაშვილი. ქიზიყი, ჭიმიითი. ჩამწერი მთავრიშ-
ვილი, 1889 წ. კოტ., გვ. 70. ახ. გამოც., გვ. 89.

341. არ ღრიღვბს თოფის ტყვიასო

მთქმელი მ. ლიქოკელი. სოფ. ქობულო. ფშ. ხევს., გვ. 123.
სტრიქ. 19 — დაბეჭდილია ტელიგრამისა — შეევასწორეთ დიალექტის
მიხედვით.

342. სანისაჲ მისღით ხავსურნო

მთქმელი ლაგაზა ზაიელი. უკანა ხადუ. ჩამწერი ქს. სიხარულიძე.
3. VII—1946.

343. კოჯმანაშვილი

კახეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. თაყ., 1. გვ. 374, № 5. შე-
ტანილია საისტორიო ლექსების ციკლში.

344. უენი გამჩენის ჰირიმი

ქართლი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. თაყ., 1, გვ. 323, № 999.
შეტანილია მესტვირული ლექსების ციკლში.

თუშეთი, ჩილო. ჩამწერი ი. ქარელიშვილი. კოტ., გვ. 159. ახ. გამოც., გვ. 175. ლექსი წყობით განიცდის გავლენას ამირანიანის ფრაგმენტისა „სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და ძმანი მისნი“. შეიძლება ხოტბის ნიმუშადაც წარმოგვედგინა.

346. წოწრას კაჲა

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., 1, გვ. 54.

347. ძმანო, შინსა უამთესსა

ქართლი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. თაყ., 1, № 549, გვ. 274. ასეთივეა 1897 წ. დაბადებული გიორგი თაბაგარის თქმით 1. VII—61 წ. სოფ. მისაქციელში ვ. ალიბეგაშვილის მიერ — ჩაწერილი ტექსტი. ფ. არქ. ქ. 68. გვ. 2.

ახალ ვარიანტს კონტამინაციის წესით ბოლო სტრიქონებად ერთვის საგმირო აფორიზმი „ხმალსა რას უშლის სიმოკლე“.

348. ხაღლი ლერენათა

მთქმელი ბაღია ბალიაური. ხევსურეთი. ჩამწერი ნ. ურბნელი. ივ., № 135, 1888 წელი; შან., № 81, გვ. 32.

349. არშას

ჩაწერილი ხევში. მოხ., გვ. 14.

350. კაცი არაჲინ გაშუა

ქართლი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. თაყ., 1, გვ. 192, № 70.

351. იჲა

ხევსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 87, გვ. 34.

352. მარიაშულიძე

ხევსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 92. გვ. 36.

მთქმელი აფშინა გოგოჭური. ჩამწერი აკ. შანიძე 1911 წ. შან., № 263, გვ. 117.

354. ჯვარ ხორხინანა შაბრუნდა

მთქმელი გიორგი ოჩიაური (გერგეტელი). სოფ. ახიელა, ჩამწერი ქს. სიხარულიძე. 2. VIII—1944 წ.

355. აბა ჯურჯიაული

მთქმელი ხეთისო ოჩიაური. სოფ. ახიელა (ხევსურეთი, არხოტის თემი) ჩამწერი ქს. სიხარულიძე, 28. VII—1944 წ. მთქმელის ცნობით სოფ. ახიელას ძველი ციხე ქისტების წინააღმდეგ საბრძოლველად აუშენებია აბა ჯურჯიაულს.

356. ვერიცანა

ჩამწერი გ. ნათაძე. ნათ., გვ. 96, № 154. ამ ლექსის ვარიანტში ვერიცანას ნაცვლად ერისთავი იხსენიება.

357. ღაძახილი ფანდურზე

მოხეური, სასიმღეროა. ქართ. სიმღ., 1, გვ. 62.

358. თუშეთის გმირები

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., 1, გვ. 51—52. თუ ლექსში მოხსენებული პირები სხვადასხვა დროის გმირები არ არიან, მაშინ ლექსი XVIII საუკუნეს ეხება, რადგანაც მასში იხსენიება გიორგი თილიძე — ერეკლე მეორის თანამედროვე.

ბ

იკითხავ კანთეს, ტერელოს, პირიქით ვინა კაი ყმა?

კონთოს არის დარცალი კარები ფოლადისაო.

ჰელოში — ზურაბთ გიორგი, გულ-რკინა ფოლადისაო,

დაქვირთას-მოზაიძეი, გალავან აღმასისაო

5 გირევეს — ზოსიკურთ ივანე დიჩინი დოლბანდიანი.

ფარსმაში — ავის ალუდა, კოშკია სიმაგრეიანი.

კეშოს — აბალოს დავითი ხმალია პირი-ფთიანი.

- დანოს-სულაქის თათარა, პურ-წყალი თუშეთისაო.
კველოს — თილიძე გიორგი, შიშია შორის მტრისაო.
10 დართლოში — თადიური სულ თავი დართლოელთაო.
ჩილოს — ქაზნიძე მეშველი ხელმწიფის დროშაიანი.

ჩაწერილი თუშეთში გ. ნათაძის მიერ. ნათ., № 7, გვ. 9.

359. შავი ხარ

ჩაწერილი ქართლში, კარბში. კოტ., გვ. 65. ახ. გამოც., გვ. 74.
პირველი ორი სტრიქონი წინ უძღვის ფილოსოფიურ ლექსსაც. შან.,
№ 127, გვ. 47. არის ხალხური ვეფხისტყაოსნის ნაწყვეტიც.

360. კარაქჩელ ახალგაზრდობა

ყაზბეგის რ. სოფ. აჩხოტი. ჩამწერი მიხ. მალსაგიშვილი, 1936 წ.
ფ. არქ., № 5102.

361. ძმავო, მებად დაგშვენდება

სამეგრელო. ყოფილი სენაკის მაზრა. ჩამწერი დ. ბარნაბიშვილი.
1871 წ. უმიკ., № 857, გვ. 328.

362. მბარნ დამთხვებიან

ხევისურეთი, სოფ. ბლო. ჭინ., გვ. 346.

363. ბერიკავ, შენი ფრანგული

ფშავი. ხოშარა. ჩამწერი მ. ტატიშვილი. ლიტ. მუზ. 20069—6.
ყ—341, გვ. 51.

364. ბერიკა დაღუბისშვილი

ხოშარა. ჩამწერი მ. ტატიშვილი. იქვე. გადაბმული აქვს წინა ნო-
მერს.

365. ოგოლათ ბათაა

მთქმელი გ. ჭინჭარაული. გამარჯვება. (წითელწყაროს რ.). ჭინ.,
გვ. 381. წამძღვარებული აქვს: „თიაცათ სიმღერე“. ლექსის რეალურ
საფუძველს გვაცნობს მასზე დართული გადმოცემა: „მითხოს ლაშქარ
მაუმწყვდევავ ქისტებს. ჩენი მშავლების ლაშქარ ყოფილ, სათავ მა-

უვლავ ბადუს ბაძიგათას [ბაძიგან ძალიენ მონან ხალხნ ოფილან, მანაცნი!.] შამაუთელავ ქისტებს: „ზავის ქნა თუ გინდათავ, თოფებ მაგვეციოთავ: ნიაის თოფივ, გიორგით ბათაკაისაივ თაძიასაივ (ჯალაბაურთ ფაძია რო ოფილ). ნიაივ დათანხმებულ, სხვებიც, მაგრამ ობოლათ ბათაკას, ნიაის სახლისკაცს, თქვენ პაპას უთქმავ: „ნიაის თოფსავ ერთ ნემსს არ მავხვსნივ, რო კაცის კიაპ არ დარჩასავ!“ უთხოვევ ხალხს ბათაკაისად: „ვქნათავ ზავივ. მივსცათავ თოფებივ, ტულიად ნუ დავიკოცებითავ“. ბათაკას მაინც არ უქნავ, არ დაუჯერებავ.

ბადუ თუ იმღერს სათავეჩი, უხარის, მამწყვედეულ რო ხყავ ლაშქარი: „ათიან-თორმეტნი მასრანივ მზას მქონავ, მზეივ მალლა დგასაო ომის ხანიც მაქეავ, ნუ სწუხნებითავ“ — ეძახდისავ ბადუივ ამხანაგებსავ“.

გაუგავ შატილ ბერ-ყმაწვილებს, ეინც შინ მამრჩლებ იყვნეს: ჩვენ ლაშქარ მაიმწყვედიესვ მანგიაის კელმძღვანელობით წასულ აქით ბერ-ყმაწვილები, მაუვლავ ქისტებისად სათავეი მიუთოფიან. რო უნახავ ქისტებს, რო კიდევ მავიდავ კევსურ-მშაველთ ჯარივ, გამაუშვიან ჩვენ ხალხი. „მამწონსავ აის მღერაივ, ჭალათ რო ამადისაო“. ჩამწერის უეკითხვაზე „ეს რაადალ ნათქვამი? მოქმელს უპასუხია: „იმად ნათქვამი, რო ბოლოჩი ნამყოფებ ქისტებ ერთ ნიას მაუკლავ, ერთ მშაველს. ქვენიოთ ტირილ-წყმუტუნ თუ ამადიოდისა, ბადუს ქვე არ მიზდიოდის. ბადუ „ილალა“-ს იძახდის. ნიას უძახებავ ბადუსად: „აის სიმღერა მამწონსავ, ქვენიოთ რო ამადისავ, ბადუო, შენ სიმღერა კი არაიავ, ცოტაის ხნისაიავ“ — იქვე, გვ. 381—382.

366. ნია

მთქმელი გ. ჭინკარაული. ჩაწერილი გამარჯვებაში (წითელწყაროს რ). ჭინ., გვ. 382.

367. ითიურიძე

ჩამწერი გიორგი ნათაძე. ნათ., გვ. 6. № 4.

368. შთხრილი ქალის ნათქოვი

მთქმელი ლელა სულხანაურის ას. წიკლაური — ბალიაურისა. 75 წ. წ. კ. უცოდინარი, ამჟამად გარდაცვლილია, ახალგაზრდობაში ნიჭიერი მოლექსე. სიდედრი ალექსი ოჩიაურისა — ე. ი. ბებია მხატვრების — ირაკლი და გიორგი ოჩიაურებისა. არხოტიდან ჩამოსახლებულა უკანა ფშავში, სოფ. შუაფხოში, რადგანაც მისი ქალი ნათელა ბა-

ლიაური ცოლად გაპყოლია სწორფერს ალექსი ოჩიაურს. სოფ. შუაფხო, ჩამწერი ქს. სიხარულიძე, 3. VIII — 1946 წ.

369. ვაჟ უნდა იყვას ისეთი

ავტორ-მთქმელი ხევისური ქალი სანდუა არაბული. ჩაწერილი 1943 წელს სოფ. ხორნაულთაში ბაბუტი უთურგას ძე ხორნაულისაგან. ფშ. ხევის., გვ. 125.

ბ

ქალი ვარ მთებში გაზრდილი, ვინ ჩამომიყვანს ბარადა, ვინაც ვაჟკაცი არ მომწონს, ვინ მომაწონებს ძალადა. არ მომწონს ისეთი ბიჭი, კარგ იყოს თვალა-ტანადა, რას უშველს სილამაზე, ხალხ უყურებდეს ქალადა.

- 5 მე მომწონს ისეთი ბიჭი, ფხიზელს დაკვლიონ მთვრალადა, სწორებს შარობა დაუწყას, სუ ქვეიდან შიშალასა, კრელი შაუხლის ხანჯარი, გულმკერდში გაატარასა, ცხოვრება არ მაიგონოს, დროშიც გაიტანასა, შნოება უნდა შულღშია, ფიცხლად ხმარება დანასა,
- 10 მტერს იმის ძახილ რად უნდა, მე გიზამ ამას, მაგასა, ვაი, რომ შორით კვებნამა ტყუილად ჩაიარასა. ამავის მალექსებელი ახალ გარმონზე სთვალავსა.

მთქმელი ბ. ჭინჭარაული. ს. გამარჯვება. ჩამწერი გ. შეთეკაური. 13. VI 62. ფ. არქ., კ. 116, გვ. 263.

370. ნება რა დედამ ბაბუარდა

მთქმელი სერგო ძამიაშვილი. კახეთი. სოფ. შრომა. ჩამწერი ი. ძამიაშვილი. 1937 წ. ფ. არქ., № 13325.

ი მ ე რ უ ლ ი

ბ

- ნება რა დედამ გაგზარდა ეგეთი მშენიერიო!
ზრდილი, ქველ-გმირი, მამაცი, ბრძენი და გონიერიო!
გიხდება პტყელი მხარ-ბეჭი, წვრილი წერწეტი წელიო!
ტურფა სახეზედ თვალ-წარბი, შავი უღვაში, წვერიო!
- 5 მოძმისთვის თავის გაწირვა, საკირანახულო დღენიო;
იარაღთ ჩაკაბულობა, ცქეტი, მფრინავი ცხენიო...

მთქმელი ვახტანგ რაზიკაშვილი. ჩამწერი ვახტანგ კოტეტიშვილი. კოტ., გვ. 88. ახ. გამოც., გვ. 104.

სტრიქ. 9. დაბეჭდილია ნ ა წ ი ლ ს ა. იბეჭდება შესწორებით ნ ა წ ო ლ ს ა. სტრიქ. 60 დაბეჭდილია დაკუნა — სხვა ვარიანტების მიხედვით შევასწორეთ დაკუნა. ლექსის პირველი ნაწილი — 32 სტრიქ. დაბეჭდილია აგრეთვე შან., გვ. 561, ახლავს განმარტებანი:

„როგორც მოყვანილი მუხლებიდან ჩანს, იგი გავრცობილია და ძალიანაც მისდევს ჩემს ნაწერს, მაგრამ ძველ მუხლებში რომ ამბავი პირველი პირის ფორმებით არის გამოცემული, ამას აღარ უდგება ჩამატებულ მუხლებში მესამე პირზე გადასვლა.

მერმე კიდევ მოსდევს ახალ-დამატებული ბოლო; „იარებოდა დედაი“ და სხვა, რომელიც ჩემ ჩანაწერთან შედარებით შემდეგ განსხვავებათ გვიჩვენებს. (აღვნიშნოთ უმთავრესება): 20. დაუბნელდა-დაუღამდათ; 22. დახვდა—შახვდა; 23. ვეფხვის დაქრილსა კლანჭითა—ვეფხვის კლანჭებით დაქრილსა; 25. ი შენი — ეს შენი; დაფითა — დაფლითა; 27. ბევრა დრო — მეტი დრო; 28 ველარცალ შენ დაიფარე — ველარც შენ დაიფარიე; ნაქონი — ნაჭერი; მმ. 31 და 32 აკლია); 36. ხან ვითამ იმის შვილმ ძლივის — ხან კიდენ იმისი შვილი; 39. ჩემებრ დღე და ღამ — ჩემზედ მეტადა; 40 წავიდ მეც აიქ-წავიდე, მეც იქ; 41 ამბავსა — ამბებსა; თავი — ჩემის; 42 ბრალიდ — ბრალი.

თითქმის სიტყვასიტყვით მეორდება იგივე ვარიანტი გ. თედორაძის წიგნში ერთ ადგილას (გვ. 78). ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ გ. თედორაძეს ან აქედან აქვს გადაბეჭდილიო, ან არადა როგორც ვ. რაზიკაშვილს, ისე გ. თედორაძეს ლექსი ერთისა და იმავე პირისაგან აქვს გაგონილიო. მეორე მოსაზრება უფრო საეჭვოა, რადგანაც ძნელი დასაჯერებელია, რომ ორ სხვა-და-სხვა პირს სხვა-და-სხვა დროს ერთნაირად ჩაეწეროს ლექსი თუნდაც ერთისა და იმავე მოამბისაგან. ჩემს ჩანაწერ ლექსებში ბევრია იმის მაგალითი, რომ ერთსა და იმავე მოამბეს სხვაგვარად გამოეყვანოს ლექსი მეორედ მბოძის დროს“. შან. გვ. 561—562.

ლექსი თარგმნილია რუსულად ვ. დერჟავინის მიერ. „Поэзия Грузии“, გვ. 18—19.

ფ შ ა უ რ ი

ბ

ბალდ ვიყავ პირ-შიშველაი, წვერნ მოვიარენ მთისანი;
შემოვესროლე ჭიკვებსა, ქალას ჯაჲნ იქნეს რქისანი;
შავვარდი ვეფხვისა ნაწოლსა, ხანნ იყენეს შუა-დღისანი;
წამამიფრინდა ტიალი, დამკოდა, დამღვა ნიშანი;

- 5 ქალას რომ თოფი გაეარდა, ხმან ვიციენეს სიათისანი;
საწყალს დედაჩემს უთხარით — რად უნდა ქადაგ-მისანი?
შაყაროს ჩემებ სწორები, შიბნ დაიარენენ კლდისანი;
დამმარხონ მკვდარი საფლავში, ზედ მამაყარონ ქვიშანი!..

ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ., ლექს., გვ. 199. ახლავს შენიშვნა:
სტრიქ. 6 — ქ ა დ ა გ-მ ი ს ა ნ ი — მკითხავი. გადაბეჭდილია შან.,
გვ. 564 — ვარიანტი ი გ.

ბ

ვეჯკაცმა, პირშიშველამა, მოვინადირე, დავლახე ბილიკნი, ქიოხისანი,
თოფ დავკარ ჭიხვისა ბეხელსა, ქალას „ჯახ“ იქმნეს რქისანი.
შემოუდამდა მოყმესა, კარ ვერ გაიხვნა გზისანი.
წინ ვეფხვი შამოყყარა, თვალები ჰქონდა მრისხანი.

- 5 შაიბნენ ვეფხვი და მოყმე, შაიძრა დედა-მიწანი.
მთელი დღე ისე იბრძოლეს, დღე დაუბნელდათ მზიანი,
გაზით გახივა კალთანი ჯაჲვისა ჯავშანისანი.
ფარსა იფარებს, ვერ ფარავს, ნადირ ჩქარია კლდისანი.
მოყმემაც ხელთა იყარნა ვადანი თავის ხმლისანი.
- 10 იმ ღროს გაუქრა ფრანგულმა, ხან იყო წაქცევისანი.
ვეფხვი კლდეს გადაეკიდა, გადააწითლა ქვიშანი.
მოყმე კლდის თავსა შემოწვა, საწყალ სულამომდინარი.
კლდესა შაღებამს სისხლითა პირთავზე ჩამომდინარი.
დაიარება დედაი საწყალი თვალ-ცრემლიანი:
- 15 „ჩემ შვილს გზას ვეფხვი შაყრია გაჯავრებული, ტიალი.
არც კი ვეფხვ შახვდა ჯაბანი, არც ჩემ შვილ იყო კვიანი.
ეხლა კი აღარ გიტირებ, არა ხარ სატირალია,
სწორშია, ლაშქრობაშია არ იყო საწუნარია.
ხან იტყვის: „ნეტა უდედოთ გაზრდა ვინა თქვა შვილისა?“
- 20 ვინ იცის, ვეფხვის დედაი იქნება ჩემებრ ტირისა.
ჩავეპარები წყეულსა, სამძიმარ ვუთხრა შვილისა.
ისიც მიამბობს ამბოვსა, მეც უთხრა თავის შვილისა,
იმასაც ბრალი ექნება უწყალოთ დაკოდილისა“.

ფშავი, მაღაროსკარი. ჩამწერი მარო ლომნიას ას. წიკლაური-ქენ-
ქაძე, ნათ., 9, გვ. 12. სათაურად აქვს „ფშავლისა და ვეფხვის ბრძოლა“.

დრონ ივენეს შუადღისანი
ვეფხვი რო წამამფრინდა, თვალნი მარისხნა ღვთისანი.
ჩამავლივ ვიწროს ყურესა, მაწითებინა ქეისანი.
შაიბნეს ვეფხვ და მოყმეი, მაშინ შაიძრნეს მიწანი.

- 5 კლდეებიც ჩამიშალა, ტოტებ დალეწეს ხისანი.
ფარს ქმარობს მოყმე, ვერ ისწრობს, — ჩქარნია ვეფხვნი კლდისანი.
ბოლოს მოყმემაც ..ჯარნა კელში ვადანი კმლისანი.
იმ დროს გაუჭრა ცრანგულმა, დრონ ივენენ წაქცევისანი.
ვეფხვი კლდეთ გადაეკიდა ტოტიდან სისხლებ-მდინარი.
- 10 მენაც კლდის ძირში შამოვწევე, მენაც სულ-ამამდინარი.
ბეჩავს ჩემს ღედას რად უნდა ქადაგი, ან და მისანი?
დაძებნონ ჩემმა სწორებმა ყურე-მარენი მთისანი.
აგებ ძვალ მაინც დაქელონ ლამაზის ვაჟკაცისანი.
ღებსაცა გამოიგებოთ, ნაწნავ დაიჭრან თმისანი.
- 15 სწორებში ნულარ გამოვლენ მგლოვიარენი ძმისანი.

—

ღედა ატირდა ბრალადა: შვილო, აღარ მაქვ ძალია.
მშვიდობით! ჭვარი გეწერას, ეგეც საშარის კარია.

სოფ. კაწალხევი. შან., გვ. 563. აკ. შანიძისათვის ტექსტი ვახტანგ
კოტეტიშვილს გადაუცია. აკ. შანიძის შენიშვნა: „ეს ნაწყვეტი გავრ-
ცობილი სახისაა“.

არის კიდევ ფშაური ვარიანტები:

ე

მთქმელი ივანე გაბიდაური, სოფ. ყვარიდან. ჩაწერილი აკ. შანი-
ძის მიერ ჯაბლევში, 2. V—1913 წ., შან., გვ. 563.

ვ

ჩამწერი ვ. ტ უ ქ ს ი შ ვ ი ლ ი. სტრიქ. 7 — დაბეჭდილია ა ვ შ ა-
ნ ი ს ა ნ ი — უნდა იყოს ჯ ა ვ შ ა ნ ი ს ა ნ ი.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ზ

მოყმემა პირ-შიშველამა შიბნ გაიარნა კლდისანი,
მოინადირნა, დალაქნა ბილიგნი კიუხისანი.
შამაქლეს კილდის თავზედა ხორონი ჭიკვებისანი.
ჭიკვსა თოფ დახკრა ბეკენსა, ჭალას ჭაქნ იქნეს რქისანი.

- 5 შუა გზას შამალამდა, დრონ იყვეს შულამისანი.
 გზას ვეფხვი შამეყარა, თვალნი არისხნა ღვთისანი.
 შაიბნეს ვეფხვი, მოყმეი, მაშინ დაიძრნეს მიწანი.
 კლდეები ჩამოინგროია, შტონ დაიღწენეს ტყისანი.
 დრონ აღარ დასჩეს მოყმესა, ვაღან ეწითლნეს კმლისანი.
- 10 ფარს უფარობს, და ვერ ასწრობს, ვეფხვი ჩქარნია კლდისანი.
 გაზით გაართვნა კალთანი ჭაჭვისა, ჭავშანისანი.
 მოყმემაკ ქელში იყარნა ვაღანი თავის კმლისანი.
 ნელ-ნელა გაპრა ფრანგულმა, დრონ იყენეს წაქეცვისანი.
 ვეფხვი კლდით გარდაეკიდა, ჩამაწითლნა ქვიშანი.
- 15 თაოდ კლდის თავზედ შამოწვა მოყმე სულ-ამაღმდინარი.
 ვინ ეტყვის მაგის ღვდასა, — კარს უსხენ ჭადაგ-მისანნი,
 უერთოდ არ დაიხარჩნეს ჩვენის აფხაზის ისარნი.

II

- იარებოდა ღვდაი ტირილით თვალ-ცრემლიანი:
 „ჩემს შვილს გზას ვეფხვი შახყროს გაჯავრებული, ტიალი.
- 20 ჩემს შვილს კმლით, იმას ტოტითა ღღე დაუბნელდა მზიანი.
 არც ვეფხვი იყო ჭაბანი, არც შვილ დახვდა კვიიანი.
 მათ დაუტოცავ ერთუცი, არ დარჩეს სირცხვილიანნი“.
 ტირილით წყლულებს უხვევდა ვეფხვის დაპირისა კლანჭითა.
 „შვილო, არ მახკვლო, შენ გძინავ, დაქანცული ხარ ჭავთია,
- 25 ი შენი ჭაჭვის კალთები ოქერმა როგორ დაფითა?!
 შენც იმის საფერ ყოფილხარ, კმალი ქნევაში გაგიცვდა,
 არც იმან მაგცა ბევრა დრო, აღარც შენ დააცალია,
 ველარცა-ღ შენ დაფარე შენ კელთ ნაქონი ფარია.
 ველარცა-ღ ვეფხვმა ტოტები, ქვალმა დაქუწა ძვალთა.
- 30 მაგის მეტს აღარ გიტირებ, შენ არ ხარ სატირალია:
 ლაშქარში, მეკობარშია არ იყავ საწუნარია.
 აქამდე მინც გაგზარდე ვეფხვებსთან მეომარია.
 მშვიდობით, ჭვარი გეწეროს ეგიც სამარის კარია“.
 ხან ვეფხვი, ხან თავის შვილი ელანდებოდის მძინარსა,
- 35 ხან ვითამ ვეფხვი იმის შვილს ახყრის ტანზეთ რკინასა,
 ხან ვითამ იმის შვილმ ძლივის, გარდაავლივის ყირასა.
 აიმაგ სიხმრებს ხედავდა, გამეღვიძის მტერალსა.
 ხან იფიქრებდა: „უღღლოდ გაზდა ვინა თქვა შვილისა?
 იქნება ვეფხვის ღვდაი ჩემებრ ღღე-ღა-ღამ ტირისა?
- 40 წავიდ, მეც აიქ მივიდა, სამძიმარ უთხრა ჭირისა.
 ისიც შიამბობს ამბავსა, მეც უთხრა თავის შვილისა.
 იმასაც ბრალი ექნების უწყალოდ კმლით დაპირისა“.

მთქმელი უნცრუა (ლუკა) ჯაბუშანური. ჩაწერილი თბილისში აკ. შანიძის მიერ 15. III—1925 წ. შან., № 519, გვ. 208—209. სათაურად აქვს „მოყმე და ვეფხვი“. სათაურის ქვეშ ფრჩხილებში აღნიშნულია: „ძველი სიმღერე, ახლად გადაკეთებული და გავრცობილი“. გა-

მოყოფილია მეორე განყოფილებად და მთქმელის ცნობის მიხედვით ლექსის ახალ ნაწილად მიჩნეული პირველ ნაწილად გამოყოფილში-კი პეტიტითაა აწყობილი სტრიქ. 2—3 და 7—10 და 12 და მთქმელის ცნობით მიჩნეულია ახლად დამატებულად. ძველი სიმღერეს გადაკეთება-გავრცობას მთქმელი მიაწერს გიორგი უთურგას ძე ჭაბუშანურს. იქვე, გვ. 559.

მ

მოყმემა პირ-შიშველამა შიზნ გაიარან კლდისანი,
გადაიარანა, — ავიდა, — ბილიკინ ჭიუხისანი,
თოფ დახკრა ჭიქესა ბეკენსა, ჭალას ლაწნ იქნეს რქისანი.
ზედ ლამემ უსწვრა მოყმესა, გზან ვერ გაიღნა კლდისანი.

გზას ვეფხვი შამაეყარა, ხანნია შულამისანი.
შიზნენს ვეფხვი, მოყმევი, მაშინ დაიარნეს მიწანი.
ფარის ფარებას ვერ ასწრობს, ვეფხვი ჩქარია კლდისანი,
გაზით გაართვნა კალთანი ჭაჭვისა, ჭაფშანისანი.
მოყმემაც ქელად იყარანა ხე-ტარნი თავის, კმლისანი,

- 10 იმ დროს გაუქრა ჭარულმა, ხანნია წაქცევისანი.
ვეფხვი კლდეთ გადაეკიდა, წითლად ჩაღებნა ქეიშანი.
თაოდ კლდის თავზე შამაწვა მოყმე სულ-ამომდინარი.
ვინ ეტყვის მაგის დედასა, — კარს უსხენ ქადაგ-მკითხავნი, —
„უერთოდ არ დაიხარჩნეს შენის აფხაზა ისარნი?“

მთქმელი და ჩამწერი ბეს. გაბური. შან., გვ. 559. ახლავს აკ. შანიძის შენიშვნა: „როგორც ჭგავს, ბ ე ს ა რ ი ო ნ ის ძველ ლექსში თითო-ოროლა მუხლი ახალიც გაჰპარვია.

ჩემ მიერ იმავე ბ ე ს ა რ ი ო ნ ის ა გ ა ნ 1911 წ. ჩაწერილი ვარიანტი ამისაგან რამოდენადმე განსხვავდება: მეორე მუხლი აკლია, სამაგიეროდ იქ იკითხება. შამოკდეს კილდის თავზედა ხორონი ჭიქვებისანი; 4 ზედ-თან; 6 შიზნენს... ეს ერთი მუხლი აკლია ჩემს ჩანაწერში; 10 ჭარულმა, ხანნია-ფრანგულმა, დრონია; 14 შენის აფხაზის ისარნი — ის შენი შვილის ისარნი“, იქვე, გვ. 560.

მ

მოყმემ თქვა, პირშიშველამა, შიზნ გავიარენ კლდისანი,
გავგალენ, დავინადირენ ბილიკინი ჭაუხისანი.
თოფ დავხკარა ჭიხესა ბერხენსა, ჭალას ჭახნ იქნეს რქისანი.
ზე ბნელი ლამე ღამეცა, შიზნ ვერ გავიგენ კლდისანი.
ვეფხვსა შავღვარდი ნაწოლსა, დრონ იყენეს შულამისანი,
ვეფხვი საომრა მეტია, თვალნი მარისხნა ხთისანი.

კალთან ნაგაბრა გამართენა ჭაქვისა, ჭავჭავისანი.
შამაგდა იწროს ყურეზე, მაწითებინა ქვიშანი.
ჩემსა უთხრიდი დედასა, რად გინდა ქადაგ-მისანი.

- 10 ჩემებმ დაძინან სწორებმა იწროს ყურენი მთისანი,
შაიძლებოდან დახელნან ნაგლეჯნი ყაწიმისანი,
ნელ-ნელა გაქრა ფრანგულმა, დრონ იყენენ წაქცევისანი.
ვეფხე მკლავზე გარმოვიწვინე, მასკვლავ დათხოვედეს ცისანი,
ელთან სულთად ამოსვლას დარალიანნი კლდისანი.
- 15 ამბობენ ჩათელებასა, ყორანნი შაეის ფთისანი.

მთქმელი მინდია ძიას ძე არაბული, 75 წლის. ჩხუბა. ჩამწერი გიორგი ჯაფარიძე. 1972 წ. თებერვალი. მთქმელის შენიშვნა: „პირიქითულია, არხოტოვნიული ეს ლექსი, ამბავი იქაურია“. თსუფა № 11581. ტექსტს ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 2. გავგაღენ-მივთელ-მოვთელე, მივიარ-მოვიარე, გადავიჭირგალე; სტრიქ. 7. კალთან ნაგაბრა გამართენა — ჭაქვის კალთები ნაფლეთებად მიქცია; სტრიქ. 8. მაწითებინა — მაწითლებინა, სისხლი დამადინა; სტრიქ. 11. ყაწიმი-ხმლის სარტყლის ან ტანსაცმლის ვერცხლის სამკაული; სტრიქ. 13. მასკვლავ დათხოვედეს ცისანი — ვარსკვლავები სწრაფად მოსწყდნენ, წავიდნენ ციდან, სტრიქ. 14. დარალიანნი კლდისანი — ეშმაკეულნი; სტრიქ. 15. ჩათელება — აქ ფარფაშით ჩასვლა.

0

მაცემ მთქვა პირშიშველაჲ. — ცერ გავიარე მთისანი,
შავღვარდი ვეფხესა ნაწოლსა, დრონ იყენეს შულაძისანი;
წამათრინდა და ომი ქნა, თვალნი მაროსხნა ღთისანი,
გაზით გამართ(ე)ნა კალთანი, ჭაქვისანი — ჭავჭავისანი,

- 5 კალაში ჩამამიყვანა, ტოტით მითხარა ქვიშანი,
თავითა ყორნებ დამისვა, ცით ჩამოსულნი თბიანნი.
სულ მეღიან ეშმაკნი, დარალიანი კლდისანი,
მეშველ(ე)ობით ვიძახდი, მეშველ არ მექნეს ყმისანი.
კალით მადის თოფის ხმა, ხმან ვიცნენ ძეგლოვისანი.
- 10 ბეჩავსა ჩემსა დედასა კარს უდგან ქადაგ მისანი,
რად უნდა ქადაგ მისანი, შიბნ დაიძინენ კლდისანი,
დას ვინად გამიგებებს, ნაჰაპნ დაიჭრანს თმისანი!

მთქმელი გიორგი თათარას ძე არაბული. ჩამწერი ნ. ხიზანაშვილი. ხელნაწ. ინსტ. A—5293, გვ. 442. ახლავს სიტყვათა ახსნა: სტრიქ. 11. ძე გ ლ ი გ ი — თოფის სახელია; სტრიქ 11 შ ი ბ ნ — კლდის ბილიკი, ლავგარდნი; სტრიქ. 12. ნაწნავების დაქრა იციან, როცა ერ-თადერთი ძმა ჰყავთ და მოუკვდებათ.

სტრიქ. 7. თ ბ ი ა ნ ნ ი გვერდით ფ რ ა ხ ი ლ ე ბ შ ი ა ფ რ თ ი ა ნ ი.
არის სხვა ხევისურული ვარიანტები:

ი ა

სოფ. ჩიგლაურთა. ჩამწერი გ. ბოჭორიძე 30. VII. 1902. შან., გვ. 564. ახლავს შენიშვნა: „შეიძლება აქ მოყვანილის (მოყმისა და ვეფხვის) სიმღერის ძველ ნაწილში მოთხრობილ ამბავთან კავშირი ჰქონდეს ერთს ჩემ მიერ გაგონილ თქმულებას, რომელიც ბარისაკოში ჩავიწერე ბ ა თ ი კ ა ჯ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი ს ა გ ა ნ 1911 წელს: ერთ ადგილას კლდეში ვეფხვი გამოჩენილა და გავლელ-გამოვლელი ხალხი ყველა დაუხოცავს. ერთ კაცს, მ გ ე ლ ა ყ უ რ ა უ ლ ი ს ძ ე ს , იმ გზაზე ჩავლა მოჰხდომია. ჩავლისას ვეფხვი მძინარი ყოფილა და მგელას არ უკადრნია მძინარი მხეცის მოკვლა. ამოვლისას კი ტვირთი ჩამოუღია მხრიდან, დაუდევს და შეუძახნია: „შე ძაღლო, რას უგდინხარ ამაშიო? მგელა მოვიდა, ადევო!“ ვეფხვი წამომხტარა, ტოტი დაუკრავს მგელასთვის თავში და „ტვინზეით სრუ სვალი მოუტლავ“, მგელას სამაგიეროდ დაურტყამს ხმალი და ტოტი მოუჭრია. ვეფხვი იქვე მომკვდარა, მგელა კი შინ მისულა და იქ მომკვდარა. ამაზე ნათქვამიაო:

ტოტით ვეფხვმ, მგელამ ფრანგულით დღე დააღამეს მზიანი... მუხლის პირველი ნახევარი ბ ა თ ა კ ა მ პირველად ასე მითხრა: კმლით მგელამ, ტოტით ვეფხვმ“. იქვე 565.

ი ბ

ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., გვ. 560. არის კიდევ ხევისურეთში ჩაწერილი ფრაგმენტული ვარიანტები, რომელნიც რაიმე თავისებურებას არ იჩენენ. ერთი მათგანი ჩაწერილია თ. რაზიკაშვილის მიერ. შან., გვ. 560, მეორე — მაყვალა მრეველიშვილის მიერ. იქვე, გვ. 563. ერთი ვარიანტის გამო აკაკი შანიძე შენიშნავს:

„გავრცობილ-გადაკეთებული ვარიანტი ჩაუწერია ჩ ი ტ ი ა (ქრისტინე) შ ა რ ა შ ი ძ ე ს ა ც 1924 წ. ტფილისში ჩამოსული ხევისურები-საგან. მთავარი განსხვავებანი ჩემს ჩაწერილთან შედარებით: ზოგი მუხლი აკლია. ამას გარდა: 16. მაგის დედასა/ ჩემსა დედასა; 17 ჩვენის აფხაზის/ იმ მონადირის; 24 შენ გძინავ/ ქვე გძინავ; 25 ი შენი ჯაჭვის კალთები ოკერმა როგორ დაფითა/ ი მამაძაღლის ოკერმა ე ჯაჭვი როგორ დაფითა; 35 ახყრის ტანზეით/ ტანზეით ჰყრიდა; 39 ჩემებრ დღე და ღამ/ ჩემზე უმეტეს; 41 ისიც მიაშობს ამბავსა, მეც უთხრა თავის

შვილისა/ მეც უთხარ ჩემი ამბავი, იმანაც — თავის შვილისა.“ შან., გვ. 560—561.

მ თ ი უ ლ უ რ ი

იბ

ჩიქეს თოფი დავკარ ბერტენსა, ქალას ჩახი ქნა რქისაო.
ზედ ბნელი ღამე ღამეცა, გზა ვერ გავიგე კლდისაო.
წინ ვეფხვი შამომეყარა, ხანია თენებისაო.
მიმწურა კლდეზე, მიმჩარა, აღარც მეშველი ყმისაო.
5 მაშინ ღა გაჰკრა ცალპირმა, გზა ნახა შავეთისაო.

მთქმელი ივანე აფციანური. სოფ. ღუმაცხო. ჩამწერი ელ. ვირსა-
ლაძე. 1934 წ. ვირსალ., № 87, გვ. 145.

მ ე ს ხ უ რ ი

იღ

ხელნაწ. ინსტ. H—1999, № 89.

372. შვილს ძმათა

ფშავი. ჩამწერი ვაჟა-ფშაველა. თაყ., 1, გვ. 299, № 46. ახლავს-
შენიშვნები სტრიქ. 6—მ წ კ ლ ი თ — ბრჭღალით. სტრიქ. 8— მ უ რ -
ყ ა ნ ი — ხეა. სტრიქ. 10— უ ნ დ ა უ რ — რომელიც სძულს.

არსებობს ამ ლექსის თარგმანი რუსულად შესრულებული კ. ლიბ-
სკეროვის მიერ. „Поэзия Грузии“, გვ. 28.

ქ ა რ თ ლ უ რ ი

ბ

ჩვენ, შვილთა ძმათა მთვარელთა, მთას ვეფხვი გამოგვეკიდა.
შვილთავე ვესროლეთ თოფები, მას ერთი არ მოეკიდა.
ესროლა ბერმა ბიძამა, — ვეფხვი კლდეს გაღმოეკიდა.

ს. საქაშეთი. ჩამწერი გიგო დიასამიძე. შან., გვ. 559. ახლავს შე-
ნიშვნა აკ. შანიძის: „შვილი გურჯანელის სიმღერის დასაწყისი რამო-

დენადმე მთვარელთა ლექსს მოგვაგონებს (ნ. მაგალითად Lach, №№ 29, 54, 77, 100)“, იქვე. ცნობილია, რომ ვენაში გამოიცა ქართული სიმღერების შემცველი წიგნი — Lach, R. Gesänge russischer Kriegsgefangener, aufgenommen und hrsg. Bd. III: Kaukasusvölker. Abtlg. 1: Georgische Gesänge. Transkription und Übersetzung der georgischen Texte von A. Dirr. Wien, 1928.

ბ

შვიდთაჲ ძმას, მერვე ბიძასა მთას ვეფხვი ჩამოგვეკიდა.

შვიდთაჲ ვესროლეთ შვიდ-შვიდი, მას ტყვია არ მოეკიდა.

ესროლა მერვე ბიძამა, კლდეს ვეფხვი გადმოეკიდა.

ნეტაჲ ან შვიდნი დაგვხოცა, ან შვიდნიჲ ქალად გვაქცია.

5 ეს ჩვენი თოფ-იარაღი ქალას მურყანზე დაჰკიდა.

მთქმელი იოსებ დედანაშვილი, 1867 წ. დაბადებული, 94 წ. კავთისხევი. ჩამწერი თ. კუკავაძე, 1961 წ. ივლისი. ფ. არქ., ქ., გვ. 142.

ლექსს წინ უძღვის გადმოცემა: „შვიდი ძმანი იყვნენ მთაში ცხვარში, მერვე—მოხუცებული ბიძა. მალა მთიდან ვეფხვი ჩამოვიდა, ძაღლები აბა რას უზამდნენ. შვიდმა ძმამ ესროლა შვიდჯერ და ვერ მოკლეს. ესროლა ბიძამ ბერიკაცმა და ვეფხვი კლდეზედ გადმოეკიდა. ითაკილეს იმათა. ამ ბერიკაცმა როგორ გვაჯობაო“, იქვე.

დ

კ ა ხ უ რ ი

გუშინ შვიდნი გურჯანელნი, სანადიროდ წასულიყვნენ,

იქ მოეკლათ თეთრი ტახი, ხორცი მოემრავლებინათ.

ჩვენ, შვიდთა ძმათა ხევსურთა, მთას ვეფხვი გადმოგვეკიდა.

შვიდთა ვესროლეთ შვიდ-შვიდი, ვერც ერთი ვერ მოეკიდა,

5 ესროლა ბერმა პაპამა, ვეფხვი პწყლით გადმოეკიდა.

აქვს საკუთარი მელოდია. სიმღერის სიტყვიერი ტექსტი კონტამინაციის ნიმუშად მიგვაჩნია. შეერთებული უნდა იყოს სანადირო თემატიკის ორი დამოუკიდებელი ტექსტი. ამგვარი კონტამინაციის ნიმუშები ჩაწერილია საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ქართ. სიმღ., 1, გვ. 346.

ფ შ ა ლ რ ი

ე

შვიდს ძმასა, მერვეს ბიძასა, მთას ვეფხვი გადმოგვეკიდა,

შვიდთაჲ ვესროლეთ შვიდ-შვიდი, ვეფხვს ერთიც არ მეეკიდა,

ერთი ესროლა ბიძამა, — ვეფხვი ბწყლით ჩამეყიდა.
ნეტამც ჩვენ თოფ-იარაღნი ჰალას მურყანზე დაჰკიდა,
ანამც გვაქცია ქალადა, უნდაურ ქმრებშიც აგვიკიდა.
ანამც გვაქცია ხუცადა, გულზე ოღრებიმც დაგვიკიდა.

მოყვანილია ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიულ მოთხრობაში „ფშა-
ველი და მისი წუთისოფელი“. ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრებ. IV, 1961,
გვ. 128. შან., გვ. 558; ახლავს სიტყვების ახსნა: სტ. 9 არ მეექი-
და — არ მოხვდა? სტ. ბწყლით — ბრჭალით, თათით.; სტ. 4 ნე-
ტამც ჩვენ — ე: ი. ჯიელების; სტ. 84 მურყანზე — ხეა; სტ.
5 უნდაურ — რომელიც სძულს; სტრ. 9 აგვიკიდა — შეგვერთო.

3

შვიდთ ძმათა, მერვე ბიძასა ვეფხვი მითი გამოგვიკიდა;
შვიდთავ ვესროლეთ შვიდ-შვიდი, ვეფხვს ერთიც ვერ მოვიკიდა;
მერვემ ესროლა ბიძამა, ვეფხვი ბწყლით ჩამოვიკიდა:
შვიდნივამც ქალად გვაქცივნა, ცუდაიმც ქმარად აგვიკიდა,
ეს ჩვენი თოფ-იარაღი ჰალას მურყანზედ დაჰკიდა,
ანამც ხუცესად გვაქცივა, ყელზედ ოღრები ჩაგვიკიდა!..

ფშავი, ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 50. ასეთივეა —
კოტ., გვ. 212. ახ გამოც., გვ. 232. უკანასკნელი სტრიქონები ჩაწერილი
დ. ხიზანაშვილის მიერ იხ. აგრეთვე შან., გვ. 559. № 518-ს ვარიანტი დ.
ცნობილია კიდევ ფშაური ვარიანტები:

ზ

მთქმელი კაცრიელ არჩემაშვილი, თეთრაქვეელი. ს. ჯაბლევი.
ჩამწ აკ. შანიძე. 28. IX—1913 წ. შან., გვ. 558.

შ

მთქმელი გ. ჩარბოლაშვილი.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ი

ჩვენ, შვილთა ძმათა თვარელთა, მთას ვეფხვი გადმოგვიკიდა,
შვიდთავ ვესროლეთ შვიდ-შვიდი, ვეფხვს ერთიც არ მავიკიდა.
ბერმა ესრია ბიძამა, უიათა ჩამევიკიდა.
ერთიც ვერ დავეფერენით, თესლი არც-რა სხვა გვიკიდა.

ეს ჩვენებ იარაღები ჰალას მურყანთამც დახკიდა
ჩვენამც ჰალნი გექნა ლამაზნი, საქმარედ ცული აგვეკიდა
ანამც ვინ ბარის ხუცესნი, ყელს მახალაკი დაგვეკიდა
ანამც ვინ თეთრნი ღურბელნი, მთის ყურენ ჩაგვათოვინა
ანამც ვინ ვეშა წყარო გექნა, გუდან ბელლის კარ გვადინა
ჰალ-რძალნი ჰინჰარაულთა პირისაბანად აღინა
ანამც გექნა არწიენი ღალნი, კაჰმატ ჯვარის კარ გვადინა
ანამც ვინ კიციენი რემანი, ბალხეთის ზვარნი გვაგლიენა

ხეცსურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 518, გვ. 207—208.
სათაურად აქვს: „შვიდნი ძმანი და იმათი ბიძა“.

ია

ეს ჩვენი იარაღები ჰალას მურყანსამც დაჰკიდა
ჩვენ ბარის ხუცად გვაქცია. ყელზე ოღრები დაგვეკიდა
ანამც გვაქცია ჰალადა, ყროლიმც საქმარე აგვეკიდა

ჩამწერი ვ. ტუქსიშვილი. შან., გვ. 559.

მ თ ი უ ლ უ რ ი

იბ

ჩვენ შვილთა მამა-ბიძათა მთას ვეფხვი ჩამოგვეკიდა;
შვილთ ვესროლეთ შვიდ-შვიდი, ვეფხვს ერთი არ მოვეკიდა.
ესროლა ბებერ ბიძამა, ვეფხვი პწკლით ჩამოვეკიდა,
ეს ჩვენი თოფი, აბჯარი ჰალას მურყენსამც დაჰკიდა.
5 ჩვენამც გვაქცია ჰალადა, თმისა ნაწნავი დაგვეკიდა,
იქნება გავვათხოვებდეს, ცუდიცა ჰმარი აგვეკიდა.

მთქმელი შიო მეყორაშვილი. სოფ. ფასანაური, ჩამწერი ელ. ვირ-
სალაძე. 1934 წ. ვირსალ., № 88, გვ. 145.

ი მ ე რ უ ლ ი

ივ

გუშინ შვიდი ახალგაზრდა სანადიროდ წასულიყვენენ,
იქ მოეკლათ თეთრი ტახი, ხორცი მოემრავლებინათ.
შვილთა ძმათა ხეცსურელთა, ტყეს ნადირი მევეკიდა,
შვილმა ესროლა შვიდ-შვიდი, არც ერთი არ მევეკიდა,
5 ესროლა ძველმა პაპამა, ჯიხვი რქით ჩამოვეკიდა.

მთქმელი ვემელიან მიქაძე, 55 წლის. სვირი (ზესტაფონის რ.) ჩამწერი მაყვალა ჯმუხაძე. 1961 წ. ივლისი. ფ. არქ., ი. 85, გვ. 1.

იღ

გუშინ შვიდი გურჯანელნი სანადიროთ წასულიყო. იქ მოვკლათ თეთრი ტახი, ხორცი დაეგროვებინათ. ესროლა შვიდმა შვიდ-შვიდი, არც ერთი არ მოხვედრია, ესროლა ბერმა პაპამა, ჯიხვი რქით გადმოეკიდა.

მთქმელი ვლადიმერ ჩუბინიძე. 76 წლის. ხელოსანი. სოფ. ქვედა საზანო (ზესტაფონის რ.), ჩამწერი მაყვალა ჯმუხაძე, 14. VII—1961 წ. ფ. არქ., ი. 85, გვ. 49.

373. ავთანდილ გადინადირა

ლ ე ქ ს ე ბ ი სახალხო სიმღერებისაგან შედგენილი პეტრე უმიკაშვილისაგან. ტფილისი, 1874 წ., გვ. 10. სათაურად აქვს „ავთანდილის ლექსი“.

ქ ა რ თ ლ უ რ ი

ბ

ავთანდილ გადინადირა ქელი მალალი, ტყიანი, ვერც მოჰკლა ხარი, ვერც ფური, ვერცა ირემი რქიანი, შველსა ჰკრა გამოფრენილსა ისარი ორბის ფრთიანი, ცხენის ტახტაზე დაჰკიდა ტყავგაუხდელი მთლიანი.

- 5 ჩამოხტა ტყისა პირადა, ცეცხლი დაანთო ძლიარი, დაჭდა და თალა შამფური, მწვადი ააგო მცერნიანი. სანამ მწვადი შეიწოდა, ცხენსა მისცა საძივარი. ცხენმა კაცი დაინახა — შორი გზიდან მომავალი, შეხტა ლურჯა, შესეხვივინა, რომ ეს კაცი ავი არი.
- 10 მეჩინიბეს დაუძახა: — ლურჯა მომგვარე ჩქარადა, გავაზე ხელი გადუსვა, ზედ წამოახტა მარდათა, გზა წვრილი გაარბენინა, მინდორი უფრო ჩქარადა. უკუ იხედა, მოსდევდნენ ის ურჯულონი ჯარადა. ასი ჰკლა, ასი დაჰკოდა, ერთი გადურჩა შავადა.
- 15 ერთი იმანაც ესროლა, სისხლი წაევიდა ღვარადა. მუხასა ბეჭი მიადო, შტო დაიწია ფარადა, დაჭდა და წიგნი დასწერა, მტრედსა შეაბა მხარადა. — ეს დედაჩემსა მიმირთვი, ველარ მოგივალ ჩქარადა. გიყვარდა თეთრი მანდილი, ჩემზე შელეზე შავადა,

20 ეგ ჩემი ჩოხა-ნაბადი კარზე დაჰკიდე ფარადა,
 ეგ ჩემი ქამარ-ხანჯალი ღვდელს მიეც საწირავედა,
 ეგ ჩემი ცოლი პატარა არ გაათხოვო ჩქარადა,
 თუ მისცემ, ისეთ კაცს მიე, მე მჯობდეს თვალად-ტანადა,
 ეგ ჩემი ციხე-დარბაზი თან გაატანე მზითვადა.

სოფ. ნიჩბისი, ჩამწერი გ. ხუტაშვილი. კოტ., გვ. 99; ახ. გამოც.
 გვ. 116.

გ

ავთანდილ გადინადირა ქედი მაღალი ტყიანი.
 ვერც მოკლა ხარი, ვერც ფური, ვერცა ირემი რქიანი.
 ნახტომსა თხასა ფერდსა ჰკრა ისარი ის პირფთიანი,
 ქანდრისა ძირსა ჩამოხტა, ცეცხლი დაანთო ძრიალი;

5 დაჯდა და შამფური თალა, მწვადი ააგო მცერნიანი.
 სანამ მწვადი შეიწოდა, ლურჯას მისცა საძოვარი.
 ლურჯამ კაცი დაინახა შორი გზიდამ მომავალი,
 შეხტა ცხენი, შეჰკიხვნინა: ისა კაცი ავი არი!
 მეჩინებეს დამიძახეთ: ლურჯა მომგვაროს ჩქარათა!

10 გაეაზედ ხელი გაღუსვი, ზედ წამოვასტი მარდათა,
 ვიწრო გზა გაეარბევინე, მინდორი უფრო ჩქარათა, —
 უკუ ვიხედე, მომდევნე ის ურჯულონი ჯარათა.
 ასი ვკარ, ასი მოვკალი, ერთი გადმირჩა შეავათა;
 ერთი იმანაც მესროლა, სისხლი წავიდა ღვარათა.

15 ჩამოხტო მუხისა ძირსა, ტოტი ვიწოდე ფარათა;
 დავჯექ და წიგნი დავწერე, ტრედ გამოვაბი მხარათა,
 ეს დედაჩემსა მიმირთვი, ველარ მოგივალ ჩქარათა.
 გიყვარდა თეთრი მანდილი, ჩემზედ შეღებე შეავათა;
 ის ჩემი ქამარ-ხანჯალი მღვდელს მიეც საწირავეათა;

20 ის ქალი ისეთ კაც მიე, მე მჯობდეს თვალათ, ტანათა;
 ის ჩემი ციხე ქალაქი თან გაატანე მზითვათა.

თბილისი 1864 წ. უმიკ., № 490, გვ. 263. ფ. გოგიჩაიშვილის შე-
 ნიშნა: „ეს არის ამ ლექსის უძველესი ჩანაწერი, რომელიც პ. უმიკა-
 შვილის მასალებში მოიპოვება“, უმიკ., გვ. 581.

დ

ავთანდილ გადინადირა ქედი მაღალი ტყიანი,
 ვერც ხარი მოკლა ვერც ფური, ვერცა ირემი რქიანი.
 ნახტომსა შევლსა ფერდსა ჰკრა ისარი ორბის ფრთიანი;
 ჩამოხტა მუხისა ძირსა, ცეცხლი დაანთო ძლიერი,

5 ცხენს მოხადა უნავირი თოქალთო უნავირიანი.
 დაჯდა და თალა შამფური, წვადი ააგო მცერნიანი,

- სანამ მწეადი შეიწვოდა, ლურჯას მისცა საძოვარი. ლურჯამ კაცი დაინახა, შორი გზიდან მომავალი, ლურჯა შეხტა, შეიკიხვინა აის კაცი ავი არი.
- 10 დაუძახეს მეჭინიბეს: ლურჯა მომგვართ ჩქარადა. გავაზე ხელი გადუსვა, ზედ წამოახტა მალადა, ვიწრონი გაარბენინა, მინდორი უფრო ჩქარადა. უკუ იხედა, მისდევდნენ ის ურჯულონი ჯარადა, ასი ჰკრა და ასი მოჰკლა, ერთი გადღურჩა შავადა.
- 15 ერთი იმასაც ესროლა, სისხლი წავიდა ღვარადა, ჩამოხტა მუხის ძირასა, ტოტნი იფარა ფარადა. დაჯდა და წიგნი დასწერა, მტრედს გამოაბა მხარადა. ეს დედაჩემსა მიმირთვით, ველარ მოუვალ ჩქარადა, გიყვარდა თეთრი მანდილი, ეხლა შეღებე შავადა.
- 20 ის ქალი ისეთ კაცს მიეც, მე მჯობდეს თვალად-ტანადა, ის ჩემი ქამარ-ხანჯალი მღვდელს მიეც საწირავადა, ეს ჩემი ციხე-ქალაქი თან ვაატანე მზითვადა.

მთქმელი ალექსი იოსების ძე ქებაძე, 78 წლის, კოლმეურნე. მცირე განათლებისა. სოფ. ვარიანი. 20/VII—1949. სათაურად აქვს „ავთანდილი“. ფ. არქ., № 32929.

ქართულურია ვარიანტები:

2

მთქმელი ხიზანოვი. დიდი თონეთი, ჩამწ. ვ. კოტეტიშვილი. 1934. წ. ლექსი ალაგ პირველი პირითაა ნათქვამი, ალაგ — მესამე პირით.

3

ჩამწერი ეკატერინე კუზანოვი. თბილისი. 1946 წ. ფ. არქ., 30030.

ზ

ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი. სათაურად აქვს „ავთანდილის სიკვდილი“, სნჯ., I, გვ. 52—53. მიხ. ჩიქოვანის ცნობით ეს ტექსტი გადმობეჭდილია მის მიერ ილო მათიაშვილისგან ჩაწერილი თქმულებიდან „ტარიელი და ლერწამ-დარეჯანი“ (მიხ. ჩიქოვანი, ხალხური ვეფხისტყაოსანი, გვ. 263). მაგრამ ტექსტებს შორის არის დიდი განსხვავება. გარდა იმისა, რომ „ხალხურ ვეფხისტყაოსანში“ შეტანილი ლექსი 46 სტრიქონიანია და „საუხჯეში“ გამოქვეყნებულში კი — 32 სტრიქონიანი.

U

- ავთანდილ ჩავინადირე მთები მალალი, ტყიანი,
ვერც მოვკალ ხარი, ვერც ფური, ვერცა ირემი რქიანი;
ერთსა თხას ფერდში უწივე, ის იყო ორი ფთიანი,
დაეჭექ და შამფური ვთალე, მწვადი ავაგე მცერიანი;
- 5 სანამ მწვადი შიწოდა, ცხენსა მივე საბუარი.
ცხენმა კაცი დაინახა შორი გზიდან მომავალი.
— მეჭინფეს დამიძახეთ, ლურჯა მამგეაროს ჩქარათა
გვაზე ხელი გადუსეი, მარდათ მოეახტი ზურგზედა,
მინდორი გავარბენინე, ვიწრონი უფრო ჩქარათა,
- 10 მოვიხედე და მომდევდნენ ის ურჯულონი ქარათა —
ასი ვეარ, ასი გავწყვეიტე, ერთი გადმირჩა შავათა.
იმანაც ერთი მიწვდინა, — სისხლი წაივინა ღვარათა.
დაეჭექ და წიგნათ დაესწერე, მტრედს გამოვადი მხარათა: —
— ეს დედაჩემსა მიმიერთვით, ვერ მიუველი ქარათა;
- 15 ეგ ჩემი ციხე ქალაქი სოფელს დაუღე შარათა;
ეგ ჩემი ცოლი ლამაზი ვინძლო ისეთ კაცს მიმიცე,
მე მჯობდეს მუხლათ, მკლავათა.

საგარეჯო. ფ. არქ. უმიკ. 490. შენიშვნა: „ფარინას ეკუთვნის“ —

თ

- ავთანდილ გაღვინადირე ქედი მალალი, ტყიანი.
ვერც მოვკალ ხარი, ვერც ფური, ვერცა ირემი ჩხიანი.
ნახტომსა შველსა ვესროლე ის არი ორბის ფთიანი.
ცხენსა ტახტაზე დაეკიდე ტყავგაუხდელი, რქიანი.
- 5 მუხისა ძირსა ჩამოვხდი, ცეცხლი დავანთე ძლიერ.
სანამ ცეცხლი დაენთება, მწვადიც ავაგე მცერიანი.
ლურჯამ კაცი დაინახა შორი გზიდან მომავალი.
შახტა და შიკიხვინა — იმ სამტროთ მოსული არი.
მეჭინიბეა დაუძახა, ლურჯა მამგეარე ჩქარათა,
- 10 გვაზე ხელი გადუსეა, ზედ წამოახტა მარდათა.
უკან იხედა, მაზღედა ის ურჯულონი ქარათა.
მიწრონი გაარბენინა, მინდორი უფრო ჩქარათა;
ასი მოკლა, ასი დაჰკრა, ასი გადურჩა შავათა,
ერთი იმანაც ესროლა, სისხლი წაივინა ღვარათა.
- 15 დაქდა, წერილი დაწერა, მტრედ გამაბა მხარათა:
— ეს დედაჩემს მიუტანე, ველარ მოგვივალ ავთანდილ,
გიუვარდა თეთრი მანდილი, ჩემზე შადღებამ შავათა,

ეგ ჩემი ქალი კაც მიე. მე მჭობდეა ტანათ, თვალათ,
ეგ ჩემი ქამარ-ხანჯალი თან გაატანე ქრთამათ.

ჩამწერი კარბელაშვილი. ფ. არქ., № 22474.

ი

- ავთანდილ გადინადირა ქედი მაღალი, ტყიანი.
ვერ მოკლა ხარი, ვერც — ფური, ვერცა — ირემი რქიანი.
ნახტომსა შეველსა ფერდსა ჰკრა ისარი ორი ფრთიანი,
დაჰკიდა ცხენის ტახტასა, ტყავვაუხდელი, რქიანი,
5 ჩამოხტა მუხისა ძირსა, ცეცხლი დაანთო ძლიერი.
თალა შამფური, გათალა, მწვადი ააგო მცერიანი.
სანამ მწვადი შეიწვება, ცხენსა მისცა საძოვარი.
ლურჯამ კაცი დაინახა შორი გზიდან მომავალი.
შეხტა ლურჯა, შესჭიხვინა, — ისა კაცი ავი არი.
10 მეჩინიბეს დაუძახა: — ლურჯა მომგუარეთ ჩქარადა!
მოჰგვარეს ლურჯა ჩქარადა, ზედ წამოახტა მარდადა.
ასი ჰკრა და ასი მოჰკლა, ერთი გადურჩა შეადა.
ერთი იმანაც ესროლა, სისხლი წაეცა ღვარადა.
მუხის ტოტი იწოდა,
15 დაჭდა და წიგნი დასწერა, მტრედს გამოაბა მხარადა.
— ეგ დედაჩემსა მიმირთვი, — ველარ მოგივალ ჩქარადა.
ეგ ქალი ისეთ კაცს მიე, მე მჭობდეს თვალად-ტანადა.
ეგ ჩემი ციხე-სიმაგრე თან გაატანე მზითვადა.
ეგ ჩემი ქამარ-ხანჯალი მღვდელს მიე საწირავადა.

მთქმელი ივ. დეკანოზიშვილი. სოფ. იყალთო. ჩამწერი აპ. მახარა-
ძე — 1938. სათაურად აქვს „ავთანდილის ლექსი“, ფ. არქ., № 18478.

ია

- ავთანდილ გადინადირა ქედი მაღალი, ტყიანი.
ვერც მოკლა ხარი, ვერც — ფური, ვერცა — ირემი რქიანი.
ნახტომსა ფშველსა ფერდში ჰკრა ისარი ორბი ფრთიანი.
დაჭდა და შამფური თალა, მწვადი ააგო მცერიანი.
5 სანამ მწვადი შეიწვება, ცხენსა მისცა საძოვარი.
ცხენმა კაცი დაინახა, შორი გზიდან მომავალი.
შეხტა ცხენმა, შესჭიხვინა: — ესა კაცი ავი არი.
გავაზე ხელი გაუსო, ზედ წამოახტა მარდათა.
უკუ იხედა, მოზდევდა ის ურჯულონი ჭარათა.
10 ასი ჰკრა და ასი მოკლა, ერთი გადურჩა თავათა.
ერთი იმანაც ესროლა, დაასვა ბეჭის თავზედა.
ჩამოხტა მუხისა ძირას,
დაჭდა და წიგნი დასწერა, მტრედ გამოაბა მხარათა.

ეს დედაჩემსა მიმირთვი, ველარ მოვალ ჩქარათა.
ეგ ჩემი ცოლი ეგეთ კაცს მიეც — მე მკობდეს თვალათ-ტანათა.
ეგ ჩემი ციხე-ქალაქი თან გაატანე მზითვათა.
ეგ ჩემი ქამარ-ხანჯალი ღვდელს მიეც საწირავათა.
გიყვარდა თეთრი მანდილი, ჩემზე შეღებე შავათა.

მთქმელი არჩილ სოლოს ძე შაშვიაშვილი. სოფ. იყალთო. ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი — 1938 წ. 19. VII. სტრიქ. 2 ფრჩხილებში მინაწერი: „განმეორებაა — ჩონგურისათვის“. ფ. არქ., № 18069.

იზ

- ავთანდილ გადინადირა ქელი მალალი, ტყიანი,
ვერც მოვკალ ხარი, ვერც—ფური, ვერცა—ირემი რქიანი.
ნახტომსა შეელსა ფერდსა ვკარ ისარი ორბის ფრთიანი.
ჩამოგბტი მუხისა ძირსა, ცეცხლი დავანთე ძრიელი.
- 5 ცხენს მოვხალე თექალთო,
დავკეპ, დავთალე შამფური, მწვადი ავაგე მცვრიანი.
სანამ მწვადი შეიწოდა, ცხენსა მიეც საძუარი.
ლურჯამ კაცი დაინახა შორის გზიდან მომავალი.
შესტა ლურჯა, შესჭიხვინა — ესა კაცი ავი არის.
- 10 მეჭინიბეს დაუძახე: — ლურჯა მამგვარე ჩქარადა!
გავაზედ ხელი გადუსვა, ზედ წამოახტა მარადა.
ვიწროზედ გაარბეინა, მინდორი — უფრო ჩქარადა.
უკუ ვიხედა, მოსდევდა ის ურჯულონი ჯარადა.
ასი ჰკრა და ასი მოკლა, ერთიც გადურჩა შავადა.
- 15 ერთი იმანაც ესროლა, სისხლი წავიდა ღვარადა.
ჩამოხტა მუხის ძირასა, ტოტი იწოდა ფარადა.
დაჭდა, დაწერა წერილი, მტრედს გამოაბა მხარადა!
— ეს დედაჩემსა მიმირთვი: ველარ მოგივალ ჩქარადა.
ეგ ცოლი ისეთ კაცს მიეც — მე მკობდეს თვალად-ტანადა.
- 20 ეგ ჩემი ციხე-ქალაქი თან გაატანე მზითვათა.
ეგ ჩემი ქამარ-ხანჯალი მღვდელს მიეც შესაწირავადა.

მთქმელი ალექსი დიდიძე. გარე კახეთი, სოფ. მელაანი. ჩამწერი ვახ. პეტრიაშვილი, 1937 წ. ფ. არქ., № 17450.
არის კიდევ კახური ვარიანტები:

იზ

იყალთო. ჩამწერი თამარ დეკანოზიშვილი. ფ. არქ., № 20717.

იღ

მთქმელი გრემელი. სოფ. ენისელი. ჩამწერი პ. უმიკაშვილი. 1863 წ. შენიშვნა: „გრემელისაგან. (ჯახეთის გაღმა მღერთან)“. ფრჩხილებში „ორპირი“. ეს იმას ნიშნავს, რომ ორპირული სიმღერაა ფ. არქ. უმიკ. № 490. დაბეჭდილში — არ არის სტრიქ. 8 — უმიკ., გვ. 581—582.

იი

მთქმელი ვანო ქადაგიშვილი. ჩამწერი იულია ძამიაშვილი. ს. შრომა (ლაგოდების რ.), 1937 წ. 21 ივნისი. ფ. არქ., № 1336.

იპ

მთქმელი ვანო ხიდიშელი. ს. შრომა (ლაგოდების რ.). ჩამწერი იულია ძამიაშვილი. 1937 წ. 21 ივნისი. ფ. არქ., № 13361.

ფ შ ა უ რ ი

იზ

ავთანდილ გადინადირა, ქედი მაღალი, ტყიანი,
ვერც ხარი მოკლა, ვერც ფურო, ვერცა — მანძილა რქიანი,
შველსა ჰკრა გამოფრენილსა, ისარი ორბის ფრთიანი,
ცხენის ტახტზე დაჯიდა, ვასატყაუებლად რქიანი,
5 ჩამოხტა მუხის ძირასა, ცეცხლი დაანთო ძლიერა.

მთქმელი: ბუთლა გიორგის ძე ალბუთაშვილი, 90 წლის. წ. კ. უცოდინარი. სოფ. ჩაბანო (თიანეთი). 1955 წ. ფ. არქ., 7 ბ, № 133. ტექსტის მიხედვით ზალხური „ტარიგლიანის“ დასაწყისია.

იყ

ავთანდილ გადინადირა ქედი მაღალი, ტყიანი,
ვერც ხარი მოკლა, ვერც ფურო, ვერც მანძილა რქიანი,
შუნსა კრა გამოქცეულსა ისარი ორბის ფრთიანი.

მთქმელი დავით თურმანაული-ბლავანაშვილი. 76 წლის, სოფ. გოგოლაურთა (უკანა ფშავი). ჩამწერი ჯ. ბარდაველიძე. 1956 წ. ფ. არქ., 10 გ, № 55.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ი თ

- ოთანდილ გადინადირა ქედ^ღ მაღალი, ტყიანი,
ვერც ხარი მოკლა, ვერც ფური, ვერც ბოროლი რქიანი;
შველსა ჰკრა გამოფრენილსა ისარი ორბის ფთიანი,
დახკიდა ცხენის ტახტარსა ტყავგაუხდელი, რქიანი;
- 5 სადგომლა გამოირჩია ლაფიან-ჰანჯახიანი,
დაჭდა და თალა შამფურნი, მწვადნი უბრუნა მწვნიანი;
ჩამოჯდა ბუჩქვილ ძირშია, ცეცხლი დაანთა პრიალი;
ცხენსა მოხადა, დაიგა თაქალთო უნაგრიანი.
ცხენმა კაცი დაინახა შორი გზითა მომავალი...
- 10 შე ჩემო ცხენო—ჩემთანა, აბჯარხო მამეძალენით.

მთქმელი ხანმატელი ხევსური. ჩამწერი პ. უმიკაშვილი. 1870 წ.
ფ. არქ., უმიკ., № 490-ს ვარიანტი.
არის კიდევ ხევსურული ვარიანტი:

კ

მთქმელი ხანმატელი ხევსური. ჩამწერი პ. უმიკაშვილი. 1879 წ.
ფ. არქ., უმიკ., № 490-ს ვარიანტი.

მ თ ი უ ლ უ რ ი

კ ა

- ავთანდილ გადინადირა ქედი მაღალი მთიანი.
ვერც ხარი მოკლა, ვერც ფური, ვერც ირემი რქიანი.
ნახტომსა შველსა ფერდში ჰკრა ისარი ორბი ფროთიანი.
ტახტაზე გადაიკიდა ტყავგაუხდელი, რქიანი.
- 5 ჩამოხტა მუხისა ძირში, ცეცხლი დაანთო ძრიალი.
დაჭდა, შამფური დათალა, მწვადი აავო მცერიალი.
მანამ ისი შეიწოდა, ცხენს მისცა საძოვრიანი.
ცხენმა კაცი დაინახა შორი გზიდან მომავალი.
ცხენი შახდა, შაკიხვინდა, ეს კაცი ხო ავი არი.
- 10 — მო, ჩემო ცხენო, ჩემთანა. აბჯარხო მომეჭარენით.
ავთანდილ-ლომი შაიზნენ, მიწამ დაიწყო გრიალი,
დამსცა და მხარი მოსტეხა, ლომმა დაიწყო ღრიალი.

მთქმელი გიორგი ბერას ძე ბექაური, 50 წლის, წ. კ. უცოდინარი.
სიაფ. კიტოხი. ჩამწერი ელ. ვირსალაძე. 1934 წ. ვირსალ. № 560, გვ.

541—342. სათაურად აქვს „ავთანდილ მახებული“. სტრიქ. 11—12 ამირანიანის ფრაგმენტის („ამირან დევი შაიბნენი“) ვარიანტია.

აბ

წინა ვარიანტს იმეორებს, ჩაწერილია სოფ. დუმაცხოში, 18 წლის ნინია ალექსის ძე აფციაურის თქმით ელ. ვირსალაძის მიერ, 1934 წ. განსხვავება:

— უთხარი ჩემსა დედასა, ველარ მოუვალ ჩქარადა,
მაგ ჩემსა ცოლსა უთხარი, ნუ გათხოვდება მყარადა.
ეგ ჩემი ციხე ქალაქი თან გაიყოლოს მზითვადა,
უყორდა თეთრი მანდილი, დედამ შაღებოს შავადა.

ვირსალ., გვ. 534. მთქმელი გიორგი პავლეს ძე გვრიტიშვილი, 12 წლის მოსწავლე. სოფ. სოდევე. 1946 წ. სათაურად აქვს „ავთანდილისა“ — ვირსალ. № 559, გვ. 341 თითქმის იმეორებს იაკ. გოგებაშვილის ვარიანტს (გოგებ., თხზ. V, გვ. 256—257). აკლია სტრიქ. 6 ზედმეტია სტრიქ.

ერთი გადურჩა შავადა. ერთი იმანაც ესროლა...

მ ო ხ ე უ რ ი

აბ

ავთანდილ გადინადირა ქედი მალალი მთიანი,
ვერც ქარო მოკლა, ვერც ფური, ვერც ბოჩოლაი რქიანი.
მშველსა ჰკრა გამოფრენილსა ისარი ორბის თმიანი,
დახკიდა ცხენის ტახტარსა ტყავგაუხდელი, რქიანი.

- 5 ჩაილა ბურვილ ძირჩია, ცეცხლი დაანთა პრიალი,
მონა დაუხვდა სადგომა, წყლიანი, ქაობიანი,
მაჰხადა, ქვედით დაიდგა თოქათო უნაგრიანი,
ეკლის ამოსჭრნა შამფურნი, ცეცხლ დაუბრუნა ცვრიანი,
სანამ მწვად შაიწვებოდეს, ცხენსა მისცა საძოვარი.
- 10 ლურჯამ კაცი დაინახა შორი გზიდამ მამავალი:
„ცხენო ახლოს და ახლოსა, აბჯარნო მამეძალენით,
მიშლით და მოშლით არ შავრჩათ ა იმ ბურვილთა ძირჩია.

მთქმელი გაგა გოგოჭური, ჩამწერი პ. უმიკაშვილი. უმიკ., № 14, გვ. 20. ჩართულია ხალხურ ვეფხისტყაოსანში.
მოხეურია ვარიანტები:

კდ

მთქმელი ლიზა ყაზბეგი. სტეფანწმინდა. ჩამწერი პ.უმეცაშვილი, 1881 წ., ფ. არქ., უმიკ., № 490-ს ვარიანტი.

კე

მთქმელი თამარ შადური. სტეფანწმინდა. ჩამწერი ივ. შადური. 1881 წ. 30 აგვისტოს. იხ. ფ. არქ., უმიკ., № 490. ნაკლული ტექსტია.

თ უ შ უ რ ი

კვ

- შეკალა ჩამოვიარე, შეე როჟო მოვკალ ისრითა;
დავჯექ, დაუწვეე ჰამა, ამემსო ნისლითა.
უკუ ვიხედე, მომდევდნენ ცხრანი ურჯულო ჭართა;
ცხრათა მესროლეს ცხრანია, ტყვიო დამასხენ ჭარათა,
5 ერთი მე ან ვესროლე, სისხლი ვადინე ღვარათა.
სისხლისა ნაგუბარზედა ტრედები ჩამოსხდებოდა.
დავჯექ, დავწერე წიგნია, მტრედს შამოვავი მხარადა —
მტრედო, ჩემს დედას წაუღე, სახლს ჩაუგდე კარადა.
არცა მტერი მიგიეა, დედაო, არც მოძალენი ძალადა.
10 ქალმან ქმარი შეირთოს ჩემზე უაეთეს თვალადა.

იხ. ფ. არქ., უმიკ., № 490, ს ვარიანტი. სწერია „თუშური“.
თუშურია ვარიანტი:

კზ

ფ. არქ., უმიკ., № 490-ს ვარიანტი. სათაურად აქვს „თუშური სიმღერა“.

მ ე ს ხ უ რ ი

კყ

ავთანდილ გადინადირა ქედი მაღალი, ტყიანი,
ვერ მოკლა ხარი, ვერც—ფური, ვერცა—ირემი რქიანი.
ნახტომსა შეელსა გვერდსა ჰკრა ისარი ორპირიანი.
ჩამოჭდა მუხის ძირასა, ცეცხლი დაანთო ძრიალი.

- 5 დაჯდა და შამფურით თალა, წვადი ააგო ცვრიანი. სინამ წვადი შეიწვოდა, ცხენსა მისცა საძოვარი. ლურჯამ კაცი დაინახა შორი გზიდან მომავალი. შეხტა ლურჯა, შაჰიხვიინდა — ისი კაცი ავი არი. მეჯინიბეს დაუძახა: ჩქარა მომგვარე ლურჯაი.
- 10 გავაზე ხელი დაადო, ზედ წამოახტა მარდათა. ვიწრო გზანი გაირბინა, მინდვრები უფრო ჩქარათა. უკუ იხედა, მისდევდნენ ის ურჯულონი ჭარათა; ასი ჰკრა და ასი მოკლა, ერთი გადურჩა შავათა. ერთი იმანაც ესროლა, სისხლი წაეიდა ღვარათა.
- 15 დაჯდა და წიგნი დაწერა, მტრედს გამოაბა მხარათა. — ეს დედაჩემსა მიმირთვი: ველარ მოგივალ ჩქარათა; გიყვარდა თეთრი მანდილი, ეხლა შეღებე შავათა. ის ჩემი ქამარ-ხანჯალი ღვდელს მიე საწირავათა. ის ჩემი ქალი კაცს მიეც — მე მჯობდეს თვალათ-ტანათა.
- 20 ის ჩემი ციხე-ქალაქი მას გაატანე მზითვათა.

მთქმელი არჩილ მიქელაძე, 64 წლის, ს. ქილდა. ჩამწერი აბ. მახარაძე — ფ. არქ., № 13034. სტრიქ. 3 იყო შ ვ ი ლ ს ა შეევასწორეთ შ ვ ე ლ ს ა — სტრიქ. 19 დედანშია მი ე რ. ეს უაზრობაა, შეევასწორეთ მი ე ტ.

კთ

- ავთანდილ გედენადირე ქელი მაღალი ტყიანი, ვერც მოგვალ ხარი, ვერც ფური, ვერცა ირემი რქიანი. სამლოთსა თხასა ფერდსა ეკარ, ის იყო ორი ფრთიანი, დაჯვექ და ცეცხლი ავანთე, წვადი ავაგე წვნიანი,
- 5 მანამ წვადი შეიწვოდა, ლურჯას მივეც საძოვარი. ლურჯამ კაცი დაინახა შორი გზიდან მომავალი. შეხტა ლურჯა, შესჰიხვიინა; — ივი კაცი ავი არი. — ჩემი ლურჯა მომგვარეთ. ზედ წამოვახტე ჩქარადა. ვიწრონი გაარბეინა, გორები უფრო ჩქარათა.
 - 10 უკუ იხედა, მოსდევდნენ ის ურჯულონი ჭარადა. ასი ჰკრა და ასი მოკლა, ერთი გადურჩა შავათა. ერთიც რო იმან ესროლა, სისხლი წაეიდა ღვარათა. დაჯდა და წიგნი დასწერა, ტრედ შემოაბა მხარადა. — ეს დედაჩემს მიუტანეთ, ველარ მოგივალ კარათა.
 - 15 ეგ ჩემი ციხე-ქალაქი არ დარჩეს შარავანათა. ეგ ჩემი ქამარ-ხანჯალი მღვდელს მიე საწირავათა. ეგ ჩემი ცოლი კაცს მიე — მე მჯობდეს თვალათ-ტანათა.

მთქმელი იაკობ ველიჯანაშვილი, 85 წლის. წ/კ. მცოდნე. ს. ხიზა-
ბავრა (ასპინძის.). ჩამწერი ნ. ტატიშვილი, ფ. არქ. № 13026. სტრიქ.
53.

დედანშია თ ხ რ ა ეს უაზრობაა, შევასწორეთ თ ხ ა ს ა.
არის კიდევ მესხური ვარიანტები:

ლ

მთქმელი ვანო ედილაშვილი, 18 წ. წალვეერი. ჩამწ. ნორა აბაშიძე.
ფ. არქ., № 10879.

ლა

მთქმელი ს. ხიზაბავრელი გლეხი ბასილ ყაილაჯიშვილი, წ. კ. არ
იცის. ს. ბარალეთი. ჩამწერი იგიორგი გოგოლაძე. 1938 წ. იხ. ფ. არქ.,
№ 23876.

იმერული

ლბ

ავთანდილ გადინადირა ქედი მალალი, ტყიანი,
ვერც მოკლა ხარი, ვერც ფური, ვერც ირემი ფთიანი.
ნახტომსა შეელსა გვერდსა კრა ისარი ორპირიანი.
მუხის ძირსა რომ ჩამოხტა, მწვადი ააგო მცერიანი.

სანამ მწვადი შაიწოდა, ცხენსა მისცა საძოვარი.
ცხენმა კაცი დაინახა შორი გზიდან მომავალი.
შეხტა ცხენი, შექიხინდა: — ესა კაცი ავი არი.
უკან იხედა, მისდევდა იქ ურწმუნონი ჯარათა;
ასი კრა და ასი მოკლა, ერთი გადურჩა შავათა;

- 10 ერთი იმანაც ესროლა, სისხლი წავიდა ღვარადა.
მუხის ძირსა რომ ჩამოხტა, ტოტი იწოდა ფარათა.
დაჯდა და წიგნი დასწერა, ტრედს გამოაბა ფხარათა.
— ეს დედაჩემსა მიმირთვი, მე ვერ როვივალ ჩქარათა.
ის ქალი ასეთ კაც მიე, მე მჭობდეს ოვალად, ტანათა.
ის ჩემი ციხე ქალაქი თან გაატანე ბარათა.
ის ჩემი ქამარ-ხანჭალი, ბერს მიე საწირაქადა.
გიყვარდა თეთრი მანლილი, ჩემზე დაღებე შავადა.

მთქმელი პორფირე ვასილის ძე იამანიძე 25 წლ. წ/კ. უცოდინა-
რი. ხელობით მქედელია, იცის კალატაზობა, ხის მოხარატება, თოხნა

და სხვ. ნამყოფია სპარსეთში, ყარსში, სვანეთში — მკედლის ხელობაზე. სოფ. კურსები. ჩამწერი: ელ. ვირსალაძე. 1951 წ. ივლისი. მთქმელის შენიშვნა: „ამ ლექსს სუფრაზედაც ვიტყოდით, უფრო საკუთრად კი ნადურში“. ფ. არქ., № 34647.

ლ გ

ავთანდილ გადინადირა ქედო მალალი ტყიანი,
ვერც მოკლა ფშველი, ვერც ჩიხვი, ვერცა ირემი რქიანი.
ნახტომსა ფშველსა ფერდსა კრა ისარი ორზის ფრთიანი.

- ცხენის ტახტაზე მოგდო, ტყავგაუხდელი, რქიანი.
- 5 ჩამოხდა მუხის ძირასა, ცეცხლი დაანთო ძლიერი.
ცხენსა მოხადა, დაიგო თოქალთო უნაგრიანი.
დაჯდა, დათალა შამფური, მწვადი ააგო მცვრიანი.
სანამ მწვადი შეიწვოდა, ცხენსა მიცა საძოვარი.
ლურჯამ კაცი დეინახა, შორი გზიდან მომავალი.
- 10 შეხტა ცხენი, შექიხვინდა, — ისა კაცი ავი არი.
მეჩინიბეს მიამახა, ლურჯა მომგვარე ჩქარადო,
გავაზე ხელი გადუსვა, ზედ წამოახტა მარდადა.
გეიხედა და მოსდევდენ, ის ურჯულონი ჭარადა.
ასი კრა და ასი მოკლა, ერთი გადურჩა შავადა.
- 15 ერთი იმანაც ესროლა, სისხლი წაეიდა ღვარადა.
ჩამოხტა მუხისა ძირსა, ტოტი იწოდა ფარადა.
დაედა, წერილი დასწერა, მტრედს გამოაბა მხარადა.
ეგ დედაჩემს მიმირთმე, ველარ მოგიეალ ჩქარადო.
ის ჩემი ქამარ-ხანჯალი ღვდელს მიე საწირავადო.
- 20 ის ქალი ისეთ კაცს მიე, მე მჯობდეს თვალად-ტანადო,
ის ჩემი ციხე-ქალაქი, თან გაატანე მზითვადო.

მთქმელი გიორგი ვასილის ძე იდაძე, 54 წლ. წ/კ. მც. მცოდნე, კოლმეურნე, სოფ. კურსები. ჩამწერი თამარ ოქროშიძე. 25 ივლისი, 1951 წ. ფ. არქ., № 34840.

გ უ რ უ ლ ი

ლ დ

ავთანდილ გადინადირა ქედი მალალი ტყიანი,
ვერც ხარი მოკლა, ვერც ფური, ვერცა ირემი რქიანი.

- ჩამოხტა მუხის ძირასა, ცეცხლი დაანთო ძლიერი,
დაჯდა და შამფური თალა, წვადი ააგო ცვრიანი,
- 5 სანამ შეიწოდა წვადი, ცხენსა მიცა საძოვარი
ლურჯამ კაცი დაინახა, შორი გზიდან მომავალი.

- შეხტა ცხენი, შეშქიხვინა, ეს კაცი ავი არიო.
მეჭინიბეს დაუძახა: — ლურჯა მომგვარე ჩქარადა,
შეხტა ცხენი, შეშქიხვინა, ზედ წამოახტა მარადადა,
- 10 უკუ იხედა, მოსდევდა ეს თურქიანი ჯარადა.
ასი კრა და ასი მოკლა, ერთი გადურჩა შავადა,
ერთი იმანაც ესროლა, სისხლი წავიდა ღვარადა.
ჩამოხტა მუხის ძარასა, ტოტი იწოდა ფარადა.
ეს დედაჩემს მიმირთმიე, ველარ მოგიველი ჩქარადა,
- 15 გიყვარდა თეთრი მანდილი, ჩემზე შელებე შავადა,
ის ქალი ისეთ კაცს მიე, მე რომ მჭობდეს თვალ-ტანადა.
ის ჩემი ციხე-ქალაქი, თან გაატანე მზითვადა.

მთქმელი ნოე მამალაძე. ს. ბუქსიეთი (ჩოხატაურის რ.), 1973 წ.
ჩამწერი ქს. სიხარულიძე. თსუფა, № 15376.
არის კიდევ გურული ვარიანტი:

ლე

მთქმელი ნოსრევეან ბარამიძე. ს. ზემოსურები (ჩოხატაურის რ.),
1971 წ. ჩამწერნი: ქს. სიხარულიძე, თ. შიოშვილი. თსუფა, № 9857.
ტექსტი 27 სტრიქონია. მთქმელმა იგი არსენას ლექსში ჩაურთო.

ლე ჩ ხ უ მ უ რ ი

ლვ

- ავთანდილ გედვინადირე ქედი მალალი, კტიანი,
ვერც მოვკალ ხარი, ვერც ფური, ვერცა ირემი რქიანი.
ნახტომს შველსა ფერღს ეკარი ის იყო ორი რქიანი.
იარალზე გადვიკიდე ტყავგაუღლელი, რქიანი.
- 5 ქალი პირას რო ჩევედი, ცეცხლი დავამთე ძრიელი.
ციხენმა კაცი მოინახა, შორი გზიდან მომავალი.
ფაფარში ხელი ჩაეაღლე, ტყე გავიარე ჩქარათა.
მევიხედე უკანა, უშჯულო მომზდევს ჯარათა.
ერთი ეკარ, ასი გავწყვიტე, ერთი დამირჩა შავადა...
- 10 მუხას ზრუგი მივანდვე, შტო მოვიწიე ფარათა.
დავეე და წიგნი დავსწერე; ტრედს გამოვები ფხარათა:
— ეს დედაჩემს მიუტანე, მე ვერ მოგივალ ჩქარათა.
მა ჩემი ციხე-ქალაქი დაღებე ჩემზე შავათა.
ჩემ პატარა ცოლუმა თმა გეიშალოს კავათა,
- 15 თუ მისცეთ, ისეთს მიეცით, მე მჭობდეს მკლავის ძალათა.

მთქმელი საჩინო ჩიქოვანი 116 წლის. ლეჩხუმი, სოფ. ცხუკუშე-
რი. ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი, ხალხური ვეფხისტყაოსანი, 1936 წ., გვ.
227.

რ ა კ უ ლ ი

ლჳ

- ავთანდილ გადვინადირე მთები მაღალი, ტყიანი,
ვერც ჭიხვი მოვკალ, ვერც ფური, ვერცა ირემი რქიანი.
ნახტომსა შეელსა, ფერდსა ვკარ ის არის ორბი ფრთიანი,
დაკვიდე ცხენის ტახტასა ტყავგაუტლელი, რქიანი.
- 5 მუხისა ძირსა მივედი, ცეცხლ დავანთე ძრიელი.
დავჯექ, დავთალე შამფური, მწვადი ავაგე ცვრიანი.
სანამ მწვადი შეიწოდეს, ცხენსა მივე სამოვარი.
ლურჯამ კაცი დაინახა, შორი გზიდან მომავალი.
უკუ ვიხედე, მომდევდნენ ის ურჯულონს ჭარადა,
- 10 ასი ვკარ, ასი გავწევიტე, ერთი გადმირჩა შავადა.
ერთი იმანაც მესროლა, სისხლი წავიდა ღვარადა.
დავჯექ და წიგნი დავწერე, მტრედს გამოვადი ფხარადა.
— ეს დედაჩემს მიუტანე, ველარ მოგივალ ჩქარადა.
გიუვარდა თეთრი მანდილი, ჩემზე შეღებე შავადა.
- 15 ეგ ჩემი ლამაზი ქალი არ გამითხოვო ჩქარადა.
თუ მიცე, ისეთს მიეცი, მე მჯობდეს თვალად, ტანადა,
ეგ ჩემი ქამარ-ხანჯარი ღვდელს მიეც საწირავადა,
ეგ ჩემი ციხე-დარბაზი თან გაატანე მზითვადა.

მთქმელი ვასილ თედორეს ძე ლობჯანიძე, 79 წლის, წ/კ იცის. სოფ.
ლები. ჩამწერი ელ. ვირსალაძე, ლ. რამიშვილი. 1960 წ. ფ. არქ., X ს—
102, № 123.

ლჴ

- ავთანდილ გედვინადირე ქედი მაღალი, ტყიანი,
ვერც მოვკალ ხარი, ვერც ფური, ვერცა ირემი რქიანიო.
ნახტომსა შეელსა ფერდსა ვკარ, ის იყო ორბი ფრთიანიო,
ტახტასა შამოვიკიდე ფერშაუშლელი რქიანი.
- 5 ჩამოვბტენ მუხისა ძირსა, შტო დევიწიე საფრათა,
დავდექი, წიგნი დავსწერე, მტრედს გამოვადი მხარათაო.
— ეს დედაჩემს მიმირთმიე, ველარ მოგივალ ჩქარათაო.
გიუვარდა თეთრი მანდილი, ჩემზე შეღებე შავათა.
ეგ ჩემი პატარა ქალი არ გამითხოვო ჩქარათაო,

10 თუ მისცე, ისეთს წიეცი. მე მჭობდეს მკლავათ, ძალათ.

ეს ჩემი ციხე-ქალაქი მას გაატანე მზითვათა,
ეს ჩემი ქაშარ-ხანჯალი მღვდელს მიე საწირავათა,
ეს ჩემი საძმო კაცები ჩემზე გაუშვი ზარათაო.

მთქმელი ქიონია ნიკოლოზის ას. ლობჯანიძე, 57 წლის. წ/კ მც.
მცოდნე, კოლმ. ცნობილი მომღერალი. ძველად მოშაირე ქალი. სოფ-
აბარი. ჩამწერი ელ. ვირსალაძე. 1960 წ. ფ. არქ., XL — 103, № 19.
ჩამწერის შენიშვნა: „ამ ტექსტს გურულად ასახელებს“.

ს ვ ა ნ უ რ ი

ლო

- ავთანდილ როქ იმარაღდა,
იმარაღდა ლთხვიართე.
„ლაცლას მიშგუვა ქა ხვანჭინე,
ქეიფს ხვანჭო ამ მიშლაღდა“.
- 5 „ლაცლა მიშგვი ქა როქ ხვანჭი,
ჩინთიშ ტაბგილ სგვებინჩუ ესოჯ,
გზავრობაშ როქ მამა თერა,
ლაცლაცახან ლირდე ლამსედნი.
ვოქერეშ კათხჯლდ სგვებინჩუ მნე,
- 10 ვოქერე ჩანგილდ ტოტიე მულვე,
ხვიღარაღ, ხვიღარაღ ლაცლაცახან.
თინათ, მიშგუ თელედგრა,
ლეზიზს მინყე ლთხვიართე;
ჟი ლამარე, ჟი ლამხანზე,
- 15 წგრნი საღრილ ჟი ლამქენგრე,
ლეზიზ ხურჯანლ ჰენგირს ემრეკ,
ვოქერეშ მადრაჭ ქა ლამბიშე.
ჟი ხვაკვეფხი ჩაქილდს მიშგვა,
მად მიყვრი ეშხვი მადრაჭ,
- 20 ეშხვი მინდვერს ქა მისკინა.
(ეშ) ლამტულე თინათინად.
თინათინა თელედგრად:
„ავთანდილე, ჟი ლამლეღვ,
გზავრობაშ როქ მამა თერა,
- 25 ეშხუ საუდ ჩუ ლამქდინე!“
ჟი ლამდეღვე ავთანდილად,
ჟი ლამდეღვე მინდვერისგა;
მმ-ე თელედგრა ჩუ ლამანანდანს.
ესღირაღე მინდვერისგა.
- ავთანდილ ეშხადებოდაო,
ეშხადებოდა სანადიროდ.
„ჩემს ტოლამხანაგებს დაეპატიებებ,
ვაქეიფებ ამ კვირა დღეს“.
- 5 „ჩემი ტოლები დაეპატიეო,
ჩინთის(?) სუფრა წინ დაეუდგი,
მგზავრობისა არა ჩანს რაო,
ტოლებთან ყოფნა შემრჩება.
ოქროს კათხა წინ მიდგას,
- 10 ოქროს ჩანგი ხელთა მაქეს,
ეთამაშობ, ვმღერი ტოლებთან.
თინათინი, ჩემი რძალი,
საგზალს მიცხობს სანადიროდ;
მომამხადა, შემაიარაღა,
- 15 წითელი საღარი შემოკაშმა,
საგზაო ხურჯინები უნაგირზე
ღამიკილა,
ოქროს მათრახი მომაწოდა.
ზედ მოვახტი ჩემს ცხენას,
ერთი მათრახიე არ დამიკრავს,
- 20 ერთ მინდორს გავმხტარეარ,
ისე მომამახა თინათინმა,
თინათინმა (ჩემმა) რძალმა:
„ავთანდილ, შემოცადე,
მგზავრობისა არა ჩანს რაო,
- 25 ერთი სურვილი შემასრულებინე!“
შეიცადა ავთანდილმა,
შეიცადა მინდორში,
მჯალ-რძალი შეირიგენენ,
იმღერეს მინდორში.

- 30 თინათს ვეშენავ როქე ხოქონა,
 აეთანდდ ლიზირ მანდ ლანჯომე.
 ხობინავ ლიზი-ლიჩელი,
 სგა მეჩდელი უხენანთესგა,
 უხენან ლეამარინ გოშია.
- 35 „ეშხუ ლეაშელდ ჩუ მიდგარა,
 ალი ჩაქილდს კი როქ ლონჯავე.
 მიბინა ლიზი-ლიჩელი,
 ესღერი, ესღერი ჩაქეს ი მინდერს,
 ეი ლოქ ახეთაშ ჩაქილდს მიშგვა.
- 40 ჩაქილდს ლეაშელდ ჩუ როქ ოხოკ,
 ჩაქილდს ჰენჯაროლ ჩუ როქ ოხოკ,
 ჩაქილდ ლაჩახეთე მიფრეშდა.“
 აეთანდდ ლემსგილ ეი ლოქ ლაიშე,
 ხოშა წეწდილდ ლატყბას ლახდე,
- 45 ეოდ როქე წეწდილდ ეი იტუბოლდა,
 ჩაქილდდ ლანჯიდ ხოშა ჰკარხენ.
 „ქა ლოხესინჯავ ლეა-ლექეა,
 მინდერისი ლეაშეშ პილგლდს
 ანდრი, ანდრი აშირ მარე,
- 50 აშირ მარე, მეშხე მარე.
 ო, საბრელა აეთანდილე!
 ალი მანჯ მიშვე მოლდატ ლი.
 ენასოლდ როქე ჩაქე ეი
 (ლ)ანჯეპენჯირ,
 ეი ხეაქეფეხი ჩაქილდს მიშგვა,
- 55 ლეაშელდ მინდერისგამ აშსანდ,
 წეწდილდი უტყებალუ მასედა.
 ესღერი, ესღერი მაშირ შუქულდს,
 მაშირ შუქულდს ენასდ ესღერი,
 ნახეწი შუქულდს წეგნარდ ესღერი,
- 60 ქა ლოხესინჯავ ბარჯ ეიქანქაშ
 ფედმას ამქომ აშირ მარე.
 ო, საბრელა აეთანდილე,
 დეშ ხოჩდენი ამშელდ ამახეს!
 ეი როქე ოთსკინ შუქუნ ჩიბოვ,
- 65 სგა ლანჯელაფრან თვეთნან ბანჯელდს.
 ანდრი, ანდრი აშირ მარე,
 აშირ თვეფილდ ქაე მიკვარა,
 აშირ მარე ჩუე მიდგარა,
 ეშხუ მეშხე მარილ აშსანდ.
- 70 ექგვარ ამფიშდე მეშხან მარად.
 თვეთნე გვამილდ ეი ლანჯარენე..
 ო, საბრელა აეთანდილე!
- 30 თინათინი უკან გაბრუნებულაო,
 აეთანდილმა წასელა არ დაიშალა.
 გასდგომია გზას,
 შესულა ქიუხში,
 ქიუხი ჩიხეებით სავსეა.
- 35 „ერთი ჩიხეი მომიკლავს,
 ეს ცხენს დაეკიდე,
 გავსდგომივარ გზას,
 მიედივარ, მიედივარ ტყესა და
 მინდორსი,
 დაილა ჩემი ცხენაო.
- 40 ცხენას ჩიხეა ჩამოეხსენი,
 ცხენას უნავირა მოეხადეო,
 ცხენა სამოვარზე გამიშვია.“
 აეთანდილმა ცეცხლა დააგზოო,
 დიდი მწვადი მიუფიცხა
 („შესაწეაუად. მიაღო“).
- სანამ მწვადი შეიწოდაო,
 ცხენმა დიდად დაიქიხინა.
 „გავიხედე ზემოთ (და) ქვემოთ,
 მინდერის ზემო მხარეს
 მოდის, მოდის ასი კაცი,
- 50 ასი კაცი, შავი კაცი.
 ო, საბრალო აეთანდილე!
 ჩემი მოლაღატეა ყველა ეს.
 უცხად ცხენა შევიკანშემო,
 მოვახტი ჩემს ცხენას,
- 55 ჩიხეი მინდორსი დამჩხა,
 მწვადიო უწეავი დამჩხენია.
 მიედივარ, მიედივარ ფართო გზაზე,
 ფართო გზაზე სწრაფად მიედივარ,
 ვიწრო გზაზე ნელა მიედივარ,
- 60 უკან გავიხედე,
 ახლოს მომდევს ასი კაცი.
 ო, საბრალო აეთანდილე,
 ვერ გაექცევი ამდენ მტერს!
 ავხტი გზის ზემოთო,
- 65 შევეფარე თეთრ ქვას.
 მოდის, მოდის ასი კაცი,
 ასი თოფი გამისროლია.
 ასი კაცი მომიკლავს,
 ერთი შავი კაცი დამჩხა.
- 70 ისე მესროლა შავმა კაცმა,
 (რომ) თეთრი მკერდი ამიწითლა.
 ო, საბრალო აეთანდილე!

ათხნეგ-მარე მი დვარ მინკრი,
 ეშხუ თეთნე მუგულდ მინკრი,
 75 ლირს ხოზი დედეს მიშვეა:
 თეთნე ლერქვილარ ხალტენდა,
 მემხად აღფის აეთანდიშლა;
 ეშხვი დინაგეზალ ვმსვლ,
 ეჯ' ეჯგვარ მარა ლახომეს,
 80 მი მაჯონდელს თვალდ ი ტანდ(ა),
 მიშგუ ხოჩა ლარდა-ლანჯა
 ეჩას ზითევდ ქა ლახომეს!“

ამხანაგი მე არავინ მახლავს,
 ერთი თეთრი მტრედა მახლავს,
 75 წერილს გავუგზავნი დედაჩემს:
 თეთრი ტანსაცმელი უყვარდა,
 შავად შეღებოს აეთანდილისათვის;
 ერთი ქალიშვილი დამრჩა,
 ის იმგვარ კაცს მისცეს,
 80 (რომ) მე მგავდეს თვალად და
 ტანად,
 ჩემი კარგი სახლ-კარი
 მას მისცეს მზითვად!“

მთქმელი ბექა გასვიანი. ხალდე. ჩამწერი მეტი გუჯეჯიანი. 12. VIII—1936 წ. სათაურად აქვს „ავთანდილ“. სვან., I, № 102— გვ. 320—325. შეტანილია განყოფილებაში „ქართულიდან გადაკეთებული სიმღერები“. ეს ვარიანტი ავთანდილის რძლის სახელის მიხედვით „ვეფხისტყაოსანთან“ არის დაკავშირებული. ჩვენ ეს ბალადა ჭაერთოდ ეპიური ციკლის თქმულებისაგან დამოუკიდებლად მიგვაჩნია. (ნახე — ქსენია სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება. წიგნი მეორე, „საბჭ. საქართველო“, თბ., 1966, გვ. 22—29). „ვეფხისტყაოსნის“ გავლენა ლექსმა უთუოდ შემდეგ განიცადა.
 ცნობილია კიდევ სვანური ვარიანტები:

მ

მთქმელი იასონ უდესიანი — 55 წლის. ლენჯერი. ჩამწერი სები გულედანი. 20.IX—1923 წ. სვან., I, გვ. 324—327. შეტანილია განყოფილებაში „ქართულიდან გადაკეთებული სიმღერები“. საინტერესო ტექსტია. კონტამინაციის წესით მას დაკავშირებია სიკვდილზე შექმნილი მდიდარ სიმბოლიკაზე აგებული ლექსის „სიზმარის“ თავისებური ვარიანტი. მტრედის მოტივსაც ამ ვარიანტში თავისებური იერი აქვს. იგი გვაგონებს ხიფათის მაუწყებელ ფეხსისხლიან ბიბლიურ მტრედს.

მა

მთქმელი ფუთა გირგვლიანი — 31 წლის. წ. კ. მცოდნე. ზემო სვანეთი. ჩამწერი იაკ. მარგიანი. 2. XI—42 წ. სათაურად აქვს „ავთანდილ“, ფ. არქ., № 8116.

მთქმელი: ივანე გოგის ძე ლიპარტელიანი, მცხოვ. ლექსურაში. 78 წლის. წ. კ. არ იცის. ლენტეხი, ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი 23. VII—36 წ. სათაურად აქვს „ავთანდილი“. ფ. არქ., № 8023.

მთქმელი შუშანა ლიპარტელიანი. სოფ. წიფლაკაკია, ფ. არქ., № 23391. ასეთივეა შალვა ლიპარტელიანის მიერ 1940 წ. იქვე ჩაწერილი ტექსტი — ფ. არქ., № 23346.

კ ა ვ კ ა უ რ ი

მღ

- ავთანდილ გადვინადირე ქედი მაღალი, ტყიანი,
ვერც მოვკალ ხარი, ვერც ფური, ვერც თუ ირემი რქიანი;
ნახტომ შველს ფერდ ვეარ ისარი ორი ფრთიანი,
სარტყელი ჩამოვიკიდე ტყავ გაუძვრელი, რქიანი,
- 5 მუხისა ძირსა ჩამოვხტი, ცეცხლი ავანთე ძრიელი;
მინამ ცეცხლი აინთოდა, მწვადი ავაგე ძრიელი;
მინამ მწვადი შეიწოდა, ცხენ მივეცი საძოვარი.
ცხენმა მტერი დაინახა შორის გზითა მომავალი.
დამიძახეთ მეჭინიბეს, მომგვაროს ჩემი ლურჯა!
- 10 გავასა ხელი გაღუსვი, ზედ მოვაჭექი ჟანათა;
წყალ-წყული გამოვაქენე, ვიწრონი უფრო ჩქარათა,
დავხედე და... ვუი, მამდევენ ის ურჯულონი ჟარათა.
კანდრისა ძირსა ჩამოვხტი, ტოტი მოვწიე ფარათა,
ასსა ვეარ, ასი მოვწვევითე, ერთი დამირჩა შავათა.
- 15 ერთი იმანაც მესროლა, გულზე დამასო შანათა.
სისხლმა იდინა ღვარათა.
ფურცელზე წიგნათ დავწერე, მტრედსა შევები მხარათა —
ეს დედა ჩემსა მიართვი, ველარ მოგივალ ჩქარათა;
ეგ ჩემი ხუთი სოფელი ჩემზე შალეზე შავათა;
ეგ ჩემი ჭამარ-ხანჯალი ღვდელ მიე საწირავათა;
- 20 ეგ ჩემი დაი ლამაზი ერთსა კაცს მიეც,
მე მჯობდეს ტანათა და თვალათა,
პარალო პარიალალო.

იხ. ფ. არქ., უმიკ., № 490. ჩაწერილი კავკავს 1860 წ. ფ. გოგი-ჩაიშვილის შენიშვნა: „მოზღოკელი სომხის თქმით. მოზღოკში ამას ასე

ქართველები მღერიათ“. პ. უმიკაშვილის შენიშვნა: „ამ ლექსში ცხადი შეცდომებია ქართული ენის კანონის წინააღმდეგ“. უმიკ., გვ. 581.

არის კიდევ ვარიანტები, რომელთა ჩაწერის ადგილი აღნიშნული არ არის.

მ ა

ფ. არქ., უმიკ., № 490.

მ ბ

გოგებ. თხზ. 5, გვ. 256—257. სტრიქ. ამ ტექსტს თითქმის იმეორებს მიხ. ჩიქოვანის გამოქვეყნებული 46 სტრიქონიანი ვარიანტი, რომელიც დართული აქვს შერეული ფორმის თქმულებას „ტარიელი და ლერწამდარეჯანი“ (ხალხ. ვეფხისტყაოსანი, გვ. 175—177). განსხვავება: სტრიქ. 2—ვერც ხარი მოკლა, ვერც ფური; სტრიქ. 3.—შველსა; სტრიქ. 4—ცხენის ტახტაზე დაჰკიდა; სტრიქ. 6 არ არის; სტრიქ. 7 წვადი; სტრიქ. 8 ლურჯას მისცა საძოვარი; სტრიქ. 10 შეხტა ლურჯა; სტრიქ. 21—დაუძახეს მეჭინიბეს; სტრიქ. 12—ცხენი მოჰგვრა სწრაფად; სტრიქ. 13 გაარბენია; სტრიქ. 14 მოსდევდა; სტრიქ. 15—ასი მოჰკლა; სტრიქ. 15—ერთი გადურჩა შავათა. ერთი იმანაც ესროლა; სტრიქ. 16—ჩამოხტა მუხის ძირასა; სტრიქ. 16—ტოტნი იწოდა; სტრიქ. 17—დაჯდა, წერილი დასწერა; სტრიქ. 22—ეგ ჩემი ციხე ქალაქი სოფელ დაუდე შარათა.

ხელნაწ. ინსტ. H—3723. გვ. 451. სტრიქ. 23 — ფრჩხილებში მიწერილია ურიცხვი.

374. ჳარჯო

ხევსურეთი. ჩამწერი თამარ მაკუარია. კოტ., გვ. 73. ახ. გამოც., 33. 90.

ფ შ ა უ რ ი

ბ

ჯარჯი, ნუ მისდევ ჩიხებსა, გადაგაგდებენ კლდე არი.
არ დაიჭერა ჯარჯიმა, ჩიხე უნდ მოკლა რქიანი,

- დილაზე ჩამეეპარა, ჭარჯი ფეხწრიაპიანი
 კლდეზეთ ჩამოუქაძლა, მჯარი კორაიანი,
 5 გევარდა ჭარჯის მჯარი, კლდეებ დაიწყეს გრიალი,
 ჭერ ჭიხვმა, მემრე ჭარჯიმა კლდეს გადიღეს გრიალი,
 არშილო წყალზე ჩავარდა არხალოს პერანგიანი,
 ვინ ეტყვის ჭარჯის დედასა, ჭარჯო წვეს პირსისხლიანი.
 შვილო, ნაზარდო ქებითა, რად არ გავზარდე კვიანი.
 10 ნაქები შვილის გამზღელი დამრჩალვარ ოხერ-ტიალი.
 ჭარჯო მიწაში დამარხეს, ჭიხვ იქავა ძოვს ტიალი.

მთქმელი შეთე (ბერიძე-ხახონიშვილი), გოგოლაურთა, 1956, VII. ჩამწერი გ. ბარნოვი. 1956. ივლისი. ფ. არქ., კოლ. 23, ტ. X, გვ. 18. ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 1. ჭ ა რ ჯ ო — კაცი იყო უკანა ფშაველი; სტრიქ. 4, ჩ ა მ ო უ ქ ა დ ლ ა, — წ ა უ დ გ ა, სასროლზე დაუდგა; სტრიქ. 4. კ ო რ ა ი ა ნ ი — სანიშნე; სტრიქ. 7. ა რ შ ი ლ ო — წყლის სახელია.

ბ

- ჭარჯი, ნუ დადევ ჭიხვებსა, მაგინელებენ ტილნი.
 არ დაიშალა ჭარჯიმა, ჭიკვ უნდა მოვკლა რქიანი.
 ჭარჯი ჩახედავს ჭიხვებსა, რა ლამაზები დგანანო,
 რქებ რქებზე გადაუყრიათ, ანგელოზებსა გვანანო.
 5 წინ ჭიკვთა, უკან ჭარჯიმა, კლდეზე გაიღეს გრიალი.
 ჭარჯის დედასა გონია, მამივა სახელიანი.
 რა იცის ჭარჯის დედაშა, ჭარჯი გდავ პირსისხლიანი.

მთქმელი დ. დოჭურიშვილი. სიონი. ჩამწერი დ. წერედინი, 1961 წ. ფ. არქ. კ. 27, გვ. 141.

ღ

მთქმელი გ. ობგაიძე. სოფ. დუღელეები. ჩამწერი უ. ცინდელიანი. 9.V II. 61. ფ. არქ., კ. 47, გვ. 60. ლექსის პირველი ნაწილი — ჭარჯოს სიზმარი შექმნილია ვაჟას ლექსის „ღევების ქორწილი“ (თხზ. I, 1961, გვ. 42) და პოემის „ეთერის“ იმ ადგილის გავლენით, სადაც ღევების ლხინია აღწერილი (ვაჟა-ფშაველა, ტ. II, 1961, გვ. 57).

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ე

რად სტირი, ჭარჯოს დედაო? ტანზე რად იცომ შავსაო?
 შვილს ვტირი თავის ჭარჯოსა, ჭიკვებისაგან მკედარსაო.

* * *

ჭიკვნი მიყვარდეს ტილნი, მეც მაგათ მიყვეს ზიანი.
ქელშით დამადებებს ვინტოკა პირ-კვამლიანი.

მთქმელი ვანტანგ ბალიაური. თბილისი. ჩამწერი გაბრიელ ნარო-
ზაული — 1. III—1931 წ. შან., № 614, გვ. 252. აკ. შანიძის შენიშე-
ნა: „ეს ჭარჭო იგივე პირი უნდა იყოს, რომელსაც ფშაურ სიმღერაში
ჭარჭი ეწოდება და რომელიც ჭიკვებზე ნადირობის დროს დალუპულა
(X 164).

ეს ტექსტი შეიძლება ცალკე ნომრადაც წარმოგვედგინა.

მ თ ი უ ლ უ რ ი

3

გორგი, გახედე ჭიკვებსა, რა მშენიერები ღვანანო.

არ დაიშალა ჭარჭიმა, ჭიხე უნდა მოვკლა რქიანი.

ჯორაბზე წამოეპარა ჭარჭი ფეხწრიაპიანი.

წინ ჭარჭიმ, უკან ჭიხვებმა კლდეს გადიტანეს სრიალი.

5 ორხაოს ჰალას გავიდა არხალოს პერანგიანი.

— ყურშავ, შე უპატრონო... ნუ ეტყვი ჩემსა დედასა,

ქიქობ კლდეს გადმოვარდნასა.

თეთრი უყვარდა მანდილი, შავად დაუწყებს ღებვასა...

გასწყდი, თუ სწყდები ბანდულო, შე შავი ფურის ბეწვისა.

10 გათენდი, თუ გათენდები დიდო დამეო სთვლისაო.

მთქმელი ნიკოლოზ ვასილის ძე ბუთხუზი. სოფ. ზემო მლეთე. ჩამ-
წერი ელ. ვირსალაძე. 1950 წ. ვირსალ., № 91, გვ. 146—147. სტრიქ.
8 მსგავსია „ავთანდილ გადინადირას“ სტრიქონებისა.

ზ

ჭარჭი, ნუ ჩასდევ ჭიხვებსა, ჩაგიტყუებენ ტილნიო,

არ დაიშალა ჭარჭომა, ჭიხვის მწვად შინდა ცვრიანიო.

საჭიხვებში გავარდა, ჭარჭი ფეხწრიაპიანიო.

წინ ჭიხვმა, მემრე ჭარჭიმა კლდეზე გადიღეს ხრიალიო.

5 არხალოს წყალზე გაცვივდენ, არხალოს-პერანგიანიო.

ჩამწერი ვ. რაზიკაშვილი. ფ. არქ., № 12830. ვირსალ., გვ. 465.

მთიულურია ვარიანტები:

ჩამწერი ვახტანგ რაზიკაშვილი. ფ. არქ., № 12827, ვირსალ., გვ. 465.

ჩამწერი ვ. რაზიკაშვილი. ფ. არქ., № 12829. ვირსალ. № 92, გვ. 147.

გ უ ღ ა მ ა ყ რ უ ლ ი

- გორგი, გაქედე ჭიკეებსა, რა მშვენიერები დგანანო.
 რქა რქაზე გადაუგდია, ანგელოზებსა ჰგეანანო
 გორგიმ თქო: უნდა ჩავიდე, ჭიკე უნდა ვნახო რქიანი,
 — მოდი, ნუ ჩახოლო, გორგიო, ჭიკვია ღალატიანი.
- 5 არ დაიშალა, ჩავიდა, ჭიკე უნდა მოვკლა რქიანი.
 კლდის ფხაზე ჩამაულიშნა ყირიმი სპილო ძვლიანი.
 გორგიმ და ჭიკეთა გაბმულთა კლდეს გაიტანეს ხრიალი.
 ციე წყაროზე გამოცვიდნენ, გორგია პირისხლიანი.

მთქმელი ლევან აფციაური 42 წლის. წ. კ. მცოდნე. თავისი სოფლის მოწინავე ადამიანი. ნიჭიერი მოლექსე და დამტირებელი. სოფ. დუმაცხო. ჩამწერი ელ. ვირსალაძე. 1934 წ. ვირსალ., № 89, გვ. 146.

- გათენდი, ნუმც გათენდები დიღო ღამეო სთვლისაო,
 ქიქობანთ კაცი ჰკიღია ქარხლასი პერანგითაო.
 დასწყვი საბანდო ოხერო, შე შავი ფურ-ბერწისაო.
 ეხლა შინ წადი ყურშაო, შე შავი პატრონისაო.
- 5 ნუ ეტყვი ჩემსა დედასა ქიქობანთ გაღმოვარდნასა.
 თეთრი უყვარდა მანდილი, შავად დაუწყებს ღებვასა.
 ე ჩემი ქამარ-ხანჯალი მღვდელს მიეცო საწირავათო,
 ჩემ ქვრივი ისეთ კაც მიეც, მე მჭობდეს თვალა-ტანადა,
 ე ჩემი ციხე-ქალაქი თან გაატანე მზითვალა.

მთქმელი თედორე ბუჩუკური, 75 წლის. სოფ. ნაღვარევი. ჩამწერი ელ. ვირსალაძე. 1934 წ. ვირსალ., № 93, გვ. 147. ტექსტის მეორე ნახევარი (6 სტრიქონიდან) „ავთანდილ გადინადირას“ ნაწილია. ამგვარი

კონტამინაცია დამახასიათებელია „ჯარჯოს“ ციკლის ლექსებისათვის. გუდამაყრულია ვარიანტი:

იზ

მთქმელი გლახა ივანეს ძე ბუჩუკური. 90 წლის სოფ. გვიდაქე. ჩამწერი ელ. ვირსალაძე, 1946 წ. ვირსალ., № 90, გვ. 146.

რ ა ჰ უ ლ ი

იზ

ჯაჭიმ გახედა ჟიხეებსა, რა ლამაზადა წევანანო,
რქა-რქაზე გადახვეული ანგელოზებსა ჰგევანანო,
ჯიხეების სალაღობელო, არწივთა საბუღარაო.

მთქმელი ნესტორ ადიგელის ძე გავაშელაშვილი, 73 წლის, წ. კ. მკოდნე. მდიდარი რეპერტუარის მქონე. სოფ. ღები. ჩამწერი მანანა ჯანელიძე. 20. VII—62. თსუფა. მ. ჯანელიძის კოლ, რვ. 11. ლექსი რაქაში შესტვირეთა მიერ არის შეტანილი.

375. ზინ ბაცალიგოს თოვლი თოვს

ფშავი. ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 156. სტრიქ. 1. დედანშია თოვლს.

ხ ე ს უ რ უ ლ ი

ზ

- ზენ ბაცალიგოს თოლსა თოვს, ქვენ ბაცალიგოს შრებოდა;
აბულეთაურთ ციხესა კუთხე მარჯვენა სქდებოდა.
თავსა ზის შავი ყორანი, გველი ლიბუში ძვრებოდა,
კვირიკა კურდღელაშვილი გულს უწადინოდ კვდებოდა;
- 5 გაოხრებული ლურჯაი სამბურში არა დგებოდა.
დედას იმ კვირიკაისას, მზეი გულს აღარ სთებოდა;
ეგრევე ცოლს კვირიკაისას, თვალებს ცრემლ აღარ სხლტებოდა.
ჯიხეებს ნუ ჩასდევ, კვირიკავ, ჟიხეებს ფადუზის კლდისებსა;
ჩავივლენ ტანიაშია, ჟარს ჩავიწყობენ რქისასა;
- 10 თანაც შენ ჩავიყოლებენ, ჩხერს ჩავაპრიან კლდისასა,
გავიძალღებენ ეშმაქსა, ნაქარს დაგცემენ მთისასა.

თოფსაც ტანიას ნუ სწირავ, მხოცელა ჭიხვებისასა,
ჯერ ქისტებს გაუხარდება, მერე ჭიხვთ ფადუხ კლდისასა.
ვაიგებს შიოხოველები, ბეგარ დაგყურიან ცხერისასა.

- 15 თოფო, მაგიკვლა პატრონი, წვერის ვინ დაგსვა ლიშანი;
ეგრევე შენა, ტყვიო, ვაჟმა ვინ ჩაგკრა ისარი.

მთქმელი ალუდა ხირჩლას ძე ზვიადაური. ჩამწერი — ნ. ხიზანაშვილი. ხელნაწ. ინსტ. S—5293, გვ. 3. ახლავს სიტყვების ახსნა: სტ. 3 ლ ი ბ უ — ს ა ძ ი რ კ ვ ე ლ ი; სტ. 5 ს ა მ ბ უ რ ი — დ ა ს ა ბ მ ე ლ ი თ ო კ ი; სტ. 8 ფ ა დ უ ხ ი, ტ ა ნ ი ა — სანადირო ადგილების სახელია; სტ. 10 ჩ ხ ე რ ი — წვეტიანი კლდე; სტ. 14 მ ი თ ხ ო ვ ე ლ ე ბ ი — ქისტები, ხევსურების მეზობლად ცხოვრობენ. კვირიკა კურდღელაშვილის ამბავი დამოუკიდებელი ლექსი უნდა იყოს.

ბ

ზენ ბაქალიგოს თოლსა თოვს, ქვენ ბაქალიგოს შრებისა,
თინიბეჟაურთ ციხესა კუთხი მარჯვენა სქდებისა,
თავსა ზის შავი ყორანი, ლიბუში გველი ძვრებისა,
შიგა წევს თინიბეჟაი, გულს უწადინოდ კვდებისა...

- 5 თინიბეჟაის დედაი, საწყალ, სანთლებურ დნებისა,
თინიბეჟაის ღიაცი დედაში აღარ ჯდებისა...

მთქმელი ხ. არაბულია. ქორუბანი (ანმეტის რ.). ჩამწერი გ. არაბული. 1961 წ. ფ. არქ., კ. 27, გვ. 89. სათაურად აქვს „თინიბეჟა“.

დ

თოვლსა თოვს ზენ ბაქალიგოს, ქვენ ბაქალიგოს შრებოდა,
თინიბეჟაურთ ციხესა მარჯვენა კუთხე სქდებოდა,
წვერს ეჯდა შავი ყორანი, გველი ლიბოში ჯდებოდა.

ხევსურეთი. უპასპორტო.

ე

თინიბეჟაურთ ციხეო, მარჯვენა კუთხე სქდებოა,
შიგა ზის თინიბეჟაი, გულსუწადინო კვდებოა.

მთქმელი ალუდა არაბული. არხილოს კალო (სიღნაღის რ.) ჩამწერი გ. შეთეკაური. 3. VI—1962 წ., ფ. არქ., კ. 118, გვ. 14.

ზენ ბაკალოგოს თოვლი თოვს, ქვენ ბაკალიგოს შრებაო;
თინიბეჟაის ციხესა მარჯვენა კუთხე სკდებაო.
თავს დახყრანტალებს ყორანი, ლიბოში გველი ძვრებაო.
შიგა წევს თინიბეჟაი, უზიარები კვდებაო.

5 ვაჟკაცსა ტყვიით მოკლულსა არ უნდა ზიარებაო.
წალეზა უნდა, დამარხვა, არ უნდა გვიანობაო.

მთქმელი ხეთისი ბურღული. ზემო ალვანი. ჩამწერი იოსებ ლონ-
გიშვილი. 1961 წ. 21 ივლისი. ფ. არქ., კ. 23, გვ. 431.

376. მონადირი

მესხეთი. ჩამწერი ვინმე მესხი (გვარამაძე). თაყ., 1, № 27, გვ.
428.

377. ე კავშირი ცუცუხნა

ქართლი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. თაყ., 1, გვ. 195. ეს ლექსი
ლეკიანობის ამსახველია. ამდენად შეიძლება იგი მომხდურთა წინა-
აღმდეგ ბრძოლის ამსახველ ნაწარმოებთა ციკლებშიც წარმოგვედგი-
ნა, მაგრამ რადგანაც იგი მონადირის ბედთანაა დაკავშირებული, ამ
განყოფილებაში წარმოვადგინეთ.

ბ

ეს კავიური ცუცუნა მონადირეა ტყისაო,
დათვისა ჰხოცავს და ირემსა, ღორს უშინჯავდა კბილსაო.
ცუცუნა ხრმალსა ლესავდა, მე ვარ ლეკების ტყვისაო,
ისე გადაყური ლეკის თავს, როგორც ფურცელი ტყისაო;

5 წინ და უკან ლეკი შეხვდა, თოფი ჰკარეს გულის პირსაო,
ერთი შევილსა მოხსენდა, ცუცუნა დასცეს ძირსაო.
ვაჟმე, ჩემო ცუცუნავ, ვილა მიჩვენებს ლხინსაო?
კაი საძირკველი იყავ ამ ჩემი სასახლისაო.
ცუცუნას არა უჭირს რა, ოქროს სკამზედა ზისაო.

10 ხელში უჭირავს ჩონგური, დაჰკრავს და ეტყვისაო.

ხელნაწ. ინსტ. S—5293, გვ. 14.

378. ბაზაფხულ იყო მადინა

ფშავი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. კოტ., გვ. 139, ახ. გამოც., გვ. 155. ლექსის დასაწყისი ვაჟა-ფშაველას სტრიქონების ვარიანტია.

379. მთაში ნუ ღზინხარ

ჩაწერილი ხევსურეთში თედო რაზიკაშვილის მიერ. შან., № 31, გვ. 11. სათაურად აქვს „ბერდია“.

ხ ე ვ ს უ რ ე თ ი

ბ

აკუშოს ლელეს ირემო, დაბლა ჩამოდი ნისლითა.
შინ არ ას კოლიკაშვილი, ქორცთა ნუ დახყრი შიშითა.

ხევსურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 166, გვ. 67. სათაურად აქვს: „ქოლიკიშვილი“.

ბ

აკუშოს ლელეს, ირემო, დაბლა ჩამახვე ნისლითა,
შინ არ ას კოლიკისძევი, ტანს კი ნუ დაღლევი შიშითა.

მთქმელი ალუდაური. ბარისახო. ჩამწერი ა. ჭინჭარაული. ჭინ., გვ. 348. სათაურად აქვს „კოლიკისძე“.

380. ბარდია და ჯინხვიბი

მთქმელი მ. ჭინჭარაული. შატილი. ჩამწერი ა. ჭინჭარაული. ჭინ., გვ. 349.

381. ღათჳვა სთჳვა

ფშავი. ჩამწერი დ. ხიზინაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 232.

382. ღათჳვა თჳვა ბუჳანუარელმა

ფშავი. ჩამწერი ვაჟა-ფშაველა. თაყ., 1, № 30, გვ. 494.

მთქმელი დედას ლევანა. კახეთი, შაშიანი. კოტ., გვ. 91, ახ. გამოც. გვ. 107.

ამ ლექსისადმი მეტად საგულისხმოა ვახ. კოტეტიშვილის შენიშვნა, რომ ლექსი ეპიტაფიური ხასიათისა არის. მოყვანილია შორეული ანალოგია ე. წ. საშუალო მეფობის ხანის ეგვიპტიდან. კერძოდ ნომარქოს ამენემხეთის საფლავის წარწერა. ამასთან დაკავშირებით დასმულია საკითხი ქართული ეპიტაფიების შეკრება-შესწავლის. კოტ., გვ. 339—311. ახ. გამოც. გვ. 367—369.

ქ ა რ თ ლ უ რ ი

ბ

ნეფის მონადირე ვიყავ, ვაჭრევიწინებდი ხმალსაო.
ნეფეზე მოსულსა მტერსა ქვაზე უხლიდი თავსაო,
ერთი ირემი მოვკალი, ჭვარი ეკეთა მხარსაო,
მიველ და ბევრი ვიტირე, თავი ვახალე ქვასაო.

მთქმელი ვანო ირემაშვილი 71 წლის. ჩაწერილი კავთისხევში (კასპის რ.) თინა კუკავაძის მიერ. 1961 წ. ივლისი. ფ. არქ. ქ. 67, გვ. 97.

ბ

მეფის მონადირე ვიყავ, ვაჭრევიწინებდი ხმალსაო,
მეფეზე მოსულსა მტერსა ქვაზე ვუხლიდი თავსაო.

მთქმელი დავით აზალაძე. 1889 წ. დაბადებული. ხარაზი, მედოლე. სოფ. გალავანი (მცხეთის რ.). ჩამწერი ი. ჩინჩალაძე. 4. VII—1961 წ. ფ. არქ. ქ. 64, გვ. 78.

384. რამ შემოგთვილა ფანჯარო

ფშავი. ჩამწერი ვაჟა-ფშაველა. კოტ., გვ. 63. ახ. გამოც., გვ. 81.

385. ხიბალიონო ლერენავ

ჩაწერილი ხევში. უმიკ., გვ. 84, № 119.

386. არმაზის ცინხე-ჰალაჰო

ქართლი. სოფ. ჰალა, 1868 წ. უმიკ., გვ. 84. № 120.

387. გაბუურთ მზირი აულგა

მთქმელი გიორგი ოჩიაური (შერქმეული სახელით გერგეტელი) 80 წლის, ბრმა. გერგეტელი თიბვაში შეურქმევია ახიელელ ჯაბუშანურს, რადგანაც ხშირად დადიოდა ნათესავეებთან გერგეტში. ახიელში მას ყველა ეძახდა გერგეტელს. სიამოვნებით ამბობდა ლექსებს, მეტწილად — საგმიროს, რასაც უწოდებდა სიმღერეს. თავისი რეპერტუარიდან ბევრი რამ დავიწყებული ჰქონდა. იყო ცოცხალი ბუნების მოჩუცი. საშინლად ნერვიულობდა, თუ ვინმე დაარღვევდა სიჩუმეს მისი თქმის პროცესში, იგი მაშინვე შეწყვეტდა თხრობას. ტექსტი ავიწყდებოდა, მაშინაც, თუ მსმენელთა მოძრაობას შენიშნავდა. ხაზგასმით აღნიშნა, რომ მან სამი ენა იცის — ხევსურული, ქისტური, რუსული. არხოტის თემის მცხოვრებნი მას კარგ მთქმელად თვლიდნენ. სოფ. ამლის მცხოვრებმა ხირჩლა წიკლაურმა (ნისლაურთ ხირჩლამ), რომელიც აგრეთვე კარგი მთქმელი იყო, საგანგებოდ, გვთხოვა, მისგან ჩაწერილი ტექსტი გერგეტელისათვის წაგვეკითხნა.

ჩაწერილი 2. VIII—1944 წ. სოფ. ახიელში ქს. სიხარულიძის მიერ. მთქმელს ლექსი მთლიანად არ ახსოვდა. მისი გადმოცემით ლექსში ნათქვამია ორი ძმის — მინდია და ალუდაურის შესახებ, რომელნიც ალაში მუშაობდნენ. მუშაობისას ქისტებმა მინდიას თოფი დაკრეს.

ტექსტისათვის: ა კ დ ო ლ ა — ქისტის სახელი, ნ ა თ ო ს ი — დაგლეჯილი; ა მ ყ ო რ ი ტ ე — ადგილია ხევსურეთში ქისტეთის საზღვარზე.

388. არწივი

ჩაწერილი ხევში. მოხ., გვ. 6.

ბ

არწიო ბუბაიშვილო, ღმერთმა გაცხონას მკვდარიო,
ღვლამ შვილი ვერ გაზარდა, შენსავით მეომარიო.

ხევი, სოფ. აჩხოტი; ჩამწერი მიხ. მალსაგიშვილი. ფ. არქ.,
№ 5096.

389. მარტია შუქიაური

ჩამწერი ბეს. გაბური. შან., № 532, გვ. 215. ახლავს შენიშვნა:
„მარტია შუქიაურსავე უნდა ეხებოდეს ლექსი № 113. შან., გვ. 569.

390. ლომო, შე ლომის მოკლულო

ფშავი, კაწალხევი. ჩამწერი ივ. ხორნაული. კოტ., გვ. 66. ახ. გა-
მოც., გვ. 84

ფ შ ა უ რ ი

ბ

ლომო, შე ლომის მოკლულო ხაღხეორხაის ძირსაო!
ვინ შავილება მხარ-ბეჭი, წითელი პერანგისაო?!
ვინ ამოგტეხა კბილები, თეთრები ბროლივითაო?!
ლაშაზად დაგიტირებდი, ხათრი არ მქონდეს ქმრისაო!..

ფშავი. ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს. გვ. 234.

მ ო ხ ე უ რ ი

ბ

შე ლომო, ლომის მოკლულო, ხურთის კიდაის ძისაო,
ციხეს რამ ჩამოგაფრინა შენ მთიელ შავარდნისაო.
რამ დაგვიმტვრია ყელ-ყური თეთრის მარგალიტისაო,
რამ დაგიხია მუცელი წითელის ხავერდისაო,
5 ეახ, ლამაზ მაგიხსენებდი, ვახ, დიდო შიშო ქმრისაო!

მობ., გვ. 78.

მოყვანილია ვაჟა-ფშაველას წერილში „აფხუშობა“, ტ. V, გვ. 31.

თ უ შ უ რ ი

ბ

რა ცუდი ზნე გაქვთ ყორნებო, მკედარზე არ იცით ტირილი!
ვაჟაკ რო ველთა დარჩება, თაზე რად იცით ტირილი?
პირველად თვალთა დასთხრითა, მტრის, შორის ჩაშხვერავესაო,
მეორედ მხართა დასძოვთა, ხმლის მარდათ ამომღებელთა, —
5 მესამედ მუხლთა დასძოვთა — გზა შორით გამხანებელსა!

მთქმელი საბა ითიურითქ. ჩამწერი ვ. ბუთლიაშვილი. ლიტ. მუზ. 20005—ხ. ყ—329, გვ. 66, I—1955.

ბ

რა ცუდი ზნე გპირთ, ყორნებო, თეთრს არ ჩაიცივამთ ტანზედა,
ტირილის ზამაგიერთ ყეფა რათ იცით მკედარზედა!
ვაჟაკს გულს ამააგლეჯავთ, ჩამარიგებთ ჯარზედა,
დასხდებით, ჰამას დაუწყებთ, ცრემლ არ მოგივათ თვალზედა!

ნათ., № 107, გვ. 72. სათაურად აქვს: „ყორნების ზნე“.

392. ზვაპი

ხევსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 274, გვ. 122. აკ. შანიძის შენიშვნით „აქ თითქოს ორი სხვადასხვა ლექსია შეერთებული ერთისა და იმავე ამბის შესახებ“. შან., გვ. 495. ეს ვარაუდი ჩვენ ჰეშმარიტებად მიგვაჩნია. სტრიქ. 17—28 ვარიანტია ცნობილი ლექსისა „ტირიან თუშის ქალები“.

393. გამწირა

ჩამწერილი ხევში. მოხ., გვ. 28. სტრიქ. 8 დაბეჭდილია ჩ ვ ე ლ ს ა. ვბეჭდავთ შესწორებით — ჩვეულსა.

ხევი, სოფ. სტეფანწმინდა. ჩაწერილი დიმიტრი ყაზბეგის თქმით. 1875 წ. უმიკ., გვ. 82, № 102.

395. შატილის ღაფვა

ხეცსურეთი. ჩამწერი ნიკო მაკალათია. შან., № 253, გვ. 113—114. აკ. შანიძისთვის ლექსი გადაუცია ქრისტინე შარაშიძეს. ახლავს ჩამწერის შენიშვნები: სტრიქ. 1 იყრების დიდი ლაშქარი—რუსის იყრების ლაშქარი; სტრიქ. 32 ცვილის სანთლები — ცვილი სანთლები.

აკ. შანიძის შენიშვნა: „აქ თითქო უნდა იგულისხმებოდეს რუსის ჯარის მოქმედება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში იმასთან დაკავშირებით, რომ შატილში 1813 წელს ალექსანდრე ბატონიშვილი იყო შეფარებული“. შან., 482.

396. ღემურ

კახეთი, სოფ. ვაჩნაძიანი. ჩამწერი ალ. ჯანდიერი. 1869 წ. უმიკ., გვ. 64, № 71, მითითებულია სამი ვარიანტი, იქვე, გვ. 557.

397. მოლოდინში

ხეცსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 147, გვ. 59.

398. ჩილოს წახდენა მბერთაგან

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაულა. თაყ., 1, გვ. 99, № 76. ლექსისთვის ჩამწერს შენიშვნის სახით დაურთავს გადმოცემა: „თუშების გარდმოცემით, ისე აუოხრებია მტერს ჩილოს სოფელი, რომ ერთადერთი შვიდი-რვა წლის ბალლი-და გადარჩენილა მტრის მახვილს; იმასაც დასძინებოდა და გველის ნაკბენისაგან მომკვდარიყო. ამ სოფლის აოხრების დროს თუშეთი არ მიშველებია სიაგვაცის მოგონებით...“ იქვე.

399. ფანშაბელი ელგუჯა

ჩაწერილი ხევში. მოხ., გვ. 46.

ჩაწერილი ხევეში. მოხ., გვ. 95. სტრიქ. 7. დაბეჭდილია წ ე ვ რ ე -
ბ ი. შევანწორეთ წ ე ვ რ ე ბ ი.

401. ბრალია შენი სიკვდილი

ფშაური. მოყვანილია ვაჟა-ფშაველას წერილში „ცოტა რამ ვლევ-
თა ყოფაცხოვრებაზე ფშავში“ — ტ. V, 1961, გვ. 195. ამ ლექსის შე-
სახებ ვაჟა წერს: „ზურაბის შემდეგ ერთმა ფუძნარელმა ვილაც ჭავ-
ჭავაძემ მოინდომა ფშავლების ყმად დაქერა, მაგრამ დაქერის ნაცვ-
ლად თვით დაიჭრა ფშავლებთან ბრძოლაში“. იქვე, ამგვარად ლექსი
მე-17 საუკუნეზე აღრე შექმნილი არ არის.

402. თუშისა დედა ბირილა

ქართლი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. თაყ., 1, გვ. 190, № 59.

403. სნოს ციხემ მავინ შატირა

ჩაწერილი ხევეში. მოხ., გვ. 53.

404. სამნი ძმანი ლუღუშაური

ჩაწერილი ხევეში. მოხ., გვ. 121.

405. სიკვდილის ზენ

ჩამწერი გ. ნათაძე. ნათ., გვ. 74, გვ. 111.

406. ნებავი შენა მთვარეო

ფშავი. ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 96.

407. ბაბუკიშვილი

ჩაწერილი ხევეში. მოხ., გვ. 24.

ავტორი აშექალ გაბური. მთქმელი ლელა წიკლაური. ხეცსურეთი, სოფ. ამლა, ჩამწერი ქს. სიხარულიძე, 5. VIII—1944 წ. ლელა წიკლაურს ლექსი გაუგონია კიმლიონ მზექალა გაბურისაგან.

აშექალ გაბური ყოფილა ძმისწული ბესარიონ გაბურისა. იგი ნიკიერი მოლექსე ყოფილა. ახალგაზრდა გარდაცვლილა. მისი ლექსები გავრცელებულია ხეცსურეთში.

409. შაჩალის ნათქოზი

ჩაწერილი ხევში. მოხ., გვ. 17.

410. ყორანი

ჩაწერილი ხევში. მოხ., გვ. 9.

411. საბურამოზი ყორნები

ფშავი. ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 86. ლექსი თავისებური ვარიანტია უშიშა ოჩიაურზე შექმნილი ლექსისა, რომელიც მომხდურთა წინააღმდეგ ბრძოლის ციკლშია წარმოდგენილი.

412. ტოზაი

ჩაწერილი ხევში. მოხ., გვ. 11. ასეთივეა 1936 წ. ყაზბეგის რ. ს. აჩხოტში მიხ. მალსაგიშვილის მიერ ჩაწერილი ტექსტი. ფ. არქ. № 5119.

413. ლურჯანის ჩივილი

ჩაწერილი 1942 წ. სოფ. ლახატოში, ს. დავითურისაგან. ფშ. ხეცს., გვ. 114.

414. მებრელათ ფუნჯია

ჩაწერილი ხეცსურეთში თ. რაზიკაშვილის მიერ. შან., № 533, გვ. 215—216. შეიძლება ეს ლექსი სამონადირეო ციკლშიც წარმოგვედგინა. ახლავს თ. რაზიკაშვილისა და აკ. შანიძის შენიშვნები. თ. რაზიკაშვილის შენიშვნა: 9—10 დედა უკვდება ტირილსა, დანი იღებენ თავ-
542

საო — დედა ტირილითა კვდება, დანი თავს იკლავენ, „თავი ჩამოიღო გლოვნითაო, სტრიქ. 17. აკ. შანიძის შენიშვნა: 9 ნადირთად ატირებულნი — ასე იკითხება ხელნაწერში, მაგრამ ხომ არ აჯობებდა, რომ გაგვესწორებინა: ნადირთად ამტერებულნი; ჩამწერის შენიშვნა: სტრიქ. 24. სამხლეშიგურსა ქალსაო — „სოფლის სახელს იხსენიებს, სამხლეშიგური ვარო. უნდა თუშის ქალი იყოს. რამდენად სწორედ არის სახელი, თუშებს ეკითხოს“-ო, აკ. შანიძის შენიშვნა: „მაგრამ ეგების თუშების უკითხავადაც გამოვარკვიოთ საქმე: „სამხლეშიგური“ მე სამხლეში მყოფი მგონია, ე. ი. გამოუთქვამს ქალს მხლის კრეფის დროს“. თ. რაზიკაშვილის შენიშვნა: სტრიქ. 25 შავხედავ სპეროზიათა — პანკისშია ეს მთები (უფრო სწორი იქნება, რომ ვთქვათ: პანკისის თავზეა, ან კიდევ: ივრის სათავეშიაო: ა. შ.), საზარელი სანახავია. იქ გადმოვარდნილა კლდეზედ და იქ დამარჩალა იმისი ლეშიც“. აკ. შანიძის შენიშვნა:

„მონადირის მარცხი აღწერილია კიდევ შემდეგ ნომრებში: 516, 671“. იქვე, გვ. 569—570.

ფ შ ა უ რ ი

ბ

ნუ მაჰკლავ, დამბადებელო, მეგრელათ ფუნჩიასაო!
 ჭიკვების პარებაშია კლდისას ჩაჰჭრია ფხასაო.

სად მიხვალ, შავო ყორანო, სად მიიხულავ მქარსაო?
 ვაქაკის ნუ გააჯულურებ, წვერ-შამამდინარს ყმასაო!

5 მინდვრით მოსულო ღურბელო, ნუ დაუთოვნი მთასაო!

ნუ გაუყინავ, მყინვარო, ფეკზე ნაცვამსა ჭლანსაო!

ნუ ჩაუქდები, მთვარეო, ნუ ჩაუბნელებ გზასაო!

ნუ აუტირებ დედასა, გასათხოვარსა დასაო!

მთქმელი ბეწინა წოწკარაული. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან. გვ. 570. აკ. შანიძის შენიშვნა: „ამ ვარიანტისათვის თ. რაზიკაშვილ-ს სათაურად გაუკეთებია: „მეგრელათ ფუნჩია. ლოცვა“. იქვე.

ბ

შო სიკვდილო, ნუ მაჰკლავ მეგრელათ ფუნჩიასაო!
 შორით ნუ მოხვალ, ღურბელო, ნუ ჩაუთოვნი მთასაო!
 ნუ ჩაბძანდები, მთვარეო, ნუ ჩაუბნელებ გზათაო!
 გადაჰყოლია ჭიკვებსა, ჩაჰჭრია კლდისა ფხასაო.

5 პეროზიაში ჩახედვენ იმის უღვაშთა, თბათაო,
ჩოქის კალთაით წავიღებ დედის ერთაის ძვალთაო.

ჩამწერი ვ. ტუქსიშვილი. შან., გვ. 570.

415. რმათი ჯამრული

ხევსურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 530, გვ. 215.

416. ჳიხუა მახინცაური

ხევსურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 531, გვ. 215.
თ. რაზიკაშვილის ცნობით ჳიხუა ფშაველი ყოფილა, ჩამწერის შენიშვნა: სტრიქ. 4 — ვინ გარმააელებს პირსაო — „ვინ ამოუშვებს პირიდანა“ — შან., გვ. 569.

417. ჩუას სიკვდილი

მთქმელი გიორგი ჳინჭარაული. თბილისი, ჩამწერი აკ. შანიძე, 1. III — 1931 წ. შან., № 613, გვ. 252. აკ. შანიძის შენიშვნა: სტრიქ. 12 — ჩოკა მაუდის არია — გიორგიმ ასე მითხრა. ჩოკა მაუდის სარია — შან., გვ. 615.

418. ხმალი გორღანი

მთქმელი იოსებ მიხეილის ძე მათიაშვილი. სოფ. ქვემო ქედი (წითელწყაროს რ.) ჩამწერი ი. ძამიაშვილი. ფ. არქ., კ. 94, გვ. 128. ლექსის შემთხვეული ლიტერატურის გავლენას უნდა განიცდიდეს.

ლექსკონი

ა

ადეზ-ი II, 70 ფიჩხი, ხის ტოტები, რომელთაც ჰერს ზემოთ აწვობენ, რომ ზედ დაყრილი მიწა არ ჩაცვივდეს. „ადეზად ფერცხალს აყრიან“.

ათენგენობა II, 174 ერთ-ერთი დღე-სასწაული მთაში, იმართებოდა ხახმატსა და არხოტში (ხევსურეთი) ივლისის 15—25 რიცხვებში.

ათოთქროვება I, 80 დაოკება, დამშვიდება. „ხვადი რო ჰხრავდეს ლაგამსა, წალმა-უკუღმა დგებოდეს, ათოთქროვებდეს მკედარი“...

წყაროები: ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედ., თბ., 1949; ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961; დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სპბ., 1887; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I—VIII, თბ., 1950—1964; თ. რაჭიკაშვილი, ქართული ენის საუნჯის მასალად, „ივერია“, № № 127—135, 140—142; 150, 157, 160—168, 1900; ი. ბუქურაული, თუშურ ლექსებში ნახმარ სიტყვების განმარტება, „ძველი საქართველო“, IV, თბ., 1913; ა. შანიძე, ვუას ლექსიკონი: ვუა-ფშაველა, თხზ., I—IV, თბ., 1922, 1926, 1928, 1930, 1932; 1950; ა. შანიძე, ქვესურული მა-

ამაჩქვიფვა. ნ. ჩქეფევა.

ამლათ-ი II, 122 მარდი, სწრაფი. ნ. ამლათზე.

ამლათზე II, 194 უტბად, ერთწამში, სწრაფად. „ამლათზე მიმშველებელი, პირიმზე მოგვეს ძალსაო“.

ანდრეზ-ი II, 229, 326 ანდერძი, გადმოცემა, ძველი ამბავი.

არგან-ი I, 80, 107, 391 გრძელი ჭოხი; „კვერთხის უსხოი, საბრჯენლად და დასაყრდნელი კაცთა უძღურთათჳს“ (საბა). „არგანზე დაეცილება“.

სალების ლექსიკონი, „წელიწდული“, I—II, თბ., 1923—1924, გვ. 259—330; ვაეა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალ. ჭინჭარაულმა, თბ., 1969; თ. უთურგაიძე, თუშური ცილო, თბ., 1960; პ. ხუბუტია, თუშური ცილო, თბ., 1969; ი. ქეშიკაშვილი, თ. რაზიკაშვილისა და ბაჩანას თხზულებათა ლექსიკა, თბ., 1969; ს. მენთეშაშვილი, კიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943; ვ. ბერიძე, სიტყვის კონა, სპბ., 1912; ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960; მ. ჯანაშვილი, საინგილო, „ძველი საქართველო“, II, თბ., 1913; ალ. ლონტი, ქართულ ცილო-თქმათა სიტყვის კონა, ტ. I, თბ., 1974; ტ. II, 1975.

არშვიანი-ი II, 67, 84, 86, 117, 119, 227, თოფია ერთგვარი; შაშხანის ეპითეტი.

არჯალი-ი I, 414. ნ. გულ-არჯალი.

აქოთება II, 54, 82, 255 არევა, აშლა, აფორიაქება.

აქვეადომა II, 62 ხმის ამოღება, ახმაურება; ხმის გაცემის წესი. „მარტიანი-სა ნასრევი გალოზედ აქვე ავღებო-და“.

აძრახება II, 86 ალაპარაკება, ახმა-ნება, დალაპარაკება, შესიტყვება, შეხ-

მიანება, ხმის გაცემა. „ყოპართოს ყო-რ-ნებ აძრახდა“.

ახალ-ი. ნ. ახლები.

ახალ-უხალ-ი 96, 99 ახალგაზრდა. უფრო მრავლობითში იხმარება: ახალ-უხ-ლები.

ახლები-ი I, 83, 93, 107, 126, 151 ახალგაზრდები. „თქვენი რიგია, ახლებ-ი“; II, 46, 49, 61, 88, 86, 91, 98, 107, 178, 186, 190, 236, 237, 251, 287.

აჭუფთება II, 233 გაწყვილება, წყვი-ლად შეერთება.

ბ

ბაბრ-ი I, 456 დიდი დათვი; „პირდა-პირ დათვი ჩამუა, ბაბრი მალრანის ტყისაო“.

ბაკან-ი II, 40, 123, 411 ხის დიდი ჯამი; ვარცლის მსგავსი მრგვალი ჭურ-ქელი, რომელშიაც რძეს ჩაწურავენ ხო-ლმე.

ბანდვა II, 33, 38, 82, 180, 273, 274, 292 ჯღნის (ნ.) ძირის გამოქსოვა თა-მით.

ბაძგ-ი II, 187 ეკლიანი მცენარეა ერთ-გვარი, ბაძგარი.

ბერხენ-ი II, 242 დაბერებული ჯიხ-ვი; ბექენი.

ბიბინ-ი II, 39, 41 ფრენა (არწივისა), ქენება (ცხენისა), მღელვარება (ყანი-

სა); მეტათორულად: ხალხის წასვლა გა-მალებით.

ბოინობს II, 189, 256: დაღბუის თავზე ნებივრად დაპლივივებს (ფრინ-ველი). „ყვარან დაღბუის თავზედა“.

ბონცვერ-ი II, 297 ახალამონაყარი შტოები ხისა.

ბუქირ-ი I, 260 „ბუქი, ქარიანი თოვ-ლი“ (საბა); „რაც გინდა ცაჰა იქექოს, ღრუბელთა იბუქიროსა“.

ბუჩა I, 98; II, 46, 248 („ტოტი მეც მოვკარ, ბუჩამა, ფეხზე ვერც ისი დგე-ბოდა“), 282, 466 ერთგვარი თოფი; სა-კუთარი სახელი უნდა იყოს; ან ღონივ-რად შემოკრა; „იმისთანას გბუჩავ, რომ შემხედო, ვერ მიცნო“ (ვ. ბერ.).

ბლაჯ-ი II, 68 გაშლილი ხელის გული; ბლუჯი (?).

გ

გამანდვა. ნ. ბანდვა.

გაგალვა II, 197, 502 დანაყვა, გალ-ბობა, დალობა, მითელ-მოთელვა.

გაღმობოტება I, 352 დიდ-დიდი ნაბი-ჭებით გაღმოსვლა. „ცხენიდან გაღმა-აბოტებს ერთი ურჯულო თათარი“.

გაღეჭება II, 249 გაძლომა, გაუღენ-თვა; გაიღეჭებით სისხლითა უზომოდ გაძლებით სისხლითა, მოითენ-თებით, მოღუნდებით.

გალო II, 62, 64, 248 ძეალი, წვივი, დიდი ნაჭერი ბარკლისა.

გამჩვენეობა I, 80 გამოღვენება, გა-მოკიდება; ადვენება. „გაყაყის რას გამო-ადგების სოფელთ შეენება ტანისა, ბა-ნებზე მიღვომ-მოღვომა, გამჩვენეო-ბა ქალისა“.

განაგაბრება II, 93 ნაგლეჯ-ნაფლე-თებად, ნაშუსრევეად ქცევა. „შატილს ჩა-ვიდა ქისტებში, ქისტები განაგაბ-რა“.

განხვობა II, 174 გაგნება, გაღება, გახსნა. „ჩქარა გავიხეხეთ გზანია“. ნ. განხვობა.

გასარჩვა I, 95 გარჯა.

გატეხილი I, 293 სირცხვილქმული, შერცხვენილი; გატეხილი ვაჟკაცი მხდალი, შერცხვენილი. „გატეხილია ვაჟკაცის ლეში ყორანმა არ ქაშა“.

გატყდა ხმა II, 61, ხმა ვაეარდა.

გაფრებხ II, 311 გამგავსებს. „გაფრებხ ქისტის ყმასაო“.

გაქეჩა I, 119 გეხის, მიმართულების მიცემა ფარისა და ჯოგისათვის. ცხერის ფარას თხა რომ წინ გაუძღვება ან მეცხვარე გაიყოლებს მთელ ფარას. „გამოუქეჩა ვაეებსა“.

გაღმეტება II, 91 მომატება, გამდიდრება. „დავლათით გაღმეტდისაო“.

გაწირვა I, 217, 259; II, 48, 55, 67, 108, 109, 112, 113, 114, 125, 173, 184, 274, 295, 399, 400, 401 დატოვება, მიტოვება. „კოდის წყაროსთან გავწირე“.

განხვობა I, 114 გაგნება, გახსნა, გაღება. „ველად გაიხომის ვეღარა“.

გეზულ-ი I, 86, 294 მამალი ქორ-მინო: „ქორი და მისთანა მამალი“ (საბა).

გეზუბუქება I, 177 გემსუბუქება. „ოთუ თაგი გეზუბუქება“.

დაბალითება II, 92, 181, 196, 399 მოტყუება.

დაბოძება I, 122 ბოძად ქცევა, მტკიცედ გახდომა. „ქელთ დაბოძება მოუნდა“; ბოძიანი მტკიცე.

დაგნასვა II, 130 დაფრთხობა, გარეკვა.

დაგრუზული I, 308 ძალრან დახუკუქებული ხშირი თმა. „აქ ნახმარია გადატანიით მნიშვნელობით: „დაიგრუზების არწივი“.“

დაგულვა I, 491 დახურვა, დაკეტვა

გელდება II, 78 ელავს, ელვარებას.

გელოზა II, 491 ლაპლაპი (ტულისა). ნ. გელდება.

გერში I, 221; II, 37, 271 გეში; დაკარგულის ან რაიმე საძიებლის მისაკვლევი ნიშანი; ალღო, ჩვევა, გაწაფულობა, გამოცდილება, გაგერშვა გაწაფვა, გაწერტა. „რტყეია გავგერშოთ ტანზედა“.

გვალო II, 218, 474 საქონლის ადგილი სახლის ქვედა სართულში (მარუშში). გირგოლ-ი II, 47: ფარის გირგოლი ფარის რგოლი.

გირკალი-ი II, 78, მუხის ან არყის ხის რკალი მერტაკლები სიდიდისა, მსხვილფეხა პირუტყვის საბმელი.

გლა I, 223; II, 197 ხლა, მიხეთქება. „გულს უგლის ღამის სიბნელე“.

გოზა I, 85, 101, 322, 323; II, 184, 275 მშვილდის მარჯვენა და მარცხენა მხარე; „მშვილდის მწვერვალი“ (საბა); ადგილი მშვილდის სახელურიდან წვერამდე, მშვილდის ფეხი. „მშვილდი გავიტყდა, ვაჟაო, მხარეთერი, გოზა წითელი“.

გუგუში-ი II, 172, 401, 402; 403 ლითონის მსხვილი მძივი.

გულ-არკალი-ი I, 414 გულ-ბოროტი. „შუბლი უგავის სინასა, ეტყობა გულ-არკალია“.

დ

დარებისა, ფანჯრისა. „მაგრა დავგულოთ კარები“.

დავითფერულ-ი II, 54, 60 ხმალი-ერთგვარი ხეცურეთში.

დავლა I, 149, 234 ქონება, შეძლება, დოვლაოთი.

დავლათიანი-ი II, 88, 399, 400, 401 დოვლათიანი, მდიდარი, შეძლებული.

დავლაობა, დავლობა I, 229, 231 დოვლათის, ქონების, შეძლების შოვნა, დრო. „ამბობენ დავლათანშია ახლა დავლობის ხანია“. ნ. დავლა.

ღაერში-ი I, 94 მათხოვარი; ზუსლიმა-
ნი სეოი, ღერეშითა ორდენის წევრი;
ზოგი მათგანი მათხოვრობს.

ღაზეზება II, 236 აშვება, აწყვეტა
(ღაბმული ცხოველისა).

ღათლა I, 378 ლექსის თქმა, შეთხზ-
ვა. „ეს ლექსი ცხორჩი და ვთო ლე“.
ღათრა I, 225 დატურება, ჩამოტურე-
ბა. „ან თევზი და მთრის წყლისაყენ“.
ღათხოვდეს II, 503: მასკველა ვ
ღათხოვდეს ცისანი ვარსკვლა-
ვები სწრაფად მოსწყდნენ, წავიდნენ
კიდან.

ღალაღვა II, 109 გამოლაღვა, გამო-
ღენა.

ღალაზვა // ღალაქვა I, 139, 252; II,
.87, 242 ფეხის დაღმა, გადაღვა. „არ
მილაქიან ქეიშანი“.

ღანაგაბრება II, 198, 466 დაგლეჯა,
დამსხვრევა, ნამსხვრევედ ქტევა; ნაგა-
ბარ-ი ნაგლეჯ-ნამუსრევი რისამე: „მა-
გას რო დავხკრა ბუჩაი და უნაგა-
ბრას ძვალა“.

ღასთველქმეღება ზამთრისა, I, 197
უთოვლო ზამთრის დამსგავსება შემოდ-
გომისათვის; დასთვა ლქმეღება
ხმელი შემოდგომა.

ღარაიან-ი კლდისან-ი II, 503 ეშმა-
კეულნი (?).

ღატყვრომა I, 359, 406; II, 54 სკლო-
მის, ტყაყანის ხმის გამოცემა; გავარდნა
თოფისა. „ღატყვრდა, დაქალდა თო-
ფები“.

ღაუშილინღათ II, 97. ნ. შილინდი.

ღაფერება II, 486 შეღარება.

ღაფხაება II, 87, 231, 234 გალესვა,
მაგ, ცულისა, ხმლისა; დაფხაულე-
ბი დაღლესილები.

ღაქუჩება II, 71 დაგროვება, თავმოყ-
რა. „სუ იყენენ დაქუჩებულნი ჩე-
მი პირქუში ყმანია“.

ღაღბუის II, 189. ნ. ბოინობს.

ღაღრეჯა I, 121, 357, 358, 359, 380,
381 მოხრა, მოწვევა, მოღრეცა, მომართ-
ვა. „თოფი დაღრეჯა ურჯულომ“.
დაღრეჯას მანქვის, მოწყენის, მოღ-
რეცის მნიშვნელობითაც ხმარობენ.

ღაციღება II, 32, 47, 49, 74, 109, 233
დაიწყება. „თოფი ხკრა ბუნუხუასა,
რჯულ დააცილა ქურდისა“.

ღაწვერვა II, 54 მზის დაშვება ჩასა-
ვლელად.

ღახულება I, 94, 324 ხმიანობა ქარი-
სა, მღინარისა, დიდი ფრინველის ფრე-
ნისა. „მთას იხუილა არწივმა“.

ღაქერება II, 255 დაშტერება.

ღაჩინ-ი II, 62 ჩაჩანი, ნოხჩი.

ღაუშმან-ი I, 94, 95, 81, 282, 283; II,
85 მტერი.

2

ეფელება II, 72 თავს დასტრიალებს.
ეკლადამა I, 178 აკლადამა.

ერცხვა II, 121, 255 ერთხევა, ერთმა-
ნეთი. „მიაწყდებოღათ ერცხვასა,
მიაწითებდა ქეიშასა“.

3

ეეღობა I, 220; II, 111 ხალხური ღღე-
ობა იმერეთში (სოფ. ეინოთაში, ქუთა-
ისის რ.), იხდიდნენ 15 იეღისს. სიტყვას

მეორე მნიშვნელობაც აქვს: საომრად,
სათარეშოდ წასვლა, ლაშქრობა.

ეეფთარ-ი I, 149 ბექთარი. „ტანზე ჩა-
უტყვამ ვეფთარი“

ზალტე I, 250; II, 181 სალტე, სამა-
ჭური. „მკლავით ვიყარე ზ ა ლ ტ ე ბ ი“.
ზატორი II, 67 რუს. затвор, საყე-
ტი, ურდული.

ზერდაგ-ი II, 285 კარგი ცხენის ეპი-
თეტია.
ზისცვარ-ი I, 394 სძის ცვარი, რძე.

თ

თათრისეულ-ი II, 184, 436, 437 თო-
ფია, თათრის თოფი.

თაქალთო II, 239, 244, 514 თოქალ-
თო, ცხენის ზურგზე (უნაგირის ქვეშ,
საოფლზე) დასაფენი სქელი ქეჩა.

თლარ-ი II, 246 დიდი ქვევერი, რო-
მელშიაყ საწნახლიდან ჩადის ტბილი.

თბე I, 324; II, 33 ფრთა; თ ბ ე ბ ი-
წისქვილის ბორბლის ფირფიტები.
„ქლდის თ ბ ე ზ ე ჩამამავალსა“.

თფო I, 80 ადგილი ცხვრის ბინის გა-
ნაპირას; საყარაულო ადგილი ცხვრის
ფარასთან.

თვირთვილი-ი I, 95 თრთვილი, რთვი-
ლი.

თვირთვილიანი-ი II, 32, 35, 63, 400
თრთვილიანი (ნ.).

თვლა I, 122 ლექსების თქმა. ნ. დათ-
ვლა.

თოლ-ი I, 378, 396, 398 თვალი.

თოქ-ი I, 294 შვიშარა. „ატირებს
თოქს და ბეჩავსა“.

თორბილ-ი II, 96 თვალირი, პირისა-
ბე.

თრთვილ-ი II, 83 „რა ღამის სიცი-
ვემ ცვარი შეათოს“ (საბა); „ცუარი
შეყინული სიცივითა ღამისათა“ (ნ. ჩუ-
ბინაშვილი).

თულ-ი I, 126, 127, 494 ყაჩაღი, მძარ-
ცველი, მეკობარი (დ. ჩუბინაშვილი).
„ცხრანი სხედანა ურჯულო. თ უ ლ ა თ
გასული ველზედა“.

თულუხ-ი II, 233 სპილენძის კოკა,
დიდი, ყელწერილი თუნგი.

ო

იალად-ი I, 213 თავისუფალი; საზაფ-
ხულო საძოვარი მთაში.

იალ-ი I, 210, 260; II, 94, 82, 130
სამოთხე, ცხონებულთა სამყოფი ან თვით
ცხონებული, უმანკო, უცოდველი. „სუ-
ლეთ ას ი ა ლ თ ა ნ ა ო“.

ილეოიანი-ი II, 183, შნოიანი, სანდო-
მიანი.

იტონკა II, 76 რუს. виштовка, შაშ-
ხანა.

კ

კათხა I, 206 ხის სასმისია ერთგვარი
და სხვა რამესაც ნიშნავს.

კალდიმ-ი I, 197 ხმალია ერთგვარი.

კანტალაობა II, 105 ქურდობა. „ს ა-
კ ა ნ ტ ა ლ ა ო ბ დ მილიან, გზა გადმოლა-
ხეს ცვრიანი“.

კაქა I, 118 იმერულად მრუდფეხები-

ანი; მეორე მნიშვნელობაცა აქვს: ყან-
კი, ნეგესა და მისთ. ნაქერი.

კვეთილ-ი I, 302; II, 172, 400, 416
ქალი რომ საქმროს დაიწუნებდა, ფშა-
ველთა წესჩვეულებით, ქმარს ველარ
შეირთავდა და ამაზე იტყოდნენ: კვეთი-
ლიან ქალიაო; კვეთილში ჩაბმა გათ-

ზოვების აკრძალვა. „ქალას მიხენი კვე-
თილი“.

კირჩხა II, 332, თოფის დასაკიდი,
ქაჩხა.

კორა-ა I, 369; II, 529 თოფის გასა-
ხედი სანიშნებელი. „ამოუბრუნა კო-
რაი, მკრებში აადენს ბოლსაო“.

კორკოტი I, 377 პურის მსხვილი მარ-
ცვლისაგან შემზადებული კერძი; დანა-
ყილი პურის მარცვალი; ერთმანეთისა-
გან დაუშორებლად გარჩეული ნიგვზის

ლაღვა II, 311, 441 საქონლის გაღე-
ნა. ნ. დალაღვა.

ლაშ-ი I, 195, 223 სილა; უჭკო, უკენ-
ჭო შავი მიწა, ადვილად დასამუშავებე-
ლი; ნამი, სინოტივე (დ. ჩუბინაშვილი).

ლამუნ-ი I, 389 ტრფიალი, ალერსი,
შოფერება. „საქმელად ველამუნე-
ბი“.

ლასტ-ი II, 234 წნელის ბრტყელი
წნული, ჩელტი. „ისეთ დრო როდის მო-

მათარა I, 254; II, 229 ტყავის პატა-
რა სამგზავრო კურტკელი წყლის დასა-
ლევად. „წამლით გაეავსე მათარა“.

მაილაზრება I, 253 მოიზლაზნება, ნე-
ლა მოდის. „მაილაზრება არაგვი,
მანგრეუს არე-მარესო“.

მაკეთე I, 409 მოკეთე, ნათესავი, მოყ-
ვარე.

მალიკ-ი II, 239 ხის პატარა სოლი,
ჩარკობილი ფანდურის ყელში.

მალულ-ი II, 59, 77, 121, 179, 184,
295, 329, 435, 437 ფარული, დამალუ-
ლი, ჩასაფრებული. „თორ თვალი რო
ვინ შეგვადგას, მალულს დაგვისმენ
გზაზედა“.

მაჟარი-ი I, 106, 200, 210; II, 35, 62,
64, 114, 194, 266, 330 თოფია ერთგვა-
რი.

ორი ლეხანი. „ეგ შენი ერემლი კო-
კოტი გულზეამც ჩამომამდინა“.

კოსრო II, 118 კინკრიხი, საქორჩე ად-
გილი.

კოში-ი I, 152; II, 36, 56, 190 ერა-
გვარი ხის ან სპილენძის კურტკელი, ხმა-
რობენ ლუდის დასალევეად.

კუკუმიანი-ი II, 400. ნ. გუუმიანი.

კუნელი-ი I, 255, 418 დუღილისაგან
წარმოშობილი ორტქლი; კორიანტელი,
მტერის ბუჭი. „არშას ჩავიდა ციხის კარ,
კუნელმან აიარაო“.

ლ

ღევი ილასტებოღეს ქერიო“.

ლაშ-ი I, 244 ბაგე, პირი, ტუჩი ცხო-
ველისა; დიდი და უშნო ტუჩი ადამია-
ნისა.

ღემადე I, 88; II, 95, 108, 187, 339
ქარბუქიანი ნისლი, თანაც ბნელი; პირ-
ქარი.

ლიბო I, 149 საძირკველი. ნ. ლიბუ.

ლიბუ I, 199 საძირკველი, საძირკვლის
ჩასაყრელად გაქრილი ადგილი.

მ

მაშობ-ი II, 477 სეან. სახლის ზედა
სართული.

მართვე II, 95 ბარტყი, ფრინველთა
და მწერთა ნაშიერი.

მარტე I, 481; II, 97 მარცხი, ცუდი
საქმე; ავი. „მტერმ მარტედ შავკამინ-
ნაო“.

მატოტაევა I, 372, 374; მათოტა-
ეებს ლურჯასა მოაქენებს, მოა-
გელებებს ლურჯა ცხენს.

მაშია I, 139 ქალის საზაფხულო ფეხ-
საცმელი, უცვირო და უსაქუსრო. „მა-
ცვია სიასამური, მაშიეებზე ვდგე-
ვარო“.

მაშთაგ-ი II, 96 ბატკნის ტყავი საქუ-
ღედ.

მაჩუბ-ი II, 477 სეანური სახლის ქვე-
და სართული.

მახლაკ-ი 508 საკისარი. „ყელს
მახალაკი დაგვეკიდა“.

მაქელვა I, 28. ნ. მოქელვა.

მემეტე II, 58 ფალავანი ბრძოლაში.

მეძირე II, 443 მთის ძირს მყოფი,
ვინც მთის (მალლობის) ძირს რჩება.

მეწვერე II, 330; 443, 445 ვინც მთის
წვერზე აღის, მთის წვერზე ამსვლელი
ან მყოფი.

მზირ-ი II, 34, 36, 60, 62, 65, 79, 84,
97, 114, 181, 248, 277, 295, 435, 458.
სისხლის ასაღებად ან დაელათის (ნ.) სა-
შოვრად წასული ხალხი; მზვერავი, მეთ-
ვალუურე.

მიგრ-ი II, 64: „ჩაიცივს მიგრის
ტყაივი“, ვიგრის ტყაივი

მილარ-ი I, 221 სამანი, მიჯნა. „ქარის
თავს დაქვრეს მილარში“.

მილაქიან I, 139. ნ. დალახვა. „არ მი-
ლაქიან ქვიშანი“.

მიწურვა II, 505 მიკვრა, მკვიდროდ
მიყრდნობა. „მი მიწურა კლდეზე“.

მიჭარვა II, 505 მიახლოება, ახლოს
მისვლა.

ნაგაბარ-ი II, 198, 466, 503 ნაგლეჯ-
ნამუსრევი, ნაფლეთი. ნ. დანაგაბრება.

ნაგაზარ-ი II, 199 კლანჭებგაკრული,
გაზით (ბრჭყალებით) დაკაწრული.

ნათოზ-ი II, 34, 345. ნ. ნათოსი.

ნათოს-ი II, 119, 248, 266, 329 ნამს-
ხვრევი, ნაფლეთი, ნამუსრევი. ნ. ნაგა-
ბარი.

ნაიბ-ი I, 217 მოადგილე, ნაცვალი,
შემცველი; მხარის უფროსი; აღმინისტ-
რაციულ-ტერიტორიული ერთეულის
მმართველი შამილის საიმამოში.

ნაკანჯარ-ი II, 47, 49, 178 ნაკაწრი,
ნაკრილობები; კრილობა.

ნაკენჯარ-ი II, 75. შდრ.: ნაკანჯარი.

ნაქარ-ი II, 532 ქარისაგან მოტანილი.

მონა II, 228 ტული. „დაგათარებენ
ვაქაქსა მონასა, შაჩვენებულსა“.

მონაგარ-ი I, 221 გარჯით ნამოვარი;
შვილები, შთამომავლობა.

მოქუჩება I, 220 თავმოყრა; მოაქუ-
ჩეს ერთად შეაგროვეს, თავი მოუყა-
რეს. „ცხვარი ბევრი მოაქუჩეს“.

მოცადურ-ი II, 78 მცდელი. „სალუ-
ქის კარსა სალუქი, ეს მოცადური
ვისია?“.

მოხელვა I, 95, 260 მოძებნა, პოვნა.
„არწივის ბოლო მოვქქელე“.

მოქელვა I, 198; II, 55, 56, 75, 84,
108, 110, 116. 248, 266, 341 პოვნა. ნ.
მაქელვა, მოხელვა.

მოჭერე I, 208, 236 ღამის ღარაჯი
ცხვრისა; წილის მქონე ამა თუ იმ ამხა-
ნაგობაში.

მურგელივ I, 196 ირგვლივ, გარშემო.

მურდალ-ი I, 224 უწმინდური, ბინძუ-
რი, უსუფთაო. „მურდალ ლეკნი
ვერ მოქლავედეს“.

6

ნაწევ I, 409 მოწვეული, მოპატივე-
ბული. „ქორწილ აქვ ვეფხვიასა, ნა-
წევ შინ შამუდიოდა“.

ნაწილნალი II, 491 ნაღვომი, ბინად
ნამყოფი ადგილი.

ნაქაპნ-ი II, 327 თმის ნაწნავი.

ნაქოჭ-ი II, 295 ძვლის უმცირესი ნა-
მუსრევი.

ნახალიზებ-ი. ნ. ხალიზი.

ნეთხა II, 51 ძვალი, რომელზედაც
რქაა წამოცმული. „თოფ გადის ნეთ-
ხოს ძირშია“.

ნოტო I, 211, 214, 365 ფარის ან ნა-
ხირის. ნაწილი. „როგორც ნოტო
ცხვრისაო“.

მ

ოინულ//ოინულად I, 124 ეშმაკურად,
თვალთმაქცურად. „ოინულ შამაურ-
ბინა, შამაყოლებს თვალსაო“.

ონა II, 122, 356 ძალმომრეობა. „ეპა-
მე, რა ონა გიქნავისთ ღაშარის ჭვა-
რის ყმაზედა“.

პერ-ი I, 166, 410 ქათი. „სისხლ პე-
რად მოუდიოდა“.

პოხვა I, 371 ცხიძის წასმა. „სისხლით
უპოხვენ თმასაო“.

შ

შინულა-ი II, 131 წვრილი წვიმა.
შინულლიან-ი I, 218 წვრილწვიმიანი;
შინელ-ი წვრილი წვიმა.

შუარ-ი II, 80 შაგარი, შუარი. „იხევა
შიწა პუარი“.

შრიალ-ი I, 223 თივილი; ქლარუნი.

ჩ

ჩანგ-ი II, 477 თაფლნარევი წყალი.
ჩაქელ II, 84, 198, 466 როგორ.
ჩემა I, 100 ცხენის ჯოგი; კარგი ცხე-
ნი. „ცხენო, გასუქებ ჩემაო“.
ჩვალ-ი I, 199; II, 71, 108, 302 ბრინ-

ჭაო; ძველად ეგ სიტყვა ზოგჯერ სპი-
ლენძის მნიშვნელობითაცაა ნახმარი.

ჩიალ-ი I, 373; II, 35, 400 გაფანტვა;
განადგურება; ზრიალი, აურზაური. „ნუ
მოხვალ, ყარალამაზო, ნუ მირიალე ბ
ცხვარსაო“.

ც

ცამჩხო II, 53 ადგილი სოფელში, სა-
დაც ხალხი თავს იყრის.

ცახნელო II, 251 ბნელეთი, ჭურღმუ-
ლი, სატუსალო, საპატიმრო.

ცახუარ-ი II, 512 ჩალაბუმბულა.

ცახუჩე I, 340; II, 226 ბოსელი; სა-
ნაგვე ადგალი. „საბუჩეს ჩარდახ
აუგეთ“.

ცაგრხემა I, 260 ხის ჭაბურა, თითის
ტარის სატრიალებელი. „საგრეხელა-
ში. მოვხელეთ შენი ნართავი ტარია“.

ცათაფნო I, 114 თავნისათვის განკუთ-
ვნილი, — თავნისა; ქალის მზითვევი,
რომელსაც იგი გათხოვებამდის თვითონ
იმზადებდა და გათხოვების შემდეგ თვი-
თონვე მოიხმარდა სურვილისამებრ.

ცაყარეშო I, 182; II, 185, 191, 343,
414, 440 საბოძვარი, საჩუქარი. სადღეგ-
რძელი კარგი ყმისათვის განკუთვნილი.

ცალაფავ-ი I, 192 შინაური ცხოველე-
ბის საქმელი, წყალში გახსნილი ფქვი-
ლისაგან ფაფისმსგავსად მოღვლეული.

ცამან-ი II, 101 საზღვარი, მიჯნა.

ცამართ-ი II, 109 ცელის, ნამგლისა
და მისთ. გამოსაპირავი, გასასწორებელი
რკინის იარაღი.

ცამეტო II, 44 მეტი, ის, რაც დამა-
ტებით ეძლევა.

ცამჭირ-ი I, 405 სათვალთვლო ადგი-
ლი. „ეუდავ, ნუ წახვალ სამჭირსა“.

ცამკლავე საფუხარ-ი I, 256 მკლავის
ტყავის ხელთათმანი; ომში ან ფარეკაო-
ბის დროს მკლავზე წამოსაცემელი ლი-
თონის ფირფიტა, — ხელნაევი.

ცამშაო II, 180 ფშავი.

ცანგალი I, 401, 413; II, 39, 53, 57,
83, 89, 104, სანგარი, თხრილი, სროლის
დროს თავშესაფარი.

ცაოცარ-ი II, 272 სიზმარი. „წასულა
საოცარშია“.

ცარქალი-ი I, 249 უფროსი მწყემსი.

ცასალ-ი II, 108 სუსტი, უღონო ადა-
მიანი.

ცასვარი I, 122, 361; II, 280 სალა-
ფავი. „ძალეებს აქამე სასვარი“.

საფეხენო II, 68, 72, 75, 87, 350, 415
ნაგებობაა, წინა კედელი არა აქვს; გარ-
თობის მიზნით თავშესაყრელი ადგილი.
საფიხენო. ნ. საფეხენო.

საფუხარ-ი II, 247, 251 ხელთათმა-
ნი.

საყუჩ-ი I, 168; II, 72, 89, 93, 94,
109, 326, 346, 466 საფარი, ჩასასაფრე-
ბელი ადგილი.

საცვეთ-ი II, 402 ნატის პაიკი.

საწლე-ი II, 112, 255 დიდი კურჭე-
ლი, რომლითაც ლუდი გამოაქვთ ხალ-
ხში.

საქსარ-ი I, 206 გამოსახსნელი, გამო-
საყიდი.

საჯყ-ი I, 105 შესარცხენი, სასირც-
ხო, აუგი.

სვილის ფერ-ი I, 102; II, 247 სვო-
